ალექსი მიმინოშვილი

ფაზისიდან ჰერეთამდე

თბილისი
2005

რედაქტორი

ალექსანდრე თოფურია

მხატვარი

შალვა ჭეიშვილი

© ა. მიმინოშვილი, 2005

S. Fodor

მემუარულ-პუბლიცისტურ თხზულებაში, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, თავმოყრილი და განხილულია საქართველოში წყალთა მეურნეობის დარგის განვითარების ახლო წარსული, სამელიორაციო სისტემების მშენებლობისა და რაიონული საექსპლუატაციო სამმართველოების ჩამოყალიბების ფაქტობრივი მასალები, ფაზისიდან-ჰერეთამდე.

65 წლის მანძილზე, რომელიც ამ დარგში მოღვაწეობას შევალიე, ბევრი ისეთი რამ შემორჩა ჩემს მეხსიერებას, რაც ვფიქრობ, წყალთა მეურნეობით დაინტერესებულ როგორც ჩემი თაობის, ისე ახალბედა სპეციალისტებსაც დააინტერესებს. ამ ნაშრომში მოგონებების გარდა, ტექნიკური რჩევა-დარიგებებიც არის ჩართული, რაც შესაძლოა საკამათო და მსჯელობის საგანიც გახდეს...

თხზულებას თან ერთვის მინიატურული ხასიათის ნოველები და მოგონებები.

წინათქმა

საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, რაც დიდი ხანია დასაბუთებულია მეცნიერული გამოკვლევებით. ჩვენში სარწყავი არხების გაყვანა ადრეული ბრინჯაოს ხანაშიც რომ მაღალ დონეზე მდგარა, ამას ადასტურებს უძველესი არხების უამრავი ნაკვალევი. მაგალითად, რამდენიმე საუკუნის წინათ ფშავის არაგვის შესართავიდან თბილისის გავლით - მეტისმეტად რთული რელიეფის პირობებში, წყლის მიყვანა ყარაიის ველის (გარდაბანი) მოსარწყავად არცთუ იოლი საქმე იქნებოდა ან კიდევ ალაზნის მარცხენა მხარეს, მდინარე ლოპოტიდან სოფელ ნაფარეულის ზევით ას კილომეტრზე მეტი სიგრძის არხის გაყვანა სპეციალური ცოდნა-განათლების ან სათანადო ხელსაწყოების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა. ამ არხების ნაკვალევი, დიდი ოსტატების ნახელავი, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც კარგად შეიმჩნეოდაო, აღნიშნავენ მემატიანენი. უფრო მეტ საოცრებას წარმოადგენს 1202 წელს ანტონ მწიგნობართუხუცესის მიერ გაყვანილი შიომღვიმის 7 კილომეტრი სიგრძის წყალსადენიც. აი, რას წერს ამ უნიკალური ნაგებობის შესახებ დიდი მეცნიერი-მკვლევარი ივანე ჯავახიშვილი: „...ის, რაც სხალტიბის წყალსადენმა მოგვცა, კარგად მოწმობს, თუ რამდენად მაღალ დონეზე ყოფილა ეს დარგი ჩვენში დაყენებული. წყალს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა, ერთის მხრივ, როგორც სასმელს, მეორეს მხრივ, როგორც სარწყავს და ორივე დანიშნულებისათვის სხვადასხვა ნაგებობა მოიპოვებოდა“.[1] ამ საკითხის ირგვლივ საინტერესოა, აგრეთვე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ალექსანდრე (სანდრო) ლოსაბერიძის

---

1. ი. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1946, გვ. 66-67.

მოსაზრებაც. „სხალტიბი - შიომღვიმის წყალსადენის ნაგებობა ძველ მშენებლებს ისეთ რთულ გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ პირობებში შეუსრულებიათ, - ამბობს მეცნიერი, - რომ იმავე ამოცანის განხორციელება ჩვენს ხანაშიც დიდ საგონებელში ჩააგდებდა თანამედროვე გამოცდილ სპეციალისტებსაც კი. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს წყლის მიწოდება წყალსადენის ბოლო უბანში სხალტბის ქედიდან, რომელიც 170 მეტრიანი ციცაბო კლდით დაჰყურებს შიომღვიმის მონასტერს“.[2] მართლაც და, გაოცებას იწვევს ასეთი სიმაღლიდან წყლის მიღება ენერგიის ჩამქრობი ღონისძიებების გარეშე.

უძველესი არხების გაყვანის მაღალ ტექნიკურ ოსტატობაზე ისიც მეტყველებს, რომ დღემდე შემორჩენილ და მოქმედებაში მყოფ თამარ მეფის დროინდელ არხებზე, დადაბლებულ ადგილებში წყლის გადასაყვანად აგებული იყო ქვის წყობის ბერღარები (აკვედუკები) და რუსხმულები. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი სარწყავი სისტემების დაპროექტების დროს ძველი ნაგებობები თავისუფლად მოერგო ახალ საპროექტო ნიშნულებს (სალთვისის, მუხრანის, ალაზნის და სხვა სისტემები). მაგრამ უძველესი არხების ნაკვალევი დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით ფართო მასშტაბიანი აღმშენებლობის პერიოდში, პირწმინდად წაიშალა, ამიტომ, მომავალში მხოლოდ არქეოლოგ-მკვლევარ მეცნიერებს ექნებათ საშუალება ბოლოდროინდელი აღმოჩენების საფუძველზე ახალი სიტყვა თქვან წარსულში სამელიორაციო სისტემების განვითარების შესახებ, ისე, როგორც ეს მოხდა 1999 წელს, როდესაც გამოქვეყნდა ცნობა შირაქის ველზე წარმოებული გათხრების სენსაციურ შედეგებზე. მეცნიერ-მკვლევარები ვარაუდობენ, რომ შირაქისა და ელდარის ველი უხსოვარ დროში სარწყავი არხებით უნდა ყოფილიყო დასერილი.

---

2. ა. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური ძეგლები, თბ. 1938, გვ. 194.

ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელები, პროფესორები: კიაზო ფიცხელაური და ანდრეას ფურტვენგლერი) აღმოჩენებმა, მეცნიერთა გასაოცრად, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პალინოლოგურმა კვლევა-ძიებამ შირაქის ველზე, ქრისტეს დაბადებამდე ათასწლეულის შუახანების კულტურულ ფენებში წყლის მოყვარულ მცენარეთა სიმრავლე დაადასტურა. შირაქის ველის ზედაპირულმა დაზვერვებმა კი არქეოლოგებს საშუალება მისცათ უძველესი სარწყავი სისტემის არსებობაზე ეფიქრათ. მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით მეცნიერებმა განსაზღვრეს, რომ უმაღლესი ცივილიზაციის ნიშნების თარიღი არ შეიძლება იყოს ჩვ.წ. აღრიცხვამდე ათას წელზე უახლესი. შირაქის ველზე არქეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები გრძელდება და 21-ე საუკუნეში წყალთა მეურნეობის ისტორიაც, ალბათ, ახალი - მნიშვნელოვანი აღმოჩენებით გამდიდრდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით მწირი ცნობები მოიპოვება მდინარეებიდან წყლის აღების ტექნიკაზე, მაგისტრალური არხების სათავენაგებობების შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ მდინარეებიდან წყლის მისაღებად გამოყენებული იყო პრიმიტიული წესი: დღემდე შემორჩენილი, ტრადიციული ქვა-ფიჩხის ან ძელყორის, წყლის მიმმართველი დეზების მოწყობა. სხვა სახის ნაგებობა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. მხოლოდ ერთადერთი მინიშნება არსებობს: რომ ყარაიის (გარდაბნის) არხის პროექტის ავტორებს შეუსწავლიათ უწინდელი არხების წყლის აღების პირობები და აღმოუჩენიათ სამი წერტილი, საიდანაც წყლის აღება წარმოებდა. სამივე ადგილზე არხის ფსკერი 2-3 მეტრით მაღლა მდებარეობდა მდინარის ფსკერიდან, რაც მოწმობს სათავე ნაგებობის დროებითობას, რომელიც წყალდიდობისას ინგრეოდა, ხოლო მდინარის კალაპოტი ღრმავდებოდა, რის შედეგად წყლის აღების წერტილი მონაცვლეობდა ქვევით და ამ დაშორებამ პირველსა და ბოლო წყლის აღების წერტილებს შორის სამ კილომეტრს გადააჭარბა. ასეთ პირობებში

უცხოელ დამპროექტებლებს სწორი გადაწყვეტილება მიუღიათ, რომ ამჟამინდელი გარდაბნის მაგისტრალური არხის საინჟინრო ტიპის სათავე-ნაგებობა მტკვრის ტოტიდან გაყვანილ მიმყვან არხზე აუგიათ ციხე „რიშეკალესთან" (ქ. რუსთავში, რომლის მნახველიც თავად ვარ). მიმყვან არხში წყლის რეგულირება ქვა-ფიჩხის (ე.წ. „ფაშინები") დეზების მოწყობით წარმოებდა.

ამრიგად, მორწყვას ჩვენში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში. ის მუდამ სახელმწიფოსა და ხალხის ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, ამიტომაც საქართველო კლასიკური ირიგაციის ქვეყნად მიიჩნეოდა. აკი, უცხოელი მოგზაურები ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე წერდნენ, რომ საქართველოში მორწყვა მესოპოტამიაზე ნაკლებად არ იციანო... დღესაც შეიძლება ასე ითქვას, მორწყვის საქმე საქართველოში არავისზე ნაკლებად არ ვიცით (მკვეხარობად ნუ ჩამითვლით).

აღმოსავლეთში თუ სარწყავი მიწათმოქმედება არის წამყვანი და როგორც იტყვიან, პრიორიტეტული დარგი, დასავლეთ საქართველოში სულ სხვა, საპირისპირო სიტუაციაა - უხვი ჭარბტენიანობა ბატონობს როგორც ნიადაგში, ისე მის ზედაპირზე, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე, რომელიც შორეულ წარსულში წალკოტი ყოფილა, ძლიერი, განვითარებული მხარე - ვინ იცის, უხსოვარ დროში შეიძლება მორწყვა აქაც იყო პრიორიტეტული, დროთა ვითარებაში კი, ბუნებრივი პირობებით, თუ გარეშე მტრების შემოსევის, ეკონომიკურ-პოლიტიკური სიდუხჭირის შედეგად კოლხეთის დაბლობი მთლიანად დაჭაობდა, ეკალ-ბარდებით და გაუვალი ტყეებით დაიფარა, სიცოცხლე ჩაკვდა ოდესღაც აყვავებულ მხარეში... ასე იყო საუკუნეების განმავლობაში, არსად ჩანდა მშველელი, გულშემატკივარი პატრონი. აკი, ამას ჩიოდა თავის ლექსში მე-19 საუკუნის ცნობილი პოეტი ვახტანგ ორბელიანიც:

„...იაზონის კრავო ოქროსო,
ივერთ ქვეყნის ძევ, ძმაო უფროსო,

ძველო ქვეყანავ, კოლხიდავ, მითხარ
დავიწყებული რისთვის და რად ხარ?“

დავიწყებული კოლხეთი პირველმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ გაიხსენა და ფოთის ქალაქის თავად არჩევისთანავე შეუდგა საწრეტი არხების გაყვანას ქალაქის შემოგარენში. ამის შემდეგ მხოლოდ 1926 წელს დაიწყო მთელ კოლხეთის დაბლობზე ინტენსიური საკვლევო-საძიებო სამუშაოები, 1932 წელს ფართოდ გაიშალა კოლხეთის დაბლობზე ჭაობების დახშობის სამუშაოები. კოლხეთის მთელი ტერიტორია დაისერა საწრეტი არხებით, კეთილმოწყობილი გზებით. 100 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი, რომელიც ჭაობს გამოსტაცეს, ხალხის სამსახურში ჩადგა. კოლხეთის ნოყიერ მიწაზე გაშენდა ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეების პლანტაციები, წარმოიქმნენ ახალ-ახალი სოფლები, მომძლავრდნენ სახელმწიფო მეურნეობები, გაჯანსაღდა ჰავა, კლიმატი... მალარია სასტიკად დამარცხდა და ახალ კოლხებს ავადსახსენებელი სენის სახელიც კი დაავიწყდათ... ისევ აყვავდა კოლხეთის მიწა, ეს მხარე ადამიანებმა ისევ წალკოტად აქციეს.

დიახ, ლიხს იქეთა და ლიხს აქეთა მხარე სრულიად აღორძინდა, კვლავინდებურად დამშვენდა, მოღონიერდა ქვეყანა და ამაში ლომის წილი უდევთ მრავალრიცხოვან გამრჯე და ნაცად ადამიანებს - გამოწრთობილ სპეციალისტებს, იმ სახელოვან სახელმწიფო ორგანიზაციას, იმთავითვე წყალთა მეურნეობის სამმართველო რომ ერქვა.

როცა საკითხი შეეხება წყალთა მეურნეობას, ამ უკეთილშობილეს დარგს, უნდა ვიგულისხმოთ მასში შემავალი ყველა სახის ღონისძიებანი, რომლებიც ერთობლივად ემსახურებიან ბუნების გარდაქმნას და ადამიანის კეთილდღეობას, მის ეკონომიურად გაძლიერებას. ასეთებია: მორწყვა, დაშრობა, საძოვრების გაწყლოვანება, სასოფლო წყალმომარაგება, წყალდიდობისა და ეროზიის საწინააღმდეგო საქმიანობა, გრუნტის წყლების რეგულირება, ბიცობიანი მიწების განმარილება და კიდევ მრავალი სხვა.

ახლებურად ამ სახის ღონისძიებებს ჰიდრომელიორაცია ეწოდება.

ამ მრავალფეროვან და საინტერესო დარგში მოღვაწეობა და წყალთა მეურნეობის დიდი კოლექტივის წევრობა ყოველთვის საამაყო იყო.

წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში სწორედ საქართველოს წყალთა მეურნეობის დარგის განვითარების მოკლე ისტორიაზეა საუბარი. მოგითხრობთ ყოველივე იმაზე, რასაც შევსწრებივარ, რაც ჩემი თვალით მინახავს ან სხვათა შრომებში წამიკითხავს. რა თქმა უნდა, აქ მოთხრობილი მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ დიდი საქმისა, რომელიც შვიდი ათეული წლის განმავლობაში დიდი შრომითი აღმავლობითა და ენთუზიაზმით კეთდებოდა ჩვენს ქვეყანაში მელიორაციის საკეთილდღეოდ.

თუ როგორ შევძელი ჩანაფიქრის ხორცშესხმა, ამისი შეფასება თქვენთვის მომინდვია პატივცემულო მკითხველო.

დაბოლოს, სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აქვე დიდი მადლობა მოვახსენო საქართველოს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელთა მხარდაჭერითა და ხელშეწყობით შეიქმნა ეს ნაშრომი.

ავტორი დიდი კმაყოფილებით მიიღებს მკითხველის ყველა საქმიან შენიშვნასა და რჩევას.

მცირე განმარტება

ფაზისი და ჰერეთი, დედასამშობლოს უძველესი მიწაწყალია. პირველი - დასავლეთისა და მეორე - აღმოსავლეთ საქართველოს სტრატეგიული ტერიტორია იყო და ისინი მთლიანი საქართველოს მშვენებას წარმოადგენდნენ.

ნაშრომის სახელწოდებამ მაფიქრებინა მკითხველს აღვუდგინო ამ ისტორიულ მხარეთა წარსული, რომელიც ლაკონურად არის აღწერილი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.

„...**ფასისი (ფაზისი)**, ძველი და შუა საუკუნეების ხანის ქალაქი და ნავსადგური საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის სამეფოს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი.

ფასისი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ სავაჭრო მაგისტრალზე.

IV საუკუნეში ფასისში არსებობდა კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, ადრინდელ შუა საუკუნეებში ფასისი ლაზიკის მიტროპოლიტის რეზიდენცია იყო.

ფასისი წყაროებში პირველად მოხსენებულია ბერძენი ავტორის ფსევდო-სქილაქს კარიანდელის „ჰერიპლუსში“ (ძვ.წ. IV ს.)

ძველ მსოფლიოში ფასისი და კოლხიდა (კოლხეთი) ხშირად ერთ ცნებად აღიქმებოდა. ბერძნულ მითოლოგიაში კი, ფასისი და კოლხეთი იასონის და არგონავტთა მოქმედების არიალია“.*

ჰერეთი, ეს ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიულ წყაროებში პირველად V საუკუნეში მოიხსენიება. უძველეს ხანაში იგი კავკასიის ალბანეთის სამეფოში შედიოდა. X-XIV სს წყაროთა მიხედვით საკუთრივ ჰერეთი ეთნიკურ-ისტორიული მნიშვნელობით მოიცავდა გვიანდელი ხანის შიგნიკახეთისა და გაღმამხრის ტერიტორიას (მდ. ალაზნის ველი) საინგილოს ჩათვლით.

ჰერეთის სამთავრო, ფეოდალური ხანის ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული, VIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოეყო ქართლის საერისმთავროს.

...ჰერეთის დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავროს შექმნა განაპირობა ქართლის საერისმთავროს სოციალურ-ეკონომიკური

---

* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986 ტ. 10, გვ. 238.

განვითარების მაღალმა დონემ და ფეოდალური ურთიერთობის შემდგომმა გაღრმავებამ.

ჰერეთის სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა გაღმამხარეს, საინგილოს, შიგნიკახეთს, კამბეჩიანსა და შაქს. ჰერეთის მთავარს ემორჩილებოდა აგრეთვე დაღესტნის მთიანეთის ნაწილი - ხუნძახი და დიდოეთი. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქ. შაქი.

...IX-X სს-ში ჰერეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერება და მაღალი კულტურა დასტურდება ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლით.

...შემონახულია შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები: ჯუმის ბაზალიკა (VIII ს.), ლექეთის ტეტრანკონქი (VII-IX სს), გურჯაანის (კახუბნის) „ყველაწმინდა" (VIII-IX სს), ხირსის „სტეფანწმინდა" (IX ს), ალაზნის „ამაღლება" (IX ს.)...*

P.S. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ენციკლოპედიაში ფაზისისა და ჰერეთის ისტორია ლაკონიურად, ძუნწად არის მოცემული. ახალ ქართულ ენციკლოპედიაში, რომლის პირველი ტომიც უკვე გამოვიდა, ვინძლო უფრო ვრცელი და ამომწურავი, მეცნიერთა ახალი თვალთახედვით შეფასებული ჰერეთი და ფაზისი წარუდგება მკითხველს, საქართველოს ამ მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური რეგიონების ვრცელი დახასიათებით. იმისი იმედიც მაქვს, რომ მაღალგანვითარებულ ეკონომიკას, სოფლის მეურნეობაც იმ დროისათვის შესაფერის დონეზე ექნებოდა დაყენებული და შეუძლებელია წყლის გამოყენების ყადრი არ სცოდნოდათ. ჩვენს მეცნიერებს ახალ „ქართულ ენციკლოპედიაში" უეჭველია წყალთა მეურნეობის ჰერეთული კულტურაც ექნებათ სათანადოდ შეფასებული და აღწერილი ახალ, არქეოლოგიური კვლევით მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით.

---

* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1986 ტ. 10 გვ. 238, ტ. II გვ. 628

ნაწილი პირველი

წყალთა მეურნეობა
წარსულსა და აწმყოში

წინათ...

წყალი საქართველოში ყოველთვის სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მისი გამოყენების საკითხი სამეფო ზრუნვის საგანი იყო. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწების მოსარწყავად მშრალი ჰავის ზონებში. ამიტომაც, არხების მშენებლობას ჩვენში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ, მეტწილად ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. როგორც მემატიანეები აღნიშნავენ, ბევრი არხია გაყვანილი თამარის მეფობის ხანაში, ამიტომ დღემდე შემორჩენილ უძველეს არხებს, თითქმის ყველგან, თამარ მეფის დროინდელ არხებად მიიჩნევენ. შემორჩენილს ვამბობ, რადგან უცხო ურდოთა ურიცხვი შემოსევების ჟამს მტერი პირველ რიგში არხებს, ვენახებსა და ტყეებს აჩანაგებდა და სპობდა... მათ აღდგენას კი ხალხი მხოლოდ მშვიდობიანობის პერიოდში ახერხებდა. სარწყავი არხების აღდგენას ვახტანგ მეექვსის მეფობის დროსაც დიდი ყურადღება ექცეოდა, რასაც ხელს უწყობდა მეფის მიერ შედგენილ კანონთა კრებულში შეტანილი მორწყვისა და წყლით სარგებლობის წესები.

წყლის გამოყენების შესახებ კანონი განამტკიცებდა წყალსარგებლობის დისციპლინას, სარწყავი არხების ტექნიკურ მდგომარეობას. მაგრამ ეს იყო ვახტანგ მეექვსის მეფობის ხანაში, მის შემდეგ კი, ხშირი ომების შედეგად, კვლავ მოიშალა სარწყავი მიწათმოქმედება, გადასწორდა სარწყავი არხები, გატიალდა სავარგულები, ვახტანგისეული წყალსარგებლობის კანონებიც დავიწყებას მიეცა. ქვეყანაში ასეთი მძიმე მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში ქართველი ინტელიგენციის მიერ წყალსარგებლობაზე ახალი კანონის შესაქმნელად წარმოებული საქმიანობა ოცდაათი წელიწადი გრძელდებოდა და ბოლოს, როგორც იქნა, რუსეთის იმპერატორმა გაიღო „მოწყალება“, რითაც 1890 წლის 3 დეკემბერს დააკანონა წყალსარგებლობის წესები.

პირველი ჩანასახი

ამ კანონის საფუძველზე ამიერკავკასიაში შეიქმნა პირველი სპეციალური ორგანო - „წყლების ინსპექცია“, რომლის ადგილსამყოფელი ქ. თბილისი იყო, ხოლო ადგილებზე, სარწყავი მიწების მქონე რეგიონებში დაინიშნენ ინჟინერ-ჰიდრავლიკოსები, რომელთა მოვალეობასაც სარწყავი არხების ტექნიკურ უნარიანობაზე თვალყურის დევნება, სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესწავლა და ახალი არხების პროექტების შედგენა წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის ინჟინერ-ჰიდრავლიკოსები წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ თბილისში და წყლების ინსპექტორის ხელმძღვანელობით განიხილავდნენ ახალი სარწყავი არხების გაყვანის ან ძველის რეკონსტრუქციის პროექტებს, საკითხებს რწყვის მიმდინარეობისა და წყლის გამოყენების შესახებ... თითქოსდა დიდი საქმე უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ, როგორც ცნობილია, „წყლის ინსპექციის“ მმართველობის პერიოდში (1891-1917) ამიერკავკასიაში, მათ შორის საქართველოში, არც ახალი სარწყავი სისტემები აშენებულა და არც ძველი არხების აღდგენა - რეკონსტრუქცია ჩატარებულა.

1917 წლის დასაწყისში თბილისში ჩატარდა წყალთა მეურნეობის მუშაკთა ყრილობა, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის 1917 წლის 29 მაისის ბრძანებით, შეიქმნა წყალთა მეურნეობის სამხარეო საბჭო. საბჭომ აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც ჩაიბარა „წყლების ინსპექციის“ ყველა საქმე, „წყლების ინსპექცია“ კი გაუქმდა. ამ კომისიის მუშაობაც მხოლოდ პროექტების შედგენითა და სარწყავი არხების მდგომარეობის შესწავლით შემოიფარგლა. არც ამ კომისიამ იარსება დიდხანს და 1918 წლის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს წყალთა მეურნეობის საოლქო სამმართველო, რომლის „საქმიანობაც“, მსგავსად წინამორბედებისა, უკვალ-

ოდ გაქრა. ამასობაში, 1921 წელს მოხდა საქართველოს გასაბჭოება და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნა ცალკე განყოფილება - „ჰიდრომშენი", რომლის მთავარ ამოცანასაც წარმოადგენდა სამელიორაციო სამუშაოების წარმოება. „ჰიდრომშენი" მაშინვე შეუდგა ძველი სარწყავი არხების აღდგენას და ახლის მშენებლობასაც, მაგრამ ფულადი სახსრების სიმცირის გამო, პირველ ხანებში წყალსამეურნეო სამუშაოები არც ისე ფართო მასშტაბით წარმოებდა.

ორგანიზაციის შექმნა

1922 წლის 12 აპრილს საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი - „საქართველოს ტერიტორიაზე წყალთა მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ".

დადგენილებით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში შეიქმნა წყალთა განყოფილება, რომლის ხელშიაც გადავიდა წყალთა მეურნეობის მთელი საქმიანობა.

წყალთა განყოფილების უფლება-მოვალეობაში შედიოდა:

ა) წყლით სარგებლობისა და წყალთა მშენებლობის საერთო გეგმის შედგენა;

ბ) წყალთა მეურნეობის საერთო გეგმის შესადგენად საჭირო გამოკვლევების წარმოება (ჰიდროგრაფიული, ჰიდრომეტრიული, ნიადაგისა, საგეგმო ხატვა და სხვ.), პროექტების შედგენა და წყალთა ახალი სისტემების აგება;

გ) წყალთა გამიჯვნა, ე.ი. არსებული წყლის უფლებათა განსაზღვრა და ახალი წყალსარგებლობის ნებართვის გაცემა;

დ) მეთვალყურეობა არსებული წყალსარგებლობისათვის და არსებულ წყალთა სისტემის რიგზე მოვლა-პატრონობა;

ე) კანონმდებლობის შემუშავება „წყალთა დარგისათვის“ და სხვა.

ასეთი იყო საბჭოთა რესპუბლიკის პირველი სამოქმედო პროგრამა წყალთა მეურნეობის დარგის განვითარებისათვის, რომელსაც მანამდე ანალოგი არ ჰქონდა...

წყალთა განყოფილების ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა სამელიორაციო სამუშაოები, დაიწყო არსებული არხების აღდგენა და ახლის მშენებლობისათვის საძიებო-საპროექტო სამუშაოები, რომელსაც სათავეში გამოცდილი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი პეტრე მამრაძე ჩაუდგა.

1922 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. დაისვა საკითხი დაარსებულიყო ამიერკავკასიაში წყალსამეურნეო საქმიანობის ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო.

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ 1923 წლის თებერვალში დააკანონა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შექმნა, რომელიც შემდეგში ცნობილი იყო „ზაკვოდხოზის“ სახელით.

ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაექვემდებარა აზერბაიჯანისა და სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოები, ხოლო საქართველოში გაუქმდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის „წყალთა განყოფილება“ და მის ნაცვლად ამიერკავკასიის სამმართველოსთან დაარსდა რწმუნებულთა საბჭო, რომელიც განაგებდა წყალსამეურნეო საქმიანობას.

წყალთა მეურნეობის საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ 1923 წელს ამიერკავკასიაში ჩამოაყალიბა 16 წყალთა ოლქი, აქედან საქართველოს რესპუბლიკაში - 6 წყალთა ოლქი:

- აფხაზეთის ოლქში შედიოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;

- აჭარის ოლქში შედიოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ოზურგეთის მაზრა;

- ქუთაისის ოლქში: ქუთაისის, ზუგდიდის, რაჭის, შორაპნის და სენაკის მაზრები;

- გორის ოლქში: ახალციხის, ახალქალაქის, გორის მაზრები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი;

- თბილისის ოლქში შედიოდა: თბილისის, ბორჩალოს, დუშეთის მაზრები; ყარაიის და ბორჩალოს წყალთა რაიონები;

- კახეთის ოლქში: თელავისა და სიღნაღის მაზრები, თბილისისა და დუშეთის მაზრების ნაწილი.

„ზაკვოდხოზის" სამმართველოს ხელმძღვანელობით წყალთა ოლქებმა ნაყოფიერად იმუშავეს და დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს არხების აღდგენაზე. ამ პერიოდში საკვლევო-საპროექტო სამუშაოებთან ერთად დაიწყო, აგრეთვე, საბჭოთა, მაშველის, სკრა-ქარელის, დოეს-გრაკალის, ავჯამეთის, მათხოჯის, ტირიფონის, ალაზნის სარწყავი სისტემების მშენებლობა. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ყარაიის (გარდაბნის) საინჟინრო სარწყავ სისტემას და სხვა მაგისტრალურ სარწყავ არხებს.

რესპუბლიკაში წყალსამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წლის 6 მაისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს დაარსების შესახებ.

საქართველოს მელიორაციისა და წყალთა სამმართველო, როგორც აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებისა, შევიდა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაქვემდებარებაში.

ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტისა და აკ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 8 აპრილის დადგენილებით, გაუქმდა წყალთა ოლქები და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი 14 წყალთა რაიონი:

აფხაზეთის, აჭარის, ოზურგეთის, ხონის, ქუთაისის, ახალციხის, გორის, კასპის, მცხეთის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, თბილისის, საგარეჯოსა და გურჯაანისა.

შეიქმნა აგრეთვე ალაზნის, ტირიფონისა და საბჭოთა მაშველის სარწყავი სისტემების სამმართველოები.

ყარაიის სარწყავი სისტემის I და II განყოფილება გაერთიანდა და 1928 წლიდან ყარაიის სარწყავი სისტემის სამმართველო უშუალოდ დაექვემდებარა აკ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, როგორც რესპუბლიკათაშორისო სარწყავი სისტემა.

1931 წლის 19 ივნისს აკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებს ახალ დადგენილებას აკ წყალთა მეურნეობის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც გაუქმდა აკ წყალთა მეურნეობის სამმართველო („ზაკვოდხოზი") და მისი ფუნქციები გადაეცა აკ მებამბეობის კომიტეტს, ხოლო წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამმართველოები უშუალოდ დაექვემდებარა რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წლის 4 მაისს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ და ის გადაკეთდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოდ, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. ამ სამმართველოს უფროსები იყვნენ: ა. ლეჟავა, ნ. ბახტაძე, ბ. გოგია, ა. ყამარაული, ლ. სუხიშვილი, ალ. გაბუნია, ა. კვეკვეცია, ს. ზერეკიძე და გ. ზამბახიძე.

რესპუბლიკის მთავრობა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დიდ ყურადღებას აქცევდნენ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ახალი სარწყავი არხების მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქცია-აღდგენის სამუშაოთა გაფართოებაში.

წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობის ფართო მასშტაბები განსაკუთრებით გრანდიოზული გახდა მას შემდეგ, რაც მთავრობამ 1940 წელს მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში ჩაის მეურ-

ნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

დადგენილებით განსაზღვრული იყო წყალსამეურნეო ობიექტების, როგორც სარწყავი, ისე დამშრობ სისტემათა მშენებლობის საპროექტო მოცულობები, სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების კონკრეტული ვადები. 4 წლის განმავლობაში (1941-1944 წლებში) უნდა განხორციელებულიყო 5 ახალი სარწყავი სისტემის მშენებლობა. ესენია: აჯამეთის, კეხვის, სალთვისის, დოღლაურის (ამჟამინდელი ტაშისკარი) და სოღანლუღის მექანიკური მორწყვა. აგრეთვე, ტირიფონისა და ალაზნის სარწყავი სისტემების მშენებლობის დამთავრება. გეგმით 75 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობი უნდა შემატებოდა სარწყავი მიწების ფონდს. ხოლო 28 ათას ჰექტარზე უნდა ჩატარებულიყო არსებული სარწყავი სისტემების (კეხვის, ყარაიის და სხვ.) რეკონსტრუქცია. ახალი წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა დაგეგმილი იყო კოლხეთშიც.

ასეთი ფართომასშტაბიანი, გრანდიოზული სამუშაოების ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის მთავრობამ 1941 წლის 7 თებერვალს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

კომისარიატში თავდაპირველად ფუნქციონირებდნენ სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციისა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები, კოლმეურნეობებისათვის წყლის მიწოდებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილებები.

ექსპლუატაციის სამმართველო თავის მხრივ ოთხი ტერიტორიალური განყოფილებისგან შედგებოდა. ეს იყო: ქართლის, კახეთის, მესხეთ-ჯავახეთისა და დასავლეთ საქართველოსი. გარდა ამისა, ფუნქციონირებდა საგეგმო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება და ინჟინერ-მექანიკოსის ერთი საშტატო ერთეული.

იმ დროისათვის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა 22 რაიონული სამმართველო: აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოები. ახალციხის, ხაშურის, გორის, კასპის, მცხეთის, თბილისის, საგარეჯოს, ალაზნის, თელავის, ლაგოდეხის, ლიუქსემბურგის (ახლა ბოლნისის), ბორჩალოს (ახლა მარნეულის), ქუთაისის, აბაშის, წულუკიძის, ზუგდიდის, მახარაძის წყალთა რაიონები, კოლხეთის და ყარაიის (ახლა გარდაბნის) სასისტემო სამმართველოები.

პირველი სახალხო კომისარი იყო ბატონი გრიგოლ ზამბახიძე. წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის თავდაპირველი შემადგენლობა ასეთი გახლდათ: გ.ნ. ზამბახიძე - კოლეგიის თავმჯდომარე, მ.ნ. ანანიევი (სახალხო კომისრის მოადგილე, მთ. ინჟინერი), ი.დ. სულაძე (საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსი), ა.ა. გაბუნია (კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი), ვ.ზ. ღურბელაძე (კოლმეურნეობებისათვის წყლის მიწოდების განყოფილების უფროსი). სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, რამდენიმე თვეში, მ. ანანიევი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და სახალხო კომისრის მოადგილედ და კომისარიატის მთავარ ინჟინრად დაინიშნა ა.ა. გაბუნია.

წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატი ის-ის იყო ძალას იკრეფდა გრანდიოზული საკავშირო მნიშვნელობის ამოცანების შესასრულებლად, როცა 22 ივნისს დიდი სამამულო ომი დაიწყო და მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მშენებარე ობიექტებს ყველგან კონსერვაცია გაუკეთდა, გამოცდილი სპეციალისტების უმრავლესობა ჯარში გაიწვიეს, ვინც ადგილზე დარჩა, მათ განსაკუთრებული დანიშნულების სამხედრო ობიექტების მშენებლობა დააკისრეს.

ასე რომ, წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის საზრუნავი იყო მხოლოდ არსებული - მოქმედი სარწყავი სისტემების (არხების) მოვლა-შენახვა.

ომის მეორე წელს, მიუხედავად იმისა, რომ ფრონტზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა; დიდი ყურადღება მიექცა

სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენისა და განვითარების საკითხს.

მთავარი ამოცანა იყო ფრონტისა და საერთოდ, ქვეყნის სურსათით მომარაგება. ამ მიზნით სოფლის მეურნეობის დარგის, მათ შორის წყალთა მეურნეობის სპეციალისტები გამოიწვიეს სამხედრო სამსახურიდან და ისინი ფრონტის ზურგში მომუშავე სპეციალისტებთან ერთად განთავისუფლებულები იყვნენ ჯარში გაწვევისაგან. მთავარსარდლის იოსებ სტალინის მოწოდებამ - „ყველაფერი ფრონტისათვის", დიდი გამოხმაურება ჰპოვა ფრონტის ზურგის მშრომელთა შორის. ქარხნებში მუშები დაზგების სადღეღამისო მუშაობას უზრუნველყოფდნენ, რათა საომარი იარაღი დროულად მიეწოდებინათ მებრძოლებისათვის. სოფლად კი კოლმეურნეები მინდვრად დღედაღამ, თავდადებულად შრომობდნენ ფრონტისა და ზურგის სურსათით მომარაგებისათვის, მუშები, კოლმეურნეები უანგაროდ ეხმარებოდნენ ფრონტელებს, საკუთარი დანაზოგებით ყიდულობდნენ ტანკებს, თვითმფრინავებს, სხვა სამხედრო იარაღს და ამარაგებდნენ მებრძოლ ქართულ დივიზიებს, ამზადებდნენ თბილ ტანსაცმელს, სხვადასხვა ნუგბარს და მებრძოლებს უგზავნიდნენ ბრძოლის ველზე, ჰოსპიტლებში. ყოველივე ეს დიდი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით კეთდებოდა.

გულწრფელი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ომის პერიოდში ზურგში დარჩენილი მელიორატორები, რომლებმაც დიდი სიძნელეებისა და გაჭირვების, ტექნიკური საშუალებებისა და ფულადი სახსრების სიმცირის მიუხედავად, თავდადებული და უანგარო შრომით უზრუნველყვეს სარწყავი სისტემების მოვლა-შენახვა, მათი შეუფერხებელი მუშაობა. იმ პერიოდში არხების წმენდის სამუშაოები მხოლოდ ხელით წარმოებდა, ხოლო წყალდიდობის საწინააღმდეგო და სარემონტო სამუშაოები - ქვაფიჩხით და ძელ-ყორით. რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალებებს, იგი ძირითადად ურმისა და ოთხთვალისგან შესდგებოდა.

ყველა სახის სამუშაოთა 65-80% კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით სრულდებოდა.

მელიორატორთა დიდი ძალისხმევის შედეგად სარწყავი მიწების ფონდი ომის პერიოდში ოდნავადაც არ შემცირებულა, ხოლო ომის დამთავრებისთანავე, მთავრობის გადაწყვეტილებით, 1946 წელს განახლდა სალთვისის, მუხრანისა და ზემო სამგორის სარწყავი სისტემების მშენებლობა.

მეტიც, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა გამოცხადდა სახალხო მშენებლობად, რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობდა; ზედა მაგისტრალური არხი კი, სულ ხელით გაჭრეს და ბეტონით მოაპირკეთეს.

ამავე პერიოდში განახლდა სამუშაოები კოლხეთის დამშრობი სისტემების მშენებლობაზეც.

როგორც ცნობილია, ჩვენ წელთაღრიცხვამდე ბერძენმა მოგზაურმა სტრაბონმა კოლხეთი დასურათა, როგორც ყოველმხრივ განვითარებული, მაღალი კულტურის ქვეყანა-წალკოტი. მაგრამ, ჟამთა სიავის, უცხო ურდოთა შემოსევების შედეგად, აყვავებული მხარე გაერანდა, გაუკაცრიელდა, გაუვალ ჭაობად გადაიქცა... გავრცელდა მალარია და ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს მალარიისგან დაბეჩავებული, დაუძლურებული ადამიანი, მისთვის ძნელი წარმოსადგენია ამ ულმობელი სენით დაავადებულთა სიდუხჭირე და სასოწარკვეთილება.

კოლხეთის ჭაობების დაშრობაზე, იქაურ მკვიდრთა მომავალზე ძველად არავის უზრუნვია, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფულების მოსვლისთანავე დაისვა საკითხი კოლხეთის დაბლობზე საძიებო-საპროექტო სამუშაოების დაწყების შესახებ. როგორც დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი ა. ყამარაული გადმოგვცემს, 1927 წლისათვის კოლხეთში საძიებო-საპროექტო სამუშაოები უკვე შესრულებული იყო რამდენიმე ასეულ ათას ჰექტარ ფართობზე. გარდა ამისა, 1922 წლის დიდი წყალდიდობის შემდეგ, პირველი რიგის სამუშაოდ მიიჩნიეს ქალაქ ფოთის ტერიტორიის დაცვა წყალდიდობისგან. ამ მიზნით, 1925 წელს დაიწყო მდინარე კაპარჭინაზე დამცავი დამბის კეთება. ორი წლის განმავლობაში გაკეთდა 7,5 კმ. სიგრძის მიწის დამბა; ცხენის საზიდარი

ურიკით და ურმებით შესრულდა 43,8 ათასი კბმ მოცულობის მიწის სამუშაო.

კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოები ფაქტობრივად 1924 წელს დაიწყო. პირველად ბარი დაჰკრეს ფოთის შემოგარენში - კოლმატაციის უბანზე, რომლის პროექტიც ცნობილ ინჟინერს პეტრე მამრაძეს ეკუთვნოდა. კოლხეთის ჭაობების დაშრობის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ მომზადდა პირობები სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად და 1932 წლის 4 იანვარს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „კოლხიდის დაბლობის სამშენებლო სამმართველოს (კოლხიდმშენის) დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ". ხოლო იმავე წლის 4 თებერვალს დამტკიცდა „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კოლხეთის* დაშრობისა და სამეურნეო გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტის დებულება".

კოლხეთის ჭაობების დაშრობისა და მისი გამოყენების დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებდა, რომ საკავშირო მთავრობის 1932 წლის 4 მაისის დადგენილებით, „კოლხიდმშენი" გამოიყო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოდან და სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაექვემდებარა.

დღიდან „კოლხიდმშენის" ჩამოყალიბებისა, დიდი მასშტაბით გაიშალა სამშენებლო სამუშაოები და უკვე 1935 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო დარგს გადაეცა 16,350 ჰექტარი სრულფასოვანი სავარგული. ამავე პერიოდში დაიწყო მდინარე რიონის გადაგდებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები ფოთიდან მეშვიდე კილომეტრზე.

ჩაის მეურნეობისა და ციტრუსოვანი კულტურების განვითარების შესახებ საკავშირო მთავრობის დადგენილებით, 1940-1944

---

* დიდ სამამულო ომამდე კოლხეთი კოლხიდად იხსენიებოდა, ამიტომ ძველი დროის სახელმწიფო დოკუმენტებში „კოლხიდა" - ეს სახელი უცვლელად მაქვს მოხსენებული.

წლებში გათვალისწინებული იყო 18350 ჰექტარი ფართობის დაშრობა-გაკულტურება და მისი გადაცემა ტექნიკური კულტურების გასაშენებლად. სამუშაოების შესრულება დაგეგმილი იყო სეფიეთ-ვედიდკარის, წყემის, გეჯეთის, სიდა-ნაბაკევის მასივებზე და კახაბერის ველზე - აჭარაში.

გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის ყველა პირობა შეიქმნა, მაგრამ სამამულო ომის დაწყებამ აქაც შეწყვიტა ყოველგვარი სამშენებლო სამუშაო.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კი კოლხეთის დაბლობზე გრანდიოზული სამუშაოები გაჩაღდა ჭაობების დასაშრობად, ციტრუსების ახალი მეურნეობების, ახალი სოფლების გასაშენებლად.

ისტორიული კოლხეთის აღორძინებისათვის ფართოდ გაშლილ მშენებლობას წარმატებით უძღვებოდნენ დარგის მაღალკვალიფიციური ამაგდარი სპეციალისტები; გრიგოლ გეგეჭკორი, ემელიანე ნოდია, ილია ლაღიძე, ანდრო გაბუნია, ლევან კიკნაძე, ბონდო კვატაშიძე, ბორის ინასარიძე, ამირან გაწერელია, კარლო ბულია.

* * *

დრო მიდიოდა... სამელიორაციო სამუშაოები მთელ რესპუბლიკას მოედო. სახალხო კომისარი გრიგოლ ზამბახიძე, როგორც ნიჭიერი ინჟინერ-ორგანიზატორი, ზემდგომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დააწინაურეს. მის ნაცვლად სახალხო კომისრად დაინიშნა კოლხიდმშენის ყოფილი უფროსი, ფოთელი ილია ლაღიძე. 1946 წელს სსრ კავშირში სახალხო კომისარიატები სამინისტროებად გადაკეთდა და ახლა წყალთა მეურნეობის პირველი მინისტრი ბატონი ილია ლაღიძე გახდა. იგი თორმეტ წელიწადზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ამ კეთილშობილურ საქმიანობას და ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება დააგვირგვინა წარმატებით.

ბატონ ილიას მოღვაწეობის პერიოდში ექსპლუატაციაში გადაეცა სალთვისის, მუხრანის, სკრა-ქარელის, ზემო სამგორის, აგრეთვე, სხვა ნაკლები სიმძლავრის სარწყავი სისტემები, უამრავი ქარხანა და დამხმარე საწარმოები. 1944 წლიდან სარწყავი მიწების ფონდი ათი წლის განმავლობაში 68,8 ათასი ჰექტარით გაიზარდა.

დიდი სამამულო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა საქართველოს შეემატა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარე ძირძველი ქართული მიწა-წყალი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულებით, რუსეთის რსფსრ ტერიტორიის ნაწილი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე საქართველოს რესპუბლიკას დაუბრუნდა. ამ კუთხის მოსახლეები: ყარაჩაელები, ინგუშები და სხვა რჯულიან-ურჯულოები შუა აზიის მხარეს გადაასახლეს.

დაბრუნებულ ტერიტორიაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1944 წლის 8 იანვრისა და 21 მარტის ბრძანებულებებით, შეიქმნა ორი ადმინისტრაციული რაიონი: ქლუხორისა და ახალი ხევის. ორივე რაიონში ჩაასახლეს მომიჯნავე რაიონების მცირე მიწიანი ქართული ოჯახები.

ქლუხორის რაიონში სარწყავი მიწები არც ისე ბევრი ჰქონდათ, სულ 1200 ჰექტარამდე ტერიტორია ირწყვებოდა პრიმიტული არხებით. მიუხედავად ამისა, წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ იქ შეიქმნა ქლუხორის წყალთა რაიონი. სამმართველოს უფროსად დაინიშნა ახალგაზრდა სპეციალისტი, თბილისელი ერასტი ჩიმაკაძე.

კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე ქართული სოფლები კარგად დამკვიდრდნენ, მალე მომძლავრდნენ, მაგრამ იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ სსრკ უმაღლესმა საბჭომ გააუქმა თავისი, 1943 წლის დადგენილება და ქლუხორისა და ახალხევის ქართველი მოსახლეობა იძულებული გახდა თავიანთ ძველ კერას დაბრუნებოდა.

ორმოცდაათიანი წლების მიწურულს წყალთა მეურნეობის დარგში მნიშვნელოვანი სიახლეები დაინერგა, რომლებიც სარ-

წყავ მიწათმოქმედებაში ძირფესვიან გარდაქმნებს ითვალისწინებდა. ეს იყო 1950 წელს, როდესაც საკავშირო მთავრობის დადგენილებით, სარწყავ მიწათმოქმედებაში შემოიღეს „მორწყვის ახალი სისტემა". მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სარწყავ მიწებზე არსებული წვრილი გლეხური მეურნეობის დროინდელი მუდმივი შიდასამეურნეო არხები, რომლებიც ძალზე უშლიდნენ ხელს მრავალმინდვრიანი თესლბრუნვის განვითარებას, - უქმდებოდა და მათ ნაცვლად უნდა მოწყობილიყო ახალი სარწყავი ქსელი, მორწყვის ახალი სქემების შესაბამისად, რომლის საფუძველს წარმოადგენდა მეცნიერებაზე დაყრდნობით დასაბუთებული მორწყვის ახალი წესები.

„მორწყვის ახალმა სისტემამ" განსაკუთრებული დადებითი შედეგი მისცა ისეთ მეურნეობებს, სადაც ათი ათასობით ჰექტარი ბამბის პლანტაციები ირწყვებოდა ვრცელ, თვალუწვდენელ ფართობებზე.

მართალია, საქართველოში ასეთი გრანდიოზული სარწყავი სისტემები და მინდვრები არ გვქონდა, მაგრამ „მორწყვის ახალ სისტემაზე" გადასვლის ღონისძიებები მაინც ჩატარდა: შეადგინეს პროექტები „საქწყალპროექტში", გადამზადდა ინჟინერ-ტექნიკოსთა და მრწყველთა კადრები.

1956 წელს საქართველოს „წყალთა მეურნეობის" სამინისტროში ხელმძღვანელობა შეიცვალა. მინისტრად დაინიშნა გამოცდილი ინჟინერი-ორგანიზატორი ბატონი გ. ქობულია.

ბატონი გიორგი ორი ათეული წელიწადი უნარიანად ხელმძღვანელობდა ფართო მასშტაბურ წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობას და მოქმედი სამელიორაციო სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციას. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის დარგის წარმატებებში.

როგორც ცნობილია, 1964 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად ლეონიდ ბრეჟნევი დაინიშნა, რომელმაც მოსვლისთანავე მთავრობაში ბევრი საკადრო ცვლილება მოახდინა. სწორედ მაშინ გაათავისუფლეს თანამდებო-

ბიდან სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს („გლავვოდხოზის“) უფროსი კ. შუბლაძე (იგი შუაზიელი იყო და მხოლოდ გვარი ჰქონდა ქართული). მის ნაცვლად კი, დაინიშნა ვინმე ე. ალექსეევსკი (როგორც ამბობდნენ, იგი ბატონი ლეონიდის მეგობარი იყო).

..ულ მალე, 1965 წლის დასაწყისში წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სსრკ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მინისტრ ე. ალექსეევსკის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ ახლად შექმნილი სამინისტროს დებულებაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა „გლავვოდხოზის“ დებულებისგან. სამელიორაციო სისტემების დაპროექტება-მშენებლობისა და ტექნიკური ექსპლუატაციის გარდა, ახალი დებულებით სამინისტროს ევალებოდა ახალ მელიორირებულ მიწებზე აგრო-სამელიორაციო და კულტ-ტექნიკური სამუშაოების განხორციელება, მასზე სახელმწიფო მეურნეობების ჩამოყალიბება და მათი სათანადოდ მომძლავრების შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემა. ალბათ, ამ ახალი ფუნქციების გამო, ძველ სახელწოდებას მიემატა სიტყვა „მელიორაცია“ და გახდა „მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო“.

საქართველოს პირობებში მშენებარე სარწყავ სისტემებზე ახალი სახელმწიფო მეურნეობების შექმნის საჭიროება არ იყო, რადგან ახალ სარწყავ მიწებზე ისინი უკვე ფუნქციონირებდნენ. რაც შეეხება დამშრობი სისტემების მშენებლობას, აქ კომპლექსურ პროექტში შედიოდა ყველა სახის კულტ-ტექნიკური და აგრომელიორაციულ ღონისძიებათა შესრულება და სახელმწიფო მეურნეობების ჩამოყალიბება. ტრესტ „კოლხეთმშენის“ მიერ, პროექტის შესაბამისად, დაშრობილ მიწებზე სულ 3 სახელმწიფო მეურნეობა შეიქმნა: ერთი აფხაზეთში - გალის რაიონში და ორი ხობის რაიონში, რომლებიც შემდეგ, როგორც წესი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა.

ამავე პერიოდში მიიღეს საკავშირო მთავრობის დადგენილება სამელიორაციო სისტემების შიდა სამეურნეო ქსელის (მოქ-

მეჯი და ახალი, მშენებლობა დამთავრებული) კოლმეურნეობებზე და სახელმწიფო მეურნეობებისათვის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის შესახებ. ამ დადგენილების სისწორე, მასზე დადებითი ან უარყოფითი შეფასების მიცემა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ახალ მეპატრონეთა მიერ არაკვალიფიციური მოვლა-შენახვის გამო შიდასამეურნეო სამელიორაციო ქსელის უდიდესი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა და გაპარტახდა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სამელიორაციო სისტემების ნორმალურ მუშაობაზე. ეს ფაქტია.

ოთხმოციან წლებში, სსრკ სოფლის მეურნეობის საძინისტროს მიერ ერთი, საკმაოდ გახმაურებული ღონისძიების გატარება დაიგეგმა. ეს შეეხებოდა სოფლის მეურნეობაში „კულტურული საძოვრების“ შექმნას. იდეა „კულტურული საძოვრების“ შექმნის შესახებ, თუ არ ვცდები, პირველად ბალტიისპირეთიდან წამოვიდა. ის ძირითადად ითვალისწინებდა მდელო-საძოვრების ტერიტორიის რამდენიმე უჯრედად (თარგებად) დაყოფას და თითოეული ნაწილის მავთულბადეებით შემოღობვას, რის შემდეგ საქონლის ჯოგის ძოვება უნდა წარმოებულიყო ჯერ პირველ უჯრედში, შემდეგ მეორეში და ა.შ. უკვე გაძოვებულ ფართობებზე კი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება - დაწვიმებითი მორწყვის ჩათვლით, ხელს შეუწყობდა ბალახის ზრდას და ვიდრე ბოლო უჯრედს მოძოვდა საქონელი, მანამდე პირველ უჯრედში ბალახი აბიბინდებოდა. ძოვების ასეთი ციკლი ისე იყო გაანგარიშებული, რომ საქონლის ჯოგი მთელი ვეგეტაციის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებოდა მწვანე საკვებით.

ზომიერი ჰავის ზონაში, სადაც ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები ხელს უწყობს ბალახოვანთა ზრდა-განვითარებას, კულტურული საძოვრების იდეის განხორციელება მიზანს მიაღწევდა, მაგრამ ცხელი ჰავის ზონაში, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, კულტურული საძოვრების მოწყობა არაეფექტური გამოდგა და არც შეიძლებოდა სასურველი შედეგი გამოეღო.

საკავშირო სამინისტროს დავალებით, საქართველოში კულ-ტურული საძოვრების მოწყობა 2000 ჰექტარზე იყო დაგეგ-მილი. „საქწყალპროექტში შედგენილი პროექტებით ქვემო ქართლის რაიონებში, სადაც ყველაზე მეტი სიცხე და გვალ-ვა იცის, სამშენებლო სამუშაოები გაიშალა: შეიტანეს „კი-50“ ტიპის დასაწვიმებელი აგრეგატების ათეულობით კომპლექტი - ალუმინის მსუბუქი მილებითა და არმატურით.

1987 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, კულტურული სა-ძოვრები მოწყობილი იყო მხოლოდ 655 ჰექტარზე. გეგმა ვერ შესრულდა, რადგან იდეა იდეად დარჩა, პრაქტიკული შედეგი კი მის „დანერგვას“ არ მოჰყოლია: დიდი სიცხეების დროს, ტრიალ მინდორზე აშენებულ საჩრდილობელ ფარდულებშიც კი ვერ შეაკავეს დამშეული საქონლის ჯოგი, ვერც ნათესმა ბალახმა მოასწრო ზრდა-განვითარება უკვე გადაძოვილ ფარ-თობებზე. აშკარა გახდა, რომ ეს იდეა აღმოსავლეთ საქარ-თველოში უპერსპექტივო იყო... დიდძალი დაწვიმებითი სარწყავ სისტემათა მოწყობილობები - ალუმინის მილები, მავთულ-ბადეები, რკინა-ბეტონის ბოძები და სხვა სამშენებლო მასალა უგზო-უკვლოდ განიავდა. ამგვარად, ეს იმ დროს მეტად გახ-მაურებული „იდეა“, ჩვენში განუხორციელებელი დარჩა.

1975 წელს აღმოსავლეთ საქართველოში უჩვეულო გვალ-ვა იდგა (თუმცა არა ისეთი, როგორც 2000 წელს იყო) და ვენახების გადასარჩენად კახეთში მრავალი ღონისძიება გატარ-და. შემდგომში კი, სარწყავი ფართობების წყლით უზრუნველ-საყოფად, მცირე კაპიტალური დანახარჯებით, 1976-1980 წლებში ტიტულით - „მცირე მელიორაცია“, მრავალი ახალი ობიექტი აშენდა. 16487 ჰექტარი ფართობი წყლით უზრუნ-ველყვეს, აქედან 8974 ჰექტრის მოსარწყავად მოეწყო ტბორე-ბი (მცირე მოცულობის წყალსაცავები), დანარჩენ ფართობებს წყალი მიეწოდებოდა სატუმბი სადგურებით.

„მცირე მელიორაციის“ განხორციელება დროული და ეფე-ქტური გამოდგა. თუმცა, სიმართლე გულღიად უნდა ითქვას

- ზოგიერთი „მცირე მელიორაციის“ ობიექტის აგება წყლის რესურსების სიმცირის გამო როდი წარმოებდა, არამედ, წყლის გამოუყენებლობით, გეგმური წყალსარგებლობის გაუტარებლობის გამო.

დასანანია, რომ „მცირე მელიორაციით“ აგებული სატუმბი სადგურების უმრავლესობა, ცნობილი მოვლენების შემდეგ, გაძარცული და უმოქმედოა, გაწეული ამაგი კი წყალშია გადაყრილი.

* * *

მთავრობის დადგენილებით, 1976 წელს, საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გამოეყო მშენებლობა და შეიქმნა „სამელიორაციო მშენებლობათა მთავარი სამმართველო“, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა სსრკ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს. მთავარი სამმართველოს პირველ უფროსად დაინიშნა ანზორ მუსერიძე, დარგის დიდი ამაგდარი, გამოცდილი ინჟინერი და ორგანიზატორი.

ძლიერ სამშენებლო ორგანიზაციას წარმოადგენდა გაერთიანება „საქმთავარწყალმშენი“, მის დაქვემდებარებაში შედიოდა შვიდი დიდი ტრესტი: „წყალმშენი“ (მმართველი შალვა გიორგაძე), „ალაზანმშენი“ (მმართველი მიშა ცისკარიშვილი). „კოლხეთმშენი“ (მმართველი ბორის ინასარიძე), „მტკვარმშენი“ (მმართველი ნუგზარ იმნაძე), „იორწყალმშენი“ (მმართველი გიორგი ქემოკლიძე), „წყალმშენმასალები“ (მმართველი ნოდარ ხომერიკი), „ორგწყალმშენი“ (მმართველი ალაექსანდრე კალანდაძე).

ამ უზარმაზარი გაერთიანების გამგებლობასი იმყოფებოდა: 48 სამშენებლო სამმართველო, რკინა-ბეტონის და მექანიკური ქარხნები, სხვა დამხმარე საწარმოები.

1977 წელს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრად დააწინაურეს ბატონი გივი გადელია, რომელსაც წილად

ხვდა ძირითადად სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციისა და მათი რეკონსტრუქციის ღონისძიებათა ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელობით 1983 წლამდე საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო მძლავრ მონოლითურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც ალმავლობის გზაზე იდგა და ესოდენ პრიორიტეტული დარგის განვითარებისათვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. მაგრამ რითმულად აწყობილი საქმიანობა მალე დაირღვა სოფლის მეურნეობაში ექსპერიმენტის სახით ჩატარებული დიდი რეორგანიზაციის გამო.

1983 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაცვლად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი ბატონ გურამ მგელაძის თავმჯდომარეობით.

„რეორგანიზაცია“ მეტად გამჭოლი სიტყვაა და ნიშნავს ყველაფრის გარდაქმნას, სტრუქტურის შეცვლას, გადაკეთებას და არა არევ-დარევას, აურზაურს; სწორედ ამ სიტყვის მეორე, უარყოფითი მნიშვნელობით ჩატარდა სოფლის მეურნეობის სისტემაში ეს მორიგი დიდი „ღონისძიებაც“. ქვემოთ მე მხოლოდ წყალთა მეურნეობის დარგის ფერისცვალებას შევეხები.

ძალიან გულდასაწყვეტი იყო ჩვენი, მკვიდრად ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემის ასე უცაბედად დაშლა და დაქვეითება.

გაუქმდა რა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მის ნაცვლად შეიქმნა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის მთავარი სამმართველო. მინისტრი ბატონი გივი გადელია დაინიშნა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ წყალთა მეურნეობის დარგში, ხოლო მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი ჯიმშერ ქაჯაია - მთავარი სამმართველოს უფროსად.

რეორგანიზაცია რაიონებშიც ჩატარდა, რის შედეგადაც მსხვილი სარაიონთაშორისო საინჟინრო სარწყავი სისტემები ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით დანაწევრდა. იქაც კი,

სადაც სარწყავი და დაშრობილი მიწები ძალზე მცირე რაოდენობით იყო, შეიქმნა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოები, მაშინ ასეთი სამმართველოების საერთო რაოდენობამ 50-ს გადააჭარბა.

ამრიგად, ყოფილი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა ჯერ მთავარმა სამმართველომ გააგრძელა, შემდეგ კი რესპუბლიკურმა საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციამ", რომლის უფროსი იყო დამსახურებული ინჟინერი, დარგის დიდი ამაგდარი, ბატონი ჯიმშერ ქაჯაია.

1991 წელს „საქწყალექსპლუატაციას" შეეცვალა სახელწოდება და ხელმძღვანელობაც. მას დაერქვა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალმეურნეობა", მისი უფროსები იყვნენ: ჯერ ბატონი გ. ქვათაძე (1991-1992), შემდეგ ბატონი ო. შალამბერიძე (1992-1995).

1991 წელს გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი და შეიქმნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

1994 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა ბატონ ბაკურ გულუას მეთაურობით და დაიწყო ახალი რეფორმები, უცხოური პროექტების განხორციელება.

1995 წელს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქწყალმეურნეობაშიც" შეიცვალა ხელმძღვანელობა. უფროსად დაინიშნა ბატონი თენგიზ ჩიკვაიძე, რომელიც მანამდე სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე გახლდათ.

მალე, 1996 წ. რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალმეურნეობა" გარდაიქმნა დეპარტამენტად - სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

დეპარტამენტის კოლექტივის წინაშე თავიდანვე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები იყო დასახული, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო წინა პერიოდის სოციალისტურ პრობლემებთან.

უპირველესად, მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კანონის შედგენა „მიწების მელიორაციის შესახებ“, ეს ამოცანა მოკლე დროში წარმატებით გადაწყდა და როგორც იტყვიან, მასში ლომის წილი დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიუძღვის.

ასეთი სპეციალური კანონი საკუთრად წყალთა მეურნეობისათვის მანამდე არ გვქონდა. ჩემი და ჩემზე უფროსი თაობაც კი შენატროდა ასეთი კანონის არსებობას. მაშინ გაგვაჩნდა მხოლოდ სსრკ სოფლის მეურნეობისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების მიერ დამტკიცებული „სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები“, რომელსაც თითქოს კანონის ძალა უნდა ჰქონოდა, მაგრამ სინამდვილეში მისი ქმედება და კანონიერება ჩვენი უწყების ფარგლებს არ სცილდებოდა...

ერთდროულად მიიღეს, აგრეთვე, მეტად საჭირო კანონი „წყლის შესახებ“, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ იყო მომზადებული.

ამ კანონების მიღება უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. თუმცა კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“ უნაკლო არ არის, მაგრამ, რაც მთავარია, არსებობს კანონი, რომელშიც შესწორებისა და სათანადო ცვლილებების შეტანა ყოველთვის იქნება შესაძლებელი - საჭიროების მიხედვით.

არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც წყალთა მეურნეობის სრულყოფილი კანონი სრული ძალით ამოქმედდება.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა ეხება წყალთა მეურნეობაში გასატარებელ ეკონომიკურ რეფორმებს. პირველ ეტაპზე ამ მხრივ მოსაგვარებელია სამელიორაციო სისტემების სამმართველოების და მელიორირებული მიწების მფლობელთა შორის ურთიერთობის საკითხი. ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მოითხოვს სამელიორაციო სისტემების თვითდაფინანსებაზე გადაყვანას. ამ მიზნით, 1997 წელს, საქარ-

თველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ქვემო ქართლში, ექსპერიმენტის(!) სახით (კვლავ კომუნისტური წყობის დროინდელი „ექსპერიმენტები“) შემოიღეს სამელიორაციო მომსახურებასა და მიწოდებულ სარწყავ წყალზე საფასურის გადახდა; რაიონებში ჩამოყალიბდა „სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივები“. მათ საწესდებო ვალდებულებას წარმოადგენდა: სისტემიდან სარწყავი წყლის მიღება, მისი განაწილება კოოპერატივის წევრთა შორის, მომსხაურების საფასურის ამოღება და სახელმწიფოსათვის გადახდა. ყოველივე იმან, რაც ქაღალდზე (ხელშეკრულებაში) კარგად იყო ჩამოყალიბებული, სამწუხაროდ, რეალობაში ვერ გაამრთლა ის იმედები, რომელსაც მოელოდნენ... მიზეზი კოოპერატივების ნაჩქარევად და მოუმზადებლად ჩამოყალიბება იყო, რასაც სოფლად გამეფებული განუკითხაობა და სიდუხჭირეც ემატებოდა.

ექსპერიმენტის პირველმა ეტაპმა ორი წლის განმავლობაში წარუმატებლად ჩაიარა, მაგრამ კვალი მაინც დატოვა: გამოჩნდა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. „ექსპერიმენტის“ შედეგებს მავანი დადებითად აფასებდა, რაც სწორი არ იყო და აი, რატომ: სამელიორაციო კოოპერატივები ჩამოყალიბდა „ზემოდან“ და არა წყალმომხმარებელთა ინიციატივით, რომლებიც ჯეროვნად არ იყვნენ გათვითცნობიერებული კოოპერატივის არსში; ხელმძღვანელობაში უმეტესად შემთხვევითი, არაკეთილსინდისიერი პირები იქნენ „არჩეული“ და შედეგმაც არ დააყოვნა! ეს არის: მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობა, ამოღებული (აღურიცხავი) თანხის უმეტესი ნაწილის მითვისება, განუკითხაობა.

წყალთა მეურნეობის დარგში რეფორმის დაწყების დროს უფროსი თაობის გამოცდილება რომ გაეზიარებინათ, შეიძლება უკეთესი შედეგით დამთავრებულიყო პირველი ეტაპი. ცნობილია, რომ 1921-1930 წლებში ჩვენში 80-ზე მეტი „მელიორაციული ამხანაგობა“ იყო ჩამოყალიბებული და ისინი დიდ

საშვილიშვილო საქმეებს აკეთებდენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მაშინ ასეთი ამხანაგობების ჩამოყალიბება გლეხების მოთხოვნით, მათი ინიციატივით ხდებოდა. წესდებაც უფრო სრულყოფილი ჰქონდათ. აი, ერთი ამონაწერი იმ წესდებიდან, რომელიც დღესაც მართებულად მიმაჩნია: „თუ წყლის ან მიწის მოსარგებლე, რომელსაც სარგებლობა აქვს ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოქმედებით, თავს აარიდებს ამხანაგობის საერთო-სასარგებლო მოქმედებაში მონაწილეობას, იგი იძულებით ჩაირიცხება მის მუშაობაში“. წესდებაში ხაზგასმით არ იყო აღნიშნული, მაგრამ გასაგებად არის მინიშნებული, რომ „სამელიორაციო ამხანაგობის“ წევრობა ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს, ვინც სამელიორაციო სისტემების სიკეთით სარგებლობს. ნუ შეგვეშინდება საკითხის ასე მკვეთრად დასმისა, ამით დემოკრატიულობის პრინციპი არ ირღვევა. თანამედროვე სამელიორაციო ამხანაგობის (ასოციაციის) წესდებაში ხაზგასმულია, რომ ასოციაციის არაწევრი სარწყავ წყალს მიიღებს ბოლოს - ასოციაციის წევრების შემდეგ და თან ორმაგ საფასურს გადაიხდისო... ვერ წარმოიდგენია, როგორ ვერ მიიღებს წყალს ასოციაციის არაწევრი, რომლის ნაკვეთი მდებარეობს ვთქვათ, ასოციაციის წევრთა ნაკვეთების შუაში ან თუ გნებავთ, მათ გვერდით - როდესაც მისი ნაკვეთის ირგვლივ რწყავენ?! განა ვისიმე ფართობს მოურწყავს დატოვებენ?! ცნობილია, წყლის ირგვლივ ამტყდარი დავა ზოგჯერ უმსხვერპლოდ არ მთავრდება, ამისი მაგალითი აღმოსავლეთ საქართველოში ხომ უამრავია. აჯობებდა წესდებაში თავიდანვე ჩაწერილიყო, რომ სამელიორაციო ამხანაგობაში (ასოციაციაში) მელიორირებული მიწის მფლობელების გაერთიანება აუცილებელი და სავალდებულოა. ვინ წავიდოდა ამის წინააღმდეგი? ალბათ ის, ვინც სარწყავი მიწათმოქმედების სიკეთეს არ აფასებს!

მართალია, ეს საკითხი წესდების მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო პრობლემაა, მაგრამ არსებობს უფრო მეტად მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო გარემოება. ახალ წესდებაში სრულიად არ არის ნახსენები ახალბედა ასოციაციის მატერიალური ბაზა. ბუნებრივია, ეს არ ეხება მსოფლიო ბანკის ხაზით ჩამოყალიბებულ ასოციაციებს. იქ ამ მხრივ საკმაო დაფინანსებაა გათვალისწინებული. ეს შეეხება იმ ასოციაციებს, რომლებიც ყველგან იქმნება მელიორირებულ მიწებზე ეროვნული პროგრამის ხაზით. მათ ხომ საქმიანობის დასაწყისშივე არავითარი საარსებო წყარო არ გააჩნიათ სამოქმედოდ და როგორ, რის საშუალებით უნდა წარმართონ თავიანთი საქმიანობა, თუ გნებავთ, პირველ ორ წელიწადს მაინც? ამ საკითხს საფუძვლიანი განსჯა ესაჭიროება.

თუ ოცდაათიანი წლების სამელიორაციო ამხანაგობების წესდებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ იქ მის შემდგენლებს გაუთვალისწინებიათ ამხანაგობის ფუნქციონირების მატერიალური ბაზის შექმნის საკითხი. ეს იყო:

1. სახელმწიფო ფონდი;
2. საექსპლუატაციო ხარჯები.

არ გავაანალიზეთ და არ გავიზიარეთ რა ძველი თაობის ნამოღვაწარი, არასასურველ შედეგებსაც ვიმკით. ახალი წესდების ავტორები, ევროპული წესდების ნიმუშზე დაყრდნობით, ისეთი წესდების პროექტს სთავაზობენ ხელცარიელ ასოციაციებს, რომ ისინი, ალბათ, ვერასოდეს წელში ვერ გაიმართებიან. ისეთ რთულ დარგს, როგორიც სამელიორაციო სისტემების (შიდასამეურნეოსი) ექსპლუატაციაა, მარტო ენთუზიაზმის იმედით ვერ წარმართავ, ვერ მოუვლი და ვერ შეინახავ!

რადგან სიტყვა „ასოციაციას“ ხშირად ვახსენებ, თქვენი თანხმობით ცოტა ხნით თემას გადაუხვევ და ერთ მტკივნეულ საკითხზე ჩემს გულისწყრომას გაგიზიარებთ, ეს ეხება ქართული ენის უმოწყალოდ დაკნინებას, რაზედაც ზემოთაც მოგახსენეთ...

უცხო, არაფრისმთქმელი სიტყვებით აჭრელებულ გაზეთებსა და ფირნიშებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბოლო დროს ოფიციალურ, სახელმწიფო დოკუმენტებში, კანონებშიც კი ღვარად წამოსულმა უცხო სიტყვებმა ლამის წალეკოს ქართული ენა. სამწუხაროდ, ვერც წყალთა მეურნეობის დარგი ასცდა ასეთ უკულმართობას და ყოველივე უცხოურის თაყვანისმცემლებმა უცხო სიტყვათა კორიანტელი დააყენეს ჩვენთანაც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ძნელად გამოსათქმელი, ენის გასატეხი და ძნელად დასამახსოვრებელიც კია. ვის სჭირდება ეს?!

საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც მელიორირებული მიწები აქვთ, გაიგონებთ სიტყვა „ასოციაციას", აბა, დააკვირდით, რომელი სიტყვა უფრო ჟღერს ქართულად: „მრწყველთა კავშირი" ან „მელიორაციული ამხანაგობა", თუ „სამელიორაციო ასოციაცია"?!

სხვათა შორის, კანონში „მიწების მელიორაციის შესახებ" განმარტებულია, რომ „ასოციაცია" ნიშნავს კავშირს, გაერთიანებას. მაშ, თუ შესატყვისი სიტყვა გვაქვს, ვინ გვაიძულებს მაინცდამაინც „ასოციაცია" დავარქვათ? ზეწოლას ხომ არ აქვს ადგილი?.. არა მგონია, აქ, ალბათ, ზოგიერთების თავნებობა უფროა, რასაც თქვენ, რაც გინდათ ის უწოდეთ, მე კი მეტიჩრობას დავარქმევდი.

სხვა, ყურით მოთრეული უცხოური სიტყვების ჩამოთვლით არ შეგაწუხებთ, ის არც ისე ცოტაა. იმათ კი, ვისაც ეს ეხება, მოვუწოდებ, დაიცვან ქართული ენის სიწმინდე, დაანებონ თავი უცხო სტუმართა მაამებლობას! დღევანდელი ლუკმაპურის სანაცვლოდ ღირსებას ნუ წავართმევთ ქართულ დედაენას, დედასამშობლოს... ჩაფიქრება გვმართებს, გონს მოვეგოთ... მომავალი თაობა არ გვაპატიებს ასეთ უპასუხისმგებლობას.

ზემოთ ნათქვამმა ცოტათი გული მომიოხა, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. ერთხმად, ხმამაღლა უნდა ითქვას სათქმელი.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას. ცოტა ხნით მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება სარწყავი სისტემების მოწყობის საკითხზე. ისმება კითხვა: ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე, დამკვიდრებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის ნაცვლად მიწის კერძო მესაკუთრეობა რომ გაბატონდა, როგორ სახეს მიიღებს სარწყავი მიწათმოქმედება? როგორ შეეწყობა ის მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შემოღებულ „მორწყვის ახალ სისტემას", რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენში? დღევანდელ ეტაპზე ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ნაადრევია, რადგან ჯერჯერობით სარწყავ მიწათმოქმედებაში და საერთოდ, სოფლის მეურნეობაში რეფორმები არ დასრულებულა, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ ისევ ალალბედობაზეა დამოკიდებული. სარწყავ მიწათმოქმედებაში შექმნილი ქაოსური სიტუაციის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის შემუშავებული „მორწყვის ახალი სისტემა" უარსაყოფი არ არის, პირიქით, გონივრულად უნდა გამოვიყენოთ იგი. როგორც სარწყავი, ისე დამშრობი სისტემების შიდასამეურნეო ქსელს უნდა შეუთავსდეს მიწათმფლობელთა ნაკვეთების კონტურები. სამელიორაციო „ასოციაციების" ჩამოყალიბებაც ამ სქემით უნდა წარმოებდეს. კანონში „მიწების მელიორაციის შესახებ", შეტანილი ცვლილებები ხელს შეუწყობს სარწყავი და დამშრობი სისტემების ეფექტურად გამოყენებას. თუმცა, ერთ-ერთი მუხლის შესწორება, რომელიც ასოციაციებისათვის სამელიორაციო სისტემების ჰიდროტექნიკური ერთეულების გადაცემას ითვალისწინებს - ცოტათი წინ უსწრებს მოვლენებს და ნაადრევი მიაჩნიათ დარგის სპეციალისტებს.

საინჟინრო სარწყავი სისტემების მთავარი შემადგენელი ნაწილის, მეორე რიგის გამანაწილებლებისა და დამშრობი სისტემის მარეგულირებელი არხების (კოლექტორების) ასოციაციებისათვის

უსასყიდლოდ გადაცემა, რაც მსგავსია სამოცდაათიან წლებში მიღებული მთავრობის დადგენილებისა, რომლის ძალითაც შიდასამეურნეო ქსელი კოლმეურნეობებს გადაეცათ, ნაჩქარევია და სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. რატომ? ადვილი მისახვედრია: ახალდაფუძნებულმა ასოციაციამ, რეგისტრაციის გავლიდან ათი დღის განმავლობაში სარწყავი ან დამშრობი სისტემის სამმართველოდან უნდა ჩაიბაროს ჰიდროტექნიკური ერთეული: რკინაბეტონის ფილებით მოპირკეთებული ან ღარული, დახურული ან ღია მიწის არხები, ნაგებობებით. კი ბატონო, ჩაიბაროს, მაგრამ შემდეგ მისი მოვლა, შენახვა როგორ უნდა შესძლოს ახალბედა ორგანიზაციამ (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რომელსაც არცერთი თეთრი არ გააჩნია? რა სახსრებით შეაკეთოს არხები, ნაგებობები? გულახდილად რომ ვთქვათ, კარგად ორგანიზებული სარწყავი სისტემების სამმართველოებსაც ფულადი სახსრების უქონლობის გამო უძნელდებათ არხების დროულად შეკეთება და აღდგენა... მაშ, რა მოელის წლების განმავლობაში ნაშენებ და ნალოლიავებ არხებს, ინჟინრული გონებით შექმნილ სისტემებს?!... ამაზე ფიქრი, საჭირო იყო...

მომავლის იმედით გამსჭვალულს ღრმად მწამს, რომ გარდატეხა სოფლის მეურნეობაშიც მალე მოხდება, მისი ყველა დარგი აღორძინდება და მაშინ წყალთა მეურნეობის დარგსაც სხვა ელფერი დაედება, მისდამი დამოკიდებულება უფრო სალი, ყურადღებიანი გახდება, ისევ გაძლიერდება და აყვავდება ეს კეთილშობილური დარგი და თავის პატივსა და ღირსებას ისევ დაიბრუნებს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ სარწყავი მიწათმოქმედება თავისი სპეციფიკურობით გამოირჩევა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისგან; აქ, აგროტექნიკური და ჰიდრომელიორაციული ღონისძიებები მთლიან ჯაჭვად არის შეკრული და თუ ამ ჯაჭვის რომელიმე რგოლი გაწყდა (გამოვარდა), მაშინ ერთიანი ტექნოლოგიური ციკლი ირღვევა, რაც უარყოფით პროცესებს

გამოიწვევს ხოლმე. მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა მაშინ შეიქმნება, როდესაც მკვიდრად შეკრულ ჯაჭვს რამდენიმე რგოლი: მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციისა ერთდროულად მოწყდება. ასეთ შემთხვევაში სოფლის მეურნეობა კატასტროფული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, მას სწრაფი დეგრადაცია და მოშლა მოჰყვება, როგორც ეს უკვე მოხდა ახლახან, ბოლო ათწლეულში. იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობაში სრულიად ქაოსური მდგომარეობა იყო და თითქმის ყველა დარგი მოიშალა, წყალთა მეურნეობა გახლდათ ერთადერთი დარგი, მთლიანი ჯაჭვის ერთადერთი რგოლი, რომელმაც თავი გაართვა შექმნილ სიძნელეებს და რომელიც მეტად დაძაბულ ვითარებაში მაცოცხლებელ წყალს აწვდიდა ყანებსა და ზვრებს, მხარში ედგა მშრომელ გლეხობას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წყალთა მეურნეობის დარგის ღვაწლმოსილმა მუშაკებმა გმირულად გაიარეს ძნელბედობის, გაჭირვების ხიფათიანი გზა. ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდში, წინ ჯერ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა იქნება გადასალახი წამოწყებული ფართომასშტაბიანი რეფორმების სრულად განხორციელებამდე.

ალბათ, საერთო აზრს გამოვხატავ თუ ვიტყვი, რომ რეფორმები სოფლის მეურნეობაშიც ნაუცბადევად დაიწყო, რის გამოც მან სასურველი, სწორი განვითარება ვერ მოიპოვა. შედეგიც სავალალოა. დღემდე ვერა და ვერ აეწყო მიწათმოქმედების დარგების აღორძინების საქმე. თავი ვერ დავადგით საბაზრო ეკონომიკის დაფუძნებას, გლეხობას და ისედაც განუვითარებელ ფერმერულ მეურნეობებს მოწეული ჭირნახულის რეალიზაციის - მომხმარებლებამდე მიწოდების საშუალებაც არა აქვთ. სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხიც მოსაგვარებელია. სოფლის მეურნეობაში გაბატონებული ქაოსური მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს წყალთა მეურნეობის საქმი-

ანობაზეც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სარწყავ წყალს ჩვენში მატერიალურად ძლიერი, პოტენციური მომხმარებელი დღესდღეობით არ ჰყავს, რომელიც საიმედო პარტნიორობას გაუწევდა დარგს და მონაწილეობას მიიღებდა მის განვითარებაში. ასეთ მძიმე ვითარებაში ყოფნის პერიოდში მელიორაციის საკითხით დაინტერესდნენ უცხოელი ინვესტორები, რომლებიც გაეცნენ რა ჩვენს გასაჭირს, დახმარების ხელს გვიწვდიან და ჩვენთან ურთიერთობის სურვილს გამოთქვამენ.

ირიგაციისა და დრენაჟის (ასე ეწოდება ევროპასა და სხვა ქვეყნებშიც მორწყვისა და დაშრობის სისტემებს) სპეციალისტები პირველად რომ გვეწვივნენ, ალბათ, ფიქრობდნენ - აჰა, ესაა ჩამოვედით ერთ-ერთ ჩამორჩენილ-გაუნათლებელ ქვეყანაში, რომელიც დღემდე მსოფლიო რუქაზეც არ იხსენებოდა, სადაც სპეციალური განათლებისა და ტექნიკური კულტურის შეტანაც მოგვიხდებაო... მაგრამ, როცა კარგად გაეცნენ ჩვენს ტექნიკურ საქმიანობას, გაესაუბრნენ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებს, საკუთარი თვალით ნახეს ქართველ ჰიდროტექნიკოსთა მიერ შექმნილი არხები და ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სახტად დარჩნენ და მალე დარწმუნდნენ, რომ საქმე ექნებოდათ მაღალი დონის კვალიფიციურ სპეციალისტებთან, როგორც პროექტირების, ისე მშენებლობისა და ექსპლუატაციის დარგში.

მსოფლიო ბანკმა (მას ბევრ ქვეყანაში ალმაცერად უყურებენ და უნდობლობას უცხადებენ), რომელიც 5 წელიწადზე მეტხანს სწავლობდა(!) ჩვენში ირიგაციისა და დრენაჟის მდგომარეობას, ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ხელის გამართვა და გრძელვადიანი სესხი შემოგვთავაზა. პროექტი ითვალისწინებს სამელიორაციო სისტემების, ცალკეული ჰიდროტექნიკური ნაგებობების კაპიტალურ რემონტსა და აღდგენითი ღონისძიებების გატარებას. მათი მთავარი პირობაა ფულადი სახსრების დაბანდება ძირითადად კერძო სექტორში მოხდეს, ამიტომ წამოაყენეს

წინადადება: პირველ რიგში, ნაცვლად კოოპერატივებისა, ჩამოყალიბეთ სამელიორაციო ასოციაციებიო... ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს, ნათქვამია „სადაც წახვალ იქაური ქუდი დაიხურეო", ვფიქრობ, ამ ანდაზას ჯერ ყავლი არ გასვლია, მაგრამ უცხოელ სტუმრებისათვის ეს თურმე მიუღებელია, პირიქით, მოსულებმა „თავიანთი ქუდი" დაგვახურეს და თან გაგვაფრთხილეს - თუ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ პირობებს არ დაჰყაბულდებით, კარგად ბრძანდებოდეთო (ასეთი პრეტენზიული მოთხოვნები მათი დამახასიათებელი მეთოდი ყოფილა, საერთოდ).

დუხჭირ დროებაში სხვა გზა არ იყო და დავყევით სტუმართა ნებას... მათი „ქუდი დავიხურეთ"...

მორწყვით მელიორაციაში გეგმური წყალსარგებლობის დასანერგად, ხოლო დაშრობით მელიორაციაში ნიადაგის მაღალპროდუქტიულობის მისაღწევად სამელიორაციო ასოციაციების (კავშირების) ჩამოყალიბება რომ ნამდვილად გამართლებული ღონისძიებაა და საჭიროა, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი სათანადოდ მომზადებულ ნიადაგს მოითხოვს, რათა თამამად განვითარდეს. ცალკე, დამოუკიდებლად ასოციაციების ჩამოყალიბება სარწყავ მიწათმოქმედებას ვერ ააღორძინებს და არც მათ უწერიათ განვითარება. ამიტომ სოფლის მეურნეობაში ერთდროულად, კომპლექსურად უნდა წარმოებდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნა და განმტკიცება, ფერმერული მეურნეობების ეკონომიკურად მომძლავრება და სარწყავი მიწათმოქმედების აღმასვლა. სხვა შემთხვევაში, მხოლოდ სამელიორაციო ასოციაციების ფუნქციონირება, გაუმართლებელი და უპერსპექტივო იქნება.

ასეთ რთულ პერიოდში, როდესაც სოფლის მეურნეობაში ფერმერული მეურნეობრიობის და სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბების პქოცესი გადამწყვეტ ფაზაშია შესული, მოხდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის გადახ-

ალისება, ამავე დროს შეიცვალა სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც.

დეპარტამენტის გაახალგაზრდავებულ კოლექტივს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ დავით გუბელაძის წინამძღოლობით მოუწევს დარგის საქმიანობის ახლებურად წარმართვა, თეორიისა და პრაქტიკული გამოცდილების შერწყმით სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის მაღალ დონეზე აყვანა, მისი რენტაბელურობის განმტკიცება.

* * *

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარდაქმნები რთულ ვითარებაში მიმდინარეობს. შვიდი ათეული წლის განმავლობაში ფესვგამაგრებული ცნობიერების, დამკვიდრებული წესებისა და ჩვევების ერთბაშად დათმობა და ახალთან შეგუება არც ისე იოლი საქმეა. აქ გადამწყვეტ როლს ადამიანი ასრულებს, რომელიც ახალი, თანამედროვე პროგრესული აზროვნებით გათვითცნობიერებული - დემოკრატიზაციის იდეალების განხორციელებას ერთგულად აუბამს მხარს.

როგორ ფიქრობთ, კომუნისტური წყობის დროს დაწინაურებული ადამიანები ან მათი წამოჩიტებული ახალბედები ადვილად შეეგუებიან ცივილიზებულ დემოკრატიულ საზოგადოებას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესობით უნდა იყოს დაცული? სადაც შრომა-გარჯილობა ადამიანთა კეთილდღეობის ძირითადი წყარო იქნება? - რა თქმა უნდა, არა. მითუმეტეს, ახალი წყობის ჩამოყალიბების პერიოდში მაინც. ამის თქმის საბაბს მაძლევს ზემდგომ სახელმწიფო და არჩევით ორგანოებში გაბატონებული უწესრიგობა, რომელიც საბჭოური წყობილების ბოლო - განუკითხაობის პერიოდის გაგრძელებას წარმოადგენს და რომელსაც სახელად „კორუფცია“ დაარქვეს.

საოცარია, ასოცდახუთზე მეტი პარტია(!) მოქმედებს ამ პატარა ქვეყანაში და იბრძვის მთავრობაში გაბატონებისათვის, ყველა ერთ მიზანს ისახავს - ხალხის საკეთილდღეოდ თავდადებას, ყველას ცალ-ცალკე სჯერა, რომ მათი გზა სწორია და ისინი ღმერთისგან არიან მოვლენილნი. ვინ იცის, ღმერთი ნამდვილად სწამთ?

როგორ დავიჯერო, რომ კაცი, რომელიც დაბადებიდან ათეისტად იზრდებოდა, უცებ გახდა ღვთისმოყვარე?! შეიძლება ის პირჯვარს იწერს, ხალხის დასანახად ეკლესიაში წირვასაც ესწრება, მაგრამ საკითხავია - არის იგი მორწმუნე, ახსოვს კი ათი მცნება?!... რასაკვირველია, ეს ყველას არ ეხება; ღმერთმა დაგვიფაროს ალალი ღვთისმოყვარენი ბევრი რომ არ გვყავდეს იმ პლეადიდანაც კი, ვინც დღეს ხელისუფლებისკენ მიილტვის. მაგრამ სულ სხვაა იგი, ვინც სახელმწიფოსა და ხალხის კუთვნილ ქონებას მუსრს ავლებს, ამოგებულ ფულს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას ახმარს და ხარბად მდიდრდება. ის ღვთისნიერ ადამიანად არასდროს გარდაიქმნება და ისევ ცოდვილად დარჩება... ვაი, რომ არიან ასეთი ადამიანებიც ჩვენს ირგვლივ და, სამწუხაროდ, არც ისე ცოტანი!...

ბოდიშს ვიხდი, ძირითად თემას მეორედ რომ გადავუხვიე...

როგორც ყოველთვის, წყალთა მეურნეობის დარგის გამოცდილი, ტრადიციულად სახელოვანი კოლექტივი, რთული პოლიტიკურ-სამეურნეო გარდატეხის პერიოდშიც თავდადებით, გულმოდგინე შრომითა და პროფესიული ორგანიზატორობით იბრძვის წარმატებით გადალახოს შექმნილი სიძნელეები. ამის მაგალითად, თუ გნებავთ, 2000 წლის ზაფხული შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც ძლიერი, ხანგრძლივი გვალვების გამო, უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთის ზონაში გაუჭირდათ ნათესებსა და მრავალწლიან ნარგავებს. აქ მზის მცხუნვარებამ მიწის ზედაპირზე 60°-ს გადააჭარბა, ხოლო

ჩრდილში 40°-ს. გვალვა არც ისეთი იშვიათი სტუმარია საქართველოში, მაგრამ ასეთი რამ ღრმა მოხუცებსაც არ ახსოვთ, მათ შორის, არც მე. და აი, წყალთა მეურნეობის სიკეთე სწორედ ასეთ დროს გამობრწყინდა. ახლაც, სადაც კი წყლის რესურსები მოიპოვებოდა, დიდი მონდომებითა და თავდადებული გარჯილობით მოუკლეს წყურვილი ვენახებსა და ნათესებს. სიცხისაგან გადატრუსულ მინდორ-ველზე ოაზისივით მოჩანდა მორწყული, მწვანედ მობიბინე თვალუწვდენელი სავარგულები.

კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ ამ დროულ კაცს, თუ გავკადნიერდები და ბევრჯერ ნათქვამს გავიმეორებ, რომ ისეთი კეთილშობილური დარგი, როგორიც წყალთა მეურნეობაა, მეორე არ მეგულება დუნიაზე (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია). ეს დარგი ადამიანის, ბუნების მაცოცხლებელი წყაროა, მისი დამამშვენებელი და კეთილისმყოფელი, და ამიტომაა სასიქადულო დარგს ყოველთვის ღვაწლმოსილი, ღვთისნიერი ადამიანები რომ მართავდნენ, სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, იგი საუკუნოვანი ტრადიციით დამკვიდრებული ჭეშმარიტებაა.

სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია რომ უფრო რთული სამართავია და მეტად საპასუხისმგებლო დარგია სოფლის მეურნეობაში, სადაოდ არ მიმაჩნია; აქ საქმე გვაქვს გამდინარე - საკმაოდ პოტენციური ენერგიის მქონე წყლის მართვასთან. თუ ოდნავ ყურადღება მოადუნე, მზრუნველობა მოაკელი, წყალი წესიერად არ მართე, მას დიდი ზარალის მოტანა ძალუძს, - შეუძლია დააზიანოს და მწყობრიდან გამოიყვანოს ჰიდროტექნიკური ნაგებობები, დააჭაობოს ფართობები ან წალეკოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და გაანადგუროს წლის სარჩო. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ზრუნვასა და უანგარო შრომას მოითხოვს როგორც სარწყავი, ისე დამშრობი და გაწყლოვანების სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია.

ბევრჯერ ვცადე გამეხსენებინა რომელიმე რაიონული სამმართველოს უფროსის, მთავარი ინჟინრის ან წამყვანი სპეციალისტის სახელი და გვარი, რომელსაც ისეთი დანაშაული ჩაედინოს, რომ სამუშაოდან დაეთხოვათ და გაესამართლებინათ. არ მახსოვს, ვინმეს თუნდაც 2 წელიწადი წყალთა მეურნეობაში ემუშაოს და შემდეგ იქიდან წასვლა არ გასჭირვებოდეს. არ ყოფილა ასეთი შემთხვევა...

გავიხსენოთ, ამ ცოტა ხნის წინათ, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის პერიოდში როგორ მძიმე, აუტანელ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება და მუშაობა, და ასეთ დროს ვინ მიატოვა თავისი თანამდებობა გაუსაძლისობის გამო?! არავინ... არავის არ დაუყრია ფარ-ხმალი, არავინ არ გაქცევია სიძნელეს, მაშინდელ არანორმალურ, დუხჭირ დროებას.

დარგის გულშემატკივარი სპეციალისტები დიდი გაჭირვებით, მაგრამ მოთმინებით, თავდადებით შრომობდნენ, პროფესიას არ ღალატობდნენ, მომავლის იმედი ჰქონდათ, ისიც მოდის ნელა-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წყალთა მეურნეობის დარგში მხოლოდ კეთილი ნების ადამიანები მოღვაწეობენ, რომელთა უანგარო, დაძაბული შრომით, საქმისადმი სიყვარულით დღემდე შენარჩუნდა უამრავი მოქმედი სისტემა.

ზემოთ აღწერილ ქრონოლოგიას თუ დავეყრდნობით (ისტორიული წყაროებიდან არის მოძიებული და სანდოა), მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტს 2000 წელს უკვე შეუსრულდა დამოუკიდებლად არსებობის 75 წელი, ხოლო პირველი სახელმწიფო სტრუქტურის - „წყლის ინსპექციის“ ჩამოყალიბებიდან კი 110 წელი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღების აღნიშვნა იმ წელს ნამდვილად არ იყო მიზანშეწონილი ეკონომიკური და ფინანსური სიდუხჭირის გამო. დაწესებულებამ თავისი იუბილე რომ აღნიშნოს, საჭიროა ის წელში იყოს გამართული, საქმეები

კრიალოსანივით ჰქონდეს აწყობილი, ხოლო თანამშრომლები სოციალურად გალაღებული და გახალისებული ჰყავდეს... აი, მაშინ აქვს იუბილეს თავისი შნო - სილამაზე.

იუბილარი დეპარტამენტის კოლექტივში, ზემოთ უკვე მოხსენებული მოღვაწე სპეციალისტების გარდა, კიდევ ბევრზე ბევრნი არიან, რომლებთან ერთად მიხდებოდა მუშაობა და თანამშრომლობა. 65 წლის განმავლობაში, ერთ უწყებაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას სხვადასხვაგვარი ხასიათის ადამიანთან მქონია ურთიერთობა - სამსახურებრივიც და მეგობრულიც, მიმუშავია ჩემზე უფროსებთან და ჩემზე უმცროსებთანაც, დამსახურებულ სპეციალისტებთან და ახალბედასთანაც... ხანდახან, როცა საკუთარ ფიქრებში ვიძირები, ვცდილობ, გავიხსენო ისეთი შემთხვევა, თუნდაც ერთი მაინც, ვინმეს რაიმე ხომ არ ვაწყენინე, ან გული ხომ არ ვატკინე ჩემი უტაქტო მოქმედებით - ვერა, ვერ ვიხსენებ, იმიტომ კი არა, რომ მეხსიერება მღალატობს, არა - ჯერჯერობით მას არ ვუჩივი, უბრალოდ, არ მქონია ასეთი შემთხვევა... (თუ ვინმე რამეზე გულნატკენია და სწორად არ გარკვეულა - ეს მისი პრობლემაა).

ჰიდრომელიორაციის დარგის ამჟამინდელი თაობის სპეციალისტებმა და არასპეციალისტებმა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ წყალთა მეურნეობის დიდი კოლექტივი - სამმართველო ერქვა მას, სახალხო კომისარიატი თუ სამინისტრო, ახლა კი დეპარტამენტია, მუდამ გამოირჩეოდა თავისი შესაშური მტკიცე დისციპლინით, შრომითი საქმიანობით. ამ კოლექტივში მუშაობა ყველას ეამაყებოდა და ახლაც ნამდვილად საამაყოა.

ჩვენი ვალია ეს ტრადიცია შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ...

მიმდინარე რეფორმების ზოგჯერ არაკვალიფიციურად გატარების შედეგად შეიძლება დაკნინდეს კარგად ჩამოყალიბებული

სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის ძირითადი თვისებები, დაირღვეს კარგად აწყობილი ერთიანი უწყება, მაგრამ ეს მხოლოდ გარდამავალ პერიოდში შეიძლება მოხდეს... და მაინც მჯერა: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს".

დადგება ჟამი სიკეთისა და გონიერებისა, ისევ ერთ მუშტად შეიკვრებიან წყალთა მეურნეობის დარგის, სამელიორაციო სისტემების მაშვრალი, გამოცდილი სპეციალისტები... და მაცოცხლებელი წყალი კვლავაც ააბიბინებს ხოდაბუნებს, ველმინდვრებს და იშრიალებენ წალკოტები, დაშრობილ მიწებზე სიცოცხლე კვლავ სახალისო გახდება... აღორძინდება სარწყავი მიწათმოქმედება და აყვავდება მთელი საქართველოც... ამ საშვილიშვილო საქმეში დიდ წვლილს შეიტანენ სანაქებო, საამაყო მელიორატორები.

ნაწილი მეორე

ცოტა რამ საქმართველოებზე

რუდუნების დასაწყისი

ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შესვლა, იქაური ფორმის ჩაცმა და განსაკუთრებით კოკარდიანი ქუდის ტარება - ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, საბედნიეროდ, ამიხდა კიდეც, მხოლოდ გული მტკიოდა ფორმის ჩაცმის ნატვრა რომ ვერ ავისრულე, იგი უკვე აეკრძალათ განათლების კომისარიატის მიერ დაწყებული რეფორმების გამო (ვინ მოთვლის რამდენი დარგის რეფორმა გადამიტანია და ახლაც გადამაქვს ამ ოთხმოცდაათ წელს მიღწეულ ბერიკაცს).

მთავარი მაინც ის იყო, რომ ვეუფლებოდი ტექნიკურ სპეციალობას და ვემზადებოდი დიდი რუდუნების შრომა-გარჯილობისათვის. და აი, მისი დასაწყისიც დადგა, ეს იყო... 1933 წელი! როცა ფართოდ გაიშალა კოლხეთის ჭაობების დაშრობის გრანდიოზული სამუშაოები. მშენებელთა ვეება კოლექტივს მეც შევემატე - ახალბედა ტექნიკოსი ერთი „პატარა ჭანჭიკის“ სახით (უყვარდა იოსებ სტალინს ასეთი გამოთქმა), კოლხეთის გადასახედიდან შევუდექი ცხოვრებისა და შრომითი შემოქმედების აღმავალ, გაუკაფავ- გაუკვალავ გზას... აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ეს გზა, გრძელი და შორსმავალი, უძველეს ჰერეთამდე მიმიყვანდა! გულწრფელად უნდა ვაღიარო, ამ ბედით მეტად კმაყოფილი დავრჩი!

ამრიგად, ისტორიული კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობების წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობის ჟამს, ახალბედა ტექნიკოსი უფროსი თაობის გამოცდილ სპეციალისტთა არმიის გვერდით აღმოვჩნდი.

მაშინ ქალაქი ფოთი იყო ცენტრი უზარმაზარი მშენებლობისა, საიდანაც უშუალოდ ობიექტებზე იგზავნებოდნენ გამორჩეული ახალგაზრდა სპეციალისტები, ახალთ-ახალი მიწის სათხრელი მექანიზმები, საშენი მასალებით დატვირთული „გაზიკები“ და „ზისები“, აქედან მიემართებოდა ეშელონებად გუდანაბდიანი

შონების (სვანების) არმია გრძელტარიანი გაპრიალებული ბარებით ხელში...

დამშრობი სისტემის მშენებლობა გაშლილი იყო ჭალადიდი-ყორათის, ქვალონი-ხობის, ზუგდიდი-გალის, ფოთი-ლანჩხუთის მიმართულებით. მთელი კოლხეთის დაბლობზე ისმოდა ბულდოზერებისა და მიწის სათხრელი მექანიზმების გრუხუნი... ზანზარებდა დედამიწა...

წელიწადი წელიწადს მისდევდა... გადიოდა ხანი და დღითიდღე იწრიტებოდა შმორიანი ნესტი, კოლხეთის მიწაზე ახალი სიცოცხლე იმკვიდრებდა ფესვებს... დაბლობი და მთის წინა ზოლი დაისერა დამწრეტი არხებით, ამიტომ, მშენებლობასთან ერთად საჭირო შეიქნა დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია, მათი მოვლა-შენახვა.

მიწების მორწყვა, ანუ უცხო ენაზე ირიგაცია ჩვენში უხსოვარი დროიდან არის დამკვიდრებული და სათანადო გამოცდილებაც გაგვაჩნდა. სულ სხვა მდგომარეობა გვქონდა დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის დარგში - ეს იყო სრულიად ახალი საქმე, რომლის შესადარი პრაქტიკაში არ გვქონია და მაშასადამე, არც ტრადიცია მოგვდევდა. ათიათასობით ჰექტარ ფართობზე გაყვანილი დამშრობი წყალშემკრებებისა და კოლექტორების ქსელს კი მზრუნველი პატრონი სჭირდებოდა_ და აი, 1936 წელს კიდევაც შეიქმნა ასეთი ორგანიზაცია, ამ ახალი სპეციფიკური დარგის პირველი მერცხალი. ეს იყო ზუგდიდის წყალთა რაიონი.

ახალჩამოყალიბებულ შრომით კოლექტივს რთული ამოცანები ჰქონდა შესასრულებელი: მას უნდა შეესწავლა სადრენაჟო ნაგებობების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და იმავდროულად, იგი პრაქტიკულად უნდა განეხორციელებია უკვე აშენებულ და მოქმედ ობიექტებზე. გარდა ამისა, მასვე ევალებოდა არანაკლებ საპასუხისმგებლო და ფრიად მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება - ეს იყო წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება ისეთ გიჟმაჟ მდინარეებზე, როგორე-

ბიცაა: ენგური, მაგანა, ჭანისწყალი, ჯუმი, ჩხოუშია და ხობი. წყალდიდობის დროს ისინი წალეკვით ემუქრებოდნენ სოფლებს, მათ სავარგულებს. სწორედ ასეთმა საფრთხემ განაპირობა ის, რომ ზუგდიდის სამმართველო ყოველწლიურად დიდი მოცულობის ნაპირსამაგრ სამუშაოებს ასრულებდა. დროთა განმავლობაში ზუგდიდელი მელიორატორები ისე დახელოვნდნენ ამ საქმეში, რომ შეიძლება ითქვას, მათ გაბიონის ტიპის ჯებირების მოწყობის თავისებური სკოლაც შექმნეს. განა, საამაყო არ არის, ამ საქმის დიდოსტატის, მიშა ბაღიშვილის ხელმძღვანელობით, ადგილზე მოქსოვილი მავთულ-ბადებით შეკრული გაბიონის ჯებირები ათეული წლების განმავლობაში მედგრად რომ უძლებენ აზვირთებული მდინარეების შემოტევებს?!

დასავლეთ საქართველო და რა თქმა უნდა, კოლხეთი, ისტორიულ წარსულში ეგრისისა და ლაზიკის სახელწოდებით რომ არის ცნობილი, შემდეგ ამ კუთხის გარკვეულმა ნაწილმა ოდიშის სახელწოდება მიიღო. სახელდობრ, როდის მოხდა ეს, ცნობილი არ არის, მაგრამ, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ „...წყაროებში „ოდიში“ პირველად XII საუკუნეში გვხვდება, მას თამარის პირველი ისტორიკოსი მოიხსენიებსო“.*

როდესაც ზუგდიდის ან ოდიშის შესახებ ვსაუბრობ, არ შემიძლია არ გავიხსენო უცხოელ მოგზაურთა ნაამბობი კოლხეთზე საერთოდ და სამეგრელოზე კერძოდ.

ამ შემთხვევაში ვისარგებლებ რუსი მოხელის კონსტანტინე ბოროზდინის მოგონებებით. ის 1854 წელს მივლინებული იყო ზუგდიდში, ეკატერინე დედოფალთან, საქმიანი მიწერ-მოწერის მწარმოებლად და აგრეთვე, ეკატერინეს მცირეწლოვანი შვილების აღმზრდელად. მოგეხსენებათ, დავით დადიანი - სამეგრელოს მთავარი ნაადრევად გარდაიცვალა და იმის გამო, რომ დავითის შვილები სრულასაკოვანნი არ იყვნენ, რუ-

---

* თ. აბრამიშვილი, ოდიშის განძი. „ძეგლის მეგობარი“, 1970, №23

სეთის მეფემ სამეგრელოს მთავრად დედოფალი ეკატერინე დანიშნა.

მართალია, კ. ბოროზდინის მოგონებებიდან ზოგი რამ შეიძლება სადაო და მიუღებელი იყოს, მაგრამ, რასაც აქ მას დავესესხები, მოგონილი არ არის. ის წერს, რომ: საქართველოს რუსეთთან შეერთებისას დასავლეთ საქართველოში რუსეთის ქვეშევრდომი მთავართაგან პირველი გრიგოლ დადიანი გახდა. მან ფიცი დადო 1803 წლის 1 დეკემბერს, რის შემდეგაც რუსეთის ხელში პირველი, დადიანის რეზიდენცია - ზუგდიდი გააქალაქეს და მას სახელად „გრიგოროპული" დაერქვა. შემდეგ სამეგრელოს მთავარს დავითს ზუგდიდში მშვენიერი სასახლე აუგია, ხოლო სასახლის ირგვლივ საუცხოო ბაღი დედოფალი ეკატერინეს ხელმძღვანელობით არის გაშენებულიო... „...როგორც ცნობილია, დადიანი არც გვარია და არც სახელი, არამედ ტიტულია სამეგრელოს მთავრისა. სამეგრელოში რამდენიმე დინასტია ყოფილა მთავრებისა. XVII საუკუნეში მთავრობდა ბედიას დინასტია, მის შემდეგ გოშუა გახდა მთავრად, გოშუას შემდეგ ლიპარტიანი გამთავრდა, მერე იყო ჭელიძე და ბოლოს ჩიქოვანი... ყველა ამ გვარებს, როცა მთავრებად იყვნენ, დადიანის ტიტული ჰქონდათ და დარჩნენ დადიანებად".*

სამეგრელო, ერთიან საქართველოში ყოველთვის ძმურად ცხოვრობდა ყველასთან ერთად და ასე იქნება მუდამ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში, ზოგიერთ, საქციელწამხდარ ადამიანთა წრეში (პარტიებში) წინა პლანზეა წამოწეული კუთხურობა!

მთელი ჩემი სიცოცხლე საქართველოს ყველა კუთხის ხალხთან ურთიერთობაში გამიტარებია და არასდროს, არსად მსმენია, ჭეშმარიტ ქართველს დაეკნინებინოს მისი თანამემამულე სიტყვებით: შენ მეგრელი ხარ, შენ რაჭველი და ა.შ.

---

* კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი, 1934 წ. გვ. 2.

საღად მოაზროვნე ქართველი არასოდეს კადრებს არც საკუთარ თავს და არც საქართველოს ნებისმიერი კუთხის წარმომადგენელს, დაამციროს და დააკნინოს იგი.

საქართველო ერთიანი ქვეყანაა, საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა ქვეყანაა, სადაც პატივს სცემენ სტუმარ, პატივისცემით ეკიდებიან უცხოელებსაც, თუ ისინი პატივით მოეკიდებიან საქართველოს ერთიანობასა და დამოუკიდებლობას, ძველი თაობის მწერლები გულწრფელად, დიდი პატრიოტიზმის სულისკვეთებით ღაღადებდნენ საქართველოს ძლიერების, ერთიანობის, ძმური სიყვარულის იდეებზე. საბჭოური წყობის პერიოდშიც თანამედროვე მწერლები აღტაცებით უმღეროდნენ ხალხთა ერთობას, სოლიდარობას. და მართალი გითხრათ, XXI საუკუნეში, როცა საქართველო ისედაც ტერიტორიებმორღვეულია, არ გვეპატიება, კუთხურობას შეეწიროს მისი მომავალი.

* * *

მცირედი გადახვევის შემდეგ ისევ დავუბრუნდეთ ზუგდიდელ მელიორატორთა საქმიანობას.

ენგურ-ოჩხომურის მასივზე ადამიანთა შემართებულმა შრომამ 15 ათასზე მეტი ჰექტარი ფართობი გამოსტაცა საუკუნოვან ჭაობს და კოლხეთის განახლებულ მიწაზე გაიხარეს სუბტროპიკულმა მცენარეებმა, განსაკუთრებით ჩაის კულტურამ, ციტრუსებმა. ზუგდიდის რაიონმა ახალამოშრობილ მიწებზე მოყვანილი სიმინდის რეკორდული მოსავლიანობითა და შრომის გმირების სიმრავლით საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ყოველივე ამაში ლომის წილი ზუგდიდელ მელიორატორებს უდევთ.

კოლხეთში ჩაის პლანტაციებში გამაგრილებელი რწყვა პირველად აქ შემოიღეს და ამ მიზნით, ზუგდიდის სამმართველოს მომსახურების მეურნეობებში მოეწყო ხელოვნური დაწვიმების შიდასამეურნეო სისტემები. პირველ ხანებში

ეფექტურად გამოიყენებოდა დაწვიმებითი რწყვა, შემდეგ კი სატუმბი სადგურებისა და დასაწვიმებელი ქსელის მწყობრიდან გამოსვლის გამო ეს კეთილშობილური საქმეც დავიწყებას მიეცა. სიძნელეები შეიქმნა წყალშემკრები არხების შეკეთება-წმენდისა და დაშრობილი მიწების გამოყენების საქმეშიც. მაგრამ, ეს დროებითი მოვლენაა. ზუგდიდის სამმართველოს მომსახურების ზონა წინათ მოიცავდა, აგრეთვე, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მესტიის რაიონებს. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ამ სახელოვან, დიდ კოლექტივს უცვლელად ხელმძღვანელობდა მელიორაციის დარგის ღვაწლმოსილი ამაგდარი, რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გრიგოლ (მიშა) ბაღიშვილი. პენსიაზე მისი გასვლის შემდეგ სამმართველოს უფროსები იყვნენ: ქ. მაქაცარია, გ. ჯიბლაძე. 1994 წლიდან კი სამმართველოს კოლექტივს სათავეში უდგას იანურ მიქავა, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ოცდაათი წელიწადია ემსახურება მელიორაციის დარგს.

ზუგდიდის სამელიორაციო სისტემების სახელოვანი კოლექტივი კვლავინდებურად იბრძვის კოლხეთის მადლიანი მხარის აყვავებისათვის, მისი განახლებისათვის.

ზუგდიდზე საუბრის დასასრულს, ძვირფასო მკითხველო, მინდა შემოგთავაზოთ ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ 1966 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებული ერთი საინტერესო ცნობა: „ზუგდიდთან ახლოს ბუნებით ლამაზი სოფელი ცაიში ცნობილი იყო როგორც სამკურნალო წყლებით, ასევე ორად-ორი ძელქვათი, რომლებიც ცხელი აბანოების ტერიტორიაზე იდგნენ. სოფელში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით გენუელებს, რომლებმაც ცხელი წყაროები აღმოაჩინეს, ამის აღსანიშნავად ამ ადგილზე სამი ძელქვა დაურგავთ, რომელთაგან ორი გადარჩენილა. ერთი მათგანი 1955 წელს ძალზე დაბერებული ძლივს იდგაო...

მეცნიერთა აზრით, ძელქვა თავისი წარმოშობით განეკუთვნება დედამიწის ახალი ხანის მესამე გეოლოგიურ პერიოდს,

რომლის ხნოვანება 50-60 მილიონი წელია. მესამეულის პერიოდში ეს ხე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ამჟამად კი იშვიათობას წარმოადგენს და მოიპოვება მხოლოდ ამიერკავკასიასა და იაპონიაში. იგი ლათინურ ნომენკლატურაში ქართული სახელწოდებითაა შესული".

დამაინტერესა ამ იშვიათი ხეების ამჟამინდელმა მდგომარეობამ და ზუგდიდის სამმართველოს უფროსს ბატონ იანურს ვთხოვე გაერკვია თუ რა ბედი ეწვია მათ.

სასიამოვნო პასუხი მივიღე ზუგდიდიდან: ძველი ორი ძელქვა ისევ ამაყად დგას და მათ გვერდს ექვსი ძირი ახალგაზრდა ძელქვა უმშვენებსო.

ამფერუმ, ცაიშელებო!

საშვილიშვილო საქმე გიკეთებიათ ძელქვების კოლხურ მიწაზე გამრავლებისათვის!

ძელქვა - სამეგრელოს სიმბოლოდ გამოდგება! გავუფრთხილდეთ ერთმანეთს ყველა კუთხის ქართველებო და ვიყოთ ისეთი გამძლენი, როგორც ცაიშვილების ძელქვაა!

ფაზისის ნაკვალევზე

დღე დღეს მისდევდა, წელი წელს და კოლხეთის იერსახეც უკეთესობისაკენ იცვლებოდა... აშრობდნენ ჭაობებს, შმორიანი ჰავა თანდათან ჯანსაღდებოდა, მაგრამ დიდი სამამულო ომის მოულოდნელად დაწყებამ ყველაფერს თავისი დაღი დაასვა - კოლხეთშიაც შეწყდა გრანდიოზული მშენებლობა... თუმცა, ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებისთანავე უფრო დიდი მასშტაბით განახლდა შეწყვეტილი სამუშაოები, რაც შეეხება ომამდე გაყვანილ დამშრობი სისტემების მოვლა-პატრონობასა და აღდგენით ღონისძიებებს, მარტო ზუგდიდის საექსპლუატაციო სამმართველო ვერ უმკლავდებოდა და ამიტ-

ომ, დღის წესრიგში დადგა ახალი საექსპლუატაციო სამმართველოს შექმნის საკითხი, რომელიც კიდევაც განხორციელდა: 1946 წელს შეიქმნა კოლხეთის სასისტემო სამმართველო, რომლის მომსახურების სფეროში შევიდა ქალაქ ფოთის გარეუბნის, ხობის, სენაკის და აბაშის რაიონების ტერიტორიაზე არსებული დამშრობი სისტემები. სამმართველოს ცენტრალური აპარატი ფუნქციონირებდა ქ. ფოთში, კოლხიდმშენის შენობაში. სამმართველოს ხელმძღვანელად დაინიშნა დომენტი მელქაძე, წულუკიძის სასისტემო სამმართველოს ყოფილი უფროსი. 1959 წელს იგი შეცვალა გიორგი (ჟორა) ჯაფარიძემ, რომელიც მანამდე კოლხეთმშენის მშენებარე ობიექტების დირექციის თავკაცი იყო. სამმართველოს კოლექტივის მონდომებული და ორგანიზებული შრომით აღდგა და წესრიგში იქნა მოყვანილი დამშრობი ქსელი, რომელთა რაოდენობა წლობით იზრდებოდა.

1966 წელს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ჩატარებული რეორგანიზაციის დროს კოლხეთის სასისტემო სამმართველოს ადგილსამყოფელი გადაიტანეს ქ. ხობში, სამმართველოს ხელმძღვანელად დააწინაურეს ინჟინერი ალექსანდრე (კალე) ცხადაია, რომელიც 1940 წლიდან ზუგდიდის სამმართველოში, ხობის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად მუშაობდა. მთავარ ინჟინრად დაინიშნა ინჟინერი ვალერიან სანიკიძე - სენაკის ჰიდროტექნიკური უბნის ყოფილი უფროსი.

1981 წელს კვლავ რეორგანიზაციაა: კოლხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამოეყო და ცალკე შეიქმნა პალიასტომის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელსაც გადაეცა: წყალგამყოფი კვანძი მე-7 კილომეტრზე, ქალაქის არხი, სატუმბი სადგურები, დამშრობი ქსელი პატარა ფოთში და პალიასტომის ტბა.

სამმართველოს სათავეში ჩაეუყენეს კალე ცხადაია, მთავარ ინჟინრად კი გამოცდილი სპეციალისტი ლუკა მელქაძე დააწინაურეს. ახალი სამმართველოს ადგილსამყოფლად შეირჩა

ჰიდროკვანძის მიმდებარე ტერიტორია. იქ, სადაც 1934 წელს ახალგაზრდები ფოთი-ჭალადიდის გზას ვაშენებდით და ხეებს ვრგავდით. რსგ „საქწყალექსპლუატაციის“ ხელმძღვანელობის დახმარებით აიგო მაღალი არქიტექტორული გემოვნებით დაპროექტებული ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც ახალმოსახლეობა 1985 წელს შედგა. მოეწყო სრულყოფილი საქმიანი ეზო მრავალი დამხმარე ნაგებობით, დიდი ავტოსატრანსპორტო და მიწის სათხრელი მექანიზმების პარკით. ჰიდროკვანძის ზედა ბიეფთან ახლოს, მდინარის მარცხენა ნაპირზე ააშენეს მარტივი ტიპის ნავმისადგომი, სადაც მუდამ მზა მდგომარეობაში დგას კატარღა „ანდრო გაბუნია“, რომლის დახმარებითაც წარმატებით სრულდება ნაპირსამაგრი სამუშაოები.

პალიასტომის ტბის ექსპლუატაცია ვერ შეერწყა სამმართველოს ძირითად საქმიანობას, რის გამოც პალიასტომის ტბა ისევ ძველ მეპატრონეს დაუბრუნდა და სამმართველოს სახელწოდებაც შეეცვალა, მას კოლხეთის ნაპირდამცავი ნაგებობებისა და ჰიდროკვანძის ექსპლუატაციის საწარმო დაერქვა, რომლის მომსახურებაშიც დარჩა: წყალგამყოფი კვანძი, ფოთის შემოგარენში არსებული დამშრობი სისტემები 3425 ჰექტარზე, მდ. რიონზე 69 კილომეტრის სიგრძის მიწის ზვინული - ნაპირსამაგრი დამბები, 6 სატუმბი სადგური, რომლითაც წყლის გადატუმბვა წარმოებს კოლექტორებიდან წყალმიმღებში.

რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს წყალგამყოფი კვანძი. მუდამ საფიქრალია კაშხლის ბურჯების მდგრადობის საიმედოობა. 1965-1967 და 1980-1982 წლებში ჩატარდა ქვედა ბიეფის (რისბერმის) გამაგრების სამუშაოები, მაგრამ საძირკვლის გამორეცხვის პროცესი კვლავ გაგრძელდა, რაც საშიშ მდგომარეობას უქმნის მთლიან ნაგებობას და ყოველთვის სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს. ღმერთმა დაგვიფაროს ყოველგვარი ხიფათისაგან!

რთული ობიექტია ქალაქის არხიც - რიონის ძველი ნაკალაპოტარი. კარგად მახსოვს, წყალდიდობის დროს, რიონის

ძველი, განიერი კალაპოტი თავისუფლად ატარებდა დიდ ხარჯს ისე, რომ ახლომიმდებარე ტერიტორია იშვიათად იტბორებოდა. პირვანდელი პროექტით, მდინარის კალაპოტი შევიწროებული იქნა და მისი გამტარუნარიანობა 400 კბ/მ წამში უნდა ყოფილიყო, მაგრამ 300 კბმ-საც ვერ ატარებს, იტბორება არხის მიმდებარე ქუჩები და შენობები... წყალგამყოფი კვანძი და ქალაქის არხი დიდსა და გულისხმიერ ყურადღებას საჭიროებენ.

ჭეშმარიტებაა, რომ ქალაქის არხის საშუალებით ზღვაში ქვიშის ტრანსპორტირების შემცირებამ დიდი ზიანი მიაყენა ქალაქს, ათიათასობით კვადრატული მეტრი მიწის ფართობი მიიტაცა ზღვამ... ზღვა ანგრევს ნაპირს და მიაქვს (ინტენსიურად) ათასეული წლების განმავლობაში შექმნილი ნაყოფიერი მიწა. ეკონომიკურმა დაცემამ ზღვასთან შებრძოლების საშუალება თითქმის მოგვისპო, არადა ეს საქმე ყველაზე უფრო საშურია, ყველას საზრუნავი...

სამმართველოს კოლექტივი მეტად საპასუხისმგებლო და სასიკეთო საქმიანობას ეწევა ფაზისის ნაკვალევის მდინარე რიონის ნაპირების გასამაგრებლად და წყალდიდობის პერიოდში დაშრობილი მიწების დატბორვისაგან დასაცავად. ამ სამუშაოებზე ძირითადად გამოიყენება გაბიონის ტიპის დეზები, რომელთა აგების დიდი გამოცდილება აქვთ სამმართველოს სპეციალისტებს.

მდინარე რიონის, როგორც ზემო, ისე ქვემო ნაწილში, ადგილი აქვს მრავალ პატარ-პატარა კუნძულების წარმოქმნას, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს არსებული მიწის ზვინულების გარღვევას. ამიტომ, საშიშ უბნებში ასეთი კუნძულების მოშლაღება თუ არ მოხერხდა, მარტო ნაპირების გამაგრებებით ახლომახლო სოფლები გამუდმებით საფრთხეში იქნებიან. ეს საკითხი მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია და განსჯას ექვემდებარება.

სამმართველოს კოლექტივი დაკომპლექტებულია კვალიფიციური, შრომისმოყვარე სპეციალისტებით და ტრადიციულად

ასრულებს რთულ, შრომატევად სამუშაოებს. 1994 წლამდე სამმართველოს ხელმძღვანელობდა შრომის ვეტერანი, ენერგიული და გამოცდილი ალექსანდრე ცხადაია, მას მუდამ გვერდში ედგა მთავარი ინჟინერი, პროფესიონალი-კვალიფიციური სპეციალისტი ლუკა მელქაძე.

1994 წელს, ბატონი კალე ცხადაია პენსიაზე გავიდა და სამმართველოს სათავეში ჩაუდგა ინჟინერი ვახტანგ (გენო) ლოლუა, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 15 წელიწადი კოლხეთის ზონის მშენებარე ობიექტების დირექციაში მუშაობდა, ჯერ რიგით ინჟინრად, შემდეგ კი - დირექტორად.

სამმართველოს კოლექტივი კვლავინდებურად განაგრძობს ჩვეულებრივ საქმიანობას წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე და მნიშვნელოვანი ჰიდროტექნიკური ნაგებობის - წყალგამყოფი კვანძის ექსპლუატაციაზე. მართალია, 1996-1997 წლებში კვანძის ძირითადი ელექტრომოწყობილობების კაპიტალური შეკეთება-აღდგენა ჩატარდა, ახლებურად „რეაბილიტაცია“ რომ ჰქვია, მაგრამ რაც მთავარია, ეჭვს ქვეშაა ნაგებობის ფუძის მდგრადობის საკითხი.

წყლის ზედაპირის ზევით, ის, რაც თვალით კარგად ჩანს, შეძლებისდაგვარად წესრიგშია მოყვანილი, ხოლო, თუ რა მდგომარეობაშია წყლის ქვეშ მოქცეული ფუძე-საძირკველი, რომლის შემოწმება ზედაპირიდან შეუძლებელია, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი... ამაზე უნდა ვიფიქროთ და შეიარაღებული თვალით უნდა შევისწავლოთ დეტალურად ყოველივე ის, რაც წყალქვეშ ხდება, რამაც შესაძლოა დიდ ხიფათს გადაგვარჩინოს.

დიახ, მდინარე რიონი ფაზისის ნაკვალევზე დიდ საფრთხეს უქმნის თავად ფაზისელებს, თუმცა, ფაზისის ნაკვალევს პირობითად ვამბობ, რადგან სიმართლე რომ ვთქვათ, ჯერ ძნელია იმაზე საუბარი, თუ სად იყო მდინარე ფაზისი და სად მითებითა და ლეგენდებით გასხივოსნებული აიეტის ზღაპრული სასახლე. და რაოდენ სასიხარულოა, „მედია ნიუსის“ გახმაუ-

რებული ცნობა, რომ „მეცნიერები უძველესი ფაზისის ნაშთებს ეძებენ“ (გაზეთი „ახალი თაობა“ 26 მარტი, 2004 წ.).

გაზეთი გვაუწყებს:

„ქართველი და იტალიელი გეოფიზიკოსები დასავლეთ საქართველოში მდინარე რიონის კალაპოტისა და სანაპირო ზოლის ცვლილებას შეისწავლიან. სპეციალისტები შეეცდებიან დაადგინონ ამ მიდამოებში ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში არსებული მდგომარეობა, რაც საშუალებას აძლევს არქეოლოგებს დაკარგული უძველესი ქალაქების ლოკალიზაცია მოახდინონ. გეოფიზიკოსები აგრეთვე შეეცდებიან გაიგონ, იმ დროს სად მდებარეობდა მდინარე რიონის კალაპოტი და ა.შ. ხოლო აერო-ფოტო დეშიფრირების საშუალებით კი შესაძლებელი გახდება ძველი ქალაქების, მაგალითად, ფაზისის ნაშთების აღმოჩენა. სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პორტოგუერის გეოფიზიკისა და ოკეანოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, ორ წელიწადს გასტანს. სამუშაოების დასრულების შემდეგ ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებიც დაიწყება. სამუშაოებს იტალიური მხარე დააფინანსებს“.

სასიამოვნო ცნობაა.... წინ ბევრი ახალი საოცრება გველოდება...

მელიორაცია აფხაზეთში

აფხაზეთის ტერიტორია, განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ზოლი, ატმოსფერული ნალექების სიჭარბით ხასიათდება და იგი ზოგჯერ 1400 მმ-ს აღემატება, მაგრამ წლის დროის მიხედვით წვიმა არათანაბრად მოდის, ამიტომ, ხშირად ზაფ-

ხულობით, გვალვის დროს, ნათესები და მრავალწლიანი ნარგავები ტენის დეფიციტს განიცდიან და ხელოვნურად წყლის მიწოდებას საჭიროებენ. სწორედ ამის გამო იყო, სამურზაყანოს მოსახლეობა დაჟინებით რომ მოითხოვდა სარწყავი არხის გაყვანას. ამიტომ, 1925-1926 წლებში იქ ჩატარდა საძიებო-საპროექტო სამუშაოები, სარწყავ არხს ორი დანიშნულება უნდა ჰქონოდა: პირველ რიგში არხისპირას მდებარე სოფლების გაწყლოვანება და საჭიროების დროს 6000 ჰექტარი ფართობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფაც.

გლეხობა იმდენად იყო მონდომებული არხის გაყვანით, რომ 1928 წლის 28 აპრილს სპეციალური მელიორაციული ამხანაგობა ჩამოაყალიბეს, რომელშიც 1102 წევრი გაერთიანდა. გალის რაიონის მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა 17 კილომეტრის სიგრძის არხის მშენებლობაზე. ერთი წლის განმავლობაში 29170 კბმ მიწის და 1100 კბმ ბეტონის სამუშაო შესრულდა.

პირველი სარწყავი არხი აფხაზეთში ექსპლუატაციაში 1929 წლის 20 ივლისს გადაეცა.

ამჟამად ენგურ-გალის მაგისტრალური არხი ემსახურება გალის რაიონის 1100 ჰექტარი ფართობის მორწყვას და სოფლების გაწყლოვანებას.

აფხაზეთის რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ინტენსიურად განვითარებასთან ერთად 1961 წლიდან ფართოდ გაიშალა ჰიდროსამელიორაციო სამუშაოები. დამშრობი სისტემების მშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმო სარწყავი სისტემების მშენებლობას; აქ წყლის მიწოდება ძირითადად მექანიკური აქაჩვით იყო გათვალისწინებული, რისთვისაც აშენდა სატუმბი სადგურები მდინარე ბზიფზე, ფსოუზე, ღალიძგაზე და სხვ. 1990 წლისათვის აფხაზეთში სარწყავმა ფართობებმა 2993 ჰექტარს მიაღწია. აქედან მექანიკური წყლის აწევით ირწყვებოდა 1677 ჰა, რაც შეეხება დაშრობილი მიწების ფონდს, 1987 წლის აღრიცხვით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდა 20774 ჰექტარს.

კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოების გრანდიოზული მასშტაბით დაწყებასთან დაკავშირებით, ორმოციან წლებში გალის რაიონშიც აგუგუნდნენ მძლავრი ბულდოზერები, მიწის სათხრელი მექანიზმები და გალი-ხუმუშკურის მასივზე შეუტიეს ჭაობებს.

აფხაზეთში სარწყავი და დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის წარმატებით განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კოლექტივს, რომელიც ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა 1926 წელს აფხაზეთის წყალთა ოლქის სახით, რომლის ძირითად საქმიანობას მაშინ მხოლოდ მდინარეთა ნაპირების გამაგრება წარმოადგენდა.

1930 წელს, წყალთა ოლქების გაუქმების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის წყალთა რაიონი, მისი პირველი უფროსი იყო გ. მეღვინეთუხუცესი.

რესპუბლიკაში წყალთა მეურნეობის დარგის განვითარებაში, მის მომძლავრებასა და ავტორიტეტის ამაღლებაში დიდი წვლილი და ამაგი მიუძღვით სამმართველოს უფროსებს:

თავლეთ (პეტრე) ჩაჩავას, რომელიც 29 წელიწადი (1934-1963) ხელმძღვანელობდა კოლექტივს და ალექსანდრე ჭაჭუას, რომელმაც 24 წელიწადი იმოღვაწა ამ თანამდებობაზე (1963-1987). თუმცა, მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, ჯანმრთელობას, გულს რომ არ ელალატა...

1987 წელს, თბილისიდან შშობლიურ ქალაქში დაბრუნების სურვილით, სამმართველოს უფროსად დაინიშნა როლანდი ჯგერენაია, გამოცდილი ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. იგი უმალვე შეეწყო კოლექტივს და სამმართველოს საქმიანობის ტრადიციას ჩინებულად აგრძელებდა, ხანმოკლე გამოდგა აქ მისი მოღვაწეობა, 1993 წელს ბრმა ტყვიის მსხვერპლი გახდა სოხუმში არეულობისას. ამის შემდეგ სამმართველოს უფროსის მოვალეობის შესრულება დაევალა მთავარ ინჟინერს, ავთანდილ ტყებუჩავას, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ,

სოხუმის დაცემის გამო სამმართველოს მთელი შემადგენლობა განდევნეს მშობლიური მხარიდან და ისინი სხვადასხვა კუთხეში გაიხიზნენ. ბატონი ავთანდილი კი სვანეთზე გავლით, დიდი გაჭირვების შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა ოჯახთან და თანამშრომელთან ერთად. ლტოლვილმა დეპარტამენტში მიაკითხა ხელმძღვანელობას და მუშაობა დაიწყო ექსპლუატაციის სამმართველოში.

ჩვეული გულმოდგინებით მუშაობს ბატონი ავთანდილი, მაგრამ ნოსტალგია არ ასვენებს და მშობლიურ კუთხისკენ მიუწევს გული. როცა აგონდება სოხუმი, საკუთარი ხელით ნაშენები აგარაკი ქალაქგარეთ, დადარდიანებულ თვალებს საბურველი გადაეფარება... მაგრამ, ეს დროებით, თვალები ისევ გაუბრწყინდება მომავლის იმედით... ამ იმედის ახდომას მოუთმენლად ელოდება მთელი საქართველო, აფხაზეთის დაკარგვას არასოდეს შეურიგდება ქართველი კაცი!

არ-უნდოს აღმოჩენა

მელიორაციული ღონისძიებების გატარების შედეგად აფხაზეთში სახელმწიფო მეურნეობები ეკონომიკურად საგრძნობლად მომძლავრდნენ. ბევრმა მათმა ხელმძღვანელმა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებაც დაიმსახურა. ასეთ წარჩინებულ ხელმძღვანელთა შორის თავისი წინამსწრობითა და თავისებური რიხით გამოირჩეოდა გაგრის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორი ვასილ ძნელაძე (ყოველ შემთხვევაში, ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება დატოვა). ეს პიროვნება ხშირად ახალ-ახალ მოთხოვნილებებს წაუყენებდა ხოლმე როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო მთავრობისა და პარტიის

ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებს, რომელთა სტუმრობაც მასთან არც ისე იშვიათი იყო.

ერთხელ 1982 წელს, ბატონ ვასილს ჟურნალში „ტექნიკა ი ჟიზნი“ წაუკითხავს, რომ არის ჭაობის მცენარე-ლერწამი არუნდო, რომელიც უხვ საკვებ მასას იძლევა და ყუათიანია, თანაც ეკონომიკურად ხელსაყრელი. ის სთხოვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, გაეწიათ დახმარება გაგრაში „არუნდოს“ კულტურის გასაშენებლად. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ატყდა ერთი აჟიოტაჟი (მაშინ ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ბატონი გურამ მამაცაშვილი). მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტებს დაევალათ სასწრაფოდ დაედგინათ, რას წარმოადგენდა ეს მცენარე და როგორი იყო მისი გაშენების აგროტექნიკა. სამინისტროს ხელმძღვანელობამ ამ „მეტად მნიშვნელოვანი“ საკითხის შესწავლის მისიის შესრულება მე დამავალა და მეც მეორე დღესვე მივლინებით გავემგზავრე სოხუმში.

იქ, სამმართველოში „არუნდოს“ სახელი პირველად გაიგონეს. სამმართველოს უფროსმა ალიოშა ჭაჭუამ ბევრგან გადარეკა ტელეფონით და ესაუბრა ნაცნობებს „არუნდოს“ შესახებ, მაგრამ ვერანაირი ცნობა ვერ მოიპოვა. ამიტომ, გადავწყვიტე გაგრაში ვსტუმრებოდი ბატონ ვასილ ძნელაძეს.

მე და სამმართველოს მთავარი ინჟინერი ავთანდილ ტყებუჩავა ვეწვიეთ არუნდოს მაძიებელს. მან მხოლოდ ჟურნალი გამოგვიწოდა (რომელიც მეც თან მქონდა, თბილისში ნაყიდი), სხვა ცნობა მასაც არ გააჩნდა. საუბრისა და გამოკითხვების დროს ყური მოვკარი, რომ ასეთი მცენარე შეიძლება ზუგდიდში ხარობდესო. მეორე დილით მე და ავთანდილი უკვე ზუგდიდში მივადექით წყალთა მეურნეობის სამმართველოს. უფროსმა ბატონმა მიშა ბაღიშვილმა მცენარე - არუნდო შეგვიქო და პლანტაციის დასათვალიერებლად წაგვიძღვა ზუგდიდის მემცენარეობის კვლევითი ინსტიტუტის საცდელ სადგურში. მართლაც

კარგი სანახავი იყო მაღალი, ცადასული ლერწმის ტყე, ხშირი, შოლტივით გრძელი ფოთლებით. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა შეაქო მისი ყუათიანობა და სარგებლობა მეცხოველეობისათვის, ამასთან განმარტა, რომ არუნდო კარგად ხარობს დაშრობილ მიწებზეო.

თბილისში კარგ გუნებაზე დავბრუნდი... რამდენიმე ხნის შემდეგ ცკ-ის დავალებით, ზუგდიდის საცდელი სადგურის მიერ გაგრის მეცხოველეობის კომპლექსის 0,5 ჰექტარ დაშრობილ ტორფიან ფართობზე საცდელად დაირგო სამი ათასი ძირი არუნდო.

უმაღლესი ორგანოს დავალება შესრულდა, მაგრამ... არუნდომ ტორფიან გრუნტზე გახარება ნამდვილად არ ისურვა.

ასე და ამგვარად, პრიორიტეტული დირექტორის მოთხოვნა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოცნება ოცნებად დარჩა... რა უნდა ექნა, ბატონი ვასილ ძნელაძეც შეეგუა საქმის ვითარებას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სხვა პრობლემატური საკითხი წამოჭრა - ინკიტის ტბაზე მიმდებარე ტორფიანი დაბლობის დაშრობის შესახებ. შედგინეს პროექტი 300 ჰექტარ ფართობზე ორმხრივი რეგულირების სისტემის მოსაწყობად. დიდი მოცულობისა და ღირებულების სამუშაოები შეასრულეს მშენებლებმა. მაგრამ, რა? მოკლე ხანში, ტორფიანი ტერიტორია დაშრობის შედეგად ერთნაირად დაჯდა და საჭირო გახდა დამშრობი ქსელიდან წყლის გადატუმბვა ინკოტის ტბაში. დაწვიმებითი მორწყვის ქსელი მწყობრიდან ისე გამოვიდა, რომ არც ერთხელ არ უმუშავია. ეს მეორე აკვიატებული თხოვნაც პრივილეგიური პიროვნებისა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, შეუსრულებადი აღმოჩნდა... რას ვიზამდით, ასეთი ყოფილა არუნდოს ბედი...

სიცოცხლე ზეიმობს ნაჭაობარზე!

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კოლხეთის სასისტემო სამმართველოს 1981 წელს გამოეყო ხობის ჰიდროტექნიკური უბანი და მის ბაზაზე ხობის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო შეიქმნა, რომლის სამომსახურო ზონა მოიცავს ჭურია-რიონის მასივზე გაწოლილ ვრცელ ვაკე-დაბლობს, ნაჭაობარს, დასერილსა და დაღარულს უამრავი წყალშემკრები არხებით, რომლის ფართობიც 24 ათას ჰექტარს აღემატება. მასზე გაყვანილი ღია წყალშემკრები არხების სიგრძე კი - 2276 კილომეტრს შეადგენს. დახურული დრენაჟის სიგრძე 1320 კილომეტრამდეა. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე განლაგებული წყალშემკრები ქსელის გაწმენდა - აღდგენას ემსახურებოდა სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონა (№10) და როცა არხების წმენდა დროულად, წინასწარ შედგენილი გრაფიკებით სრულდებოდა, დამშრობი სისტემაც შეწყობილად მუშაობდა, ირგვლივ ბუნებაც გახარებული და გალაღებული იყო. მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე მიწის რეფორმებმა ახალი საზრუნავი წარმოაჩინა: მთლიანი წყალშემკრები სისტემის ტექნიკური ექსპლუატაციის (მთავარი ტექნოლოგიური პროცესია არხების გაწმენდა-აღდგენა) განხორციელება ერთ ჭრილში შეუძლებელი ხდება მიწათმფლობელთა არაორგანიზებულობის გამო. წარმოუდგენელია, რომ წყალშემკრები არხების წმენდა ტარდებოდეს ნაწილ-ნაწილ ცალკეულ მიწათმფლობელთა ინტერესებისა და დაქუცმაცებული ნაკვეთების მიხედვით.

დაშრობილ მიწებზე უნდა მოქმედებდეს სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონა, რომელიც ძირითადად წყალშემკრები არხების აღდგენა-გამართვას მოემსხაურება (როგორც ეს წინათ იყო) და არხების წმენდის სამუშაოებს ჩაატარებს მხოლოდ დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის

წესების დაცვით - წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული გრაფიკებით.

ხობის რაიონი ხომ კოლხეთის შუაგულს - ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომაც იყო, ყველაზე მეტად აქ რომ გამობრწყინდა კოლხური მიწის ბარაქა! დაშრობილ მიწებზე აღმოცენდნენ ახალი, კეთილმოწყობილი, მშვენიერი სოფლები, დაფუძდნენ მძლავრი სახელმწიფო მეურნეობები. სუბტროპიკული მცენარეებიც ადვილად შეეგუენ ნაყოფიერ მიწას და თბილ კოლხურ კლიმატს. ნაცადი ხელმძღვანელების უანგარო შრომით კი რაიონული ცენტრიც დამშვენდა კულტ-საგანმანათლებლო-საყოფაცხოვრებო, სპორტნაგებობებით, ისეთებით, რომლებიც ხანდაზმულ, ძველფუძიან ქალაქსაც რომ შეეფერება!

დამშრობი სისტემების ტექნიკურ ექსპლუატაციის პარალელურად, სამმართველოს ევალება წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოების წარმოება, რაც მდინარეების: ჭანისწყლის, ხობისა და რაიონის ნაპირების გამაგრებას ითვალისწინებს. მდინარე ჭანისწყალზე გამოცდა გაიარა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ოთარ სიჭინავას მიერ შემოთავაზებულმა მეთოდმა - ნაპირების გამაგრებამ ავტომანქანათა ნახმარი საბურავებით. ექსპერიმენტმა კარგი შედეგი მოგვცა და ეკონომიკურადაც გამართლებული გამოდგა...

ოთხმოციან წლებში რაიონს სარწყავი მიწებიც შეემატა. „მცირე მელიორაციის“ სახსრებით ამოქმედდა საჯიჯაო-ხიბულის მექანიკური სარწყავი სისტემა, 900-მდე ჰექტარი მიწების მოსარწყავად. თუმცა, თუ არ ვცდები, ამ სისტემით რწყვას მაინცდამაინც არ დახარბებულან ადგილობრივნი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღეს იქ არც სატუმბი სადგურია და არც სარწყავი ქსელი, რომელიც სოფლის კუთვნილება იყო.

ახალი საექსპლუატაციო სამმართველო ჩამოაყალიბა კოლხეთის სასისტემო სამმართველოს უფროსმა, დარგის გამოცდილმა სპეციალისტმა ვალერიან სანიკიძემ, სამწუხაროდ, მას დიდხანს არ მოუხდა ამ თანამდებობაზე მოღვაწეობა, ნაადრევი გარ-

დაცვალების გამო. 1987 წელს სამმართველოს უფროსად მთავარი ინჟინერი ჯაჯუ შუშანია დააწინაურეს, რომელიც 1995 წელს ახალგაზრდა ინჟინერმა გია ბუკიამ შეცვალა.

დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციების შექმნა და საექსპლუატაციო სამმართველოს კოლექტივის პროფესიულ-ენერგიული შრომა ხელს შეუწყობს დამშრობი სისტემის რითმულად მუშაობას კოლხეთის ნაჭაობარ მიწაზე.

სენაკის შემოგარენი

ჭურია-რიონის (ხობის) მასივებს აღმოსავლეთით ესაზღვრება ცივი - ტეხურის მასივი. ამ ორი მეზობელი მასივის წყალშემკრები არხებიდან წყალი ჩაედინება ერთ მთავარ წყალგამტარ მაგისტრალურ არხში (მ-1) და იქ, სადაც მაგისტრალური არხი კვეთს მდინარეებს: ცივსა და ტეხურს, მოწყობილია მნიშვნელოვანი ჰიდროტექნიკური ნაგებობები... 3-ძაფიანი დიუკერები... პირველ წლებში ეს ნაგებობები ნორმალურად არეგულირებდნენ წყლის მაქსიმალურ ხარჯებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც წყალდიდობის შედეგად ტეხურის დიუკერი დაზიანდა, ის საპროექტო ფუნქციას ვერ ასრულებს.

ცივი-ტეხურის მასივის დამშრობ სისტემას ტექნიკურ ექსპლუატაციას სენაკის (ყოფ. ცხაკაიას) მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო უწევდა, რომელიც 1981 წ. ჩამოყალიბდა.

დაშრობილი მასივის 8790 ჰექტარ ჰოხიერ მიწებზე გაშენდა ისეთი ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები, როგორიცაა დაფნა და ციტრუსები. შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზირებული სახელმწიფო მეურნეობა და მეცხოველეობის კომპლექსი.

ამ მეურნეობათა რენტაბელობა საყოველთაოდ იყო ცნობილი, ოაგრამ სახელმწიფო წყობის შეცვლის შემდეგ მათი არსებობა მოგონებად დარჩა.

მაგისტრალური არხის დიუკერი მდ. ტეხურზე კარგა ხანია დაზიანებულია და აღდგენას საჭიროებს, რის გამოც ნიალვრების დროს მაგისტრალური არხის მიმდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი იტბორება. საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტების წინადადებით, დიუკერის დაზიანებული ნაწილის აღდგენა რაკი რთულია, მიზანშეწონილად ჩათვალეს დიუკერთან აშენდეს გადამტუმბავი სადგური. მშენებლობაც დაწყებული იყო, მაგრამ შეწყდა არეულობის დროს (1991-1993 წწ.) და რაც გაკეთდა, ისიც დაინგრა და განადგურდა. ასე რომ, კარგად ცნობილი ტეხურას დიუკერის აღდგენის პრობლემა, სამწუხაროდ, ისევ მოსაგვარებელია!

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, ხანგრძლივი გვალვის გამო წამოიჭრა საკითხი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავების შესახებ. ამ მიზნით, „მცირე მელიორაციის" სახსრებით სოფლებში ლეძაძამესა და ზანაში აშენდა სატუმბი სადგურები, შესაბამისად, 92 და 105 ჰექტარი ფართობების მოსარწყავად. ამაოდ გაისარჯენ დამკვეთნი და შემსრულებლებიც. ამ ზონაში მორწყვის საჭიროება იშვიათი იყო და ამიტომაც, სატუმბი სადგურები სრული დატვირთვით არც გამოუყენებიათ. ასე რომ, რწყვის ტრადიციამ სენაკის რაიონში ვერ მოიკიდა ფეხი.

სენაკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ძირითადი ფუნქცია დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამსახურის ორგანიზება და მელიორირებული მიწების მაღალი ნაყოფიერების შენარჩუნება იყო. ამ მხრივ სამმართველოს კოლექტივი მოწოდების სიმაღლეზე იდგა: ექსპლუატაციის სამსახურს ეკისრებოდა, აგრეთვე, წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაც.

სამმართველოს უფროსად დაინიშნა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი მარლენ ფაცაცია (აბაშის სამმართველოს ყოფილი უფროსი),

ხოლო 1985 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს ამავე სამმართველოს მთავარი ინჟინერი გია გეგენავა.

2001 წლის მიწურულს სენაკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო გაუქმდა და როგორც ჰიდროტექნიკური უბანი დაექვემდებარა ახალშექმნილ, ქვემოთ მოხსენებულ აბაშის, უფრო სწორად, ცხენისწყალი-ცივის მასივის სამმართველოს.

* * *

ორიოდე სიტყვა სენაკის რაიონის საყოველთაოდ ცნობილ ძეგლებზე;

სენაკიდან არც ისე შორს, აღმოსავლეთით, მდინარე ტეხურის პირას მდებარეობს სოფელი ნოქალაქევი, რომელიც განთქმულია უძველესი ისტორიული ძეგლებითა და თერმული წყლებით. ეს მხარე არქეოლოგების ყურადღების ცენტრში იყო მუდამ და საფუძვლიანადაც არის შესწავლილი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ მამულიშვილს, აკადემიკოს ანდრია აფაქიძეს.

ნოქალაქევის უძველესი სახელწოდებაა „ციხე-გოჯი“ ბერძნულად - „არქეოპოლისი“, რომელიც ორი სიტყვისაგან შედგება: „არქაია“ - რაც ნიშნავს ძველს, ხოლო „პოლის“ - ქალაქს, ან ძველ ქალაქს ე.ი. ნოქალაქევის უძველესი სახელი ყოფილა „არქეოპოლისი“, ის ამ ქალაქის ადგილობრივი, ქართული სახელის ბერძნულ ენაზე ნათარგმნად უნდა მივიჩნიოთო - ამბობს სახელოვანი ქართველი მკვლევარი ბატონი ანდრია აფაქიძე და განაგრძობს: „ბიზანტიელი ისტორიკოსების აზრით, „ძველი ქალაქი“ ლაზიკის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, „ციხე გოჯი“, „ძველი ქალაქი“ („არქეოპოლისი“) ნოქალაქევი - ეს ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქი - ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდის მოწმე და მონაწილე ყოფილა. მას დიდხ-

ანს არ დაუკარგავს პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემდეგაც"*

რაც შეეხება ნოქალაქევის ცხელ წყლებს, მათი ქებათა-ქება ბავშვობის დროსაც მსმენია. სენაკი განთქმულია, აგრეთვე, კურორტ მენჯის სამკურნალო წყლებითაც.

წყალდიდობას შეჭიდებულნი

კოლხეთის დაბლობზე ივაკებენ დასავლეთის მთის ნაკადულები და ღვარული წვიმების შემდეგ ვეებერთელა მდინარეებად ქცეულნი, შიშის ზარს ცემენ ბარელებს და მთიელებსაც.

ჩემი ბავშვობის დროინდელი საყვარელი აბაშის რაიონის ადგილ-მამულიც ხომ ირგვლივ სიავით განთქმული მდინარეებით არის შებოჭილი. მას აღმოსავლეთით ცხენისწყალი ჩამოუდის - წყალმცირეობის დროს მშვიდი, თვინიერი, გამჭვირვალე, მაგრამ მთაში მოსული ნიაღვრების შემდეგ გულფიცხ ცხენივით გააებული, გაშავებული და გაშმაგებული შემაშფოთებელი სანახავია. აზვირთებული მდინარე ზათქით რომ მიაგორებს მთის გულიდან მოგლეჯილ ვეება სიპ ქვებს. დასავლეთით ამ დიდი მდინარის პარტნიორია შედარებით პატარა, სუფთა, კამკამა, ზაფხულობით ბავშვების საჭყუმპალაო მშვიდი მდინარე აბაშა, თუმცა, იმანაც იცის კოკისპირული წვიმების შემდეგ ადიდება და მოსახლეობის აწიოკება... ნოღელაც ხომ მდინარეა, რომელიც ხსენებულ მდინარეთა შუაში ჩამოედინება. ის თითქოს ადამიანს წისქვილებისათვის კარგად გამოუყენებია, მაგრამ ადიდება მასაც ჩვევია, მხოლოდ არა ისეთი სიავით.

---

* „ძეგლის მეგობარი", 1964, №19, გვ. 13

ყველა ამათგანის დედა მდინარე რიონი გახლავთ, რომელიც სამხრეთით ჩამოუდის აბაშის სახელგანთქმულ ანჯელის მიწებს.

დამეთანხმებით, რომ წყალდიდობით განთქმულ მრისხანე მდინარეებს ძლიერი მოთოკვა - მოთვინიერება სჭირდება და სწორედ ამ კეთილშობილურ საქმეს უანგაროდ ემსახურებიან ჩვენი მუყაითი ჰიდროტექნიკოსები, წყალთა მეურნეობის სისტემის თავდადებული მუშაკები, ისინი გულითადი ენთუზიაზმით ეჭიდებიან გამძვინვარებულ მდინარეებს.

აბაშის რაიონში წინათ არც სარწყავი მიწები იყო და არც დაშრობილი, მაგრამ 1933 წელს მაინც შეიქმნა აქ წყალსამეურნეო ორგანიზაცია - წყალთა რაიონის სამმართველო, რომელსაც დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულება დაევალა მდინარეებზე წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად. მაშინ, როგორც წესი, ამ ღონისძიებებზე სამუშაოების სახეობასა და მოცულობას რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებდა და სამუშაოების მიმდინარეობას მთავრობის მიერ შექმნილი საგანგებო კომისია უწევდა კონტროლს. ამდენად, მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებების დროულად ჩატარება. ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში კი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეტისმეტად მცირე დაფინანსების გამო, ცხადია, წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები უმნიშვნელო მოცულობით სრულდება, რის გამოც მდინარეებზე საშიში კერებიც მომრავლდა და წყალდიდობისგან დატბორებისა და წალეკვის საშიშროების არეალი დღითი დღე მატულობს, რასაც ძირითადად ხელს უწყობს, აგრეთვე, მდინარეთა კალაპოტში პატარ-პატარა ე.წ. კუნძულების მომრავლება. ეს მოვლენა ცნობილია, მაგრამ მისი საწინააღმდეგო ღონისძიების განხორციელებისათვის დიდი ოდენობის სახსრებია საჭირო... ალბათ, დადგება დრო, როდესაც მდინარეთა კალაპოტების გაწმენდას მასში დაგროვილ ხრეშოვანი მასისგან (კუნძულებისგან) მეტი ყურადღება დაეთმობა.

როგორც ცნობილია, დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კოლხეთის დაბლობზე ფართოდ გაიშალა ჭაობების დაშრობის სამუშაოები, მათ შორის ტეხური-ნოღელას მასივზეც. 14550 ჰექტარ მიწებზე გაიზარდა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების წარმოება და შეიქმნა მეცხოველეობის ახალი მეურნეობები. რაც შეეხება რაიონში მორწყვით მელიორაციას, ეს საკითხი არასდროს არ დასმულა, რადგან ნიადაგში ტენის დეფიციტი იშვიათი შემთხვევა იყო, ათასში ერთხელ თუ იქნებოდა გვალვა და მაშინ ბოსტნის მოსარწყავად წისქვილის რუებს იყენებდნენ ხოლმე, სადაც ამის საშუალება იქნებოდა. მაგრამ, აი, როცა საბჭოთა კავშირში გახმაურებული „მცირე მელიორაციის“ ღონისძიებანი საქართველოშიც აიტაცეს, მაშინ აბაშის რაიონშიც დაიგეგმა და შემდეგ განხორციელდა მცირე სიმძლავრის მექანიკური მორწყვის სისტემების მშენებლობა, ზოგან დაწვიმებით მორწყვისათვისაც კი. სეფიეთის (1973 წ.), ტყვირის, სუჯუნისა და ეწერის (1976 წ.) და ნოღელა - ცხენისწყლის (1982 წ.) სარწყავი სისტემები ემსახურებოდა 2585 ჰექტარი ფართობის მორწყვას. ემსახურებოდაო ვამბობთ, თორემ, ფაქტობრივად, არც არასდროს არ მორწყულა, ისე გაუვიდათ მათ სამოქმედოდ დაწესებული საამორტიზაციო ვადა.

აბაშაში შექმნილ წყალსამეურნეო ორგანიზაციას, წყალთა რაიონს, დაარსებიდანვე ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ინჟინერი ვანო გვარჯალაძე, რომელიც 26 წელიწადი მოღვაწეობდა ამ თანამდებობაზე.

1959 წელს აბაშის სასისტემო სამმართველო შეუერთდა კოლხეთის სასისტემო სამმართველოს, რომელიც ტერიტორიულად ქალაქ ფოთში, კოლხეთმშენის შენობაში იმყოფებოდა. 1963 წელს აბაშის ჰიდროტექნიკური უბანი წულუკიძის (ხონის) სასისტემო სამმართველოს დაქვემდებარებაში გადავიდა.

1967 წელს ისევ შეიქმნა აბაშის სასისტემო სამმართველო, რომლის უფროსად დაინიშნა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი იაშა კოდუა. ზემდგომ ორგანოებში ბატონ იაშას დაწინაურების შემ-

დეგ სამმართველოს უფროსები იყვნენ: ელვარდი დანელია, მარლენ ფაცაცია, ალექსანდრე ჯაკონია. 1986 წელს სამმართველოს უფროსად დაინიშნა ინჟინერ-მელიორატორი თამაზ კაჭარავა. ამ სამმართველოს შრომისმოყვარე კოლექტივის და მისი თავკაცის დამსახურებაა, რომ 1993 წლიდან მოყოლებული მთლიანად იქნა შენარჩუნებული და დაცული როგორც მიწის სათხრელი მექანიზმები, ისე ავტოსატრანსპორტო პარკი და შენობა-ნაგებობები, რის შედეგადაც სამმართველოს შეუფერხებლად შეუძლია წყალსამეურნეო ობიექტებზე შეასრულოს ნებისმიერი სახის და მოცულობის სამუშაო.

2001 წლის დამლევს კოლხეთის ზონის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამი სამმართველო: აბაშის, სენაკისა და მარტვილისა გაერთიანდა და შეიქმნა ცხენისწყალი-ცივის მასივის დამშრობი სისტემების სარაიონთაშორისო სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელი ქ. აბაშაში დამკვიდრდა. რაც შეეხება სარწყავ ლოკალურ სისტემებს, ხანდაზმულობისა და მათი გამოუყენებლობის გამო, ჩამოიწერა სამივე სამმართველოში.

აბაშიდან ორ ათეულ კილომეტრზეა მარტვილის რაიონის ცენტრი; ეს კუთხე არც მშრალ და არც ძალიან ჭარბტენიან ზონას მიეკუთვნება, მაგრამ წყალთა მეურნეობის ხაზით სამუშაოები აქ არც ისე ცოტაა. მდინარეები ცხენისწყალი და აბაშა, როგორც მოგახსენეთ, გაზაფხულ-შემოდგომის ხშირი ნიაღვრების დროს „გიჟდებიან", ძლიერ მოდიდებული დიდ ზიანს აყენებენ მოსახლეობას, წალეკვით ემუქრებიან სოფლების ხოდაბუნებს, ამიტომ, მდინარის ნაპირების გამაგრებას გაბიონის სახის ჯებირებით დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ საიმედო და სასიკეთო საქმეს კარგად არის დაუფლებული ადგილობრივი მკვიდრი, ინჟინერი იაშა სურმავა, რომელიც ორმოც წელზე მეტია რაც წყალთა მეურნეობის სისტემაში მუშაობს, წყნარად, თავმდაბლად. 1985 წელს, როცა გეგეჭკორის (მარტვილი) მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმო შეიქმნა, რომლის უფროსად ბატონი იაშა დაინიშნა, მაშინ რაიონში

სამი სარწყავი სისტემა ფუნქციონირებდა: ორი მექანიკური და ერთი თვითდინებითი. სარწყავი ფართობი შეადგენდა 918 ჰექტარს, მაგრამ აქაური კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები არ ესადაგება სარწყავი მიწათმოქმედების დამკვიდრებას, რის შედეგად დიდი ჭყონისა და ვედიტკარის სატუმბ სადგურებს არც კი უმუშავიათ. ამგვარად, სენაკის მსგავსად მარტვილშიაც „მცირე მელიორაციამ" ფესვები ვერ მოიმაგრა და იქ დამკვიდრება ვერ შეძლო.

რაც შეეხება დაჭაობებული ტერიტორიის დაშრობის სამუშაოებს, ის წარმატებით ჩატარდა ვედიდკარის მასივზე, 1984 წლიდან 2810 ჰექტარი დაშრობილი და გაჯანსაღებული ხოდაბუნები შეემატა მარტვილელთა სახნავ-სათესი მიწების ფონდს.

აქვე ცოტა რამ მარტვილის წარსულზე: ძველი დასახლებული ადგილის თავდაპირველი სახელწოდება ჭყონდიდი ყოფილა, თამარ მეფის მწიგნობართუხუცესის, ახალგაზრდობაში სახელგანთქმული მოლაშქრისა და მხედართმთავრის, დავით სოსლანის თანამოსაგრე ანტონ ჭყონდიდელის აკვანიც აქ დარწეულა, ფეხიც აქ აუდგამს.

სიტყვა „მარტვილი" ნიშნავს „ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულს", ტანჯულს. VII საუკუნის პირველ ნახევარში აქ მარტვილის სახელზე ეკლესია აუგიათ, რომელსაც ჰჭყონდიდის მარტვილის ეკლესია ერქვა და რომელიც შუა საუკუნეების ქართული კულტურის კერა გამხდარა; X საუკუნეში კი აქ ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრალი დაარსებულა.

უძველესი ძეგლი - მარტვილის ეკლესია, დღესაც მოქმედია და ერის სამსახურში დგას.

მორწყვას მთაშიც პატივს სცემენ

აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთაგორიანია და ამიტომ, მიწათმოქმედებისათვის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებიც სხვადასხვანაირია. მაგალითად, მაღალმთიან ზონაში გვალვა ხშირი მოვლენაა, დაბლობში კი ნალექების ჭარბი რაოდენობა ზედმეტ ტენიანობას იწვევს. ამიტომ, პირველ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა აუცილებლობას თუ წარმოადგენს ერთ-ორჯერ მაინც, მეორე შემთხვევაში - ჭარბი წყლის მოცილებაა საჭირო.

მთაგორიან ზონაში სარწყავი არხები ადგილობრივი ნაკადულებიდანაა გაყვანილი. მდინარე აჭარისწყალი ბოლო ხანებში გამოყენებული იქნა მოსარწყავად მხოლოდ სატუმბი სადგურების საშუალებით. რაც შეეხება მდინარე ჭოროხს, მისი სარწყავად გამოყენება ძნელია, შეუძლებელიც კი. აკი ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავდა, რომ ჭოროხი ურგები მდინარეა რწყვისათვისო.

აჭარაში ინჟინრული სარწყავი სისტემები საერთოდ არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალაშენებულ მექანიკური მორწყვის სისტემებს.

1931 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აჭარაში ირწყვებოდა 4124 ჰექტარი ფართობი, შემდეგ წლებში სარწყავი ფართობი გაორმაგდა ახალი არხებისა და სატუმბი სადგურების აშენებით. გაიყვანეს თვითდინების არხები: კორტოხის (1933), ხარაულის (1935), სხეფის (1937), მარწყალთის (1948), ჯაბნიძეების (1949); ამუშავდა მექანიკური მორწყვის სისტემები: განახლების (1935), დეკანოზიშვილების (1945), კვაშტას (1954), ცინარეთის (1961), ცეკვა-ვარჯანაულის (1977), ნენია-ფურტიის (1987), კვაშტა-ვაიოს (1987), ოქტომბრის I და II აწევის (1988) და სხვა.

2000 წლის მდგომარეობით აჭარაში სარწყავი მიწები ირიცხება სულ 8653 ჰექტარი, მაგრამ, სათანადო დაზუსტე-

ბის შედეგად იგი რამდენადმე შემცირდება, რადგან 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების დროს ზოგიერთი სატუმბი სადგური მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, ზოგიც მეწყერმა ისე დააზიანა, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია. ასეთი ბედი ეწია ცეკვა-ვარჯანაულისა და ნენია-ფურტიოს სატუმბ სადგურებსაც. შუახევისა და ხულოს რაიონში კი დამეწყრილი და გაძარცული სატუმბი სადგურების აღდგენის იმედი მოკლე ხანში, ალბათ, არ უნდა გვქონდეს. ყველაფერი დამოკიდებულია ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

* * *

ბათუმში ბევრჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ აჭარა მარტო ბათუმი ხომ არ არის. დიდი სურვილი მქონდა აჭარის ლამაზი, თვალწარმტაცი ბუნებაც დამეთვალიერებინა. და, აი, 1985 წელს მივლინებით მივემგზავრები აჭარაში, რათა იქ გავეცნო, რას აკეთებს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო წყალდიდობის საწინააღმდეგოდ.

ბათუმში, სამმართველოში მისი უფროსი ბატონი ალექსანდრე ძნელაძე დამხვდა, ვისთვისაც მოულოდნელი იყო ჩემი სტუმრობა, ესიამოვნა, როცა ჩემი ჩასვლის მიზანის შესახებ ვუთხარი. ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ იმ მოედანზე გავედით, სადაც დიდ ფაცი-ფუცში იყვნენ. ემზადებოდნენ ობიექტზე წასასვლელად. იტვირთებოდა ავტომანქანები ბეტონის კუბურებით, რკინისა და ხე-ტყის მასალით... მუშებს თავს დასტრიალებდა მთავარი ინჟინერი ზურაბ ლორთქიფანიძე. ალექსანდრე მეუბნება - ამ გაზაფხულზე ჭოროხი უკვე მერამდენედ გვიტევს... ახლა ხელვაჩაურის გზასთან ახლოს გაჩნდაო საშიში კერა. დაგვიზიანა დიდი ხნის წინათ აგებული ბეტონის კუბურების დეზის ტიპის ჯებირი და სასწრაფოდ თუ არ გავამაგრეთ, შეიძლება დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთო. მე და ალექსანდრე ობიექტზე გავემგზავრეთ მისი „ვილისით". იგი გზაში

მიყვება, რომ მდინარეებზე ბეტონის კუბურების წყობისა და გაბიონის ტიპის ჯებირების მოწყობით ასეული ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც წყალდიდობების დროს წაილეკა, ისევ დააბრუნეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში. ახლა, სადაც სამუშაოები უნდა ჩაატარონ, 100 ჰექტარ ფართობს ემუქრება წალეკვა, ჭოროხი ძნელად მოსათოკი მდინარეა, მაგრამ აჭარელი ჰიდროტექნიკოსებიც მაგრად დგანან... ყოველთვის მზად არიან ჭოროხის ყოველ შემოტევას გაუმკლავდნენ...

აი, საშიში ობიექტიც... ზურაბი განკარგულებებს იძლევა, მუშაობა გაჩაღდა. მანქანა მანქანას მოსდევს, ხუთტონიანი ბეტონის კუბურები წყალში იყრება მინიშნებულ ადგილას და ბათქაბუთქით ჩაყურყუმელავდება აქაფებულ მდინარეში... მზე თანდათან ეშვება ზღვის ჰორიზონტზე და როგორც იქნა, წყლის დინებას გეზი შეეცვალა, ის შებოჭეს და სასურველ კალაპოტში ჩააყენეს, მოათვინიერეს, დაზიანებული დეზი საიმედოდ გაამაგრეს.. მუშებმა, ავტომანქანებმა და ამწე-მექანიზმებმა გეზი ბათუმისკენ აიღეს, ალექსანდრემ ბოდიში მომიხადა: შემოგვაღამდა და სხვა ობიექტზე ველარ წაგიყვანეო... მანქანაში ჩავსხედით... მანქანა მიდის, ჩვენ ვსაუბრობთ. უკვე კარგად დაბინდდა, გზას ვაკვირდები, მაგრამ სიბნელეში კარგად ვერ ვარჩევ, ბათუმი კი არ ჩანს თავის შუქურათი... გაჩირაღდნებული ქუჩებით. თუმცა, ვგრძნობ, ნაცვლად იმისა, რომ მანქანა თავისუფლად ეშვებოდეს ზღვისკენ, აღმართ-აღმართ, მაღლა მიდის, მეორე სიჩქარით... ვეკითხები ალექსანდრეს - საით მივდივართ? მგონი სხვა გზაზე ვართ-მეთქი. ის დამშვიდებული მპასუხობს - აქვე, ერთი კაცი უნდა ვნახოვო... რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა გაჩერდა... ეს ხელვაჩაურია ამხანაგო ალიოშა, გადმობრძანდით, ცოტა ხანი შევისვენოთ და მერე... წინადადება არ დაუმთავრებია... მე აზრზე ვერ მოვედი, გადმოვედი მანქანიდან, ამასობაში იქაურობა განათდა, გამოჩნდა სახლი, ეზო, ალექსანდრემ ჭიშკარი შეაღო და მიმიპატიჟაეს ჩემი სახლია. ახლა ბათუმში წასვლას აზრი არ აქვს, აქ, ჩემთან დავისვენოთო. შემოგვეგება მეუღლე, გააცნო ჩემი თავი,

შევატყვე ქალბატონი შეცბა ასე მოულოდნელად უცხო სტუ-მარი რომ დააყენა თავზე. ალექსანდრეც მიუხვდა და დაამშვიდა. მოუბოდიშა, ვერ შეგატყობინე დროზეო (მაშინ ჯერ მობილ-ური ტელეფონები არ იყო შემოტანილი), პირდაპირ სამუშაოდან მოვდივართ და რაც გაქვს იმას დავყაბულდებითო... საპატივსაცემ-ლოდ მეზობელიც მოიწვია, კარგი სუფრაც გაიშალა და ბევრი ვისაუბრეთ.

მეორე დილით დიდად დავტკბი ბუნების სილამაზითა და მთის სუფთა, გამჭვირვალე ჰაერით... ტკბილი ოჯახი აქვს ბატონ ალექსანდრეს, სტუმართმოყვარე... ზრდილი შვილები და შვილიშვილები, თვითონაც ხომ არის და არის... დილი-დანვე ქედასა და ხულოში უნდა წავიდეთ, მაგრამ ბათუმში საშვის აღება რომ ვერ მოვასწარით? რა ვქნათ-მეთქი, ვე-კითხები ალექსანდრეს. ვცადოთ, შეიძლება საგუშაგოზე მოვახერხოთ საშვის გაფორმებაო. ასეც მოხდა. მანქანით შევუდექით ქედის გზას... დაკლაკნილი გზა სულ მაღლა-მაღლა მიიწევს... თვალწარმტაცია თავისი სილამაზით აჭარისწყლის ხეობა... ქედაში, შუახევსა და ხულოში სარწყავ არხებს შენი თვალით თუ არ იხილავ, ისე ვერ წარმოიდგენ, თუ როგორი რუდუნებით გაუყვანიათ ისინი ციცაბო ფერდობებზე... ალაგ-ალაგ წყალსადენი მილები ისე მოჩანს შორიდან, თითქოს ცაზეა ჩამოკიდულიო...

რთულია აჭარის მთაგორიანი სოფლების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა მცირედებეტიანი წყაროებით, არადა, შუა ზაფ-ხულში ერთხელ მაინც თუ არ მიაწოდე წყალი უკვე გახარე-ბულ პლანტაციებს, მთელი შრომა დაკარგულია, მოსავალს ვერ მიიღებენ. ამიტომაა, ამ მხარეში რწყვას დიდ პატივს რომ მიაგებენ და გულისხმიერად ეკიდებიან. ვისაც არ უნახავს ცეკვა-ვარჯანაულის არხი, ანუ ქედის, ხულოს და შუახევის მთებში გაყვანილი პატარ-პატარა რუები, რომელთა რიცხვიც ასამდე იქნება, გაუძნელდება ისინი შეადაროს ვაკე-მინდორზე გაყვანილ სარწყავ სისტემებს, მათ მოვლა-შენახვას, წყლის

მართვას; რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მთიან ზონაში ძალზე რთული და ძნელი მოსაწესრიგებელია.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ სამმართველო დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს, აგრეთვე, წყალდიდობისაგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასაცავად. შედეგიც თვალსაჩინოა, წყალდიდობის დროს მიტაცებული ასეული ჰექტარი ნაყოფიერი მიწის ფართობია დაბრუნებული სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში. აჭარის მხარისათვის მნიშვნელოვან საკითხს, მელიორაციაში, წარმოადგენდა აგრეთვე, დაბლობში ჭაობების დაშრობა. ოცდაათიან წლებში ა. ყომარაული, იმ დროისათვის წყალთა მეურნეობის დიდი მოამაგე, წერდა: „...მდინარეების - ჭოროხსა და სუფსას შორის ზღვის ზოლის უმეტესი ნაწილი დაჭაობებული ან ჭარბტენიანია, ამიტომ აქ ათასობით ჰექტარი მიწის ფართობი გამოუყენებელი რჩება და ყველგან მალარიაა მოდებული.

ჭაობების დაშრობის შემდეგ ფართოდ შეიძლება მისი გამოყენება ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ქვეშ, მოისპობა მალარია და განვითარდება საკურორტო მშენებლობა“.

არც ისე დიდი ხნის წინათ ასე გამოიყურებოდა ზღვის სანაპირო ზოლი აჭარაში.

პირველად ჭაობების დაშრობის სამუშაოები დაიწყო ქობულეთში, სადაც 1928 წელს 950 ჰექტარი დაშრობილი მიწა ჩადგა ხალხის სამსახურში. შემდეგ, ცნობილი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის პეტრე მამრაძის ხელმძღვანელობით, გაგრძელდა საკვლევ-საძიებო და საპროექტო სამუშაოები ქობულეთის დაბლობის მთლიანი ფართობის დასაშრობად.

როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, აჭარაშიც ჯერ კიდევ 1923 წელს შეიქმნა აჭარის წყალთა ოლქი, რომლის დაქვემდებარებაში შედიოდა ოზურგეთის მაზრა. 1930 წელს, წყალთა ოლქი აქაც გაუქმდა და იგი აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეცვალა. 1940 წელს აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა ახალგზარდა

ინჟინერი, ხელვაჩაურის მკვიდრი, ირაკლი ლორთქიფანიძე, რომელიც, როგორც სპეციალისტი და ხელმძღვანელი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში. სამ ათეულ წელზე მეტხანს, დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე ერთგულად ემსახურა ბატონი ირაკლი საყვარელ პროფესიას.

1971-1973 წლებში სამმართველოს უფროსად მუშაობდა დ. მამულაძე. შემდეგ კი, აჭარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა ზემოთ გაცნობილი ალექსანდრე ძნელაძე, ისიც ხელვაჩაურის მკვიდრია. ჩვიდმეტი წელიწადი უანგაროდ, უმწიკვლოდ და ერთგულად ემსახურა ამ დიდად კეთილშობილურ დარგს. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ 1991 წელს მან ესტაფეტა გადასცა თანამოსაგრეს, სამმართველოს მთავარ ინჟინერს ზურაბ ლორთქიფანიძეს. ზურაბი ამ სამმართველოში აღიზარდა, აქ ეზიარა პროფესიულ საქმიანობას, აქ გაიარა მან შრომის ყველა საფეხური სამმართველოს უფროსობამდე. მამის სახელოვანი ტრადიცია გააგრძელა, მაგრამ, ვაი, რომ არ დასცალდა დიდხანს ყოფნა ამ თანამდებობაზე. მძიმე ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. ამიტომ, 2001 წელს ხელმძღვანელობა მთავარ ინჟინერს, იოსებ ზოიძეს გადაულოცა. იოსებიც ამ სახელოვან კოლექტივშია აღზრდილი, ის რიგითი ინჟინრიდან ჯერ მთავარ ინჟინრად დააწინაურეს, შემდეგ კი - სამმართველოს უფროსად.

* * *

აჭარის დაბლობზე, ზღვისპირა ზონაში ჭაობების დაშრობის სამუშაოები ფართოდ იყო გაშლილი ტრესტ „კოლხეთმშენის“ მიერ ქობულეთის რაიონში.

ასრულდა ძველი თაობის მელიორატორთა ჩანაფიქრი და ოცნება, ქობულეთის ვრცელი ტერიტორია და შავი ზღვისპირა

ზოლი მთლიანად დააშრეს, მდინარე სუფსიდან ბათუმამდე ზღვის მიმდებარე ტერიტორია ციტრუსების ბაღებითაა დამშვენებული, გაჯანსაღდა კლიმატი, დამარცხდა მალარია და ქობულეთმა სახელი გაითქვა, როგორც ჯანმრთელობის გაკაჟების საკურორტო კერამ, მაგრამ დროთა განმავლობაში დამშრობი სისტემა მწყობრიდან გამოვიდა. მისი აღდგენის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, 1996 წელს აჭარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამოეყო ქობულეთის ჰიდროტექნიკური უბანი და მის ბაზაზე ქობულეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო შეიქმნა, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს ქობულეთის რაიონში ჰიდროსამელიორაციო სამუშაოების ფართოდ გაშლასა და დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის გაუმჯობესებას, უკუდაჭაობების პროცესის შეჩერებას.

ადგილობრივი მკვიდრის, ინჟინერ მურადი კუტუბიძის ხელმძღვანელობით, კვალიფიციური სპეციალისტებისგან შექმნილმა კოლექტივმა თავიდანვე მუყაითად დაიწყო დამშრობი სისტემების წესრიგში მოყვანა.

ქობულეთის რაიონის ზღვისპირა ზოლში ისევ დაშრება ჭაობები, უფრო გაჯანსაღდება კლიმატი, მუდამჟამს იშრიალებენ მარადმწვანე ციტრუსები.

რიონიდან - ჩოლოქამდე

კოლხეთის დაბლობის საუკუნოვანი ჭაობების დაბოლოება ლანჩხუთის რაიონშია. ჭაობის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობის ფრონტი ნიგოეთის ცნობილ ჭაობსაც მიადგა, სადაც დაშრობის სამუშაოები 1934 წელს დაიწყო. სწორედ ამ დროს მომიხდა იქ ჩასვლა ტექნიკოსს - მიწის სათხრელი მექანიზმების ქრონომეტრაჟის ჩასატარებლად. თვალუწვდენელი ტრიალი მინდორი მთლიანად დაჭაობებული იყო, ლელიან-ჩალამკალმიან ტერიტორიაზე წყალი იდგა. ამ უბანზე ორი ექსკავატორიღა მუშაობდა, დღედაღამ - განუწყვეტლივ. ახლა, როცა წარსულში ნანახს ვიხსენებ, მიკვირს, როგორი ენთუზიაზმით, მონდომებით, თავდადებულად შრომობდნენ ადამიანები... მიუხედავად იმისა, რომ მათი საყოფაცხოვრებო პირობები ამჟამინდელზე ბევრად უარესი გახლდათ.

ახლა ნიგოეთის ნაჭაობარ მიწებზე გაშენებულია ჩაის, ტუნგოს, დაფნისა და სხვა სუბტროპიკული კულტურები, აქ სიმინდის უხვ მოსავალსაც იწევდნენ.

ამჟამად დაშრობილი მიწები ცამეტ ათას ჰექტარზე მეტია, აქედან, 511 ჰექტარზე დახურული დრენაჟია მოწყობილი. 7600 ჰექტარზე განლაგებულ წყალშემკრებებიდან წყალმიმღებებში წყლის გადასატუმბავად 15 სატუმბი სადგური აშენდა. დაშრობილი მიწების ათვისებაც გეგმიურად წარმოებდა, მაგრამ არასტაბიულრობის, უფრო სწორად, განუკითხაობის პერიოდში (მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში) თხუთმეტივე სატუმბი სადგური, თავისი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით, მწყობრიდან გამოვიდა. მათი აღდგენა დიდ სახსრებს მოითხოვს, ამიტომ, ალბათ, საჭირო იქნება მომავალში გამოინახოს წყლის თვითდინებით თავიდან მოცილების შესაძლებლობა.

1970 წელს ლანჩხუთის რაიონში სარწყავი სისტემაც გაჩნდა. ექსპლუატაციაში გადაეცა აკეთი-ჭანჭახის სატუმბი სად-

გური ხელოვნური დაწვიმების ქსელით, რომლითაც ირწყვებოდა 161 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. სამწუხაროდ, შიდასამეურნეო დანიშნულების სატუმბი სადგური და სარწყავი ქსელიც ხანდაზმულობის გამო მწყობრიდან გამოვიდა.

წინათ ლანჩხუთის რაიონში მოქმედი სამელიორაციო სისტემები მახარაძის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მომსახურებაში შედიოდა. 1982 წელს შეიქმნა ლანჩხუთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომლის პირველი უფროსი იყო მეცნიერი მუშაკი, ინჟინერი შუქრი უგრეხელიძე. 1983 წელს ის შეცვალა კოლეგამ, მეცნიერმა მუშაკმა, ინჟინერმა ვიქტორ მამასახლისმა, რომელსაც მთავარ ინჟინერ თეიმურაზ ბარამიძესთან ერთად მოუხდა სამმართველოს დაფუძნება: საქმიანი ეზოს და სასამსახურო შენობების აგება, მიწის სათხრელი მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა. 1993 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს ბატონი თეიმურაზ ბარამიძე.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა უარყოფითი გავლენა იქონია რეგიონებში წყალსამეურნეო საქმიანობაზე.

დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი დამშრობი სისტემების წესრიგში მოსაყვანად, რასაც ახალგაზრდული კოლექტივი, ვფიქრობ, თავს წარმატებით გაართმევს.

ახლახან რიონი-ჩოლოქის ლანჩხუთის დამშრობი სისტემების სამმართველოს შეუერთდა ოზურგეთის სამელიორაციო სისტემების სამმართველო, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებ.

გურიაში რა ვინდოდა...

გურია არ წარმოადგენს სარწყავი მიწათმოქმედების რეგიონს. მიუხედავად ამისა, ოზურგეთის რაიონში ოდითგანვე მისდევდნენ რწყვას. ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ორი არხი მოქმედებდა: ცრემლისხიდის და ვაკიჯვრისა, შემდეგ კი მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით გაიყვანა ბახვის, ბალდადის, კახურის, ლიხაურის, გომის, შემოქმედის არხები და თუ ვერწმუნებით გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს (იმ დროის აღრიცხვის მასალებს რომ არ დაუჯერო, არ შეიძლება), 1931 წელს ოზურგეთის რაიონში ფაქტობრივი სარწყავი ფართობი შეადგენდა 5265 ჰექტარს. აქედან: მდ. ნატანებიდან გაყვანილ 35 კმ. სიგრძის მაგისტრალური არხით ირწყვებოდა 1520 ჰექტარი, აჩისწყლით - 1755 ჰექტარი, ხოლო ბუჟეადან - 1440 ჰექტარი.

1987 წლის მიწების ინვენტარიზაციის მასალებით, ოზურგეთის რაიონში სარწყავი მიწების ფონდი შეადგენს 2451 ჰექტარს, მათ შორის 100 ჰექტარი სატუმბი სადგურების საშუალებით უნდა ირწყვებოდეს.

რით შეიძლება აიხსნას სარწყავი მიწების რაოდენობის ასე შემცირება? ალბათ, სარწყავ მიწებზე ისეთი მრავალწლიანი კულტურები გაშენდა (ჩაი, ციტრუსები, სხვა სუბტროპიკული მცენარეები), რომლებიც ინტენსიურ მორწყვას არ საჭიროებენ, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ წინათ სოფლებში სარწყავ არხებს ძირითადად მიწების მოშლამვისთვის იყენებდნენ, განაყოფიერების მიზნით.

რაიონის ტერიტორიაზე ჭაობიანი ადგილებიც იყო და მათი დაშრობის სამუშაოები 1964 წლიდან დაიწყო. დაშრობილია სულ 3951 ჰექტარი, აქედან, 2100 ჰექტარი კოლხეთის დასაშრობ ზონაში მდებარეობს. დანარჩენ ფართობზე ადგილობრივი, ლოკალური დამშრობი სისტემები მოეწყო, როგორიცაა: ურეკის, ლეკიანის, მეკრძეა-კაპროვანის და სხვ.

ოზურგეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჩოხატაურის რაიონში მუდამ ჰქონდა განყოფილება ჰიდროტექნიკური უბნის სახით, სადაც ოთხი ათეული წელიწადი ჰიდროტექნიკოსი ქალი, ქალბატონი ნევრო მეფარიშვილი უძღვებოდა იმ კეთილშობილურ საქმეს, რასაც მელიორაცია ჰქვია.

ბავშვობაში მიყვარდა გურული სიმღერების მოსმენა, სწორედ მელიორაციასთან დაკავშირებული სტროფი შემორჩა მეხსიერებას:

„სადაც კიოდა
მელა და ტურა,
იქ გააშენეს
ჩაის კულტურა.“

თავმომწონე გურულები მღეროდნენ, აგრეთვე:

„გურიაში რა გინდოდა
თუ სიკვდილი არ გინდოდა.“

და ეს, გურიაში საავაზაკოდ მისულთა გასაგონად ნათქვამია, თორემ მელიორატორებს ეს სიმღერა არ ეხებოდათ, პირიქით, მათ ეპატიჟებოდნენ გურიაში სიცოცხლის ასაღორძინებლად.

ოზურგეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო დაარსდა 1930 წელს - ოზურგეთის წყალთა რაიონის სახით. მანამდე ოზურგეთის რაიონი შედიოდა აჭარის წყალთა ოლქში.

ოზურგეთის წყალთა რაიონი თავიდანვე ემსახურებოდა ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებსაც. სამმართველოს პირველი უფროსები იყვნენ მამალაძე, დოლიძე, ხოლო 1942 წლიდან 1977 წლამდე სამმართველოს ხელმძღვანელობდა ტოგო სიმვულიდი, დახვეწილი ინტელიგენტი, ტკბილი სიტყვა-პასუხისა და რაც დამახასიათებელია მისი პიროვნებისათვის, იგი იყო უმწიკვლო და თავმდაბალი. მახსენდება, მას სამინისტროში წლიური ფინანსურ-ტექნიკური ანგარიშები რომ ჩამოჰქონდა განსახილველად, სისტემატურად შენიშვნას აძლევდნენ - რატომ არ ითვისებ ხელფასის ფონდსო, შენ ხომ სამუშაოები მთლიანად

შესრულებული გაქვსო იდგა ბ-ნი ტოგო და პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა... სხვათა შორის, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში მეც ხშირად ვყოფილვარ და ამიტომ, კალე ცხადაია (კოლხეთის სამმართველოს უფროსი) მეგობრებში ხმამაღლა იტყოდა ხოლმე: დასავლეთში ტოგო სიმკულიდა და აღმოსავლეთში ალიოშა მიმინოშვილი, რომლებიც ხელფასის ფონდს სისტემატურად „ვერ" ითვისებენო. დღევანდელი გადასახედიდან, ეს გაუკვირდებათ იმათ, რომელთათვისაც სიტყვა „მომჭირნეობა" გაუგებარია (!).

ბატონი ტოგოს დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ, 1977 წელს სამმართველოს უფროსად დაინიშნა გამოცდილი ინჟინერ-მშენებელი სოსო სალუქვაძე. იგი გურული ხასიათის - კოლორიტული პიროვნება იყო. მას მშენებლობაზე მიღებული გამოცდილება უწყობდა ხელს მალე დაუფლებოდა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის ხელოვნებას. შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას (უმაღლესი განათლება ოდესაში ჰქონდა მიღებული) და ხშირად, განსაკუთრებით, როცა სიტყვით გამოდიოდა, საუბარში რუსულს გაურევდა ხოლმე და თვითონ გაფიცხდებოდა - ეს რა მემართებაო. მისი ყოველი გამოჩენა ტრიბუნაზე, აუდიტორიას გამოაცოცხლებდა, აამოძრავებდა... რადგან იცოდნენ, რომ სოსო სატკივარ საკითხს - სიმართლითა და იუმორით გამოთქვამდა, რითაც გაამხიარულებდა ხოლმე დარბაზსა და პრეზიდიუმსაც. უდროოდ გამოაკლდა იგი წყალთა მეურნეობის კოლექტივს. ასევე სრულიად მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან მისი თანამდგომი, მთავარი ინჟინერი შოთა დუმბაძეც. საქმის ერთგული, წყნარი, მშვიდი შემსრულებელი, გამოცდილი ინჟინერი.

1984 წლიდან 1993 წლამდე სამმართველოს სათავეში ედგა ახალგაზრდა, ენერგიული ინჟინერი მერაბ ინგოროყვა. 1993 წლიდან კი სამმართველოს უფროსი იყო ინჟინერი თეიმურაზ ხურციძე, რომელმაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამ წელიწადზე მეტი უფროს

ჰიდრომეტრად იმუშავა სამმართველოში, შემდეგ ასპირანტურა, კვლევითი სამუშაოები და ისევ სამეურნეო საქმიანობა. მისი თავკაცობით, ოზურგეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის კოლექტივი უწინდებურად წარმატებით წარმართავს კეთილშობილურ საქმიანობას. აქვე მინდა მოვიხსენიო ამ კოლექტივის ამაგდარი, თავის დროზე მკვირცხლი, ნაღდი გურული, თავისი საქმის დიდი პროფესიონალი - დავით ჩხარტიშვილი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მუშაობდა იქ მთავარ ბუხჰალტრად და პენსიაზე მაშინ წავიდა, როდესაც უკვე ოთხმოცდაათს გადასცილდა.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული რეფორმების შედეგად ოზურგეთის სამმართველო 2002 წლიდან გადაკეთდა ჰიდროტექნიკურ უბნად და დაექვემდებარა რიონი-ჩოლოქის მასივის დამშრობი სისტემების (ლანჩხუთის) სამმართველოს.

მელიორაცია ქვემო იმერეთში

რწყვას ქვემო იმერეთში არც ისე ძალიან ეტანებოდნენ, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ზაფხულობით გვალვების გახშირების გამო, წლის სარჩო-საბადებლის გადარჩენის პირობად გლეხობამ მორწყვა მიიჩნია და სარწყავი არხების გაყვანას მოჰკიდა ხელი, მათ საკუთარი ძალებით გაიყვანეს: ხონი-კულაშის (1856 წელს), ქარჩხიბის და უწერკულაშის (1906 წელს) არხები, რომლებითაც 4300 ჰექტარი სავარგული ირწყვებოდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდეგაც, სარწყავი არხები მოუვლელობისგან მიწით ამოივსო და გაუქმდა. მათი

აღდგენისა და ახალი არხების გაყვანის შესახებ ხონის, მათხოჯის, კუხის, ახალშენის და სხვა სოფლების გლეხობამ ბევრჯერ მიმართა ამიერკავკასიის წყალთა ინსპექციას, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია და სოფლები უწყლობას კვლავ განიცდიდნენ ზაფხულობით. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1921 წლიდან. ახალი მთავრობის ყურადღების ცენტრში მოექცა სარწყავი არხების გაყვანაც. ქ. ხონში დაარსდა ხონისამტრედიის სამელიორაციო ამხანაგობა „მერწყული". ამხანაგობას ხელმძღვანელობდა 7 წევრისაგან შემდგარი გამგეობა. ამხანაგობის თაოსნობით და „ჰიდრომშენის" ხელმძღვანეობით, 1921 წელსვე დაიწყო მათხოჯისა და კულაში-ღანირის არხის მშენებლობა, რომელიც სათავეს იღებდა მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. არხის მშენებლობაზე მიწის სამუშაოები ძირითადად გლეხებმა შეასრულეს უსასყიდლოდ. ორივე არხის მშენებლობა 1924 წელს დამთავრდა.

მათხოჯის არხი იმ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საინჟინრო ტიპის საირიგაციო ნაგებობას მიეკუთვნება, რომელიც საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში აიგო. არხზე მოწყობილი იყო შემდეგი ჰიდროტექნიკური ნაგებობები: სათავე რაბი წყალსაგდებით, ორი ხის აკვედუკი მდ. ოჩხურაზე - 116 მეტრის სიგრძისა, ოთხი რაბი გამანაწილებელი არხის სათავეზე და ორი ხის ხიდი.

მათხოჯის არხით, რომლის სიგრძე 30 კმ. იყო, წყალი მიეწოდებოდა სოფლებს: მათხოჯს, ნახახულევს, ხონს, კუხს, ახალშენს, დიდ ჯიხაიშსა და იანეთს.

კულაში-ღანირის არხით კი ირწყვებოდა სოფლები: ღანირი, კულაში, ეწერი, გვაზაური და ჩხენიში.

შემდეგ წლებში ამ არხებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია - აღკაზმვა ჰიდროტექნიკური ნაგებობებით. აშენდა ახალი სათავე ნაგებობა წყალსაშვიანი კაშხლით და ორივე არხი გაერთიანდა ერთი წყალმიმღებით, რაც უზრუნველყოფს გეგმური წყალსარგებლობის შეუფერხებლივ განხორციელებას.

1987 წ. დაწყებული იყო ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის (ასე მოინათლა ახალი სახელწოდებით) ხელახლა რეკონსტრუქცია. პროექტით გათვალისწინებული ჰქონდათ ხელოვნური დაწვიმებითი მორწყვა მოძრავი საწვიმარი მანქანებით. რეკონსტრუქციის სამუშაოები შეწყდა 1991 წელს და რწყვა ისევ ძველი გამანაწილებლებით წარმოებს. მაგრამ, მიწების პრივატიზაციის შედეგად, გამანაწილებელი არხების ქსელიც ახლებურად მოწყობას საჭიროებს.

ამჟამად, როგორც წინათ იყო, ხონის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო ემსახურება ხონისა და სამტრედიის ადმინისტრაციულ რაიონების მიწების მორწყვას.

1930 წელს შეიქმნა ხონის წყალთა რაიონი. სამმართველოს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ძველი თაობის გამოცდილი სპეციალისტები, კეთილმოსურნე ენთუზიასტები: დომენტი მელქაძე და არჩილ ბარამიძე, სერგო გოგიძე და ილია გვილავა.

არჩილ ბარამიძე ოცდაათ წელზე მეტი ხანი ემსახურა კეთილშობილურ საქმეს, წყალთა მეურნეობა რომ ჰქვია.

1976 წლიდან 1996 წლამდე ხონის მელორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანეობდა გამოცდილი ინჟინერი ილია გვილავა, რომელმაც მნიშვნელოვანი საქმეები წამოიწყო და კიდევაც განახორციელა: სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია, სამმართველოს და დამხმარე შენობების კეთილმოწყობა, ავტო-მექანიზმების პარკის გაახლება-გაზრდა-გაძლიერება.

1996 წლიდან ხონის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს სათავეში უდგას ამავე კოლექტივში აღზრდილი ინჟინერი მურმან თოდუა. სარწყავი სისტემების მოწესრიგება, ცხენისწყალზე მარეგულირებელი კაშხლის დაცვა და მოვლა, წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების დროულად შესრულება და სხვა მრავალი ტექნიკური საქმე აქვს შესასრულებელი კარგად შედუღაბებულ კოლექტივს.

ხონის სამმართველოს განაყოფ ნაწილს წარმოადგენს სამტრედიის სამელიორაციო სისტემების სამმართველო.

იგი შეიქმნა 1981 წელს. მისი ჩამოყალიბება წილად ხვდა გამოცდილ ინჟინერსა და მეცნიერს ვიქტორ მამასახლისს. 1983 წლიდან სამმართველოს უფროსად დაინიშნა ახალგაზრდა ინჟინერი ჯუმბერ (ჯონი) ჯოჯუა. მან, ენთუზიასტმა ორგანიზატორმა, საბჭოური წყობის პერიოდში შესძლო და ჩემი თვალსაზრისით წარმატებითაც განახორციელა არასაბიუჯეტო შემოსავლებით დამხმარე წარმოების შექმნა - ახლა მცირე ბიზნესს რომ ვარქმევთ. შეიძინა და გამართა სატრანსპორტო და საწარმოო საშუალებანი... ცდილობდა სამუშაოების გაფართოებას, მაგრამ შეაჩერეს - მეტი გაქანების საშუალება არ მისცეს, ამასობაში ქვეყანაში ეკონომიკის დაცემის ხანაც დაიწყო და ყველა დაწყებული საქმე ჩაიშალა. ცვლილებები მოხდა სამმართველოს ხელმძღვანელობაშიც. ხანმოკლე გამოდგა სამმართველოს უფროსად დაწინაურებული ინჟინერ ავთანდილ ჩაჩუას მოღვაწეობა. დასანანია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი, ერუდირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი, უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

სამტრედიის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს სამოქმედო ზონაში სარწყავი ფართობი მხოლოდ ვანის რაიონში ერიცხება - 917 ჰექტარი, აქედან, 320 ჰა ირწყვება თვითდინების ციხე-სულორის არხით, რომელიც წყალმომხმარებელთა ასოციაციის კუთვნილება გახდა. 597 ჰექტარზე წყლის მიწოდება გათვალისწინებულია ზეინარის სატუმბი სადგურიდან, რომელიც ექსპლუატაციაში გადაეცა 1995 წელს, მაგრამ, ფაქტობრივად, სადგურს დღემდე არ უმუშავია.

სამტრედიისა და ვანის ტერიტორიაზე მდინარე რიონი, წყალდიდობის პერიოდში ხშირად საშიშ კერებს წარმოშობს ხოლმე და საფრთხეს უქმნის დასახლებულ პუნქტებსა და საკარგულებს. სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად, სამელიორაციო სისტემების დეპარტამენტის ხაზით ყოველ-

წლიურად გარკვეული, დიდი მოცულობის წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები სრულდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი კაპიტალური ღონისძიება ჩატარდა ვანის რაიონის სოფელ ტყვიშში - დიდი ქართველი მგოსნის, გალაქტიონის მშობლიურ სოფელში და სამტრედიის რაიონის სოფელ ახალსოფელში, სადაც საფრთხე ემუქრებოდა როგორც სოფელს, ისე ქალაქ სამტრედიასაც. ამ ობიექტზე ნაპირის გამაგრების სამუშაოები ფლეთილი ქვის ყრილით შესრულდა და შედეგიც სასურველია. ამ წესით მდინარის ნაპირის გამაგრება, იქ სადაც ფლეთილი ქვის საბადოები არც ისე დაშორებულ მანძილზეა, ხელსაყრელია. ამ საკითხზე გავიხსენებ პროფესორ გიგუშა რურუას მოსაზრებასაც (მას წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე ბევრი კარგი წინადადება ჰქონდა შემუშავებული). იგი გვთავაზობდა მდინარის ნაპირის გასამაგრებლად უმეტესად ფლეთილი ქვის გამოყენებას, რაც რკინა-ბეტონის კუბურებზე უფრო იაფი ჯდება... მისი რეკომენდაციით, ერთი გრძივი მეტრი დამბის ასაგებად საჭიროა ფლეთილი ქვა: წყობის შემთხვევაში 20-25 კბმ., ხოლო დამბის ქვა-ყრილით მოწყობისას - 40-50 კბმ. ასეთი წესით დამბები რამდენიმე ათეული წლის წინათ მოეწყო მდ. მტკვარზე, გარდაბნისა და მარნეულის ტერიტორიაზე და დღესაც საიმედოდ გამოიყურებიან.

სამტრედიის სამმართველოს მომსახურეობაშია, აგრეთვე, დამშრობი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია. დაშრობილი ფართობები ირიცხება: სამტრედიის რაიონში 3048 ჰექტარი, ხოლო ვანის რაიონში - 1788 ჰექტარი.

სამტრედიის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს წინაშე დასმულ ამოცანებს წარმატებით ართმევს თავს გამოცდილი, ტრადიციების მქონე კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას ასევე გამოცდილი სპეციალისტი, უნარიანი ხელმძღვანელი გივი კიკაჩეიშვილი.

საკარდო და სამაისო

რადგან იმერეთში წვიმები ხშირია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მხარეში რწყვა საერთოდ არც არის აუცილებელი, მაგრამ სინამდვილეში, მთლად ასე როდია! ნალექები წლის განმავლობაში აქ არათანაბრად ნაწილდება, რის გამოც, არც ისე იშვიათად, ისეთ გვალვებს დაიჭერს ხოლმე, უმეტესად ივლის-აგვისტოში, რომ იმერლებს ცის ნამი სანატრელი უხდებათ ხოლმე და მაშინ, წლის მოსავლის გადარჩენა მხოლოდ მორწყვის საშუალებითაა შესაძლებელი. ამასთანავე, ასეთი გვალვების დროს მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ვარდება - სრულიად შრებიან ჭები, წყაროები და სასმელი წყალიც. აქაც შვებას სარწყავი წყლისაგან მოელიან.

ამიტომაც, აქ სარწყავი არხების გაყვანას წინათაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. 1910 წელს ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების: მაღლაკის, ქვიტირის, ფარცხანაყანებისა და ბაშის მოსახლეობამ, თხოვნით მიმართა მთავრობას მდ. რიონიდან სარწყავი არხის გაყვანის შესახებ. 1912 წელს ინჟინერ-ჰიდრავლიკოსთა ყრილობამ, თბილისში განიხილა იმერეთის სარწყავი სისტემის ტექნიკური პროექტი და დაამტკიცა იგი, მაგრამ მაშინ მშენებლობა არ განხორციელებულა. არხის მშენებლობა დაიწყო 1921 წლის სექტემბერში. სოფლების მოსახლეობა იმდენად იყო დაინტერესებული, არხი რომ გაეყვანათ, თავად ჩამოაყალიბეს სამელიორაციო ამხანაგობა „მაშველი", მასში გაერთიანებული იყო 5 თემი, რომლებშიც შედიოდა 10 სოფელი 5000-მდე კომლით.

ამხანაგობის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ „მაშველის" სარწყავი არხის მშენებლობაში. მათ 22 კმ. სიგრძის არხზე მიწის სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულეს. 1922 წელს დაიწყო მეორე არხის „პირველი საბჭოთა" მშენებლობა. აქაც, სოფელ ტყაჩირში შეიქმნა სამელიორაციო ამხანაგობა, რომელშიც

გაერთიანდა: ოფშკვითის, გეგუთის, ტყაჩირის და სხვა სოფლების გლეხობა. აქაც, სამელიორაციო ამხანაგობის მიერ უსასყიდლოდ შესრულდა მიწის სამუშაოები. 1927 წელს ეს ორი სამელიორაციო ამხანაგობა ერთ ამხაგანობად გაერთიანდა, რომელსაც ეწოდა „საბჭოთა მაშველი".

1924 წლის ზაფხული იმერეთში გვალვიანი გამოდგა, სულშემხუთველი სიცხე-პაპანაქება დაიჭირა.. მოსახლეობის თხოვნით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მშენებლობა სრულად არ იყო დამთავრებული, მაგისტრალურ არხში წყალი გაუშვეს და ეშველა ხალხს.

1925 წლის 16 იანვისს ზეიმით აღინიშნა „პირველი საბჭოთა არხის" მშენებლობის დამთავრება და წყლის გაშვება.

ორივე არხის სათავე-ნაგებობა თავიდანვე ვერ აკმაყოფილებდა ტექნიკურ პირობებს, ამავე დროს, რიონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, გაუქმდა „პირველი საბჭოთა არხის" სათავენაგებობა, რის გამოც მდინარე რიონზე ქუთაისში აიგო სათავენაგებობა წყალსაშვიანი კაშხლით და გაიყვანეს ახალი, ე.წ. შემაერთებელი არხი.

მაშველის სარწყავი სისტემა (ასე ჰქვია ახლა და მასში გეგუთის არხიც იგულისხმება) ამჟამად წყლით უზრუნველყოფილია, ის სათავიდან წყალგამყოფ კვანძამდე ატარებს 20 კუბ. მ/წამში, ხოლო წყალგამყოფიდან - 10-10 კუბ. მეტრს/წამში. წყალს იღებენ მაშველისა და გეგუთის მაგისტრალური არხები; სამმართველო წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ქუთაისი-წყალტუბოს რაიონებს გარდა ატარებდა აგრეთვე ამბროლაურისა და ონის რაიონებში.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, 1923 წელს, ამიერკავკასიაში შეიქმნა წყალთა ოლქები, მათ შორის იყო ქუთაისის წყალთა ოლქი, რომლის სამოქმედო ზონაში შედიოდა დასავლეთ საქართველოს მდინარეების: რიონის, ტეხურის, ცხენისწყლის, ხანისწყლის, რიცეულას, გუბისწყლის, აბაშის, ყვირილას და სხვათა აუზები.

1930 წელს საერთოდ გაუქმდა წყალთა ოლქები და შეიქმნა ქუთაისის წყალთა რაიონი, რომელსაც გადაეცა სამელიორაციო ამხანაგობის ფუნქციებიც. წყალთა რაიონის სამმართველოს მომსახურებაში შედიოდნენ: ქუთაისის, ბაღდათის, ზესტაფონისა და სამტრედიის (ნაწილობრივ) რაიონები.

ჟამთა სვლაში იცვლებოდა სამმართველოების სტრუქტურული სახეები, ფუნქციები და სახელწოდებაც.

ქუთაისის (ამჟამად წყალტუბოს) წყალთა მეურნეობის სამმართველო, რესპუბლიკის მოწინავე სამმართველოებს შორის ყოველთვის ბრწყინავდა. ეს კოლექტივის და მათი ხელმძღვანელების დამსახურება იყო. ხელმძღვანელები კი 1930 წლიდან 1974 წლამდე იყვნენ: ზ. ბიჭაშვილი, ა. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, შ. გიორგაძე, გ. ჩიჯავაძე, ა. ნეფეტვარიძე და რ. ალავიძე.

1965 წელს ქუთაისის სამმართველოს სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა წყალტუბოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო. რის გამოც, ერთხელ, თურმე, ქუთაისის ქალაქის აღმასკომმა მოითხოვა სამმართველოს მიერ შენობის გათავისუფლება და წყალტუბოში გადასახლება, „რადგანაც წყალტუბოს სამმართველო გქვიათ - წყალტუბოში წაბრძანდითო“...

სამმართველოს კოლექტივს და მის თავკაცს თემურ მიქაუტაძეს ქუთაისიდან წასვლა ცოცხალი თავით არ უნდოდათ, ბევრი იდავიდარაბეს, იწვალეს და მაინც მოახერხეს ქუთაისში დარჩენა, ძველ ნაფუძარზე... სიყვარულმა გაიმარჯვა და ქუთათურებისგან ასეთი პრინციპული მოქმედება, რა თქმა უნდა, არც გასაკვირია, პირიქით, მოსაწონიც არის. მართლაც და, სამაისო და სავარდო ქუთაისთან განშორება არც ისე იოლი იყო.

ქუთაისის სამმართველო ყოველთვის კვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტებით გამოირჩეოდა, რომელთა თავდადებული შრომით წარმატებით სრულდებოდა სახელმწიფო გეგმები. ქუთათურთა ამ ძველ ტრადიციას არ ღალატობს და დღესაც აგრძელებს გაახალგაზრდავებული კოლექტივი, რომელსაც 1974

წლიდან სათავეში უდგას თემურ მიქაუტაძე. ბატონი თემური გამოირჩევა თავისი ინტელიგენტობით და კოლორიტობით, ახასიათებს ლირიკისადმი მიდრეკილება და ხშირად საუბარში მოხდენილად ჩაურთავს ხოლმე კუპლეტებს ქართველი პოეტების ლექსებიდან, განსაკუთრებით, გალაკტიონისას.

ქუთაისზე თხრობას მეც გალაქტიონის ლექსით დავასრულებ:

„წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო,
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ
არ უთხრა კი - ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!“

გამოვთქვამ ჩემი გულის წადილს, რომ წყალტუბოს სამელიორაციო სისტემების სამმართველოს თუ დაუბრუნდება პირვანდელი, სავარდო და სამაისო ქუთაისის სახელი, უპრიანიც იქნება.

ზემო იმერეთის ხოდაბუნებიც ბიბინებენ

ზემო იმერეთში, ნოტიო კლიმატის გამო, სავარგულების მორწყვას წინათ არც ეტანებოდნენ. მაგრამ ამ ბოლო ხანს, ალბათ, კლიმატური პირობების ცვლილებების (დათბობის) შედეგად, მეოცე საუკუნიდან, გახშირდა გვალვა და გლეხობამაც რწყვის სიკეთე ჯერ მოსინჯა, შემდეგ კი რწყვა მოთხოვნილებად გადაიქცა.

1912 წელს მდ. ყვირილიდან გაიყვანეს პირველი არხი-აჯამეთისა, რომლითაც ირწყვებოდა 1200 ჰექტარი ფართობი.

1921 წლის ბოლოს დაიწყო ხოხულა ჭალების არხის მშენებლობა. მისი გამტარიანობა იყო 1,2 კბმ/წამში, რაც 2500 ჰექტარი ფართობის მორწყვას უზრუნველყოფდა.

1921 წელს ბაღდათის რაიონში ჩამოყალიბდა სამელიორაციო ამხანაგობა (ასოციაცია) „დახმარება", რომელშიც გაერთიანებული იყო სოფლების: დიმის, რიკოთის, იდველის, ნერგეთის, ფერსათისა და ვარციხის გლეხობა. ამხანაგობის მთავარი ამოცანა გახლდათ სარწყავი არხების გაყვანა და მიწების მორწყვა. შედგა დიმი-რიკოთის სარწყავი სისტემის პროექტი და 1925 წელს დაიწყო არხისა და იმავდროულად ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ამხანაგობის ძალებით უსასყიდლოდ შესრულდა: არხის გაჭრა და ჰესის შენობის მშენებლობა. არხის სიგრძე იყო 14 კმ და რწყავდა 1400 ჰექტარზე მეტ ფართობს. იგი ექსპლუატაციაში გადაეცა 1928 წელს. შემდეგ წლებში ბაღდათის რაიონში გაიყვანეს აფხანაურისა და ვარციხის სარწყავი არხები. ზესტაფონისა და ბაღდათის რაიონის გლეხობას მეზობელ რაიონებშიც მიბაძეს, მაგალითად, თერჯოლის რაიონში ააშენეს - ეწერის, სიმონეთისა და სიტკვარის, საჩხერის რაიონში - ჭალისა და ხოდაბუნის; ზესტაფონის რაიონში - შრომა-განთიადის არხები. განაახლეს აჯამეთის სარწყავი სისტემა

ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების სარწყავი სისტემები 1963 წლამდე შედიოდნენ ქუთაისის სასისტემო სამმართველოს მომსახურებაში.

1963 წელს აღნიშნული რაიონების ბაზაზე შეიქმნა ზესტაფონის სასისტემო სამმართველო, რომლის უფროსად დაინიშნა ინჟინერი გივი გალდავა, ხოლო მთავარ ინჟინრად - ადგილობრივი მკვიდრი, ახალგაზრდა სპეციალისტი რევაზ არაბიძე, რომელიც 1969 წელს, სამმართველოს უფროსად დააწინაურეს. მის შემდეგ ის უანგაროდ ემსახურება ამ კეთილშობილურ-

სასიკეთო საქმეს. გულკეთილი, ბეჯითი, სტუმარ-მასპინძლობის მოყვარული... ნაღდი იმერული კოლორიტი და სათნო ადამიანია ბატონი რეზო... აპა, არა?!

1983 წელს ზესტაფონის სამმართველოს გამოეყო და ცალკე შეიქმნა მაიაკოვსკის (ბაღდათის) მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომლის უფროსად დაინიშნა ახალგაზრდა ინჟინერი, მანამდე ჰიდროტექნიკური უბნის უფროსი, ი. ხოტოველი.

მოკლე ხანში სამმართველოს მიეცა დაწესებულების სახე, გაძლიერდა მიწის სათხრელი მექანიზმებით... 1984 წელს სამმართველოს ხელმძღვანელობა შეიცვალა, უფროსად დაინიშნა ინჟინერი ა. ლომსიანიძე. სამი წლის შემდეგ კი სამმართველო საერთოდ გააუქმეს და შეუერთეს წყალტუბოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს - ჰიდროტექნიკური უბნის სახით.

რეფორმებისა და რეორგანიზაციის პერიოდში, გასაკვირი არ არის, ისევ რომ დაისვა საკითხი და წყალტუბოს სამმართველოს (1996 წელს) გამოეყო ბაღდათის ჰიდროტექნიკური უბანი და შეიქმნა ბაღდათის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმო, რომლის უფროსად დაინიშნა საკმაოდ გამოცდილი ინჟინერ-მშენებელი, ადგილობრივი მკვიდრი, რომან ჩხეიძე. ის ენერგიულად შეუდგა სარწყავი სისტემების აღდგენა-მოწესრიგებას, მაგრამ 1997 წლის სტიქიური მოვლენების შედეგად დიმი-რიკოთის არხის კაპიტალური სათავე-ნაგებობა მთლიანად დაინგრა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ეს სათავე-ნაგებობა დიდი ხნის წინათ საჭიროებდა გამაგრება-შეკეთებას. ჯერ კიდევ 1983 წელს დავათვალიერე იგი და მაშინაც ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საქწყალპროექტშიც გამოითქვა აზრი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ახალი სათავე-ნაგებობის აგება, ეს იყო და ეს... ამ წინადადების განხორციელება არ მოხერხდა და... განმეორებით წყალდიდობას შეეწირა ყველაფერი.

2000 წელს ბაღდათის საწარმო ისევ შეუერთეს წყალტუბოს სამმართველოს. ბატონ რომან ჩხაიძეს ტიტული შეეცვალა, თორემ საქმიანობით ის ისევ გულითადად, ენერგიულად, თავს დასტრიალებს ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს. ბატონ რომანს, როგორც პროფესიონალ მშენებელს, დაფინანსებით ხელი თუ შეუწყვეს, მალე აღადგენს დიმი-რიკოთის სარწყავ სისტემას.

წყალთა მეურნეობის დარგის სპეციალისტები, ვაჟკაცური შემართებით ამარაგებენ ზემო იმერეთის ხოდაბუნებს მაცოცხლებელი წყლით, ფეროშენადნობის უზარმაზარ კომბინატს კი - ტექნიკური წყალით.

აღორძინებული მთა-ქედი

ადიგენი, მესხეთის მთიანეთის ნაწილია თავისი ძლიერ დასერილი რელიეფით, რომელიც გურია-იმერეთსა და ერუშეთი-არსიანის მთებს შორის, ზღვის დონიდან 1200-2600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. კლიმატი კონტინენტურია: ზამთარი ცივი და მეტწილად თოვლიანი იცის, ზაფხული კი ცხელი, მშრალი და გვალვიანი.

ადიგენის წყალუხვი მდინარე ქვაბლიანია, რომელიც რაიონის ტერიტორიას თითქმის შუაზე ყოფს, მისი სიგრძე 45 კილომეტრამდეა. ქვაბლიანის შენაკადებია, მდინარეები: ფოცხოვი, ოძრახე (აბასთუმანი), ლაღვი, ძიძნე, აგრეთვე, ხევები, რომლებიც მორწყვის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ.

ადიგენი მდიდარია ტბებითაც. მთებში სხვადასხვა მოცულობის ტბებს ვხვდებით: შავი ტბა (ერუშეთის მთებში), ჯაზის ტბები (ალპიურ ზონაში) და სხვ. ორი ტბა კი ხელოვნურადაა შექმნილი, რომლებიც ირიგაციული დანიშნულების წყალ-

საცავებს წარმოადგენენ. ერთი მათგანი თრიალის ზღვის დონედან 1530 მ. მდებარეობს, მისი მოცულობაა 300 ათასი კბმ. წყლის საშუალო სიღრმე 3 მეტრს აღწევს. ამ წყალსაცავით 700 ჰექტარამდე სავარგული ირწყვება.

მეორე, წყისის წყალსაცავი იკვებება ხევის წყლებით (მიმყვანი არხის მეშვეობით, რომლის სიგრძე 5,5 კილომეტრია). წყალსაცავის მოცულობა 1,5 მილიონი კბმ-ია, რომლიდანაც ირწყვება სოფლების: უდეს და არალის 440 ჰექტარამდე მიწის ფართობი.

ადიგენის რაიონში რწყვა აუცილებელია, რათა გარანტირებული და დიდი მოსავალი მივიღოთ, ამიტომაც იყო, არხების მოწყობას აქ ყოველთვის დიდ ყურადღებას რომ აქცევდნენ, ისე, როგორც მესხეთის სხვა კუთხეში. 1931 წელს ადიგენის რაიონის სოფლებში პრიმიტიული არხებით ირწყვებოდა 4611 ჰექტარი სავარგული. ამჟამად სარწყავი ფართობი 5880 ჰექტარს აღწევს. ძველი არხების რეკონსტრუქციასთან ერთად აქ ახალი არხებიც გაიყვანეს, როგორიცაა: ხევაშენის (1942 წ.), ლელოვანისა და გორგულის (1958 წ.).

ძველი სარწყავი ფართობების წყლით უზრუნველყოფის მიზნით, „მცირე მელიორაციის" სახსრებით სამოცდაათიან წლებში აშენდა 11 სატუმბი სადგური, აქედან 8 სმეურნეობათაშორისო იყო. სულ, მექანიკური წესით წყლის მიწოდება 2259 ჰექტარზე წარმოებდა.

ადიგენის რაიონში სავეგეტაციო რწყვის პერიოდი ხანმოკლეა, როგორც ეს საერთოდ მესხეთ-ჯავახეთის კლიმატს სჩვევია. ნათესი კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების მორწყვა ორჯერ-ორნახევარჯერ მაინც უნდა ჩატარდეს, რაც უმეტესად გაზაფხულის ამინდებზეა დამოკიდებული. რაიონის მიწების მორწყვას წინათ ახალციხის სასისტემო სამმართველო ემსახურებოდა ადიგენის ჰიდროტექნიკური უბნის მეშვეობით. 1966 წელს კი, ამ უბნის ბაზაზე შეიქმნა ადიგენის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელსაც

სათავეში ჩაუდგა ახალგზარდა ინჟინერი ენთუზიასტი გურამ გრიგოლია, იგი მაღალი პროფესიონალიზმით ერთგულად ემსხაურება კეთილშობილურსა და მისთვის საყვარელ დარგს.

დამამახსოვრდა ადიგენში პირველი მოგზაურობა, ეს იყო ომის პერიოდში, 1943 წელს, მივლინებით ვიყავი წასული ქარელიდან. ახალციხის წყალთა რაიონის უფროსი მაშინ ნიკოლოზ (კოლია) ფალავანდიშვილი იყო და მან კარგი მეგზურობა გამიწია. ახლა არ იკითხავთ მივლინების მიზანს?

წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს, თურმე, გადასცეს რუსი გენერლის ნაქონი ეტლი (კარეტა) და როგორც ახლად ჩამოყალიბებულს - ქარელის სამმართველოს არგუნეს ის სატრანსპორტო საშუალებად.

და აი, ეს ეტლი უნდა დამეთვალიერებინა. იმ პერიოდში დიდ სამამულო ომში მნიშვნელოვანი გარდატეხა მიმდინარეობდა, საბჭოთა ჯარები მტერს წარმატებით ამარცხებდნენ ყველა ფრონტზე და წინ მიიწევდნენ... თურქეთის საზღვარზე კი ჩვენი ჯარების ინტენსიური გადაჯგუფება ხდებოდა; მიზეზი? როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, თურქეთის ტერიტორიიდან ინტერვენციის საფრთხე შექმნილა და მთავარსარდლობა საზღვრებს ამაგრებდა.

მივდივართ ავტომანქანით და გზად გვხვდებიან ადგილობრივი მცხოვრებლები - გამაჰმადიანებული ქართველები და თათრები. შუადღე იყო და ეხედავ, ზოგი გზაზე, ზოგიც მინდვრად, ჩაჩოქილი ჩალმიანი მამაკაცები ლოცულობენ... არასდროს მენახა ასეთი რამ და გამიკვირდა, კოლია ფალავანდიშვილი კი მეუბნება - შუადღე თათარს სადაც მოუსწრებს, იქვე იწყებს ლოცვასო... ასე რომ, ყველა საკუთარ საქმეს აკეთებს...

მდინარე ქვაბლიანს მიუყვება შარაგზა რაიონული ცენტრისკენ... ირგვლივ ამწვანებული მთებია. აი, გაღმა მხარეს, ადიგენის ზემოთ, ნაძვნარში გამოჩნდა ამაყად მდგარი ქათქათა ზარზმის ტაძარი, ის ხომ ერთ-ერთი შესანიშნავი ქართული ისტორიული ძეგლია, რომელიც თამარ მეფის დიდებული ეპო-

ქის შემდეგ აშენდა, მეთორმეტე საუკუნეში - როდესაც მონ-ღოლთა თარეშმა დედა-საქართველო წელში გაწყვიტა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ ავბედითობის ჟამს ღმერთის რწმენითა და სულის სიძლიერით მესხეთში და არა მარტო მესხეთში, ხელოვნების არაერთი ასეთი შესანიშნავი ძეგლი აიგო... რაც ნათლად მეტყველებს ჩვენი წინაპრების სულიერ სიძლიერეზე.

1944 წელს მესხეთიდან მთლიანად გაასახლეს ყველა არაქრისტიანი, რა თქმა უნდა, ადიგენის რაიონიდანაც და მათ ნაცვლად, როგორც ადიგენში, ისე მთელ მესხეთში, ჩაასახლეს იმერეთისა და რაჭის მთიანეთის მკვიდრნი... ისევ ქართული სული ტრიალებს ძირძველ ქართველთა ნაფუძარზე; ახალი თაობის, ჩემი თაობის მესხებად დამკვიდრდნენ ახალი მოსახლეე-ბი, დიდება მათ!

ამის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა და აი, მესხეთიდან გაძევებული თათრების შთამომავლობა კვლავ მესხეთში დაბრუნებას მოითხოვს (?!) - „ჩვენს მიწა-წყალზე დაგვაბრუნეთო“. გასაკვირია, როდის მერე იყო მესხეთი თურქთა მიწა-წყალი? ეს მხარე, მათ წინაპრებს ხომ ომებით ჰქონდათ მიტაცებული და ახლა ხელმეორედ იბრძვიან ქართული მიწის მისატაცებლად?! რომელ ადამიანთა უფლებების დაცვაზეა აქ ლაპარაკი?! სავალალო ისიც არის, რომ ზოგიერთი „მშვიდობის მაძიებელი ქართველი“ ცდილობს მხარი დაუჭიროს „თურქ-მესხებად“ მონათლულ პირწმინდა თათრების - მაჰმადიანების დაბრუნებას საქართველოში... დასანანია...

* * *

მესხეთის ულამაზეს კუთხეს ამშვენებს, აგრეთვე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიაც, რომელიც 1932 წელს დაარსდა. 1937 წელს იგი გადაიტანეს იმავე ხეობაში, ყანობილის მთაზე- 1650 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადაც წელიწადში თითქმის 300 დღე მზიანია, ატმოსფერო ფრიად

გამჭვირვალე და სტაბილური. აბასთუმნის ობსერვატორია მსოფლიოს მნიშვნელოვან, მაღალი კლასის ობსერვატორიების რიგს მიეკუთვნება.

მესხეთი, ტერასების მესაიდუმლე

ასპინძა-ახალციხის მხარე მთაგორიანი რელიეფით გამოირჩევა. ზამთარი აქ ცივი იცის, ზაფხული კი ჭირვეული და მეტწილად გვალვიანია. ამიტომ იყო, რომ მესხეთის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მკვიდრი გლეხკაცი რწყვას მუდამ დიდი რუდუნებით ეკიდებოდა.

მესხეთის სამელიორაციო სისტემების სამმართველომ, ვიდრე ასეთი სახელით დღემდე მოაღწევდა, ვინ მოთვლის რამდენ-ჯერ გამოიცვალა სახელი. ჯერ იყო და 1923-1930 წლებში ის გორის წყალთა ოლქში შედიოდა, რომელიც ახალციხის მაზრის სარწყავ სისტემებსაც ემსახურებოდა. 1930 წელს შეიქმნა ახალციხის წყალთა რაიონი, რომელიც ადიგენის და ასპინძის რაიონებს, აგრეთვე, ბორჯომის რაიონსაც მოიცავდა.

ამჟამად მესხეთის სამმართველოს მომსახურებაშია ახალ-ციხისა და ასპინძის რაიონები.

სტატისტიკური ცნობებით, სამმართველოს ჩამოყალიბების პერიოდში ახალციხის რაიონში თვითდინების არხებით ირწყვე-ბოდა 3645 ჰექტარი, აქედან, მდინარეებიდან (ბორბალო, ფოცხ-ოვი, წინაუბნის წყალი და თესელის ხევი) გაყვანილი არხებით - 1697 ჰა, დანარჩენი 1948 ჰექტარი ირწყვებოდა ადგილო-ბრივი წყაროებით, რომლებიც ზაფხულის პერიოდში მთლიანად შრებიან (მითუმეტეს, გვალვის დროს), და ამიტომ, ეს ფართობი პირობით სარწყავად ითვლებოდა. ასე რომ, ახალციხის რაიონში

თვითდინებით მორწყვის რესურსები ამოწურული იყო, რამაც დღის წესრიგში დააყენა მექანიკური მორწყვის სისტემების მშენებლობის საკითხი, რომელიც 1950 წლიდან ფართოდ გაიშალა. საკმარისია ითქვას, რომ რამდენიმე წელიწადში ახალციხის რაიონში 21 მცირე და საშუალო ძალოვნების სატუმბი სადგური ამუშავდა, რომლითაც 6168 ჰექტარი ფართობი ირწყვებოდა. ამჟამად უმეტესობა სატუმბი სადგურებისა, გადაეცემა წყალმომხმარებელთა ასოციაციებს - სარგებლობაში.

რაც შეეხება ასპინძის რაიონს, აქ რწყვის ყადრი უხსოვარი დროიდან სცოდნიათ და აქაურ წინაპართა სადიდებლად უნდა აღინიშნოს მათი უდიდესი ოსტატობა ფერდობების დატერასებისა და მასზე სარწყავი არხების გაყვანის ხელოვნებაში. დღემდე შემორჩენილი უმეტესი ტერასები და არხები ასპინძელ მიწათმოქმედთა მაღალი ტექნიკური აზროვნების ნიმუშად არის აღიარებული.

1930 წელს ასპინძის რაიონში ოთოს ხევზე - ზედა, შუა და გაღმა არხებით, მდინარე ოშორადან - იდუმალის, ზედა იდუმალის, ლაშისხევისა და ზედა არხებით, მდინარე თაფარავნიდან - შვიდრევანის და სხვა პატარ-პატარა არხებით, რომელთა რიცხვი 20 აღემატება, სულ 1065 ჰექტარი ფართობი ირწყვებოდა.

ამრიგად, წარსულში, გამოცდილ ოსტატებს ყველგან გაუყვანიათ არხები თვითდინებით, სადაც კი ამისი შესაძლებლობა იყო და მომავალი თაობისათვის ამ მხრივ საზრუნავი აღარაფერი დაუტოვიათ. მაგრამ ასპინძის რაიონში (როგორც ახალციხეში) ფართობების მოსარწყავად წყლის მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკური აქაჩვით. ამ მიზნით, 1948 წელს, სამი სატუმბი სადგური ააგეს: ვარნეთის, რუსთავისა და აწყვიტის. ხოლო 1988 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა სარო-ხიზაბავრას სამი აწყვის მძლავრი მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემა, რომლითაც 557 ჰექტარი ფართობი ირწყვება.

ამჟამად რაიონში მექანიკური მორწყვის სისტემებით 936 ჰექტარი, ხოლო თვითდინების არხებით კი, 948 ჰექტარი ფართობი ირწყვება.

ასპინძა, მესხეთ-ჯავახეთის ეს ულამაზესი კუთხე მომხიბვლელია ისტორიული ძეგლებითაც, ხოლო გმირული წარსულით - სადიდებელი.

ასპინძის უმდიდრესი ისტორიული წარსულიდან გავიხსენებ მხოლოდ ერთს - ასპინძის დაუვიწყარი ომის ეპიზოდს: ჟამთა აღმწერელი გადმოგვცემს, რომ 1770 წლის აპრილში, გენერალ ტოტლებენის მიერ აწყურის ციხესთან მოტყუებული ერეკლე მეორე, თავისი გულზვიადობით სამი ათასიანი ჯარით მაინც წავიდა ასპინძისკენ ახალციხის ფაშის რვა ათასიან ჯართან საბრძოლველად. ამ უთანასწორო ბრძოლაში მტერი სასტიკად დამარცხდა, ბრძოლის ველზე მოკლულთა სახით ოთხი ათასზე მეტი მტრის ჯარისკაცი დარჩა, ნაწილი კი ადიდებულმა მტკვარმა შთანთქა. ასპინძის ომით, საქართველოს გმირული ისტორიის მატიანეში ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვების ფურცელი ჩაიწერა. სარდალი, მეფე ერეკლე მეორე - ასპინძის ომის გმირი - ქართველი ხალხის სანუკვარი, საქებ-სადიდებელი ეროვნული გმირი გახდა.

ასპინძისა და საერთოდ, მესხეთის გმირულ წარსულზე ბევრადბევრი ისტორიული ამბების მოყოლა შეიძლება, მაგრამ აქ თითო-ოროლათი დავკმაყოფილდეთ.

* * *

ახალციხის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყოველთვის საქმიანი, გულისხმიერი და გამრჯე ხელმძღვანელი ებედებოდა. პირველი უფროსი ი. ხვედელიძე იყო, შემდეგ გ. ბებიაშვილი, ტ. შერვაშიძე, პ. რაზმაძე, ე. სევასტოვი, ნ. ფალავანდიშვილი, დ. რომანიშვილი, პ. დარბაიძე, მ. გოზალიშვილი.

1996 წლიდან სამელიორაციო სისტემების სამმართველოს სათავეში უდგას გამოცდილი ინჟინერ-ეკონომისტი გიორგი ზედგენიძე, მესხეთის ძირძველი გვარის გამგრძელებელი.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა ახალციხეზე: ძველ დროში ამ ქალაქს, თურმე, ლომისა ერქვა, რომელსაც დიდი ციხესიმაგრე ჰქონია. მე-17 საუკუნეში როცა ოსმალებმა ლომისა აიღეს, ძველი ციხე დაუნგრევიათ და აუშენებიათ ახალი ციხე. ამის შემდეგ დაერქვა მას ახალციხეო- ამოვიკითხე ნარკვევებში. ამ საკითხზე სხვა მოსაზრებაც ბევრია.

მესხეთი, ოდითგანვე მიწათმოქმედების მაღალი კულტურით გამორჩეული, რომლის ყოველი გოჯი მიწა ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით არის მორწყული, მჯერა, კვლავ გაბრწყინდება და თავისუფალი, დროებით ტერიტორიებდაკარგული საქართველოს აღორძინებაშიც ისეთივე წვლილს შეიტანს, როგორც შემოსეულ მტერთა განადგურებაში შეუტანია.

ძირძველი ჯავახეთი

ახალქალაქის პლატო ჯავახეთის ზეგანის შუაგულს წარმოადგენს, რომლის ჰიფსომეტრიული ნიშნულები 1600-1800 მ. ფარგლებში ცვალებადობს.

მეცნიერი-გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „...ახალქალაქი არს ამ ორ მდინარეთა ფარავანსა და დილიფის შორის. ეს იყო ქალაქი მოზღუდული და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის. გარნა აწ აღაშენა კვალად შავშეთის ბეგმან ქართლიდან“.* შემდეგ „...ჯავახეთის - მტკ-

* ვახუშტი: იგივე, გვ. 130.

ვარსა ზედა, სამხრეთისკენ, კიდეზედ არს წუნა, რომელი აღაშენა - ციხე ქალაქი, მტკიცედ მოზღუდული ჯავახოს, მცხეთოსის ძემან... იყო ქალაქი და ციხე, და საერისთო ერთმეფობამდე. არამედ, აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. ამ წუნას ზემოთ, ხრამის თავს, მინდორზედ, სამხრით კერძოთ, არს კუმურდოს ეკლესია, გუნბათიანი, ფრიად დიდშენი, შვენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კონსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა მირიანისასა. ოჯდა ეპისკოპოსი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა".*

აქედან ჩანს, ჯავახეთი მჭიდროდ დასახლებული ყოფილა, რაც შეეხება ქალაქ - ციხესიმაგრე წუნას, მის ირგვლივ მკვლევარების აზრი სხვადასხვაგვარია და მისი ადგილმდებარეობის საკითხი ძიებისა და კვლევის საგანია.

არც მშვენივრად ნაშენი კუმურდოს ეკლესია გადარჩენია მტრისგან შემუსრას, ის ძლიერ იყო დაზიანებული და რამდენიმეჯერ აღადგინეს, ბოლო ხანს რესტავრაცია გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ჩაუტარდა. საინტერესოა კუმურდოს ტაძრის შესახებ პროფესორ ვ. ბერიძის გამოკვლევები, იგი მოგვითხრობს: „...შესანიშნავი წარწერა ამკობს კუმურდოს სახელგანთქმული ტაძრის სამხრეთის შესასვლელს... იგი გვამცნობს, რომ ტაძრის საძირკველი ჩაუყრიათ შაბათ დღეს, მაისის თვეში 964 წელს... კუმურდოს ტაძარი, შექმნილი საქართველოს ისტორიისათვის ღირსშესანიშნავ ხანაში, როცა მთელი ქართული კულტურა ახალი გაფურჩქვნისა და აღორძინების გზას ადგა, ქართული ხუროთმოძღვრების ნამდვილი მშვენებაა, ქართული ხელოვნების ერთი მწვერვალთაგანი... მშენებლობის მოთავე იოვანე ეპისკოპოსი იყო, ხოლო ხუროთმოძღვარი - საკოცარი..."**

ქართული ხუროთმოძღვრების მშვენება კუმურდოს ტაძარი ახლაც ამაყად დგას ჯავახეთის ზეგანზე. მისი შემოგარენი დასერილია უამრავი ახალი სარწყავი არხებით.

---

* ვახუშტი: იგივე, გვ. 131.

** „ძეგლის მეგობარი", 1964 №2, გვ. 25.

ჯავახეთი მკაცრი კლიმატით: ხანგრძლივი, ცივი ზამთრით და მოკლე, მშრალი ზაფხულით ხასიათდება, რის გამოც აქ საველეტაციო რწყვის პერიოდიც ძალზე ხანმოკლეა - ერთი, ერთნახევარი თვე (ივლისი-აგვისტო).

ჯავახეთში წინათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვას მისდევდნენ თუ არა, ცნობილი არ არის, ისტორიულ-არქეოლოგიურ მასალებშიც ვერ მივაკვლიე ისეთ სარწმუნო წყაროს, როგორც ეს მესხეთზე მოიპოვება.

ახალქალაქს ჩაუდის მდინარე ფარავანი (წინათ მას ჯავახეთის მტკვარიც ერქვა), რომელიც ფარავნის ტბიდან გამოდის, გაივლის საღამოს ტბას, ნინოწმინდას და ახალქალაქის შემდეგ უერთდება მდ. მტკვარს ხერთვისთან. მიუხედავად იმისა, რომ ის მთავარი არტერიაა ახალქალაქისათვის, სარწყავად მისი გამოყენება თვითდინებით მოუხერხებელია გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

სარწყავად ძირითადად გამოყენებულია ადგილობრივი წყაროები.

პირველი სარწყავი არხის მშენებლობა აქ 1922 წელს დაიწყო მაჯადიის არხით, რომელიც „ჰიდრომშენს" გაჰყავდა. სარწყავი წყალი მიიღეს სოფლებმა: მაჯადიამ, სულგუმომ და კულიკამმა. ირწყვებოდა 136 ჰექტარი. შემდეგ არხის მშენებლობა გაგრძელდა 1500 ჰექტარ ფართობზე. აშენდა არხის სათავე ნაგებობა-წყალსაშვი, რომლის საყრდენი კედელი ქვის წყობისგან არის ამოყვანილი, მოსახლეობამ 1800 კბმ მიწის სამუშაო უსასყიდლოდ შეასრულა. მცირე წყლიანი მდინარე აბრალი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას სარწყავ წყალზე, ამიტომ, მისი რეკონსტრუქციის დროს, 1980 წელს, მდინარე ფარავანზე აგებული იქნა სატუმბი სადგური, რომლის მეშვეობითაც ფართობები უზრუნველყოფილი იყო სარწყავი წყლით. შემდგომ პერიოდში რაიონში სარწყავ წყალზე მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა, რის გამოც 1952 წელს, ახალქალაქის ჰიდროტექნიკური უბნის ბაზაზე, რომელიც ახალციხის წყალ-

თა რაიონის დაქვემდებარებაში შედიოდა, შეიქმნა ახალქალაქის წყალთა რაიონი, რომლის უფროსად დააწინაურეს ჰიდროტექნიკური უბნის უფროსი შალვა სარჯველაძე. ბატონ შალვას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაიყვანეს არხები: აგანა-იხტილის, ბარალეთ-იხტილის, აბულ-ტახჩის და სხვ. შემდეგ პერიოდში ახალქალაქის რაიონში ფართოდ გაიშალა როგორც თვითდინებითი, ისე მექანიკური მორწყვის სისტემების მშენებლობა: მწყობრში ჩადგა „ზაკ-ხანდო-კოთელიას", „ზრესის", „კოთელია-ხანდო-ვარევანის", „ალმალის", „მურჯახეთის", „ლომათურცხის" და სხვ. სისტემები.

1958-1961 წლებში სამმართველოს განაგებდა ახალგაზრდა ინჟინერი ბონდო კვატაშიძე, შემდეგ წლებში კი: არჩილ ახვლედიანი, ნოდარ თხელიძე, ვაღარშაკ აივაზიანი. 1980 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს ხაჩატურ სტეპანიანი, ადგილობრივი მკვიდრი, მოსკოვის ჰიდრომელიორაციული ინსტიტუტის კურსდამთავრებული. 1969 წელს აქ იგი მუშაობას იწყებს რიგით ინჟინრად, 1971 წლიდან კი მთავარ ინჟინრად მუშაობდა.

1991-1992 წლების არასტაბილურობის პერიოდში ვერც ახალქალაქის სარწყავ სისტემებზე არსებული სატუმბი სადგურები გადაურჩნენ მწყობრიდან გამოსვლას. წყალმომხმარებელთა ასოციაციების შექმნასთან დაკავშირებით სატუმბი სადგურების აღდგენის საკითხი, ალბათ, მათი პრეროგატივა იქნება.

როცა საუბარია ჯავახეთის ირგვლივ, არ შემიძლია არ გავიხსენო ლეგენდად თქმული და მკვლევარების მიერ აღწერილი იქაური უცნაური ამბები:

მეცნიერი-მკვლევარი, ბატონი სერგი მაკალათია თავის ნაშრომებში მოგვითხრობს, რომ „ჯავახეთს „ამაღლების ჯვარი" წყალობს, რომელიც ნასოფლარ სირგვში დგას, ბარალეთიდან 3 კილომეტრზე. აქ, ამაღლების დღეობა იცოდნენ. სომხები ამ ჯვარს „სურფოვანეს" (წმ. ივანეს) ეძახიან. ამაღლების ამ სვეტს ქვის გალავანი აქვს შემოვლებული. ხალხური რწმენით, ეს ჯვარი

სირგვის მიდამოს დარაჯობსო, იგი ყანას იფარავსო სეტყვისაგან, და ყანის მოცდენაც არ იქნებაო. ქვეყანაზე მოსავალი რომ გაწყდეს, სირგვის მინდორზე მაინც იქნებაო; წინაპრებს უთქვამთ: „პური რომ არსად იყოს, მურჯიკანში მოიკითხეო, თუ მურჯიკანში არ იქნება, მურჩში მოიკითხეო, თუ მურჩში არ იყოს სირგვზე ნახეო და უეჭველად იპოვნიო“. ერთი სიტყვით, ხალხური თქმულებით, სირგვის მიდამოში პური არ მოცდებაო...

მეორე თქმულება გვიამბობს, ერთხელ, თურმე, თამარ მეფეს გამოუვლია სირგვის მინდორზე (ამაღლების სვეტთან), ჯვარი გადაუსახავს და უბრძანებია „ამის პური ულეველი იყოსო“. ამიტომ, აქაური დიკაც ერთიორად მეტ მოსავალს იძლევაო და მატებაც ნახევარზე მეტი იცისო.

რაც შეეხება ამაღლების „ჯვრის“ დადგმას, მეცნიერი შემდეგს გვიამბობს: „...ამაღლების ეს ჯვარი წარმოადგენს ქვის მაღალ სვეტს, რომელსაც ქვის ჯვარი აქვს გაკეთებული. ხალხში არსებობს მის ირგვლივ ლეგენდა-თქმულება: ამ სვეტს ქვის კი არა, ოქროს ჯვარი ჰქონია. შვიდ ძმა ჯავახელს სვეტი მოუპარავთ წალკაში და მალულად ჯავახეთში წამოუღიათ. სირგვის მინდორზე ძმებს დაუსვენიათ და დაუძინიათ, როცა გაულვიძიათ, ისევ შედგომიან ჯვრის წაღების თადარიგს, მაგრამ ქვის სვეტი ადგილიდან ვერ დაუძრავთ. მაშინ უთქვამთ, ალბათ, ისევ დაღლილები ვართ და ქვის აწევა ვერ შევძელითო, დავიძინოთ, კარგად დავისვენოთ და მერე წავიღოთო. ძილში მათ ანგელოზი გამოეცხადათ, რომელსაც უთქვამს - სვეტის ბინა აქ არის და აქვე აღმართეთო. ძმებიც ასე მოქცეულან და სვეტი ოქროს ჯვრით სირგვის მინდორზე აღუმართავთ.

შემდეგ ეს სვეტი ქარიშხალს წაუქცევია, ავაზაკებს მისი ოქროს ჯვარი მოუპარავთ, რასაც თურმე დიდი გვალვა და სეტყვა მოჰყოლია. სამი წელიწადი სოფელი შიმშილით წყდებოდაო. მაშინ ხალხს ეს სვეტი ისევ აუყენებია, დაუდგამთ ზედ ქვის ჯვარი და ქვის გალავნით შემოუღობავთ. ამის შემდეგ მოსავალი უხვი მოდისო. ამიტომ, ამაღლებას მლოცველები

ამ ჯვარს შესთხოვენ ჭირნახულის კარგ მოსავალს, ოჯახისა და საქონლის გამრავლებას“.*

ქვის ჯვარს დღევანდლამდე მოუღწევია.

წმინდა ნინოს ნაკვალევზე

ჯავახეთის ზეგანზე ახალქალაქის რაიონს სამხრეთ-აღმოსავლეთით ემიჯნება ნინოწმინდის (ყოფ. ბოგდანოვკის) რაიონის ტერიტორია, რომელიც კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებით არაფრით განსხვავდება მეზობელი რაიონისაგან. ამიტომ, აქ რწყვის ჩატარება ერთხელ მაინც აუცილებელია. ეს განსაკუთრებით კარტოფილის ნარგავებს ეხება. თავთავიანი კულტურები, რომლებიც უფრო მეტ ფართობზე ითესება, ვიდრე სხვა კულტურა, იშვიათად საჭიროებს მორწყვას, რადგან გაზაფხული აქ ყოველთვის უხვნალექიანი იცის.

ნინოწმინდის რაიონს მთელ ტერიტორიაზე ჩაუდის მდინარე ფარავანი, მისი მარცხენა შენაკადებია: ბუღდაშენიწყალი - გამოდის მადათავისა და ბუღდაშენის ტბებიდან და „აგრიჩაი“, რომელიც ხანჩალის ტბიდან გამოდის.

როგორც ახალქალაქის რაიონში, ისე ნინოწმინდაშიც რწყვა ამ ბოლო დრომდე უცხო რამ იყო. მეცნიერების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ გლობალური გათბობის პერიოდის დაწყებამ გამოიწვია აქ სარწყავ წყალზე მოთხოვნილებაც.

პირველი საინჟინრო სარწყავი სისტემები ექსპლუატაციაში გადაეცა 1960 წელს: ორლოვკა - სპასოვკის სისტემა წყალს იღებს მდ. ბუღდაშენიწყლიდან და ირწყვება 2738 ჰექტარი, ხოლო მეორე - ყაურმა-მამწვარის სარწყავი სისტემის კვების

* სერგი მაკალათია მესხეთ-ჯავახეთი. 1938, გვ. 113-114.

წყაროა მდინარე აგრიჩაი და მასზე ჩამოკიდებულია 470 ჰექტარი სავარგული.

1986 წელს დამთავრდა მამზარის მაგისტრალური არხის მშენებლობა და ხანჩალის ტბის წყლით ირწყვება 700 ჰექტარი ფართობი, რომელიც თავად ხანჩალის ტბას წაართვეს ადამიანებმა.

გარდა ზემოთ აღნიშნული სარწყავი თვითდინებითი სისტემებისა, 57 ჰექტარი ირწყვებოდა მდინარე ფარავანზე მოწყობილი გადასატანი სატუმბი სადგურით („სნპ").

რაიონის ტერიტორიაზე არის, აგრეთვე, 13 ბუნებრივი ტბა, 18 ხელოვნური გუბური, რომელიც საძოვრების გაწყლოვანებისათვის გამოიყენება.

ჯავახეთის ზეგანზე ჭაობის არსებობამ შეიძლება გააკვირვოს მკითხველი, მაგრამ, ფაქტია, რომ 1200-1500 მეტრზე ზღვის დონიდან მართლაც არის ჭაობები - 700-მდე ჰექტარზე. მის წარმოშობას თავისებური ახსნა აქვს და სრული წარმოდგენისათვის მოვიშველიებ გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ლევან მარუაშვილის მოსაზრებას:

„...ყველა ტბა უახლოესი დროის შემცირების ნიშნებს ამჟღავნებს, რაც კლიმატური და გეომორფოლოგიური ფაქტორებით არის გამოწვეული. კარწახის ტბას, მაგალითად, წინათ მეტი ფართობი ეჭირა და მტკვრისაკენ განადენი ჰქონდა; ისტორიული დროის კლიმატური ცვლილებების შედეგად იგი შემცირდა, განადენი მოისპო, წყალი შესამჩნევად გამლაშდა, იხტიოფაუნა კი დაიღუპა. კატასტროფიულად კლებულობს მადათაფის ტბა. ამ ფაქტის მიზეზი, ისე, როგორც ჯავახეთის სხვა ტბების გადაგვარებისა, მდგომარეობს, ერთი მხრივ, კლიმატის შეცვლაში გათბობისა და გამშრალებისაკენ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე და, მეორე მხრივ, ტბის ტაფობების ამოვსებაში შენაკადების მიერ შემოზიდული ნაშალი მასალით..."*

---

* ლ. მარუაშვილი, „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია", 1964, გვ. 324.

ტბების გადაგვარების შედეგად გაჩენილი ჭაობების დასაშრობად ზეგანზე ტარდება სამელიორაციო ღონისძიებანი.

ნინოწმინდის სარწყავ სისტემებს ტექნიკურ მომსახურებას პირველ ხანებში ახალქალაქის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო უწევდა, ჰიდროტექნიკური უბნის მეშვეობით. 1982 წელს, როგორც სხვაგან, ნინოწმინდის რაიონშიც შეიქმნა ცალკე სამმართველო - ჰიდროტექნიკური უბნის ბაზაზე. საწარმოს უფროსად დაინიშნა ინჟინერი ლ. ბიჩახჩიანი. 1987 წლიდან სამმართველოს ხელმძღვანელობს ინჟინერი რაზმიკ აივაზიანი. მისი დიდი მცდელობით, ხანჩალის ტბა გადაეცა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტს. ტბა მდებარეობს ზღვის დონიდან 1928 მ. სიმაღლეზე. სარკის ფართობი შეადგენს 18,7 კვ.კმ. ტბის შევსება ხდება ძირითადად ნიაღვრებისა და ლანქერის წყლებით. ტბის მაქსიმალური სიღრმე 0,8 მეტრია. წყლის დაბალი დონე ხელსაყრელ პირობებს უქმნის მცურავ ფრინველებს შორეულ ქვეყნებში გადაფრენის დროს, ამიტომ, ჩვენი მეცნიერები და გარემოს დაცვის ქომაგები საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდნენ ხანჩალის ტბის წყალსაცავად გარდაქმნის შესახებ.

ხანჩალის ტბა-წყალსაცავიდან იკვებება მამზარის სარწყავი სისტემა 700 ჰექტარი ფართობის მოსარწყავად.

2001 წელს ნინოწმინდის სამელიორაციო სისტემების სამმართველო გარდაიქმნა ჰიდროტექნიკურ უბნად და ისევ ახალქალაქის სამმართველოს დაუქვემდებარეს.

ცნობილია ჯავახეთის ისტორიული როლი ქართველი ერის გაქრისტიანების საქმეში: კაპადოკიელი ღვთისმოსავი წმინდა ნინო ხომ ჯავახეთზე გავლით შემოვიდა საქართველოში ვაზის ჯვრით, და მან მეფე მირიანის (მე-IV ს.) მოწოდებით დაიწყო ქართველებში ქრისტეს რჯულის გავრცელება.

წმინდა ნინოს დიდი და ძნელი, ხიფათიანი გზა ჰქონდა გამოსავლელი, მაგრამ ღვთის წყალობით, მან მშვიდობიანად გამოიარა ეს გზა და თავისი აღთქმა ბრწყინვალედ შეასრულა.

პოეტმა ქალმა ანა კალანდაძემ თავის შესანიშნავ ლექსში ასე აღწერა წმინდა ნინოს შემოსვლა:

„ლურჯ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ჰხვევდა...
და როდესაც ბარში ვარდნი ჰყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ.
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი,
მოდიოდა, ნინო მთებით, მოდიოდა.
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი,
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა - რომელია ქართლის გზაი,
მწყემსმა უთხრა - საქართველო არის ესე...
უცხო მიწა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...“

დიდი გზა - ჯავახეთიდან დიდგორზე გავლით წმინდათა წმინდაა ქართველი ერისათვის .

უძველესი ტაშისკარი

მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს ტრიალი მინდორ-ველი, ხაშურის ქვემოთ, გეოგრაფიულად ორი სახელწოდებით იყო ცნობილი. ხაშური - გომის მონაკვეთს მდ. ფციულამდე დოღლაურის

ველი ერქვა, ხოლო მდინარე ფციულადან მდ. აღმოსავლეთ ფრონემდე (დვანულამდე) და ღოღეთის გორამდე კი - დედოფლის მინდორი. ორივე მონაკვეთი წინათ ურწყავი ყოფილა, ამას ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს: „... მოხისის მინდორი მტკვრამდე არის ურწყავი, არამედ, მოსავლიანი ყოვლითა მარცვალთა“.

დოღლაურისა და დედოფლის მინდვრების გასარწყავების ტექნიკური პროექტის შედგენა ორმოციანი წლების ბოლოსათვის დაუმთავრებიათ. დოღლაურის სარწყავი სისტემის სათავე-ნაგებობა გათვალისწინებული იყო მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე სოფ. ახალდაბასთან, ხოლო 83 კმ. სიგრძის მაგისტრალური არხი რუისამდე ჩადიოდა.

დოღლაურის სარწყავი სისტემის მშენებლობა 1941 წელს დაიწყო, მაგრამ დიდი სამამულო ომის დროს შეწყდა და განახლდა 1951 წელს, მხოლოდ ახალი სახელწოდებით: მას დაერქვა „ტაშისკარის სარწყავი სისტემა“. მშენებლობას აწარმოებდა ტრესტ „მტკვარწყალმშენის“ მე-6 სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოცდილი და ღვაწლმოსილი მშენებელი ინჟინერი შალვა ყიასაშვილი, ერუდირებული სპეციალისტი, კეთილი ადამიანი.

სარწყავ სისტემაზე ბევრი უნიკალური ნაგებობაა აგებული: წყალსაშვიანი კაშხალი მდ. მტკვარზე, წყალმიმღებით, ორი გვირაბი 4,5 კმ.სიგრძის, 7 დიუკერი 5,2 კმ და 3 გალერეა 1,07 კმ., წყალგამშვები რაბი, სულ 62 ცალი, აქედან, 36 ქარელის ტერიტორიაზეა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ 1987 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა ე.წ. ზემო ხაშურის მექანიკური მორწყვის სისტემები 1420 ჰექტარ ფართობზე. აქ აშენდა 5 სატუმბი სადგური, ერთი მათგანის, ვაყის სატუმბი სადგურიდან წყლის აქაჩვა სამ საფეხურზე წარმოებდა. 1989 წელს ამ სარწყავი სისტემის დათვალიერება მომიხდა. დაწვიმებითი მორწყვის ქსელი კარგად ნაგები ჩანდა, მაგრამ იმ მაღალ ზონაში ბოსტნეული კულტურების თესვა ნაკლებ რენტაბელური გამოდგა, ვიდრე მოელოდ-

ნენ, ხორბალი კი მოურწყავადაც კარგად მოდის. აქ შემოდგომა-გაზაფხულზე ტენიანობა ყოველთვის ნორმალურია. მაშ, რისთვის აშენდა ასეთი დიდი სისტემა? აკი, გვისაყვედურეს იქაურმა გლეხებმა, რად იწვალეთ, რად გასწიეთ ამოდენა შრომა, ამ სიმაღლეზე - ამ მთაში რწყვა რა საჭიროაო... მართალი იყვნენ გლეხები.

თითქოს ჯიბრზე, ორი წელიწადი სულ ნალექიანი გაზაფხულ-ზაფხული იყო იმ მთიან ზონაში და დაწვიმებით სარწყავ სისტემას ერთხელაც არ უმუშავია, რწყვა საჭირო არ იყო და აი, დადგა 1991-1992 წლები, დრო უგუნურთა აღზევებისა, როდესაც განუკითხავად ყველაფერს აპარტახებდნენ, 1 კგ. სპილენძისათვის ძვირადღირებულ, ვეებერთელა ძრავებს აჩანაგებდნენ, მილებსა და რკინა-ბეტონის მილებს იტაცებდნენ. სოფელ ვაყასთან 10 ათასი კილოვატიანი ქვესადგური რომ იყო გამართული, ისეა გაძარცული, რომ, თუ მისი საჭიროება შეიქნა, ხელახლა გახდება დასამონტაჟებელი.

ასე რომ, ზემო ხაშურის მიწები, რომელთაც სარწყავ წყალს ვაძალებდით, ისევ ურწყავად დარჩნენ, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით.

ტაშისკარის სარწყავი სისტემის სამმართველოს წინამორბედი იყო ხაშურის სასისტემო სამმართველო, რომელიც 1930 წელს შეიქმნა, მისი უფროსები იყვნენ: თავიდანვე ა. მიქაძე, 1941-1944 წლებში - ირაკლი აგლაძე, 1944-1948 წლებში იოსებ საბანაძე -ის დოღლაურის არხის მშენებლობიდან გადმოვიდა ექსპლუატაციაში, „მთის კაცს“ ვეძახდით - ისეთი ბუმბერაზი აგებულების იყო, „ფუთიანი“ ხელები ჰქონდა.

ხაშურის წყალთა რაიონი, შემდეგ სასისტემო სამმართველოდ წოდებული, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, განსაკუთრებით გიორგი (სერგოს ძე) გრიგალაშვილის უფროსობის პერიოდში, 1948-1977 წლებში. ხაშურის სამმართველო დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებდა მდ. მტკვრის ნაპირების გამაგრებისათვის გომისა და ოსიაურის ტერიტორიაზე. ამ საქმის დიდოსტატები კარგად ფლობდნენ რა „სიპაის“ ტიპის ნაპირდამცავი ჯე-

ბირების მოწყობას, წარმატებით იყენებდნენ მას და მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჯარისკაცებივით იყო ჩარიგებულო ასეულობით „სიპაი“.

1977 წლის შემდეგ ხაშურის სამმართველოს უფროსები იყვნენ: გაიოზ კალანდაძე, იზოლდა ხვედელიძე, ამირან ფოჩხუა, ზურაბ ნიჟარაძე, ალექსანდრე კაკიაშვილი, ვლადიმერ კიკნაძე.

ტაშისკარის სარწყავი სისტემა, თავისი რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობით დიდი და საინტერესო საინჟინრო სისტემაა. ის დიდ ზრუნვასა და ყურადღებას, ტექნიკური ექსპლუატაციის სრულყოფას საჭიროებს. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ძალუძს ახალგაზრდულ კოლექტივს, რომელსაც 1998 წლიდან ინჟინერი მურმან (მერაბ) შეყელაშვილი ხელმძღვანელობს.

ეჭვს გარეშეა, უძველესი ტაშისკარი ისევ გაახარებს საქართველოს ვახუშტი ბატონიშვილის ფრთიანი გამოთქმებით, გახდება „მოსავლიანი ყოველთა მარცვალთა“.

სიჯაბუკის ნოსტალგია – ქარელი

ქარელის რაიონის ტერიტორიას შუაზე ჰყოფს მდინარე მტკვარი. მარცხენა ნაპირის უმეტესი ნაწილი მდინარე ლიახვიდან ირწყვებოდა უძველესი, თამარ მეფის დროინდელი არხებით. ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს გეოგრაფიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი - „...გორის დასავლით არს მთა რუისისა და ამ მთის დასავლით მტკვრის კიდესა ზედა, არს ურბნისი. აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსამდე, ხოლო აწ არის ეკლესია დიდი, უგუმბათო, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი დიდი... რუისის მთის სამხრეთის

მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოველითავე მრავალნი".*

ურბნისი ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარია. მისი შემოგარენი ცნობილია ძველი ნასოფლარებით. მკვლევართა აზრით, ხიზაანთ გორა და ქვაცხელი წარმოადგენენ IV-III ათასწლეულში მთელს კავკასიაში გავრცელებულ ე.წ. „მტკვარი-არაქსის" ენეოლითური (სპილენძისა და ბრინჯაოს შორის გარდამავალი ხანა) კულტურის ძეგლებს. მაშასადამე, არ არის გამორიცხული, რომ მტკვრიდან ლიახვამდე მიწები უძველეს ბრინჯაოს ხანაშიც ირწყვებოდა ლიახვის წყალით.

ქართლში ოდითგანვე იყო დამკვიდრებული სარწყავი წყალით სარგებლობის წესები. მერები (უფროსი მერუე) ვასო მახარაშვილი ხშირად იხსენებდა, რომ, წინათ თურმე, წვერულვაშიანი კაცი წყალს რომ დალევდა ზედა რუზე, აუცილებლად წვერ-ულვაშზე ხელს ისე ჩამოისვამდა, რომ ზედმეტი წყლის წვეთები ისევ არხს შეჰმატებოდა. თქმულება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართლში სარწყავი წყლის ყადრი კარგად იციან და მას ყოველთვის უფრთხილდებოდნენ. წყალზე იყო დამოკიდებული ჭირნახულის ბედი. იქ მუშაობის პერიოდში, მახსოვს - ტრადიციისა და ფესვგამდგარი სავალდებულო წესების საფუძველზე გაზაფხულზე არხების გასაწმენდად ქუდზე კაცი გამოდიოდა ყველა სოფლიდან. ზედა, ქვედა და ყაიბულას არხების წმენდის სამუშაოები ხელით სრულდებოდა, ამ არხებს სათავე-ნაგებობა არ ჰქონდათ (როგორც დღეს) და ამიტომ, რწყვის პერიოდში ურბნისელები, რუისელები, ბრეთელები 20 კილომეტრით დაშორებულ სათავეებზე ურმებით დადიოდნენ წყლის დასამატებლად.

---

* ვახშუტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა", გვ. 78, 1941 წ.

წყლით სარგებლობის წესი ტრადიციულად ჰქონდათ დადგენილი. რიგით წყალუზრუნველყოფა საერთო-სახალხო საქმე იყო. წყალი უქმად არ იკარგებოდა და მაქსიმალურად გამოიყენებოდა. რასაკვირველია, წყალსარგებლობის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები მაშინაც იყო, რაც ზოგჯერ სავალალო შედეგებით მთავრდებოდა.

ქარელის რაიონში, მტკვრის მარცხენა მხარეს, რუისის მთის კალთებზე, ურბნისისა და გორის რაიონის საზღვართან არის დიდი მინდორი, რომელსაც მალხაზის წვერი ჰქვია. ის



სამმართველოს კოლექტივი 1949 წელს

ურწყავი იყო, სადაც მხოლოდ თავთავიანი კულტურები ითესებოდა და მათი მოსავლიანობა წვიმა-ავდარზე იყო დამოკიდებული. ეს ადგილ-მამული, გასული საუკუნის ორმოციან წლებში შეუსწავლიათ მეცნიერ სპეციალისტებს და მათი დასკვნით მალხაზის წვერის მამული თუ მოირწყვება, საუკეთესო იქნება ბაღ-ვენახებისათვის, შაქრის ჭარხლისა და მარცვლეული კულტურებისთვის კი მითუმეტესო. ასეთი დასკვნის საფუძველზე 1937 წელს ტექნიკური პროექტი შეუდგენიათ და მისი განხილვაც შემდგარა.

საინტერესოა, რომ პროექტით 5 ათასი ჰექტარი ფართობის მორწყვა იყო გათვალისწინებული მდინარე ლიახვიდან, თვითდინებით. რატომღაც ამ მიმართულებით მშენებლობა მაშინ არ დაწყებულა, მაგრამ „მალხაზისწვერის“ მორწყვის საკითხი მაინც ცოცხლობდა... და აი, სამოცდაათიან წლებში სარწყავი სისტემის მშენებლობა, მხოლოდ არა ლიახვიდან (არსებული პროექტით), არამედ მტკვრიდან დაიწყო - წყლის მექანიკურად აქაჩვით. მაშინ, ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. იყო ნებისმიერი მარკის ტუმბოები და ძრავები, იყო იაფი ელექტროენერგია, იყო ფული და სურვილი სარწყავი სისტემების მშენებლობისა და ჩვენშიც ფართოდ გაიშალა წყლის მექანიკური და დაწვიმებითი სისტემების მშენებლობა. ერთ-ერთი ასეთი, დიდი სარწყავი სისტემა აშენდა „მალხაზისწვერზე“, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1982 წელს. შეიქმნა მეხილეობის სახელმწიფო მეურნეობა და დაიწყო ხეხილის გაშენება. ამ მეურნეობის პირველი დირექტორი, გივი ჯაბაური, რომელიც ამჟამად ქარელის სამმართველოში მუშაობს, გულისტკივილით იხსენებს, რომ მალხაზისწვერზე ხეხილმა კარგად გაიხარა, წყალმა წალკოტად აქცია იქაურობა, ხარობდა ბუნება, ხარობდა მაშვრალი ხალხიც, მაგრამ ეს დროებითი, ნაადრევი აღმოჩნდა. რადგან, არსებული წყობის დაშლას და ახალი ეპოქის დაწყებას ხალხი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შეხვდა. სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმების გაუთვალისწინებელმა შედეგებმა და დაშვებულმა შეცდომებმა დიდი ზიანი მიაყენა წყალთა მეურნეობის დარგსაც. ამ მხრივ სავალალო მდგომარეობა შეიქმნა მალხაზისწვერზე. აქ მთელი ფართობი მოსახლეობას გაუნაწილდა. ელექტროენერგიის დეფიციტის გამო სატუმბი სადგურის უმოქმედობამ საბაბი მისცა მიწის მესაკუთრეებს მოეშალათ შიდასამეურნეო სარწყავი ქსელი (მილსადენის და ღარული), ამოძირკვეს ხეებიც და 1200 ჰექტარი ხეხილის ბაღიდან თითოოროლა ხე თუ გადარჩა... მალხაზისწვერი ისევ ტრიალი მინ-

დორი გახდა, იქ ისევ საშემოდგომო ხორბალს თესავენ გაზაფხულის წვიმების იმედით, როგორც წინათ.

ალბათ, ისევ მოვა ჟამი, როცა თავად რუისელები და ურბნისელები (გორელებიც), ისევე მოიწადინებენ მალხაზისწვერის გასარწყავებას. რომელი წყლით: ლიახვისა თუ მტკვრისა, ეს ქონებაზე, შეძლებაზე იქნება დამოკიდებული.

ეს, რაც შეეხება მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე მასივებს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მარჯვენა მხარისგან - როგორც ჰავით, ისე ნიადაგის მხრივ. მტკვრის მარჯვენა მხარის სოფლებში რწყვის ყადრი უფრო მოგვიანებით აღიქვეს. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, მოსახლეობის მცდელობით მდ. ძამიდან გაუყვანიათ 4 კმ. სიგრძის არხი.

1921 წელს სოფლების, ქარელის, ქვემო ხვედურეთისა და სკრის საზოგადოების მოთხოვნით, „ჰიდრომშენს" დაუწყია სკრა-ქარელის არხის მშენებლობა - ახალგაზრდა ინჟინრის შალვა ლიაძის პროექტით. არხის სათავე უნდა ყოფილიყო სოფლების — წრომისა და ახალსოფლის შუაში (დაახლოებით იმ ადგილზე, სადაც დღეს არის). პირველ რიგში, სამუშაოები შესრულდა მდინარე ძამიდან სოფელ სკრამდე და 1924 წელს პირველად მდინარე ძამის წყალი მიიღეს სკრელებმა. არხის ზემო ნაწილის, სათავიდან ძამამდე, გაყვანის სამუშაოები შეჩერდა, აშენდა მხოლოდ ბეტონის დიუკერი (სიფონი) მდ. ძამაზე. მოგეხსენებათ, გადადებული საქმისა, სკრა-ქარელის არხის ზემო მონაკვეთი მტკვრიდან ძამამდე დიდხანს ელოდა მშენებლებს.

და აი, დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდა სკრა-ქარელის არხის დაუმთავრებელი ნაწილის მშენებლობის განახლება. პროექტი გადამუშავდა „საქწყალ-პროექტში" მთავარი ინჟინრის დავით გუნიას ხელმძღვანელობით. მშენებლობა, რომელსაც აწარმოებდა ქარელის სასისტემო სამმართველო, 1949 წელს დამთავრდა. მტკვრის წყალმა დიდი შვება მისცა მოსახლეობას. ახალსოფლიდან სკრამდე წინათ მოურწყაობით გატიალებული მინდვრები მწვანედ აბიბინდა,

წალკოტად იქცა ეს მხარეც. მდინარე ძამის წყალიც გამოთავისუფლდა და ახალი ფართობების გასარწყავების მიზნით გაიყვანეს ლეთეთის არხი, ჰიდროტექნიკოს კალე ბერაძის თაოსნობით, მისივე პროექტითა და ხელმძღვანელობით. გარდა სარწყავი სისტემებისა, ქარელის რაიონში დამშრობ სისტემასაც შეხვდებით, არც ისე დიდ ფართობზე - ის სულ რაღაც 400 ჰექტარამდეა მდინარე ხვედრულას შესართავთან, სოფელ ქვემო ხვედურეთის ტერიტორიის ბოლოს.

ამჟამად ჭაობი დამშრალია და ფართობი მთლიანად გამოყენებულია. ამიტომ, მას აქ არც კი მოვიხსენიებდი, ერთი ძველი, ნამდვილი ამბავის გახსენება რომ არ ჩამეთვალა საჭიროდ.

ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, მოხდა ქარელიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ. მაშინ ჭაობის დაშრობის სამუშაოები დაწყებული არ იყო, და ერთხელ, გაზაფხულზე, წყლით დაფარული ჭაობიდან რაღაც უცნაური ხმა მოისმა თურმე, ბუყბუყის მსგავსი, ზოგი ვულკანის ამოფრქვევის საშიშროებაზე საუბრობდა, ზოგი კიდევ რაზე... შიშმა მოიცვა ახლო-მახლო სოფლები, პანიკამ თბილისამდეც მოაღწია... ადგილზე გაგზავნილმა სპეციალისტებმაც ვერ გაარკვიეს მიზეზი.

ამ უცნაურ ამბავს ბატონი ნიკო კეცხოველიც გაუკვირვებია და ერთ დღეს მეგობარ პავლესთან ერთად თავად წასულა ქარელში. აი, რას მოგვითხრობს ის ჭაობის „საცრებაზე“: „...რეზინის წაღებით შევედით ჭაობში, ამ დროს მართლაც შემოგვესმა რაღაც მოზვრის ბღავილის მაგვარი, პავლე შედგა, თვალები შემომანათა... თვალი ჩავუკარი და წინ წავედით; დარწმუნებული ვიყავი ბუღა იყო, ერთი ჭაობის ფრინველია, შინაური მამლისოდენა, გაზაფხულობით ასეთ ხმებს გამოსცემს ხოლმე... წყალი მუხლზე მოგვადგა... ამ დროს ჩემს წინ შეიფრთხიალა უზარმაზარმა ფრინველმა; ვესროლე, მაგრამ დავაცილე; პავლემ იმარჯვა, ფრინველი თავდაყირა წამოვიდა. უცებ მეორეც ამოენთო, უკვე სირცხვილი იქნებოდა ამეცდინა.

- დედალ-მამალი ყოფილან, ამათ შეუშინებია ხალხი".*

ასე დამთავრდა მაშინდელი გახმაურებული შიშიანობა, შემდეგ ჭაობიც ამოაშრეს და არც ამის მსგავსი რამ გამეორებულა.

ქარელის წყალთა რაიონი ცალკე სამმართველოდ 1943 წელს ჩამოყალიბდა. სამმართველოს პირველი უფროსი გამოცდილი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი პავლე ბაკურაძე იყო, მისი მოადგილედ ყოფნა კი ამ სტრიქონების ავტორს მხვდა წილად. ეს იყო ჩემი პირველი დაწინაურება.

სამმართველო ერთ პატარა ქოხში მოკალათდა, რომელიც რკინიგზის სადგურის გადაღმა იდგა. ბატონი პავლე კარგი ორგანიზატორიც იყო და მოკლე დროში სამმართველომ მისთვის შესაფერისი სახე-იერი მიიღო, ტექნიკური პერსონალითაც დაკომპლექტდა. ქარელის ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად საგარეჯოდან გადმოვიყვანეთ გამოცდილი, უაღრესად პატიოსანი და სპეტაკი ჰიდროტექნიკოსი კალე ბერაძე, რომელიც შემდეგ ქარელში დასახლდა და ღრმა სიბერემდე არ ჩამოშორებია წყალთა მეურნეობას. ჩვენთან სამუშაოდ განაწილებით გამოაგზავნეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ახალბედა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი ზინაიდა კვაჭაძე, რომელმაც ერთი წელიწადი იმუშავა ქარელში და შემდეგ თბილისში გადავიდა ჯერ კომკავშირულ სამუშაოზე, შემდეგ კი რესპუბლიკაში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახდა...

ქარელში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ დარგის გამოცდილი მუშაკები - ინჟინრები: ნიკო მჭედლიშვილი, ვლადიმერ ხარაბაძე, გედეონ ტყეშელაშვილი, რამან ჯაბური, გიორგი გრიგალაშვილი.

1945 წელს სამმართველოს უფროსად დაინიშნა იპოლიტე ხოხიაშვილი, რომელიც ორი წლის შემდეგ კასპის სამმართველოში გადაიყვანეს მთავარ ინჟინრად. ქარელის სამმართველოს უფროსად

---

* ნ. კეცხოველი: „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია". 1974 წ. გვ. 55.

კი გადმოიყვანეს ინჟინერი, ომგადახდილი მიტროფანე წაქაძე. ენერგიული, სპეტაკი, გამოცდილი სპეციალისტი 1960 წლამდე ხელმძღვანელობდა სამმართველოს და ამ ხნის განმავლობაში ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი (მათ შორის, სამმართველოს ორსართულიან შენობას).

1948 წელს, სასისტემო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, პარტრაიკომის წარდგინებით, დაინიშნა დავით გვალია, ფოთელი ახალგაზრდა მათემატიკოსი, რომელიც იმხანად ქარელის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი იყო და ამ თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ პარტიის რაიკომმა ჩვენთან გამოაგზავნა სამუშაოდ (იყო ასეთი დაუწერელი კანონი: ერთი ადგილიდან განთავისუფლებული კომუნისტი უმუშევრად არ უნდა დარჩენილიყო და უკეთეს თუ არა, კარგ თანამდებობაზე მაინც გზავნიდნენ).

ბატონ დავითს სრულიადაც არ გასჭირვებია ახალი სამუშაოს ათვისება, მაგრამ მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და პედაგოგობა ამჯობინა. ქარელში დაწყებული ჩვენი მეგობრობა თბილისში გაგრძელდა და ნათელ-მირონობაში გადაიზარდა.

აქვე გავიხსენებ ახალბედა ჰიდროტექნიკოსებს, რომლებიც ფოთის ჰიდროტექნიკუმიდან სამუშაოდ ჩვენთან გამოაგზავნეს, ესენი იყვნენ: გივი ზანარდია, ბონდო კუცია, ნოდარ ლომაია. სამივემ ქარელში მიიღო „ცხოვრებისეული ნათლობა“, აქვე დაოჯახდნენ, ქარელშივე დაოსტატდნენ. მათგან მალე დაწინაურდა და რაიონში ცნობილი ხელმძღვანელი გახდა ბატონი გივი ზანარდია, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ჯანმრთელობამ უმტყუნა და ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან, დატოვა დიდი ოჯახი, მეგობართა სიყვარული და მარადიული ხსოვნა. ნოდარ ლომაია და ბონდო კუცია ბოლომდე შერჩნენ თავიანთ პროფესიას და კეთილსინდისიერად ემსახურნენ დარგს.

1960 წლიდან სამმართველოს უფროსად ოცი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი ღუტო

ჩადუნელი. მის შემდეგ სამმართველოს სათავეში ედგნენ: ნუგზარ ფაცაცხია, თამაზ წყაროველი, ირაკლი გურგენიძე, ალექსანდრე გოგიჩაშვილი. 1996 წლიდან სამმართველოს ხელმძღვანელობს იოსებ (გელა) დადეშელი, რუისის მკვიდრი. იგი, ჯერ კიდევ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დიპლომის დასაცავად ემზადებოდა, როცა მალხაზისწვერის მექანიკური მორწყვის სამმართველოს მთავარ ინჟინრად დააწინაურეს. მალხაზისწვერის მექანიკური მორწყვის სარწყავ სისტემას თავიდანვე დიდი ხარვეზები აღმოაჩნდა, რასაც თანდათან ექსპლუატაციის სამსახური ასწორებდა მთავარი ინჟინრის ხელმძღვანელობით. ამით დიდად უკმაყოფილო ბატონი გელა კინაღამ ხიფათს გადაეყარა. ეს მოხდა 1991 წელს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დიპლომს იცავდა: სახელმწიფო კომისიის წინ იდგა თეორიულად და პრაქტიკულად კარგად მომზადებული სტუდენტი, რომელიც წარმატებით მოახსენებდა კომისიის წევრებს მექანიკური მორწყვის სისტემების უპირატესობას, როდესაც დიპლომანტმა მალხაზისწვერის სარწყავი სისტემა ახსენა, სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთ წევრს თურმე სახე გაებადრა და ხალისიანად შეეკითხა; როგორ მუშაობს მალხაზისწვერის სარწყავი სისტემაო...

გელა დადეშელი რუისელი კაცია, ქართლის გულიდან, ქართლელები კი უფრო პირდაპირები არიან, არ ახასიათებთ პირფერობა და პირმოთნეობა, მიკიბულ-მოკიბული პასუხი და ამიტომ, კომისიის წევრს სხაპა-სხუპით მიუგო:

- როგორ უნდა მუშაობდეს? - ძალიან ცუდად! სიცოცხლეს გვიმწარებს... გაგიგონიათ მიწაში ჩაფლული ლითონის მილები ერთმანეთთან შედუღებული არ იყოს?! ან დგარი ისე იყოს მიდუღებული მილზე, რომ ხვრეტი არ ჰქონდეს გაკეთებული?... გელას დაავიწყდა, რომ სახელმწიფო გამოცდას აბარებდა. მშენებლებისგან განაწყენებულმა გული კი მოიოხრა, მაგრამ მიხვდა, რომ ცოტა გადაამლაშა. ხედავს, კომისიის წევრს არ ესიამოვნა მისი გულახდილი, გაბედული მსჯელობა, სახე

მოელუშა, ხასიათიც შეეცვალა... გელამ საუბრის თემა უცებ შეცვალა. მიხვდა, რომ სწორედ იმ ცნობისმოყვარე სახელმწიფო კომისიის პატივცემული წევრის ხელმძღვანელობით შენდებოდა მალხაზისწვერის სარწყავი სისტემა... და... საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. გელა კიდევაც დააწინაურეს მალხაზისწვერის მექანიკური მორწყვის სამმართველოს უფროსად. 1996 წელს მალხაზისწვერის სარწყავი სისტემა ქარელის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადაეცა და გაერთიანებული სამმართველოს უფროსად გელა დადეშელი დაინიშნა. უნდა ითქვას, რომ ამ სამმართველოში მუდამ საქმის მცოდნე, ერთგული და სპეტაკი ადამიანები მუშაობდნენ. ასეთებად დამამახსოვრდა, ბეჯითი, ამაგდარი მერუები, ხვედურელები - იორამ ელბაქიძე და დავით თვაური, ქარელელი მოსე მარჯანიძე, კეხოჯვრელი ლადო ლომიტაშვილი, რუისელი შაქრო მამესწარაშვილი, ურბნისელი ვასო მახარაშვილი, ბებნისელი მიხეილ დემეტრაშვილი, თამარაშნელი კოტე ხუციშვილი, ბრეთელი სოსიკო გოგიჩაშვილი, დირბელი გაბრიელ ტეტუნაშვილი, ძლევიჯვრელი ლადო ნეფარიძე, ტექნიკოსები: ოთარ გაგლოევი, ვასო შუბითიძე, გამოცდილი მძღოლი, დინჯი და წყნარი ლეო გაბარაშვილი.

ახლა ზოგისთვის ცნობილს, ხოლო ზოგიერთისთვის კი ახალს, საინტერესო ამბავს მოგიყვებით: 1988 წლის 19 აგვისტოს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" დაისტამბა რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის ივანე ჯავახიშვილის სტატია სათაურით „რუისი - დავით აღმაშენებლის აკვნის დამრწევი".

ბატონი ვანო ჩემი თაობის ლიტერატურული მუშაკია (ასე ერქვა იმ დროს ჟურნალისტს დღევანდელი გაგებით). მას კარგად ვიცნობდი- სიმართლის მთქმელი, დაკვირვებული, დინჯი, გათვითცნობიერებული პიროვნება გახლდათ და ამიტომაც ვენდობი მის ნაწერებს- სტატიაში საუბარია რუისელ ძირძველ მამაცაშვილების გვარზე, მათ საქველმოქმედო საქმიანობაზე. ისტორია მოგვითხრობს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში მომხდურ მტერთან ბრძოლაში სახელი გაუთქვამს კონსტანტინე

მამაცაშვილს. მის ცხრაათასიან რაზმს 1854 წელს ჩოლოქის ბრძოლაში სელიმფაშას ოცდათხუთმეტ ათასიანი არმია დაუმარცხებია, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეც ყოფილა და ბევრი სასიკეთო, საერო საქმე უკეთებია როგორც რუისში, ისე სხვაგან. პრესის ცნობით, 1870 წელს, მას პირველს შემოუტანია რუისში ნამყენი ხეხილი, ტყის კულტურის ნერგები.

ასეთი სასიქადულო მამულიშვილის, საზოგადო მოღვაწის, კონსტანტინე მამაცაშვილის პატივსაცემად მის თაყვანისმცემლებს 1885 წელს ნადიმი გაუმართავთ თბილისში, სადაც აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის შემდეგ საზოგადოების ყურადღება მიუქცევია პოეტ ვახტანგ ორბელიანის სიტყვას, რომელსაც აქვე გაგაცნობთ:

„ბატონებო! კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, რომლის გულითადის პატივისცემის გამოსაცხადებლად დღეს ჩვენ აქ შევყრილვართ, არ არის მამაცაშვილების გვარში პირველი, რომელმაც არ დაზოგა ღვაწლი და შრომა და შესწირა თავისი სიმთელე თვის მემამულეს ძეთ. მამაცაშვილების გვარი არის დიდად ძველი და ისტორიული გვარი. ამ გრძელს ჩემს ცხოვრებაში მიცვნია ვინც ყოფილან მამაცაშვილები და ზოგნი მათგანნი მიცვნია ახლოდ. ყველანი ყოფილან სიქველისა და კეთილშობილების გრძნობით სავსენი, და თუ მოვიგონებთ ძველთა დროთ და ძველთა საუკუნეთ, მაშინ თვალწინ წარმოგვიდგება მამაცაშვილების გვარში დიდი ისტორიული ფაქტი, როდესაც ორასი წლის არაბი მფლობელობის ქვეშ საქართველო იყო დანგრეული და უკანასკნელს განწირულებაში, მაშინ რუისში, მამაცაშვილების სახლში, უბრალო ქოხში, არაბთაგან უცნობად, მიმალულად იზრდებოდა ერთი ბალღი. მამაცაშვილებმა გაზარდეს ის ბალღი, შთაუბეჭდეს თავიანთი მხურვალე სიყვარული მამულისა და ქრისტეს სარწმუნოების გრძნობა, თავიანთი მამაცობა და ქველობა. რაკი სიჭაბუკეში შევიდა, ის ბალღი გაიყვანეს ჩერქეზებში, გარს შემოახვიეს მთელნი ჩერქეზნი, ოსნი და მთლად შუა კავკაზიის ხალხნი; იმ დიდის

ლაშქრით და მამაცაშვილების წინამძღოლობით მომართა იმ ჭაბუკმა საქართველო, დაეცა არაბებს, დაამარცხა პირველს ბრძოლაშივე. მამაცაშვილებმა აღძრეს მთელი საქართველო. ჭაბუკი მიესია არაბებს, განდევნა იგინი საქართველოდამ და საქართველო განათავისუფლა, ახლად აღადგინა. ის ბალღი, რომელიც გაზარდეს მამაცაშვილებმა თავის ქოხში, იყო დიდი დავით აღმაშენებელი. ღვთის მადლი იყო, რომ არაბებმა ვერ შეიტყვეს ვისა ზრდიდნენ მამაცაშვილები თავიანთ ქოხში: თუ შეეტყოთ, აღარ იქნებოდნენ არც აღმაშენებელი და არც მამაცაშვილები. ამისთანა ყოფილა მამაცაშვილების გვარი და უნდა გვიხაროდეს, რომ მოგვეცა დღეს შემთხვევა ჩვენი გულის გრძნობა და გულითადი პატივისცემა გამოვუცხადოთ საეროთდ ამ გვარიდან შთამომავალს კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს, რომელმაც დიდი და დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს".

დიახ, სახელგანთქმულ პოეტს ვახტანგ ორბელიანს ექნებოდა ისტორიული წყარო, რათა შთამომავლობისათვის გადმოეცა დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიის ეს საინტერესო ეპიზოდი (რამდენად სარწმუნოა ის, რაც სახელგანთქმულ პოეტს უთქვამს, ისტორიკოს-მკვლევართა დასადგენია).

P.S. ალბათ, სიჭაბუკის ნოსტალგიამ მიკარნახა, ასე დაწვრილებით რომ გიამბობთ ქარელზე, სადაც ფეხი ავიდგი მელიორაციის ძნელ გზაზე.

წუთშესვენება

ღვინობისთვის ერთი კვირადღე ქარელში

დიდ კონსტანტინე გამსახურდიას დავესესხები: ხომ არ მოიწყინე, ჩემო მკითხველო, მელიორაციისა და ირიგაციის გარშემო ჩემი ამდენი თხრობით? თუ ასეა, ერთ ლირიულ „წუთშესვენებას“ შემოგთავაზებ:

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წელია. ჩვენი ჯარი ფეხდაფეხ მისდევს ჰიტლერის „ნაქები“ არმიის ნაწილებს და ზედიზედ ათავისუფლებს მიწასთან გასწორებულ საბჭოთა ქალაქებს. ხალხი გამარჯვებისა და მშვიდობიანი მომავლის რწმენამ აღაფრთოვანა...

ღვინობისთვის ბოლო კვირადღეს მეგობართან ერთად ქარელის ბაზარში შევიარეთ, ომს ვერ გაეტეხა ქართველი გლეხკაცის გული. დღევანდელი გადასახედიდან, გამოგიტყდებით, ისე როდი იქცეოდა მიწის ყადრის მცოდნე, ახლა „თავისუფალ საქართველოში“, რომ იქცევა და... ფულს დახარბებული თბილისის ბაზარს უფრო ეტანება ვინემ საკუთარ კუთხეს...

ჰოდა, ქარელში ბაზრობას, რომელიც კვირადღეებში იმართებოდა, თითქოს ფეხი აეწყო ჩვენი ჯარისკაცებისათვის, დიახ, ქართველი ჯარისკაცებისათვის, რომლებმაც იცოდნენ, რომ ბერლინისკენ ბრძოლებით მიმავალნი, საქართველოს, მშობლიურ თბილისსა და ამ შემთხვევაში, ქარელსაც იცავდნენ...

დავდივართ მე და კალე ქარელის ბაზარში და გვიხარია, ქარელელ გლეხებს საკუთარი ნაამაგარი ბაზარში რომ გამოუტანიათ, ესეც არ იყოს, ამ ნაამაგარში ჩვენი წვლილიც ხომ არის შეტანილი? ჩვენი არხებით მორწყულ ფართობებზეა მოყვანილი ეს ქარვისფერი ყურძენი, გოგრა, ბროწეული, კომში.... ის ინდაურებიც, თავაწეულები რომ შესცქერიან მყიდველს და ის გოჭებიც, ასე რომ ჭყივიან, როცა უცხო კაცის მიერ ფე-

ხებშეკოჭილი სადღაც მიჰყავთ, - ქართლის სარწყავ მიწაზე მოყვანილი საკვებით რომ არიან გასუქებული...

ამ ფიქრებში გართულები, მუხის ვებერთელა კასრით დატვირთულ ურემთან შეგვაჩერა ძახილმა:

- უფროსებს გაუმარჯოს, ჩემს ძვირფას უფროსებს!

ურემთან პატარა ბიჭთან ერთად მოფუსფუსე ჭაღარასა და ტანმორჩილ გლეხს რომ მივუახლოვდით, ვხედავთ, ჩვენს წინაშე ბრეთის უბნის არხების შემომვლელი სოფელ ძლევიჯვრის მკვიდრი ლადო ნეფარიძე, მხედრული წესით გაჯგიმული (როგორც შეეძლო ამ ტანმორჩილ კაცს) დგას და გვეპატიჟება. სხვათა შორის, ლადოს მშობლიური სოფელი - „ძლევისჯვარიც“ მუდამ ომში მყოფი ქართველის მიერ არის უთუოდ მონათლული, - ვფიქრობდი მუდამ და ახლა, ამ გაგანია ომის დროს, მარჩენალ მიწას უვლიდე და საკუთარი მარჯვენით მოყვანილი ჭირნახულით ოჯახსაც არჩენდე და ბაზარშიც გაგქონდეს, ნამდვილი გმირობის ტოლფასია.

ხელგაშლილი გადაგვეღობა ეს გულკეთილი და პატიოსანი ქართლელი გლეხი და გვეხვეწება: საკუთარი ხელით დაწურულ ალადასტურს ჭაშნიკი გაუსინჯეთო.

კაცმა რომ თქვას, არც მე და არც კალეს ასე დილაადრიანად ღვინის დალევა არ გვეხალისება, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენს ხანდაზმულ მასპინძელს ვერ ვაწბილებთ. დავთანხმდით, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ. გაიხარა ლადომ. მიწამდე დაშვებულ ურმის კოფოზე მიყრილ-მოყრილი ბარგი მისწი-მოსწია, ადგილი გამოათავისუფლა და თვალისდახამხამებაში სუფრაც გაშალა. დედას-პური, ახალგამომცხვარი ჭადი, ყველი, მჟავე კიტრი და პამიდორი, ნიორი, შაფრანისა და მეფის ვაშლი... ერთი სიტყვით, ყველაფერი დახვავდა სუფრაზე, რაც ჭაშნიკს კი არადა, ძირამდე გაუსინჯავდა სიმაგრეს ალადასტურსაც და მის დამლევსაც... სანამ ალადასტურს გავსინჯავდით, ლადო მინის პატარა ბოცას მიწვდა და იქიდან ჭანჭურის არაყი ჩამოასხა, ცრემლივით ანკარას ლიცლიცი რომ გაჰქონდა ჭიქაში, თან დასძინა:

„მართალია, ერთნახადია, მარა თავი არაყიაო და ომში წასული ბიჭების სადღეგრძელო შემოგვთავაზა. ვიცოდით, ლადოს უფროსი ვაჟი ქართული დივიზიის ოცეულს რომ ედგა სათავეში. მისი თამადობით დავლოცეთ ყველა ქართველი ჯარისკაცი. მერე ორიოდე ჭიქით ალადასტურსაც გავუსინჯეთ გემო და ის-ის იყო წასასვლელად ვემზადებოდით, როცა თავზე ყავარჯენზე დაყრდნობილი, ფერმკრთალი და გახუნებულფარაჯიანი ახალგაზრდა წამოგვადგა, - ტოგოო! - შესძახა ლადომ და მამაშვილურად გადაეხვია ხეიბარ ჯარისკაცს. ვიცანით, იგი ბრეთელი მერუეს, ჩვენი სოსიკო გოგიჩაიშვილის ვაჟიშვილი იყო. გაგრის ჰოსპიტლიდან გამოწერილი შინ ბრუნდებოდა და ბაზარში გამოუვლია. ტოგო ქერჩის იმ მძიმე ბრძოლების მონაწილე იყო, რომელმაც ბევრი ქართველი ჯარისკაცი შეიწირა... რა თქმა უნდა, ფრონტიდან ახალდაბრუნებული ტოგოს სადღეგრძელოც დავლიეთ ყველამ (ყველამ იმიტომ ვამბობ, რომ სანამ ლადოს ალადასტურს ჭაშნიკს გავუსინჯავდით, სუფრას სხვებიც შემოემატნენ). ძია ლადოს, ტოგომ, შვილის ამბავიც ჩამოუტანა: ჩემთან ერთად მკურნალობდაო გაგრის ჰოსპიტალში, მალე გამოჯანმრთელდა და ისევ ნაწილში დააბრუნესო... ახლა ლადოს ვაჟის შინ მშვიდობიანად დაბრუნების სადღეგრძელოც შევსვით და... მოგეხსენებათ, პატარა რაიონულ ცენტრში ყველა იცნობს ერთმანეთს. როცა შეიტყვეს სოსო გოგიჩაიშვილის ვაჟი დაბრუნებულა ფრონტიდანო, ლადოს ურემს აურაცხელი ხალხი შემოესია. ყველას აინტერესებდა ომში წასული შვილისა და ოჯახის წევრის ამბავი. ტოგო ყველას უამბობდა იმას, რისი თვითმხილველიც თვითონ იყო და გაჩაღდა ნამდვილი სახელდახელო ნადიმი. ლადოს სუფრას ახალი ხიბლი ემატებოდა. საიდანღაც აკარდეონიც გაჩნდა... და მე და კალეც ჩავებით ამ ძალდაუტანებელსა და ალალი გულით გამართულ ნადიმში.

...სამოცი ახალი წელი გავიდა იმ დღიდან, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ლადო ნეფარიძის ურმის კოფოსთან გატარებული დაუვიწყარი წუთები.

მითუმეტეს, როცა ეკრანზე სულიკო ჟღენტის სცენარით განსახიერებულ „ღიმილის ბიჭებს“ ვუყურებ, ასე მგონია ბატონმა სულიკომ იმ ურმის კოფოსთან თითქოს ჩვენთან ერთად გაატარა ქარელში, ღვინობისთვის ის ერთი კვირადღე...

როგორ ჰგავს ჩვენი სახელდახელო ნადიმის თითოეული დეტალი იმას, რაც ეკრანზეა გაცოცხლებული?.. ხომ ვიცი, სულიკო ჟღენტი ამ ჩვენს შეხვედრას არ დასწრებია, მაგრამ ყველაფერი, დაწყებული პერსონაჟებითა და დამთავრებული სოფლის კოლორიტული სურათით, ცხოვრებისეულია. მაშასადამე „ღიმილის ბიჭები“ ჭეშმარიტი ოსტატის ნახელავია...

60 ღვინობისთვე გათენდა მას შემდეგ და ტკბილ მოგონებად შემორჩა ჩემს მეხსიერებას ის, რაც ზემოთ გიამბეთ. და იცით, რას ვფიქრობ? რასაც დღეს მტრობა ანგრევს, ხვალ მას სიყვარული ააშენებს ხელახლა! ეს ჭეშმარიტებაა!

სამაჩაბლოს შემოგარენი

კეხვისა და ვანათის სარწყავი სისტემები დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქვედა წელის მიწების მორწყვას ემსახურება. ისტორიულ წყაროებში ვერ მივაკვლიე უძველეს ხანაში იყენებდნენ თუ არა ამ მხარეში სარწყავ არხებს, ამის შესახებ არც ვახუშტი ბატონიშვილი წერს თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თუმცა აღნიშნავს, რომ ეს ხეობები არიან „კეთილ-ჰაოვანი, გარემოს წალკოტოვან-ვენახოვანი, საზრდილით მაძღარნი“. ცხადია, ქართლის ეს ნაწილი მორწყვის გარეშე არ შეიძლებოდა ასე ლამაზი და უხვმოსავლიანი ყოფილიყო.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, 1930 წ. ამ მხარეში, რომელიც სამხრეთ-ოსეთის ოლქად იყო წოდებული, სარწყავი ფართობი 2858 ჰექტარს შეადგენდა, აქედან 809

ჰექტარი ტირიფონის მაგისტრალური არხით ირწყვებოდა ახალგორის რაიონის სოფელ წინაგარში. კეხვის არხი ემსახურებოდა 1854 ჰექტარი ფართობის მორწყვას ცხინვალი-თამარაშენის ზონაში, 195 ჰექტარი კი ირწყვებოდა წმენისის რუთი. პატარა ლიახვის აღნიშნული არხები შედიოდა ჯერ გორის წყალთა ოლქის, ხოლო შემდეგ გორის წყალთა რაიონის დაქვემდებარებაში.

1937-1947 წლებში წარმოებდა კეხვის საინჟინრო სარწყავი სისტემის მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებდა 3200 ჰექტარი ფართობის მორწყვას.

1953 წელს დამთავრდა ვანათის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც წყალს იღებს მდინარე პატარა ლიახვიდან და 4394 ჰექტარი ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს.

1987 წელს დამთავრდა კეხვის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია. აშენდა ახალი სათავე-ნაგებობა და მაგისტრალური არხის წყალგამტარობა კეხვის ჰესამდე შეადგენს 16 კბმ., აქედან 8 კბმ/წმ გათვალისწინებულია მოსარწყავად, 8,0 კბმ/წმ კეხვიჰესისათვის.

სამხრეთ ოსეთის ცალკე სამმართველო წყალთა რაიონი შეიქმნა 1941 წელს, გორის წყალთა რაიონის ჰიდროტექნიკური უბნის ბაზაზე მისი პირველი უფროსი იყო ინჟინერი კ. ტებლოვი, 1949 წელს ის შეცვალა ს. შავლოხოვმა. შემდეგ სამმართველოს უფროსები იყვნენ: ზაურ ჩოჩიევი, ილია მამიევი, ვლადიმერ მუმლაძე, მიხეილ არინდაული და ზნაურ გასიევი.

1989 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს ახალგაზრდა ინჟინერი, თამარაშნელი თამაზ ბაბუციძე, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1979 წლიდან ამავე სამმართველოში მუშაობდა.

1991 წელს, ავადმოსაგონარ მოვლენების გამო ერთიანი, ძლიერი სამმართველო ორად გაიხლიჩა. ქართველებს იძულებით მოუხდათ ცხინვალის დატოვება და სამაჩაბლოს მელიორაციისა და წყალთა მმეურნეობის სამმართველოს სახელწოდებით გორის რაიონის სოფელ ტირძნისში დაიდეს ბინა. სამმართველოს კოლე-

ქტივი კვლავინდებურად დიდ სარემონტო სამუშაოებს ეწევა კეხვისა და ვანათის სარწყავი სისტემების აღსადგენად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზონკარის წყალსაცავის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც 1999-2000 წლებში ჩატარდა. ათი წლის განმავლობაში უქმად მყოფი წყალსაცავი ისევ შეივსება წყლით, ივლის-აგვისტოს თვეებში, წყლის სიმცირის პერიოდში წყლით უზრუნველყოფს ვანათისა და ტირიფონის სარწყავ სისტემებს მოთხოვნილებისამებრ.

კეხვი-ვანათის სარწყავი სისტემების სამმართველოს (ასე ჰქვია ახლა) კოლექტივი მოუთმენლად ელოდება თავის ძველ სამყოფელში - ცხინვალში დაბრუნებას.

ეს დროც, ალბათ, შორს არ არის...

ქართლის ამ უმშვენიერესი, ისტორიული მხარის ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენების განხილვის პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ მაინც გათვითცნობიერების მიზნით შემოგთავაზებთ ცნობილი მეცნიერების გამონათქვამებს ამ კუთხის შესახებ:

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „...ნიქოზის ჩრდილოთ, დიდისლიახვის კიდეზედ არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილჰაოვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი... კვალად ქცხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლით თამარაშენი, მცირე ქალაქი... თირის მონასტრის ხევზე, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა“.[1]

ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, შიდა ქართლის მკვიდრი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი კი მოგვითხრობს: „...ლიახვის ხეობების მოურავები მაჩაბლები იყვნენ და მათი ადგილსამყოფელი აჩაბეთი და თამარაშენი ყოფილა.“

ივანე მაჩაბელი, დიდი საზოგადო მოღვაწე, შექსპირის ტრაღედიების უებრო მთარგმნელი, ბრწყინვალე მოქართულე-თამარაშნელი იყო.

---

1 ნიკო კეცხოველი, „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“, გვ. 175.

ქართული ენის კარგად შესწავლისათვის მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს სამაჩაბლოში, სახელდობრ, თამარაშენში უცხოვრია კარგა ხანს.

ამ მხარეში ბევრი შესანიშნავი უძველესი ძეგლია.

ქემერტი თავისი სილამაზითა და ძველი ეკლესიით საინტერესო სოფელია. აქ დგას დიდი სამსართულიანი კასრაანთ კოშკი - კასრაძეების უბანში. ოთინაანთ ციხე - ოთინაშვილების უბანში. სოფლის ჩრდილოეთ მხარეს კი - სტრატეგიულ ადგილზე აღმართულია ყაულაანთ ციხე.

ქემერტის თემში შემავალ სოფელ ხეითის აღმოსავლეთით მდებარე სოფელი საბაწმინდა ცნობილია ხეით-საბაწმინდის ეკლესია დედათა სავანეთი (X ს.), ციხე-კოშკებით (XVII ს.), მღვიმეებითა და საყინულეთი.

ამ საყინულის შესახებ აი, რას წერს აკადემიკოსი მ. ბროსე „...აქ, მე დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა, 1848 წლის ზაფხულის ერთ-ერთ ძალიან ცხელ დღეს, ბუნებრივი ყინული მომართვა“. ყინული აქ მხოლოდ ერთ განსაზღურულ მაღალ ტემპერატურაზე იქმნება. ამის შესახებ მეცნიერი ა. მეგრელიძე მოგვითხრობს, რომ „ - მართლაც არის ასეთი საყინულე, როცა ჰაერზე ძალიან ცხელა, მთის ძირში ლოდებს ქვეშ წყაროები გამოდის და იყინება, თუ ძალიან ცხელი დღე არ არის, ეს წყაროები არ იყინება, პირიქით, ზოგჯერ მოთბოდაც გვეჩვენება. 1953 წლის 29 აგვისტოს ცხელ დღეში ამ ყინულით ჩვენც ვისარგებლეთ, სხვა უფრო გრილ დღეს აქ ყინული არ იყო.“* ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, ბუნების საოცრებას წარმოადგენს. სამაჩაბლოზე, ამ დიდებულ ისტორიულ ქართულ მიწა-წყალზე საუბარს ბატონ ნიკო კეცხოველის ნაამბობით დავასრულებ: „ოსები ლიახვისა და ქსნის ხეობაში პირველად

---

* ი. მეგრელიძე - მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა მხარის სიძველეები გვ. 10, 1957 წ.

მეათე საუკუნეში გაჩნდნენ, როდესაც მონღოლებისა და სხვა ჯაჭვის დამპყრობელთა დარბევის დროს, მთებში გახიზნული ქართველობა ბარში ბრუნდებოდა, მათ ნამოსახლარებს კი ოსები იკავებდნენ უმთავრესად არდონის ხეობაში...“ *

კომენტარი ზედმეტია!

ქართლის შუა გულში

ტირიფონის ველი ქართლის შუა გულია. არც ისე დიდი ხნის წინათ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ის ხელმეორედ გასარწყავდა... აქ, სიტყვა „ტირიფონის“ განმარტებისათვის მოვიშველიებ აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ნათქვამს: „...ენათმეცნიერი არ ვარ, მაგრამ ბევრი სიტყვა მაფიქრებს: საიდან, როგორ? აი, მაგალითად, რა უნდა შუა ქართლში ისეთ სახელწოდებას, როგორიც არის „ტირიფონა“. იგი ხომ ზანური წარმოშობისაა და ნიშნავს ტირიფიანს...“ ასევე „ლიახვი“ - „ლია“ ქვემო იმერეთში სველი ადგილია, რომელზედაც წყალი დგება, „ლიც“ სვანურად წყალია. ქვემო სვანეთში წყალდიდობის შესატყვისად იტყვიან „ლიახვი“ მოვარდაო...“ მართლაც და, ერთი ანდაზისა არ იყოს, საიდან სადაო-წმინდა საბაო, საფიქრალია, უძველესი ქართული სინონიმები როგორ არის გაბნეული მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

რაც შეეხება სარწყავ მიწათმოქმედებას, აქ ამ საქმეს უძველესი დროდან მისდევდნენ. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის

---

* ნიკო კეცხოველი, იგივე, გვ. 174, 1974 წ.

თქმით, „რწყვა ქართლში“ II-IV საუკუნეებში კარგად იყო განვითარებული. მაგალითად, ატენის სიონის აშენებასთან არის დაკავშირებული ტანას სარწყავი სისტემის გაყვანა VII საუკუნეში“.

მკვლევართა აზრით, იქ, სადაც ქალაქები იყო გაშენებული, აუცილებლად სარწყავი არხებიც უნდა ყოფილიყო გაყვანილი (მაგალითად, ურბნისთან, რუისთან, გორთან და სხვ.).

თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, მაშინ ისმება კითხვა: როდის არის გაყვანილი არხები ქალაქ გორთან, მდინარეებიდან - ტანა, მეჯუდი და ლიახვიდან?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია, რადგან ჯერ კიდევ არ არის დადგენილი როდის გაშენდა თავად ქ. გორი და გორის ციხე. ისტორიულ წყაროებში გორის ციხე პირველად მე-2 საუკუნეშია მოხსენებული. ვახუშტი ბატონიშვილი გორის ციხეზე წერს: „...არ არის უწყებული, ვისით აღშენდა პირველ“. შედარებით ახალი მოსაზრებებს გვაუწყებს ბატონი ნიკო კეცხოველი: „გორის გორაკზე 1946 წელს ჩამოწყდა ჩრდილო ფერდობის ნაწილი. აღმოჩნდა ექვსი მეტრის სიმაღლისა და სამი მეტრის სისქის კედელი, კრამიტის, ჭურჭლის ნამტვრევები და სხვა ნივთები; ამ ნაშთების მიხედვით არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვამდე მე-2-5 საუკუნეებში აქ ქალაქი ყოფილა“.* მაშასადამე, იქნებოდა სარწყავი არხებიც. ამ აზრს ადასტურებს მკვლევარ მ. გეგეშიძის მოკვლევაც. ის წერს: „ტირიფონის რუსხმული, ფლობს წითელუბანსა და შავშვებს შორის ანტიკური ხანისაა. რუსხმულის გრძელი ნაზურგალი დღესაც კარგად არის შემონახულიო“.**

---

* ნ. კეცხოველი, იგივე, 1974, გვ. 68-69.

** მ. გეგეშიძე. რწყვის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე. მასალები საქ. ეთნოგრ. VI 1953, გვ. 64.

სარწყავი მიწათმოქმედება და არხების გაყვანის ხელოვნება დასაბამიდან არა მარტო ქართლში ყოფილა განვითარებული, არამედ, კახეთშიც, ამას ადასტურებს ბოლო წლებში შირაქში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, რის შესახებაც ქვემოთ, დედოფლისწყაროს სარწყავ სისტემებზე საუბრისას მოგითხრობთ.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ქართლში - ტირიფონის ველზე ხორშაკი ბატონობდა... გორელებს 1893 წელს თხოვნით მიუმართავთ რუსეთის მთავრობისათვის ტირიფონის ველზე სარწყავი არხის გაყვანის შესახებ, მაგრამ თხოვნა უყურადღებოდ დარჩენილა. მხოლოდ 1920 წელს დაუწყიათ ტოპოგრაფიული საძიებო სამუშაოები, ხოლო 1923 წელს უკვე მშენებლობასაც შესდგომიან. არხის დაპროექტებას და მშენებლობას 1922 წლიდან ხელმძღვანელობდა მეჯვრისხეველი ახალგაზრდა ინჟინერი შალვა ლიაძე, შემდეგში წყალთა მეურნეობის დარგის ცნობილი მოღვაწე სპეციალისტი.

1930 წლის 11 მაისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სათავენაგებობა ქ. ცხინვალში, ლიახვის მადლიანი წყალი თავაწყვეტილი გადაეშვა ტირიფონის მაგისტრალურ არხში და რაკრაკით მოეფინა შიდა ქართლის ბარაქიან მინდორ-ველს. დიდი იყო ხალხის სიხარული. სულ მოკლე ხანში ბაღვენახებით და მწვანე ნარგავებით დამშვენდა და გალამაზდა ტირიფონის ველი. წყლით უზრუნველყოფილი იქნა ის მიწებიც, რომლებიც მანამდე პატარა ლიახვით და მეჯუდათი ირწყვებოდა. აყვავდა ქართლის დიდი ვაკე. განვითარდა სარწყავი მიწათმოქმედება. ბატონი ნიკო კეცხოველი იტყვის: „...ისეთი ხილი, როგორიც აქ იცის, სხვაგან არსად გვხვდება. ღვინო ცქრიალაა და გემოიანია. პური ხომ გემრიელია და გემრიელიო“.

დროთა განმავლობაში გაიზარდა სარწყავი მიწათმოქმედების არიალი, დიდი ლიახვის წყალი საკმარისი არ აღმოჩნდა ზაფხულის თვეებში და ამიტომ, პატარა ლიახვზე აშენდა და მოეწყო ზონკარის წყალსაცავი, 40 მილიონი კბმ-ის ტევადობის, რომელ-

იც 1987 წლის მიწისძვრის დროს ცოტათი დაზიანდა. მისი აღდგენა და წყლით შევსება მხოლოდ 1999 წლიდან გახდა შესაძლებელი. ამის შემდეგ ტირიფონის სარწყავი სისტემით წყლით უზრუნველყოფის საკითხი დადებითად გადაწყდა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მაგისტრალურ არხს, რომლის წარმადობა სათავიდან ნაცვლად 9 კბმ/წ-ისა, გაიზარდა 14 კბმ-დე. მოემატა სარწყავი ფართობებიც.

ტირიფონის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული იყო ნადარბაზევის ტბის წყალსაცავად გადაკეთება და დამატებით 5772 ჰექტარი ფართობის გასარწყავება, რისთვისაც საჭირო შეიქმნა სოფ. ხურვალეთში, ტირიფონის მაგისტრალური არხის ბოლო ნაწილზე მძლავრი სატუმბი სადგურის აგება, რომლის წარმადობა საათში 5000 კუბური მეტრია და წყალსაცავის ერთხელ შევსებას 3,5 მილიონი კვტ საათი ელექტროენერგია სჭირდება, რაც მთელი ფართობის ერთჯერადი მორწყვისათვის არც იქნება საკმარისი. დღეს, დუხჭირი ეკონომიკური პირობების გამო, ნადარბაზევის წყალსაცავი ვერ ივსება საპროექტო ნიშნულამდე.

გორის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კოლექტივი ყოველთვის ჩამოყალიბებული და ორგანიზებული იყო, თავდადებული შრომით და კეთილმოსურნეობით გამოირჩეოდა. ქარელში მუშაობის პერიოდში კარგი მეზობლური ურთიერთობა მაკავშირებდა გორელებთან. მახსენდება: ლიახვიდან წყლის მიღება ყოველთვის დიდი გასაჭირი იყო რუისისა და ურბნისისათვის, ბრეთი-საღოლაშენისათვის.

ერთხელ, როდესაც გლეხებს ზედა რუს სათავეზე წავყევი (სოფ. შინდისში), იქ ჰიდროტექნიკური უბნის უფროსად, თურმე, ტექნიკუმელი მეგობარი ვალერი ქორჩილავა მუშაობდა. მან მაშინვე თავისთავზე აიღო ჩვენი არხების წყლით უზრუნველყოფის საკითხი და მის შემდეგ ზედა (დიდ) და ყაბულას არხებში ქარელის საზღვარზე, ივლის-აგვისტოს თვეებშიც კი წყალი არ დაგვკლებია. აი, რას ნიშნავს კარგი მეგობრობა.

მოგეხსენებათ, სარწყავი სისტემების მოქმედების ხანგრძლივობა ძირითადად დამოკიდებულია მათი ტექნიკური ექსპლუატაციის სწორად, სრულყოფილად წარმართვაზე. ამ მხრივ, გორის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კოლექტივი, რომელიც გარდა ტირიფონისა, სალთვისის სარწყავ სისტემასაც უვლის, რესპუბლიკაში ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა. ამ სამმართველოს, რომელსაც ახლა ტირიფონი-სალთვისის სარწყავი სისტემების სამმართველო ეწოდება, ხელმძღვანელობდნენ წყალთა მეურნეობის ამაგდარი, უმწიკვლო და ნაცადი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ: შალვა ლიაძე, სერგო ზერეკიძე, სერგო გელაშვილი, ირაკლი მითაიშვილი, ნიკო ულუხანოვი, ილია სულაძე, ერვანდ (ერემო) ბერიანიძე, რევაზ ალავიძე, თეიმურაზ წყاროველი, ბორის ჩხეიძე. ამ სამმართველოს სათავეში დიდხანს ედგა ერემო ბერიანიძე, სპეტაკი ადამიანი, უსაზღვროდ გულშემატკივარი და ჭეშმარიტი ენთუზიასტი.

ახალი თაობის გორელი მელიორატორებიც სამმართველოს ახალი უფროსის გ. ბეგიაშვილის თაოსნობით, მუხლჩაუკეცავად იღვწიან მეტად რთულ, გაუსაძლის პირობებში და მხარში უდგანან შუა ქართლის გლეხობას; ლიახვის მაცოცხლებელ წყალს უმარჯვებენ მინდვრებსა და ბაღებს, მაღალი მოსავლის მისაღებად. ზრუნავენ და თავს ევლებიან არხებსა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩემს საყვარელ კოლეგებს!

კვერნათის გადასახედიდან

კასპი უძველესი ქალაქი ყოფილა: ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, იგი „...აღაშენა პირველად უფლოს, მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი“ (მურვან ყრუ მეფობდა 740-750 წლებში).

რაიონის ტერიტორიას შუაზე ყოფს მდინარე მტკვარი, მაგრამ მისი გამოყენება რწყვისათვის თვითდინებით შეუძლებელია (ღრმა კალაპოტის გამო), ამიტომ, სამოციან წლებიდან აქ მექანიკური რწყვის სისტემები ჩადგა მწყობრში. მანამდე კი, აქაურ გლეხკაცს გვალვასთან ბრძოლაში შველოდნენ ღელეები და ნაკადულები, მდინარეები: ქსანი, ლეხურა, კავთურა, თეძამი. 1931 წლის სტატისტიკური მონაცემებით, კასპის რაიონში სარწყავი ფართობი ირიცხებოდა 12375 ჰა, აქედან 627 ჰექტარი მოდიოდა ტირიფონის სარწყავი სისტემის ბოლო გამანაწილებელზე. დანარჩენი ფართობი კი ასე ნაწილდებოდა: მდ. თეძმიდან ირწყვებოდა 6773 ჰექტარი, მდ. ქსნიდან - 1273 ჰექტარი (ლამისყანისა და აღაიანის მიწები), მდ. ლეხურადან, 2042 ჰექტარი, მდ. კავთურადან - 1221 ჰექტარი, ღელეებიდან და ნაკადულებით კი - დანარჩენი 432 ჰექტარი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ იმხანად რაიონის მთლიანი სარწყავი ფართობი წყლით უზრუნველყოფილი იქნებოდა, რადგან წყალშემკრები აუზები ხშირი ტყეებით იყო დაფარული და წყაროები უხვად მოედინებოდა. მაგრამ ჟამთა სიავისას ტყეები გაიჩეხა და წყაროებიც შემცირდა ან სულ დაიკარგა. ამიტომ, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ახალი ფართობების ასათვისებლად, 1973-1989 წლებში მდ. მტკვარზე აიგო თეძმის, კავთისხევის და აშურიანის მძლავრი სატუმბი სადგურები, რკინა-ბეტონის ღარული სარწყავი სისტემებით. მტკვრის მარცხენა მხარეს 1955 წელს ექსპლუატაციაში შევიდა თეზი-ოკამის დიდი სარწყავი სისტემა, რომელიც მდ. ქსანზე

აგებული წყალსაშვიანი კაშხლის საშუალებით მარაგდება წყლით. მაგისტრალური არხის სიგრძეა 33 კმ. აქედან, მოპირკეთებულია 15 კმ. ირწყვება 4425 ჰექტარი ფართობი.

მაგისტრალური არხის გარკვეული ნაწილი გადის რთულ რელიეფში- მთის დაღარულ ფერდობებზე. ამიტომაც, არხის მდგრადობის საკითხი ყოველთვის საფრთხეშია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენო ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა:

თეზი-ოკამის არხის მშენებლობა დაიწყო დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ და დასრულდა 1951 წელს. ის ჯერ ექსპლუატაციაში არც იყო შესული... როცა, წყლის საცდელად გაშვებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, სათავიდან მეორე კილომეტრზე არხი დაინგრა. ზემდგომ ორგანოებს მოაწყდა საჩივრები, წერდნენ, რომ არხი მავნებლურად არის აშენებულიო. სიტყვა „მავნებლობა“ ხალხს ჯერ კიდევ შემორჩენოდა 1937 წლიდან.

გამოიყო სამთავრობო კომისია, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, როგორც ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი.

პროექტის ავტორთან, გამოცდილ ინჟინერ აპალონ ბაზაძესთან ერთად გავემგზავრეთ ადგილზე ავარიული მდგომარეობის შესასწავლად. ეს იყო 1953 წლის გაზაფხულზე. ჩვენს წინაშე საზარელი სანახაობა გადაიშალა. მთის ციცაბო ფერდობზე რკინა-ბეტონის დიდი ზომის ფილები ისე იყო აყრილ-დაყრილი, მიხერგილი, რომ ასვლა გაგვიჭირდა. ასეთი რამ არც მანამდე და არც შემდეგ არ მინახავს. ავარიის გამომწვევ მიზეზს, რა თქმა უნდა, მავნებლობასთან არაფერი ჰქონდა საერთო. არხის ნგრევა პროექტიდან გადახვევამ და უმეთვალყურეობამ გამოიწვია.

მაგისტრალურ არხში წყლის პირველად გაშვება ხომ მეტად საპასუხისმგებლო და საყურადღებო პროცესია. ცოტა შეცდომა დაუშვეს და ამიტომ, თავად მშენებლებმა იკისრეს პასუხისმგებლობა და ავარიის ადგილას არხი გვირაბით შეიყვანეს

მთის სიღრმეში, რის შემდეგაც 1955 წელს სარწყავი სისტემა ამოქმედდა.

მეორე თვითდინებითი, ნახევრად საინჟინრო სისტემა, რომელიც გორისა და კასპის რაიონის მიწების მორწყვას ემსახურება, არის დოეს-გრაკალის არხი.

ჩვენში, სარწყავი არხების მშენებლობის პრაქტიკაში, ალბათ, პირველად გაიყვანეს არხი კლდეში 150 მეტრის სიგრძის გვირაბით. არხის მშენებლობა დამთავრდა 1928 წელს, მის გაჭრაზე შესრულებული იყო 27750 კბმ მიწის სამუშაო სამელიორაციო ამხანაგობის შრომით, უსასყიდლოდ.

პროექტის ავტორი და სამშენებლო სამუშაოს ხელმძღვანელი იყო ახალგაზრდა ინჟინერი შალვა ლიაძე.

წარსულში დოეს-გრაკალის არხი ხან გორის, ხან კიდევ კასპის სასისტემო სამმართველოს დაქვემდებარებაში შედიოდა.

1998 წლიდან ის კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაუბრუნდა.

1980 წელს დამთავრდა დასავლეთ აშურიანის მექანიკური მორწყვის სისტემის გამართვა. სინამდვილედ იქცა აქაური გლეხობის დიდი ხნის ოცნება - მაცოცხლებელი წყალი მიიღო აშურიანის ველმა, რომელსაც ასე აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი: „...კვალად კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო უფლისციხემდე“.

სარწყავი სისტემის ამოქმედების შემდეგ ეს ხრიოკი მინდორი ხეხილის ბაღებით დამშვენდა, გაიხარა გლეხმაც და ბუნებამაც... მაგრამ, 1991-1992 წლების არეულობის პერიოდში დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა სარწყავი სისტემა. სიდუხჭირის შედეგად, ბაღების მეპატრონეებმა ხელი აიღეს ბაღების მოვლაზე - „მესაქონლეობა უფრო სარფიანიაო“ და ხეხილი ერთიანად გადახმა, ისევ გატიალდა აშურიანის ველი... მაგრამ უკვე გამოჩნდნენ ძლიერი კეთილმოსურნენი და 400 ჰექტარზე ვენახი გააშენეს, მომავალში ისევ გაცოცხლდება ბუნება დასავლეთ აშურიანზე- ამის იმედი უნდა გვქონდეს.

1930 წლამდე კასპის რაიონის სარწყავი ფართობი ორ სამერაბედ იყო წარმოდგენილი: კასპისა და თეძმის და შედიოდა გორის წყალთა ოლქში. წყალთა ოლქების გაუქმების შემდეგ, 1930 წელს, შეიქმნა დამოუკიდებელი კასპის წყალთა რაიონი, რომლის უფროსი 1931 წლიდან იყო შალვა გუმბერიძე, ენერგიული, პატიოსანი და ერთგული, კვალიფიციური სპეციალისტი. დიდია ბატონ შალვას ღვაწლი რაიონში წყალთა მეურნეობის დარგის განვითარებისა და წყალსარგებლობის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. მისი ღირსეული შემცვლელი 1977 წლიდან იყო იუზა მიქიაშვილი, ინჟინერი-ჰიდროტექნიკოსი, რომელიც მანამდე იქ მთავარ ინჟინრად მუშაობდა. ენერგიული, მუდამ მოძრავი როხროხახმიანი 9 წელიწადი ერთგულად ემსახურა თავის საყვარელ პროფესიას, დიდი შრომა გასწია სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის გასაუმჯობესებლად. პიროვნებაც თავისებური, კეთილი იყო. მე მქონდა ბედნიერება მასთან ერთად მემგზავრა ტაჯიკეთის რესპუბლიკაში 1978 წელს და ხშირად სიამოვნებით ვიგონებდით იქ ერთად გატარებულ დღეებს.

1985 წელს, ბატონი იუზას რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციაში" გადაყვანის შემდეგ, სამმართველოს უფროსად დაინიშნა ნუგზარ გეგია ინჟინერ-ენერგეტიკოსი. რომელმაც თავისი პროფესიული გამოცდილებთი უზრუნველყო ელექტრო-დანადგარების წესრიგში მოყვანა, სარწყავი სისტემების შეუფერხებელი მუშაობა.

1991 წელს ნუგზარ გეგია შეცვალა ინჟინერ-მშენებელმა გიზო ჟღენტმა. 1994-1996 წელს სამმართველოს უფროსად მუშაობდა ინჟინერი ზ. ეპიტაშვილი.

1996 წელს კი, სამმართველოს უფროსად დაინიშნა ადგილობრივი მკვიდრი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ჯემალ კაჭიური. სარწყავი სისტემების მშენებელი - პროფესიონალი აქტიურად ჩაება ტექნიკური ექსპლუატაციის საქმიანობაში; დინჯი, დისციპლინის მოყვარული ენერგიულად მართავს სარწყავი

სისტემების წყლით მომარაგების საქმეს. კასპის სამმართველოს კოლექტივი ყოველთვის გამოირჩეოდა კვალიფიციური სპეციალისტებით. აქ, ჰიდროტექნიკუმის კურსდამთავრების დიპლომებით მოვიდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები სერგო ტულუში და გიორგი ქიტუაშვილი, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ თავიანთ საყვარელ პროფესიას. კეთილად უნდა მოვიგონო ჩემი თანამედროვენი, სხვადასხვა დროს აქ მომუშავე მთავარი ინჟინრები: დავით თოფურია, იპოლიტე ხოხიაშვილი და ოთარ მურჯიკნელი.

კასპის სარწყავი სისტემის სამმართველოს კოლექტივი ტრადიციულად განაგრძობს საქებ-სადიდებელ საქმიანობას - მაცოცხლებელ წყალს აწვდის გვალვისგან წყალმოწყურებულ ხოდაბუნებს.

ტექნიკური აზროვნების და შემოქმედების გაბრწყინება

საქართველოს პირველი სატახტო ქალაქის - მცხეთის ისტორია საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნიე მუხრანისა და საგურამოს სარწყავ სისტემებზე საუბარს წავუმძღვარო ვახუშტი ბატონიშვილის ციტატა: „...მცხეთა აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედაქალაქსა...“

მცხეთა, რომელიც მომხდური მტრებისგან უამრავჯერ იყო აოხრებული და დანგრეული, გვამცნობს ვახუშტი - „მეფემან ფარნაოზ (302-230 წ. ძვ.წ.) კვალად მოზღუდა, და მეფენი ჟამითი-ჟამად ამაგრებდნენ, ხოლო მირიან (IV ს.) აღაშენა ეკლესია მოციქულთა, ხისა, სამოთხესა შინა თვისსა, სადაც არს კვართი უფლისა...“*

მცხეთა კურთხეული, უძველესი ისტორიული ქალაქია და ამიტომაც მიანიჭეს მას ქალაქ-მუზეუმის წოდება. ძველი დედაქალაქი ისტორიულია არხმშენებლობითაც.

ვახუშტი ბატონიშვილი გვიამბობს: „...არს ეკლესია წილკანს - ღვთისმშობლისა, გუნბათიანი და შვენიერი. აღაშენა მეფემან ბაქარ (342-364), ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ორისავე არაგვისა და ბაზალეთისა. ტყვილიანიდამ ისო წილკანელმა, ივ მამათაგანმან, წამოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მისდევდა უმუშუკოთ წყალი, და მოიღო წილკანსა და დის დღემდე“.

---

* ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941. გვ. 60. 63.

ცნობილია ისიც, რომ მდინარე ქსნიდან გაყვანილი არხებით ირწყვებოდა დიდი მინდორი სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მთათა შორის.

მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ძველად სარწყავი არხების გაყვანის ტექნიკაზე და მის მაღალ კულტურაზე არქეოლოგიური მონაპოვრებიც მეტყველებენ. მათ შორისაა მუხრანის რუსხმული - ისტორიული ნასტაგისის სარწყავი არხი, რომელიც ანტიკურ ხანას მიეკუთვნება. ასევე ცნობილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში ეს მხარე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული და მიწათმოქმედებაც საკმაოდ განვითარებული ჰქონიათ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „რუსხმული არის შეშენებული, ბელტით ამაღლებული რუ". სწორედ ასეთი რუსხმულის მეშვეობით მუხრანის მაგისტრალური არხიდან მიეწოდებოდა წყალი სოფლებს: ქანდას, სხალტბას, წეროვანსა და გოროვანს. აღმოსავლეთ საქართველოში რუსხმულები რამდენიმე სოფელში იყო აგებული, მაგრამ მათ შორის მუხრანისა უდიდესია და მნიშვნელოვან ჰიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „მუხრანის რუსხმული გრანდიოზული ნაგებობაა. ეს არის ხელოვნურად შეზვინული მიწა, რომელზედაც გადატარებულია რუს კალაპოტი. მისი მაქსიმალური სიმაღლე ცენტრალურ ნაწილში ექვს მეტრამდე აღწევს და გადაჭიმულია მრავალ კილომეტრზე, როგორც ამ ველის ტაფობის გადალახვის საშუალება."*

დღევანდელი გადასახედიდანაც კი, გამოცდილი, ინჟინრული თვალთახედვითაც ძნელია ერთმანეთისგან გაარჩიო საუკუნეების წინათ მოწყობილი მიწის ზვინული და ბუნებრივი მაღლობი. გაოცებას იწვევს ისიც, რომ თანამედროვე, ახალაშენებული სარწყავი სისტემების მაგისტრალური არხების საპროექტო

* ნ. ბერძენიშვილი...იგივე, გვ. 419.

ნიშნულები ზუსტად მიესადაგა უძველესი რუსხმულებისა და არხების ნიშნულებს.

სხვათა შორის, მცხეთასთან ახლოს, შიომღვიმეში ყოფილა მეორე, ხალხური ტექნიკური აზროვნებისა და შემოქმედების ნაყოფი - უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა - სხალტბის წყალსადენი.

მშენებელთა მაღალ კულტურაზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, მცხეთის თაღოვანი ხიდი მდინარე მტკვარზე, რომლის ისტორიაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ერის წარსულთან. იგი მოწმეა საქართველოს ავბედითობის ჟამისა. მასზე გადაუვლიათ რომაელთა ლეგიონებს, ბიზანტიისა და არაბთა მრისხანე ურდოებს, ამ ხიდს გადაუტანია მონღოლთა, ოსმალთა, სპარსთა და ლეკთა შემოსევები. მცხეთის ხიდთან იყრიდა თავს და მასზე გადადიოდა ამიერკავკასიის მთავარი საგზაო მაგისტრალები დარიალის ხეობიდან საქართველოს სამხრეთ საზღვრებისაკენ, შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვის სანაპირომდე.

ამ ხიდის უძველესი ნაწილები დღეს ზაჰესის საგუბრის წყლით არის დაფარული.

მცხეთის შემოგარენიც, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ვინ იცის რამდენჯერაა აოხრებული და გატიალებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მომხდურები, რასაკვირველია, არხებსაც მიწასთან ასწორებდნენ. მათს აღდგენას კი დრო სჭირდებოდა, რასაც მუდამ როდი ახერხებდნენ...

არხების აღდგენის რეალურად ხორცშესხმა მცხეთაშიც 1921 წლიდან გახდა შესაძლებელი. ამ წელს დაიწყო და 1924 წელს დამთავრდა ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის აღდგენა. ამ არხს ნაოზის განშტოება ერქვა და მისი სიგრძე 21 კმ. იყო. ირწყვებოდა 3000 ჰექტარი მიწის ფართობი.

როდესაც საქართველოში ფართოდ გაიშალა სამელიორაციო მშენებლობა, დაიწყო მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობაც, მაგრამ დიდი სამამულო ომის გამო მშენებლობა შეწყდა. იგი განახლდა 1950 წელს და სახალხო მშენებლობად გამოცხადდა.

აქ სამუშაოდ მასიურად გამოდიოდა მცხეთისა და დუშეთის მოსახლეობა. სამუშაოები მთელ ფრონტზე იყო გაშლილი და ტექნიკური დახმარებისათვის წყალთა მეურნეობის სამინისტრომ სამშენებლო სამმართველოში სპეციალისტები მიავლინა. მათ შორის იყვნენ: „საქწყალპროექტიდან" ახალგაზრდა ინჟინრები: ბონდო კვატაშიძე, ამირან შენგელია, გარიკ აგაბაბოვი და ბორის ჩიკვაშვილი, სამინისტროდან ამ სტრიქონების ავტორი და ინჟინერი ისაკ გოგიჩაიშვილიც ვიყავით მივლინებულები. სოფელ ბულაჩაურის მახლობლად გატარებულ სამთვიან ყაზარმულ ცხოვრებას, არხის მშენებლობაზე მომუშავე ხალხთან და ახალგაზრდა ინჟინრებთან ურთიერთობას და მათთან გატარებულ დროს, დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ. მხოლოდ გულდასაწყვეტია, რომ საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტები - ბონდო, გარიკი და ამირანი უდროოდ წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ხოლო ბატონი ბორისი - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებს ზრდიდა ჰიდროტექნიკოსებად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 70 წლის ასაკში თავის მეორე სამშობლოში - ისრაელში წავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად.

რაც შეეხება მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის ხელმძღვანელობას, მას სათავეში ედგა ნიკოლოზ (კოლია) გაბუნია, გამოცდილი ინჟინერი, სპეტაკი ადამიანი, მუდამ მოძრავი, მუხლჩაუხრელად რომ თავს დასტრიალებდა სამუშაოებს. მისი მარჯვენა ხელი იყო ინჟინერი შალვა ქევხიშვილი - დინჯი, ერუდირებული სპეციალისტი, სპეტაკი და უმწიკლო ადამიანი, რომელიც შემდეგ დიდხანს მუშაობდა სამინისტროს ექსპლუატაციის სამმართველოში.

პროექტის შესაბამისად, მისაქციელის მაგისტრალურ არხზე აგებულია მცირე ძალოვანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც, გულახდილად რომ ვთქვათ, ძლიერ უშლის ხელს მაგისტრალური არხის ნორმალურ ექსპლუატაციას, მით უმეტეს, ელექტროენერგიის დეფიციტის პერიოდში.

ბევრჯერ გამომითქვამს ჩემი მოსაზრება მცირე ჰესების მისამართით და ახლაც ვიმეორებ, რომ ირიგაციულ სისტემებზე მომუშავე ჰესები - არხში ჩადებული ნელი მოქმედების ნალმია, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობას უმოკლებს სარწყავ სისტემას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჰესები კერძო საკუთრებაშია... სამწუხაროდ, მცირე ჰესების მშენებლობა სარწყავ არხებზე კვლავ გრძელდება.

იმედია მომავალში ყველაფერს თავისი ადგილი მიეკუთვნება.

გარდა მუხრანის სარწყავი სისტემისა, მცხეთის რაიონის მიწების მორწყვას ემსახურება, აგრეთვე, საგურამოს, თელოვანის და რამდენიმე მექანიკური მორწყვის სისტემა.

რწყვის ტრადიცია აქ ძველთაძველია. 1931 წელს მცხეთის რაიონში ირწყვებოდა პრიმიტიული არხებით 10 906 ჰექტარი მიწის ფართობი (თითქმის იგივე, რაც ამჟამად).

წყალსარგებლობის დისციპლინა, მიუხედავად იმისა, რომ არხები პრიმიტიული იყო, ძალიან მაღალ დონეზე იდგა. ამის დასტურად ერთ პატარა შემთხვევას გავიხსენებ: 1937 წელს, ზაფხულში. სტუმრად ვეწვიე მეგობარს ნატახტარში. იგი ჰიდროტექნიკური უბნის უფროსი გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ კვირა დღე იყო, მასთან განუწყვეტლივ მოდიოდნენ გლეხები, რიგით წყლით სარგებლობის ნებართვის მისაღებად. თუ უბნის უფროსის მიერ მიცემულ ქვითარს არ წარადგენდა გლეხი, ისე წყალს ვერ მიიღებდა მერუესგან. მიუხედავად იმისა, რომ არხების რეგულირება ქვა-ფიჩხის ჯებირებით წარმოებდა და წყლის დეფიციტიც ხშირი იყო, წყალსარგებლობის დისციპლინა მაინც მაღალ დონეზე იდგა. რაც, სამწუხაროდ, ვერ იქნა შენარჩუნებული საინჟინრო სისტემების პირობებში.

წყალთა მეურნეობის სამმართველო მცხეთაში 1930 წელს შეიქმნა, მანამდე მორწყვის საქმეს რაიონში განაგებდა თბილისის წყალთა ოლქი. სამმართველოს უფროსები იყვნენ: ირაკლი

მითაიშვილი, ნიკო თუშიშვილი, პავლე ბაკურაძე, ირადიონ შარაშიძე, ღუტო ჩადუნელი, დიომიდე (გრიშა) სულაძე, რამაზ შალამბერიძე, აკაკი ჟორდანია. ამჟამად სამმართველოს კოლექტივს ისევ დაუბრუნდა ხელმძღვანელად ბატონი რამაზ შალამბერიძე.

მცხეთის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს გამრჯე და მუყაითი კოლექტივი, ტრადიციისამებრ, წარმატებით უძღვება სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის შრომატევად საქმიანობას და მაცოცხლებელი წყლით უზრუნველყოფს ბარაქიან ქართულ მიწას.

რწყვა მთიანეთში

დუშეთი არ მიეკუთვნება კლასიკური სარწყავი მიწათმოქმედების რაიონს. აქ რწყვა შედარებით ახალი საქმეა და უმეტესად ფაკულტატიურ ხასიათს ატარებს.

პირველი, თელოვნის საინჟინრო-სარწყავი სისტემა ექსპლუატაციაში შევიდა 1954 წელს. იგი წყალს იღებს მდინარე ქსნიდან და მცხეთისა და დუშეთის რაიონების მიწების მორწყვას ემსახურება. 1965 წელს დამთავრდა საგურამოს სარწყავი სისტემის მშენებლობა. შემდეგ წლებში აშენდა ნატახტარის, მჭადიჯვრისა და ბულაჩაურის სატუმბი სადგურები.

1985 წელს, მცხეთის სამმართველოს დუშეთის ჰიდროტექნიკური უბნის ბაზაზე შეიქმნა დუშეთის მელიორაციისა და

წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელსაც გამგებლობაში სარწყავი სისტემების გარდა გადაეცა ერწო-თიანეთის და ყაზბეგის დამშრობი სისტემები. აქვე მინდა გამოვთქვა გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ საერთო ეკონომიკური სიდუხჭირის შედეგად ათეულ წელზე მეტია რაც ერწოში წყალმიმღები მდ. აძეძის და დამშრობი ქსელის წმენდის სამუშაოები არ ჩატარებულა, რის შედეგად დაიწყო მეორადი დაჭაობების პროცესი. ამიტომაც არის საჭირო, ერწოს დაბლობსაც გაუჩნდეს საიმედო პატრონი.

მცხეთა-დუშეთის რეგიონში ყველაზე დიდი მუხრანის (ლამი-მისაქციელის) სარწყავი სისტემაა, რომლის სათავენაგებობა წყალსაშვიანი კაშხალითა და ორი წყალმიმღებით, დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე, სასაზღვრო ზოლშია აგებული მდინარე არაგვზე, რომლის მარჯვენა მხარეზე მუხრანის სარწყავი სისტემა იღებს წყალს, ხოლო მარცხენა მხარეზე - საგურამოს სარწყავი სისტემა; პირველის წყალგამტარიანობაა 7,2 კბმ/წამში, მეორესი - კი 2,0 კბმ/წ.

1985 წლამდე ამ სარწყავ სისტემებს ერთი პატრონი ჰყავდა - მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელიც მომსახურებას უწევდა როგორც მცხეთა-დუშეთის, ისე თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებს.

ჩვენი (ქართველები მყავს მხედველობაში) უცნაური ხასიათისა გამო (სხვა აუცილებლობას მასში ვერაფერს იპოვით) დავაქუცმაცეთ სისტემები, თავიც კი მოვკვეთეთ მაგისტრალურ არხს და იმას მივაკუთვნეთ, ვისაც არაფრად სჭირდება... რა გაეწყობა, ასეთი განუკითხაობა ჯერ კიდევ სუფევს ჩვენს სისტემაში, მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული და დროზე თუ არ ამოვძირკვეთ იგი, სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს.

ამგვარად, შეიქმნა რა დუშეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, მას სათავეში ჩაუყენეს ამ საქმის წამომწყები ვლადიმერ ნათელაშვილი, რომელსაც წილად ხვდა სამმართველოს ჩამოყალიბება და ორგანიზაციული საკითხების

მოგვარება. 1987 წლიდან სამმართველოს უფროსად ინჟინერი შალვა სიბოშვილი დაინიშნა. ორივენი სარწყავი სისტემების გამოცდილი მშენებლები იყვნენ.

ზურაბ თოფურია, რომელიც წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში 1980 წლიდან მოღვაწეობს, სამინისტროს საექსპლუატაციო სამმართველოს წყალსარგებლობისა და ჰიდრომეტრიის განყოფილების უფროსი გახლდათ, შემდეგ მელიორაციულ ინსპექციას ედგა სათავეში. 1991 წელს კი ბატონი ზურაბი რთული საინჟინრო ნაგებობის - ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს და სწორედ იმ დროს, როცა იგი კარგად გაეცნო კოლექტივის საქმიანობას და ახალ პერსპექტივებს გეგმავდა, მოულოდნელად 1992 წ. დუშეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დანიშნეს. თუ რატომ? უბრალოდ, ასე იყო საჭირო, ალბათ... დუშეთის ტერიტორიაზე განლაგებული სატუმბი სადგურები კი, მეტწილად უმოქმედოდ არიან ელექტროენერგიის სიძვირით გამოწვეული არარენტაბელობის გამო.

მეორე, მჭადიჯვარის სარწყავი სისტემა წყალს იღებს ნარეკვავის წყალსაცავიდან, რომლის მოცულობაა 6,8 მილ. კბმ. დუშეთის სამმართველოს მიერ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები ჩატარდა, თელოვნის სარწყავი სისტემის წესრიგში მოსაყვანად და აბანოს ხევის მოსაწესრიგებლად, აგრეთვე, მოსახლეობის დასაცავად წყალდიდობისაგან. სამმართველოს კოლექტივის ზრუნვითა და მუყაითობით სამუშაო მდგომარეობაშია შენარჩუნებული სატუმბი სადგურები სარწყავი ქსელით.

ამ პატარა კოლექტივს ძალუძს შეასრულოს ყველა სახის სამელიორაციო ღონისძიებები, მაგრამ მაინც მართებული იქნება, თუ აღდგება სამართლიანობა და მუხრანი - საგურამოს ინჟინრულ სარწყავ სისტემებს, სათავიდან - ბოლომდე ეყოლება ერთი პატრონი, ერთი გამგებელი.

ხორცშესხმული ოცნება

სამგორის ვრცელი ველ-მინდორის აღორძინება და იქ სარწყავი წყლის მიყვანა მრავალ ჭირგადახდილი ქართველი კაცის სანუკვარი ოცნება იყო ოდითგანვე. როგორც მეცნიერ-მკვლევარები ამტკიცებენ, ეს მხარე უხსოვარი დროიდან აყვავებული ყოფილა განვითარებული სოფლის მეურნეობით. 1579 წლის საბუთებში მოხსენებულია, სამგორის ველი თამარის მეფობის დროინდელი არხებით ირწყვებოდაო. სამწუხაროდ, ასე ვამბობთ წარსული ეპოქის შესახებ, რადგან ჟამით ჟამამდე სხვადასხვა ჯურის ურდოები სასტიკად აჩანაგებდნენ ქვეყანას და, რა თქმა უნდა, სარწყავ არხებსაც, ისე, რომ ზოგან მათი კვალიც აღარ დარჩენილა. როგორც სხვაგან, სამგორშიც ყოფილა მცდელობა აღედგინათ სარწყავი არხი მდ. იორიდან, მაგრამ უშედეგოდ. მეფე ერეკლე მეორესაც უცდია სამგორის არხის აღდგენა, მაგრამ ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განუხორციელებია, 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის ურდოების შემოსევის გამო. თუმცა, ძველი ნარუალის ტერიტორია, რომლის აღდგენასაც მეფე შეუდგა, არც ისე ხელსაყრელი იყო, რადგან ბუნებრივი უარყოფითი მოვლენები (თავსხმა წვიმები, მეწყერი და სხვ.) ხშირად აზიანებდა არხის მნიშვნელოვან მონაკვეთს და მწყობრიდან გამოყავდა იგი.

მეფე ერეკლეს მიერ დაუმთავრებელი სამგორის არხის აღდგენის სამუშაოები, რუსეთის მეფის ნაცვლის თაოსნობით, 1847 წელს დაუწყიათ. არხის აღდგენის ტექნიკური დოკუმენტაცია რუსული საინჟინრო კორპუსის ტოპოგრაფების მიერ იყო შედგენილი. მშენებლობას ხელმძღვანელობდა თავადი ბაგრატიონ-მუხრანელი. არხის მშენებლობა სართიჭალამდე 1848 წელს დაუმთავრებიათ, ისე, როგორც მეფე ერეკლეს დროს, ხოლო მთლიანი არხის მშენებლობა სამგორამდე კი - 1849 წლის დამლევს. და ამ მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად თბილისი-სიღნაღის საფოსტო გზის მარჯვენა

მხარეს, სამგორის არხის გადაკვეთაზე მშენებლებს დაუდგამთ გრანიტის ქვის მონუმენტი წარწერით, რომელიც გვაუწყებს მეფე ერეკლეს მიერ დაწყებული არხის მშენებლობის დამთავრებას. ის დღესაც ამაყად დგას, როგორც სამგორის აყვავების, მტკიცე ნებისა და უდრეკი ადამიანების გამარჯვების სიმბოლო.

არც ამ არხს აცდენია წინამორბედთა ბედი, რომლის შესახებ დამაჯერებლად მოგვითხრობს ქართველი (ალბათ, პირველი) ინჟინერ-ჰიდრავლიკოსი, რუსეთში სახელმოხვეჭილ მეცნიერთა მიერ აღიარებული მიხეილ გარსევანიშვილი (რუსებისათვის მ.ჰ. გარსევანოვი), რომელიც 1868 წლიდან 15 წელიწადი კავკასიაში მოღვაწეობდა - რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარედ და სამოქალაქო მშენებლობის მთავარ ინსპექტორად. ბატონი მიხეილი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში მორწყვის საქმეს და დეტალურად განიხილავს სამგორისა და ყარაიის (გარდაბნის) არხების ტექნიკურ მდგომარეობას.

მიუხედავად იმისა, რომ სამგორის არხი ფერდობებზე რამდენიმეჯერ დამეწყრილა და ნიაღვარს წაულეკავს, აღდგენითი სამუშაოები არ შეუწყვეტიათ. 1868 წელს დაუმთავრებიათ მშენებლობა და წყალიც გაუშვიათ არხში, რომლის სიგრძე 18 კილომეტრი ყოფილა, აქედან 6 კმ. ფერდობებზე გადიოდა, არხის პარამეტრები იყო: ფსკერის სიგანე 2,1 მეტრი, სიღრმე 1.0 მ. არხით ირწყვებოდა სოფლები: სართიჭალა, მუღანლო და ბილბაო. კოლონიები: მარიენფელდი და პეტერდორფი (გერმანელთა ამ უცხო დასახლებების შესახებ მოთხრობილია უფრო დაწვრილებით, ქვემოთ, ბოლნისის სარწყავი სისტემების განხილვისას).

გავიდა ხანი და სამგორის არხი კვლავ გამოვიდა მწყობრიდან. რის შემდეგ ეჭვის თვალით უყურებდნენ მისი აღდგენის საკითხს.

ისევ გატიალდა სამგორის ველი. ქვეყნის მოჭირნახულე, მოწინავე ინტელიგენციას ცდა არ დაუკლია არხის აღსადგენად,

მაგრამ ყველაფერს უქმად ჩაუვლია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პროექტიც იყო შედგენილი (ბელი და გაბასი 1864 წ.; მ. ქურდიანის - 1913 წ.; მელიქ-ფაშაევისა - 1917 წ.). ისინი არც ერთი არ განხორციელებულა.

სამგორის დიდი ველის მორწყვის საკითხი რეალურად 1926 წელს გადაწყდა როცა მთავრობამ სამგორის სარწყავი სისტემის პროექტის შედგენა დაავალა გამოცდილ ინჟინერს პეტრე მამრაძეს, რომლის ხელმძღვანელობითაც ფართოდ გაიშალა საპროექტო-საძიებო სამუშაოები ახალგაზრდა, ნიჭიერი ინჟინრების: შალვა ახალკაცის, აეტი ყიფშიძის, გეოლოგების: სიკო ელერდაშვილისა და ვ. ხელაძის მონაწილეობით.

სამგორის სარწყავი სისტემის ტექნიკური პროექტი, სათანადო განხილვის შემდეგ, 1933 წ. წარუდგინეს საკავშირო მთავრობას. სამგორისა და სხვა დიდი სარწყავი სისტემების მშენებლობა საქართველოში გათვალისწინებული იყო მე-3 ხუთწლიანი გეგმით და მშენებლობაც დაიწყო 1941 წლის დადგომისთანავე, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა შეწყვიტა იგი.

ომის დამთავრების შემდეგ პირველ რიგში განახლდა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. გადამუშავებული ტექნიკური პროექტის ავტორი ინჟინერი შალვა ახალკაცი იყო, უკვე გამოცდილი, სახელმოხვეჭილი სპეციალისტი. 1947 წელს გრანდიოზული სამუშაოები დაიწყო და მასში მთელი საქართველო მონაწილეობდა. ამ სისტემის ზედა მაგისტრალური არხი, მრავალი ჰიდროტექნიკური ნაგებობით, უნიკალურ ნაგებობათა კატეგორიას მიეკუთვნება. აქ აგებულია: 5 დიუკერი (სიგრძით 1,8 კმ), 3 სწრაფენი (სიგრძით 1,65 კმ), 3 აკვედუქი (სიგრძით 1,8 კმ), გაყვანილია 9 გვირაბი, სიგრძით 8,4 კმ. მაგისტრალურ არხზე აგებულია 3 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 31 ათას კილოვატს შეადგენს. მაგისტრალური არხის გამტარიანობა 13 კუბ. მეტრია წამში. იგი ემსახურება 15 ათასი ჰექტარი ფართობის მორწყვას და თბილისის წყალსაცავის შევსებას, საიდანაც ქვედა მაგისტრალური არხით

13 ათასი ჰექტარი ფართობი ირწყვება, ხოლო 30 მილიონი კუბური მეტრი წყალი ყოველწლიურად თბილისის წყალსადენს მიეწოდება წყალმომარაგებისათვის. ამიტომაც, სამგორის ზედა მაგისტრალური არხი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისაა და განსაკუთრებულ ზრუნვასა და ზედამხედველობას საჭიროებს.

მაგონდება პირველი დღე არხში წყლის გაშვებისა - ეს იყო 1951 წლის 4 ნოემბერს... როდესაც ივრის მაცოცხლებელი წყალი პირველად დაეშვა მლაშე წყლისა და ავლაბრის ნატბევარებში. ეს თარიღი, როგორც მაუწყებელი თანამედროვე ქართული ჰიდროტექნიკური ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვებისა - ისტორიულია. უსაზღვრო იყო ის ზეიმი, რომელიც მაშინ მთელმა საქართველომ გაიზიარა. ავლაბრის ნატბეურის მშრალ ტაფობზე უთვალავი ცნობისმოყვარენი. დილიდანვე ელოდნენ ივრის წყალს. აქ, ისინი საქართველოს ყოველი კუთხიდან იყვნენ წარგზავნილები და მთელი დღე ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ, მოხუცებსა და ბავშვებსაც კი. ახალგაზრდობა დროს ატარებდა წყლის მოსვლის მოლოდინში... იყო ცეკვა, სიმღერები, სადღეგრძელოები და აი, საღამო ჟამს მთელი ტაფობი საოცარმა ყიჟინამ და ხმაურმა მოიცვა... 39 კილომეტრის სიგრძის დაბეტონებული მაგისტრალური არხის ბოლოში აგებულ წყალვარდნილთან თავაწყვეტით მოვარდა ივრის აქაფებული წყალი და ჩანჩქერად გადაეშვა გვალვისგან დამსკდარ, ნაპრალებად ქცეულ ნატბევარის ფსკერზე და ბუყბუყით უმალ ჩაყურყუმალავდა... წყლით იფარებოდა მზისგან გადატრუსული, უთვალავი ადამიანის მიერ გადათელილი ქვაბულის ფსკერი. ხალხი კი ყიჟინითა და სიხარულით დააბოტებდა ივრის მღვრიე წყალში, რომელიც აუჩქარებლად, ნელ-ნელა ეუფლებოდა მისთვის გამზადებულ სამუდამო სამყოფელს. ახდა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება: სამგორის ველზე მაცოცხლებელი წყალი მოვიდა და დაიწყო შევსება 308 მილიონ კუბური მეტრი მოცულობის წყალსაცავისა, რომელსაც თბილისელებმა მაშინვე „თბილისის ზღვა“ შეარქვეს.

ამ დაუვიწყარ მოვლენას ბევრი ლექსი და სიმღერა მიეძღვნა. აჟღერდა ანდრია ბალანჩივაძის „სიმღერა სამგორზე“- პოეტ კარლო კალაძის ლექსის მიხედვით:

„სამგორის ველზე ყვავილებს ვეძებ,
გაზაფხულია!
დიდი ოცნება ცად ასაფრენად
ფრთაასხმულია...
სამგორის ველი ოსტატის ხელით
დახატულია, -
სამგორის ველზე ასიათასი
ნაკადულია!“

...ზედა მაგისტრალური არხის ტექნიკურ ექსპლუატაციას პირველ ორ წელიწადს თბილისის (გარეუბნის) სასისტემო სამმართველო ეწეოდა, 1954 წელს კი შეიქმნა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველო. მისი პირველი უფროსი იყო გამოცდილი ინჟინერი, სამგორწყალმშენის ტრესტის ყოფილი პირველი მმართველი ვალერიანე ღაღანიძე.

სამგორის სისტემით პირველი ჰექტრების რწყვა 1952 წლის 20 მარტს დაიწყო ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით. ამ დღეს №11 გამანაწილებელი არხიდან ივრის წყალი ერთი საუკუნის შემდეგ პირველად ეწვია ისტორიულად ცნობილ ულუვარის მინდორს და გამოაცოცხლა უნალექო ზამთრისგან გადაყვითლებული ჯეჯილი, მწვანედ ააბიბინა ველი...

ნასაგურსა და ულუვარზე ბუნება მოსულიერდა, სიცოცხლე განახლდა... ამ ღირსშესანიშნავ და სარწყავი სისტემისათვის ისტორიული თარიღიდან ნახევარი საუკუნეზე მეტია გასული და ამ ხნის განმავლობაში ზედა მაგისტრალური არხი ღირსეულად ემსახურება ხალხს და შეუფერხებლად აწვდის მაცოცხლებელ წყალს როგორც სამგორის მინდორ-ველს, ისე მასზე აგებულ ჰიდროელექტროსადგურებს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, არხი „ჭარმაგად“ გამოიყურება და თუ არ დავაკლებთ პროფესიულ

ზრუნვასა და ყურადღებას, ის კიდევ დიდხანს გაგვიწევს უანგარო სამსახურს.

სამგორის სარწყავი სისტემის შემადგენელი მეორე - ქვედა მაგისტრალური არხი ერთ დამოუკიდებელ სარწყავ სისტემას წარმოადგენს საკუთარი სათავე-ნაგებობით. მისი კვების წყაროა თბილისის წყალსაცავი.

ქვედა მაგისტრალური არხი მნიშვნელოვნად განსხვავებულ გეოგრაფიულ-გეოლოგიურ პირობებშია გაყვანილი, ვიდრე ზედა არხი. 43 კილომეტრის სიგრძის არხი უმეტესწილად ბეტონით არის მოპირკეთებული. მასზე მოწყობილია 6 დიუკერი (2,3 კმ. სიგრძის), 3 აკვედუკი, 1 გვირაბი, ღვარსაშვებები...

თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არხი გადის გაჯოვან ნიადაგში და ინტენსიური ფილტრაცია ავარიულ სიტუაციას ქმნის. წყლის გაჟონვის საწინააღმდეგოდ დამატებით ჩატარებულ სამუშაოთა გამო კი შემცირდა არხის გამტარუნარიანობა: 12 კუბური მეტრის ნაცვლად 7-8 კუბურ

სამგორის ზედა მაგისტრალური არხი თოვლიან ზამთარში

მეტრზე მეტს ვერ იტევს არხის ის მონაკვეთი. წყლის დეფიციტის შესავსებად 1958 წელს მდინარე ლოჭინიდან გამოყვანილი არხით 1,2 კუბური მეტრი წყალი ჩაედინება მაგისტრალურ არხში ლოჭინის დიუკერთან. ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ მაგისტრალურ არხზე ბევრი ახალი ნაგებობა აიგო, რეკონსტრუირებულია 28-ე გამანაწილებელი არხი, რომელიც თავისთავად ერთ პატარა სარწყავ სისტემას წარმოადგენს, მეორე რიგის გამანაწილებლებით. 28-ე გამანაწილებელ არხამდე წყლის მიყვანა კი ყოველთვის დიდი პრობლემა იყო, ამიტომ, გარდაბნის მაგისტრალურ არხზე სწრაფდენთან 1970 წელს აიგო სატუმბი სადგური, რომლითაც მტკვრის წყალი მიეწოდება 28-ე გამანაწილებელ არხს და 150 ჰექტარზე მოწყობილ დაწვიმებითი მორწყვის ქსელს.

ქვედა მაგისტრალურ არხში წყლის დეფიციტის შესამცირებლად და რუსთავის აზოტის ქარხნის საჭიროებისათვის, აიგო სატუმბი სადგური მდ. მტკვარზე გაჩიანში. 1983 წლიდან დაიწყო მისი ექსპლუატაცია, მაგრამ რუსეთის ქარხნებში დამზადებულმა ახალმა ექსპერიმენტულმა აგრეგატებმა ვერ გაამართლეს იმედები: სანახევროდაც ვერ მიაწოდეს წყალი მაგისტრალურ არხს... ისევ დიდი მოთხოვნილება იყო სარწყავ წყალზე, განსაკუთრებით არხის ბოლო ნაწილში და დიდი „განსჯის“ შემდეგ გადაწყდა ქვედა მაგისტრალურ არხში წყლის მიწოდება განხორციელებულიყო ზედა მაგისტრალურ არხიდან ჩუმათხევის საშუალებით. ამ წინდაუხედავმა წინადადებამ გაუთვალისწინებელი ზიანი მიაყენა ხევს, რომელიც დღეს მთლიანად ჩახრამულ-ჩაფლატული და შემზარავი სანახავია, არადა, მანამდე ის პატარა ხევი იყო წვიმის წყლების შემკრები და მასზე ფეხით გადასვლაც შეიძლებოდა.

მკითხველს დაებადება კითხვა: რაშია საქმე, რატომ არ ყოფნიდა წყალი არხის ბოლოს მდებარე სავარგულებს? ეს ხომ საინჟინრო სისტემაა, პროექტით აგებული?! ჩემი ღრმა რწმენით, პასუხი ერთია: წყალსარგებლობის დისციპლინის სისუსტე და გეგმური წყალსარგებლობის უგულველყოფა, რის

შედეგად მილიონობით კუბური მეტრი წყალი ღამის საათებში უქმად იღვრება, ხოლო არხის ზედა ნაწილში წყალმომხმარებლები განუზომლად იტაცებენ წყალს. ასეთ პირობებში, წყლის გამოყენების მაღალ კოეფიციენტზე ფიქრიც არ შეიძლება. ცხადია, რაც ნაკლები იქნება წყლის დანაკარგი არხის ზემო ნაწილში, მით უფრო მეტი წყალი გვექნება ბოლო ნაწილში.

წყლის დანაკარგების შემცირების ერთ-ერთი საშუალება არის ბუფერული წყალსატევების მოწყობაც, რომლის პრაქტიკა ჩვენში იშვიათია. ამ მხრივ პირველი ცდა სწორედ ქვედა მაგისტრალურ არხზე განხორციელდა. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსის ოთარ მუსერიძისა და ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის გიორგი ქევხიშვილის თაოსნობით, ქვედა მაგისტრალური არხის მე-13 გამანაწილებელთან, სოფელ გაჩიანის კუთვნილ ტერიტორიაზე მოეწყო 900 ათასი კუბურიმეტრის მოცულობის წყალსაცავი, რომელსაც დამპროექტებლებმა „დიდი ტაფა" დაარქვეს და რომლის მშენებლობა 1986 წელს დამთავრდა. ამ მოცულობის წყალი სრულიად საკმარისი იქნება ზაფხულის პერიოდში სოფელ გაჩიანის და ნაწილობრივ ახალი სამგორის მიწების მოსარწყავად. მაგრამ ის სარწყავად დღემდე გამოუყენებელია (!) არადა, გეგმური წყალსარგებლობის განხორციელებით ბუფერული წყალსაცავი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს წყლით უზრუნველყოფას არხის ბოლო - უკიდურეს წერტილშიც.

სამგორის უკაცრიელი ველის განახლებულ მიწაზე დამკვიდრდნენ ახალი სოფლები: გამარჯვება, ახალი სამგორი, ჯანდარი, სამგორის მევენახეობა... მაცოცხლებელმა წყალმა წალკოტად აქცია გადახრუკული უდაბნო, ააბიბინა და აახმაურა იქაურობა: სწრაფად განვითარდა მიწათმოქმედება, გაჩნდნენ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მძლავრი კომპლექსები, გაშენდა ვენახი და ბაღები, სიცოცხლე დამკვიდრდა უდაბნოში...

სამგორში დაფუძნებული ახალი მოსახლეები ძირითადად ხევსურეთისა და ქართლ-კახეთის მაღალმთიანი ზონის მკვიდრნი

არიან და პირველ ხანებში მათთვის რწყვა „უცხო ხილი“ იყო, აქ კი მოურწყავად არაფერი გვარობდა. ამიტომ, ახალი სარწყავი მიწების ათვისება-გამოყენების საკითხის მოწესრიგება მოითხოვდა ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას. საჭირო იყო წინათ ურწყავი ფართობების მომზადება რწყვის ჩასატარებლად, დამატებითი მუდმივი და დროებითი არხების გაყვანა, ფართობების მოსწორება-მოშანდაკება და რაც მთავარია, მოსახლეობა მორწყვის წესებსა და მორწყვის ტექნიკას და წყლის ყაირათიანად ხარჯვის დისციპლინას უნდა შეგუებოდა. ყოველივე ამის გაკეთება გამოსათქმელად ძალიან ადვილია, მაგრამ მისი ეფექტურად შესრულება დიდ და დაძაბულ შრომას მოითხოვდა ყველასგან, პირველ რიგში, სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისგან, განსაკუთრებით კი წყალსარგებლობის დარგის სპეციალისტებისაგან.

როგორც ამ საქმიანობის ერთ-ერთი მონაწილე და ხელმძღვანელი, აღვნიშნავ, რომ სამმართველოს ყველა სპეციალისტი დიდი მონდომებით, დიდი ენთუზიაზმით, მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა ტექნიკურ და საგანმანათლებლო, საშვილიშვილო საქმეს. ამ კეთილშობილურ დარგში ჩაუხედავი კაცი ვერც კი წარმოიდგენს რაოდენი შრომა და ენერგია იყო საჭირო იმ დროს ახალი სარწყავი სისტემის მოწესრიგება-გამართვისათვის, და ხამი ადამიანებისათვის რწყვის ყადრის შესასწავლად, მერწმუნეთ - უზარმაზარი... და ეს გააკეთეს ჩემი თაობის ადამიანებმა, პროფესიონალმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა. ისინი, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს ისტორიაში ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით უნდა იყვნენ მოხსენიებულნი. ახალი თაობის სპეციალისტები არასდროს არ უნდა ივიწყებდნენ მათ. ესენი იყვნენ სამმართველოს უფროსები: ვალერიან ღაღანიძე, გიორგი ნიშნიანიძე, გრიგოლ ჯალაღანია, მთავარი ინჟინრები: შალვა ბაქრაძე, არშაილუს ბაღდასაროვი, ინჟინერ-ტექნიკოსები: გიორგი მდივნიშვილი, შალვა სარჯველაძე, შოთა დუდუჩავა,

სულიკო კახაია, ბიკენტი (ჭოლა) ჩხაიძე, სულიკო ჯაჭვაძე; ესენი არიან, დღესაც რომ იღვწიან ამ სამმართველოში: გიორგი ჩოჩია, ჯამრულ ფრანგიშვილი, გიორგი ლაგვილავა, დამსახურებულ პენსიაზე მყოფი გიორგი ქევხიშვილი. აქვე უნდა გავიხსენო ამ კოლექტივის გვერდით მდგომნი ჭირსა და ლხინში - ალექსანდრე (საშა) მხატვრიშვილი, სართიჭალის (სამგორის) წყალსადენის სამმართველოს უფროსი და ბენიამინ მჟავანაძე - ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დირექციის დირექტორი.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში მუშაობა ყოველთვის საინტერესო და საამაყოც იყო. აქ ხომ თითქმის ყველა სახის რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობაა წარმოდგენილი და მათი სწორი ტექნიკური ექსპლუატაციისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად ჩატარება, სისტემის მუშაობის ორგანიზაცია - ყოველივე ეს დიდ გამოცდილებას შესძენს მუყაით, საქმის მოყვარულ სპეციალისტს. ამიტომაც არის, სამგორის სარწყავი სისტემა, პრაქტიკული ცოდნის დაუფლებისა და მისი ამაღლების უშრეტი წყარო, ნამდვილი სკოლა.

სარწყავი სისტემა ამჟამად რეკონსტრუქციასა და პროფილაქტიკურ რემონტს საჭიროებს, მაგრამ ეს არც ისე მალე განხორციელდება. ამიტომ იგი უნდა შეინარჩუნოთ ისეთივე, როგორიც არის. არ მოვაკლოთ განსაკუთრებული მოვლა და ზრუნვა, გამოვიყენოთ არსებული რესურსები სრული შესაძლებლობით - ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ სისტემის წყლით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება სამმართველოს სპეციალისტთა თავდადებულ, ენერგიულ და პროფესიონალურ შრომაზეა დამოკიდებული. დღეისათვის სამმართველოში სპეციალისტთა ახალი თაობა მოვიდა. მათ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი რეფორმებისა და გარდაქმნების, ძნელბედიანობის პერიოდში უხდებათ მუშაობა, მაშინ, როდესაც სისტემის შესანახად დაფინანსება ზოგჯერ ნულის ტოლია, მაგრამ, მიუხედავად

ამისა, სამმართველოს კოლექტივმა შეუძლებელი შეძლო: ზედა მაგისტრალური არხით შეუფერხებლად მიეწოდებოდა წყალი მომხმარებლებს და თბილისის წყალსაცავს. ასევე, წყალი ქვედა მაგისტრალურ არხშიც მიედინებოდა. მართალია, არასაკმარისად, მაგრამ მაინც შველოდა გვალვისგან გამომშრალ ხოდაბუნებს, ნამმოწყურებულ ნათესებს.

დრო კი არ მიდის - მიფრინავს... ნახევარი საუკუნეა, რაც უდიდესი, უნიკალური ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველო ფუნქციონირებს, მისი ხელმძღვანელები იყვნენ: ვალერიან ღალანიძე (1954 წ.), გიორგი ნიშნიანიძე (1958), გრიგოლ ჯალალანია (1959) არჩილ ახვლედიანი (1973) სულიკო კახაია (1976), გივი გალდავა (1980), ოთარ მუსერიძე (1981), ზურაბ თოფურია (1991), თემურ კლდიაშვილი (1992), 2001 წლიდან სამმართველოს უფროსია ახალგაზრდა ინჟინერი, ბატონი დიმიტრი კავთუაშვილი. სარწყავი სისტემის ტექნიკური ექსპლუატაციის წარმატებით განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვით მთავარ ინჟინრებს, ისინი იყვნენ: დავით ბაქრაძე, არშალუის ბალდასაროვი, დურმიშხან კვანტალიანი, გიორგი (ჟორა) ჩოჩია, გურამ ნეშაძე, დათო კიკაბიძე. 2002 წლიდან მთავარ ინჟინრად გამოცდილი სპეციალისტი ბატონი ომარ ნარმანია მოღვაწეობს. დიდ კოლექტივს დიდი საქმეები უდევს წინ! ნახევარსაუკუნოვანმა სარწყავმა სისტემამ გაახალგაზრდავების რთული პროცესი უნდა გაიაროს, ამისი დროც მალე დადგება...

ზემო სამგორის უნიკალური სარწყავი სისტემა უნდა იყოს სანიმუშო და საამაყო! მჯერა, ეს ასეც იქნება.

უწყლობას არ დავაჩაგვრინოთ უდაბნო

სოფელი უდაბნო საგარეჯოს რაიონს მიეკუთვნება. აქ ნამყოფი ვარ ჯერ კიდევ ახალ დასახლებამდე. მახსოვს, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კანტორასთან რამდენიმე ხე იდგა წიწვიანი ჯიშისა. საიდანღაც წყალსადენი იყო მოყვანილი და იქვე ონკანიდან საცოდავად მოწანწკარებდა ნელთბილი წყალი. ირგვლივ ცხვრის ფარის სადგომები მოჩანდა. ზაფხულობით იქაურობა გვალვისაგან გადამხმარ-გადაბუგული იყო. ხოდაბუნებში ითესებოდა მხოლოდ საშემოდგომო თავთავიანი კულტურები და ისიც მაშინ, თუ ზამთარი თოვლიანი იქნებოდა (რაც იშვიათადაა), ხოლო გაზაფხულზე ერთხელ მაინც მოვიდოდა წვიმა. მაშინ კარგ მოსავალსაც აიღებდნენ, თუ არადა, ამაო იყო გაწეული შრომა... ეს იყო ნამდვილი უდაბნო...

და აი, ასეთ ხრიოკ ადგილზე სვანების ჩამოსახლება გადაუწყვეტია მთავრობას.

ჩანაფიქრი ცუდი როდია, გაუკაცრიელებული ადგილების გაცოცხლება საქებარ-სადიდებელია, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინასწარი, საფუძვლიანი მომზადება.

ერთი ახირებული თვისება გვქონდა საბჭოურ ეპოქაში: მშენებლობა დათქმულ ვადაში აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო, როგორმე (!)... ამიტომ, ზოგჯერ დაუმთავრებელ ობიექტებსაც იღებდნენ ექსპლუატაციაში, ეს რასაკვირველია, სამოქალაქო მშენებლობას ეხება და სიჩქარეს თან ახლდა წუნი და დეფექტები...

მთიდან უდაბნოში უამრავი (400-ზე მეტი) ოჯახი ჩამოსახლდა. სასმელი წყალი თავიდანვე არ ჰქონდათ და დიდ გასაჭირში იყვნენ... სარწყავი წყალი პირველხანად კი ჰქონდათ, მაგრამ უარესი დღე დაუდგათ ახალ მოსახლეებს შემდეგ პერიოდში... ათ წელიწადზე მეტი ხანია მოსახლეობა, იტანჯება სასმელი და სარწყავი წყლის უქონლობით...

სოფელს სარწყავი მიწები ერიცხება 3250 ჰექტარი, წყალი კი, მექანიკური აქაჩვით მიეწოდება, აქედან ათას ჰექტარამდე ირწყვებოდა მეორე აწევის სატუმბი სადგურით, რომელიც ამჟამად არ არსებობს და ცხადია, მის აღდგენაზე ჯერჯერობით ფიქრიც ზედმეტია. დარჩენილ 2250 ჰექტარზე წყლის მიწოდება შეიძლება, მაგრამ, სახელმწიფოს სახსრები არ გააჩნია დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება რომ გადაიხადოს... ჩამოსახლებულებს კი, მით უფრო, ამის შესაძლებლობა არ აქვთ.

მექანიკური მორწყვის სისტემის წყლით უზრუნველყოფის საკითხიც გართულებულია. როგორც ცნობილია, აქ მორწყვის წყაროს წარმოადგენს სამგორის სარწყავი სისტემის ქვედა მაგისტრალური არხი, რომელიც რეკონსტრუქციას ექვემდებარება და მისი ბოლო ნაწილი, საიდანაც წყალს იღებს უდაბნოს სისტემა, თავად არ არის წყლით უზრუნველყოფილი.

ურთულესი ამოცანები დროულადაა გადასაწყვეტი. უდაბნოს სარწყავი წყლით მომარაგების საკითხი სამომავლოდ ყოველთვის იქნება დღის წესრიგში, ამიტომ, ერთ მივიწყებულ საკითხს გავიხსენებ. ერთ-ერთი ვარიანტით, უდაბნოს სარწყავი წყლით უზრუნველყოფა გათვალისწინებული ყოფილა მდ. იორიდან - თვითდინებით. მაგრამ, წყლის მიწოდების ეს ვარიანტი (შესაძლოა, უფრო ხელსაყრელიც), როგორც ჩანს, საფუძვლიანად არ განხილულა, რადგან წარმოდგენილი იყო წყლის მექანიკურად აქაჩვის პროექტი, რომლის მიხედვითაც მტკვრის წყალი გარდაბნის მაგისტრალურ არხიდან გადაიტუმბებოდა ზემო სამგორის ქვედა მაგისტრალური არხის ბოლო წერტილში და აქედან მძლავრი სატუმბი სადგურით 123 მეტრის სიმაღლეზე წყალი უდაბნოს მინდვრებს მიეწოდებოდა. იმ პერიოდში პრესტიჟულად იყო მიჩნეული მექანიკური მორწყვის სისტემები, რომელთა მშენებლობაც მოკლე ვადებში წარმოებდა. ამიტომაც იყო, სწრაფი ტემპით რომ აშენდა უდაბნოს სისტემაც, რომელიც მეტად რთული და ძნელად სამართავია,

ამავე დროს, თავიდანვე საკმარისი ხარვეზები ჰქონდა, რომელთა გამოსწორება შემდეგ, ექსპლუატაციის პერიოდში ხდებოდა.

უდაბნოს სარწყავი სისტემა ექსპლუატაციაში შევიდა 1983 წელს და შეიქმნა ცალკე სამმართველო. რატომღაც უდაბნოს სისტემის მიღება არ ისურვეს არც საგარეჯოს და არც ზემო სამგორის სარწყავი სამმართველოს ხელმძღვანელებმა, უპრიანია უდაბნო, ზემო სამგორის სამმართველოს მომსახურებაში ყოფილიყო... ბოლოს და ბოლოს, ასეც მოხდა.

უდაბნოს სარწყავი სისტემის სამმართველოს პირველ უფროსად დაინიშნა გია მათიაშვილი და მას მოუხდა პირველად მაცოცხლებელი წყლის მიწოდება უდაბნოს ველზე. 1987 წელს ის შეცვალა გიტო ნახუცრიშვილმა, რომელიც მანამდე საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მელიორატორი იყო. მასაც დიდი ჯაფა და ჭირ-ვარამის გადატანა მოუხდა. 1995 წელს გ. ნახუცრიშვილი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს და უდაბნოს სამმართველოს უფროსად ადგილობრივი მკვიდრი, ინჟინერი ალეკო გელაშვილი დაინიშნა... მისი უფროსობის პერიოდში სატუმბ სადგურს ხეირიანად არც კი უმუშავნია.

რა ქნას ალეკომ ცარიელი ხელებით, ის ახლა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს დაქვემდებარებაშია და წყალობას ელოდება, სოფელ უდაბნოს კი უჭირს უწყლობით...

და აი, ასეთი სიდუხჭირის დროს, როცა მექანიკური საშუალებებით წყალის აქაჩვა უდაბნოში ეკონომიკურად მიუწვდომელია, ამოტივტივდა წინანდელი, დიდხანს მივიწყებული აზრი იმის შესახებ, რომ უდაბნოს სარწყავი წყალი თვითდინებით უნდა მიეწოდოს. ეს საკითხი ისევ მსჯელობის საგანი გახდა. ინჟინერ კორნელი დარსაველიძის სქემით ეს შესაძლებელია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზედა მაგისტრალურ არხიდან - მილსადენით.

რთული ტრასაა და სამუშაოც მეტად მძიმე იქნება, მაგრამ ადამიანი ხომ უფრო მეტად ფასობს და ადამიანი უდაბნოში აუტანელ გასაჭირშია... ვარდობის თვე უდაბნოს ტრამალებ-

საც წყურიათ და ამ დღეს დიდი იმედით ელოდებიან უდაბნოელებიც... თუ არა და, საშიშია, უდაბნო ისევ არ გადაიქცეს ნამოსახლარ სოფლად! მისი გადარჩენა შეუძლია მხოლოდ წყალს, კეთილი ნების ადამიანების წყალობას!

წყალსაცავი - თვალისჩინი

ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავებს ჩვენში დიდი ხნის ისტორია არ აქვთ. ამ მხრივ პირველ მერცხალს წარმოადგენს „თბილისის ზღვა", რომლის შევსება 1951 წლის 4 ნოემბერს დაიწყო. მისი მთლიანი მოცულობაა 308 მილიონი კუბ. მეტრია, მეორე დიდი, 325 მილ. კბმ მოცულობის, სიონის წყალსაცავია, რომელიც ექსპლუატაციაში 1964 წელს შევიდა. რაც შეეხება უფრო ნაკლები, საშუალო მოცულობის წყალსაცავებს, ასეთი სულ ხუთია: ალგეთის - 65 მილ. კბმ, ექსპლუატაციაშია 1983 წლიდან, ზონკარის - 40 მილ. კბმ, - 1980 წ., იაკუბლოს - 11 მილ. კბმ - 1980 წ., ნარეკვავის 6,7 მილ.კბმ. - 1977 წ. და დალის მთის - მშენებლობა დაუმთავრებელი, წყალსაცავი, რომლის მოცულობა უნდა იყოს 180 მილ. კბმ. აქ სარწყავი ქსელის მშენებლობაც არ დაწყებულა.

ბუნებრივი ტბები, რომლებიც წყალსაცავად არის გამოყენებული, შემდეგია: ნადარბაზევის- გორის რაიონში (7,2 მილ კბმ მოცულობის), ზრეზის - ახალქალაქის რაიონში (4,0 მილ. კბმ) და ჯანდარის - გარდაბნის რაიონში (52,0 მილ. კბმ).

წყალსაცავების ტექნიკური ექსპლუატაციის სამსახური მეტად საპასუხისმგებლოა, რადგან ისინი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს მიეკუთვნებიან.

ზემოთ აღნიშნული და სხვა მცირე მოცულობის ირიგაციული წყალსაცავები თავიდანვე სასისტემო სამმართველოების ბალანსზე ირიცხებოდა და ტექნიკურ ექსპლუატაციასაც ისინი უწევდნენ; ზოგი სრული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ სერიოზულ ობიექტს, ზოგიც - ზერელედ, როგორც ჩვეულებრივ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას. როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობა საერთოდ იყო დარგის სისტემებში კავშირის მაშსტაბით, ამიტომ 1978 წელს, საკავშირო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა წყალსაცავების ექსპლუატაციის მთავარი სამმართველო.

წყალსაცავების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და მასზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, 1980 წელს, საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომაც შექმნა წყალსაცავების ექსპლუატაციის სამმართველო. ახალი სამმართველოს ჩამოყალიბების ორგანიზატორი და მისი პირველი უფროსი გახლდათ ინჟინერი დურმიშხან კვანტალიანი, კაცი ენერგიული, საქმიანი, უმწიკვლო.

სამინისტროში თბილისის წყალსაცავების ექსპლუატაციის სამმართველოს მეურვეობას უწევდა წყალსარგებლობის განყოფილება და მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი ვახტანგ გურგენიშვილი.

1982 წელს მოსკოვში, საკავშირო სამინისტროში, შედგა თათბირი წყალსაცავების ექსპლუატაციის საკითხებზე. მე, როგორც კურატორი, ხოლო ბატონი დურმიშხანი სამმართველოს უფროსი - მიწვეულები ვიყავით ამ თათბირზე დასასწრებლად. იტყვიან, ადამიანის ხასიათი მგზავრბაში შეიცნობაო... და მართლაც ასეა, ბატონმა დურმიშხანმა გამოამჟღავნა თავისი კეთილი, საქმიანი, პრინციპული ხასიათი. სამწუხაროდ, მის მიერ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა დურმიშხანს არ დასცალდა. 1985 წელს გულმა უმტყუნა და ჩამოაშორა საყვარელ საქმეს, მეგობრებს.

სამმართველოს უფროსად დაინიშნა ინჟინერი ოთარ მაღალაშვილი.

1988 წელს სამმართველოს ხელმძღვანელობა შეიცვალა და უფროსად ინჟინერი ემზარ სუქნიძე მოევლინა.

უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა სამმართველოს ბალანსზე რიცხული წყალსაცავების (მათი რიცხვი 33 იყო) მოვლა-შენახვის გასაუმჯობესებლად, კეთილმოსაწყობად. შეიქმნა ტექნიკური დოკუმენტაცია, დადგინდა წყალსაცავების აკვატორიის საზღვრები, განმტკიცდა დისციპლინა და სწორედ მაშინ, როცა საქმე აწყობილი იყო, წყალსაცავების ტექნიკური ექსპლუატაცია მტკიცე კონტროლს ექვემდებარებოდა, რატომღაც მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის წყალსაცავების ექსპლუატაციის სამმართველოს ლიკვიდაციისა და წყალსაცავების ისევ სასისტემო სამმართველოების მომსახურებაში გადაცემის თაობაზე.

გავიდა ხანი... დროებაც (წყობა) შეიცვალა... წყალსაცავების მოვლა-პატრონობას მზრუნველი ხელი დააკლდა, ეს შეეხო განსაკუთრებით დიდი მოცულობის წყალსაცავებს. შექმნილმა სიტუაციამ ისევ მოითხოვა. წყალსაცავებს ცალკე პატრონი ჰყოლოდა. და აი, 1996 წელს შეიქმნა სიონი-თბილისის წყალსაცავების ექსპლუატაციის სამმართველო, რომლის უფროსად დაინიშნა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი გივი გოგოლაძე, გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს ყოფილი უფროსი.

წლების განმავლობაში, უსახსრობის გამო მოუვლელი მარეგულირებელი მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები, ყველაფერი აღსადგენი იყო... მართალია, ბევრი რამ მოწესრიგდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

1997 წელს სიონი-თბილისის წყალსაცავების სამმართველოს გამოეყო თბილისის წყალსაცავი და შეიქმნა ცალკე საწარმო (!); მის უფროსად დაინიშნა ინჟინერი ილია გვილავა, ხონის სამმართველოს ყოფილი უფროსი. ისიც ენერგიულად შეუდგა აღდგენით და კეთილმოწყობის სამუშაოებს და ბევრი კარგი საქმის განხორციელება ჰქონდა ჩაფიქრებული. ამავე პერიოდში შეიქმნა ალგეთის წყალსაცავის ექსპლუატაცი-

ის საწარმო, რომლის ხელმძღვანელი ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს ყოფილი უფროსი ოთარ მუსერიძე გახლდათ.

დანარჩენი წყალსაცავები სასისტემო სამმართველოების დაქვემდებარებაში იმყოფება. ამიტომ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მცირე მოცულობის წყალსაცავები, მეტ-ნაკლებად, ყურადღებას და ზრუნვას მოკლებული არიან, ზოგი, თუ თავისი პროფესიული ალღოთი და სინდისით პასუხისმგებლობას გრძნობს, უვლის და სათანადო ყურადღებას აქცევს მის მომსახურებაში მყოფ წყალსაცავს, ზოგ-ზოგი გულგრილად უყურებს მას (ან უვიცობით ან უპასუხისმგებლობით)... ეს კი დაუშვებელია, სარისკოა...

წყალსაცავს, სულერთია, ის დიდია თუ პატარა მოცულობისა, ორივეს თვალისჩინივით უნდა მოვლა და გაფრთხილება...

ღმერთმა ნუ ჰქნას, კატასტროფა ორივესთვის საშინელება იქნება. ამიტომაც, მათ საგანგებო ყურადღება და კონტროლი სჭირდებათ. მუდმივი ზრუნვაა საჭირო მათი სრული მდგრადობის შესანარჩუნებლად.

გარდაბნის სამმართველო

წარსულში, საქართველოს ეკონომიკურად დაქვეითების პერიოდში (მეცამეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში), სარწყავი სისტემების მოშლისა და განადგურების გამო, სარწყავი მიწათმოქმედებაც დეგრადაციას განიცდიდა.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ მეექვსის მეფობის დროს, ქვეყნის აღორძინებასთან ერთად, სარწყავი არხების აღდგენასაც დიდი ყურადღება ექცეოდა.

მრავალ არხებს შორის, მეცნიერი-გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ყარაიის (გარდაბნის) არხის შესახებ წერს, რომ „...ნაგებიდან გაიღო მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითი მინდორნი“.* ამავე პერიოდში ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის (1712-1724) მიერ შედგენილი კანონები წყალსარგებლობის შესახებ ძალას იკრეფდა და მტკიცდებოდა. განვითარდა მიწათმოქმედება, გაშენდა ბაღ-ვენახები, აბიბინდა მინდორ-ველი, მაგრამ... ყოველივე ეს დროებითი აღმოჩნდა: უცხო ურდოთა შემოტევებმა ისევ გაანადგურა სოფლის მეურნეობა, მიწასთან გაასწორა სარწყავი არხები.

გავერანდა ყარაიის ველი და სარწყავი არხებიც... ყარაია უდაბნოდ იქცა.

რუსეთის იმპერიის ბატნობის პერიოდში, მართალია მტრის შემოსევები შეწყდა, მაგრამ ქვეყნის, მათ შორის სარწყავი არხების აღდგენაზე არავინ ზრუნავდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყარაიის ველის 30 ათასი დესეტინა მიწა საჩუქრად გადაეცა ამიერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას, ამ საზოგადოების ინიციატივით დაისვა საკითხი ყარაიის სარწყავი სისტემის აღდგენის შესახებ. პროექტის შესადგენად მოიწვიეს უცხოელი ინჟინრები (ბელი და გაბა), რომლებიც ამიერკავკასიაში იმყოფებოდნენ ბაქო-თბილისის რკინიგზის მშენებლობაზე. მათ მიერ მაშინ შედგენილი იქნა ათი სარწყავი სისტემის პროექტი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოსათვის. აქედან მხოლოდ ერთის - ყარაიის სარწყავი სისტემის მშენებლობა განხორციელდა.

სარწყავი სისტემის მშენებლობა მეთერთმეტე გამანაწილებელი არხის ჩათვლით სწრაფდენამდე, 1867 წელს დამთავრდა და იგი საზეიმოდ გაიხსნა იმავე წლის 9 მარტს. რუსეთის დედოფლის პატივსაცემად მას მარიამის სახელი დაერქვა.

---

* ვახუშტი ბატონიშვილი... „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. გვ. 51, 1941 წ.

დანარჩენი ნაწილის: კიჩიკ-კიასიკისა და მე-12-დან მე-16 გამანაწილებელი არხების მშენებლობა დამთავრდა 1868 წელს.

სარწყავი სისტემის ტექნიკური ექსპლუატაციის განსახორციელებლად შეიქმნა წყალთა მეურნეობის გამგეობა, მას ევალებოდა, აგრეთვე, წყლის საფასურის ამოღებაც, გამგეობის უფროსად მოწვეული იყო სამოქალაქო ჩინის მქონე- სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების მდივანი, აგრონომი ნ. ხატისოვი. (ის ამავე დროს სარწყავი ადგილ-მამულის მმართველადაც ითვლებოდა).

ნ. ხატისოვი თავის ნაშრომში, რომელიც 1874 წელს არის გამოცემული, აღნიშნავს, რომ ყარაიის ველი წარმოადგენდა უდაბნოს და მხოლოდ მომთაბარეთა ორიოდე ხუტორი ყოფილა გასარწყავებული, ფართობი ტრიალსა და შიშველ ველს წარმოადგენდაო. ამიტომ, გამგეობას მთავარ ღონისძიებად მიუჩნევია არხებისა და გზების გასწვრივ ნარგავების დარგვა.

1868 წელს მაგისტრალური არხის 10 კილომეტრიან მონაკვეთზე 20 ათასი ძირი ტირიფი დაურგავთ, ხოლო მომდევნო წელს გამანაწილებელი არხების ნაპირებზე 30 ათასი თუთის, აკაციისა და ვერხვის ნერგები ჩაურიგებიათ. იმდროინდელი და შემდეგ წლებში დარგული ვერხვები და თუთის ხეები დღესაც ამაყად დგანან, ტოტებგაშლილი კორომები თავისუფლად შრიალებენ წყლით გალაღებული, ლარივით გაჭიმული სწორი არხების გასწვრივ.

სარწყავი სისტემა თავიდანვე ორ განყოფილებად იყო გათვალისწინებული: პირველი განყოფილება 16 გამანაწილებლისგან შედგებოდა, მეორე კი მე-17 გამანაწილებელი არხიდან იღებდა წყალს. მეორე განყოფილების სისტემის მშენებლობა 1910-1912 წლებში განხორციელებულა.

მარიამის სარწყავ სისტემას 1922 წელს ყარაიაზის სარწყავი სისტემა დაერქვა, 1947 წლიდან კი მას ისტორიული ადგილის შესაფერისი სახელი - გარდაბნის სარწყავი სისტემა ეწოდება. გარდაბოს ხომ ქართველთა მამამთავრის ქართლოსის ძე იყო, რომელსაც მამამ ყარაიის ვრცელი ველის მიწა-წყალი

უბოძა, რომლის ნაწილსაც გარდაბნის რაიონის მინდორ-ველი წარმოადგენს. ამგვარად, ამიერკავკასიაში პირველი საინჟინრო სარწყავი სისტემა საუკუნეზე მეტია ემსახურება ოცი ათასი ჰექტარი მიწების მორწყვას, აქედან 11 ათასზე ცოტათი მეტი გარდაბნის რაიონშია, 8 ათასზე მეტი კი - აქსტაფის რაიონში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

გარდაბნის სარწყავი სისტემის პირმშოა ჯანდარის ტბა. მანამდე კი აქ, ბუნებრივ ტაფობზე, მხოლოდ ნიაღვრის წყლები გროვდებოდა და ზაფხულობით იქაურობა იშხამებოდა.

მაგისტრალური არხის მე-15 კილომეტრზე მოწყობილი წყალსაგდების (სწრაფდენის) მეშვეობით ზედმეტი წყალი ტბაში ჩაედინებოდა. ვინაიდან მაგისტრალურ არხს 1957 წლამდე კაპიტალური სათავე-ნაგებობა არ ჰქონდა - ტბის წყლით შევსება შეუძლებელი იყო და ამიტომაც ტბის წყალს აზერბაიჯანის მიწების მოსარწყავად ვერ იყენებდნენ.

დამაინტერესა ტბის ტოპონიმის წარმომავლობამ, მაგრამ სათანადო ქართულ დასაბუთებას ვერ მივაკვლიე. სახელწოდება „ჯანდარა" თურქულია და ნიშნავს საქსოვის გასაჭიმ მოწყობილობასო.* წინათ ტბის ახლო-მახლო დასახლება არ იყო და არც საქსოვი მოწყობილობები იქნებოდა, ცხადია. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჯანდარის ტბის მიდამო ძნელად მისასვლელი იყო და იქ წამსვლელი იტყოდა, „ჯანდაბაში მივდივარო".

წყალსაგდები, რომელიც პირველად ხის იყო, 1880 წელს შეიცვალა ახალი კაპიტალური ნაგებობით - კონსოლური წყალსაგდები (სწრაფდენი) ლითონის დამოქლონვილი ღარით ქვის წყობის მყარ ბურჯებზე. ამ ნაგებობამ ღირსეულად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობის ასწლიანი ვადა. რომ არა, ცოტა უყურადღებობა და გამოუცდელობაც, ბურჯები ჯერ კიდევ ადგილზე იქნებოდა, ლითონის ღარი კი ისევ ვარგისია

---

* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, 1986, გვ. 586.

და ახალ დგარებზე შემცირებული დატვირთვით კვლავ სამსახურშია. მის გვერდით მოეწყო ორი მილა წყალსაგდები და ჯანდარის ტბას წყალი შეუფერხებლად მიეწოდება, მაგრამ მე მაინც დამრჩა ნოსტალგია კონსოლური წყალსაგდებისა (სწრაფდენის) და მიზანშეწონილად მიმაჩნია იმავე ადგილზე აიგოს ერთი რკინა-ბეტონის ინჟინრული ნაგებობა, ხოლო მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყოს.

სარწყავი სისტემის სათავე-ნაგებობაც კაპიტალური ყოფილა, რომელიც იმ პერიოდისათვის პირველი იყო საქართველოში. იგი აუგიათ მდინარე მტკვრის მარცხენა ტოტზე ციხე რეშეკალესთან (რუსთავის ტერიტორია). თავიდან ნაგებობა ხის იყო, 1880 წელს კი ისიც ლითონის ნაკეთობით შეუცვლიათ. სათავე-ნაგებობა მყარად იდგა 1957 წლამდე. რუსთავში აგებულმა ახალმა წყალსაშვიანმა კაშხალმა ძველი სათავე-ნაგებობა, როგორც იტყვიან, „თამაშგარეშე“ მდგომარეობაში დატოვა.



გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს ხელმძღვანელობა. 1973 წ.

ასე რომ, საქართველოში პირველი ინჟინრული ნაგებობა, რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობას შეეწირა. დასანანია, რომ ისტორიული რელიკვია ვერ შევინარჩუნეთ.

რადგანაც სისტემის ახალი სათავე-ნაგებობა ვახსენე, აქვე ორიოდე სიტყვით ჩემი გულისტკივილიც უნდა გაგიზიაროთ. 1959 წელს, როდესაც ზემო სამგორის სარწყავ სისტემას გარდაბნის სარწყავი სისტემა შეუერთდა, სახაზო აპარატის შემადგენლობაში ცვლილება არ მომხდარა. სათავე-ნაგებობაზე მომუშავე ტექნიკური პერსონალი კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას გამოცდილი, ენერგიული და მომთხოვნი ინჟინრის დავით თავაძის ხელმძღვანელობით. ლამაზად გამოიყურებოდა ყვავილნარით, ფანჩატურებით და ხეხილის ნარგავებით დამშვენებული კაშხლის გარემო. სათავე-ნაგებობის მომსახურე კოლექტივი შესაშური უანგაროობით გამოირჩეოდა გაერთიანებული სამმართველოს სხვა უბნებისგან.

პირველ ხანებში კაშხლის ექსპლუატაცია ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ იგი დაირღვა მას შემდეგ, რაც გარდაბანში მშენებარე თბოელექტროსადგურისათვის ტექნიკური წყლის მიწოდება გარდაბნის სათავე-ნაგებობას დააკისრეს.

რუსეთში შედგენილი პროექტით მაგისტრალური არხის გამტარუნარიანობა, სათავიდან 8 კილომეტრის მონაკვეთში, 42 კუბ. მეტრამდე გაიზარდა, ნაცვლად 16 კბმ-სა. კაშხლის მდგრადობის გასაძლიერებლად კი პროექტში დამატებითი ღონისძიება არ იყო გათვალისწინებული და მოსახდენიც მოხდა: 1988 წლის გაზაფხულზე კაშხალი მთლიანად დაინგრა. მაშინ ეს შემთხვევა სტიქიურ უბედურებას - წყალდიდობას მიაწერეს და ასეთი სამარცხვინო და დაუშვებელი შემთხვევა ყველა დისტანციაზე გულგრილად მიიღეს. არავის გახსენებია 1968-69 წლების წყალდიდობის დროს ამ კაშხალმა 3000-ზე მეტი

კუბური მეტრი წყალი რომ გაატარა და არავითარი დეფორმაცია არ განუცდია...

შემზარავი სანახავი იყო დანგრეული კაშხლის გადაყირავებული ბურჯები, ერთმანეთზე გადახლართული რკინა-ბეტონის ძელები, გაშიშვლებული მაჯის სიმსხო არმატურით... მტკვრის აქაფებული ტალღები ყოველი მხრიდან ეხეთქებოდენ წაქცეულ ბურჯებს და თითქოს გამკილავად, ნიშანს უგებდნენ მათ მიერ დამარცხებულ ჯაბანს.

იშვიათია შემთხვევა, რომ გრანდიოზული ნაგებობამ 30 წლის ასაკში შეწყვიტოს არსებობა... განა ეს გულსატკენი და დასანანი არ არის?! მითუმეტეს ჩემთვის, რადგან 1959 წელს, როდესაც ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ გარდაბნის სარწყავ სისტემაზე უშუალო მეურვეობა მე დამევალა, როგორც წყალსარგებლობის განყოფილების უფროსს. ხალისით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას იმ სარწყავი სისტემის მიმართ, რომლის შესახებაც ქებათქება ჯერ კიდევ ქარელში მუშაობის დროს შევიტყვე. მართლაც და საქებარია იგი! ახლაც, სარწყავი სისტემის სქემის ნახაზს რომ დავხედავ ხოლმე, მხიბლავს თავისი კომპაქტური განლაგებით, მაგრამ იგი უფრო ლამაზია სინამდვილეში, ადგილზე- ცაში აზიდული ვერხვებითა და ტოტებგაშლილი თუთის კორომებით, ნაირ-ნაირ ფერებში მოქარგულ ფიანდაზად დაგებული სწორი ხოდაბუნებით, მაცოცხლებელი წყლის არტერიებით რომ დასერილა.

ამიერკავკასიაში პირველი საინჟინრო სარწყავი სისტემა 1921 წლამდე თითქმის უმოქმედოდ იყო, მას ვულშემატკივარი პატრონი არ გააჩნდა. 1921 წლიდან კი იწყება ყარაიის სარწყავი სისტემის აღდგენითი სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა სამშენებლო ორგანიზაცია „ჰიდრომშენი“.

1925 წელს შეიქმნა ყარაიაზის სარწყავი სისტემის სამმართველო, რომელიც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაუქვემდებარეს. ყარაიაზის სამმართველოს უფროსად

დაინიშნა ახალგაზრდა, გამოცდილი ინჟინერი ვიქტორ ძაგანია. ბატონმა ვიქტორმა დიდი შრომა და ამაგი გასწია სარწყავი სისტემის ტექნიკურად გადაიარაღებისათვის, მანვე ჩამოაყალიბა სამელიორაციო ამხანაგობა (ასოციაცია). ეს ამხანაგობა აქტიურად მონაწილეობდა რა სისტემის აღდგენით სამუშაოებში, შედეგმაც არ დააყოვნა, სრული გამტარობით ამოქმედდა სარწყავი სისტემა, განმტკიცდა წყალსარგებლობის დისციპლინა.

1928 წელს, ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ყარაიაზის I და II განყოფილება გაერთიანდა ერთ რესპუბლიკათაშორის სისტემად და იგი უშუალოდ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს („ზაკვოდხოზი“) დაექვემდებარა.

1934 წელს სამმართველოს უფროსი ვიქტორ ძაგანია სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში, მის ადგილზე კი დაინიშნა ინჟინერი არშალუის ბაღდასაროვი, რომელმაც გულმოდგინედ გააგრძელა წინამორბედის მიერ დაწყებული საქმეები.

1940-1943 წლებში სამმართველოს უფროსად მუშაობდა ინჟინერი ვანო ნაკაიძე.

1947 წელს ყარაიის რაიონს შეეცვალა სახელწოდება და მას დაერქვა - გარდაბანი, სარწყავ სისტემასაც ეწოდა გარდაბნის სარწყავი სისტემა.

1958 წელს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით გაუქმდა რა თბილისის გარეუბნის და გარდაბნის ადმინისტრაციული რაიონები, შეიქმნა ერთი - სამგორის რაიონი. ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდაბნის სარწყავი სისტემა შეუერთდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს. გაერთიანებული სამმართველოს უფროსად დაინიშნა გრიგოლ ჯალალანია - თბილისის (გარეუბნის) მექანიკური მორწყვის სამმართველოს უფროსი, მთავარ ინჟინრად კი არშაილუს ბაღდასაროვი, გარდაბნის სამმართველოს ყოფილი უფროსი. გარდაბნის სარწყავი სისტემის მეორე განყოფილება

- აღსტაფის ჰიდროტექნიკური უბანი გადაეცა ყაზახის სარწყავი სისტემების სამმართველოს (აზერბაიჯანის რესპუბლიკას).

1963 წელს, მთავრობის დადგენილებით, გარდაბნის რაიონი გამოეყო სამგორის რაიონს და ისევ ცალკე ადმინისტრაციულ რაიონად დამტკიცდა ახალ საზღვრებში. რამდენიმე ხნის შემდეგ, 1966 წლის დამლევს გარდაბნის სარწყავი სისტემაც გამოეყო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს და შეიქმნა ცალკე სამმართველო, რომლის უფროსად ამ სტრიქონების ავტორი დაინიშნა.

სარწყავი სისტემის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფართოდ გაიშალა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ამათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სისტემის მთლიანი ავტომატიზაცია და ტელემექანიზაცია, რკინა-ბეტონის ფილებით მოპირკეთებული სათადარიგო წყალსაგდები არხის მშენებლობა და სისტემის რეკონსტრუქცია. სამმართველო თავიდანვე შეუდგა დასახული ამოცანების შესრულებას და წარმატებითაც: დამკვიდრდა გეგმური წყალსარგებლობა და დისპეტჩერული სამსახური, განმტკიცდა დისციპლინა წყალმოსარგებლეთა შორის... გარდაბნის სარწყავი სისტემა გახდა ერთ-ერთი საჩვენებელი სისტემა რესპუბლიკაში.

სარწყავი სისტემის ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის სამუშაოების შესახებ გულახდილად უნდა ითქვას, რომ მისი მშენებლობა გაჭიანურდა, იმის გამო, რომ ელექტრო და ტელემართვის აპარატურა-მოწყობილობების შეძენა სხვადასხვა რესპუბლიკებში საკავშირო საგეგმო კომიტეტის მეშვეობით წარმოებდა და დაკვეთების შესრულება ფერხდებოდა. აქ დიდი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარი ენერგეტიკოსის, ინჟინერ ნუგზარ გეგიას უანგარო დახმარება და მონდომება, რაც სათანადო სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების უზრუნველყოფით გამოიხატებოდა. პროფესიონალი, ყურადღებიანი, მუდამ დაუდგრომელი და მოხერხებული ბატონი ნუგზარი ყველგან ამყარებ-

და საქმიან ურთიერთობას და შეძლებისდაგვარად ამარაგებდა ჩვენს მშენებლობას...

როდესაც საუბარია საქართველოში სარწყავი სისტემების ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის პირველი პროექტის შედგენის ირგვლივ, უსათუოდ უნდა გავიხსენო მისი ავტორი, საქწყალპროექტის მთავარი სპეციალისტი ინჟინერი შოთა ბუთლიაშვილი. ბატონი შოთა პროექტის ავტორი და მისი განმხორციელებელიც იყო. დღედაღამ შრომობდა წყალთა მეურნეობის დარგში ახალი ტექნიკის დასანერგავად, ახალი პროექტის სრულყოფისათვის. ამ მხრივ მან დიდი ამაგი დაგვდო და მიზანსაც მიაღწია: 1975 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ჩვენი სარწყავი სისტემის ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის პირველი ობიექტი. დიდი იყო სიხარული და დაფასებაც. ახალი ტექნიკის დანერგვის წარმატებისათვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეორე პრემიაც დავიმსახურეთ.

წყალთა მეურნეობის დარგის ამ მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობაში, ხოლო შემდეგ მის ექსპლუატაციაში, დიდ მხარდაჭერას და თანადგომას გვიწევდნენ ამაგდარი მინისტრები: ბატონი გიორგი ქობულია, შემდეგ კი - ბატონი გივი გადელია.

საინტერესო და საოცრად მომხიბვლელი იყო ავტომატიზაციის მოწყობილობათა შეწყობილი მოქმედება. სადისპეტჩეროში სამართავი პულტის მეშვეობით სადემონსტრაციო დაფაზე აღიბეჭდებოდა ნებისმიერი მონაცემი, რომელსაც მოვითხოვდით პროექტის შესაბამისად. იგი ძირითადად გვამცნობდა: სარწყავი სისტემის ცალკეულ კვანძებში - სად რამდენი წყალი მიეწოდება, სად იქმნებოდა ავარიული სიტუაცია. სამართავი პულტიდან წარმოებდა წყლის დონის რეგულირება გამანაწილებელ არხებში ფარების აწევა-დაწევით. ამავე დროს, წყლის დონეებისა და ხარჯების მონაცემები ავტომატურად აისახებოდა საბეჭდ მანქანაზე - ნებისმიერი ინტერვალით. სავეგეტაციო რწყვის პერიოდში დისპეტჩერული სამსახური დღე-ღამის განმავლობაში წარმოებდა, სხვა პერიოდში კი ორცვლიანი იყო.

წყალთა მეურნეობის სამმართველოსთვის 1910 წელს აშენებული ორსართულიანი შენობა, რომლის პირველი სართულის ერთ დიდ ოთახში მოთავსებული იყო ავტომატიკის სადისპეტჩერო, მდებარეობდა ქალაქის ცენტრში, უმაღლეს ნიშნულზე, მისი ეზო კი ნაძვებით შემორაგულ ოაზისს წარმოადგენდა, ირგვლივ მოშიშვლებულ გარემოში.

მართალია, გარდაბანი ქალაქად იყო გამოცხადებული (1969), მაგრამ ქალაქის არაფერი ეტყობოდა ქალაქის სახე-იერი სრულიად არ ეცხო: ქოხმახების რიგში სამი თუ ოთხი სახლი იდგა ორსართულიანი, ცენტრალური გზა კარგად მოხრეშილიც არ იყო, ოღრო-ჩოღროიანი, არც სასმელი წყალი ჰქონდა... ერთი სიტყვით, დიდი სოფლის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა და აი, დაიწყო თბოელექტროსადგურის მშენებლობა და სულ მალე ქალაქის განაპირად მე-6 და მე-7 გამანაწილებლის ტერიტორიაზე გაშენდა მშენებელთა დაბა: კეთილმოწყობილი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და მალე ქალაქს შეუერთდა. ქალაქის ტერიტორიაზე აშენდა დიდი საავადმყოფო - პოლიკლინიკა, კინო-თეატრი, ორსართულიანი სავაჭრო ცენტრი, 9-10 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაიყვანეს სასმელი წყალი ხრამი - რუსთავის წყალსადენიდან, გაიხსნა ქართული სკოლები. თუ მანამდე გარდაბანში მხოლოდ რუსულ-აზერბაიჯანულ ენაზე გაიგონებდით ლაპარაკს, ახლა ყველგან ქართულ ენაზეა საქმის წარმოება... მკვიდრმა აზერბაიჯანელებმაც ინებეს ქართული ენის შესწავლა.

1970 წლის 9 მაისი, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 25 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი გარდაბანში დასამახსოვრებელია ჩემთვის. ამ დღისთვის ქალაქში გრანდიოზული სამუშაოები ჩატარდა რაიონის პირველი კაცის ბატონი ალექსი ბექაურის ინიციატივით და ხელმძღვანელობით.

ქალაქის ცენტრში მოეწყო დიდი მოედანი, სადაც აღიმართა ობელისკი ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად. გალამაზდა და კეთილმოეწყო ქალაქის ცენტრი. ჩვენი სახსრებით რაიკომის

შენობის წინ აშენდა ლამაზი შადრევანი, რომელმაც თავისებური ელფერი შემატა გმირთა მოედანს. ამ ზეიმმა ახალი, თანამედროვე ქალაქის ისტორიის პირველი ფურცელი გადაშალა...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი სამმართველოს შენობა და საქმიანი ეზო, ქალაქის თვალსაჩინო ადგილი, სამშენებლო პოლიგონის ცენტრში მოექცა. საქმიან ეზოს 2 ჰექტარი ფართობი ეკავა, სამეურნეო ნაგებობებთან ერთად. იქ 1500 ძირი რქაწითელი ვაზისა და კურკოვანი ხილის ბაღი იყო გაშენებული.

ქალაქის გენერალური გეგმით, ჩვენი საქმიანი ეზო ორსართულიანი სახლით, მოქცეული იყო მშენებლობის რკალში. ჩვენი ეზოს ტერიტორიაზე, პირველ რიგში, აშენდა საცხოვრებელი სახლები, მილიციის შენობა, შემდეგ კი ადმინისტრაციული შენობის დანგრევაც მოინდომეს და მის ადგილზე პროექტით ენერგეტიკოსთა კულტურის სახლის აშენება იყო გათვალისწინებული. დიდი წინააღმდეგობის გაწევა მომიხდა, რათა პირველი შეტევა მომეგერიებინა და ჩვენი შენობის დანგრევა მაშინ, ცხელ გულზე შემეჩერებინა. ეს ბატონი ალექსი ბექაურის მდივნობის დროს იყო. მის შემდეგ ოთხი პირველი მდივანი გამოვიცვალე. ახალი მდივნების მოსვლისთანავე „გრესელები“ „შტურმს“ იწყებდნენ კულტურის სახლის მშენებლობისათვის ჩვენი სამმართველოს ორსართულიანი სახლის „ასაღებად“, მეც შეძლებისდაგვარად ვარწმუნებდი ახალმოსულ პირველ მდივნებს, რომ ჩვენი შენობის აღება დაუშვებელია, პირადად ვხვდებოდი, ჯერ სიტყვიერად ვუხსნიდი საქმის ვითარებას, შემდეგ ათასი არგუმენტებით დასაბუთებულ წერილს ვუტოვებდი იმის თაობაზე, რომ წყალთა მეურნეობის სამმართველოს იქიდან გასახლება არ შეიძლებოდა. არ ვიცი, რა გავლენას ახდენდა მათზე ჩემი საუბარი და წერილები, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ოთხივე მდივანმა ანგარიში გაუწია ჩემს თხოვნა-განმარტებას და ადმინისტრაციული შენობა, მაშინ, 10-12 წლის განმავლობაში გადავარჩინე დანგრევას.

თუმცა, მერე, გარდაბნიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ, სამმართველოს შენობა მაინც აიღეს, მხოლოდ უკვე სხვა მიზნით: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ეს ადგილი ძალიან მოსწონებია ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიისათვის და, დღეს იქ ამაყად დგას ლამაზად ნაგები ეკლესია, რომლის მრევლი თანდათან მრავლდება და ძლიერდება. ასე იქცა წმინდა ადგილად წყალთა მეურნეობის ნაფუძარი. რასაკვირველია, ამით მეც კმაყოფილი დავრჩი. ისე გამოდის, რომ მთელი ის პერიოდი იმისთვის მიღვაწია, რომ გარდაბნის ცენტრში - მშვენიერი, თვალშისაცემი ადგილი ქრისტიანული ტაძრისთვის, წმინდა სალოცავისათვის შემენარჩუნებინა - ესეც უსათუოდ უფლის განგება იყო.

დღევანდელი, ოცი წლის გადასახედიდან, თვალს რომ გადავავლებ ჩემს მოღვაწეობას გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოში, რომელსაც 14 წელიწადში ვედექი სათავეში, გულდამშვიდებულად შემიძლია თქმა, რომ რაც მიზნად მქონდა დასახული და რისი პირობაც ღვთის წინაშე დავდევი, პირნათლად შევასრულე, შეიძლება სადღაც მთლად ისე არა, როგორც მინდოდა, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში რისი გაკეთებაც შეიძლებოდა - გაკეთდა, რა თქმა უნდა, კოლექტივის თანადგომით: პატიოსანი, თავდადებული შრომით ყველა საკუთარ საქმეს აკეთებდა. წყალსარგებლობის დისციპლინისა და წყლის მართვის მონოპოლიიის განმტკიცების საქმეში დიდად გვეხმარებოდა სისტემის ავტომატიზაცია, გვერდში მედგნენ მთავარი ინჟინრები: ფირუდინ ორუჯევი და ირაკლი ხომასურიძე; ინჟინერ ბორის ნიკულინისა და თვითნასწავლი ჰიდრომეტრის მაგარამ მამედოვის მუყაითობით, მაღალ დონეზე იდგა ჰიდრომეტრიული სამსახური. მათი საქმიანობის გამგრძელებელი იყვნენ ჰიდროტექნიკოსები: ბინათ ფაშაევი და ალახვერდი მუსტაფაევი. ელექტროტექნიკოსის ნიკოლოზ ჩისტიაკოვის დიდი ზრუნვის შედეგად შეუფერხებლად მუშაობდა

ავტომატიკის აპარატურა და ელექტროგადამცემი ხაზები. გამოცდილი კეთილსინდისიერი მერუები (ჯუარები): ალახვერდი ეიუბოვი, მაგარამ მამედოვი, ზეინალ ალიიევი, ისლამ დაშტამიროვი, აშდარ ველიევი და სხვები სანიმუშოდ უვლიდნენ გამანაწილებელ არხებს, წესიერად იცავდნენ წყლის განაწილების გრაფიკებს.

პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას ერთგულობითა და ბეჯითი შრომით გამორჩეული თანამშრომლები: პეტრე ხაბელაშვილი, ბიკენტი ჩხაიძე, ნინო კაზარეცი, ევდოკია შჩერბატოვა, ბიდათ მამედოვი და სხვანი. ბევრი რამის გახსენება შეიძლება გარდაბანში მუშაობის პერიოდისა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს...

ამგვარად, მოახლოვდა ჟამიც გარდაბნის გამომშვიდობებისა. სამოცდახუთს მიღწეულმა, მიუხედავად იმისა, რომ მხნედ გამოვიყურებოდი და ენერგიაც მყოფნიდა, ჩემი მოღვაწეობა გარდაბანში დასრულებულად მივიჩნიე, გადავწყვიტე პენსიაზე გასვლა და წარმადგინეს რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე.

1980 წლის დასასრულს ასე - ჩემი ნება-სურვილით, დავამთავრე დიდი ხნის მოღვაწეობა გარდაბანში...

ჩემი წამოსვლის შემდეგ სამმართველოს უფროსად დააწინაურეს მთავარი ინჟინერი ირაკლი ხომასურიძე. მის შემდეგ სამმართველოს უფროსები იყვნენ: გიორგი ნიშნიანიძე, ჯემალ ცხვიტარია, გივი გოგოლაძე, შალვა სირაძე, ბორის ჩარქსელიანი.

სამმართველოს ხელმძღვანელობის ხშირმა ცვლილებებმა და იმ პერიოდში ქვეყანაში შექმნილმა ცნობილმა მოვლენებმა დააქვეითა სარწყავი სისტემის ტექნიკური და მატერიალური მდგომარეობა. დასანანია, რომ სრულიად განადგურდა ავტომატიზაციის მოწყობილობები, ელექტრო-გადამცემი ხაზები, დაინგრა ხანდაზმული სწრაფდენიც. უსახსრობის გამო წლების

განმავლობაში არ იწმინდებოდა როგორც მაგისტრალური, ისე გამანაწილებელი არხები. სისტემას თანდათან შემოეცალა ძველი, გამოცდილი კადრები, გულშემატკივარი ჭირისუფალი...

ცუდი დრო დაუდგა საერთოდ წყალთა მეურნეობის დარგს... მაგრამ იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების და მატერიალური პირობების გაუმჯობესების შედეგად, გარდაბნის სარწყავი სისტემა ისევ გახდება რენტაბელური, ტექნიკურად გამართული - წყალუხვი სისტემა. აქ აუცილებლად უნდა აღდგეს წყლის მართვის ავტომატიზაცია, ამას მოითხოვს ის რეფორმები, რომელიც სარწყავ მიწათმოქმედებაში მიმდინარეობს, იგულისხმება წყალმომხმარებელთა ასოციაციების დამკვიდრება და მათთან ურთიერთდამოკიდებულება.

სამმართველოს ახალგაზრდულმა კოლექტივმა, უფროსის - ვახტანგ ფილფანის თავკაცობით, უნდა მიაღწიოს სარწყავი სისტემის ტექნიკური ექსპლუატაციის მაღალ დონეს და ტრადიციისამებრ, საჩვენებელი და სანიმუშო გახადოს იგი ახლო მომავალში.



მაშავერას ხეობაში

მდიდარი წარსულის მქონე ქვემო ქართლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უძველესი დროიდან მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რაც ხუროთმოძღვრების უამრავი ძეგლითა და არქეოლოგიური მონაპოვრებით დასტურდება. იგივე ითქმის ბოლნისზეც.

მემატიანის ცნობით, მორწყვას, ისე როგორც წიაღისეულის დამუშავებას, ბოლნისის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძის და იპოების მცირე ლაჟვარდიც...“ იქვე ვკითხულობთ: „... ქციის სამხრეთით ველი იყო უწყლო. გაიღო უდ მეფემან ვახტანგ ძველი რუ და აწ ირწყმის მითდა ნაყოფიერებს ფრიად“.*

ბოლნისის შემოგარენში, მთების მაღალ მწვერვალებზე უამრავი ხუროთმოძღვრული ძეგლია შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანი, სიონის ტაძარი 1952 წელს დავათვალიერე. მის შესახებ ვკითხულობთ ვახუშტი ბატონიშვილის წიგნში: „...ეკლესია, დიდ, უგუნბათო ბოლნისისა, რომელი აღაშენა მეფემან ფარსმან (401-408) და გორგასალ დასვა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსვრილი აღაშენა დედოფალმა მარიამმა (1638-1681)“.**

დიახ, ვინ მოთვლის მას შემდეგ რამდენჯერ იქნა იგი შემუსრული და ისევ აღდგენილი.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების მზრუნველობით ტაძარი რესტავრირებულია და მეცნიერთა ყურადღების ქვეშაა. ამაყად დგას ბოლნისის სიონის ტაძარი მთის მწვერვალზე, მარად მწვანე გარემოცვაში.

---

* ლაჟვარდი - ძვირფასი ქვა, ლურჯი ფერისა.

** ვახუშტი, გვ. 36, 37.

ბოლნისის რაიონი ხასიათდება მშრალი ჰავით გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში, რის გამოც აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვას ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ბოლნისელებმა კარგად იციან წყლის ყადრი და მის გამოყენებასაც დიდ ყურადღებას აქცევენ.

1930 წლის სტატისტიკური მონაცემებით, რაიონში პრიმიტიული არხებით 6539 ჰექტარი მიწის ფართობი ირწყვებოდა. შემდეგ პერიოდში, განსაკუთრებით 1971-1986 წლებში, სამმართველოს უფროსის გურამ ჩხიკვაძის თაოსნობით, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით, ძველ არხებს რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა.

აშენდა ახალი სარწყავი სისტემებიც. 1952 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა იმირასანის არხი, შემდეგ წლებში: კაზრეთის, სოფლის, ხრამის და სხვა არხები. რაიონში ცნობილია დისველის ნაყოფიერი მიწები. სხვათა შორის, ამისთვის ყურადღება ვახუშტი ბატონიშვილსაც მიუქცევია, იგი წერს: „არს დისველის მინდორი უწყლო, არამედ ნაყოფიერი, ქცია - მაშავერს შუა და მოუცადი მარცვლისა.* და აი, ამ ნაყოფიერი მინდვრის მორწყვა დააპროექტა ჩვენმა საპროექტო ინსტიტუტმა მდ. ხრამიდან წყლის მექანიკურად აქაჩვით, ისიც ორ საფეხურზე. ობიექტი ექსპლუატაციაში გადაეცა 1981 წელს, რომელსაც ბევრი ხარვეზი გააჩნდა. როგორც იქნა, ექსპლუატაციის პერიოდში აეწყო დაწვიმებითი მორწყვის ქსელი, სატუმბი სადგურები, მაგრამ მოუსწრო არასტაბილურობის პერიოდმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და სისტემა წყობიდან გამოვიდა. მისი, როგორც შიდასამეურნეო სარწყავი სისტემის აღდგენა მიწის მეპატრონეების სურვილსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

მდინარე მაშავერა, რომელიც ძირითად მორწყვის წყაროს წარმოადგენს, ზაფხულობით მცირეწყლიანია და ვერ აკმაყ-

---

* იქვე, გვ. 40.

ოფილებს მთლიანი ფართობის მორწყვას. ამიტომ, წყლით უზრუნველყოფისათვის მდ. დმანისზე აშენდა წყალსაცავი (იაკუბლოს) 11,0 მილიონ კუბმეტრის მოცულობისა, რომლის მეშვეობითაც წარმოებს წყლის დაგროვება და მოხმარება საჭიროების მიხედვით.

საქართველოში წყალთა ოლქების ჩამოყალიბების დროს 1923 წელს ბოლნისის (ლიუქსემბურგის) რაიონი შევიდა თბილისის წყალთა ოლქის შემადგენლობაში. 1930 წელს კი შეიქმნა დამოუკიდებელი სამმართველო - ლიუქსემბურგის წყალთა რაიონი, რომლის უფროსი იყო მაიერი. მის შემდეგ 1943-1951 წლებში, უკვე ბოლნისის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობდა ინჟინერი ვანო ნაკაიძე, რომელმაც იქ საფუძველი ჩაუყარა გეგმურ წყალსარგებლობას და ჰიდრომეტრიულ სამსახურს. შემდეგ წლებში სამმართველოს უფროსები იყვნენ: ნ. ფალავანდიშვილი, ი. ჯიბლაშვილი, ი. შარაშიძე, ა. ალიევი, გ. ჩხიკვაძე, ბ. მიქელაძე, ბ. მანდარია. 2002 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს ჰიდროტექნიკური უბნის ყოფილი უფროსი, შემდეგ მთავარი ინჟინერი - ნოდარ რეხვიაშვილი.

ბოლნისის სამმართველოს კოლექტივი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

ზემოთ ბოლნისის მეორე სახელწოდება „ლიუქსემბურგი" მოვიხსენიე,* მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება მისი წარმომავლობის ისტორია.

1817 წელს, საქართველოში გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს, ამიერკავკასიაში გერმანელები ჩამოასახლეს. 1819 წელს გერმანიიდან გადმოსახლებულებმა ქვეყნის ადმინისტრაციის დახმარებით შექმნეს რვა კოლონია, აქედან ექვსი - საქართველოში შეიქმნა.** ესენი იყვნენ:

---

* რომელიც მას დაერქვა 1929 წელს.

** გ. მანჯგალაძე, გერმანული კოლონიების შექმნა საქართველოში, 1974 წ. გვ.

• მარიენფელდის, 31 ოჯახით, სოფ. სართიჭალაში;

• თბილისის, 51 ოჯახით, მაშინდელ გარეუბანში კუკიაზე (ამჟამინდელი დავით აღმაშენებლის გამზირის ტერიტორია), რომელიც მხოლოდ ხელოსნებისაგან შედგებოდა;

• ალექსანდერსდორფის, 23 ოჯახით (დაერქვა მეფე ალექსანდრე-I პატივსაცემად), დიდუბის სახაზინო მიწებზე (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოებში);

• პეტერსდორფის - 17 ოჯახით (სახელწოდება მიიღო პეტრე I პატივსაცემად), ეს კოლონია დაარსდა მარიენფელდის მახლობლად (სართიჭალა);

საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ბატონი გიორგი გაფელია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას ულოცავს ბოლნისის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს კოლექტივს. 1978 წ.

• ელიზავეტილის 65 ოჯახი (დღევანდელი ასურეთი) და

• ეკატერინენფელდის 116 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ვიურტემბერგის დედოფლის ეკატერინე პავლეს ასულის

პატივსაცემად). მისი ადგილსამყოფელი ბოლნისში იყო. თავად ვარ მნახველი გერმანელების დასახლებებისა: ლარივით სწორი ქუჩები, რომლის ორივე მხარეს ჩარიგებული იყო კოხტად ნაშენი სახლები, მანსარდითა და სარდაფებით. ყვავილნარით დამშვენებული სუფთა ეზოებით. სარდაფში თითქმის ყველას მარანი ჰქონდა მოწყობილი. ასე იყო სხვაგანაც, სადაც გერმანელებს უცხოვრიათ. 1943 წლის ზამთარში, ერთ დღეში, უცაბედად, ყველა გერმანელს დაატოვებინეს საქართველო და შუა აზიაში გადაასახლეს. მათ ნაფუძარზე კი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცირემიწიანი სოფლებიდან ჩაასახლეს ქართული ოჯახები, უმეტესად რაჭიდან, ამიტომაც გაჩნდა იქ „რაჭის უბანი". საქართველოს უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 3 აპრილის დადგენილებით, ისევ აღდგა ბოლნისის სახელწოდება. რაიონულ ცენტრს დაბა ბოლნისი დაერქვა, რომელსაც 1967 წლიდან ქალაქის ტიტული მიენიჭა.

ბოლნისის მომიჯნავე რაიონი - დმანისი წინათ არ წარმოადგენდა სარწყავი მიწათმოქმედების ობიექტს, ამიტომ, არც არხების გაყვანას საჭიროებდა. მაგრამ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც დმანისშიაც გვალვა ხშირ მოვლენად იქცა, დაისვა საკითხი სარწყავი არხების გაყვანის შესახებ. საქწყალპროექტში შედგენილი პროექტი ითვალისწინებდა, აგრეთვე, სარწყავი სისტემების წყლით უზრუნველყოფისათვის წყალმცირე მდინარეების დარეგულირებას. ამ მიზნით აშენდა სამი წყალსაცავი: პანტიანის (მოცულობით 5 მილ. კბმ.), მთისძირის (მოც. 3 მილ. კბმ) და ხორხორას (0.4 მილ. კბმ). ამავე დროს, აშენდა სარწყავი სისტემები: თვითდინების - დმანისი-განთიადის (1980 წ.), მთისძირის (1980 წ.), ჩოჩიანის (1987 წ.) და ეგრისის მექანიკური მორწყვის სისტემა.

თვითდინებით სარწყავი სისტემების მაგისტრალური არხები უმეტესად რკინა-ბეტონის ღარებისგანაა ნაგები, გამანაწილებლები კი - მილსადენებისგან. წყალგამტარი ქსელის სრული დატვირთვით გამოყენება საერთოდ არ ხდებოდა, რადგან სარ-

წყავ მიწებზე უმეტესად საშემოდგომო ხორბალი ითესება და ისე, როგორც ჯავახეთის ზეგანზე, აქაც შემოდგომა-გაზაფხული უხვნალექიანია. რაც შეეხება ეგრისის ძვირადღირებულ, მექანიკურ სარწყავ სისტემას - ის გამოუყენებელი იყო წლების განმავლობაში და შემდეგ წყობიდანაც გამოვიდა. მისი აღდგენა აუცილებელი არ არის, რადგან რენტაბელურიც არ იქნება და ყოველ შემთხვევაში, ეს მიწის მეპატრონეთა გადასაწყვეტი საკითხია.

ახალაშენებული სახელმწიფო სარწყავი სისტემების და წყალსაცავების ტექნიკური ექსპლუატაციის გაუმჯობესების მიზნით, 1981 წელს შეიქმნა დმანისის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომლის უფროსად დაინიშნა ახალგაზრდა ინჟინერი, ადგილობრივი მკვიდრი ნუგზარ ჭალაძე. იგი შეცვალა მთავარმა ინჟინერმა ბადრი მანდარიამ. შემდეგ წლებში სამმართველოს უფროსები იყვნენ ბორის მეტრეველი და გელა დევნოზაშვილი. 1998 წელს დმანისის სამმართველო გაუქმდა და ბოლნისის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს გადაეცა.

ბოლნისის სამმართველოს ახალ ხელმძღვანელობას (უფროსი დ. ჟორჟოლიანი), სამელიორაციო ასოციაციებთან ერთად, დიდი მუყაითობა მართებს, რათა პაპანაქება სიცხეში მაცოცხლებელი წყალი არ დააკლდეს ბარაქიან ხოდაბუნებს.

მარნეული - ბარაქიანი ბეღელი

აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში, სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებს შორის, ბოსტნეულისა და მარცვლეული კულტურების წარმოების სიდიდით, მარნეულის

რაიონს ვერც ერთი რეგიონი ვერ შეედრება. იგი ყოველთვის მიწის ბარაქის უდიდეს ბეღელს წარმოადგენდა და ამაში დიდი წვლილი შეაქვს მაცოცხლებელ წყალს, რომლითაც მთლიანად ირწყვება რაიონის ვაკე-მინდორი. მკვლევართა აზრით, მარნეულის ტერიტორიაზე რწყვა უხსოვარ დროიდან, ანტიკური ხანიდან ფართოდ ყოფილა განვითარებული.

მარნეულის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც: მარნეულის რაიონის ტერიტორია ძირითადად ორი მდინარის - ხრამისა და დებედას წყლებით ირწყვება. მდ. ხრამს წინათ ქცია ერქვა, თუმცა, წალკის ზემოთ ის დღესაც ძველი სახელით იხსენიება. მდინარე დებედას, რომელსაც თავდაპირველად ბერდუჯი ერქვა, შემდეგ საგიმი, ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღგვიწერს: „...არს ესე მდინარე სარგებლიანი... კვალად აღმოიღებენ რუთა და ირწყვიან ამიერ და იმიერ, სადაც ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთელი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, შტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი. ამისათვის იწოდა: „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი", ხოლო აწ დებედა". შემდეგ: „... მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძველადვე ლომთა-ბორა. მის სამხრით არს დაბა ეკლესია, სიცხისათვის, ჯოჯოხეთად წოდებული... ალგეთის შესართავის ჩდილოთ, იალღუჯამდე მტკვრის პირს სახლობენ ელნი მაჰმადიანნი..."*

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ელნი - მომთაბარე ხალხი იყო და ისინი მეფე გიორგის მეფობის დროს დაუსახლებიათ აქ.

„...მოიყვანნა ელნი ბორჩალ და დასხა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ".

ბორჩალოს რაიონში 1926 წელს სარწყავი ფართობი ირიცხებოდა 22350 ჰექტარი, აქედან მდ. ხრამიდან ირწყვებოდა 15900 ჰექტარი, დებედა-ჩაიდან - 6450 ჰექტარი. სარ-

---

* ვახუშტი, იგივე. გვ. 34. კმ. გიორგი, ქართლის მეფე (1600-1605).

წყავი არხები ყველა ძველი, პრიმიტიული იყო და არც ერთ მათგანს არ ჰქონდა სათავე - ნაგებობა. ამიტომ, 1928 წელს დაიწყო სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები და ორი წლის განმავლობაში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ხრამის, ალგეთის, გედეკის არხებს. შესრულდა 2164 კბმ ბეტონის და 98 ათასი კბმ მიწის სამუშაოები. 1932 წელს გაიყვანეს „ლომბალოს" ახალი არხი. 1954 წელს დამთავრდა ხრამის მაგისტრალური-არხის სათავე-ნაგებობის წყალსაშვიანი კაშხლის მშენებლობა. ასეთივე ნაგებობის მშენებლობა დასრულდა 1984 წელს , დებედას მაგისტრალური არხის სათავეზე. პარალელურად წარმოებდა ცალკეული არხების ჰიდროტექნიკური ნაგებობებით აღკაზმვისა და მოპირკეთების სამუშაოები. მიუხედავად ამისა, აქ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელ-მოსაწესრიგებელი. უზარმაზარ ტერიტორიაზე 25 მაგისტრალური არხია გაყვანილი საერთო სიგრძით 330 კმ. აქედან მოპირკეთებულია მხოლოდ 55კმ. გამანაწილებელი არხების სიგრძე 271 კმ-ია, აქედან მოპირკეთებულია მხოლოდ 27 კმ.

აქაურ ბარაქიან მიწაზე ბოსტნეულთან ერთად ვაზიც და ხეხილიც კარგად გვარობს, მხოლოდ ვეგეტაციის პერიოდში მათ სარწყავი წყალი არ უნდა მოაკლდეს, რაც არც ისე იოლად განსახორციელებელია. განსაკუთრებით, ივლის-აგვისტოს თვეებში, არხებში წყალმცირობა გამოწვეულია ძირითადად წყლის არარაციონალური გამოყენებით; წყლის დანაკარგებს ისიც იწვევს, რომ პრიმიტიულ არხებს არ აქვთ სათავე და წყალგასაშვები ნაგებობები. დაბალია წყალსარგებლობის დისციპლინის დონე. ყოველივე ამის შედეგად წყლის მთლიანი დანაკარგი 50 პროცენტზე მეტია, რაც, რა თქმა უნდა, საქმისადმი წყალმომხმარებელთა უყაირათო დამოკიდებულების შედეგია. ცხადია, დიდი მოცულობის წყალი იკარგება ღამით, ამიტომ, სამომავლოდ საფიქრალია - ზოგიერთ არხზე, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, მოეწყოს მცირე მოცულობის (ბუფერული) წყალსატევები წყლის სადღეღამისო რეგულირებისათვის.

ამავე დროს, წყლის დანაკარგების შესამცირებლად შემოღებული უნდა იქნეს წყლის განაწილება ლიმიტისა და რიგის მიხედვით. ამ მხრივ დიდი როლი ეკისრებათ წყალმომხმარებელთა ასოციაციებთან ურთიერთობის განმტკიცებას. ასოციაციები უნდა გახდნენ ორგანიზებული, დისციპლინირებული წყალმომხმარებლები.

წინათ, გასაბჭოებამდე, როგორც სხვაგან, ბორჩალოშიც მორწყვის საქმეს წყლის ინსპექტორები განაგებდნენ. გასაბჭოების შემდეგ კი, 1923 წელს შეიქმნა ბორჩალოს წყალთა რაიონი თბილისის წყალთა ოლქის დაქვემდებარებაში.

ბორჩალოს წყალთა რაიონში შედიოდა ხუთი სამერებო: ხრამ-ალგეთის, აბაღ-სერალის, მაშავერის, შაუმიანისა და ასურეთის.

1930 წელს, საქართველოში წყალთა ოლქების გაუქმების გამო შეიქმნა 14 დამოუკიდებელი სამმართველო - წყალთა რაიონი, მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო ბორჩალოს წყალთა რაიონიც, რომელსაც 1947 წლიდან ეწოდა მარნეულის სასისტემო სამმართველო.

დაარსებიდან ამ სამმართველოს უფროსებად მოღვაწეობდნენ დარგის გამოცდილი ინჟინრები: გრიგოლ ჯალაღანია, ლევან მიქელაძე, გიორგი (ჟორა) ნიშნიანიძე, ბენიამინ კუპრაძე, დიმიტრი თაბაგარი, ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, ბენიამინ მჟავანაძე, გივი გალდავა, მიხეილ სანაძე, რევაზ ალავიძე.

გიორგი ნიშნიანიძე დიდხანს იყო ამ სამმართველოს უფროსი და ბევრი სასიკეთო საქმეც აქვს გაკეთებული. როგორც კარგი ორგანიზატორი და სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის გამოცდილი სპეციალისტი, 1950 წ. იგი დააწინაურეს წყალთა მეურნეობის თბილისის საოლქო სამმართველოს უფროსად, შემდეგ კი საქართველოს წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს ექსპლუატაციის დარგში.

ქვემო ქართლში სარწყავი არხების რეკონსტრუქციის საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის ცნობილ მშენებელს, შემდეგ კი მარნეულის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამ-

მართველოს უფროსს ბატონ მიხეილ სანაძეს. მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა და ამიტომ, ცოტათი შევჩერდები მისი პორტრეტის დასახასიათებლად: იყო ალალი გულის, მეგობრების მოსიყვარულე, ხანდაზმულობისას სამსახურში მეტად ფრთხილი და ეჭვნეული, ახალგაზრდობაში, როგორც საერთოდ, იყო მკვირცხლი, მოძრავი, ენერგიული, საქმის უზადო შემსრულებელი.

სიამოვნებით გავიხსენებ მასთან პირველი შეხვედრისა და გაცნობის წუთებს. 1952 წელია, ზემო სამგორის ზედა მაგისტრალური არხი ახალი მიღებულია ექსპლუატაციაში, მიმდინარეობს გამანაწილებელი არხების მშენებლობა...

ერთხელ, საჭირო შეიქმნა მენახა სამუშაოთა მწარმოებელი მ. სანაძე, პირადად მას არ ვიცნობდი... და მაგისტრალური არხის მიმდებარე განიერ გზაზე ვდგავართ მანქანით და ველოდებით სანაძის მნახველს. ვხედავ, ჩქარი ნაბიჯით მოდის თმახუჭუჭა, პირმცინარე ახალგაზრდა... გზაზე გადავუდექი, მივესალმე და ვეკითხები - სამუშაოთა მწარმოებელი ესა და ეს კაცი ხომ არ შეგხვედრიათ-მეთქი? ახალგაზრდას თვალები გაუბრწყინდა, სახეზე ალმური აუვიდა და შეცბუნებულმა იმერულ კილოზე სხაპასხუპით მიპასუხა - მე ვარ, ბატონო, რაშია საქმე, რა მოხდა?! გამოვეცნაურე, საქმეზეც ვისაუბრეთ და კმაყოფილნი დავშორდით ერთმანეთს... ამის შემდეგ კარგი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, კარის მეზობლებიც გავხდით, ბოლომდე კარგი მეზობლობა და ურთიერთობა გვაკავშირებდა.

დიდხანს, 1974-1987 წლებში მუშაობდა იგი მარნეულის სამმართველოს უფროსად და ბევრი სასიკეთო საქმეც გააკეთა სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის გასაუმჯობესებლად.

1987 წელს მარნეულის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა გამოცდილი სპეციალისტი და ხელმძღვანელი მუშაკი, ბატონი რევაზ ალავიძე, რომელიც ადრე, ერთ ხანს, მარნეულის სამმართველოს მთავარი ინჟინერიც იყო. შემდეგ კი ქუთაისისა და გორის სამმართველოებს

ხელმძღვანელობდა დიდხანს. მარნეულის სარწყავ სისტემებს კარგად იცნობდა ბატონი რევაზი და ამიტომ, აქ მუშაობა როგორ გაუძნელდებოდა, მიუხედავად ცუდი პერიოდისა და პირობებისა.

რეფორმების პერიოდში ახლად ჩამოყალიბებული მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მარნეულის სამმართველოს უფროსი ბატონი რევაზ ალავიძე დააწინაურეს.

1995 წლიდან მარნეულის სარწყავი სისტემების სამმართველოს უფროსად მოღვაწეობდა არჩილ შარაშიძე, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სულ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მუშაობს, მას მიღებული გამოცდილება დაეხმარა ახალ, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობაში.

1995 წელს ქვემო ქართლში, რომლის ცენტრიც მარნეულია, ჩატარდა ექსპერიმენტი (!). სამელიორაციო მომსახურებისათვის საფასურის გადასახადის დაწესებაზე.

აქ ექსპერიმენტს, სოფლად დუხჭირი პირობების საერთოდ განუკითხაობის გამო, დიდი წარმატება არ ჰქონია, მაგრამ 1996 წლიდან სამელიორაციო მომსახურეობაზე საფასურის გადახდა ყველგან შემოიღეს. როგორ ცნობილია, სამელიორაციო კოოპერატივების საქმიანობა უპერსპექტივო გამოდგა. საშიშია ასეთივე ბედი არ ეწვიოს მათ მემკვიდრეს, „წყალმომხმარებელთა ასოციაციებსაც“ - პირველ ხანებში მაინც.

სამმართველოს კოლექტივს, რეფორმების პერიოდში, მეტად მძიმე ფინანსურ პირობებში უხდება სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს წყალსარგებლობის დისციპლინას, სარწყავი წყლის ეფექტურად გამოყენების ხარისხს.

2004 წელს სამმართველოს უფროსად მოიწვიეს ბატონი ვასილ სანაძე, ინჟინერ-მშენებელი, ზემოთ მოხსენებული მიხ-

ეილ სანაძის ვაჟი. დიდი საქმეებია წინ შესასრულებელი... ძველი სარწყავი არხები უნდა აღიკაზმოს ჰიდროტექნიკური ნაგებობებით, საფუძვლიანად გადაკეთდეს ინჟინრულ სისტემებად. უნდა განმტკიცდეს წყალსარგებლობის დისციპლინა, ამაღლდეს ტექნიკური სამსახურის დონე.

იმედია, შვილი საზელოვანი მამის ნაამაგარს უკეთესად მოუვლის.

ეამი აყვავებისა, ეამი ადინებისა!

საქართველოში სტაციონალური სატუმბი სადგურებით წყლის მიწოდება მაღალ ნიშნულებზე მდებარე საინჟინრო სარწყავ სისტემებში პირველად თბილისის შემოგარენში განხორციელდა. ეს მოხდა 1930 წელს, როდესაც დამთავრდა იმ დროს საკმაოდ მძლავრად მიჩნეული დიღმის სატუმბი სადგურის მშენებლობა მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ზემო ავჭალის პირდაპირ.

დიღმის მინდვრების მორწყვის პროექტი 1918 წელს იყო შედგენილი: მდინარე არაგვიდან წყალი თვითდინებით, დიუკერის საშუალებით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უნდა გადმოსულიყო და აქედან სატუმბი სადგურით მიეწოდებოდა მეორე ზონის არხში.

ამ პროექტით მშენებლობა ვერ განხორციელდა, ზაჰესის მშენებლობის დაწყების გამო და 1927 წელს შეადგინეს ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სატუმბი სადგურის აშენებას, საიდანაც წყალი მიეწოდებოდა I და II ზონის მაგისტრალურ არხებს, ხოლო მეორე ზონის მაგისტრალური არხის ბოლო ნაწილში დაგეგმილი იყო სატ-

უმბი სადგურის მშენებლობა III ზონის არხში წყლის მისაწოდებლად. დიღმის სატუმბი სადგურის და I და II ზონის სარწყავი სისტემის მშენებლობა დამთავრდა 1930 წელს და დიღმის მინდვრებში პირველი რწყვა 1931 წელს 630 ჰექტარზე ჩატარდა.

თბილისის გარეუბნებში ამ დროს ხევის წყლებით და პატარა მდინარეებით 2313 ჰექტარი მიწის ფართობი ირწყვებოდა. მთავარი არტერიის, მდინარე მტკვრის გამოყენება თვითდინებით მორწყვისათვის ავჭალიდან რუსთავამდე შეუძლებელი იყო გეოგრაფიული მდგომარეობის გამო (ერთადერთი არხით თვითდინებით სოღანლუღის ჭალაში 175 ჰექტარი ფართობი ირწყვებოდა). ამიტომ გახდა აუცილებელი მეორე, უფრო მძლავრი სატუმბი სადგურის მშენებლობის განხორციელება სოღანლუღში (ფონიჭალა), სადაც პირველი რიგის სამუშაოები 1937 წელს დამთავრდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დედაქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან თბილისის ირგვლივ ფართოდ გაიშალა ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა და არსებულის - დიღმის I და II ზონის არხების რეკონსტრუქცია. დიღმის III ზონის სარწყავი სისტემის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ მოცოცხლებული წყალი სოფელ დიღომშიც მივიდა.

1964 წელს ექსპლუატაციაში შევიდა თელეთის მექანიკური მორწყვის სისტემა (წყლის სამ საფეხურეზე აწევით). დამთავრდა ფონიჭალის მეორე ზონის სარწყავი სისტემის მშენებლობაც.

1954 წლიდან ზემო სამგორის ზედა მაგისტრალური არხიდან წყალი მიეწოდებოდა ვარკეთილისა და ღრმა-ღელეს მინდორ-ველს, ხოლო თელეთი-კუმისის მიდამოები - თელეთის უნიკალური სარწყავი სისტემის წყალობით, წალკოტად იქცა, ბაღებისა და ვენახის ზვრებში გაეხვია. რაც შეეხება ქალაქის დასავლეთით - დიღმის მხარეს - ის უფრო ადრე იყო აყვავებულ-ამწვანებული... მაგრამ, მერე რა... თურმე ყველაფერი

დროებითი ყოფილა, ერთ ავად სახსენებელ დღეს ვარკეთილისა და დიღმის ბარაქიანი ბაღ-ვენახები ისე გულმოდგინედ აჩეხეს, რომ შუბლიც არ შეჭმუხნიათ, ერთი კურცხალიც არ გადმოვარდნია თვალებიდან არც განმკარგულებელსა და არც შემსრულებელს... გოდებდნენ მხოლოდ ვაზისა და ხეხილის ნარგავები, მათი მეპატრონენი, მებაღეები, მევენახეები, თავად ბუნებაც... რამ განაპირობა ასეთი ველური დამოკიდებულება ბუნების სილამაზისადმი, ადამიანის ნაამაგარისადმი?!

უბრალოდ მიბაძულობამ, წინდაუხედავობამ... იმ დროს, საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ირგვლივ, ტრიალ მინდვრებზე სოკოებივით ჩნდებოდნენ „თანამგზავრი" ქალაქები... ამ იდეას, ჩვენ, ქართველები როგორ „ჩამოვრჩებოდით" და ბაღ-ვენახების ნაფუძარ მიწაზე ვარკეთილსა თუ ვაზისუბანში, დიღომსა თუ გლდანში, თბილისის ირგვლივ ათასობით ჰექტარ ნოყიერ ფართობზე 15-18 სართულიანი სახლები წამოჭიმეს... ამიტომაა, ამჟამად, თბილისის ირგვლივ სარწყავი მიწები მხოლოდ შვიდ ათას ჰექტარს ძლივს რომ აღწევს. აქედან 3485 ჰექტარი თელეთის სარწყავი სისტემით ირწყვება. დიღომსა და გლდანღრმაღელეს მინდვრებზე მოსარწყავი თითქმის აღარაფერი დარჩა. რაც შეეხება თელეთის მინდვრებს, აქ სატუმბ სადგურებს ვერ ამუშავებდნენ ელექტროენერგიის უქონლობის გამო (გაიხსენეთ, ერთი პერიოდი ჩაბნელებული რომ იყო ჩვენი დედაქალაქიც), შემდეგ კი, როცა ელექტროენერგიის მიღების შესაძლებლობა შეიქნა, სიდუხჭირემ მოიცვა კუმის-თელეთის მოსახლეობა და ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა გახდა მიზეზი სარწყავი წყლის მიუწოდებლობისა. აყვავებული ბაღ-ვენახები კი გადახმა და გავერანდა. უწყლობისგან უჭირთ ადამიანებს, საქონელს, ბუნებას. მდგომარეობიდან გამოსავალი ერთია: თელეთში თვითდინებით უნდა მივიდეს სარწყავი წყალი ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხიდან. გვალვისაგან დამსკდარი ჩვენი მარჩენალი მიწა შველას ითხოვს. შველას ითხოვს დედაქალაქი და ამას დროზე თუ არ მივხედეთ, სანანებელი შეგვექნება.

რაც შეეხება თბილისის გარეუბნებში წყალთა მეურნეობის საქმიანობას, მას 1921 წლიდან თბილისის წყალთა ოლქი განაგებდა. მის ფუნქციებში შედიოდა წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებებიც. წყალთა ოლქების გაუქმების შემდეგ, 1930 წელს შეიქმნა თბილისის გარეუბნის სასისტემო სამმართველო, რომელსაც მერე თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველო დაერქვა, ამჟამად კი მას ფონიჭალა-თელეთის და ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემების სამმართველო ჰქვია.

თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოში ვმუშაობდი 1953-1959 წლებში, მაშინ სამმართველოს სათავეში ედგა ბატონი გრიგოლ ჯალაღანია; კარგ კოლექტივში მიხდებოდა მოღვაწეობა. აქ იყვნენ გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, კეთილსინდისიერი, პატიოსანი ადამიანები: ინჟინერი ჰიდროტექნიკოსი იოსებ შუკაკიძე. ინჟინერ-მექანიკოსი ვასო გოგიჩაშვილი - ეს დინჯი ქართლელი (ცნობილი მეცნიერის კოსტა ამირეჯიბის აღზრდილი), სოფელ ატოციდან იყო, ინჟინერი ისაკ გოგიჩაიშვილი - ნადიკვარის სატუმბი სადგურის უფროსი, ეს კი ნამდვილი ფიცხი გურული იყო! ჰიდროტექნიკოსი ვლადიმერ ცომაია - ჰიდროტექნიკური უბნის უფროსი. მეორე ვლადიმერ ცომაია კი თელეთის პირველი აწევის სატუმბი სადგურის უფროსია ახლაც. წყალსარგებლობას განაგებდა ინჟინერი თამარ ფაჩულია.

ამ სახელმოხვეჭილ კოლექტივს შემდეგ პერიოდში ხელმძღვანელობდნენ: 1959-1982 წლებში - გიორგი ნიშნიანიძე, 1982-1983 წლებში - გივი გალდავა. 1983 წლიდან 1997 წლამდე სამმართველოს უფროსი იყო ინჟინერი ჯუმბერ აფხაიძე.

1997 წლიდან სამმართველოს უფროსად დააწინაურეს ინჟინერი ნოდარ ბიჭიაშვილი. უნდა ითქვას, რომ მას საზრუნავი მოემატა მას შემდეგ, რაც, 2001 წელს შეუერთეს ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემა - ალგეთის წყალსაცავით.

ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემა რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობაა და მასზე დაწვრილებით ცალკე მოგითხრობთ.

ფარცხისიდან - ფონიჭალამდე

თეთრიწყაროს რაიონში მდინარე ალგეთის ჭალები და ხევების მიმდებარე მიწები პრიმიტიული არხებით ძველადაც ირწყვებოდა და ასურეთის სამერაბო მარნეულის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მომსახურებაში შედიოდა.

თეთრიწყაროს პლატო, რამდენიმე მცირე მდინარის კანიონებითაა გაკვეთილი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ხრამის მარცხენა შენაკადი - ჭივჭავი.

თეთრიწყაროს შემოგარენი ისტორიულად ცნობილია მარაბდის ბრძოლებით, გავიხსენოთ ერთი მათგანი:

1625 წლის 1 ივლისი, მარაბდა...

შაჰ-აბასის მრავალათასიანი ურდო, მერამდენედ ესხმის საქართველოს რისხვით, ცეცხლითა და მახვილით!? ან ახლა უნდა მოისპოს საქართველო, ან ვერასოდეს... ასეთი იყო მტკიცე გადაწყვეტილება ვერაგი მტრისა...

ქართველმა ჯარმა თავგანწირული ბრძოლები დაუპირისპირა მომხდურს, რომელიც ერთზე ხუთი მოდიოდა. მართალია, მარაბდის ბრძოლა ქართულმა ჯარმა მაშინ წააგო, მაგრამ შემდეგ გიორგი სააკაძემ შეკრიბა სახალხო ლაშქარი და მტერზე შური იძია, ქართლ-კახეთში მოთარეშე სპარსელები გაანადგურა და საქართველო გაათავისუფლა გადამთიელი დამპყრობებისაგან... შაჰ-აბასმა ვერა და ვერა, ვერასგზით შეისრულა თავისი და ბილწი წინაპრების გულის წადილი და ვერ მოსპო საქართველო, ვერ გადააშენა ქართველობა.

მარაბდის ბრძოლა ცნობილია აგრეთვე იმით, რომ ამ ბრძოლაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ძმები ხერხეულიძეები... ლეგენდად ქცეულ 9 ძმაზე ხალხმა ლექსები და სიმღერები შეთხზა. არც მოქანდაკეები დარჩნენ ვალში და მარნეულის გზაზე აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის დიდებული ქანდაკება, წარწერით:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი!“

ლეგენდარული მარაბდიდან, მოდით, ისევ წყალთა მეურნეობას დავუბრუნდეთ: როგორც ცნობილია, ოთხმოციან წლებში მცირე მელიორაციის ღონისძიებებით ყველგან ფართოდ გაიშალა სამუშაოები. ამ მხრივ საქართველოშიც დაიგეგმა გარკვეული მოცულობის წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობა.

მცირე მელიორაცია ითვალისწინებდა ძირითადად გუბურების, მცირე მოცულობის წყალსაცავების, მცირე და საშუალო სიმძლავრის სატუმბი სადგურებისა და სარწყავი ქსელის მშენებლობას. ასეთი სახის ობიექტებით გამდიდრდა თეთრიწყაროს რაიონიც. აშენდა: მარაბდის (1,2 მილ. კბმ მოცულობის), ბორბალოს (0.1 მილ. კბმ), შავსაყდარის (0,14 მილ. კბმ) და ასურეთის (0,91 მილ. კბმ მოცულობის) წყალსაცავები. აგრეთვე, კოდა-კუმისის, ასურეთის და სხვ. სატუმბი სადგურები.

რაიონში რაკი გაიზარდა სარწყავი ფართობი 1963 წელს, რესპუბლიკაში ჩატარებული რეორგანიზაციის დროს, მარნეულის სამმართველოს გამოეყო და ცალკე შეიქმნა თეთრიწყაროს სასისტემო სამმართველო. მისი პირველი უფროსი იყო ირო-დიონ შარაშიძე, რომელიც მანამდე მცხეთის სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

1965 წლიდან 1978 წლამდე სამმართველოს უფროსად მუშაობდა დიმიტრი თაბაგარი. მისი უფროსობის პერიოდშიც ბევრი ობიექტი აშენდა მცირე მელიორაციის ხაზით. გარდა ამისა, ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი აშენდა ქ. თეთრწყაროში, ხოლო ს. ასურეთში - საქმიანი ეზო და საუბნო სახლი.

დ. თაბაგარის პენსიაზე გასვლის შემდეგ სამმართველოს უფროსად მუშაობდნენ: ნოდარ თხელიძე, მერაბ გიგნაძე. სამწუხაროდ, ეს ორი, წყალთა მეურნეობის ამაგდარი, უდროოდ ჩამოშორდა საყვარელ საქმეს და დიდ კოლექტივს.

1984 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემა, რომელიც წყალს იღებს სოფელ ტბისთან

მდინარე ალგეთზე აგებული წყალსაცავიდან, რომლის მთლიანი მოცულობაა 65 მილ. კბმ-ია.

სარწყავი ფართობები სოფელ ფარცხისიდან იწყება და სულ 8517 ჰექტარს შეადგენს. აქედან თვითდინებით ირწყვება 2587 ჰა, მექანიკურად წყლის აქაჩვით კი ირწვებოდა 5930 ჰა. ვამბობ, ირწყვებოდა-მეთქი იმიტომ, რომ დღეს არც ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი წყლის მექანიკური აწევით არ ირწყვება. გულისტკივილით უნდა შევნიშნო, რომ პროექტის შედგენის დროს არ ყოფილა მხედველობაში მიღებული სარწყავი სისტემის ტექნიკური ექსპლუატაციის სირთულე ასეთ მთაგორიან რელიეფზე, განსაკუთრებით ტაბახმელის განშტოებაზე. საკითხავია, რა აუცილებლობას წარმოადგენდა ისეთი ფართობების გასარწყავება, რომელსაც მორწყვა შეიძლება 4-5 წელიწადში მხოლოდ ერთხელ დასჭირდეს?!. ან კიდევ საერთოდ არ დასჭირდეს?! მერე ისიც, დიდად ძვირადღირებული დაწვიმებითი სისტემით ხორბლისა და მრავალწლიანი ბალახების მორწყვა?!. ღირდა კი ადამიანების წვალებად და უამრავი ხარჯების გაწევად?! რას დავეხარბეთ?! საკითხავი აი, რა არის!

დღეს, საბაზრო ეკონომიკა, მსგავს ბუნებრივ პირობებში სარწყავი სისტემების მშენებლობაზე განა სახსრებს დახარჯავს?!

ახალი აშენებული სარწყავი სისტემა მიიღო თეთრიწყაროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველომ, რომლის უფროსად 1983 წელს ვანო ზაუტაშვილი დაინიშნა...

დიდი ჯაფა და ნერვიულობა გადახდა სამმართველოს კოლექტივს, რომ გამანაწილებელ არხებში წყლის რეგულირების შესაძლებლობა ჰქონოდათ. ამასობაში, 1991-1992 წლებში, მწყობრიდან გამოვიდა სატუმბი სადგურები, ელექტროქვესადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები და მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემაც უწყლოდ დარჩა, შემდეგ სარწყავი ქსელიც მოიშალა.

ტბისი-კუმისის სისტემაზე, დღეის მდგომარეობით, წყლით უზრუნველყოფილი ფართობი შეიძლება იყოს 2587 ჰა. მაგრამ,

თანდათანობით, შესაძლებლობის ფარგლებში, ალგეთის წყალი გამოყენებული უნდა იქნეს თელეთი-კუმისის მიწების მოსარწყავად და მაშინ, ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხი გახდება მეტად მნიშვნელოვანი არტერია მოწყურებულ ხოდაბუნების ასაბიბინებლად. ეს ხომ საშვილისშვილო საქმე იქნება.

1966 წელს თეთრიწყაროს სასისტემო სამმართველოს მომსახურებაში შევიდა წალკის რაიონის ახლადაშენებული სარწყავი არხები, რომლითაც 2004 ჰექტარი ფართობი ირწყვებოდა, თვითდინებით.

წალკის რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები მსგავსია ჯავახეთის ზეგანისა, მაგრამ განსხვავებულია მისგან და გამოირჩევა თავისი გეომორფოლოგიური ხასიათით... აქ უთბილესი ტემპერატურაა 19-15°, წლიური ნალექიანობა 600-700 მმ. ნალექთა მაქსიმუმი მაისი-ივნისზე მოდის, რაც ხელს უწყობს ხორბლის ნათესებისა და ბალახების ნორმალურ ვეგეტაციას. ამდენად, წალკის რაიონში რწყვა აუცილებლობას არ წარმოადგენს და უმეტესად ის ფაკულტატური სახისაა. მიუხედავად ამისა, 1971-1973 წლებში აშენდა წინწყაროს და ედიკლის სატუმბი სადგურები სარწყავი ქსელით. შემდეგ წლებში დაიწყო უფრო დიდი მასშტაბიანი კუშის მექანიკური მორწყვის სისტემის მშენებლობა(!), რომლის დამთავრება ვერ მოესწრო 1991-1992 წლების ამბების გამო. ერთადერთი, თვითდინების ქცია-ხრამის არხიც არ მოქმედებს რკინა-ბეტონის ღარების მწყობრიდან გამოსვლის გამო.

1983 წელს, წალკის ჰიდროტექნიკური უბნის ბაზაზე შეიქმნა წალკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, მაგრამ მან დიდხანს ვერ იარსება და ჯერ დმანისის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეუერთეს როგორც ჰიდროტექნიკური უბანი, შემდეგ, 1994 წლიდან კი, ისევ თეთრიწყაროს სამმართველოს დაქვემდებარებაში დააბრუნეს.

1998 წელს ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის სამმართველოს ხელმძღვანელობაც შეიცვალა, უფროსად დაინიშნა გამოცდილი ინჟინერ-მშენებელი გიზო ჟღენტი.

ბოლოს, 2002 წელს ტბილისი-კუმისის სარწყავი სისტემის სამმართველო შეუერთეს თბილისის სარწყავი სისტემების სამმართველოს და სახელად დაერქვა ფონიჭალა-თელეთის და ტბილისი-კუმისის სარწყავი სისტემების სამმართველო. უფროსად დაინიშნა ნოდარ ბიჭიაშვილი თბილისის სამმართველოს ყოფილი უფროსი, მთავარ ინჟინრად - თეიმურაზ პატარაია.

ეს ნარკვევი მარაბდის ლეგენდარული ბრძოლების აღწერით დავიწყეთ და დავამთავრეთ გრძელი სახელწოდების მქონე სამმართველოთი. ერთი რამ ცხადია, ქართველი კაცი ბრძოლაშიც იჩენდა ვაჟკაცობას და შრომაშიც... ასე რომ, ფონიჭალა-თელეთის და ფარცხისი-ფონიჭალის მიდამოებშიც მოუწევთ მელიორატორებს დიდი შრომა და ჯაფა, რათა ებრძოლონ გვალვას და სიცოცხლის მომტანი წყალი გამოულევლად მიაწოდონ ვარამგადატანილ ნაომარ ნაფუძრებს.

წყალი - ქვეყნის მარჩენალი

გარე კახეთის სანახები, გარდა ივრის ჭალებისა, მრავალი საუკუნე ურწყავი იყო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, საგარეჯოს მინდვრები დასაბამიდან ურწყავი ყოფილიყო... ამის თქმის საფუძველს მაძლევს მემატიანის ცნობები: „...გარნა იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოხრდა გამოსვლასა ბერქარსა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნიც ჩანან დღესაც.: შემდგომად დასხეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა“...* აღიარებული ჭეშმარიტებაა, უწყლოდ სოფლების განაშენიანებაც არ მოხდებოდა, მაგრამ მომხდური მტერი ხომ პირველ რიგში

* ვახუშტი, იგივე. გვ. 39.

არხებს ანგრევდა და ვენახებს ანადგურებდა. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ათასეული წლების წინათ საგარეჯოს ზეგანიც სარწყავი არხებით იყო დასერილი.

დიახ, სწორედ ჟამთა სიავის პერიოდში გახდა უკაცრიელი ივრის ზეგანი; მისი ლანდშაფტი ცვალებადია ნახევრად უდაბნოდან - სტეპამდე, ნიადაგური საბურველი მრავალფეროვანია, უმეტესად სტეპური. ჰავა კონტინენტური ჯგუფისაა - ტემპერატურის მკვეთრი მერყეობით. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 300-400 მმ-ის ფარგლებშია.

ვიდრე სარწყავი სისტემებზე დავიწყებ საუბარს, ერთიორი სიტყვით ისტორიული ძეგლების შესახებაც მოგითხრობთ:

საგარეჯოს რაიონი, ისე როგორც კახეთის სხვა კუთხე, მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მაგრამ მათგან თავისი სიდიადით დღესაც რომ აოცებს მნახველს, ეს გახლავთ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. იგი მსოფლიო მნიშვნელობის განსაკუთრებულ ძეგლადაა მიჩნეული.

თბილისიდან სამოციოდე, ხოლო ქ. საგარეჯოდან ორმოცდაათამდე კილომეტრზე, გარე-კახეთის სამხრეთ კიდეში გადაჭიმულია უწყლო და უტყეო, ძლიერ დასერილი გარეჯის მთაგრეხილი, რომელიც მეზობელი სახელმწიფოს - აზერბაიჯანის დღევანდელ ტერიტორიაზეც გრძელდება.

გარეჯის უდაბნოს მონასტრები VI საუკუნის პირველ ნახევარშია დაარსებული. პირველი მონასტრის დამაარსებელია საქართველოში დაბრუნებული ერთ-ერთი 13 ასურელ მამათაგანი - დავითი. იგი თავდაპირველად თბილისის ახლოს, დასავლეთით მდებარე იმ მთაზე დასახლებულა, რომელსაც შემდეგში „მთაწმინდა“ - „მამადავითი“ ეწოდა. უფრო გვიან კი, დავითი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად, გადასულა გარეჯის უდაბნოში, სადაც უკაცრიელი მთების ერთ-ერთ ნაპრალში უპოვია ბუნებრივი მღვიმე და იქ დაბინავებულა. ასე დაფუძნდა მონასტერი, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა, როგორც დავით-გარეჯის ლავრა, სადაც ერთ მღვიმეში წვეთ-წვეთობით იკრიბება წყალი, ლეგენდის მიხედვით...

„დავითის ცრემლის წყალი“. ამ უწყლო უდაბნოში მთელი მონასტრისათვის წვიმის წყლის შესაგროვებლად ღარები გაუკეთებია. აკი, ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს: „გარეჯის მთას არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძვი, მით ხარშავენ და აცხობენ, არს ეკლესიანი, შემკულნი და დახატულნი ძველითგანვე“.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს თავისებური შეფასება მისცა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა: წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ერს არ აქვს ისტორია. მიეცით გარეჯი და ბრწყინვალე ისტორია ექნებაო. საქართველოში კი ვინ მოთვლის რამდენი ასეთი უნიკალური ძეგლია, რომლებიც გადაურჩნენ ისტორიის ბედუკულმართობას, ჟამთა სიავეს და დღესაც ამაყად დგანან საქართველოს წარსულის სადიდებლად (ვარძია, უფლისციხე, ნაქალაქევი და სხვ.).

მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მივიწყებული იყო და მხოლოდ სამოცდაათიან წლებში საგარეჯოს რაიონის თავკაცების ინიციატივით, საჯაროდ გახდა ცნობილი, რომ ასეთი იშვიათი ძეგლები თბილისთან ახლოს მდებარეობს.

ფართოდ გაიშალა სამუშაოები კომპლექსის მოსაწესრიგებლად. გასუფთავდა არემარე, მოასფალტდა მისასვლელი გზები. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გაიყვანა წყალსადენი (სამუშაოებს აწარმოებდა საძოვრების გაწყლოვანების სამმართველოს უბნის უფროსი ბატონი შალვა სარჯველაძე) და დაწესდა ყოველი წლის მაისის დასაწყისში სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“. ამ სახალხო ზეიმს ხშირად ვესწრებოდით სამინისტროს თანამშრომლები.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1985 წლის გარეჯობა... ახლად აღდგენილ გარეჯის კომპლექსს სანახავად უამრავი სტუმარი ეწვია... დიდი ზეიმი იყო დავით გარეჯის შემოგარენში, ნამდვილად სახალხო ზეიმი...

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს მაშინდელი უფროსის ტარიელ ქურდოვანიძის ინიციატივით, საგარეჯოში მოეწყო ზეიმის დასკვნითი ნაწილი ჩვენი სამინისტროს თანამშრომლებისათვის.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელთა ერთი ჯგუფი საგარეჯოში „გარეჯობაზე"

საგარეჯოდან ვიდრე დავით გარეჯამდე მიხვიდოდეთ, უნდა გაიაროთ სტეპები, სადაც ადგილ-ადგილ ოაზისივით შეგხვდებათ ამწვანებული ადგილები - ეს უსათუოდ სარწყავი წყლის ნაამაგარია. აქ, თაკარა მზის ქვეშ ვერაფერი გვარობს წყლის გარეშე. შეჰყურებ ამ სიწმინდეს და ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ მორწყვა ერთადერთი საშუალებაა სიცოცხლის გადასარჩენად. ის ქვეყნის მარჩენალია. ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც საქართველო უყვარს.

1931 წლის სტატისტიკური ცნობებით, საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე (სართიჭალის ჩათვლით) მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე გაყვანილი იყო 9 არხი (სართიჭალის, ნინოწ-

მინდის, შიმშილას, ლამბალოს, თულარის და სხვ.) მათი საერთო სიგრძე 64 კმ. იყო (ირწყვებოდა 1136 ჰექტარი ფართობი).

იორის მარცხენა ნაპირზე კი 6 არხი იყო გაყვანილი. ხუგროვანის, ბერებიანის, ლაფიანთხევის, ქვეითის და სხვ. მათი მთლიანი სიგრძე 49 კმ. შეადგენდა (ირწყვებოდა 2019 ჰექტარი ფართობი).

1929-1931 წლებში გაიყვანეს ყანდაურის არხი. ეს იყო, ასე ვთქვათ, ინჟინრული სისტემა, რომელსაც ჰქონდა სათავე - ნაგებობა - მარეგულირებელი რაბი და ფარებიანი წყალგამშვებები. ამ არხით ირწყვებოდა სოფლების: ყანდაურის, შიბლიანის და ბოგდანოვკის მიწები, სულ 660 ჰექტარი.

1961 წელს დაიწყო ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. სისტემა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მაგისტრალური არხისგან შედგება. ერთ წყალსაშვიან კაშხალზე აგებულია ორი წყალმიმღები: მარცხენა და მარჯვენა არხებისათვის.

მარცხენა მაგისტრალური არხი, რომლის საპროექტო წყალგამტარიანობაა 24 კბ მ/წამში, გაივლის სოფლებს: ნინოწმინდას, საგარეჯოს, გიორგიწმინდას, მანავს და კაჭრეთის ტერიტორიაზე ბოლოვდება. მაგისტრალური არხის სიგრძეა 47,6 კმ., გადის 11 გვირაბში. აგებულია 3 დიუკერი, 17 გალერეა. სარწყავი ფართობი შეადგენდა 20190 ჰექტარს, აქედან, 6365 ჰექტარი ფართობის მორწყვა 17 სატუმბი სადგურის საშუალებით წარმოებდა. ამჟამად მხოლოდ 3 სატუმბი სადგურითაა შესაძლებელი 1447 ჰა ფართობის მორწყვა.

მარჯვენა მაგისტრალური არხი, რომლის საპროექტო წყალგამტარიანობაა 9,5 კბმ/წამში 28,8 კმ. სიგრძისაა. ემსახურება 10030 ჰექტარი ფართობის მორწყვას, აქედან, 898 ჰა ფართობის მორწყვა გათვალისწინებულია 3 სატუმბი სადგურით, რომლებიც, სამწუხაროდ, „ჩამოწერას“ ექვემდებარება (?!).

ეს არხი შედარებით ნორმალურ რელიეფში გადის, ამიტომ, განსაკუთრებული ჰიდროტექნიკური ნაგებობები არც ისე

ბევრია. სულ არის 6 დიუკერი, ერთი გალერეა და ერთიც სწრაფდენი.

ექსპლუატაციის პერიოდში არხი რამდენიმე მონაკვეთში დეფორმირებულია, რის შედეგადაც შემცირებულია არხის გამტარუნარიანობა.

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, ოთხმოცდაათიან წლებში ჩვენს ქვეყანაში მაღალი აწევის სატუმბი სადგურების მშენებლობა მოდად იქცა და თითქმის ყველა რეგიონში ჩნდებოდა ასეთი რამ მცირე კონტურის ფართობების მოსარწყავად. და ისიც უმეტესად ხელოვნური დაწვიმების სისტემით. მაშინ ასეთი სისტემების ეკონომიკური რენტაბელობა თითქოს დასაბუთებული იყო: ელექტროენერგია, სამშენებლო მასალები იაფი იყო, ექსპლუატაციის ხარჯებს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად უზრუნველყოფდნენ. სწორედ ამ მდგომარეობამ გადააწყვეტინა დამპროექტებლებს, რომ მარჯვენა მაგისტრალური არხიდან №4 სატუმბი სადგურით აქაჩული წყალი მიეყვანათ სოფელ კრასნოგორსკში და ჩაეშვათ ის ბუნებრივ ტბაში, იქედან კი კვლავ ამოტუმბვით, დაწვიმებითი ქსელის საშუალებით, ჩაეტარებინათ რწყვა 215 ჰექტარ ფართობზე.

1988 წელს დამთავრდა მექანიკური მორწყვის სისტემის მშენებლობა, მაგრამ მას ამოქმედება არ ეწერა... მოუსწრო ავადსახსენებელმა პერიოდმა და დიდი ამაგი უკვალოდ გაქრა... ანდა, ვის და რად სჭირდებოდა იმ ტბის ირგვლივ, ზღვის დონიდან მაღალ წერტილებში რწყვა? იქ ყოფნის დროს ასეთი სურვილით მონატრებული ადგილობრივი მკვიდრი ერთიც არ შემხვედრია...

ამ კურიოზის საპირისპიროდ რაიონში, ივრის პირად არის ერთი პატარა სარწყავი სისტემა სოფელ ხაშმში, ის ლოკალურია და უსასყიდლოდ გადაეცა წყალმომხმარებელთა ასოციაციას.

როგორც ცნობილია, წყალსამეურნეო ორგანიზაციები გასაბჭოების შემდეგ შეიქმნა. საგარეჯოს რაიონი, როგორც ერთი სამერაბო, შედიოდა, კახეთის წყალთა ოლქში. 1930 წელს კი, წყალთა ოლქების გაუქმების შემდეგ, დაარსდა დამოუკიდე-

ბელი სამმართველო, საგარეჯოს წყალთა რაიონი, რომელსაც სათავეში ედგა ბატონი ალექსანდრე ბუაძე, რომელმაც თავის მხრებზე, როგორც იტყვიან, გადაიტანა ჩამოყალიბების პერიოდი. შემდგომში სამმართველოს უფროსები იყვნენ, ბატონები: გაბო ქვლივიძე, ილია სულაძე, არჩილ ბარამიძე, არჩილ აბვლედიანი, იოსებ ჯიღაშვილი, ვანო დარბაისელი.

1965 წელს ამოქმედდა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა. უნდა ითქვას, რომ ამ სამმართველოს უფროსს ვანო დარბაისელს და მთავარ ინჟინერს ალექსი ქურხულს დიდი ჯაფა გადახდათ იმისათვის, რომ მშენებელთა მიერ დაშვებული ხარვეზები შეევსოთ და სარწყავი სისტემა ნორმალურად აემოქმედებინათ. დროთა განმავლობაში ხელმძღვანელთა ცვლილებას აქაც ჰქონდა ადგილი. შემდეგ სამმართველოს უფროსები იყვნენ, ბატონები: იოსებ კავთუაშვილი, ტარიელ ქურდოვანიძე, დავით ზუკაკიშვილი, თამაზ ათაბეგაშვილი, 2004 წელს კოლექტივს ისევ დაუბრუნდა ბატონი დავით ზუკაკიშვილი - ხელმძღვანელად.

გარე კახეთის ბარაქიან მიწაზე უხვი და გარანტირებული მოსავლის მიღება მხოლოდ ივრის ყოვლისშემძლე წყალით არის შესაძლებელი, ამიტომ, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის შეუფერხებელ მუშაობაზე, წყალით უზრუნველყოფაზე, ბევრად არის დამოკიდებული მოსავლის ბედი.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა კი საჭიროებს მთელი რიგი ტექნიკური საკითხების მოწესრიგებას, მეტ ყურადღებას და ქმედით დახმარებას.

აი, რა უნდა გაითვალისწინონ საგარეჯოელმა მელიორატორებმა.

ალაზნის ველის გასაჭირი

საქართველოში უდიდესი, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა 1965 წელს დაიწყო, პროექტის მთავარი ინჟინერი თავიდანვე გიორგი მიქელაძე იყო, შემდეგ კი გურამ ჩხაიძე.

78 კილომეტრის სიგრძის მაგისტრალური არხის წყალგამტარიანობაა 24 კბმ/წმ. ის სათავიდან ბოლომდე ტრაპეციული კვეთისაა და მოპირკეთებულია რკინა-ბეტონის ფილებით. წყალმა არხის სათავიდან უნდა გაიაროს: 7 გვირაბი (საერთო სიგრძით 12,5 კმ.), 18 დიუკერი (18,1 კმ), 19 გალერეა (10,8 კმ), 55 რკინა-ბეტონის ხიდი, 73 რაბი - რეგულიატორი. მნიშვნელოვანია, რომ მაგისტრალური არხი კვეთს 110 ხევს. ყველა ხევი დარეგულირებული და მოპირკეთებულია რკინა-ბეტონის ფილებით. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ხევების დარეგულირებას უარყოფითი შედეგები მოაქვს. მათი დათვალიერების დროს დავრწმუნდი, რომ ძლიერ დამრეცქანებიანი ხევების გასწორხაზება და შემდეგ რკინა-ბეტონის ფილებით მოპირკეთება, უმეტეს შემთხვევაში მიუღებელია - ნიაღვრების დროს ადვილად ირღვევა მოპირკეთება და ის უფრო მეტად ზიანის მომტანია, ვიდრე სიკეთისა.

ხევების კალაპოტის არამდგრადობა უფრო მეტად ართულებს უნიკალური სარწყავი სისტემის ტექნიკურ ექსპლუატაციას, მით უმეტეს, როდესაც სისტემის მშენებლობის თუ პროექტირების დროს ზოგიერთი ტექნიკური ერთობლიობა სრულყოფილად არ არის გაწყვეტილი. რასაკვირველია, დიდი სარწყავი სისტემის მშენებლობა უნაკლო არ იქნება და ამიტომ, არსებული დეფექტების გამოსწორება ექსპლუატაციის პერიოდში წარმოებს ხოლმე - ასე იყო ზემო ალაზნის სარწყავ სისტემაზეც.

პირველად მთელ სარწყავ სისტემას ორი საექსპლოატაციო სამმართველო უვლიდა: თელავის და გურჯაანის, შემდეგ

მესამე სამმართველოც დაემატა - ახმეტისა. მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება ხდებოდა თანდათანობით 1973-1988 წლებში, მთლიანი სარწყავი ფართობი შეადგენდა 29 ათას ჰექტარს.

პირველ ხანებში მშენებლობადამთავრებული ცალკეული ობიექტების მიღებას აწარმოებდა თელავის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომლის უფროსები იყვნენ: ნოდარ აივაზაშვილი, გიორგი იმერლიშვილი, ბიძინა ჯაფარიძე. 1979 წელს სამმართველოს უფროსად დაინიშნა მიხეილ არინდაული, ალვანის მკვიდრი, რომელიც მანამდე სამხრეთ ოსეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად მუშაობდა. გამოცდილი ინჟინერი და ხელმძღვანელი სამმართვლეოში მოსელისთანავე მთავარ ინჟინერ კოტე მეგრელაძესთან ერთად შეუდგა ახმეტა-თელავის რაიონის ტერიტორიაზე მაგისტრალურ არხზე არსებული გვირაბების, დიუკერებისა და სხვა ნაგებობების, აგრეთვე, შიდა სამეურნეო ქსელის წესრიგში მოყვანას.

გურჯაანის რაიონის ტერიტორიაზე კი არხის ბოლო ნაწილის ექსპლუატაციას ახორციელებდა გურჯაანის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო. ასე რომ, ერთ მთლიან სარწყავ სისტემას ხან ორი პატრონი ჰყავდა, ხან სამი, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებდა სისტემის ნორმალურ ექსპლუატაციაზე, რადგან ქართული ანდაზისა არ იყოს, ორ ძიძას შუა ბავშვი „დაიხრჩო“...

რამდენჯერმე გამიზიარებია ხელმძღვანელებთან წინადადება იმის თაობაზე, რომ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოები შექმნილიყო სისტემების მიხედვით, რათა საინჟინრო სარწყავ სისტემას ერთი პატრონი ჰყოლოდა - სათავიდან ბოლომდე. ჩემს წინადადებას მაშინ შედეგი არ მოჰყოლია, „ძლიერი“ ოპონენტები გამომიჩნდებოდნენ ხოლმე, მაგრამ, ჩემს მცდელობას უქმად არ ჩაუვლია. ამ მხრივ მხარდაჭერა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენ-

ტის შექმნისთანავე მივიღე ამ დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონ თენგიზ ჩიკვაიძისაგან. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ამ საქმეს და მოიწონა წინადადება საექსპლუატაციო სამმართველოები შექმნილიყო საინჟინრო სისტემების მიხედვით.

და აი, ამ ბოლო წლებში პირველად ზემო ალაზნის სარწყავ სისტემას ერთი პატრონი გაუჩნდა: ახმეტის, თელავისა და გურჯაანის სამმართველოების ნაცვლად 1996 წელს შეიქმნა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველო (ამაზე იტყვიან: სამართალმა პური ჭამაო).

ახალი სამმართველოს უფროსად დაინიშნა სარწყავი სისტემების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში საკმაო გამოცდილების მქონე ინჟინერი გივი ხუციშვილი. 1998 წლიდან სამმართველოს უფროსი იყო ბატონი მიხეილ (დემნა) რჩეულიშვილი.

დეპარტამენტის მიერ რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით 2000 წელს გაერთიანდა ზემო ალაზნისა და ნაურდლის სარწყავი სისტემები და გაერთიანებულ სამმართველოს ისევ მიხეილ არინდაული ჩაუდგა სათავეში. როდესაც ზემო ალაზნის ასეთ გრანდიოზულ სარწყავ ნაგებობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს სისტემა დღეისათვის დაუმთავრებელ სისტემად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რადგან ზაფხულის პერიოდში მისი წყალუზრუნველყოფა კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მოსულ ნალექებზეა დამოკიდებული. პროექტით კი გათვალისწინებული იყო ბირკიანის და ილტოს წყალსაცავების აშენება, რაც წყლით სარწყავ სისტემას უზრუნველყოფდა, ხოლო ელექტროენერგიით მთელ კახეთს მოამარაგებდა. მაგრამ, ოთხმოციანი წლების „მწვანეთა მოძრაობის" ლიდერებმა სასტიკად გაილაშქრეს საერთოდ საქართველოში წყალსაცავების მშენებლობის წინააღმდეგ და მთავრობა აიძულეს გადაწყვეტილება მიეღო ყველა წყალსაცავის (ხუდონის, ილტოს, ბირკიანის) მშენებლობა შეჩერებულიყო.

ახლა კი, როდესაც მაშინდელი დამანგრეველი შეცდომა აღიარებულია, ასეთი გრანდიოზული მშენებლობების დასაფინანსებლად საჭირო ფულადი სახსრები ქვეყანას ჯერ არ გააჩნია.

რა მოვიმკეთ?!

- სავეგეტაციო რწყვის პერიოდში სისტემა წყლის სიმცირეს განიცდის, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო კი კახეთი სიბნელეშია.

ვინ იცის, როდის გამოჩნდებიან ისეთი კეთილმოსურნე, გულმოწყალე პატრიოტები - ეკონომიურად ძლიერნი, რომ საქართველოში საირიგაციო-ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების მშენებლობა განახლდეს.

ღმერთო! მალე, მალე მოხდეს ეს...

დიდი ილიას ოცნება ახდა

ალაზნის ველზე სარწყავი მიწათმოქმედება უხსოვარი დროიდან რომ იყო განვითარებული, ამას მკვლევარებიც აღნიშნავენ. მათი თქმით, მე-19 საუკუნის მიწურულს, უძველესი არხის ნაკვალევი კარგად ჩანდა და მისი სათავე მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, სოფელ ალვანის პირდაპირ მდებარეობდა, ალავერდის მონასტრიდან 1200 მეტრის დაშორებით. არხის მთლიანი სიგრძე 119 კმ. ყოფილა. დროთა განმავლობაში, ათასი ჯურის მომხვდურთა თარეშის შედეგად განადგურდა არხებიც.

„...გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა სიკეთეც და გულამომწვარ დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები, აოხრდა, და იქ, სადაც ქვეყანა წალკოტივით ჰყვაოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივსღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდ-

ენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ და ეს დიდი ნაამაგევი ჩვენი მა-მა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს - რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს" - ასე, გულისტკივილით წერდა საქართველოს ჭირისუფალი ილია ჭავჭავაძე 1889 წელს.

დიდი ხანი ელოდა მაცოცხლებელ წყალს კახელი გლეხი, მაგრამ ამაოდ...

1864 წელს პროექტიც შეუდგენიათ უცხოელ ინჟინრებს, მაგრამ მშენებლობის დაწყება ფიქრადაც არავის მოსვლია.

გასაბჭოების შემდეგ ალაზნის სარწყავი სისტემის პროექტის შედგენა დაევალა ცნობილ ინჟინერ-ჰიდრავლიკოსს პეტრე მამრაძეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პროექტის შედგენა დამთავრებული არ იყო, ხალხის მოთხოვნით, მაგისტრალური არხის გაჭრა დაუწყიათ. ხალხი ენთუზიაზმით, უსასყიდლოდ ასრულებდა მიწის სამუშაოებს, 1500 კაცი გამოდიოდაო ყოველ-დღე სამუშაოდ. 91 კილომეტრის სიგრძის არხზე ასზე მეტი ჰიდროტექნიკური ნაგებობის აგება იყო გათვალისწინებული. არხის საპროექტო გამტარუნარიანობა ბაკურციხემდე - ჰიდროელექტროსადგურამდე შეადგენდა 18 კუბ. მეტრს/წამში, ხოლო ჰესის შემდეგ - 8 კბმ-ს/წამში.

ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობის პირველი რიგის სა-მუშაოები - ბაკურციხის წყალვარდნილამდე, 1930 წლის აპრილის ბოლოსთვის დამთავრდა და 1 მაისს დიდი ზეიმით მოხდა არხის გახსნა. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს გაზეთი „კომუნისტი": „წინანდლის გზა სავსეა ხალხით. კახელები მიდიან დასასწრე-ბად უდიდეს ზეიმზე. დღეს, 1 მაისს, უნდა გაიხსნას კახეთის სიამაყე - ალაზნის არხი. ისმის ჟრიამული, სიმღერა, ზურნის ხმა. სოფლები, რომლებზედაც გვიხდება გავლა, თითქმის დაცარიელებულია. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ღრმად მოხუცებულნიც კი მიდიან ალაზანზე, რომ თავიანთი თვალით იხილონ, თუ ალაზანი როგორ გადაეშვება ახალ კალაპოტში... არხის მთელი მიდამო სათავის ირგვლივ დაფარულია ხალხით.

აქ არიან სიღნაღელები, თელაველები, მრავალი დელეგაცია სხვადასხვა სოფლებიდან... მიტინგის დამთავრების შემდეგ ხალხი გაეშურა არხის სათავისაკენ, ზღვა ხალხი გულისფანცქალით მისჩერებოდა ცილინდრს და ფარებს. ამუშავდა მანქანა, დაიჭიმა ჯაჭვები, ცილინდრი ამოძრავდა და ნელა დაეშვა ძირს. რამდენიმე წუთიც და... ალაზანმა დასტოვა საუკუნეობით გაკაფული გზა და წავიდა იქით, საითაც მიუთითა მას ადამიანმა. ზეიმი ალაზნის არხის სათავეზე დიდხანს გაგრძელდა. მზის ჩასვლამდე ისმოდა სიმღერა და ცეკვა-თამაში".

ასრულდა კახელი გლეხის დიდი ხნის ოცნება, ბარაქიან ალაზნის ველს მაცოცხლებელი წყალი მიუვიდა და აამწვანა არე-მარე. არხის მშენებლობა მთლიანად 1933 წელს დასრულდა.

სარწყავი სისტემის სრულყოფის მიზნით, ბოლოხანს დაიწყო მისი რეკონსტრუქცია: გამანაწილებელი არხების მოპირკეთება და განსაკუთრებით, სათავე-ნაგებობის გადაკეთება. ეს სამუშაოები რამდენიმე წლის წინათ შეწყვეტილი იყო უსახსრობის გამო.

ალაზნის ველზე საკმაოდ ბევრია ბიცობიანი მიწები, რომელთა გამოყენება სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია მხოლოდ სათანადო მელიორაციული ღონისძიებების გატარების შემდეგ. მეცნიერული გამოკვლევებისა და სათანადო რეკომენდაციების შედგენის მიზნით, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ს. ყარაღაჯში გახსნილი აქვს საცდელი სადგური, სადაც ტარდება კვლევითი სამუშაოები ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესამუშავებლად.

1953 წელს, გაზაფხულზე, წნორში ჩატარდა ამ ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მეც მივიღე, როგორც თბილისის ოლქის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენელმა. სესიის მუშაობას უძღვებოდა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მიხეილ გაგოშიძე. სესიას მასპინძლობდა ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველო, რომლის უფროსი იყო არჩილ ახვლედიანი.

ასე გავეცანი პირველად ალაზნის სარწყავ სისტემას, რომელმაც შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: მაგისტრალურ არხზე გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების ტერიტორიაზე ააგეს რვა სატუმბი სადგური და დამატებით გასარწყავდა 5000 ჰექტარი ფართობი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა ბიცობიანი მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში გამოსაყენებლად. ამ მიზნით, წნორის მახლობლად ათი ათას ჰექტრამდე ფართობზე მოეწყო ხელოვნური დაწვიმების ქსელი და „ფრეგატის" (ამერიკული ფირმის), „ვოლჟანკისა" და „ყუბანის" მობილური საწვიმარი მანქანებით ტარდებოდა რეგულიარეული რწყვა მრავალწლიანი ბალახებისა. სწორედ დაწვიმებითი მორწყვით საკმარისი საკვები ბაზა შეიქმნა წნორის მეცხოველეობის კომპლექსისათვის, სადაც 30 ათასზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავდათ.

დაწვიმებითი მორწყვა ნედლი საკვები მასალის უხვ მოსავალს იძლეოდა, მაგრამ რამდენად რენტაბელური იყო და ეკონომიკურად გამართლებული მელიორაციული ღონისძიებანი, ვერ დადგინდა, რადგან მიწების რეფორმების შემდეგ ყველაფერი აირდაირია. დასაწვიმებელი მანქანები მწყობრიდან გამოვიდა, მეცხოველეობის კომპლექსი გაუქმდა... ასე რომ, ათი ათასამდე ჰექტარი მელიორირებული მიწების გამოყენების ბედ-იღბალი მომავალში დამოკიდებული იქნება მიწების მეპატრონეებზე, მათ შეძლებულობაზე.

ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს ჩამოყალიბების დღიდან, ხელმძღვანელებად დაებედნენ ისეთი გამოცდილი, უნარიანი და ამაგდარი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ ჩაჩავა, ემელიანე ნოდია, პ. კირვალიძე, კოტე თუშიშვილი, ნიკო ულუხანოვი (1941-1946 წლებში). იოსებ ჯიბღაშვილი (1946-1952 წწ.), არჩილ ახვლედიანი (1952-1954 წწ.). გრიშა სულაძე (1954-1964 წწ), ნიკო კრაწაშვილი (1964-1973 წწ), ვალერიან გოგინაშვილი (1973-1984 წწ.), ავთანდილ ფიროსმანიშვილი.

ჰიდრომეტრია რომ სარწყავი სისტემების მუშაობის სუფთა სარკეა, ცნობილია და იგი დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამ სამსახურს ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოში ხუთი ათეული წელიწადი ერთგულად ხელმძღვანელობდა გამოცდილი პრაქტიკოსი, ამ სპეციალობის დიდი მოყვარული, არჩილ ღვინიაშვილი. ის სამმართველოში დიდხანს უძღვებოდა წყალსარგებლობის განყოფილებასაც.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, ალაზნის სარწყავ სისტემას სახელწოდება შეეცვალა და მას დაერქვა - ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემა.

1979 წელს გურჯაანში ჩამოყალიბდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომლის მომსახურებაში შედიოდა ზემო ალაზნის, ქვემო ალაზნისა და ქვემო სამგორის სარწყავი ფართობები. მისი ჩამოყალიბების ორგანიზატორი და უფროსი იყო ინჟინერი ვლადიმერ ხურცილავა. 1985 წელს სამმართველოს უფროსად დაინიშნა ინჟინერ-მშენებელი ავთანდილ გველუკაშვილი, რომელიც მოულოდნელად სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. 1991 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს მთავარი ინჟინერი გიორგი (გია) ბაწაშვილი.

ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემას დღესდღეობით ორი პატრონი ჰყავს, რაც მიუღებელია. სიღნაღის საწარმო, რომელსაც ხელმძღვანელობს ბეგლარ ბოლღაშვილი, განაგებს სარწყავ სისტემას გურჯაანის საზღვრიდან ბოლომდე, მაგრამ, როგორ კარგადაც უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას სიღნაღელი მუშაკები, საინჟინრო სარწყავ სისტემას, მით უმეტეს, როგორიც ქვემო ალაზნის სისტემაა - ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს.

ზემოთ ვახსენე, რომ ბიცობიანი მიწების ჩარეცხვის შემდეგ დაწვიმებითი რწყვა დაინერგა და აი, 1976 წელს ფრეგატების და სხვა დასაწვიმებელი აგრეგატების ტექნიკური მომსახურებისათვის შეიქმნა ცალკე სპეციალური სამმართველო - ე.წ. რაიონული საწარმოო გაერთიანება „რწყვა". მისი პირველი

უფროსი იყო ირაკლი მათიაშვილი, შემდეგ კი - თემურ კიკილაშვილი და გივი ლათიბაშვილი.

„ფრეგატების“ დამონტაჟებისა და მისი აწყობა-გაშვების სამუშაოებმა, რომ იტყვიან, ირაკლი მათიაშვილის ზურგზე გადაიარა. მოგეხსენებათ, ყოველი ახალი საქმის დანერგვა დიდ სირთულესთან და წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. მაგრამ სამმართველოს უფროსი დიდი მონდომებით, ენერგიულად უძღვებოდა დაკისრებულ საქმეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ნამყოფ ირაკლის მიწისა და ხალხის სიყვარული ასულდგმულებდა, ამიტომაც უყვარდათ იგი, განსაკუთრებით თანასოფლელებს.

ერთხელ, სიღნაღში ხმა დაირხა „შახი“ დაიღუპაო, ირაკლის ზედმეტ სახელად „შახს“ ეძახდნენ და შეწუხდა სოფელი, ნაცნობ-მეგობრები... თბილისამდეც მოაღწია ამ ამბავმა... მერე გაირკვა, ირაკლი კი არა, ირანის შაჰი გარდაცვლილა თურმე!

მის შემდეგ, პენსიაზე გასულმა ირაკლიმ დიდხანს იცოცხლა და უვლიდა საკუთარ მამულს, საყვარელ ოჯახს.

1991 წელს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება „რწყვა“ გარდაიქმნა წნორის მექანიკური მორწყვის საწარმოდ, გამართული მობილური დასაწვიმებელი აგრეგატები სახელმწიფო ბალანსიდან გადაეცა სახელმწიფო მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. ახალ მეპატრონეებს მოუსწრო რეფორმებმა, დასაწვიმებელი აგრეგატები, სატუმბი სადგურები, სარწყავი ქსელი ზოგი ამორტიზირებული, ზოგიც უპატრონობით მწყობრიდან გამოვიდა.

წნორის მექანიკური მორწყვის საწარმო სიღნაღის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეუერთეს და ამით დამთავრდა „ფრეგატებისა“ და „ყუბანების“ მოკლევადიანი არსებობა: ამორტიზირების გამო ყველა „ჩამოწერილია ბალანსიდან“, მაგრამ რა ეშველება მიწას, რომელიც ღვთით ბოძებულ სიცოცხლის ელექსირს - წყალს ელოდება?!

ღურუჯის გაავება

მდინარე ალაზნის მარცხენა მხარე, კლიმატური პირობებით დიდად განსხვავდება მარჯვენა მხარისგან. მარჯვენა ნაპირის სოფლები თუ გვალვებითა და ნალექების სიმცირით ხასიათდება, მარცხენაზე პირიქით ხდება - ნალექების რაოდენობა საშუალო წლიური 800-1000 მმ-ის ფარგლებშია. ნალექების მაქსიმუმი მაისის თვეზე მოდის, მინიმუმი კი - იანვარზე. ამიტომ, ზაფხულის თვეებში სასოფლო-სამეურნეო კულტურები (განსაკუთრებით საშემოდგომო ნათესები) ხშირად საკვებეტაციო რწყვას არ მოითხოვენ, მაგრამ სათოხი კულტურები კი აუცილებლად საჭიროებენ მორწყვას. ალბათ, ამით იყო განპირობებული, რომ უძველეს დროში გრემში გაუყვანიათ სარწყავი არხი, რომლითაც 40 ათასამდე ჰექტარი ფართობი ირწყვებოდაო. ამ არხს ხალხი თამარ მეფის არხს უწოდებს და იგი, გაყვანილი უნდა იყოს X-XI საუკუნეებში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებული იყო სარწყავი მიწათმოქმედება და სარწყავი არხების მშენებლობა ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. იმ პერიოდს ეკუთვნის ალაზნის, სამგორის, რუის-ურბნისის, მუხრანისა და სხვა სარწყავი სისტემები.

გრემის სარწყავი არხი სამეფო-სატახტო გრემთან ერთად მოოხრდა და განადგურდა შაჰ-აბასის (1587-1528) შემოსევების დროს.

ყვარელი, შილდა და სხვა სოფლები შეერთებული ძალებით უმკლავდებოდნენ ლეკების ბანდების თარეშს. რაც შეეხება სარწყავი არხების გაყვანას - ის უფრო ადგილობრივი წყაროების გამოყენებით შემოიფარგლებოდა. 1920 წლისათვის გაყვანილი იყო შემდეგი არხები: ჩალის, ფიქალების (მდ. ინწობიდან), შილდის და ჩელტის (მდ. ჩელტიდან), ყვარლის შუა არხი (მდ. ღურუჯიდან).

საინჟინრო ტიპის არხების მშენებლობა პირველად 1962 წელს განხორციელდა მდ. ფატმასურიდან.

ფატმასურის ხსენებაზე მოგიყვებით ერთ ლეგენდად ქცეულ, ნამდვილ ამბავს: ლეკიანობის დროს, სოფლის ყმაწვილ-ქალებმა თავი მოიყარეს და წყაროსკენ გაემართნენ მხრებზე შედგმული კოკებით... ის-ის იყო მიუახლოვდნენ წყაროს და მოეწყვნენ კოკების შესავსებად, მაგრამ ტყიდან უეცრად გამოვარდნენ ცხენოსანი შეიარაღებული ლეკები და წყაროზე შეკრებილ დედაკაცების დანახვაზე შესძახეს „ფატმა სუო" („ფატმა" - თათრულად ქალია; „სუ" - წყალი), თავს დაესხნენ ქალებს, შეუკრეს ხელ-ფეხი და ცხენებზე ამხედრებულებმა ყველანი გაიტაცეს. ამ სურათის მნახველმა მეცხვარეებმა მაშინვე აცნობეს სოფელს. სოფლის ვაჟკაცებმა იარაღი აისხეს და გამტაცებლებს დაედევნენ, მაგრამ ამაოდ... მომხდურების კვალს ვერ მიაკვლიეს... ამ ამბის შემდეგ წყაროს ფატმასერი დაერქვაო - ამბობს ლეგენდა.

და აი, ფატმასერის არხით, რომლის სიგრძე 15 კმ-ს აღემატება, ირწყვება 220 ჰექტარი ფართობი.

ყვარლის წყალთა რაიონი შეიქმნა 1946 წელს, შემდეგ მას დაერქვა ყვარლის სასისტემო სამმართველო. ყვარელს პირველად 1952 წელს ვესტუმრე, მივლინებით. სამმართველოს უფროსი იყო ძველი თაობის გამოცდილი ინჟინერი, სპეტაკი, დარბაისელი და ტკბილმოუბარი ბატონი იოსებ იმერლიშვილი. სასტუმროში არ გაგვიშვა და ჩემს თანამგზავრთან ერთად საკუთარ სახლში წაგვიყვანა. კუდიგორაზე... საუცხოოდ მოვლილ კარმიდამოსა და ვენახს ტყეც გადმოჰყურებს... მომაგონდა ბავშვობაში ნასწავლი საყვარელი ლექსი „კაკო ყაჩაღი", ილია ჭავჭავაძისა:

„ - ვერ მიმასწავლი კუდი-გორის გზას?
ჰკითხა თამამად მან მეურმესა.
- რატომ ვერ, ძმაო! აგერ იმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
ერთი საურმე გზა დაგიხვდება;
იმ გზას დაადევ, წადი - და როცა

ცხვირწამოწვდილი მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება კუდი-გორაცა“.

და აი, ერთი საუკუნის შემდეგ, მე, კოლხელ კეთილმოსურნე ახალგაზრდას ილია ჭავჭავაძისეულ ნატყევარში თვალწინ მიდგას ყვარლის მთები. თავი და თავი ის იყო, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით ღვთისგან კურთხეული მიწის იმ პატარა მონაკვეთზე, სადაც უმაღლესი ჯიშის ვაზი ქინძმარაული გვარობს და ბატონი იოსების მარანში ვაზის ნაჟურით ქვევრის თავზე მამა-პაპათ მოსაგონარი შევსვით.

ჩემთვის ეს იყო ნამდვილი ქინძმარაულის პირველად დაჭაშნიკება, მუდამ კეთილად მოსაგონარი...

კუდიგორას აღმოსავლეთით ჩამოუდის დურუჯი, თითქოს წყნარი, თვინიერი, მაგრამ წვიმების შემდეგ თუ თავი მოიგიჟიანა, ღმერთმა დაიფაროს - საშინელი ღვარცოფიანობა იცის, რომლის დროსაც ჩამოაქვს განუზომელი რაოდენობის სელური მასა. იგი მდინარის კალაპოტში ილექება და წალეკვით ემუქრება როგორც რაიონულ ცენტრს, ისე ხოდაბუნებსა და გლეხკაცის ხელით გაზრდილ-ნალოლიავები ვაზის ზვრებს, ძვირფასი ჯიშის ვენახებს, ბაღებს... როგორც მითხრეს, 1949 წელს დიდი ღვარცოფი წამოსულა მთიდან და ზიანიც მნიშვნელოვანი მიუყენებია მოსახლეობისათვის... წარმოიდგინეთ, ღვარცოფს 30 კუბ. მეტრამდე მოცულობის (წონით 60 ტონაზე მეტი) ქვის ლოდი (თუ შეიძლება ლოდი ვუწოდოთ) ჩამოუტანია სოფლამდე - ნიშნად გაფრთხილებისა - ჰომეცით თავისუფალი გზა, თორემ განანებთო... სერიოზული გაფრთხილებაა, ყურადსაღები...

სამმართველოს ხელმძღვანელების - ჯემალ ავაზაშვილისა და ვალერიან ტოგონიძის ინიციატივით, დურუჯის წყალი ჯერ პატარა წყალსაცავში მოამწყვდიეს, შემდეგ, პროექტის მიხედვით, 5 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის კუდიგორის წყალსაცავი სარწყავ არხებში მიუშვეს... ფილტრაციის წყლები კი სასმელად არის გამოყენებული... უფროსისა და მთავარი ინჟინრის

შეთანაწყობილი საქმიანობით ბევრი წყალსამეურნეო ობიექტი შეემატა ყვარელს: ჩალის, კუდიგორის, ოქტომბრის და კუსწყაროს წყალსაცავები - შესაბამისი სარწყავი არხებით.

ჯემალს, როდესაც ის დურუჯის დათვალიერების საკითხებით იყო დატვირთული, სამწუხაროდ, გულმა უმტყუნა... მის შემდეგ სამმართველოს უფროსი იყო თამაზ ნაზრიშვილი.

ცხოვრება წინ მიდის... ყვარლის მთები კი კვლავ ამაყად დგანან ილიასეულ მამულში, კარგი მომავლის იმედად.

ხორნაბუჯის გადასახედიდან

წარსულითა და მომავლით

სახელმოხვეჭილი

წინათ სოფელი წითელწყარო და მისი შემოგარენი, ვრცელი მინდორ-ველი, სიღნაღის რაიონში შედიოდა. უმაღლესი საბჭოს 1938 წლის 7 ივლისის ბრძანებულებით, ეს რაიონი ორად გაიყო და შეიქმნა სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები. 1992 წლიდან კი წითელწყაროს დაერქვა დედოფლისწყარო.

დედოფლისწყაროს რაიონი მუდამ განთქმული იყო კურთხეული შირაქის ველით, რომელსაც საქართველოს „ბეღელს“ ეძახიან. აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ამბობდა: „აქ ისეთი უხვი მოსავალი იცის, როგორც არსად საქართველოს დანარჩენ კუთხეში, თუკი სათანადო ხელის შეწყობა ექნა მინდვრებს და ამავე დროს ბუნებრივი მორწყვაც (წვიმა) არ დააკლდა“. მოსავლის ბედი მარტო ბუნებრივ სინოტივეზე რომ არ იყოს დამოკიდებული, ამიტომ, დამპროექტებლებმა ზემო ალაზნის სარწყავი სის-

ტემის მეორე რიგის სქემაში გაითვალისწინეს დედოფლისწყაროს ნაყოფიერი მიწების მორწყვაც, რისთვისაც საჭირო იყო პირიქითა ალაზნის გადმოგდება მდ. ალაზნის აუზში და რამდენიმე დიდი მოცულობის წყალსაცავის მოწყობა, რაც ზაფხულის პერიოდში უზრუნველყოფდა ელდარისა და შირაქის ველების მორწყვას. პროექტით გათვალისწინებულია, აგრეთვე, რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის აგება, რაც კახეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიით მომარაგების საკითხს დადებითად გადაწყვეტდა. ქვეყნის ეკონომიკურად მომძლავრების შემდეგ აღნიშნული მიწების მორწყვის საკითხი, ალბათ, ისევ დადგება დღის წესრიგში. მით უმეტეს, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ეს მხარე უხსოვარ დროშიც ირწყვებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ არქეოლოგების მიერ ახლახან აღმოჩენილი სარწყავი არხების ნაკვალევი უფრო ძველი, 2000 წელზე უფრო წინანდელი უნდა იყოს.

1996-1998 წლებში შირაქში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს ეს ფაქტი და ძველი ცივილიზაციის არსებობაც. არქეოლოგების აღმოჩენებისა და მათი დასკვნების რეალობას მომავალი გამოკვლევები უფრო მოჰფენენ ნათელს. საქართველოს ისტორია ნათლად აღგვიწერს ურჯულო ურდოთა შემოსევებს, როცა ნადგურდებოდა ყველაფერი, რაც ქართველი კაცის გონებითა და ოსტატობით იყო შექმნილი.

ისტორიაში ისიც კი არის მოხსენებული, რომ შირაქის ველზე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში რომაელთა ჯარი ყოფილა დაბანაკებული მხედართმთავარ პომპეუსთან ერთად. რაც შეეხება უფრო ახლო წარსულს, ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნიდან წითელწყარო („Красный колодец“) რუსული კავალერიის დივიზიის პოლკთა შტაბბინას და ნიჟეგოროდისა და ტვერ დრაგუნთა პოლკის სადგომს წარმოადგენდა. საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთის მთავრობა ამ მხარეს პოლიტპატიმართა გადასახლებისათვისაც იყენებდა. აქ სას-

ჯელს იხდიდნენ და დიდი ხანი ცხოვრობდნენ დეკაბრისტები: ბესტუჟევი და ოდოევსკი, ცნობილი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი, ასევე, დიდი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ძმა და სხვა მრავალი გამოჩენილი ინტელიგენტი. ასე რომ, დედოფლისწყაროში მცხოვრები მკვიდრი რუსების წინაპრები ერთი საუკუნის და მეტი ხნის წინ არიან აქ დასახლებულები.

ცნობილია ისიც, რომ, იმდროინდელი განათლებული, მოწინავე ახალგაზრდობა ვერ შეეგუა რუსული ჩექმის რეჟიმს და ჯერ კიდევ 1832 წელს დაიწყო ფარული შეთქმულება, რომლის მონაწილეებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული რუსეთის მეფის ჯარების საქართველოდან განდევნა და საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს აღდგენა. შეთქმულების მონაწილე, იმ დროის პროგრესულად მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი შეთქმულთა შორის აქტიურ აგიტაციას ეწეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი (145 კაცი) დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს. აი, როგორი საპირისპირო პირობები ჰქონდათ პოლიტპატიმრებს: რუსებს, ცივი ჩრდილოეთიდან თბილ სამხრეთში ასახლებდნენ, ქართველებს კი თბილი საქართველოდან შორეულსა და ცივ ციმბირში; განა, ამას ბედის ირონია არ ერქვა?!

თუმცა, ქართული ძლიერი სული ვერც ციმბირულმა ყინვებმა გატეხეს. თავდადებულმა მამულიშვილმა სოლომონ დოდაშვილმა შორეულ ციმბირშიც კი შეძლო თავისი უკვდავი ნაწარმოებების შექმნა და შთამომავლობისათვის დატოვება. შემაშფოთებელია, რომ დღევანდელი გადასახედიდან ისევ ჩრდილოეთელი მეზობლის იმპერიული, ფარული თუ აშკარა, მზაკვრული ზრახვებით ითელება საქართველოს თავისუფლება და ტერიტორიალური მთლიანობა. ისე, როგორც მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, დღეს ისევ რუსის ჯარის გაყვანის საკითხი დგას, უფრო მწვავედ...

ამ დღეს მოუთმენლად ელოდება მთელი საქართველო.

დედოფლისწყაროს რაიონში ბლომად მოიპოვება სხვადასხვა ეპოქის მატერიალურ-კულტურული ძეგლები, რომლებიც წარსულის საგანძურია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიღნაღისა და დედოფლისწყაროს ადგილ-მამულის მიჯნაზე აგებული ხორნაბუჯის ციხესიმაგრის ნანგრევებმა. აი, რას წერს მის შესახებ დიდი მემატიანე ვახუშტი „...ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასტყდების ჰერეთის მთა ანუ ციკის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოხრდა". (ბერქა ყაენი, ოქროს ურდოს ყაენი, მეფობდა 1256-1266 წწ.).*

დიდი მეცნიერი ნიკო კეცხოველი კი ამბობს: „...ეს ძლიერი ციხე მთავარი კლიტე იყო ქიზიყისა და ალაზნის ველს შორის. იგი გრძლად გადაჭიმული ქედის ციცაბოდ დაქანებულ ფერდობის თხემზეა აშენებული (ხირსიდან დედოფლისწყარომდე). ციხის მყარი კედლებით შემოფარგლულ გალავანზე გადაშლილი იყო ქალაქი. ამ ციხე-ქალაქს, თავისი სიდიდით, სილამაზითა და მომხიბლაობით მთელ ამ გარემოში, და თუ გნებავთ, მთელ კახეთში ტოლი არა ჰყავდა.

იმდროინდელ მშენებლებს საუცხოოდ გამოუყენებიათ ჭოეთის მიუვალი ადგილი და აქ მაგარი და იმედიანი ციხე-ქალაქი გაუშენებიათ, რომელიც განიერი და მკვიდრი, ქვითკირის კედლებიანი გალავნით შემოუფარგლავთ.

ამ ისტორიული ციხე-ქალაქის ადგილის დათვალიერების ბედნიერი შემთხვევა მეც მხვდა წილად, 1983 წელს იქ მივლინებით ყოფნისას სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა აისბერგ ბეგაიშვილმა შემომთავაზა ხორნაბუჯის მონახულება. მეც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღე ასეთი წინადადება.

მართლაც რა თვალწარმტაცია ხორნაბუჯიდან ალაზნის ველი, განსაკუთრებით მზის ჩასვლის ჟამს. დაუვიწყარია იქ

---

* ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 97.

ნანახი გარემოს სილამაზე და გულითადი მასპინძლობაც, რომელსაც მამაპაპური სადღეგრძელოებიც ამშვენებდა.

ზემოთ ვახსენე - შირაქი მარცვლეულის ბელელია-მეთქი, მაგრამ აქ, დედოფლისწყაროში, მევენახეობაც კარგად არის განვითარებული, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მადლიანი წყალის არტერიებით დაისერა მინდორ-ველი. ეს მოხდა 1981 წელს, როდესაც პირველად ამუშავდა სატუმბი სადგური მდ. იორზე და წყალით შეივსო ყუშისხევის წყალსაცავი, რომელიც ნაწილობრივ ხევის წყლითაც ივსება. შემდეგ აშენდა თელათწყლის, ვაკისა და მწარე წყალის წყალსაცავები, სადაც წყლის ჩასხმა მექანიკური აქაჩვით წარმოებს, რის გამოც, რასაკვირველია, ნაკლებად რენტაბელურია.

1984-1986 წლებში ექსპლუატაციაში გადაეცა უნიკალური ნაგებობებით აღჭურვილი და ძვირად ღირებული ზილიჩას სარწყავი სისტემა. რომელსაც წყალი მიეწოდება მექანიკური წესით, სამ საფეხურზე წყლის აწევით. დიდი აღიარება მოიპოვა ზილიჩას სარწყავმა სისტემამ ვრცელ ტრამალებში, იქ, სადაც მაცოცხლებელი წყალი მივიდა, გაჩნდნენ ახალი ტიპის დასახლებებიც. პირველი სოფელი იყო ფიროსმანი, სადაც ძირითადად ახალგაზრდული ოჯახები დამკვიდრდნენ აჭარის მთებიდან. მათ ბევრი მიმბაძველი ეყოლებათ მომავალში და ალბათ, დადგება დრო, როდესაც ტარიბანას, ელდარისა და შირაქის ველზე ოაზისები გაჩნდებიან მრავალკომლიანი სოფლებით, რაც ნიშანი იქნება ქართველი ერის გაძლიერებისა და გამრავლებისა. აქვე უნდა ითქვას, რომ შირაქის ველზე მთიელების ჩამოსახლებისათვის დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის ჩვენს სასიქადულო მწერალს ვაჟა-ფშაველას, რომელიც დიდი ხანი თავდადებით იბრძოდა იმისათვის, რათა მთიელები, რომლებიც წლების განმავლობაში მომთაბარეობას ეწეოდნენ, იქვე დაესახლებინა. მისი მცდელობით, დიდი ბრძოლის შემდეგ, 1905-1914 წლებში შეიქმნა სოფლები ზემო და ქვემო ქედი, არხილოსკალო, მაშინ იქ ხომ არც ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი არ იყო სარწყავი!

დედოფლისწყაროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო შეიქმნა 1981 წელს. რაიონის სარწყავი მიწების ფონდმა შეადგინა 17044 ჰექტარი, აქედან ზილიჩა I სარწყავი სისტემით ირწყვება 4198 ჰექტარი, ზილიჩას II-ით - 3259 ჰექტარი, ზილიჩა III-ით - 853 ჰა.

მთლიანი სარწყავი ფართობიდან თვითდინებით ირწყვება მხოლოდ 1815 ჰექტარი, რაც ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხიდან წარმოებს. დანარჩენ ფართობზე წყალი მექანიკური აქაჩვით მიეწოდება. აქვე აღვნიშნავ, რომ მარტო ზილიჩას პირველი აწევის სატუმბი სადგურის სიმძლავრე 17500 კილოვატია, რაც არც ისე ცოტაა (გაიხსენეთ, საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურის - ზაჰესის სიმძლავრე მხოლოდ 27 ათასი კილოვატი იყო).

როგორი იქნება ზილიჩას სარწყავი სისტემის მომავალი ბედი ახალ ეკონომიკურ სივრცეში?! - თავისთავად ცხადია, ეს დამოკიდებულია მის რენტაბელობაზე, უმეტესად მის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ღირებულებაზე, რასაკვირველია, მის ხელისშემწყობ, ძლიერ მფარველებზეც (ახლებურად, უცხოელების საამებლად „ინვესტორებს“ რომ ეძახიან).

ისიც უნდა ითქვას, რომ ზილიჩას სარწყავი სისტემის მშენებლობაც არ ყოფილა უნაკლო. განსაკუთრებით დიდხანს გაჭიანურდა მძლავრი სატუმბი სადგურისა და პლასტმასის მილსადენების წესრიგში მოყვანა და ისიც, ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. ამ მხრივ გარდატეხის პერიოდი იყო 1985-1987 წლები, როდესაც სამმართველოს უფროსად მუშაობდა ახალგაზრდა ინჟინერი ზურაბ ქაჯაია, რომლის სიბეჯითით საბოლოოდ აეწყო და ამუშავდა სატუმბი დანადგარები. აღდგა შიდა სარწყავი ქსელი ლითონის მილსადენებით, მოეწყო საქმიანი ეზო დამხმარე საწარმოებით, სატელეფონო კავშირი დამყარდა შორეულ წყალსამეურნეო ობიექტებთან, რამაც შექმნა პირობა სადისპეტჩერო სამსახურის დასამკვიდრებლად, წყალსარგებლობის დისციპლინის განსამტკიცებლად. ბატონ ზურაბს

იმხანად დამოუკიდებელი, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება მაინცდამაინც არც ისე დიდი ჰქონდა, მაგრამ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მელიორაციული ინსპექციის უფროსად მუშაობის პერიოდში რიგიანად გაეცნო სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის ასავალ-დასავალს, მის არსს, არხში წყლის მოქმედების საიდუმლოებას, ინსტიტუტში, სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილებაც სათანადო ჰქონდა და როდესაც გადაწყვიტა პრაქტიკულ საქმიანობაში გამოეცადა თავი, დატოვა ცენტრალური აპარატი და ახალშექმნილი ოჯახით „შორეულ გადასახლებაში" მოისურვა წასვლა... ის დედოფლისწყაროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა. უნიკალური საირიგაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის სამსახური დიდი სკოლაა პროფესიის დასაუფლებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ამ სამმართველოს დაარსებიდან მისი უფროსები იყვნენ: ნიკოლოზ გოგილაშვილი, აისბერგ ბეგიაშვილი, ზურაბ ქაჯაია, გურამ ხოსროშვილი, ი. ხოსროშვილი, 1998 წლიდან სამმართველოს უფროსია თამაზ ჩანქსელიანი. წყნარი, დინჯი სვანი, კახეთში დამკვიდრებული, ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვება საქმეს. ეკონომიკურად მძიმე პერიოდში მისი თაოსნობითა და დეპარტამენტის დახმარებით, ახალგაზრდა აჭარელთა სოფელ ფიროსმანს შეუფერხებლად მიეწოდება ნანატრი წყალი და თანდათან ითვისებენ ახალ სარწყავ ფართობებს.

დედოფლისწყაროში, სარწყავი მიწათმოქმედების მხრივ პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ მათ მოგვარებაზე ზრუნვა, ერთად დგომა და ნებისყოფა სასურველ შედეგს რომ მოგვცემს, ამაში ეჭვი არ მეპარება.

დიდი ილიას ნაკვალევი - ჰერეთის მიწაზე

გალმა კახეთში, ძველი ჰერეთის მიწაზე წინათ ნამყოფი არ ვიყავი. 1953 წლის გაზაფხულზე, მთავრობის დავალებით, ვეცნობი კახეთის ზონის მტს-ების საქმიანობას, მელიორაციის დარგში.

თელავიდან წამოსულმა, როგორც კი ფეხი დავდგი ლაგოდეხის მიწაზე, უმალვე ვიგრძენი, რომ სხვა განსხვავებულ მხარეში ვარ: ჰაერი უფრო ნოტიო და რბილი მეჩვენა, ვიდრე თელავში. მეუცხოვა ისიც, აქ უფრო მეტად დასავლური იერის, იმერლებისა და რაჭველების გარემოცვა რომ სუფევდა... დამაინტერესა: საიდან, როგორ? მაგრამ სტუმრის გადაჭარბებულ ცნობისმოყვარეობას ვეძალები. ჩემი პირველი მასპინძელი აფენის მტს-ის დირექტორი, ახალგაზრდა კაცი, გვარად ბახტაძე (სახელი არ დამამახსოვრდა) გამოდგა. ვიცი, ბახტაძეები ხონშიც სახლობენ და ვიფიქრე - ალბათ, იქაური იქნება-მეთქი. სადაურობა რომ ვკითხე, სხაპასხუპით მიპასუხა - აქაური გახლავართ ბატონო, ამ სოფელში ბახტაძეების მთელი უბანიაო... მერე მიმიხვდა რაც მაინტერესებდა და მომიყვა, რომ ქვემო იმერლები (ხონის რაიონიდან) და რაჭველები ლაგოდეხში ჩამოსახლებულან მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს დიდი მოჭირნახულის, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

ძირძველ ლაგოდეხელებს წარსულში დიდი გასაჭირი აქვთ გადატანილი, გარეშე მტერთა შემოსევებისგან აწიოკებულებს. სასიქადულო ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი გვიამბობს, რომ მონგოლთა მბრძანებლის თემურ-ლენგის მეოთხე შემოსევის დროს ჰერეთი ტყით ყოფილა დაფარული, რაც ქართველობას უადვილებდა მტერთან ბრძოლას, მაგრამ მტარვალს გამარჯვების მისაღწევად საშინელი გადაწყვეტილება მიუღია თურმე და

ბრძანება გაუცია - მრავალათასიან ლაშქარს ათი დღის განმავლობაში ჰერეთის ტყე მთლიანად გაეკაფა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მოუვიდოდა ტყეს, როდესაც ათეულ ათასობით ბარბაროსი შეესეოდა. ტყის განადგურების შემდეგ მომხდური მტერი სოფლებს ძარცვავდა და სწვავდა, ანადგურებდა ყველაფერს. თემურ-ლენგის მრისხანება ვერც ასეთმა გადაწყვეტილებამ დააცხრო... შემდეგი შემოსევებისას (ის ხომ შვიდჯერ შემოესია საქართველოს) უბრძანებია ქართველებისათვის მოესპოთ ღვინითა და ხილ-ბოსტნეულით პურის ჭამის შესაძლებლობა. ყველგან აეკაფათ და გაენადგურებინათ ბაღ-ვენახები და ბოსტანი. მიუხედავად ასეთი შემაძრწუნებელი ველურობისა, ვერც თემურ-ლენგმა და ვერც სხვა მომხდურებმა საქართველო ვერ მოსპეს და ქართველობა ვერ გადააშენეს. ამგვარად, ჰერეთის მიწაზე სიცოცხლე მაინც იმარჯვებს და გრძელდება.

გაღმა მხარის მცენარეული საბურველი ძალიან წააგავს კოლხეთის მცენარეულობისას. და აი, აქაური ჰავაც და ნიადაგიც უცხო არ გამოდგა დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის, ამიტომაც, იმერლები და რაჭველები იოლად შეეგუენ ახალ საცხოვრისს.

რაიონის ვაკე-მინდორი, მთლიანად მელიორირებულია. სარწყავად გამოყენებულია მდინარეები: კაბალი და შრომა, აგრეთვე, ხევებიც. არხები ძირითადად პრიმიტიულია. მართალია, კაბალის არხებს სათავეზე მარეგულირებელი რაბები აქვთ მოწყობილი, მაგრამ ისინი საინჟინრო სისტემას მიანც არ წარმოადგენენ. სარწყავი მიწების წყალით უზრუნველყოფა დამოკიდებულია ხევების წყლიანობაზე, რაც ივლის-აგვისტოს თვეებში ხშირად ძალზე მცირეა.

1930 წელს სარწყავი მიწების ფონდი რაიონში 7431 ჰექტარს შეადგენდა და იგი შედიოდა გურჯაანის წყალთა რაიონის მომსახურებაში. აქ წამყვან კულტურად ითვლებოდა მარცვლოვანი ნათესები, თამბაქოს ნარგავები. შემდეგ წლებში სარწყავი ფართობის გადიდება არ მომხდარა, პირიქით, 1987

წლის მონაცემებით, სარწყავი ფართობი 303 ჰექტარით შემცირდა.

რაიონში ჭარბტენიანი მიწები და ჭაობები იყო, სათანადო მელიორაციული ღონისძიებების გატარების შედეგად ამოაშრეს 9381 ჰექტარი ფართობი, რომელიც გამოყენებულია სოფლის მეურნეობაში. აქედან, წითელი გორის მასივზე - 3020 ჰექტარი, ხოლო 6381 ჰექტარი აფენის ზონაში მდებარეობს.

ლაგოდეხის დამოუკიდებელი სამმართველო - წყალთა რაიონი შეიქმნა 1944 წელს. მისი უფროსი დაარსებიდან 1971 წლამდე იყო გამოცდილი სპეციალისტი და ორგანიზატორი ალექსანდრე ბუაძე.

ბატონი ალექსანდრე პენსიაზე რომ გააცილეს, მისი შემცვლელები იყვნენ ირეოდიონ ლომიძე და მარატი წიქარიშვილი. 1976 წლიდან კი, თითქმის ოცი წელიწადი, სამმართველოს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ინჟინერი ჟიული გოლეთიანი. 1997 წელს ლაგოდეხის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს სათავეში ჩაუდგა აფენელი მკვიდრი, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, ინჟინერი ტარიელ მჭედლიძე.

ლაგოდეხი, მტრისგან მრავალგზის აოხრებული, არც ახლა არის წელში გამართული და მის მკვიდრთა მამულიშვილური ყურადღება სჭირდება გლეხკაცის მარჩენალ მიწას, რომელსაც თავის დროზე მზრუნველობას არ აკლებდა დიდი ილია.

საძოვრების გაწყლოვანება — საქვეყნო საქმეა

სარწყავი მიწათმოქმედება ჩვენში უხსოვარი დროიდან რომ იყო განვითარებული, ცნობილია და მეც რამდენჯერმე ვიმეორებ ამას.

ჩვენი წინაპრები კარგად იყვნენ დახელოვნებულნი სარწყავი არხების გაყვანაში და ამიერ-იმიერ ირწყვებოდა მთა-ბარი, მათ შორის სათიბ-საძოვარიც, მაგრამ საზამთრო საძოვრების სასმელი წყლით უზრუნველყოფის თაობაზე ძველი სარწმუნო ცნობები ვერ მოვიპოვე. როგორც ჩანს, საძოვრების გაწყლოვანების საქმე მხოლოდ ამ ნახევარი საუკუნის წინ გახდა მსჯელობის საგანი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1948 წელს დაიწყო 17500 ჰექტარი საზამთრო საძოვრების გაწყლოვანება (წითელწყაროს რაიონში ნატბეურისა და ტარიბანას ველზე), 1959-1960 წლებში ექსპლუატაციაში გადაეცა იაღლუჯის სისტემა, რომელიც წყალს მდ. მტკვრიდან იღებს; 1960-1964 წლებში კი ამუშავდა უდაბნოს გაწყლოვანების სისტემა 48 ათას ჰექტარზე, რომელიც წყალს იღებს ჯეირანჩოლის (საგარეჯოს რაიონი) წყალსადენიდან. აქედანვე მარაგდება წყალით ჩათმის გაწყლოვანების სისტემაც, რომელიც 31 ათას ჰექტარზე გაშლილ საძოვრებს უზრუნველყოფს სასმელი წყალით.

1965 წელს დამთავრდა შირაქი-ელდარის გაწყლოვანების სისტემის მშენებლობა, რომელიც წყალს იღებს მდ. იორიდან და ემსახურება 50 ათას ჰექტარ საძოვრების გაწყლოვანებას.

მას შემდეგ, რაც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას დაღესტნის ტერიტორიაზე გადაეცა 330 ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვრები გრძელვადიან სარგებლობაში, საქართველოს გეოლოგიურმა ტრესტმა 1948 წელს იქ დაიწყო საძიებო ბურღვა და

პირველი არტერიული ჭები გაჩნდა ნახირის გადასარეკ ტრასაზე. შემდეგ წლებში ფართოდ გაიშალა ზამთრის საძოვრების გაწყლოვანების სამუშაოები და მოეწყო 2225 ჭაბურღილი საწყურებლებით.

1962 წელს, მას შემდეგ, რაც საძოვრების გასარწყავება გაფართოვდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადწყვეტილებით, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა საძოვრების გაწყლოვანების სისტემათა ექსპლუატაციის სამმართველო. მის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, თბილისი-რუსთავის გზატკეცილის მე-15 კილომეტრზე ადმინისტრაციული და საქმიანი ეზოს აშენებაში, დიდი წვლილი აქვს შეტანილი სამმართველოს პირველ უფროსს - გამოცდილ ინჟინერსა და შესანიშნავ ორგანიზატორს შერმადინ სიხარულიძეს, რომელიც სამმართველოს ხელმძღვანელობდა 1973 წლამდე, ვიდრე მას გადაყვანდნენ სხვა სამუშაოზე. მის შემცვლელად დაინიშნა ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს ყოფილი უფროსი ნიკოლოზ კრაწაშვილი. პენსიაზე მისი გასვლის შემდეგ გაწყლოვანების სამმართველოს უფროსი 1985 წლიდან გურამ აბდალაძე იყო. 1993 წლიდან კი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს - მშენებელი ინჟინერი ირაკლი ვაშაკიძე, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების დღიდან, 1974 წლიდან, წყალთა მეურნეობის სისტემის სამშენებლო სამმართველოებში მოღვაწეობდა. მისასალმებელია, რომ ძნელბედობის ჟამს, მან შეძლო მოქმედი სატუმბი სადგურებისა და წყალსადენების ქსელის შენარჩუნება!

საძოვრების გაწყლოვანების სისტემათა ექსპლუატაციის სამმართველოს 1975 წელს ცალკე გამოეყო დაღესტნის უბანი და მის ბაზაზე შეიქმნა ყიზლარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, სადაც უფროსად მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გაგზავნა ახალქალაქის სარწყავი სისტემების სამმართველოს ყოფილი უფროსი შალვა სარკველაძე, გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც თავდაუზოგავად უძღვებოდა საყვარელ საქმეს. ბატონმა შალვამ დიდი წვლილი შეიტანა ყიზლარის საძოვრების გაწყლოვანების საშვილიშვილო

საქმეში. მისი ინიციატივით გაიყვანეს სარწყავი არხი, რომლითაც თვითდინებით ირწყვებოდა 3000 ჰექტარი ფართობი, რაც უზრუნველყოფდა პირუტყვისათვის საჭირო საკვების ადგილზე დამზადებას.

1978 წელს სამმართველოს უფროსად დააწინაურეს მთავარი ინჟინერი შაგენ შაგინიანი, რომელიც 1985 წელს შეცვალა ავთანდილ ხოჯევანიშვილმა. ბატონ ავთანდილს მეტად რთულ პერიოდში მოუხდა ყიზლარში მოღვაწეობა; განსაკუთრებით 1991 წლის შემდეგ შეუძლებელი გახდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობა. გულისხმიერ, გამოცდილ სპეციალისტს, საქმის ერთგულს, რომლის თვალწინ იშლებოდა წლობით აწყობილი საქმე, გულმა უმტყუნა და მოულოდნელად დავკარგეთ. შემდეგ კი, ყიზლარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველომაც შეწყვიტა საქმიანობა, რადგან დაღესტნის ზამთრის საძოვრები (დროებით თუ სამუდამოდ, გაურკვეველია) ჩამოერთვა საქართველოს რესპუბლიკას?!

ერთგული თანამოსაგრე ქვეყნის სამსახურში

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მელიორაციული მდგომარეობის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შედგენა, ამასთან, ოპერატიულად პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა მელიორაციის დარგის მუშაკებისათვის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რასაც ძველი თაობის მელიორატორები დიდხანს ვიყავით მოკლებული. ამის შესაძლებლობა მხოლოდ მას შემდეგ მოგვეცა, როდესაც 1976 წელს, რესპუბლიკური მთავრობის გადაწყვეტილებით,

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ჰიდროგეოლოგიურ-მელიორაციული ექსპედიცია, რომელიც მაშინვე გვერდით ამოუდგა სამინისტროს საჭირბოროტო საკითხების შესწავლა-მოგვარების საქმეში.

ამ სახელმწიფო მნიშვნელობის სამეცნიერო-სამეურნეო ორგანიზაციის შექმნის საკითხის გადაწყვეტაში ლომის წილი უდევს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მაშინდელ მინისტრს ბატონ გივი გადელიას, ხოლო ექსპედიციის ჩამოყალიბების ურთულესმა პროცესმა კი მისი უფროსის ბატონ გივი გოგინაშვილისა და ექსპედიციის მთავარი ჰიდროლოგის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ბატონ გიორგი მარტაშვილის ზურგზე გადაიარა.

ახლად შექმნილი ექსპედიცია თავიდანვე დიდ ამოცანებს შეეჭიდა: კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული კოლექტივი დიდი მონდომებით შეუდგა მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესწავლას კომპლექსური მეთოდებით: ეს არის: ნიადაგის ტენიანობის, გრუნტის წყლების რეჟიმისა და ბალანსის ცალკეული ელემენტების განსაზღვრა. გამოკვლევის მასალების საფუძველზე დამარილიანების ხარისხის დადგენა. გარდა ამისა, მის ფუნქციებში შედიოდა:

- მცირე მელიორაციისა და ვერტიკალური დრენაჟის, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტების წყალმომარაგებისა და სათვალთვალო დანიშნულების ჭაბურღილების ბურღვა და მათი ექსპლუატაცია.

- დასახლებული ადგილების დატბორვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავება.

- წყალსაცავების, კაშხლების, მაგისტრალური არხებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევებისა და ჰიდროლოგიურ-ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება.

ჩვენში ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრა მეტწილად წარმოებს „დნესტრი-1“ ტიპის ხელსაწყოებით, მაგრამ 1981-1987

წლებში პირველად დაინერგა დისტანციური მეთოდით ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრა - ზემაღალი სიხშირის კოსმოსური ტენმზომი „სვჩ“-ის გამოყენებით, რომელიც დამონტაჟებული იყო „ან-2“ ტიპის თვითმფრინავზე. ამ სამეცნიერო-საცდელ სამუშაოებს უძღვებოდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ივანე ჩილინგარაშვილი.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საკავშირო სამინისტრომ დადებითად შეაფასეს „სვჩ“ რადიომეტრის ხელსაწყო, თუმცა, ასეთი ხელსაწყოთი გაზომვების ჩატარება მეტისმეტად ძვირი ჯდებოდა, ამიტომ, ერთხელ გამოცდის შემდეგ გაზომვები არ ჩატარებულა დაუფინანსებლობის გამო.

რაც შეეხება გრუნტის წყლების დონეებისა და მინერალიზაციის დადგენას, ამ მიზნით მოწყობილია სათვალთვალი ჭაბურღილები 8-10 მეტრის სიღრმეზე, რომელთა საშუალებით პერიოდულად წარმოებს დაკვირვება გრუნტის წყლების დონეების დინამიკაზე და მინერალიზაციის ცვალებადობაზე. ასეთი ჭაბურღილი ექსპედიციაში 3000-მდე ირიცხება. გარდა ამისა, 500 ჭაბურღილი ემსახურება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტების წყალმომარაგებას.

ჭაბურღილების შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, ექსპედიციაში შეიქმნა არტეზიული ტუმბოების რეაბილიტაციის საამქრო.

ჰიდროგეოლოგიური მელიორაციული ექსპედიცია ნამდვილად გახდა წყალთა მეურნეობის დარგის ერთგული თანამოსაგრე.

1989 წელს ექსპედიციის კოლექტივს ერთბაშად ორი ხელმძღვანელი, წარმოების დამფუძნებელი სპეციალისტები გამოაკლდა უდროოდ. წავიდნენ ამ ქვეყნიდან ღვაწლმოსილი და ამაგდარი მამულიშვილები: გივი გოგინაშვილი და გიორგი მარტაშვილი. მათ შემცვლელებად კოლექტივმა აირჩია, ხაზს ვუსვამ, ერთხმად აირჩია ღირსეული ადამიანები, შრომისმოყვარე და ენერგიული, მაღალკვალიფიციური სპეციალ-

ისტები: ექსპედიციის უფროსად ბატონი რობერტ ნავერიანი, ხოლო მთავარ ჰიდროლოგად ბატონი სოსო კანდელაკი, რომლებიც ექსპედიციის დაარსებიდან მუშაობენ სისტემაში - ბატონი რობერტი კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსი იყო, ხოლო ბატონი სოსო საინჟინრო-გეოლოგიური პარტიის უფროსი.

ექსპედიციის ხელმძღვანელობა აგრძელებს რა აქ დამკვიდრებულ ტრადიციებს, დიდ ყურადღებას უთმობს წარმოებაში სიახლეების დანერგვას.

ქვეყანაში პირველად გამოიყენეს დიდი დიამეტრის (1200 მმ) ჭაბურღილები (რუმინული საბურღი დანადგარით) ე.წ. უკურეცხვის მეთოდით, რომელმაც კარგი შედეგი მოგვცა კოლხეთის დაბლობზე, ალაზნის ველის ქვემო ნაწილსა და ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში. აღნიშნულის გარდა დამონტაჟდა ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროგენერატორი, მზის ენერგიის გამოყენების „ჰელიოსისტემა“ და მარილიანი წყლების გამამტკნარებელი დანადგარები.

სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე რეფორმები განსაზღვრავს მომავალში ჰიდროგეოლოგიურ-მელორაციული ექსპედიციის ძირითად პროფილს.

დასანანია, რომ კოლექტივს კიდევ ორი ღირსეული წევრი, გამოცდილი სპეციალისტი უდროოდ გამოაკლდა: ჩეჰხან გაბულანი - მთავარი ინჟინერი და ივანე ჩილინგარაშვილი - ექსპედიციის უფროსის მოადგილე მელიორაციის დარგში.

ექსპედიციის კოლექტივი არასდროს დაივიწყებს მოამაგე, ამაგდარ კოლეგებს და პატივს მიაგეს მათ ხსოვნას.

ღია წერილი ჩემს უმცროს კოლეგებს

ძვირფასო მეგობარო, სულერთია ჩემთვის, ახალგაზრდა ხარ თუ შუა ხნისა, რადგანაც წყალთა მეურნეობაში სამუშაოდ მოსვლა საბოლოოდ გადაწყვიტე, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ დიდი სიყვარულითა და უანგაროდ უნდა ემსახურო ბუნებას, შენს ხალხს, საერო და საშვილიშვილო საქმეს... მოსაწონია ამ კეთილშობილურ სამსახურში შენი მოსვლა, ამიტომ, მისდამი ერთგულება მუდამ უნდა გასულდგმულებდეს.

გირჩევ, გულწრფელად - თუ მოწოდებით, გულითა და სულით ხორცამდე სიმპათიურად განწყობილი არ ხარ სამუშაოდ, თავს ნუ გაიწვალებ, მით უმეტეს, თუ მაღალი ჩინოვნიკობა გსურს. სხვასაც ნუ გააწვალებ. მარტო სამსახურებრივი მოვალეობის მოხდის ან გაჭირვებულ პირობებში მყოფი, უმუშევრობის დროს ორიოდე გროშის საშოვნელად თუ მოსულხარ, დასანანია, ეს დიდი შეცდომაა, განსაკუთრებით ახალგაზრდისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია პროფესიის არჩევა. ასეთი პირობით მოსულს, ვურჩევ, გამოიჩინოს სულგრძელობა და პატიოსნად დაუთმოს ადგილი ღირსეულ ადამიანს.

სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია მრავალ სახეობას მოიცავს, მე მოგითხრობ მხოლოდ მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე - გეგმიურ წყალსარგებლობაზე.

იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ წყობას დიდი ცვლილებები არ შეხებია - იქ, არც სოფლის მეურნეობას განუცდია სახეცვლილება, ამიტომ, სარწყავი სისტემების ექსპლუატაცია უფრო სტაბილური აღმოჩნდა, რის შედეგად წყალსარგებლობის წესები ძირითადად არ შეცვლილა და უფრო მდგრადი გამოდგა, მაგალითად, ევროპაში. რაც შეეხება ჩვენთან - ის ბევრჯერ შეიცვალა, მით უმეტეს, მეოცე საუკუნეში. კარგად მოგეხ-

სენებათ, რომ ჩვენამდე მოღწეულია ვახტანგ მეექვსის მეფობის დროინდელი (1717-1724 წლები) კანონი საერთოდ წყალით, განსაკუთრებით კი სარწყავი წყალით სარგებლობის წესების შესახებ. ისიც მოგეხსენებათ, რომ რუსეთს - ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით მოსაზღვრე სახელმწიფოს, რომლის ქვეშევრდომიც საქართველო დიდხანს იყო, სარწყავი მიწათმოქმედება საერთოდ არ გააჩნდა და, რა თქმა უნდა, არც შესაბამისი კანონები ექნებოდა. მხოლოდ 1890 წელს დაამტკიცა რუსეთის მეფემ „დებულება კავკასიის აქეთა მხარის მიწების სარწყავი წყალების ხმარებისა და წესები სარწყავი წყლის ხმარების აწმყოფის უფლების განსაზღვრისათვის". ეს კანონი თბილისში იყო შედგენილი ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით, რომელშიც გამოყენებული იყო მეფე ვახტანგ მეექვსეს კანონებიც.

საქართველოში, გასაბჭოების შემდეგ ძველი და ახალი თაობის ქართველ სპეციალისტთა მიერ პირველი ათი წლის განმავლობაში სწორად წარიმართა წყალთა მეურნეობის საქმიანობა: შემოიღეს ფასიანი წყალსარგებლობა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, ბარის გლეხობის ინიციატივით ჩამოყალიბდა „სამელიორაციო ამხანაგობები", თანამედროვე გაგებით თუ ვიტყვით - „სამელიორაციო ასოციაციები".

სამწუხაროდ, საკოლმეურნეო წყობის გაძლიერების შედეგად 1936 წელს გაუქმდა წელში გამართული სამელიორაციო ამხანაგობები და მათი ფუნქციები გადაეცა წყალთა მეურნეობის ადგილობრივ სამმართველობს, გაუქმდა წყალზე საფასურის გადახდაც. ამის შემდეგ, 1950 წელს მთელ საბჭოთა კავშირში შემოიღეს „რწყვის ახალი სისტემა და გეგმური წყალსარგებლობა".

გეგმური წყალსარგებლობის ცნებას წითელ ზოლად მიჰყვება მოთხოვნა წყალმომარაგებისას წინასწარ განისაზღვროს წყლის ხარჯვის ლიმიტი და ამის მიხედვით განხორციელდეს წყლის განაწილება მოსარგებლეებს შორის. ამიტომ, სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებში მუდამ

იყო მითითებული, რომ გეგმური წყალსარგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წყლის ხარჯვის ლიმიტის გამოყენება, რომელიც განისაზღვრება სარწყავი მიწების ფართობის ოდენობისა და მასზე კულტურების განლაგების მიხედვით. ალბათ, თქვენც იცით, რომ წინათ ეს მეთოდი ჩვენთანაც ყოფილა გამოყენებული.

მაგალითად, 1868 წელს გარდაბნის სარწყავ სისტემაზე სარგებლობდნენ წყლის ხარჯვის ლიმიტით (ჰიდრომოდულით). რას ნიშნავდა ეს?

მოიჯარეებს, მათზე გადაცემული მიწის ფართობისა და მასზე განლაგებული კულტურების მიხედვით განუსაზღვრავდენ წყლის იმ რაოდენობას ლიტრ-წამებში, რომლითაც 6 თვის განმავლობაში (ვეგეტაციის პერიოდში) შეიძლებოდა ყველა რწყვის ჩატარება. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე დახარჯავდა ლიმიტით განსაზღვრულ რაოდენობაზე ზევით, ის გადაიხდიდა ორმაგ ან სამმაგ საფასურს, ან ზედმეტ წყალს საერთოდ ვერ მიიღებდა და ფართობი მოურწყავი დარჩებოდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმური წყალსარგებლობის განხორციელების მთავარი დანიშნულებაა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და წყალსარგებლობის დისციპლინის განმტკიცება. ეს საკითხი გლობალურია და კარგად უნდა იქნეს შესწავლილ-ათვისებული, როგორც სახელმძღვანელო ლიტერატურის, ისე პრაქტიკის გამოყენებით.

დადგენილი ლიმიტის მიხედვით წყალსარგებლობის წესების განხორციელება ზოგიერთისათვის ახალი საქმეა და მისი შესრულების დროს სერიოზულ წინააღმდეგობებთან გექნებათ საქმე. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა მოსთხოვოთ წყალმოსარგებლეს, განსაკუთრებით წყალუხვ და დიდ სარწყავ სისტემებზე.

მოგეხსენებათ, რომ საინჟინრო სარწყავი სისტემების ბოლო წერტილებში ხშირად წყალი გრაფიკის მიხედვით ვერ მიეწოდება, რატომ? პასუხი ორია: პირველი, მაგისტრალური არხის

სათავე. უბანში ურჩი წყალმოსარგებლეები თვითნებობენ, უზომოდ ხარჯავენ წყალს და ზოგჯერ გამოუყენებლად ღვრიან, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს.

წყლის უკმარისობის მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი წყალგამშვებების უქონლობა ან გაუმართაობაა.

გეგმური წყალსარგებლობის განხორციელება კი, პირველ რიგში, სწორედ ზემოთ აღნიშნულ და სხვა ამგვარი სახის დეფექტების აღმოფხვრას ითვალისწინებს.

მაშასადამე, წყალსარგებლობის მუშაკებმა, განყოფილების უფროსი იქნება იგი თუ უფროსი ინჟინერი, დისპეტჩერი თუ მაგისტრალური არხის უფროსი ან ასოციაცებთან ურთიერთობის სპეციალისტი, უნდა იცოდნენ გეგმური წყალსარგებლობის საფუძვლები, თქვენც, ახალგაზრდებო, უნდა იცოდეთ, როგორ განისაზღვროს წყლის ხარჯვის ლიმიტი, როგორ განახორციელოთ ნორმირებული წყლის მიღება და აღრიცხვა. ეს ცოდნა სჭირდებათ ასოციაციების წევრებსაც. ამიტომ, ჯერ თქვენ უნდა შეისწავლოთ ეს საქმე კარგად და შემდეგ ასწავლოთ სხვებსაც.

გეგმური წყალსარგებლობის დანერგვის პროცესი ხანგრძლივი და ძნელად შესასრულებელია, მაგრამ დიდი, მუყაითი შრომით მისი განხორციელება მოკლე დროშიც შეიძლება. ის ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს ყველგან. თანაც უნდა იცოდეთ, რომ გეგმური წყალსარგებლობის განხორციელება წარმოუდგენელია ჰიდრომეტრიული სამსახურის გარეშე.

ჰიდრომეტრის მოვალეობაა კეთილსინდისიერად ჩაატაროს წყლის ხარჯების გაზომვები პრაქტიკულად თუ თეორიულად და უზრუნველყოს წყლის დონისა და ხარჯის დამოკიდებულების მრუდების შედგენა.

კარგად მოგეხსენებათ, წყლის სიჩქარის გასაზომად გამოიყენება სრულიად მარტივი ხელსაწყო ტრიალა, რომლის არც შეკეთება და არც ტარირება ამიერკავკასიის რესპუბლიკებში არ წარმოებს. ძველი, შეუმოწმებელი ტრიალების ხმარება კი ზუსტ მონაცემებს არ იძლევა და დაუშვებელია ასეთი ტრიალებით

სარგებლობა. მაგრამ, მარტო ეს არ არის მიზეზი ჰიდრომეტრიული სამსახურის ჩამორჩენისა - გახსოვდეთ, მთავარია ის, რომ მისდამი უყურადღებობასა და სათანადო შეუფასებლობას იჩენს ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომლებიც ჰიდრომეტრის გარეშეც იოლად გადიან ფონს... თუ როგორ, თავად იციან...

მინდა შევეხო დიდ სარწყავ სისტემებზე საშტატო ერთეულის - დისპეტჩერის თანამდებობის შემოღების საკითხს. სიტყვა „დისპეტჩერი" უცხო სიტყვაა და მომწესრიგებელს ნიშნავს.

სარწყავ სისტემებზე დისპეტჩერი საჭიროა იმისათვის, რომ სამმართველოს ხელმძღვანელობა ნებისმიერ დროს საქმის კურსში ჩააყენოს, თუ რა მდგომარეობაა სარწყავ სისტემაზე, როგორაა უზრუნველყოფილი წყალით მაგისტრალური არხის ბოლო მონაკვეთები. დღეს, ამ მხრივ ოპერატიული ცნობების მიღება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ფიჭური სატელეფონო კავშირი ყველგან ხელმისაწვდომია. უნდა გითხრათ, რომ წინათ გარდაბნის, ზემო სამგორის, ტირიფონის და ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემებზე ყველგან იყო სატელეფონო კავშირი და დისპეტჩერული სამსახურიც მოწესრიგებული გახლდათ... რატომ გვიჭირს, ეს დღეს, ახალ თაობას? ნუ მიწყენთ, თუ ვიტყვი - ძველი უფროსები რომ ყოფილიყვნენ დღეს, არც ერთი სისტემა არ იქნებოდა დისპეტჩერული სამსახურის გარეშე. ეს ხომ მარტივი სამსახურია, მაღალი დონის დისციპლინაზე დაფუძნებული.

ვინც სერიოზულად აფასებს წყლის განაწილებისა და სარწყავი სისტემის შეუფერხებლად მუშაობის საქმეს, ის დისპეტჩერულ სამსახურსაც პირველ რიგში დანერგავს.

აქედან დასკვნა: გახსოვდეთ, გეგმური წყალსარგებლობის განხორციელება შეუძლებელია მაღალი დონის ჰიდრომეტრიული და სადისპეტჩერო სამსახურების გარეშე.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ, თუ მაგისტრალური არხის უფროსმა, ასოციაციებთან ურთიერთობის სპეციალისტმა ან წყალსარგებლობის ინჟინერმა არ იცის ჰიდრომეტრიის საფუ-

ძვლები, თუ არ იცის წყლის დონისა და ხარჯის დამოკიდებულების ცხრილით სარგებლობა, თუ ჰიდრომეტრი ვერ აკონტროლებს წყლის ხარჯების მონაცემებს, თუ მან არ იცის წყალსაზომი მოწყობილობების, ტრაპეციული და სხვა ტიპის წყალსაშვების დაყენებისა და მათი გამოყენების წესები, ასეთ ვითარებაში ფიქრიც არ შეიძლება წყლის წესიერად განაწილებაზე, სისტემის წყლით უზრუნველყოფაზე, სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებაზე. დიახ, ეს შეუძლებელია, ამიტომაც ჩემი, თქვენზე ხნოვანებითა და გამოცდილებით უფროსი მეგობრის, სპეციალობით კოლეგის თხოვნაა - კარგად ჩაუკვირდეთ თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს. თუ იკისრეთ, რომ დაეუფლოთ მელიორატორის პროფესიას, ის უნდა შეიყვაროთ და შეისწავლოთ ძირფესვიანად... გაივლის წლები და როდესაც თქვენ დიდ ამაგს დასდებთ ამ კეთილშობილურ საქმეს, თავად დარჩებით კმაყოფილი ჩემსავით, რომ ხალხს, ბუნებას, უანგაროდ ემსახურეთ ათეული წლების განმავლობაში და დიდი სიკეთე დათესეთ.

გახსენება

საექსპლუატაციო სამმართველოების წარსულისა და ამჟამინდელი საქმიანობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ უნდა შემოგთავაზოთ შტრიხი რამდენიმე პიროვნების პორტრეტისათვის, რომლებთანაც ძალიან ახლოს მიხდებოდა ყოფნა სამსახურებრივი საქმიანობით, რომელნიც, ახალბედა-გამოუცდელ ახალგაზრდას ბრძნული რჩევა-დარიგებებით მაჩვევდნენ წესიერ, პატიოსან შრომას, მეფერებოდნენ და მაკვალიანებდნენ პროფესიის დაუფლებაში. ამის გარდა, მათ ხომ უდიდესი წვლილი შეიტანეს სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

ზღვისპირეთელი რაინდი

1933 წელს, პირველად ჩავები დამოუკიდებელი შრომით საქმიანობაში, კოლხიდმშენის მექანიზაციის განყოფილების ტექნიკოსად დავიწყე მუშაობა. განყოფილების მთავარი ინჟინერი ბატონი ანდრო გაბუნია გახლდათ. ის მაძლევდა სამუშაო დავალებას და რჩევა-დარიგებასაც არ მამადლიდა. ამგვარად, ჩემს შრომით საქმიანობაში პირველი დამრიგებელი ბატონი ანდრო იყო.

1934 წელს შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკური საექსკავატორო სადგური. სამმართველოს საწარმოო-საგეგმო განყოფილების უფროსად დაინიშნა ბატონი ანდრო გაბუნია, ტექნიკოსად - ამ სტრიქონების ავტორი.

მახსოვს, 1934 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვები იდგა. ახალშექმნილი ორგანიზაციის პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმის შედგენაზე ვმუშაობდით. ერთ დღეს ბატონმა ანდრომ მიხმო კაბინეტში და მითხრა: ახლა შინ წახვალ ჩემო ალიოშა და გააფრთხილებ მშობლებს, რომ ამაღამ დილამდე მოგვიწევს აქ მუშაობა... - ეს გეგმა მთავრობას დროზე რომ არ წარვუდგინოთ, თავი მოგვეჭრებაო - დასძინა შთამბეჭდავად...

ის დეკემბრის გრძელი ღამე ისე შემოგველია ხელში, რომ არც ბატონ ანდროს და არც მის შეგირდს - მე, არ შეგვიმჩნევია...

ახლაც, შვიდი ათეული წლის წინათ გათენებული ის ღამე თვალწინ მიდგას... დილით, მუშაობა რომ დავამთავრეთ, ანდრომ, მიუხედავად ზამთრის სუსხისა, გამოალო კაბინეტის ფართო ფანჯარა, ღრმად ჩაისუნთქა ზღვიდან მონაბერი ჰაერი და მისთვის დამახასიათებელი ხელების გაშლით და ღიმილით მეუბნება - მაგრები ვართ, არა?! ჩვენი წუხანდელი ნამუშევარი ნამდვილად დაიმსახურებს მოწონებას, წყალი არ გაუვა, უსათუოდ დაგვიმტკიცებენო.

დრო მიდიოდა, წელიწადი წელიწადს ცვლიდა...

ბატონ ანდროს ვხედავთ იქ, სადაც ძლიერი მეთაურის ხელია საჭირო, სადაც ფრიად მნიშვნელოვანი ობიექტებია ჩასაყენებელი ხალხის სამსახურში. კოლხიდმშენის უფროსი ბატონი ანდრო გადმოყავთ თბილისში და სათავეში უყენებენ ზემო სამგორის უნიკალური სარწყავი სისტემის მშენებლობას.

1951 წლის 4 ნოემბერი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ახალ მატიანეში - როგორც ქართველი ჰიდროტექნიკოსების ბრწყინვალე გამარჯვების დღე, როდესაც მოთოკეს გიჟმაჟი მდინარე იორი და დასაბამი მიეცა უკაცრიელი უდაბნოს მიწების წალკოტად გარდაქმნის ეპოქას. სწორედ ამ დღეს დაიწყო თბილისის ახლომდებარე ნატბევარების შევსება ივრის ანკარა წყლით. მეც მხვდა წილად ბედნიერება დავსწრებოდი იმ საზეიმო წუთებს, როცა წყალვარდნილის ზღრუბლიდან ჩანჩქერად გადმოეშვა ივრის ნანატრი მაცოცხლებელი წყალი, მენახა ანდრო გაბრწყინებული თვალებით, სიხარულისგან აღტყინებული, ამაყად რომ იდგა ტრიბუნის შუა გულში.

ზეიმზე მილეთი ხალხი იყო მოსული და როცა სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე გადმომდგარი ბატონი ანდროს ომახიანი ხმა გაისმა, მოგუგუნე ხალხი გაირინდა და ბატონმა ანდრომ ხალხს მიულოცა „თბილისის ზღვის" დაბადება... ლოგიკურია, ძველმა მეზღვაურმა სიტყვა წყალსაცავი არ იხმარა, არამედ, ზღვა უწოდა წყალსაცავს... ეს თბილისელებსაც მოეწონათ და მაშინვე აიტაცეს „თბილისის ზღვა".

ბატონი ანდრო მინახავს აფორიაქებული და აღშფოთებულიც, როდესაც ნამუშევარს დაუწუნებდა სამუშაოთა მწარმოებელს. წუნს არ აპატიებდა არავის. ერთხელ მოწმე გავხდი ასეთი შემთხვევისა: ერთ-ერთი გამანაწილებელი არხის ერთ კილომეტრიან მონაკვეთზე სამუშაო უხარისხოდ იყო შესრულებული, არადა, არხი კომისიას უნდა მიეღო იმ დღეებში. განაწყენებულმა რკინა-ბეტონის ფილების ამოღება, ტრასის გასწორხაზება და ფილების სწორად ჩაწყობა უბრძანა სამშენებლო სამმართველოს

უფროსს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა სამართლიანი საყვედური და სიტყვის შეუბრუნებლად შეუდგა ბატონი ანდროს დავალების შესრულებას..

დასასრულს, თვალწინ დამიდგა ბატონ ანდროსთან უკანასკნელი შეხვედრა, ეს იყო 1968 წლის გაზაფხულზე...მდინარე მტკვარი ისეა ადიდებული, რომ თბილისიც არ დაინდო - რიყე და ორთაჭალა ააწიოკა. წალეკვა ემუქრებოდა გარდაბნის სახელმწიფო ნაკრძალს, იქაურ ფაუნასა და ფლორას, დასახლებულ პუნქტებს. იმხანად მე გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსი გახლდით და თანამშრომლებთან ერთად ღამეებს ვათენებდი, რომ მოსალოდნელი სტიქიური უბედურება თავიდან აგვეცილებინა... და ასეთ საგანგაშო ვითარებაში რომ ვართ, ერთ დღეს, დილით ადრე, სამმართველოს მოადგა „ყველგან მავალი" ავტომანქანა, საიდანაც მონადირის სპეცტანსაცმელში, აბჯარასხმული მეომრის იერით გადმოვიდა ბატონი ანდრო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, როგორც შეეფერებოდა უფროსს - მოვახსენე წყალდიდობით შექმნილი სიტუაცია, რომ მდინარის ნაპირთან ახლო მისვლის შესაძლებლობა არ არის...

- წავიდეთ, ვეცადოთ როგორმე ახლოს მაინც მივიდეთ საშიში ადგილების დასათვალიერებლად, - მითხრა და რეზინის მაღალყელიან ჩექმას და წყალგაუმტარ ტანსაცმელს ერთხელ კიდევ გაუსინჯა საკინძეები...

ბატონი ანდრო კარგი მონადირე რომ იყო, ვიცოდი, ასეთი ჩაცმულობით ბევრჯერ მინახავს ყორათის თუ ჭალადიდის ტყეებში, არხებზე სამუშაოების დათვალიერების დროს, მაგრამ გარდაბანში, მისი ასეთი ჩაცმულობით მოსვლა ნამდვილად მეუცხოვა. ჩანდა, რომ გამძვინვარებულ მტკვართან შებმის ჟინით იყო დამუხტული.

- შენი ვარაუდი სწორი გამოდგა, - მითხრა, როცა გაავებული მტკვრის პირისპირ აღმოვჩნდით... იქვე, ტყის პირად, წაქცეულ მუხაზე მოვკალათდით და კარგა ხანს ვისაუბრეთ აფორიაქებული ბუნების წიაღში...

გატაცებით უყვარდა საუბარი და გახსენება კოლხეთისა და სამგორის არხების მშენებლობაზე... გაიხსენა ძველი კოლხიდელები, სამგორელები, გარდაბნის სარწყავი სისტემის წარსულიც კარგად იცოდა...

იმ წელს წყალდიდობამ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ... მეორე წელს ბატონი ანდრო აღარ იყო...

ფოთის პორტში ანდრო გაბუნიას მამას, ალექსის, იცნობდნენ როგორც უშიშარ მეზღვაურს, უბადლო მყვინთავს, გამრჯე ოსტატს... ყმაწვილობისას ანდროც პორტში მუშაობდა და მასზე ამბობდნენ: მამის ალი-კვალიაო.

დიახ, ახალგაზრდობაში ანდროც მამაცი, გამორჩეული მეზღვაური იყო და მან სწორედ მეზღვაურობიდან დიდი მარათონული გზა გაიარა ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწემდე.

ამჟამად კოლხეთში, მდინარე რიონის, ან კიდევ ზღვის აბობოქრებულ, ხან კი მშვიდ ტალღებს თამამად მიაპობს საბუქსირო კოხტა კატარღა, რომლის ქიმს ამშვენებს წარწერა „ანდრო გაბუნია“.

კატარღას თვალისჩინივით უვლიან კოლხელი მელიორატორები, იგი ხომ ბატონი ანდროს, ამ ზღვისპირეთელი რაინდის, უკვდავებას აცოცხლებს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ვოინიჩ-სიანოჟენსკი 1942-1947 წლებში მუშაობდა წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატში სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოში ქართლის ტერიტორიალური განყოფილების უფროსად. ამ დროს იგი ტექნიკურ მეცნიერებათა

კანდიდატი იყო. როგორც მისი ნაამბობიდან მახსოვს, წარმოშობით პოლონელი იყო - თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, მეულლეც ქართველი ჰყავდა. მის მამას აქ უმსახურია ჯარში.

იგი პირველად ქარელში 1943 წელს ჩამობრძანდა. მაშინ სამმართველო ახალი შექმნილი იყო და მე, როგორც უფროსის მოადგილეს, მევალებოდა წყალსარგებლობაზე ხელმძღვანელობა, მაგრამ ამ დარგში პრაქტიკული გამოცდილება და არც თეორიული ცოდნა არ გამაჩნდა და ამის შესახებ ჩემი საწუხარი გულღიად ავუხსენი ბატონ გიორგის. მან მამაშვილურად დამარიგა და თავისთავზე აიღო ჩემი მომზადება, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. ჩამომიტანა წიგნები: ა. კოსტიაკოვის „ჰიდრომელიორაციის საფუძვლები", ჰიდრომეტრიის სახელმძღვანელო და ინსტრუქციები წყალსარგებლობის გეგმების შესადგენად. ასე რომ, თანდათან თეორიულად გავთვითცნობიერდი. ბატონი გიორგი კმაყოფილი იყო ჩემი ბეჯითობით და დაჟინებით მთხოვდა, დავრჩენილიყავი წყალთა მეურნეობის სისტემაში, რომ მიმეღო უმაღლესი ტექნიკური განათლებაც და ამ დარგში გამეგრძელებინა ჩემი მოღვაწეობა. ბევრი ჭოჭმანის შემდეგ გადავწყვიტე ჰიდროტექნიკოსის პროფესიას დავუფლებოდი. ამით კი ძალიან ნასიამოვნები დარჩა ბატონი გიორგი.

ბატონ გიორგის ძალიან უხდებოდა ქართულად საუბარი, ნელი ტკბილი ხმით გამოთქმული თითოეული ფრაზა ჰარმონიულად ჟღერდა. ქარელში ხშირად მხარზე სანადირო თოფგადაკიდებული ჩამოვიდოდა ხოლმე, უყვარდა ნადირობა, მაგრამ აბა, ქარელში რაზე ინადირებდა, გარდა მწყრისა და ისიც არ იყო მაშინ, როდესაც ნადირობას მოისურვებდა.

1952 წლიდან ბატონი გიორგი მთლიანად პედაგოგიურ მოღვაწეობაში ჩაება. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იყო ჰიდროტექნიკისა და ჰიდრავლიკის კათედრის გამგე. ვაჟიშვილიც მეცნიერად აღზარდა - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია.

ბატონი გიორგი ვოინიჩ-სიანოჟენსკის მიერ აღზრდილი და დაკვალიანებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საქარ-

თველოს ყველა კუთხეში მოღვაწეობენ ჰიდრომელიორაციის დარგში და ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევიან, ცოდნითა და პრაქტიკით შეიარაღებულნი.

დიდი ქომაგი - პროფესიონალი

წყალთა მეურნეობის დარგის დიდი ენთუზიასტი იყო ბატონი ირაკლი აგლაძე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამ დარგის საქმიანობას შეალია. რაჭული სიდარბაისლით გამორჩეული, ყოველთვის ხმადაბლა მოუბარი, საქმეში პრინციპული და მუდამ ერთგული შემსრულებელი იყო ბატონი ირაკლი. რაიონებში მივლინების დროს, ჯერ კარგად გაერკვეოდა წყალთა მეურნეობის სამმართველოს საქმიანობაში, ყურადღებით დაათვალიერებდა სამელიორაციო ობიექტებს და შემდეგ ისე არ დაბრუნდებოდა თბილისში, რომ არ ენახა რაიკომის პირველი მდივანი ან რაიაღმასკომის თავმჯდომარე. მათ ყოველთვის პარტიისა და მთავრობის სახელით ესაუბრებოდა და პრინციპულადაც, საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, თუ ცენტრალური კომიტეტის დავალების შეუსრულებლობას აღმოაჩენდა, უფრო მკაცრი იყო.

ერთხელ მივლინებიდან დაბრუნებული მინისტრს უყვებოდა მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ: ამხანაგო გიორგი სამსონიჩ, რაიონის ხელმძღვანელებთან ისეთი ცეცხლი დავანთე, რომ... ბატონმა გიორგი ქობულიამ უცებ მოსწრებულად ჩაურთო თურმე სიტყვა - ვიცით, ირაკლი ილიჩ, ცეცხლის ბოლი აქედანაც კარგად ჩანდაო... უბოროტო, კეთილი გულის, სპეტაკი კაცი იყო, მაშვრალი. 1944 წელს ხაშურის წყალთა რაიონის უფროსი ბატონი ირაკლი აგლაძე დააწინაურეს და გადაიყვანეს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატში -

საექსპლუატაციო სამმართველოს უფროსად, სადაც მან პენსიაში გასვლამდე, 1973 წლამდე იმუშავა. მისი ხელმძღვანელობით სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის დონე ამაღლდა და განვითარდა.

მასთან ხშირად მქონდა შეხვედრები, საქმიანი ურთიერთობა, კონსულტაციები, მისგან ბევრი რჩევა-დარიგება მახსოვს. ბატონ ირაკლის ყველგან დიდად აფასებდნენ როგორც დარგის დიდ ქომაგსა და პროფესიონალს.

არდაეწყება სიკეთისა...

ქარელის წყალთა რაიონის პირველი მთავარი ბუხჰალტერი, ამაყი, დარბაისელი, ზრდილი ადამიანი გახლდათ. ის წყალთამეურნეობის სახალხო კომისარიატიდან გამოაგზავნეს სამუშაოდ. ეს იყო 1943 წელს.

ბატონ კაპიტონ ახვლედიანზე მოგახსენებთ: მას ქუთაისში, იმერეთის საადგილმამულო ბანკის მთავარ ბუხჰალტრად უმუშავნია. დახვეწილი ინტელიგენტი იყო.. იცვამდა მუდამ ელეგანტურად, ჰალსტუხსა და „შლიაპას“ ვერ ელეოდა, გაზაფხულ-შემოდგომაზე ზოგჯერ თეთრი ხელთათმანებითაც დადიოდა. ნაკითხი და წესიერი სიტყვა-პასუხის კაცი იყო. ქარელში მარტო ცხოვრობდა... მეუღლე იშვიათად სტუმრობდა, ვერ ეგუებოდა პროვინციაში ყოფნას, თუმცა, არც თბილისში ჰქონდა უკეთესი პირობები, ომი იყო... ომის შემდეგაც ჭირდა ცხოვრება.

ბატონი კაპიტონი სამართლიანი კაცი გახლდათ... სპეტაკი, შრომისმოყვარე. პირველ ხანებში მარტო უხდებოდა მუშაობა, მოანგარიშე ბუღალტერიის მცირედ მცოდნე ჰყავდა, ამიტომ, ერთხელ მთხოვა, ხანდახან მომეხმარეო ბალანსების შედგენაში,

თან დამარიგა - შეისწავლე ბუხჰალტერია - ამისათვის საშუალება და დროც გაქვს, მერე ყველგან გამოგადგება - მუშაობასა და ცხოვრებაშიო... ყველაფერი კარგი მოგცეთ ღმერთმა, როგორც მისი რჩევა-დარიგება წინ დამხვდა, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობისას და სხვა დროსაც ბუხჰალტერიის ცოდნა ძალიან გამომადგა...

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, ნახევარ საუკუნეზე მეტი, მაგრამ ბატონი კაპიტონის სიკეთეს რა დამავიწყებს... ღმერთო, გაანათლე მისი კეთილი სული.

კაცური კაცი

სამინისტროს საექსპლუატაციო სამმართველოს მთავარ ინჟინრად დიდხანს მუშაობდა ბატონი აკაკი ბაღათურია და ამ თანამდებობაზე დალია მან სული, ისიც მიელინებაში ყოფნის დროს. მან უმაღლესი ტექნიკური განათლება მოსკოვის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში მიიღო, სპეციალობით უმუშავია შუა აზიის ქვეყნებში, აზერბაიჯანში და დიდი პრაქტიკული გამოცდილებით ხელმძღვანელობდა სამელიორაციო სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში. ემოციური და ფეთქებადი კაცი კი იყო, მაგრამ გულთბილს, ყურადღებიანს, პირდაპირობა და მკაცრი პრინციპულობაც ჩვეოდა. ეს ორი უკანასკნელი თვისება მას ეღობებოდა წინ - დაწინაურების საქმეში, არადა, დაწინაურებას ნამდვილად იმსახურებდა. ერთხელ ხმა გამოვიდა, მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ბატონი აკაკის კანდიდატურას წარდგენას ფიქრობენო, მაგრამ არ გაუმართლა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნამდვილად კარგი სპეციალისტი იყო, კარგი ადამიანი - მოუკერძოებელი, სპეტაკი, ერთგულად

ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, როგორც უმაღლესი დონის პროფესიონალი. ზემო სამგორის, ხოლო შემდეგ გარდაბნის სამმართველოში მუშაობის დროს ბევრი ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხის მოგვარებაში დახმარება და რჩევა-დარიგება მიუცია, უბრალო და გულთბილი, მშვიდი იყო მეგობრობაში, სამსახურის გარეთ. ის ძალიან მომლხენი იყო სუფრასთან. ამასთან, ის პურის ჭამა არაფრად ეღირებოდა, თუ აკაკი თამადა არ იქნებოდა, თამადობა კი, მოგეცეთ ლხენა, კარგი იცოდა, შეღვინებული აუცილებლად ერთხელ მაინც დაამღერებდა გიტარაზე „ბრადიაგას“. სადღეგრძელოები და სიმღერები ხომ ულევი იცოდა.

ბატონი აკაკი გამოირჩეოდა თავისი მაღალი ინტელექტუალობით, პროფესიონალიზმითა და გულმოწყალებით, კაცური კაცი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა მრავალათასიან კოლექტივში.

ტრადიციის კაცი

სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის დიდი პრაქტიკოსი ინჟინერი ვანო ნაკაიძე, ჯერ გარდაბნისა და ბოლნისის სამმართველოების უფროსად მუშაობდა, შემდეგ კი საექსპლუატაციო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო განყოფილებას უძღვებოდა სამინისტროში. ჩუმი, მშვიდი და უწყინარი, სპეტაკი იყო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ჩემზე მეტად გამოცდილი გახლდათ და ხშირად გვქონდა საქმიანი შეხვედრები.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში შეადგინა და გამოსცა წიგნები: „საექსპლუატაციო ჰიდრომეტრიის ძირითადი საკითხები“,

„სამელიორაციო სისტემების ექსპულატაცია“ და ნარკვევი „გარდაბნის სარწყავი სისტემა“, რომელშიც აღწერილია არხის წარსული და აწმყო.

ერთი კარგი ტრადიციის მოთავე იყო ბატონი ვანო: ყოველწლიურად, წლიური ანგარიშების ჩაბარების შემდეგ, იანვრის თვის ბოლო დღეებში მის ბინაში ვიკრიბებოდით ძველი და ახალი თაობის კოლეგები: მიშა ბაღიშვილი, კალე ცხადაია, გრიშა ჯალაღანია, ალიოშა ჩაჩუა, ვალერიან სანიკიძე და ამ სტრიქონების ავტორი, აგრეთვე, სამინისტროდან მოწვეული ერთი-ორი სტუმარიც.

ეს შეკრებები იყო ურთიერთპატივისცემის, საქმიანი მსჯელობის, აზრთა გაზიარებისა და მოლხენის საუკეთესო ნიმუში. ქართული, ამაღლებული ტრადიციის მატარებელი კაცი იყო ბატონი ვანო.

ვანოს გარდაცვალების შემდეგ მე შევეცადე ეს კარგი ტრადიცია გამეგრძელებინა, მაგრამ ერთხელღა მოვუყარე თავი მეგობარ-კოლეგებს, სამწუხაროდ, იმ ჯგუფიდან უმრავლესობა წავიდა ამქვეყნიდან. მერე დაერთო ეკონომიკური პირობების გაუარესება და განწყობაც ამის საშუალებას აღარ იძლევა...

მსგავსი ტრადიციის აღდგენა სასიკეთო იქნება.

იმედის გამართლება

განსწავლული ინჟინერი, გამოცდილი სპეციალისტი, განსაკუთრებით, სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის დარგში, ბატონი ვიქტორ ძაგანია იყო გარდაბნის (ყარაია) სარწყავი სისტემის აღმდგენელი ოცდაათიან წლებში. მან პირველმა შექმნა იქ „სამელიორაციო ამხანაგობა“ და დანერგა ფასიანი

წყალსარგებლობა. 1925-1934 წლებში მუშაობდა ყარაიზის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად და მეც ხშირად ვესაუბრებოდი სისტემის ავ-კარგზე. მას დაუსრულებლად შეეძლო მთელი დღე ესაუბრა გარდაბანის ავ-კარგის გარშემო.

ბატონი ვიქტორის ინიციატივით დაიწყო 1964 წელს გარდაბნის ორ გამანაწილებელ არხზე საცდელი ავტომატიკის მოწყობილობების დადგმა და გამოცდა. სამწუხაროდ, ეს საცდელი ნაბიჯი მაშინ წარუმატებლად დამთავრდა. სამაგიეროდ, გარდაბნის სამმართველოს უფროსად ჩემი დანიშვნისთანავე ამოცანად დავისახეთ მთლიანი სისტემის ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის დანერგვა ინჟინერ შოთა ბუთლიაშვილის პროექტით. ბატონი ვიქტორი ვერ მოესწრო ამ სამუშაოების მთლიანად დამთავრებას, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ აუცილებლად კარგად დამთავრდებოდა საქმე, რომელიც მან წამოიწყო... და ახლა, ხანდაზმული, ხშირად ვფიქრობ, იმედის გამართლებაზე უკეთესი არაფერია კაცურკაცობისათვის.

ყოველმხრივ შემკული ადამიანი

ის იყო კოლორიტული პიროვნება. ენაწყლიანი, ომახიანი, ახასიათებდა აღტაცება და სრულიად დამშვიდებაც... იყო გულმოწყალე, უშურველი... როდესაც მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში მოვიდა ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსად, ი. აგლაძის ადგილზე, 1973 წელს, უმალვე შეეგუა ახალ კოლექტივს და ახალ საქმეს... მისი გამორჩეული თვისება იყო ის, რომ ადვილად გამოიცნობდა ადამიანს... ასევე ადვილად ერკვეოდა სამსახურის, დარგის საჭირბოროტო საკითხებში. პატივს ცემდა სიმართლეს, პატიოსნებას და სიბეჯითეს, როგორიც თავად

იყო. დიდი წრე ჰყავდა მეგობრებისა და ნაცნობებისა. ყოველთვის მზად იყო თანადგომისათვის, დიდ პატივს სცემდა ახალგაზრდა, მუყაით, უნარიან და მცოდნე სპეციალისტებს, აკვალიანებდა მათ და მომავლისკენ უკაფავდა გზას. გამოირჩეოდა გულისხმიერებით. ერთხელ, მოინდომა სამმართველოს თანამშრომლები ოჯახურ საღამოზე შეეკრებილიყავით. მისი ინიციატივის განხორციელებას სათავეში სამმართველოს ინჟინერი მინორა ლელაძე ჩაუდგა და ერთი საღამო ოჯახის წევრებთან ერთად არაჩვეულებრივ, მუდამ ტკბილად მოსაგონარ ვითარებაში გავატარეთ რესტორანში, სასტუმრო „ივერიის“ შენობის თავზე, საიდანაც თბილისის თვალწარმტაცი ხედები გუნება-განწყობას უფრო ახალისებდა.

ბატონი ჯემალ ტვილდიანისის მეუღლე, ქალბატონი ჰენრიეტა ფოთელი ბრძანდება, და მისი პატივისცემით ჯემალი ფოთელებსაც არ აკლებდა ყურადღებას, ბევრი მეგობარი და ნაცნობი ჰყავდა ფოთშიც.

ძალზე დასანანია, რომ ასეთი მოამაგე და ყოველმხრივ შემკული ადამიანი, ჯერ კიდევ ჭარმაგი, უდროოდ გამოაკლდა საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, დიდ საქმეს.

ვაზის სიყვარულში მეცილება...

1963 წელს საქართველოს წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ სამელიორაციო სისტემების ექსპულატაციის დარგში დაინიშნა ბატონი ზაქარია ბიძინაშვილი. იგი სპეციალობით აგრონომი - პარტრაიკომის ყოფილი მდივანი - უბრალო, თავმდაბალი, ენაწყლიანი და კეთილი პიროვნება იყო, როგორც იტყვიან, დიდთან - დიდი, პატარასთან - პატარა.

მართალია, სიღნაღელ კაცს სარწყავი მიწათმოქმედების ავკარგი კარგად ესმოდა, მაგრამ აი, ინჟინრულ საქმეებში, ჰიდროტექნიკაში, ჰიდრომეტრიაში პირველ ხანებში ვერ ერკვეოდა და დაბეჯითებით ცდილობდა ყველაფერში კარგად გარკვეულიყო. იგი სულ მალე დაეუფლა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის საქმეს და დიდი სიყვარულიც დაიმსახურა დიდ კოლექტივში.

იყო სამართლიანი კაცი, პირდაპირი, გულღია, საუბარში ხშირად კახურად გახუმრება იცოდა... როდესაც მელიორაციის საკითხებზე მსჯელობდა, ზოგჯერ ძალაუნებურად აგრონომიაზე გადავიდოდა ხოლმე... სულით და გულით მაინც აგრონომი იყო.

ერთხელ, დღის მეორე ნახევარში, ბატონი ზაქრო ტელეფონით მელაპარაკება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში, სადაც წყალსარგებლობის განყოფილების უფროსად ვმუშაობდი.

- შენა, მოვდივარ თქვენთანა და რადგანაც უფროსები ადგილზე არ არიან, უნდა წავიდეთ ვარკეთილის მეურნეობაში, ჩივიან, წყალი არა გვაქვსო...

რა თქმა უნდა, დაველოდე, უფროსი და მთავარი ინჟინერი უბნებში იყვნენ წასულნი... ზაფხულია, ცხელა, ზედა მაგისტრალურ არხში წყლის ნაკლებობაა. ზამთარი უთოვლო იყო, გაზაფხული მშრალი და სიონის წყალსაცავში წყლის მარაგი ძალზე მცირეა... ყველგან სარწყავი წყლის ნაკლებობაა, დაძაბული მდგომარეობაა.

5 საათია და შემოდის ბატონი ზაქრო, შუბლგახსნილი, მომცინარე თვალებით... მოგვესალმა იქ მყოფთ, მოგვიკითხა, - აბა, წავედით ვარკეთილში, იაშა კაველაძესთან, ძალიან უჭირს თურმე...

ბატონი იაშა ეზოში დაგვხვდა, ერთმანეთს დიდი სიყვარულით მიესალმენ (მაშინ პირზე კოცნით მისალმება მამაკაცებში მიღებული არ იყო).

მზე დასავლეთით გადახრილიყო.

აგრილდა... მეურნეობის დირექტორმა თავის ყოფილ კოლეგას (ისიც ყოფილი რაიკომის მდივანი იყო) უწყლობაზე ჩა-

მოუგდო ლაპარაკი, ცოტა უკმაყოფილომ და ადგილზე დასათვალიერებლად მანქანით წავედით.

ახლა რომ ვარკეთილის მაღლივი საცხოვრებელი კორპუსებია აღმართული, იქ ხილის ბაღები და ვენახები იყო, რომელიც ზემო სამგორის სარწყავი სისტემიდან ირწყვებოდა... ვარკეთილის მეურნეობა ხილითა და სუფრის ყურძნით ამარაგებდა დედაქალაქს და რუსთავსაც...

გავიარეთ შეწითლებული ატმის ნაყოფით დახუნძლული თვალუწვდენელი ბაღები და შევედით ვენახში... მართლაც, წყალი ძალიან სჭირდებოდა გამოგვალულ მიწას... შეყვითლებული ფოთლები ფარფატით ცვიოდა ქარსაფარ ალვის ხეებიდან.

ჯერ ზაქარიამ ჩაიმუხლა ვენახის რიგში, შემდეგ მას იაშამაც მიბაძა... ორივენი ჩაჩოქილები სიყვარულით ეალერსებოდნენ თითოეულ ძირ ვაზს. ფურჩქნიდნენ, მტევნებს ელაციცებოდნენ, ეფერებოდნენ... (გაიხსენეთ ეპიზოდი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“).

ბატონები: ზაქარია და იაშა, ორივე შრომისმოყვარე, გამრჯე და გამოცდილი ხელმძღვანელები, ერთმანეთს ეცილებოდნენ ვაზის სიყვარულში, თავიანთი პროფესიის სიყვარულში, კაცურკაცობაშიც...

დაუვიწყარი სახე

სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის სამმართველოს ხელმძღვანელებად ორი კოლორიტული, გამორჩეული პიროვნება მოევლინა. ესენი იყვნენ: ჯემალ ტვილდიანი და შალვა დობორჯგინიძე. ორივეს თითქმის ერთნაირი ხასიათი და ჩვევები ჰქონდა: გულღიაობა, გულკეთილობა, მეგობრობა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო, ხალხის სამსახური...

ბატონი შალვა დობორჯგინიძე ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსად 1984 წელს მივიდა, მანამდე კი ახალგაზრდა ინჟინერს სიონის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე დაუწყია მუშაობა. შემდეგ მუშაობს საქწყალპროექტში, ტრესტ „ალაზანმშენის" მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე და ტრესტის მმართველის მოადგილედ. საზღვარგარეთაც იმოგზაურა სამსახურებრივი მივლინებით.

ბოლო დროს კი რესპუბლიკური გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციის" უფროსის პირველი მოადგილე იყო.

მართალია, მას დიდი ხანი არ უმუშავია სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის დარგში, მაგრამ ის მოკლე დროც, საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ მის გვერდით ყოფნა და მუშაობა ჩემთვის ყოველთვის საქმიანი და სასიამოვნო ყოფილიყო. თავაზიანს, ტკბილმოუბარს, კეთილი გულის ადამიანს მუდამ ახასიათებდა ყურადღება, კოლეგიალობა, მამა-პაპათა ღირსეულ შთამომავალს გურული იუმორიც ეხერხებოდა საუბარში.

სახალისო იყო მასთან საუბარი, ხშირად აინტერესებდა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის აქტუალურ საკითხებზე ბჭობა, გამოცდილების გაზიარება, რაც მასთან უფრო მაახლოვებდა.

უყვარდა თევზაობა. შვებულებისას აუცილებლად ზღვის სანაპიროსკენ ან წყალსაცავებისკენ მიილტვოდა, თან თევზაობის მოყვარულ მეგობრებს აიყოლიებდა და ერთობოდა. ეს მისი ჰობი იყო, ალბათ.

ორ-სამკაციანი პურის ჭამის დროსაც კი ორი-სამი სასმისის შემდეგ აუცილებლად ღვინის ჭიქიდან პურის ნატეხს დაასველებდა და გულისტკივილით გაიხსენებდა იმქვეყნად წასულ დარგის სპეციალისტებსა და მეგობრებს.

ვაი, რომ ახლა იმათ გვერდით ბატონ შალვასაც ვახსენებთ ყოველთვის, უდროოდ და მოულოდნელად ჩვენგან წასულს.

დაუვიწყარია მისი სახე და კაიკაცობა!

სარწყავი მიწების ფონდი საქართველოში

№ №	ადმინის-ტრაციული რაიონების დასახელება	1930 წ.		1988 წ. XI	
		სარ-წყავქსელიანი მიწები ს უ ლ	ფაქტიურად მოირწყო	სარ-წყავქსელიანი მიწები ს უ ლ	ფაქტიურად მოირწყო
	1	2	3	4	5
	აუხაზეთის ასსრ მათ შორის:	–	–	3587	2069
1	გაგრის	–	–	1273	372
2	გალის	–	–	1444	1441
3	გუდაუთის	–	–	443	–
4	გლურიუშის	–	–	84	–
5	ოჩამჩირის	–	–	343	253
	აჭარის ასსრ მათ შორის:	4124	4124	8695	8695
6	ქედის	1327	1327	1650	1650
7	ქობულეთის	–	–	94	94
8	შუახევის	–	–	3408	3408
9	ხელვაჩაურის	–	–	85	85
10	ხულოს	2797	2797	3458	3458
	სამხრეთ ოსეთის ა/ო მათ შორის:	–	–	10263	10263
11	ჯავის	–	–	43	43
12	ზნაურის	–	–	3111	3111
13	ახალგორის	–	–	2010	2010
14	ცხინვალის	–	–	5099	5099
15	აბაშის	–	–	2585	2585
16	ადიგენის	4611	3986	5880	3374
17	ასპინძის	2994	1740	1815	1743
18	ახალქალაქის	–	–	13769	9354
19	ახალციხის	4611	3645	7402	5525
20	ახმეტის	–	–	8792	7856
21	ბაღდადის	2260	2260	1829	275
22	ბოლნისის	7167	6592	11227	10968
23	ბორჯომის	–	–	1125	671

№	1	2	3	4	5
24	ვარდაბნის	11568	10890	47167	47074
25	გორის	36092	30402	38100	38100
26	გურჯაანის	10067	2999	21769	17399
27	დედოფლისწყაროს	–	–	16138	12109
28	დმანისი	–	–	7181	792
29	დუშეთის	741	530	3035	3035
30	ვანის	–	–	322	322
31	ზესტაფონის	–	–	1876	1822
32	ზუგდიდის	–	–	1490	1258
33	თბილისის	3185	3173	176	176
34	თეთრიწყაროს	492	492	8319	6131
35	თელავის	3899	902	22534	22534
36	თერჯოლის	–	–	2057	1511
37	კასპის	12379	9535	16961	16981
38	ლაგოდეხის	–	–	9638	5815
39	ლანჩხუთის	–	–	161	161
40	მარნეულის	30396	24397	32732	32732
41	მარტვილის	–	–	918	–
42	მცხეთის	10906	4760	13173	13173
43	ნინოწმინდის	–	–	4180	1116
44	ოზურგეთის	5265	5265	2451	2423
45	ონის	–	–	45	–
46	საგარეჯოს	6947	2804	28346	23668
47	სამტრედიის	3710	3710	8156	8156
48	სენაკის	–	–	442	442
49	სენაკის	–	–	474	474
50	სიღნაღის	12954	5249	22295	14410
51	ტყიბულის	–	–	18	–

№	1	2	3	4	5
52	ქარელის	6604	4846	17536	16316
53	ყვარელის	6950	3647	9607	9607
54	ჩოხატაურის	–	–	91	91
55	ჩხოროწყუს	–	–	383	210
56	წალკის	–	–	4268	1017
57	წალენჯიხის	–	–	558	–
58	წყალტუბოს	9974	9974	13190	9064
59	ხაშურის	–	–	6239	4839
60	ხობის	–	–	898	–
61	ხონის	6980	6980	8241	730
	სულ:	206578	155786	450974	383435

შენიშვნა: 1930 წლის მონაცემები აღებულია ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატისტიკური ანგარიშიდან. 1988 წლის მონაცემები კი 1987 წელს ჩატარებული მელიორირებული მიწების ინვენტარიზაციის დაზუსტებული მასალებიდან.

დაშრობილი მიწების ფონდი

№№	ადმინის-ტრაციული რაიონების დასახელება	სასოფლო-სამეურნეო საკარგული ჰა
	აუხაზეთის ასსრ	26303
	მათ შორის:	
1	გაგრის	1089
2	გალის	16560
3	გუდაუთის	1308
4	გლურიუმის	2597
5	ხოხუმის	601
6	ოჩამჩირის	4148
	აჭარის ასსრ	3571
	მათ შორის:	
7	ქობულეთის	2471
8	ხელვაჩაურის	1100
9	აბაშის	12031
10	ახმეტის	706
11	ნინოწმინდის	590
12	ბორჯომის	909
13	ვანის	1612
14	მარტვილის	2172
15	გურჯაანის	3208
16	დმანისის	258
17	ზუგდიდის	12380
18	ყვარლის	144
19	ქარელის	351
20	ლაგოდეხის	10298
21	ლანჩხუთის	9210
22	ოზურგეთის	3565
23	ბაღდადის	407
24	სამტრედიის	2503
25	თიანეთის	2989
26	წალენჯიხის	479
27	წყალტუბოს	2090
28	სენაკის	8425
29	ჩოხატაურის	797
30	ჩხოროწყუს	1851
31	ხობის	16324
32	ხონის	772
	სულ:	123945

ნაწილი მესამე

მემ-უარ-ული მოგონებები, ნარკვევები, ჩანახატები

ქვეყნიერებაზე ყოვლისმომცველი საოცრებების, ძველისა და ახლის შემქმნელი – ადამიანია. მაშასადამე, ღვთის წყალობით ის ბუნების მეუფე და უძლიერესი არსებაა სამყაროში. უფლისვე შთაგონებით ადამიანი განაგებს მთელ სამყაროს და კაცობრიობის ბედიც მის ხელშია.

ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანის ჩამოყალიბება დაბადებიდანვე – ყრმობის პერიოდიდან იწყება, როდესაც მისი გონება ჯერ კიდევ დაუწერელ დაფას წარმოადგენს და ყველაფრის ათვისების, ყველაფრის დამახსოვრებისკენ მიისწრაფვის... ამიტომაა, რომ ბავშვობაში ნანახის, განცდილისა და თავგადასავლების დამახსოვრება უფრო ხანგრძლივი და შთამბეჭდავია, ვიდრე იმისა, რაც შემდგომ, მოხუცებულობის ხანაში გარდახდება ხოლმე. მართლაც და, ამ პატარა გონებას, ამ პაწაწინა ტვინს, რამდენი რამის დამახსოვრება შესძლებია, რამდენ რამეს იტევს?!.

მეც, ცხრა ათეულ წელს მიღწეულმა ღვთისმოსავმა, გადავწყვიტე, ჩემს შრომით საქმიანობასთან ერთად გავიხსენო ყრმობის ხანაც და ამიტომ, პატივცემულო მკითხველო, მომიტევე თუ თქვენს ყურადღებას ცოტა ხნით ჩემი ბავშვობის პერიოდში გადავიყვან და მოგითხრობთ ჩემს ზოგიერთ სათავისთავო ამბებს, ზოგსაც სარწმუნოდ გაგონილს.

პირველი სტრიქონის გაქვება

მეექვსე კლასში ვიყავი, როდესაც მასწავლებელმა საზაფხულო არდადეგების წინ დავალება მოგვცა - კოლექტივიზაციის თემაზე პატარა მოთხრობა დაგვეწერა.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ოცდაათიან წლებში ეკონმიკურად როგორ უმძიმესსა და პოლიტიკურად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა კოლექტივიზაცია. მახსენდება, ფოთში რუსეთიდან, უფრო სწორად - კრასნოდარის მხარიდან გასახლებული გრძელწვერა მოხუცები, ბავშვები, ქალები - მთელი ჯალაბობა ცხენების ოთხთვალებზე (დროგებზე) მოკალათებულები დაუსრულებელ ნაკადად რომ მოედინებოდნენ აკაკის ქუჩის გავლით, დღისით თუ ღამით გურიისკენ, თავად კი არც იცოდნენ საით მიემგზავრებოდნენ. მაშინ მთელ ღამეებს ვათენებდით ერთ სულზე 300 გრამი შავი პურის ან ქატონარევი მჭადის მისაღებად. მახსოვს, დიდი შიშიანობის გამო კარგა გათენებამდე ბავშვებს პურის რიგში არ გვიშვებდნენ, აქაოდა, გაბოროტებული გადამთიელები მოიტაცებენო.

1928 წლის ზაფხულის არდადეგები ჩვეულებრივ დედულეთში, სოფელ ონტოფოში გავატარე, სადაც უკვე ჩამოყალიბებული იყო ორი კოლექტივი. ონტოფოში, კულაკი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ ჰყავდათ, მაგრამ იმ დროს ვინც კი შეძლებულად (საშუალოდ) ცხოვრობდა, მრავლად ჰყავდა პირუტყვი, ჰქონდა მიწა და დიდი ოდა-სახლი ედგა, ყველა კულაკად იყო მონათლული და შავ სიაში შეტანილი. მართალია, გასახლებით ონტოფოდან არავინ გაუსახლებიათ, მაგრამ რაც ებადათ, მამა-პაპის მიერ შრომითა და ჯაფით შექმნილი და შეძენილი, უძრავ-მოძრავი ქონება - ყველაფერი ჩამოართვეს. დიდი ოდა-სახლები თემსაბჭოს კანცელარიად, ქოხსამკითხველოდ ან სკოლისათვის გამოიყენეს. განკულაკებულებს მხოლოდ ხულა-სახლები და ეზოში საცალფეხო ბილიკიღა დაუტოვეს.

ასეთი „ვითომ კულაკი“, სოფელში ოთხი თუ ხუთი კომლიღა აღმოჩნდა. დანარჩენები კი, მათ უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ყველა კოლექტივში გააერთიანეს თავიანთი მიწის ნაკვეთებით, ხარ-კამეჩით, ცხენითა და ურმით. აი, ამ ამბების გამგონემ და მნახველმა, მეც რვეულის სამ თუ ოთხ გვერდზე, აღვწერე ყოველივე, სათაურად შევურჩიე „კულაკების განკულაკება“ და არდადეგებიდან დაბრუნებულმა გადავეცი ქართული ენის მასწავლებელს, რომელმაც ხმამაღლა წაიკითხა კლასში და მოიწონა...

კლასის დამრიგებელი, ქართული ენის მასწავლებელიც - დავით კვერნაძე ყოველთვის გვირჩევდა, სისტემატურად შეგვედგინა დღიურები, ჩაგვეწერა ყოველივე მნიშვნელოვანი.

სკოლაში სწავლის პერიოდში ამ დავალებას მუდამ მონდომებით ვასრულებდი, რაც შემდეგ წესად გადამექცა და ბლოკნოტში ყოველთვის ვიწერდი საინტერესო შემთხვევებს, თავგადასავლებს. მათი წაკითხვით ახლაც, ეს ბერიკაცი, სიყმაწვილის ნოსტალგიას ვნებდები, ვიგონებ წარსულს და გადავდივარ იმ სამყაროში, როდესაც ადამიანი მომავალზე ოცნებობს, ცხოვრების უკიდეგანო სივრცეს ეპოტინება, სივრცეს, რომელიც ზღვასავით ბობოქრობს და ახლის ძიებისაკენ მოუწოდებს!

სიყმაწვილის დროინდელი ამბები

ჩემი ბავშვობის ტრფიალი

მართალია, ფოთში არ დავბადებულვარ, მაგრამ ბავშვობის დროის სხვა ცა მე არ მახსოვს. ყრმობის სასიყვარულო ოცნებების პერიოდი ფოთის ცის ქვეშ გავატარე.

მშობლებს ქ. ბაქოში უცხოვრიათ და მეც იქ დავიბადე 1915 წელს. 4 წლისა არც ვყოფილვარ, მთელი ოჯახი რომ გარიდებია აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ატეხილ სისხლის ღვრას და როგორც ლტოლვილები, ქ. ფოთში გადასულან საცხოვრებლად, ასე გავხდით აკაკის ქუჩის ბინადარნი, სადაც ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა გავატარე.

მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა და დღესაც თვალწინ მიდგას იმდროინდელი აკაკის ქუჩა - მოხრეშილი, ალაგ-ალაგ წუმპეებით, დაბალ ბოკონებზე შედგმული ხის სახლების წინ - ჭიშკართან ჩამწკრივებული კამეჩებისა და საქონლის ჯოგით; საღამოობით, ქუჩის ერთ მხარეზე აქა-იქ ხის ბოძებზე ჩამოკიდებული ელექტრონათურების მბჟუტავი შუქითა და ჩაბნელებული სახლებით...

ქალაქის ტრანსპორტს ცხენის კონკა, რამდენიმე ეტლი, „დროგი“ და „ლინეიკა“ წარმოადგენდა. ეტლების მორთულობით პირველობა ყოველთვის ძმებ გეგიძეებს ეკუთვნოდათ. შემოდგომაზე - თითქმის ყოველდღე, ხილითა და სხვა სანოვაგით დატვირთული გურიიდან მომავალი ურმების ჭრიალი არღვევდა ბუნების მყუდროებას...

საღამო ჟამს, შებინდებისას, ტროტუარებზე ლანდებივით გამოჩნდებოდა ხოლმე მარგანეცის მუშათა ჯგუფი, - ნელი ნაბიჯებით, ზლაზვნით მიმავალი, მთელი დღე ნაჯაფი, თავიდან ფეხებამდე შავად გამურული... უცხოურ გემებზე მაშინ ხომ ზურგზე მოკიდებული კალათებით აჰქონდათ მარგანეცი და ამიტომაც, მათ „შავ მუშებს“ ეძახდნენ. ასეთივე დღეში იყვნენ პორტის სხვა მუშებიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი უფრო თეთრად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით, როდესაც პურის ფქვილით სავსე ტომრებს ეზიდებოდნენ, მათ „თეთრ მუშებს“ ეძახდნენ.

ფოთში პორტის მუშები წარმოადგენდნენ ძირითად მუშათა კლასს, რადგან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი საწარმო, ფაბრიკა-ქარხანა ქალაქში არ იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მექანიკურ სახელოსნოს პორტში და ხის სამხერხაოებს მდნარე კაპარჭინის პირად.

ქალაქის ცენტრში იდგა გრანდიოზული საეკლესიო ნაგებობა, რომელსაც „სობორო“ ერქვა. „სობოროს“ მშენებლობა დაუმთავრებელი იყო. შემდგომში იგი თეატრად გადაკეთდა. მის გვერდით დაზიანებული ციხე-კოშკი იდგა. 1865 წლის თურქეთ-რუსეთის ომის დროს აშენებული. ბაზარი ცენტრში იყო, დღეს რომ სასტუმრო „კოლხეთია“, მის მოპირდაპირე - რიონის პირას. იქვე, ბაზართან, აგურის დაბალ შენობაში მოთავსებული იყო დიზელის ელექტროსადგური, რომელიც საღამოობით ანათებდა ქალაქის ცენტრს, ზოგიერთ ქუჩას რამდენიმე მბჟუტავი ნათურითა და ერთადერთ კინოთეატრ „კომეტას“.

როგორც მოზრდილ ადამიანებს, ისე ბავშვებსაც სახეზე მკრთალი, მოჟამული ფერი გადაჰკროდათ. რა თქმა უნდა, მალარიისგან. ქალაქში მალარია მძვინვარებდა ისე, როგორც მთელ კოლხეთში, თუმცა, თავად მე ის არ მომკარებია და რატომ, დღესაც მიკვირს. შემდეგ წლებში კი, როდესაც ფართოდ გაიშალა კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოები, ფოთში და საერთოდ, დასავლეთ საქართველოში მალარია, როგორც გავრცელებული სენი, ლიკვიდირებულ იქნა და ადამიანები გათავისუფლდნენ ამ მძიმე ავადმყოფობისაგან.

თუ როგორ გამოიყურებოდა ფოთი მანამდე, ვიდრე მე პირველად ვნახავდი, კარგად არის აღწერილი ჟურნალ „კლდეში“ გამოქვეყნებულ წერილში და მას დავესესხები რამდენიმე ფრაზას. აი, რას წერდა კორესპონდენტი 1913 წელს:

„...ამ ოცი წლის წინათ პირველად ვიხილე ფოთი. იმ დროს იგი უფრო მოზრდილ სოფელს ჰგავდა, ვინემ ქალაქს. წუმპე-ტალახიანი ბნელი ქუჩები, ხის პატარა სახლები, ჭუჭყიანი უშნო დუქნები, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, უძალღონო, უფერული ხალხი, ირგვლივ ჭაობები... აი, რა იყო იმ დროს ფოთი... 20 წელიწადში კი მშვენიერ ქალაქად გარდაუქმნიათ: დამშრალა ჭაობები... ვრცელი და სწორი მოკირწყლული ქუჩები, ხისა და ქვის ორსართულიანი ლამაზი სახლები, საქონლით სავსე მინით გადახურული ბაზარი და კოხტა დუქნები, პატარა

წყალსადენი, ცხენის კონკა და ელექტრონით განათება - აი, რა ვნახე დღეს ფოთში". ასე ამთავრებს კორესპონდენტი სტატიას და გაკვირვებული სვამს კითხვას: „ნეტავ ვინ მოახდინა ეს სასწაული?! ვინ არის ის ჯადოსანი, რომელმაც გააცოცხლა მკვდარი ფოთი და გარდაქმნა იგი მშვენიერ ქალაქად?!"

ვინ იყო და ნიკო ნიკოლაძე - ცნობილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, შეუდრეკელი ხასიათის, მტკიცე და ენერგიული პიროვნება, სპეტაკი მოქალაქე, რომელიც 1894 წლის 25 ოქტომბერს ფოთის ქალაქისთავად აირჩიეს.

წიგნში „ნიკო ნიკოლაძე", ავტორს - ბატონ აკაკი ბაქრაძეს მოტანილი აქვს 1914 წელს შედგენილი დოკუმენტი, რომელიც მოგვითხრობს თუ რა გაკეთდა ფოთში ნიკო ნიკოლაძის მმართველობის პერიოდში 1894-1913 წლებში. მიზანშეწონილად ვთვლი, ერთხელ კიდევ მივაწოდო იგი მკითხველს:

1. წყალდიდობისაგან აკლებულ ფოთს ულმობელ სტიქიისაგან შველა ესაჭირეობოდა, ამისათვის ქალაქს ირგვლივ მიწაყრილის ჯებირი (დამბა) შემოევლო და ახლა წყალი ისე თავისუფლად ვერ დასეირნობს ქუჩებში, როგორც წინათ;

2. შავ ვარსკვლავზე დაბადებული პორტი მკვდრეთით აღდგენას ლამობდა და გააცოცხლა. ნავსადგურის განახლებით, ფოთსა და საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა. ევროპა დაგვიახლოვა, აღებ-მიცემობა გააძლიერა;

3. გადაჭიმა სამი ხიდი, რომელთაგან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებს და მესამე, ფოთელების მასაზრდოებელ გურიასთან;

4. ახალი ხიდების აგებით, გააუქმა მდინარე მალთაყვაზე და რიონზე ნავებით გადასაყვან-გადმოსაყვანი უზომო გადასახადი გაჭირვებული ხალხის შემავიწროველი;

5. მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი;

6. ააშენა ელექტონის სადგური, რომელიც პორტსა და ქალაქს ანათებს;

7. გააბა ტელეფონის ქსელი;

8. გააკეთა, ნაცვლად დახავსებულ სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების ხის სახლებისა, ლამაზი აგურის ორსართულიანი შენობები, რომელსაც მხარს უმშვენებენ ახლად დაარსებული ქალების და ვაჟების გიმნაზიის ქვის შენობები და სხვა სკოლები;

9. უხერხულ ადგილას მოთავსებული სავაჭრო მოედანი გადაიტანა მოხერხებულ ბინაზე, სადაც აშენებულია გადახურული ბაზარი და სასწორი. იქვე გაკეთებულია ოთხი ქვის დუქანი და სხვა;

10. მოაწყო სასაკლაო და ორი წყლის ამოსაღები გენებიკის სისტემისა, რომელიც მცხოვრებლებს სუფთა წყალს აწვდის.

11. განაახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით ამართა უზარმაზარი ეკლესია ბიზანტიის სტილზე, რომელიც თავისი აგებულებით იპყრობს მნახველთა ყურადღებას;

12. მოუპოვა სამკურნალოს და პოლიციას საკუთარი ბინა;

13. მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი;

14. ნავსადგურში მიმავალი ქუჩების მოკირწყვლა და სხვა გზატკეცილების გაყვანა თუ ძველად ოცნებაში არსებობდა, დღეს სინამდვილედ იქცა.

15. ქალაქის განაპირა ადგილების (ჩოჩხატის აგარაკის) შეძენა ბანკიდან;

16. საქონლის საწყობების გამართვა პორტში და ელევატორში;

17. ნახევარკაპიკიანი საფუთო გადასახადის დაარსება ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ფინანსებისათვის, რომ მისი წყალობით სულდგმულობს ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი...“

ადგილობრივი ბიუჯეტი მნიშვნელოვნად რომ გაიზარდა, ეს 1914 წელს გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებულ წერილშია მოცემული. თუ 1895 წელს ფოთის ბიუჯეტი 75000 მანეთი იყო, 1914 წელს იგი 723327 მანეთს უდრიდა“.

სწორედ ამ ოცი წლის განმავლობაში წარმოჩინდა ფოთი ქალაქად.

ნიკო ნიკოლაძეს დიდი გეგმები ჰქონდა დასახული, მაგრამ 1914 წელს ის ქალაქის თავად არ აირჩიეს მის ირგვლივ უმართებულოდ ატეხილი აჟიოტაჟის გამო. მას განუხორციელებელი დარჩა ბევრი სასიკეთო ჩანაფიქრი, რაც დიდად დააკლდა ქალაქს, მის მომავალს. ზოგიერთი მათგანის გათვალისწინება კი ქალაქს დღესაც დაამშვენებდა.

მაგონდება 1922 წლის შემოდგომის წყალდიდობა, რომელიც ფოთისათვის ყველაზე დიდი წყალდიდობა იყო და ამასთან, ჯერჯერობით უკანასკნელიც (ღმერთმა ნუ ქნას განმეორება). ამ სტიქიის შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ 1922 წლის 4 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობა იუწყებოდა: „...ახლა, როდესაც სოფლის მუშები გახარებული იყვნენ კარგი მოსავლის გამო - აი, ამ დროს მოხდა საშინელი სტიქიური უბედურება, წყალდიდობა. ა.წ. ოქტომბრის 24-25 ღამეს ნაპირებიდან გადმოხეთქა მდინარე რიონმა, აბაშის წყალმა, ნოღელამ... ყველა ამან გამოიწვია უნახავი წყალდიდობა. 1915 წელს იყო წყალდიდობა, მაგრამ ამის ახლანდელთან შედარება შეუძლებელია და მოსახლეობას ამდენი ზარალი არასდროს უნახავს“...

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ საიდან დაიწყო წყალდიდობა, გავეცნოთ ფოთის აღმასკომის ანგარიშს, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ 1922 წლის 11 ნოემბრის ნომერში: „...26 ოქტომბერს დილის 10 საათზე მივიღეთ ცნობა, რომ ჯუმათის რაიონში მდინარე რიონმა გადმოხეთქა და მიიღო მიმართულება ფოთისაკენ. აშკარა იყო ჩვენთვის, რომ ფოთს დიდი საშიშროება მოელოდა. ამისათვის ქ. ფოთში სასწრაფოდ შედგა წყალდიდობის წინააღმდეგ ზომების მიმღები კომისია... კომისიამ აიღო თავისი ამოცანები და სასწრაფოდ შეუდგა მოვალეობის ასრულებას...

მიღებული იქნა ყოველივე ზომები კაპარჭინის დამბის შემაგრებისათვის, საიდანაც ჩვეულებრივად გადადის წყალი და მოელის საშიშროება, მაგრამ ყოველივე ცდამ და ზომების მიღებამ უნაყოფოდ ჩაიარა. აღნიშნულმა მდინარემ 26 ოქტომბერს

დილიდანვე სწრაფად მოიმატა. ვერავითარმა ძალამ ვერ შეაკავა და საღამოს 7 საათზე დამბების ორი თავი - ერთი პარკის აღმოსავლეთით და მეორე - ნახუტურისკენ დასავლეთით, გადმოხეთქა...

...მიუხედავად ჩვენს მიერ მიღებული ზომებისა, ქალაქი ორი საათის განმავლობაში გაივსო წყლით და ყოველი მისი კუთხე შველას თხოულობდა, ქუჩებზე ყველგან დაუბრკოლებრივ დაცურავდნენ დიდი ზომის ნავები და ამგვარად, დაბალ სახლებში მცხოვრებნი სასწრაფოდ გადაყავდათ უფრო საიმედო ადგილზე. ღამის 11 საათზე წყალმა ნახევარ არშინიდან 2 არშინამდე აიწია, ხოლო 27-ში დილით 4 არშინამდე ავიდა. წყლის დენა ყველა ქუჩაზე ისე მაგარი იყო, რომ საცურავი საშუალებები დიდი გაჭირვებით მოძრაობდნენ. 27-ში მთელ დღეს წყალი ერთ ზომაზე იდგა, ხოლო საღამოს იწყო ცოტ-ცოტად კლება... მთელ ქალაქს ეხლავე მოედო ჩვეულებრივი მალარია და მრავალი სხვაგვარი გაცივებით გამოწვეული ავადმყოფობა - საექიმო დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან წამლები და სხვა საექიმო საშუალებები ქალაქში სრულებით არ მოიპოვება, განსაკუთრებით კი ხინა“ (ძველი საზომი არშინი 71 სანტიმეტრია).

დიახ, 26 ოქტომბერს, საღამოს, მდინარემ კაპარჭინის ნაპირის გარღვევით პარკისა და ნახუტურის მოსახლეობა ააწიოკა, ატყდა სანადირო თოფების სროლა, კივილ-წივილი, ოთხფეხა საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა და ფრინველთა კრიახი, ჟივილ-ხივილი... პანიკამ მოიცვა ხალხი, მაგრამ როგორც კი წყლის დონემ საკმარისად მოიმატა ისე, რომ ნავებს შეეძლოთ მოძრაობა, ქუჩებში გაჩნდნენ მთავრობის მაშველი რაზმები მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებში გადასაყვანად. ჩვენები მოემზადნენ წასასვლელად, შუათანა და ავად გვყავდა და ამიტომ, პირველ რიგში გაგვიყვანეს... თვალწინ მიდგას სურათი, თუ როგორ მატულობდა წყლის დონე კიბის საფეხურებზე; ფიცრის ღობეები წყალმა წაიღო და ქუჩა და ეზოე-

ბი გააერთიანა, ზღვა იყო ირგვლივ... კიდევ კარგი, მთვარე ანათებდა არემარეს და ნავი კარგად მოაყენეს კიბესთან. ჩაგვსხეს ნავში ლოგინიანად და მოგვათავსეს ქალთა გიმნაზიის შენობაში (ახლანდელი პირველი საშუალო სკოლა). ქალაქის აღმასკომი შეძლებისდაგვარად მზრუნველობას არ აკლებდა გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას - კვება უფასო იყო. იქ ვიყავით თითქმის ერთი კვირა...

წყალდიდობის შემდეგ დაიწყო ფოთის შემოგარენის გამაგრება მიწის დამბებით სამი მხრიდან. მდინარე რიონის მარცხენა ნაპირის დამბა რკინიგზის სადგურის ხიდიდან იწყებოდა, მიუყვებოდა პარკის უბანში მდინარე კაპარჭინის მარჯვენა ნაპირს და ნახუტურის გავლით მალთაყვამდე გრძელდებოდა. ამ დამბის მშენებლობა 1925-1927 წლებში წარმოებდა ცხენის საზიდრებით, გადასატან რელსებზე.

თიხა-მიწის 2 მეტრამდე სიმაღლის დამბა დიდხანს ემსახურებოდა ქალაქს, მაგრამ შემდეგ უყურადღებობის გამო წყლის პირად მცხოვრებლებმა დააზიანეს, გადაჩიჩქნეს, გადათხარეს დამბა მთელ სიგრძეზე და ამით ისევ საშიშროების წინაშე დააყენეს მოსახლეობა. წყალდიდობა ისევ დაემუქრება ქალაქს, თუ მომავალში დამბები არ იქნა აღდგენილი.

რადგანაც წყალდიდობის თემას შევეხე, ერთ საკითხსაც გავიხსენებ: რიონთან შებრძოლება ცოტა არ იყოს სარისკო საქმეა... მისი დამორჩილება მარტო ნაპირების გამაგრებით ძალზე რთულია. 40-50 წლის წინათ გაკეთებული მიწის დამბებს ბევრ ადგილას მდინარე მიადგა და რეცხავს, არღვევს, რასაც ძირითადად მდინარის კალაპოტში კუნძულების წარმოშობა იწვევს, ამიტომ, მდინარის ნაპირების დაცვის ერთ-ერთ ღონისძიებად მიჩნეული უნდა იქნეს, აგრეთვე, მდინარის კალაპოტის გათავისუფლება იქ წარმოქმნილი კუნძულებისგან (ამის თაობაზე ზემოთაც ითქვა). ეს რამდენადაც მალე და სრულყოფილად გაკეთდება, მით უფრო ადრე ავიცილებთ წყალდიდობისგან მიყენებულ ზარალს.

მცირედი გადახვევის შემდეგ მივუბრუნდები ჩემი ფოთის ავ-კარგს. ნიკო ნიკოლაძის შემდეგ პერიოდში ბევრი არაფერი შემატებია ქალაქს. ერთი ის იყო, რომ ოცდაათიან წლების მიწურულს „კონკის“ მეორე ხაზი გაიყვანეს გურიის (ახლა წმინდა თევდორეს) ქუჩაზე, ქალაქის ცენტრიდან ნახუტურამდე და მან რამდენიმე წელიწადი იმუშავა. ასე რომ, ცხენის „კონკა“ ორი მარშრუტით მუშაობდა ფოთში: ცენტრიდან პორტამდე და ცენტრიდან ნახუტურის სკოლამდე. კუნძულის კონკას უფრო მეტად კარგად გამოკვებილ, ღონიერ ცხენებს უბამდნენ, ნახუტურის ხაზზე კი უმეტესად ჯაგლაგ ცხენებს აგზავნიდენ, რომლებიც ძლივს მიაგორებდნენ ნახევრად ცარიელ კონკას. ნახევრად ცარიელს, იმიტომ ვამბობ, რომ ვისაც ეჩქარებოდა, ის ფეხით უფრო ადრე მივიდოდა სახლში.

კონკასთან დაკავშირებით ერთი ნამდვილი ამბავი მინდა გავიხსენო: 1932 წელია... ინდუსტრიული ტექნიკუმის მესამე კურსზე ვარ და პრაქტიკას გავდივარ დიდ მაცივარში - პორტში, რომელიც დინამოს სტადიონის გვერდით იყო აშენებული უცხოელების მიერ და საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა (ამჟამად შენობა აღებულია).

როგორც აღვნიშნე, ორივე მიმართულების კონკის მოძრაობა ქალაქის ცენტრიდან იწყებოდა, იქ სადაც ჭადრების დიდი ხეივანი იყო. ერთ დღეს, დილით მგზავრები ველოდებით კონკას კუნძულიდან, ის კი არ ჩანს. ვიღაცამ ამბავი მოიტანა - კონკას ნუ ელოდებით, აღარ იმუშავებსო... ჩვენც ფეხით დავადექით გზას პორტისკენ, და რას ვხედავთ: კუნძულის მეორე ხიდთან დაეწყოთ კონკის რკინიგზის აყრა. რაში იყო საქმე, არავინ იცოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქში ხმა დაირხა: იმ დღეებში თურმე წყალტუბოსკენ მიმავალ იოსებ სტალინს გამოუვლია ფოთში მხლებლებთან ერთად (რასაკვირველია, ფარულად) და პორტიდან ქალაქში კონკით უმგზავრია. ჯაგლაჯ ცხენს ქალაქის ხიდთან შემაღლებულ მისადგომზე ვერ გაუწევია კონკა და მეეტლეს ჩვეულებრივ მგზავრებისათვის მიუმართავს

თხოვნით - დახმარებოდნენ ცხენს... ყველა ჩამოსულა კონკიდან და შეძახილით - აბა, ერთად! - კონკა ხიდზე აუგორებიათ. კონკაში მაშინ სტალინი იყო თუ არ იყო, არავის შეუნიშნავს, მაგრამ მეორე დღეს კონკა რომ მოაშორეს ფოთს, ეს ნამდვილად ვიცი, და რამდენიმე კვირის შემდეგ ფოთში პირველად გამოჩდნენ ახალი ერთკარიანი ავტობუსები და კონკის ნაცვლად ავტობუსებით ვსეირნობდით... დიდი სიხარული იყო პირველი „ცივილიზაციის“ ეპოქის სატრანსპორტო საშუალება - „ავტობუსი“.

სტალინის ფოთში ყოფნაზე ინფორმაცია მაშინ გაზეთებში არ გამოქვეყნებულა, მხოლოდ 1940 წელს, საქალაქო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელში“ გამოქვეყნდა ახალგაზრდა პოეტის ალექსანდრე თოფურიას (ჩემი თანაკლასელი და იმ წიგნის რედაქტორია, რომელსაც თქვენ ახლა კითხულობთ) ლექსი „სტუმარი“ რომელსაც წამძღვარებული აქვს ლ. ბერიას სიტყვები: „1932 წელს სტალინი იყო ფოთში და დაათვალიერა იგი. საჭიროა, რომ ამხანაგ სტალინის შემდეგი ჩამოსვლისათვის ქ. ფოთის სახემ, კოლხიდის სახემ განასახიეროს მის მითითებათა განხორციელება და გახდეს ბელადის შეხვედრის ღირსი“.

აი, ორი სტროფი იმ ლექსიდან:

„გათენდა... ახლა კოლხეთო
წყაროს სვამ უკვდავებისას,
შრომამ დიდებით მოგხედოს
მისი სტუმრობა გაღირსა, -
ვინაც მწირსა და უბედოს
ელფერი მოგცა ბაღისა.
ვინც დაგვიბრუნა „არგო“-დან
ნარინჯად „ოქროს საწმისი“,
ამ ლეგენდარულ დაბლობთან
მასპინძლები ვართ აწ მისი,
სტუმარს ათასი მადლობა...
მაღლა ქართული სასმისი“.

ჩემი ბავშვობის დროს აკაკის ქუჩაზე, ერთი საშუალო სკოლა (ათწლიანი) და ერთიც არასრული საშუალო სკოლა (შვიდწლიანი) იყო. მე ვსწავლობდი შვიდწლიან სკოლაში, რომელიც დღესაც დგას ჰიდროტექნიკუმის პირდაპირ, მაშინ ჰიდროტექნიკუმის შენობის ადგილზე სომხური ეკლესია იდგა - დაუმთავრებელი, რომლის ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით, როცა გაკვეთილი გაგვიცდებოდა.

ამ სკოლაში მეხუთე კლასიდან სხვადასხვა უბნისა და ახლო სოფლების 4 კლასიანი სკოლებიდან მოდიოდნენ ბავშვები და გვიხდებოდა ახალი ამხანაგების შეძენა და მათთან დამეგობრება. ჩემი კლასი ნამდვილად ინტერნაციონალური იყო, რასაც მაშინ ოდნავადაც ვერ ვამჩნევდით და ვერც ვარჩევდით. ჩემთან ერთად სწავლობდნენ და შემდეგაც კარგი მეგობრობა გვქონდა: ალიოშა ათენდულოვი, ლაზო სიხალიდი, ვიტალი ყარამურზა (მისი დედა მათემატიკას გვასწავლიდა), ვანო ვოიტენკო, ალიოშა თოფურია, ხუტა გვიჩია, ილიკო მალანია, ოცია პაიჭაძე, შალვა ამირანაშვილი - შემდეგ ცნობილი მეცნიერი და სხვები. გვყავდენ ჩინებული მასწავლებლები: ალექსი ცანავა (სკოლის დირექტორი), აკაკი ფაღავა, ალექსი ტუღუში, ნუცა ჩხეიძე, იასონ ამირანაშვილი (აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის მამა), ალექსანდრე გვასალია, დავით კვერნაძე, ვარლამ პაჭკორია, ნესტორ (ხიტუ) ჯაიანი, პირველ 4 წელიწადს ჩემი კლასის დამრიგებელი იყო კეთილი, სათნო და საყვარელი ნადია მასწავლებელი, გვარად კასრაძე - თბილისელი. მართლაც და, გასაოცარია, ახლაც თვალწინ რომ მიდგანან შვიდი ათეული წლის წინანდელი საყვარელი მასწავლებლებისა და თანაკლასელი ამხანაგების, მეზობლებისა და მეგობრების ნათელი სახეები. ყველა თქვენგანსაც კარგად ახსოვს ბავშვობის წლები... ისინი მეხსიერებაში არ ბერდებიან, არც კვდებიან და სიცოცხლის და აზროვნების მარადიული თანამგზავრები არიან.

1929 წელს დავამთავრე ჩემი საყვარელი 7-წლიანი სკოლა და საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩამრიცხეს

ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც მაშინ საქართველოში სახელგანთქმული სასწავლებელი იყო. აქაც შესანიშნავი პედაგოგები მუშაობდნენ, რომლებიც თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას უანგაროდ ახმარდნენ ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას, ესენი იყვნენ ფილიმონ ნადარეიშვილი და დავით ჩოჩია, პავლე ქორქია და პარმენ გორგოძე, პეპა (ასე ვიცი დღესაც) მაღლაკელიძე და სხვები.

თეორიულ სწავლებასთან ერთად, საუკეთესოდ მოწყობილ მექანიკურ და ხის დამამუშავებელ სახელოსნოებში გამოცდილი ოსტატები გვასწავლიდენ საზეინკლო და სადურგლო საქმეებს, ელეტროტექნიკას...

1932 წლის დასასრულს საქართველოში დაიწყო რეფორმები განათლების დარგში (ეს ის დროა, როდესაც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების სწავლება სკოლებში აკრძალული იყო). მაშინ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ფართო გასაქანი მიეცა პედაგოგიურ განათლებას და მთელი რიგი რეორგანიზაციები ჩატარდა. ჩვენი ინდუსტრიული ტექნიკუმიც გადაკეთდა პოლიტექნიკური შრომის პედაგოგიურ ტექნიკუმად და 1933 წელს ჩვენი კურსი გამოუშვეს პირველად, ახალი წოდებით: ტექნიკოს-მექანიკოსი და შრომის მასწავლებელი. იმავე წელს მოხდა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის პირველი გამოშვებაც. ეს ტექნიკუმი 1929 წელს თბილისიდან გადმოიტანეს, რომელმაც სწრაფად მოიხვეჭა კარგი სახელი. იმავე წლის სექტემბერში დავიწყე მუშაობა „კოლხიდმშენის" სამმართველოში - ტექნიკოსად. აქედან დაიწყო ჩემი შრომითი საქმიანობა და ცხოვრების ფერხულში ჩაბმა.

კოლხეთი, ლეგენდებისა და მითების მხარე, ფაზისი - მედეას ხანაში წალკოტად აყვავებული ქვეყანა, ჭაობში იძირებოდა, გატყევებული, ოლე-საფლობად იყო ქცეული... და აი, ასრულდა ხალხის დიდი ხნის ოცნება... დაიწყო კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოები. მე წილად მხვდა ბედნიერება, ცხოვრებაში დამოუკიდებელი ნაბიჯი სწორედ აქ, ფოთში,

კოლხეთის ჭაობიდან გამოხსნისათვის დაწყებული ლაშქრობის ცენტრში გადამედგა.

სამუშაოთა ტემპი დღენიადაგ იზრდებოდა. მაშინ სამმართველოს უფროსი იყო ბესარიონ გოგია, დარბაისელი, სპეტაკი ადამიანი, რომელსაც ამავე დროს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის პოსტიც ეკავა, ამიტომაც, თბილისიდან ხელმძღვანელობდა მშენებლობას და ფოთში დროგამოშვებით ჩამოდიოდა. მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელი იყო ინჟინერი ემელიანე ნოდია, მთავარი ინჟინერი კი გრიგოლ გეგეჭკორი გახლდათ, დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი, კეთილი და კოლორიტული პიროვნება.

მე, ახალბედა ტექნიკოსს, როგორი ახლო ურთიერთობა მექნებოდა ისეთ გამოცდილ, ბევრისმნახველ ინჟინერთან, როგორიც ბატონი გრიშა გეგეჭკორი იყო, რომ მასზე ბევრი რამეს მოყოლა შემეძლოს, მაგრამ მასთან იშვიათი შეხვედრებიდან მაინც დამრჩა ზოგიერთი რამ მოსაგონარი:

ჯერ ერთი, ეს „პატარა ბიჭები“ მას სალამის მიცემას ვერ ვასწრებდით, გვხიბლავდა მისი ელეგანტურობა და მარილიანი საუბარი. როდესაც გზაზე მიმავალს შევხვდებოდით, შეჩერდებოდა, ხელს მაგრად ჩამოგვართმევდა, რიხიანად მოგვიკითხავდა „როგორ ხართ ყმაწვილებო“...

ერთხელ მასთან ერთად მომიხდა წასვლა სამშენებლო ობიექტზე ყორათის უბანში. არხის გათხრაზე მომუშავეებს, რომლებიც ძირითადად სვანები იყვნენ, მოიკითხავდა ყველას, იცნობდა თუ არ იცნობდა, ზოგს სამუშაოს მოუწონებდა, ზოგს შენიშვნას მისცემდა. აუცილებლად ჰკითხავდა - ხომ არ გიჭირთ რამეო? თუ ვინმე შესჩივლებდა უფულობას, გაიკრავდა ხელს ჯიბეზე და გაუწოდებდა ფულს, თან შეეკითხებოდა - გეყოფაო? და დააყოლებდა „არ დაგავიწყდეს... ბრიგადირს მოახსენეო“.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს საწარმოო თათბირი მოიწვია სოფელ ქვალონში, რომელსაც მექანიზაციის განყოფილებიდან მე და ჩემი ამხანაგი, ტექნიკოსი შოთა იოსავა უნდა

დავსწრებოდით... ჩვენ უკვე ქვალონის სამშენებლო სამმართველოს შენობაში ვართ. ზუსტად ხუთ საათზე ბატონი გრიშა, რეზინის მაღალყელიანი ჩექმებითა და ბრეზენტის სპეცტანსაცმელში გამოწყობილი, პირდაპირ სამუშაო ობიექტიდან მოვიდა თათბირზე, სამმართველოს უფროსის, ახალგაზრდა ინჟინრის, ვლადიმერ შუბლაძის თანხლებით.

ოთახში მყოფთ მოგვესალმა, ბევრნი ვიყავით. მერე შემოგვხედა ჩვენ ორივეს, ჩვეულებისამებრ მარჯვენა თვალი მოჭუტა და ოდნავ თავგადაწეულმა, ღიმილით მოგვმართა: - თქვენ, ყმაწვილებო, რა, თეთრ შარვალ-ხალათებში აპირებთ კოლხიდის დაშრობას?! ეს ისე ლაკონიურად იყო თქმული, რომ ყველას გულიანად გაეცინა, ჩვენც გავიღიმეთ, მაგრამ, ვაი, ამ გაღიმებას - სირცხვილისაგან ალმური აგვივიდა სახეზე. თვალი რომ გადავავლე იქ მყოფთ, ჩვენს გარდა თეთრი ხალათი მართლაც არავის ეცვა.

უყვარდა ბატონ გრიშას ახალგაზრდა სპეციალისტები და მათ ზრუნვას და ყურადღებას არ აკლებდა. ამიტომ იყო, იმ ხანებში კოლხიდმშენში ინჟინრები, აგრონომები და სხვა სპეციალობის მუშაკები ძირითადად ახალგაზრდები რომ იყვნენ, რომლებიც შემდეგ გამოჩენილ ხელმძღვანელებად და სწავლულებად მოგვევლინენ.

ფოთელებმა და განსაკუთრებით წყალთა მეურნეობის დარგის მუშაკებმა არ უნდა დაივიწყონ კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოთა დამფუძნებლები, პირველი თაობის ამაგდარი ენთუზიასტი სპეციალისტები: ემელიანე ნოდია, გრიგოლ ზამბახიძე, ანდრო გაბუნია, ვალოდია შუბლაძე, ლევან კიკნაძე, არჩილ ბირკაია, ალიოშა მოწერელია, ჟორა ჯაფარიძე, არჩილ კვეკვეცია, იპოლიტე თოფურია, კოტე შელია, ბიქტორ სახეიშვილი... და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლაც გამიჭირდება.

ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი სახელმწიფოებრიობა განმტკიცდება, ეკონომიკურად მომძლავრდება, ფართოდ გაიშლება დამშრობი სისტემების აღდგენითი სამუშაოები და

მაშინ უნდა გაგრძელდეს მუშაობა კოლხეთის აღორძინების ისტორიის წიგნზე, რომლის შექმნის დიდი ენთუზიასტი იყო ბატონი ბორის ინასარიძე, 80-იან წლებში ტრესტ „კოლხეთმშენის“ მმართველი.

ტრესტ „კოლხეთმშენის“ (წინათ „კოლხიდმშენის“) ხელმძღვანელებად სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: ილია ლაღიძე, ანდრო გაბუნია, ლევან კიკნაძე, ბონდო კვატაბიძე, ბორის ინასარიძე, ამირან გაწერელია, ვლადიმერ ხურცილავა და ბოლო პერიოდში - მის „დაქცევამდე“ - კარლო ბულია.

„კოლხიდმშენის“ სამმართველოში ჩემი მუშაობის ორი წლის პერიოდში ფოთი გაიზარდა და თანდათან კეთილმოწყობილი გახდა. 1935 წლის 1 იანვარს ახალმოსახლეობა ვიზეიმეთ 3 სართულიან ახალ შენობაში, კუნძულის ცენტრში, სადაც ახლა ქალაქის მერიაა მოთავსებული. კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობდა ქალაქის ყველა უბანში, მოასფალტდა ცენტრალური გზები, გაუმჯობესდა ელექტროენერგიის მოწოდება, გაყვანილი იქნა წყალსადენი. მეც შრომას და ადამიანებთან, კოლეგებთან ურთიერთობას ვეჩვეოდი.

მექანიზაციის განყოფილებაში, სადაც ტექნიკოსად დავიწყე მუშაობა, დამხვდნენ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობით, პატიოსნებითა და გულისხმიერებით. ესენი იყვნენ ინჟინრები: ანდრო გაბუნია და ბიქტორ სახეიშვილი. უწინარეს ყოვლისა, რაც იმათგან შევითვისე - აღვიქვი, ეს იყო პატიოსნად და უმწიკვლოდ მუშაობა, სხვებისადმი ყურადღება და დახმარების გაწევა პრინციპით: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. დღემდე მომყვება ასეთი ჩვევა, როგორიც არ უნდა იყოს სამსახურებრივი (თუ სხვა) დავალება, ვცდილობ, ყოველთვის დაპირებულ ვადაში შევასრულო.

1934 წლის მაისში დამავალეს მიწის სათხრელი მექანიზმების გამომუშავების ნორმების გადამოწმება. ამ მიზნით უშუალოდ სამუშაო ობიექტზე მომიხდა წასვლა. ეს იყო რკინიგზის ხორგის ბაქანთან ახლოს. მაგისტრალური არხის გათხრაზე მომუშავე

ექსკავატორის მიერ ფაქტობრივად ამოღებული მიწის მოცულობა უნდა დამედგინა, ცვლების მიხედვით. ამ სამუშაოს ფრანგულ ენაზე „ქრონომეტრაჟი“ ჰქვია. დღესაც თვალწინ მიდგას, როგორ მოხერხებულად თხრიდნენ ბულდოზერებით ასწლოვან ხეებს და გაუვალ ჭაობში გზას უკაფავდნენ ექსკავატორებს, როგორი თავდადებით მუშაობდნენ მემანქანეები. ისინი დღის თუ ღამის ცვლაში ბევრად მეტი მოცულობის მიწას თხრიდნენ, ვიდრე მანქანის მარკის მიხედვით ნორმით იყო გათვალისწინებული. დიახ, გმირულ შრომას ეწეოდნენ როგორც მექანიზატორები, ისე ხელით მიწის მთხრელი მუშები.

დაუვიწყარია მაისის ის ღამე ხორგის ტყეში... მყუდროებას, ამ უკიდეგანო ჭაობიან ტყეში, არღვევდა რკინის, მუხლუხა მანქანების რიტმული მუშაობა, რკინის ნაწილების ღრჭიალი, ცადაწვდილი ხეების მიწაზე დანარცხების ექო-ტლაშუნი, შემდეგ კი დილით ანაზდად ჩამოვარდნილი სიჩუმე... ფრინველთა ჩუმი, დამფრთხალი სტვენა-გადაძახილი... სადღაც, შორიდან ტურის კივილი, თხმელისა და კოპიტის ფოთლების შარი-შური... დილის გარიჟრაჟი ტყეში - ეს ხომ საოცრებაა... მას სიხარულით და აღტაცებით ეგებება ჯერ ფრინველთა სამეფო, ხოლო შემდეგ მთელი სამყარო.

ასე ნათლად დამამახსოვრდა ხორგის ტყეში გატარებული დღე-ღამე.

დღეს ფოთსა და ჭალადიდს შორის რომ კარგი შარაგზაა გაყვანილი მშვენიერი ხეივნით, მისი მშენებლობა 1935 წელს დაიწყო. მთელი გზა განაწილებული იყო ორგანიზაციებზე. „კოლხიდმშენისა“ და „გრესის“ (საქართველოს რესპუბლიკური საექსკავატორო სადგურის) კოლექტივებს დავალებული ჰქონდათ 1935 წლის აგვისტომდე დაემთავრებინათ ორი კილომეტრი გზის მონაკვეთის გაყვანა... რასაკვირველია, ეს დავალება პირნათლად შესრულდა. ჩემი თაობის ფოთელების ნაამაგარი, შაბათობებით გაყვანილი გზა დღეს ქალაქ ფოთის მშვენებაა. ჩვენი კოლექტივისათვის მოზომილ მონაკვეთში გზის გაყვანაზე

აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კოლხეთის ჭაობების დამშრობი სისტემების მშენებლობის პირველი ეშელონის ახალგაზრდა ტექნიკოსები: კალე ბერაძე, რაჟდენ ჟღენტი, თამარ ჯორჯიკია, მეგი პაჭკორია, ზინაიდა ანთაძე, კალე თავაძე, ლეო ზერაგია, ამ სტრიქონების ავტორი და ბევრი სხვა.

კოლხიდმშენის სამმართველოში მუშაობის ხანმოკლე პერიოდი ჩემთვის დიდი ცხოვრებისეული სკოლა იყო.

ჩემი დაუვიწყარი დედულეთი

ონტოფო, ჩემი დედულეთი, ერთ-ერთი ლამაზი, მრავალკომლიანი სოფელია აბაშის რაიონში. სოფელს ჩამოუდის მდინარე ნოღელა, უამრავი წისქვილებით. დიდი წვიმების დროს, მახსოვს, ეს პატარა ნოღელა ისე მოდიდდებოდა, რომ ჭალები მთლიანად იტბორებოდა და წყალი ზოგჯერ გზებზედაც გადმოდიოდა.

ბავშვობაში ყოველ ზაფხულს დედულეთში ვატარებდი. ლამაზ, ჩუქურთმებიან ოდა, სახლის წინ იდგა დიდი კაკლის ხე და ჭადარი. მწვანედ მობიბინე ეზოში, კაკლის ხისა და ჭადრის განიერი ტოტების ჩრდილში, შუადღითაც არ იგრძნობოდა მზის მცხუნვარება. ძალიან მიყვარდა სოფელში ჩასვლა... ჯერ საყვარელი ბებია და ბაბუა მეგულებოდა, შემდეგ კი დეიდა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დისშვილების სიყვარულსა და დედით ობოლი ძმისშვილის აღზრდას შეალია და ღრმა მოხუცებული ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ საკუთარი ოჯახი ვერ შექმნა.

სკოლაში საზაფხულო არდადეგების დაწყებისთანავე მივიჩქაროდი ონტოფოსკენ. სადგურ აბაშიდან ჩვენს სახლამდე 8 ვერსამდე მოხრეშილი გზატკეცილი იყო, რომელიც ბანძის გავლით მარტვილამდე გრძელდებოდა.

ყოველ დილით, აბაშის სადგურის უკან, მოედანზე, მგზავრებს ელოდებოდნენ მწკრივში მდგარი ეტლები და დილიჟნები, ეჟვნებიანი ცხენებით. მატარებელი ჩამოდგებოდა თუ არა, ატყდებოდა მეეტლეთა შეძახილი: აბა, აქეთ - ონტოფო, სუჯუნა, ნაესაკოვი, ბანძა, მარტვილი!..

ეტლით მგზავრობა ძალიან მსიამოვნებდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მეტელე მის გვერდით, კოფოზე დამსვამდა; გაზაფხულზე გზაც კარგად იყო დატკეპნილი და ეტლიც კარგი თუ შეგხვდებოდა, ისე მსუბუქად და დაუნჯღრევლად მიგორავდი ტახტივით სწორ შარაგზაზე, რომ ვერც კი ვგრძნობდით დაღლას... არ მსიამოვნებდა უკან დაბრუნება, რადგან აგვისტოს შუა რიცხვებიდან, როდესაც გლეხობას შედარებით მეტი თავისუფალი დრო რჩებოდა მოსავლის აღებამდე, იწყებოდა გზის ბეგარის გადახდა; მთელი სოფელი გამოდიოდა ურმებით და გზაზე ერთიმეორეზე მიჯრით ხრეშს აკოკოლავებდნენ. თითოეულ ოჯახს მიზომილი ჰქონდა გზის მონაკვეთი. ვისაც ხარ-კამეჩი არ ჰყავდა და ურემი არ ჰქონდა, ნაქირავები გამწევი ძალით იხდიდა ბეგარას. ამ პერიოდში, ასეთ გზაზე, ეტლი ძალიან ინჯღრეოდა და მგზავრობაც მომქანცველი იყო.

ონტოფო ვაკეზეა გაშლილი, მაგრამ ძალზედ ლამაზი სოფელია. მაღალი, ცამდე აწვდიდი ალვის ხეებით, ჩრდილიანი ჭადრებით, მწვანედ მობიბინე დიდი ეზოებით - ყვავილნარებით შემკული სოფელი. თითქოს სავალდებულოდ ითვლებოდა, ყოველი სახლი და ეზო ნაირნაირი ფერის ვარდისა და ყვავილების ბუჩქებით ყოფილიყო დამშვენებული.

მაშინ ოდა-სახლები, თითქმის ყველა, ხისგან იყო ნაგები, ბეტონის ან ქვის ბოკონებზე შედგმული. ბოკონების სიმაღლე უმეტესად ერთ მეტრს არ აღემატებოდა. სახურავი ძირითადად ყავრისა ჰქონდათ, იშვიათად - კრამიტისა. სამზარეულო და ხულა-ქოხები კი ზოგან ისლითაც იყო გადახურული. ჩემი ბავშვობის პერიოდში სოფელში ზაფხულობით ძალიან კარგი ახალგაზრდობა იყრიდა თავს. უმეტესად სტუდენტობა და

თითქმის ყოველ ზაფხულობით საღამო-ალეგრეები იმართებოდა, ხან ვის და ხან ვის ეზოში. საამისოდ საჭირო იყო დიდი ეზო ოდა-სახლით. ასეთი საღამო ჩვენს ეზოშიც მოეწყო რამდენჯერმე. დიდი სიხარული იყო ბავშვებისათვის ალეგრობა და საზაფხულო ბაზრობა - იარმუკობა, რომელიც იმართებოდა სოფლის ცენტრში - დოხორეკარში, სადაც ხისგან ნაგები წმინდა ბარბარეს სახელობის დიდი ეკლესია იდგა.

ალეგრა - საღამოებიდან შემოსული სახსრები სოფლის კეთილმოწყობას, სკოლის, კლუბისა და ქოხსამკითხველოების შეკეთებას ხმარდებოდა.

ჩვენი ეზოს პირდაპირ ცხოვრობდნენ დედაჩემის ბიძაშვილები, გვარად დარჯანიები. ხუთი ძმა და ერთი და, ობლად იზრდებოდა. მათი დედა - ელენე, გვარად ხაფავა, მშრომელი ქალი იყო. მისი ცხოვრების მაგალითი იმიტომ მინდა გავიხსენო, რომ წარმოდგენა იქონიოთ (მით უმეტეს, ახალგაზრდებმა) თუ რა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას მისდევდნენ ჩვენი წინაპრები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, ჩემს ონტოფოში და როგორ შრომა-ჯაფას ეწეოდნენ ისინი.

ბიცოლა ელენეს, ჩემი ბავშვობის პერიოდში, შვილები მოზრდილები ჰყავდა და ისინი გვარიანად ეხმარებოდნენ მას შრომაში, საკმაოდ მოზრდილი ოდენობის მიწის ფართობის დამუშავებასა და სხვა საოჯახო საქმეებშიც. სახლის წინ დიდი ეზო სახნავსათესად ჰქონდათ გამოყენებული. თესავდნენ მრავალნაირ კულტურას: გაზაფუხლზე ითესებოდა ხორბალი, რომელსაც ივლისაგვისტოს თვეში ნამგლით მკიდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ კალოზე გალეწავდნენ ხოლმე კევრით. კევრში შებმული ჰყავდათ მოზვრები და მეც მქონდა ბედნიერება კევრზე ვმჯდარიყავი.

თესავდნენ ბამბას, შევსწრებივარ მის კრეფას და დაბინავებას. რგავდნენ თამბაქოს. როდესაც ფოთლები გაიზრდებოდა და ოდნავ ფერს შეიცვლიდა, შეატეხავდნენ, ძაფზე ააცმევდნენ, მზეზე აშრობდნენ. მერე სარდაფში დატენიანებულს წვრილად დაჭრიდნენ და ეწეოდნენ ან ჰყიდდნენ.

თესავდნენ ღომის ღომს. ეს მცენარე წააგავს ცოცხს, მხოლოდ უფრო მსხვილი ღერო და დიდი თავთავი აქვს. თავთავის დასაცეხვი წისქვილი მდინარე ნოღელაზე იდგა.

დაუღალავი, გამრჯე, ხანშიშესული ელენე ბიცოლა ყოველწლიურად უვლიდა ყაჭს, იღებდა მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკს, რომელსაც სპილენძის ქვაბში ხარშავდა და ამოჭონდა ძაფი - თეთრი და ყვითელი (ცალ-ცალკე), ზოგჯერ კი შერეული ფერისა. სახლში, ხისგან დამზადებულ, მარტივ საქსოვ დაზგაზე შვილების შესამოსად თვითონვე ქსოვდა აბრეშუმის დარაიებს, ბამბისა და მატყლის ზედატანს.

სიმინდის ყანაში მოჰყავდა ლობიო და მუხუდო (შეთესვით), უხვმოსავლიანი ჰქონდა ბოსტნეულიც (ფხალეული, პამიდორი, ბადრიჯანი), ბაღჩაში - უფრო მეტად კიტრი, ნესვი და ნაკლებად საზამთროც მოჰყავდა. ეზოს უკან ჰქონდა ტყიანი ნაკვეთი - მას შიარს ეძახდნენ. ეზოს წინამხარე ეკავა თხილის პლანტაციას, რომელიც უხვ მოსავალს იძლეოდა. თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული ვაშლის, მსხლის, უნაბის, წყავის, ვაშლატამას, ატმისა და სხვაგვარი ნაყოფის მომცემ ხეებსაც. ადესის ჯიშის ვაზი ალვის ხეებზე იყო გასული, თეთრი ყურძნის ჯიშის დაბლარი ვენახი კი მცირე ნაკვეთზე ხარობდა, სარებზე იყო გაკრული. თუთის ხის ქვეშ მიწაში ჩაფლული ჰქონდათ პატარა ქვევრები - სალოცავი ლაგვანები - ზედაშესთვის. ბლომად ჰყავდათ ძროხა, ხარ-კამეჩი, ციკნები, ცხენი, შინაური ფრინველი, მათ შორის ციცარი, ინდაურები. ამ დიდ ოჯახს ფუტკრის სკებიც არ აკლდა.

აი, ასე გამოიყურებოდა ჩემი ბავშვობის დროინდელ დედულეთში ერთი ღარიბი, მაგრამ გამრჯე ოჯახის საკარმიდამო მეურნეობა.

რაც შეეხება მამისეულ სოფელ კოდორს, იგი ონტოფოს მერიდიანზე მდებარეობდა მდინარე რიონის პირას, მარჯვენა მხარეს, აბაშის სამხრეთით და ნაესაკოვის თემში შედიოდა. მამას მშობლები ადრე დაღუპვია და მას, ორ დასთან ერთად, ბიძია რომანოზი ზრდიდა, რომელიც სოფლის კანცელარიის

მწერალი ყოფილა. ბაბუაჩემი ალექსი, მღვდელმსახური - დეკანოზი, მიწების მოყვარული, დიდი მამულის პატრონი გამხდარა, მაგრამ რიონმა არ დაინდო სოფელი და დროთა განმავლობაში წყალდიდობებმა თანდათან მოგვტაცა სოფელიცა და ბაბუაჩემის ადგილ-მამულიც. კოდორის მკვიდრნი: მიმინოშვილები, ჩაჩავები, ბზიავები და სხვანი, გადასახლდნენ სოფელ ნაესაკოვსა და ზანათში - მდინარე რიონიდან მოშორებით. ამის გამო კოდორში - ძველ მამულში, ვიდრე მას კოლმეურნეობა დაეპატრონებოდა, რამდენიმეჯერ ვარ ნამყოფი და კარგად მახსოვს ქართული სტილის ოდა-სახლი ჩუქურთმებიანი აივნით, მრავალნაირი ხეხილით სავსე ეზო. გამოდის, რომ მდინარე რიონთან, მამისეული სოფლის ამწიოკებელთან, მეც მაქვს ანგარიში გასასწორებელი...

1921 წლის თებერვალი...

ღრუბლიანი დღეა. ცივი ზღვაური უბერავს... მამა სახლშია. ალბათ, კვირა ან უქმე დღე თუ იყო... უცებ მოისმა დილიჟანის ეჟვნების ჟღარუნი. რამდენი ხანია დილიჟანს არ ჩაუვლია სუფსისკენ, არადა, ადრე კვირაში ორ-სამჯერ მაინც გაივლიდა ხოლმე ბათუმისკენ მიმავალი მგზავრებით დატვირთული. ბავშვები ყიჟინით გავიქეცით ჭიშკრისკენ, მამაც გამოვიდა აივანზე... ცოტა ხანი და დაოთხილი ცხენები მოაგელვებენ ხალხით სავსე დილიჟანს, ერთი ჯარისკაცი მხარზე თოფგადაკიდებული დილიჟანის უკანა საფეხურზე დგას... ვხედავ, მამამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ხელის დაქნევით ააფრიალა გამომშვიდობების ნიშნად, თან ჩაილაპარაკა - „მართალი ყოფილა ... მთავრობა ბათუმისკენ გარბისო!!!“

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე და მამამ ახალი ამბავი მოიტანა: თბილისში ახალი მთავრობა მოსულა რუსეთიდან. რუსულ ჯარს ვიღაც ქართველი მოუძღვებოდაო... იმ დროს არ გამოდიოდა გაზეთები, არ იყო რადიო-ტელეფონი... ცნობები სხვადასხვა ქვეყნიდან და დედაქალაქიდანაც მხოლოდ მორზეს ტელეგრაფს მოჰქონდა... ჩვენი პირველი მეგზური ფოთში - რკინიგზის სადგურის ტელეგრაფისტი, ხანში შესული იანი კვირველია თუ რაიმე ახალ ამბავს გაიგებდა, მაშინვე მოირბენდა და მამას უამბობდა.

ერთ საღამოს, მეზობლებში ხმა დაირხა: რუსის ჯარი შემოვიდა ქალაქშიო... წოწოლა - ქუდებიანი ჯარისკაცები მოედო ყველა უბანს... ჩვენც, მოუთმენლად და შიშით მოველოდით მათ გამოჩენას... უკვე ბინდდება... ახლოს ისმის ცხენების თქარათქური, ჭიხვინი... გამოვედით აივანზე და რას ვხედავთ, ჩვენი ეზო სავსეა ჯარისკაცებით, გაულიათ ჭიშკარი, შემოსულან ოთხთვალა საზიდრებით და ფუსფუსებენ დასაბინავებლად. ერთი ახალგაზრდა ოფიცერი ამოდის კიბეზე და ბრძანებით მიმართავს მამას - ორი ოთახი უნდა დაგვითმოთ ჯარისკაცებისთვისო... დედ-მამა და ჩვენც, ბავშვები, რუსულ ენას კარგად ვფლობდით და მამამ ნაწყენი კილოთი რუსულ ენაზე უპასუხა ოფიცერს: - ჩვენ მოქალაქეები ვართ და ასეთი ბრძანებით რატომ მოგვმართავთ?!. ვინც უნდა იყოთ, სტუმარი ბრძანდებით აქ და უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგვესალმოთო!... გამართულ რუსულ პასუხზე შეცბა ახალგაზრდა ოფიცერი, ბოდიში მოუხადა მამას, საუბრის კილო შეარბილა... ნასიამოვნებმა, რუსული ენის მცოდნეს რომ შეხვდა, იკითხა რამდენი სული ცხოვრობთო სახლში. მამა პასუხობს, ოფიცერი სწრაფად იღებს ახალ გადაწყვეტილებას თვითონ დარჩეს ჩვენს სახლში ადიუტანტთან ერთად და გასცა განკარგულება, ეზოდან გაეყვანათ ოთხთვალები და გაეგრძელებინათ გზა - სხვა სახლებში დასაბინავებლად. ამის შემდეგ რუსი ოფიცერი დაუმეგობრდა მამაჩემს. ჩვენც, ბავშვებიც, მალე შევეჩვიეთ ჯარისკაცებს. ოფიცერი ხშირად

შემოგვიგზავნიდა ხოლმე კონსერვებს, ბურღულს, პურს... ერთხელ, მახსოვს დიდი ნაჭერი ხორცი შემოიტანეს და დედაჩემს სთხოვეს ქართული კერძი გაეკეთებინა - მათთვის და ოჯახისთვისაც. ხორცი ცოტა მოწითალო ფერის იყო, თავისებური სუნით. ვერც მამამ და ვერც დედამ ვერ დაადგინეს რისი ხორცი იყო, კამეჩის თუ... მამამ ჩაილაპარაკა ჩუმად - შეიძლება ცხენისო. დედამ დაამზადა გემრიელი კერძი, რომელიც ძალიან მოეწონა ოფიცერსაც. ჩვენც კარგად მივირთვით, მეზობლებსაც არგუნა დედამ. შემდეგ გაირკვა - თურმე დათვის ხორცი ყოფილა, დედამ შეიცხადა, დათვის ხორცი როგორ მაჭამესო?!..

რამდენიმე დღის შემდეგ, რუსის ჯარის ეგზეკუცია დამთავრდა და ჩვენი „დაუპატიჟებელი სტუმრებიც" გულიანად დაგვემშვიდობნენ, დაგვიტოვეს ეზო კონსერვების კოლოფებითა და ცხენის ნალებით მოფენილი.

დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის შემდეგაც ბავშვები ეზოში კიდევ ვპოულობდით მიწაში ჩაფლულ ნალებს, შაშხანის ჩაჟანგულ ვაზნებს - გასროლილსა და უხმარსაც.

ასე დამამახსოვრდა ჩემი ბავშვობის დროინდელ საქართველოში ხელისუფლების პირველი ფერისცვალება.

ერთგულები

1919 წლიდან ფოთში მდგმურად ვიდექით ტრიფონ თურქიას სახლში აკაკის ქუჩაზე. ნახევარ სახლში პატრონი ცხოვრობდა, ნახევარში კი - ჩვენი ოჯახი.

ეს ორი ოჯახი, ვიდრე ჩვენ საკუთარ სახლს ავიშენებდით (1936 წლამდე) ვცხოვრობდით შეხმატკბილებულად, უფრო მეგობრულად, ვიდრე ზოგიერთი შეწყობილი დედმამიშვილები.

იმათ საკუთარი შვილი არ ჰყავდათ, ამიტომ, ნათესავის პატარა, ჩვილი ბავშვი აიყვანეს შვილად, მას ზრდიდნენ, იმაზე ამოდიოდათ მზე! ცოლ-ქმარი, მარგალიტა და ტრიფონი ხასიათით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ერთმანეთს... თუ ერთი მეორეს მიმართ რაიმე საწყენ სიტყვას იტყოდა, მაშინვე ბოდიშს მოუხდიდა, - ასე არ მინდოდა მეთქვაო, ან ასე არ მინდოდა გამეკეთებიაო!...

გუგულებივით წყნარად, ლამაზად ცხოვრობდნენ... მათ ხმამაღალ ლაპარაკს ვერ გაიგონებდით... მაგრამ ერთ დღეს სახლში დიდი ალიაქოთი ატყდა... გაავდა წყნარი ტრიფონი, სანადირო თოფი გადმოიღო, მეზობლისთვის უნდა ესროლა, რომელმაც, ნასვამმა, თავის ეზოდან გადასძახა ტრიფონს - რა იყო, ვითომ არ ვიცით, გოგი ნაშვილები რომ გყავსო?! გადაირია მარგალიტაც... ჩემმა მშობლებმა ძლივს დააწყნარეს აღელვებული ცოლ-ქმარი, თავად ნაშვილები გოგიც. დაარწმუნეს, რომ ნამდვილად მათი შვილი იყო... ამ ამბავის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, გოგი წამოიზარდა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, ხარობდნენ მოხუცები...

დადგა ავადმოსაგონარი, 1941 წლის ივნისი, დაირღვა მყუდრო, ბედნიერი ცხოვრების რიტმი... უწყვეტ ნაკადად მიდიან ფრონტზე ახალგაზრდები, თმაშეჭაღარავებული ვაჟკაცები... სამედიცინო ინსტიტუტის ბოლო კურსელები სარატოვში გადაიყვანეს, გაასამხედროვეს, სწრაფად, საველე ექიმებად მოამზადეს და ფრონტზე გაგზავნეს. მათთან ერთად გოგიც. ტრიფონმა და მარგალიტამ დაასკვნეს, რომ, ალბათ გოგიმ მათზე გული აიცრუა, თორემ მოუხუცი დედ-მამის ერთადერთ შვილს ომში არ წაიყვანდნენო... იდარდა, ცალკე ტრიფონმა, ცალკე - მარგალიტამ... გარეგნულად ძველებურად ეფერებოდნენ ერთმანეთს, იმედით ცხოვრობდნენ, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა: ორივე დაუძლურდა, მალე მოტყდნენ... დარდმა თავისი ჰქნა და ერთ დღეს, დილით ტრიფონი ლოგინიდან არ ამდგარა... შეკივლა მარგალიტამ, შეიცხადა ცხოვრების განუყრელი მეგო-

ბარი... დაფაცურდნენ მეზობლები: გააპატიოსნეს ტრიფონის ცხედარი, მოასულიერეს მარგარიტაც... გაამხნევეს, გაამაგრეს... თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად უნდა წარმართულიყო, მაგრამ ერთი ამოხვნეშა... და მარგალიტამაც განუტევა სული.

ასე ერთად დაამთავრა სიცოცხლე ღრმა მოხუცებულობამდე შენარჩუნებული ერთგულებისა და ერთმანეთისადმი უდიდესი პატივისცემით აღსავსე ცოლ-ქმარმა.... 1942 წლის გაზაფხულის ქუფრიან დღეს, ფრონტისპირა ქალაქში ერთდროულად ორი სასახლე გამოასვენეს თურქების სახლიდან მეზობლებმა და ნახუტურის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

გავიდა დრო... დიდი სამამულო ომი დიდი ხნის დამთავრებული იყო... და ყველასთვის მოულოდნელად გოგი თურქია ფოთში დაბრუნდა... მრავალ ხიფათგამოვლილი რამდენიმეჯერ მძიმედ დაჭრილი და სიკვდილს გადარჩენილი... დაბრუნდა, მაგრამ სახლი გამოკეტილი დახვდა... ბევრი ცრემლი ღვარა საყვარელ გამზრდელთა საფლავზე. ნანობდა, ფრონტიდან ერთი წერილიც რომ ვერ გამოუგზავნა მასზე დარდით დაფერფლილებს...

ბებია მენიკი

ბავშვობის პერიოდის ერთ პატარა ამბავსაც გავიხსენებ.

ფოთში, იმ დროს ქალაქის ცენტრში, ერთადერთ პოლიკლინიკაში 3-4 ექიმი თუ მუშაობდა, ამათგან გამორჩეული გახლდათ კოწია მიქაბერიძე... ადვილი წარმოსადგენია, ქალაქის შორეულ უბნებში ან სოფლებში რა დონეზე იქნებოდა საექიმო მომსახურება. ამიტომ იყო გამეფებული ექიმბაშობა. თუ გამოცდილი ფერშალი უმკურნალებდა ავადმყოფს, ეს ბედნიერება იყო. ჩვენს მეზობლად სახლობდა ერთი ღარიბი ოჯახი

- ჯოლიებისა, ოჯახში უხნესი, ბებია მენიკი, პატარა, ლამაზი, ტკბილმოუბარი ქალი, ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში, განსაკუთრებით ზამთრობით, ცუდ ამინდში. ხოლო, თუ რომელიმე ჩვენგანი ავად გახდებოდა, მაშინვე ბებია მენიკს უხმობდა დედაჩემი. ბავშვებიდან უფრო მეტად მე მწამდა მისი მკურნალობისა. სიცხეს მომცემდა თუ არა, იმწამსვე მოვიკითხავდი მენიკი ბებიას... ისიც, როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, დაუზარებლად, თავშალწამოსხმული, უმალ მოვიდოდა... ოთახში შემოსვლისთანავე მოითხოვდა ერთ კბილ ნიორს და დანას, ჩამოჯდებოდა სასთუმალთან და დაიწყებდა შელოცვებს, დროდადრო დაამთქნარებდა ხოლმე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის უკვე ავადმყოფობას ებრძვის... შელოცვის დამთავრების შემდეგ ძმრით დამიზილდა ფეხის გულს, თუ სიცხე მაღალი მექნებოდა, კეჟერა მხლის ფოთოლს შუბლზე დამაფენდა და ტილოთი შემიკრავდა, საბანს კარგად დამახურავდა და იტყოდა: მორჩა, ხვალ კარგად იქნებიო... მეც მჯეროდა მისი და მეორე დღეს მართლაც კარგად ვიყავი.

დღესაც თვალწინ მიდგას, კეთილსანდომიანი მოხუცის, ტკბილმოუბარი ბებია მენიკის დანაოჭებული სახე. დიახ, ჩემი თაობის ბავშვები ექიმბაშებისა და შინაური, ხალხური წამლების მეოხებით ვებრძოდით ყველა ავადმყოფობას და დღევანდელი გადასახედიდან, როცა ოთხმოცდაათ წელს ვუახლოვდები, მჯერა, მათ გამიხანგრძლივეს არცთუ ისე ნებიერი სიცოცხლე.

ბერიკაობიდან შოუმდე

მახსოვს, ბავშვობისას, დიდი მარხვის პირველ კვირას, ყველიერის დღეებში, ყოველწლიურად იმართებოდა მასკარადის საღამოები. მისი შემოქმედი ახალგაზრდები იყვნენ, უმეტესად სცენისმოყვარენი. ისინი სხვადასხვა ცხოველის გამოსახულების ტანჩაცმულობით, სახეზე ნიღბებით, დოლ-გარმონით ან სხვა საკრავი ინსტრუმენტებით, წარმოადგენდნენ სკეტჩებს, გასართობ სცენებს, სიმღერებით ამხიარულებდნენ მეზობლებს, ნაცნობ-მეგობრების ოჯახებს... ზეიმი იყო ყველგან და უცნაური სანახაობით სიცილ-კისკისისგან ბავშვებს ფერდები აგვტკივდებოდა ხოლმე...

ჩემს მეხსიერებას შემორჩა 1926 წლის ყველიერის დღეები, რომელიც ბოლო, უკანასკნელი ზეიმი აღმოჩნდა, რადგან საბჭოთა მთავრობამ სასტიკად დაგმო ქრისტიანული რელიგია და ცხადია, საეკლესიო დღესასწაულებიც აკრძალა. ეს ბოლო ბერიკაობა (ყვენობა) კი წინათგრძნობით, რომ ის გამოსამშვიდობებელი იყო, თუ შემთხვევით, მრავალფეროვანი, მაღალი გემოვნებით მომზადებული, მხიარული, თეატრალური ეშხით გაცისკროვნებული სანახაობა გამოდგა.

მრავალი გუნდიდან დამამახსოვრდა ძმების - გოგი და მიშა ხელაიების მიერ წარმოდგენილი სკეტჩები, სიმღერები, რომლებიც გამოირჩეოდნენ შესრულების მანერით, თეატრალური ხელოვნების ნიჭით, რაც შემდეგში პროფესიონალობაში გადაიზარდა: მაგალითად, გოგი ფოთის სახელმწიფო თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა და ლოტბარობდა მომღერალთა გუნდს. მამის მადლი ვაჟიშვილებსაც გამოჰყვათ და ახალგაზრდობაში ზურაბი სახელმოხვეჭილ გუნდებში მღეროდა, ხოლო გედევანი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლხინის სუფრაზე ახლაც წაიმღერებს ხოლმე დახვეწილი საამო ტენორით... მიშა ხელაია, გოგის უმცროსი ძმა კი თბილისის ოპერის თეატრის გუნდს შეაბერდა.

ცნობილია, რომ ბერიკაობა - ეს უძველესი თეატრალური სანახაობა, საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული და თავისებური კუთხური სახე-იერით, ტრადიციად იყო ქცეული. მას სიხარული, სილამაზე, ლაზათი და ხიბლი თან დაჰყვებოდა.

მე პრეტენზია არ მაქვს, ჩემი აზრი სხვას მოვახვიო, მაგრამ, მაინც ვიტყვი, რომ დღევანდელი შოუ-სანახაობები, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე საზღვარგარეთიდან გრიგალივით შემოიჭრა და მაშინვე აიტაცა მოზარდმა თაობამ, არა მგონია, სიკეთის მომტანი იყოს... შემსრულებელთა უაზრო როკვამ და ღრიანცელმა, პირმოხეულმა კივილმა აიყოლია ახალგაზრდა მაყურებელიც... ეს კი ჩვენი ერის განსაკუთრებით საამაყო, სათნოებით მოსილ იერ-სახეს და ნიშანდობლიობას დიდ საფრთხეს უქმნის...

გამოდის, ჩვენს ახალგაზრდობას (ვერ ვიტყვი უმრავლესობას მეთქი) „უცხოური“ უფრო იტაცებს, ვიდრე ჩვენი მამა-პაპური, თანამედროვე კლასიკური და ხალხური მუსიკა...

ქართველი გოგონების და ვაჟების ასე გატაცება საზღვარგარეთული შოუთი, დამაფიქრებელია და ყურადსაღები. მან შეიძლება წალეკოს მშობლიური ხელოვნება?!. არა, ეს არ უნდა მოხდეს.

ქართული ტემპერამენტი უნდა ჩქეფდეს ქართულ-ეროვნულ შემოქმედებაში, ქართული სული არ უნდა ჩაკვდეს „ვეფხისა და მოყმის“ შემქმნელი ქართველი კაცის მხატვრულ შემოქმედებაში!

ნიჭიერი, ინტელიგენტი, შემოქმედი ახალგაზრდობის იმედი მასულდგმულებს!

ოჯახური იდილიები

შობა-აღდგომის დღესასწაულები

ბაქოდან ფოთში გადახვეწილი ოჯახი თანდათან ეგუებოდა ახალ გარემოში ცხოვრებას. ბავშვები კვლავ დიდი სიხარულით მოველოდით შობა-ახალი წლის დადგომას. ვიცოდით, საახალწლოდ მშობლები რამეთი დაგვასაჩუქრებდნენ და გვიყიდდნენ ახალ ტანსაცმელს ან ფეხსაცმელს (პირველ ხანებში ხის ლანჩიანებს), ხოლო ჩვენთვის მეორე სიხარული ნაძვის ხის დადგმას მოჰქონდა. ნაძვის ხის მოსართავად სათამაშოები, მეტად ორიგინალური და ლამაზები, ბაქოდან გვქონდა ჩამოტანილი. საქმე ის იყო, რომ ზოგიერთ ჩვენს ტოლ მეზობლის ბავშვს მორთული ნაძვის ხე საერთოდ თვალით არ ენახა. მეზობლობაში ახალი წლის წინა ღამეს მხოლოდ ჩიჩილაკს დგამდნენ, ხილით გაწყობილს.

ოცდაათიანი წლების მიწურულს, როცა საბჭოთა წყობილება მომძლავრდა, როგორც ცნობილია, მთავრობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რელიგიას. განსაკუთრებით აიკრძალა ეკლესიებში წირვა-ლოცვები, რელიგიური დღესასწაულები, შობის წინა დღეებში ალილოზე ჩამოვლა, ხოლო აღდგომის დღეებში კი - კვერცხების წითლად შეღებვა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ზემოქმედებას სკოლის მოსწავლეებზე, ახალგაზრდებზე ახდენდნენ.

ერთხელ, 1926 თუ 1927 წელს, ქრისტეს შობის წინა დღეს, შეღამებულზე მოგვესმა ალილოს ტკბილი ჰანგები, რომელმაც ჩვენს სახლამდეც მოაღწია. მოწიფული ახალგაზრდების ჯგუფი სოფელ სუფსიდან ხმაშეწყობილად, მიმზიდველად და საამოდ, მაგრამ მაინც შიშის ქვეშ მღეროდნენ ალილოს... ეს გამოდგა იმ საუკუნის უკანასკნელი ალილო, რომელიც კარგად დამამახსოვრდა.

მნიშვნელოვანი დღესასწაული იყო ბრწყინვალე აღდგომა. მის შესახვედრად დიდი სამზადისი იცოდნენ: ერთი კვირის განმავლობაში პურის საცხობებში დიდი რიგები იდგა, რათა „პასკები“ გამოეცხოთ. როგორც უკანასკნელი საშობაო ალილო, ასევე კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში ბოლო აღდგომის დღესასწაულიც. დილიდანვე, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები შორიდან შევცქეროდით ნაირ-ნაირი საჭმელებით გაწყობილ მაგიდას. რა არ იყო სუფრაზე: შემწვარი გოჭი პირში წითელი ბოლოკით, ინდაურის საცივი, ხაჭაპურები, „პასკა“ და წითლად შეღებილი კვერცხები. ბავშვებს წინასწარ მომზადებული გვქონდა ციცრის ან ქათმის „ჩაკირული“ კვერცხები, რითაც დამტვრეული კვერცხების ნადავლს ბლომად ვაგროვებდით. როგორც წესი, მღვდლის მოსვლამდე საჭმელს ხელს არ ვახლებდით. მღვდელი მოვიდოდა, აკურთხებდა სუფრას, სახლს და როგორც კი წავიდოდა, მთელი ოჯახი სუფრას მიუსხდებოდა.

ასე დამამახსოვრდა ის საბოლოო ბრწყინვალე აღდგომის დღე, მის შემდეგ აშკარად რელიგიური დღესასწაულები არ აღნიშნულა - კანონით იყო აკრძალული. მიუხედავად აკრძალვისა, ხალხი ჩუმად მაინც აღნიშნავდა რელიგიურ დღესასწაულებს. მაგალითად, დედაჩემი ფარულად, სხვის დაუნახავად ყოველთვის შეღებავდა კვერცხებს წითლად, აცხობდა საშობაო კვერებს, ინახავდა მარხვას. მამაჩემი მღვდლის შვილი იყო და ჩვენც, ყველანი, ღვთისმორწმუნენი ვიყავით, ბუნებრივია, მალულად!

მუსიკისადმი სიყვარული

გასაკვირი და არაჩვეულებრივი არაფერია იმაში, ქართველ კაცს თუ მუსიკალური ნიჭი არ დაჰყვა, სიმღერების მოსმენა

მაინც უყვარდეს. ასეთ პიროვნებათა რიცხვს ვეკუთვნი მეც, ამ სტრიქონების ავტორი.

ბავშვობიდანვე ვეტრფი ქართულ სიმღერებს. საზაფხულო არდადეგებზე, დედულეთში ჩვენი ეზოს ჭიშკართან ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ახალგაზრდები და სიმღერებით ერთობოდნენ. შაბათ-კვირას, საღამოთი კი, ალეგრებზე და საჯარო სეირნობებზე სიმღერები უფრო დახვეწილ, პროფესიულ დონეზე სრულდებოდა. ვუსმენდი სიმღერებს, აგრეთვე, ფირფიტებზე ჩაწერილს, პირველ ხანებში გრამაფონით, შემდეგ კი - „გაუმჯობესებული“ პატეფონით.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შესაძლებლობა მომეცა პროფესიონალ მომღერალთა გუნდებისათვისაც მომესმინა კონცერტებზე და რადიოში. ყველა კუთხის ხალხური სიმღერა მომწონდა, რა თქმა უნდა, კლასიკურიც, განსაკუთრებით ქართული ოპერები მიტაცებდა.

ძალიან მომწონდა კირილე პაჭკორიას მომღერალთა გუნდი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველი, ქართული სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი იყო და რომელმაც 1936 წელს მოსკოვში საქართველოს ხელოვნების დეკადაზე უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი დაიმსახურა. განსაკუთრებით ამ გუნდის წამყვანი სოლისტი ნიკო ხურცია გამოირჩეოდა ხავერდოვანი ხმით. მომაჯადოებელი იყო მისი მონაწილეობით „ტრიოს“ მიერ შესრულებული სიმღერები.

მეორე, მეტად პოპულარულ გუნდს რემა შელეგია ლოტბარობდა. მის რეპერტუარში დიდ მოწონებას იმსახურებდა საყოველთაოდ ცნობილი სიმღერები: „ჩელა“, ჭიჭე ტურა“, „ჩემი მტრედი“, ამასთან ერთად, ბევრი იყო ცნობილ მომღერალთა გუნდები, რომელთა შორის განთქმული იყო სახელმოხვეჭილი გუნდი, მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ისინი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ეწეოდნენ შემოქმედებით მოღვაწეობას და მტკიცე საფუძველს ქმნიდნენ მომავალი თაობისათვის ხალხური სიმღერების შესა-

ნარჩუნებლად. ასეთები იყვნენ: ქართლ-კახეთის მომღერალთა ანსამბლი სანდრო კავსაძის, რაჭა-ლეჩხუმის - კობახიძის, აჭარა-გურიის - ძმები ერქომაიშვილების, აფხაზეთის - აკობიას ლოტბარობით. თითოეული გუნდი ასრულებდა საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, ჰქონდათ გამორჩეული რეპერტუარი.

საამო, დამატკბობელი ჰანგები იღვრებოდა მეჩონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტებზე, რომელსაც კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობდა. მოხიბლული ვიყავი დები იშხნელების განუმეორებელი სიმღერებით. ხალხური სიმღერების კიდევ ბევრი ანსამბლის ჩამოთვლა შეიძლება (სიმონიშვილის, მიშველდიანის და სხვ.), რომლებმაც არა მარტო მომავალ თაობებს შეუნარჩუნეს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, არამედ, მსოფლიო არენაზე გაიტანეს ისინი... ამ მხრივ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ცეკვებისა და სიმღერების პოპულარობაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით ღვაწლმოსილ ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს, ანზორ ერქომაიშვილსა და სხვა მრავალთ.

სხვათა შორის, ნეტარხსენებული ილიკო სუხიშვილი, ვიდრე იგი მსოფლიო აღიარებას მოიხვეჭდა, მახსოვს, ფოთშიც - ლენინის სახელობის კულტურის სახლში და რკინიგზელთა კლუბშიც ასწავლიდა ცეკვებს ფოთელ ახალგაზრდებს.

ბავშვობიდან მოყოლებული ვეტრფი ქართულ სიმღერებს, განსაკუთრებით მელოდიურს (ვერ ვიტან მანჭვა-გრეხვით, როკვითა და ახალ მოდურ კივილ-ჭყივილით შესრულებულ სიმღერებს).

ფეხბურთის შემდეგ ჩემი ჰობი ქართული ხალხური სიმღერებია, საამო, გულში ღრმად ჩამწვდომი ქართული მელოდიები, ზოგჯერ რომანტიკული, ზოგჯერ ჰეროიკული - ერთგვარ შვებას რომ აძლევს მსმენელს, ამშვიდებს აღგზნებულ ნერვიულ სისტემას და ამაღლებს გუნება-განწყობილებას.

ვერ დავიჩემებ, და-ძმური ურთიერთდამოკიდებულება ჩვენს ოჯაში რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩეოდა-მეთქი. არა, ის ჩვეულებრივი იყო, ისეთი, როგორიც ეს ქართულ ოჯახებშია ტრადიციად ქცეული. თუმცა, რატომღაც მგონია, ჩვენ უფრო მეტად მგრძნობიარე, გულთბილი და ალერსიანი დამოკიდებულება გვქონდა, თავაზიანად და სიტკბოებით ვესიყვარულებოდით ერთმანეთს. ისე მივაღწიეთ ღრმა მოხუცებულობას, რომ საწყენი, შებრუნებული სიტყვა ერთხელაც არ გვიკადრებია ერთმანეთისთვის, არც ერთხელ უმნიშვნელო შელაპარაკებაც არ გვქონია, ზოგჯერ დებსა და ძმებს შორის რომ ხდება ხოლმე. ვიზრდებოდით მშობლების შეგონებითა და მათი მიმბაძველობით.

უფროსი და - ქსენია

უფროსი და - ქსენია, ფოთის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მიუხედავად ხელმოკლეობისა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობებისა, უმაღლესი განათლების მისაღებად 1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, გერმანული ენის სპეციალობით. პატარა ბიჭს მეამაყებოდა დის სტუდენტობა, რაც მაშინ არც ისე ხშირი იყო, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა. 1929 წლის 29 დეკემბერს ის დააპატიმრეს პოლიტიკური ბრალდებით. იმ დროს ბოლშევიკური პარტია სოფლად კოლექტივიზაციის კამ-

პანიას ატარებდა და ამასთან დაკავშირებით კულაკების, როგორც კლასობრივი მტრის ლიკვიდაციას აწარმოებდა. ასეთმა რადიკალურმა ღონისძიებებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოების ყველა ფენაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში და ეს უკმაყოფილება, პირველ რიგში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას აღუქვამს. „ახალგაზრდა მარქსისტებს - ასე ეწოდებოდა მათ მოძრაობას - კომუნისტური პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო პროპაგანდა გაუაქტიურებია, რის გამოც სტუდენტური მოძრაობის ჩასახშობად „ჩეკას“ სასტიკი ზომები მიუღია და უამრავი ახალგაზრდა მტყუან-მართალი, განუკითხავად ციხეში შეუყრია. მათ შორის აღმოჩნდა ჩემი დაიკო ქსენიაც.

ამ ამბავმა ჩვენს ოჯახს დიდი ტრავმა მიაყენა. მშობლები უფროსი შვილისგან მხარში ამოდგომას მოელოდნენ და ასეთი შემთხვევა ოჯახისათვის მძიმე ასატანი იყო. მამამ, მშვიდი ხასიათის, სათნო ადამიანმა გულთან ახლო მიიტანა ეს მოულოდნელი ამბავი. დედა კი უფრო ყოჩაღად შეხვდა ყოველივე ამას. მაშინვე წავიდა თბილისში, მაგრამ ვერაფერი შეიტყო სარწმუნო, მეორედ წასვლაზე კი აჩვენეს უკვე ციმბირში გადასახლებამისჯილი შვილი, რომელიც თავს არც ისე ცუდად გრძნობდა. ალალ-მართალი, ვაჟკაცურად დახვდა ყოველივეს და ციმბირში გადასახლებას დიდ ტრაგედიად არ მიიჩნევდა თურმე. მისმა ამგვარმა დამოკიდებულებამ ჩვენც სიმხნევე მოგვიტანა.

ერთ დღეს, როცა ყველანი სახლში ვიყავით, დედამ მოგვიხმო და თავისი ჩანაფიქრი გაგვიზიარა. ის საჭიროდ მიიჩნევდა, რომ ქსენიას გადასახლების ამბავი არ გახმაურებულიყო და საიდუმლოდ შეგვენახა. ამის შესახებ არ უნდა სცოდნოდათ არც მეზობლებს და არც შორეულ ნათესავებს. შემდგომ განვლილმა პერიოდმა ნათელყო თუ როგორი შორსმჭვრეტელობა ჩანდა ამ წინადადებაში. მაშინ და შემდეგაც, პოლიტპატიმრის ოჯახს, მის ნათესავებს ეჭვის თვალით უყურებდნენ, ხშირ შემთხვევაში მათ მიმართაც მიმართავდნენ რეპრესიებს.

დრო გადიოდა, ჩვენი ოჯახი გულჩათხრობილი ითვლიდა უფროსი ქალიშვილის ციმბირიდან ჩამოსვლის დღეს. ქსენია კი სასჯელს იხდიდა ჯერ დაბა მინუსინსკში, ხოლო შემდეგ - 3 წელს ქ. ბორისოგლებსკში. ღრმად დარწმუნებულნი, რომ ქსენიას ამბავი ფოთში არავინ არ იცოდა, დედა, ვითომ აქ არაფერი მომხდარაო, ისევ აქტივისტობდა უბანში. საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩაბმული და გარეგუნლად არ იმჩნევდა გულდარდიანობას... მე ტექნიკუმი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე კოლხიდმშენში და მამას ცოტათი შევეშველე. შუათანა და თბილისში წაიყვანა ბიძაჩემმა და სამედიცინო-საფერშლო ტექნიკუმში სწავლობდა. ამასობაში 1936 წელიც დადგა. უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. ქსენიაც დაბრუნდა გადასახლებიდან... დიდი იყო ჩვენი სიხარული. მალე მისი საქმროც ჩამოვიდა ციმბირიდან, ისიც გადასახლებული ყოფილა, ერთდროულად დაუპატიმრებიათ ერთი ბრალდებით. შექმნეს ოჯახი და რადგანაც დედაქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ, ქარელის რაიონის დაბა აგარაში დასახლდნენ. ჩემი და გერმანულ ენას ასწავლიდა ქვენატკოცის საშუალო სკოლაში, მისი მეუღლე, გრიგოლ ხუხუნი კი, აგარის ფოსტის გამგედ მუშაობდა, მაგრამ 1937 წელს ის ისევ დააპატიმრეს. ვფიქრობ, დასმენის მსხვერპლი გახდა, თორემ ისეთი კეთილშობილი პიროვნება იყო, რომ სახელმწიფოს საწინააღმდეგოს არ მოიმოქმედებდა. როგორც სარწმუნო წყაროებიდან დადგინდა, გამოძიების პროცესში ხაშურის ჩეკას საპყრობილეში გარდაცვლილა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ პირმშო ვაჟიშვილის დაბადებას ვერ მოესწრო. ჩემს დისშვილს - ომარ ხუხუნს კი მთელი ახალგაზრდობის პერიოდში დიდ ტვირთად აწვა მშობლების „ანტიკომუნისტური“ მოღვაწეობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, კომკავშირელიც იყო, ხელმძღვანელ კომკავშირულ-პარტიულ სამუშაოებზეც მოღვაწეობდა, შემდეგ კი მშობლების რეაბილიტაციამ წელში გამართა. ჩემი დის და მისი მეუღლის, ნაციმბირალთა ამბავი არც მათი ჩამოსვლის შემდეგ გახმაურებუ-

ლა. სხვათა შორის, არც მე გამიმხელია ბოლშევიკური პარტიის რიგებში შესვლის დროს (1945), რაც ჩემს პარტიულ სინდისს მუდამ ქენჯნიდა და შინაგანად მაწუხებდა, რისგანაც მხოლოდ ახალი წყობილების მოსვლის შემდეგ განვიმუხტე.

უნდა გამოვტყდე, მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ამბავი არავისთვის არ იყო ცნობილი და ამიტომ მას მივიწყებულად ვთვლიდი. მაგრამ, ერთ დღეს, 1952 წელს, როდესაც თბილისის ოლქის წყალთა მეურნეობის სამმართველოში გადამიყვანეს განყოფილების უფროსად, პარტიის საოლქო კომიტეტში გამომიძახეს და ავტობიოგრაფიისა და კადრების ანკეტის წარდგენა მომთხოვეს, ამ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნა, როგორც ნომენკლატურული მუშაკისა, საოლქო კომიტეტის ბიუროს დამტკიცებას საჭიროებდა თურმე.

როგორც წესი, ჩემი ბიოგრაფია სათანადო ორგანოებში გადაუმოწმებიათ და იქიდან მიღებულ პასუხში ჩემი დის ისტორია დაწვრილებით იყო ჩამოწიკწიკებული. ეს კი არა, ისიც კი ჩაუწერიათ, რომ 1921 წელს მამაჩემი „ჩეკაში“ ერთი დღე ჰყოლიათ დაკავებული, საიდუმლო წერილის დაკარგვის გამო, და იგი მეორე დღესვე გაუთავისუფლებიათ, რადგან წერილი უპოვნიათ.

შუათანა და - მარგო

კეთილგონიერი და მადლცხებული ადამიანები მუდამ იყვნენ და ახლაც არიან. ასეთი ადამიანი იყო გიორგი ყრუაშვილი, მაშინ თბილისის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი. მან, კე ილგონიერმა, ყურად არ იღო იმ დროისათვის ძველი ამბების გახსენება და ჩემი კანდიდატურა რიხინ-რიხინით დაამტკიცეს ბიუროს სხდომაზე.

მკაცრ სასჯელმოხდილი ქსენია ჩამოსვლისთანავე ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორც სამუშაოზე, ისე უბანში. განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში. დაიმსახურა ხალხის ნდობა და საქმისადმი ერთგულება. იგი 93 წლის ასაკშიც მხნედ გამოიყურებოდა და ძველებურადაც გვესიყვარულებოდა უფლის ლოცვა-კურთხევით.

შუათანა და, მარგო, მეტად გულჩვილი, წყნარი ადამიანი იყო, რომელიც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, რაიონში ვმუშაობდით თუ თბილისში, ჩემი და ჩემი ოჯახის სიყვარულით და სულისკვეთებით სულდგმულობდა. მართალია, საკუთარი ოჯახი ვერ შექმნა, მაგრამ დედით დაობლებული ერთი წლის ბიძაშვილი გაზარდა, დააოჯახა და მის შვილიშვილებზედაც დიდი ამაგი მიუძღვის.

ყველას მამიდა იყო, ყველას ერთნაირად გულთბილად ესიყვარულებოდა, ძველებურ, ე.წ. იტალიურ ეზოს მეზობლების მრჩეველი და მომრიგებელი იყო, მისი პასუხი მართებული, უტყუარი გახლდათ, ყველასთვის მისაღები; დედა ტერეზას ადარებდნენ... ოთხმოცდაოთხი წლისა მოულოდნელად, წყნარად განშორდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, საყვარელ ადამიანებს...

მძიმე გადასატანი ყოფილა დედმამიშვილთა სამუდამო განშორება.

საკუთარი სახლეულობა

რაც შეეხება ჩემი, საკუთარი ოჯახის შექმნას, ძალიან დამიგვიანდა. მიზეზად მრავალის მოტანა შეიძლება და მაინც, მთავარი ფაქტორი, ალბათ, ბედ-იღბალი იყო. ორმოცი წლის ასაკში (!) შევქმენი ოჯახი ჩემს ელიკოსთან, ჩემი ცხოვრე-

ოჯახის სამეული, 1967 წელი.

ბის თითქმის ნახევარი საუკუნის თანამგზავრთან ერთად. კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს. დღეს თუ ასე მხნედ გამოვიყურები ეს მისი დამსახურებაცაა. ელიკოს, ყველაზე უმცროსს, ხუთი და-ძმის უდროოდ დაკარგვამ დიდი ტრავმა მიაყენა. უფროსი ძმა სერგო ზერეკიძე წყალთა მეურნეობის დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი გახლდათ, 1938-1940 წლებში კი - საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი; ადვილად გავუგეთ ერთიმეორეს სიძემ და ცოლის ძმამ, კარგი ურთიერთობა და სიყვარული გვქონდა, რაც, სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა: გულმა უმტყუნა ცხოვრების შუა გზაზე და გულიც დაგვწყვიტა ყველას!

ჩვენი შეუღლების დროს საქორწილო სახლები არ ფუნქციონირებდნენ, ეკლესიაში კი კომუნისტი კაცი ფეხს ვერ შეადგამდა. ამიტომ, საქორწილო „რიტუალი“ მმაჩის ბიუროებში ხელმოწერით იფარგლებოდა. რაც შეეხება ოქროული სამკაულების,

განსაკუთრებით ბეჭდის ტარებას, კომუნისტისათვის მიუღებელი იყო და მეშჩანობად ითვლებოდა. მითუმეტეს, პედაგოგისათვის! ჩვენი ქორწილიც საზეიმო რიტუალების გარეშე ჩატარდა. მხოლოდ წვეულების ღამეს, თბილისური ტრადიციისამებრ, გამთენიისას ახალი მოდის ყარაჩოღელებმა თეთრი მტრედები ააფრინეს საქორწილო დარბაზში...

მთელი ოჯახი ერთად

მართლმადიდებლური ეკლესია მიუღებლად მიიჩნევს ჯვარდაუწერლობას და აი, ორმოცი წლის შემდეგ, ხანდაზმულებმა ქრისტიანულად დავიწერეთ ჯვარი წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში, რომლის მოძღვარი მამა გაბრიელი მეტად აღფრთოვანებული იყო ჩვენი გადაწყვეტილებით.

ჩვენი ოჯახი დიდად არ გაზრდილა (ესეც ნაკლია) - ერთი ვაჟი გვეყოლა - მალხაზი, ისიც ცოტათი გვიან დაქორწინდა და მეუღლესთან - ქეთევან ბესელიასთან ერთად აგრძელებს ოჯახის ტრადიციას. გვახარებენ შვილიშვილებიც - ალექსი და სოფიკო, რომლებიც ბავშვობიდანვე ეუფლებიან ქრისტიანულ მოძღვრებას. ღვთის მოსიყვარულენი, სამშობლოს ერთგულ ადამიანებად უნდა აღიზარდონ, რისი იმედიც გვასულდგმულებს და გვახარებს!

ცხოვრების ჭეშმარიტი გზა

უნდა მოგითხროთ ადამიანზე, რომელმაც მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება ხალხისადმი სამსახურს, შვილების წესიერად აღზრდას და საკუთარ პროფესიას შეალია. აქ თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ, მე მგონია, მაინც არის მასში რაღაც სხვებისგან განსხვავებული, თავისებური, ზნეობიანი... რაც მე მახსოვს, იგი მუდამ ჭაღარა იყო, თეთრი ულვაში და შეღაჭარავებული წარბები უფრო მეტ დიდებულოვნებას და ელეგანტურ იერ-სახეს აძლევდა. ზაფხულობით თავიდან ფეხებამდე თეთრ სამოსელში გამოწყობილი (რაც იშვიათი იყო ფოთში), გაივლიდა ლარივით სწორი აკაკის ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებულ მარადმწვანე ქაფურის ხეებს შორის და მოჩანდა როგორც მონარნარე თეთრი გედი მწვანე ხეივანში. სალმის კაცი იყო - ქუდის მოხდით... მას ვერავინ დაასწრებდა მისალმებას. ბაქოში შეძენილ კაუჭა ჯოხს ხან მკლავზე გადაიკიდებდა, ხან კი ზომიერ ნაბიჯთან შეთანასწორებით მოხდენილად გადააადგილებდა, რაც ხიბლს მატებდა მის გარეგნობას. სამსახურიდან ყოველთვის ზუსტად ერთსა და იმავე დროს გამოდიოდა, შინაც ასეთივე სიზუსტით ბრუნდებოდა. ამიტომ იყო, მეზობლები მისი მოსვლით რომ განსაზღვრავდნენ დეკრეტულ დროს (მაშინ ხომ ოჯახში საათი იშვიათობა იყო).

ეს პიროვნება მამაჩემი გახლდათ, ავქსენტი ალექსის ძე მიმინოშვილი, დედაჩემი მეტსახელად გუგუს რომ ეძახდა გუგულივით კაცს. სამი საათი მოახლოვდებოდა თუ არა, ბავშვები შუა ქუჩაში დავდგებოდით, რომ დაგველანდა სახლში მომავალი მამა... შიში არაფრისა გვქონდა, რადგან მაშინ ოთხთვალა ცხენის საზიდრების (დროგის) გარდა ქუჩაში სხვა სახის სატრანსპორტო საშუალება არ მოძრაობდა. ავტომობილი ქალაქში სულ ორად ორი იყო და იშვიათად თუ გაივლიდა ჩვენს ქუჩაზე. შორიდან შევნიშნავდით თუ არა მამის მოძრაობას, დედასთან გავრბოდით მისწრებაზე -

ჩემი ახალგაზრდა მშობლები

პირველი ვინ შეატყობინებდა მამის გამოჩენას გზაზე. დედას წესად ჰქონდა - მამაჩემს სუფრა გაშლილი უნდა დახვედროდა და ვსადილობდით ყველა ერთად, დიდი და პატარა.

მამაჩემი წყნარი, მშვიდი, მართლაც გუგულივით კაცი იყო, ინტელიგენტი, სიტყვაპასუხიანი, ალალმართალი, ამიტომაც ქალაქში მას მეტსახელად „მართალი კაცი" შეარქვეს... მართალ კაცს გაუმარჯოსო! ესალმებოდნენ ახლო ნაცნობები ვარლამ თოდუას, იმ დროს საზოგადო მოღვაწის, თავკაცობით...

მართლაც რომ ზედმიწევნით შესაფერი სახელი იყო... მისი ბიოგრაფიაც არაფრითაა განსაკუთრებული. დედ-მამით ადრე დაობლებულს ორ დასთან ერთად ბიძა, მამის ძმა რომანოზი ზრდიდა - მამას ჯერ სენაკის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი ქუთაისის გიმნაზია დაუმთავრებია. მერე ბიძას ბაქოში წაუყვანია და 19-20 წლის ახალგაზრდას სამსახური ფოსტაში დაუწყია. იქ მალე შეუსწავლია საფოსტო საქმე, ოჯახიც შეუქმნია, რომ იტყვიან, კარგადაც აუწყვია პირადი საქმეები, მაგრამ 1919 წელს, როცა ბაქოში თათრებსა და სომხებს შორის სისხლის მღვრელი შეტაკებები მძვინვარებდა, უსაფრთხოების მიზნით, ქართველებისთვის ბაქოს დატოვება უბრძანებიათ და ჩვენი ოჯახიც აყრილა და ბაქოდან, როგორც ლტოლვილები (დღევანდელი ტერმინოლოგიით), ფოთში აღმოჩენილან. დარგის გამოცდილ მუშაკს, ქართული და რუსული ენების კარგ მცოდნეს, ქალაქის მთავარ ფოსტაში მაშინვე ერთ-ერთი განყოფილების უფროსის ადგილი შესთავაზეს და მას შემდეგ, 1953 წლამდე - გარდაცვალებამდე, ამ თანამდებობაზე მუშაობდა. ამ პერიოდში ბევრი ახალგაზრდა გამოზარდა, დააკვალიანა და ცხოვრების გზაზე დააყენა. კავშირგაბმულობის დარგში 50 წელი უმწიკვლო და თავდადებული შრომისათვის 1952 წელს სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტროს „წარჩინებული მუშაკის" საპატიო წოდება მიანიჭეს.

ჩუმი, უწყინარი, თაფლი-კაცი იყო ოჯახში და ოჯახის გარეთაც. მისთანებზე იტყოდნენ „გზაში რომ მიდის, ჭიანჭველასაც კი არ დაადგამს ფეხსო".

ხალხის დიდი სიყვარული მან განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაიმსახურა. მაშინ ხომ ოჯახი არ იყო, ერთი წევრი მაინც რომ არ ჰყოლოდა ომში გაგზავნილი. მეომართა ახლობლები სულმოუთმენლად მოელოდნენ წერილებს ფრონტიდან... ფოსტაში, ბიძია ავქსენტისთან მიიჩქაროდა ყველა - ახალგაზრდა თუ მოხუცი, დედები და მამები, ფრონტიდან ამბის მომლოდინენი, დადარდიანებულები, მაგრამ მაინც იმედიანები. ის ყველას იცნობდა, თითქმის ყველა მათგანის სახელი და გვარიც იცოდა... ზოგიერთის წერილს თვითონ შეინახავდა ხოლმე და როდესაც მისი პატრონი გამოჩნდებოდა, თვალებგაბრწყინებული გაახარებდა მოსულს და თავადაც პირღიმილიანი კმაყოფილებას გამოხატავდა. ხოლო, როცა წერილს ვერ დაახვედრებდა მოსულს, თვითონაც განიცდიდა, მაგრამ ამას არ აგრძნობინებდა, პირიქით, გამამხნევებელი სიტყვებით იმედიანად გაისტუმრებდა. ვინ იცის, ომში წასული შვილის, ქმრის, ძმის თუ სხვა ახლობლის ამბის გაგებამდე, რამდენი წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ საფლავში ისე ჩავიდნენ, იმედი არ დაუკარგავთ, იმედი, რომელსაც მამაჩემი უნერგავდა მათ, ლოდინით დაღლილებს, რომ წერილი აუცილებლად მოვიდოდა, რომ მათი საყვარელი ადამიანები ნამდვილად ცოცხლები არიან...

ასე მიდიოდა დრო, დღე-დღეს ცვლიდა, წელიწადი - წელიწადს.

ოჯახში ყველას გვქონდა მისი რიდი. ბავშვები თუ რამეს დავაშავებდით, ვცდილობდით მამას არ შეეტყო - შიშის გამო კი არა, სასჯელს კი არ ვემალებოდით, რადგან ასეთი რამ მისგან არ მახსოვს, უბრალოდ, ეწყინებოდა და ეს არ გვინდოდა. რაღაცნაირი, გულში ჩამწვდომი დარიგება იცოდა - მაგალითებით, ბრძნული გამონათქვამებით ან ანდაზებით გაჯერებული. ერთი სამახსოვრო ჩვეულებაც ჰქონდა: ზაფხულობით, როცა ბავშვებს დედულეთში გაგვგზავნიდა, 1 სექტემბრამდე, ჩვენი დაბრუნების დროისათვის აუცილებლად რაღაც მოულოდნელი სასიამოვნო სიურპრიზი უნდა დაეხვედრებინა, მცირე

იყო ის თუ დიდი, ჩვენთვის სასიხარულო იყო ყოველთვის. ასე იყო ყოველ წელს...

შთამომავლობაზე გენების გადაცემის თეორიის კანონი არც ჩვენთან დარღვეულა, შვილები მშობლებივით კეთილმოსურნე, ღვთისმოსავნი, სიწმინდისა და პატიოსნების განსახიერება იყვნენ. მეორე თაობა შვილიშვილებიც ასეთივენი აღიზარდნენ: დისშვილს - ომარ ხუხუნს და ჩემს მალხაზს ბებია-ბაბუების მადლი აცხიათ. მათი დევიზია ცხოვრებასა და საქმიანობაში პატიოსნება, სინდისიერება და კაცთმოყვარეობა. იმედი მაქვს, ჩვენი შემდეგი მომავალი თაობაც გააგრძელებს წინაპრების ტრადიციებს.

დიახ, იყო ასეთი სათნო, ყველასათვის საყვარელი პიროვნება ქალაქ ფოთში. მისი მსგავსი ადამიანები აკეთილშობილებენ საზოგადოებას, დედაბოძად უდგანან ქვეყანას მხარში - კულტურის, ზნეობის დასამკვიდრებლად თავდაუზოგავ გარჯაში. ღმერთმა ამრავლოს მათი მიმბაძველები...

მუდამ უნდა გვახსოვდეს ანდაზა: კაცმა ისე უნდა იცხოვრო, რომ შვილიშვილებს პაპა-დიდედის ხსენებისა არ შერცხვეს!

ასეთია ცხოვრების ჭეშმარიტი გზა.

პაუ, რამდენი ხანი გასულა!

პატარა კურიოზი

ბავშვობისას სადგურ აბაშის იქეთ არ გადამიდგამს ნაბიჯი. თუმცა, სურვილი კი მქონდა მენახა დიდი ქალაქები, მეტადრე ტფილისი (ასე ერქვა მაშინ საქართველოს დედაქალაქს...), მაგრამ, ასეთი სურვილის ასრულება მარტო ჩემზე არ იყო

დამოკიდებული. ჯერ თხუთმეტი წლისა არ ვიყავი და ისევ მშობლების ნება-სურვილს ვემორჩილებოდი. და აი, 1930 წლის ზაფხულის პირველ თვეს მომეცა საშუალება თანაკლასელებთან ერთად, დედების მეურვეობის გარეშე, გვემოგზაურა ქუთაისსა და სამტრედიაში, ექსკურსიით.

პირველად ქუთაისს ვეწვიეთ. ქალაქი ქუთაისი მაშინ საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო, ფართოდ გაშლილი გრანდიოზული მშენებლობის გამო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანს რიონჰესი წარმოადგენდა. ჩვენც უწინარესად, სწორედ მისი დათვალიერება დავიწყეთ. შევედით უზარმაზარ სადერივაციო გვირაბში, რომლის სიგრძე 3860 მეტრია და რომელმაც წამში უნდა გაატაროს 80 კუბ. მეტრი წყალი. ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეა 48 ათასი კილოვატი და მისი მოხმარება პირველ რიგში გათვალისწინებული იყო: სურამის უღელტეხილზე რკინიგზის ელექტროფიცირებისათვის, ჭიათურის მანგანუმის, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებისა და ქუთაისში მშენებარე ფაბრიკა-ქარხნების ელექტროფიკაციისათვის.

რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 1927 წელს დაიწყო. ზაჰესის ამუშავების მეორე დღეს, 1933 წლის 30 სექტემბერს კი ამუშავდა პირველი ტურბინა, ხოლო 1934 წლის 30 ივნისს საზეიმოდ მოეწყო მისი მთლიანად ამუშავება.*

ახლაც, თვალწინ მიდგას ქუთაისში დათვალიერებული მშენებლობები, მაგრამ განსაკუთრებით მომხიბლავი და შთამბეჭდავი იყო თავად ქალაქი, მწვანეში ჩაფლული, სუფთა, წყნარი, თუმცა მდინარე რიონის ჩქაფუნი ჯაჭვისა და თეთრ ხიდებთან არღვევდა მყუდროებას. ძირძველ ქუთათურებს ემახსოვრებათ, ხალხმრავალ ქუჩებში მეთულუხეები წარამარა რომ გაიძახოდნენ: „ცივი წყალი! აბა, აქეთ ცივი წყალი!..“ და ზურგზე მოკიდე-

---

* გ. ჩოგოვაძე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში. გვ. 69-71, 1968 წ.

ბული თულუხჩიდან შემოგთავაზებდნენ რიონის დაწმენდილ წყალს, ხელოვნური ყინულით გაცივებულს...

1932 წელს, როდესაც პირველად ჩამოვედი თბილისში, აქაც არც ისე ცოტანი იყვნენ მეთულუხჩეები... მაშინ თბილისი უფრო დიდი ინდუსტრიული ქალაქი გახლდათ, ხალხმრავალი ქუჩებით, მუდამ მოფუსფუსე ადამიანებით, საქმეზე რომ მიეჩქარებათ ყოველთვის. გზაჯვარედინის კუთხეში ვირშებმულ ორთვალაზე ნაირნაირ ხასხასა მწვანილეულობითა და ხილით მოვაჭრენი გაიძახოდნენ: აბა, აქეთ დიღმის მწვანილი, კოხტა ვირის მოტანილი... იფ, იფ, რა ხასხასაა...

მაწონი... მაწონი!... გაისმოდა ყოველ ქუჩაზე, დილაადრიან რომ აღვიძებდნენ ძილის მოყვარულთ. ვირზე გადაკიდებულ ხურჯინებში ჩაწყობილი ჰქონდათ ლიტრიანი და ნახევარლიტრიანი თიხის ქილები (მინის ქილები მაშინ საერთოდ არ იყო ხმარებაში). იმ დროს ქალაქში კინტოები და ყარაჩოლელები უკვე აღარ იყვნენ, მაგრამ ჩაცმულობით მათ მიმსგავსებულ ტიპებს ყველგან შეხვდებოდით, უმეტესად რიყეზე, სადაც ბლომად იყვნენ მეთუნუქეები, მკალავები, სხვადასხვა ხელობის ქარგლები, ათასი ჯურის მოვაჭრენი...

საწარმოო პრაქტიკაზე ჩამოსულმა თანაკურსელებმა ორ თვეში თითქმის მთლიანად დავათვალიერეთ დედაქალაქი და მისი შემოგარენი და დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით ტექნიკუმში.

1935 წელს თბილისს ისევ ვესტუმრე, უმაღლესი განათლების მისაღებად. ახლა ის უფრო გაზრდილი, ლამაზი მეჩვენა. მოსახლეობა 500 ათასამდე გაზრდილიყო. ფართოდ იყო გაშლილი ახალი მშენებლობები, ქალაქს შეემატა მთავრობის სახლი, გმირთა მოედანი ქალაქში პირველი 11-სართულიანი სახლით, ჩელიუსკინელების ხიდი, დინამოს სტადიონი, სხვა მრავალი შენობა და მოედანი. ვიწროლიანდაგიანი ტრამვაის ხაზები იცვლებოდა ფართოლიანდაგიანი ხაზებით, პატარა - ცხენის კონკის მსგავსი (ბარათაშვილის ხიდთან რომ დგას)

ვაგონების ნაცვლად გამოჩნდა უფრო დიდი, კომფორტული ორვაგონიანი სექციები. ქალაქში ძირითადი სატრანსპორტო საშუალება მაშინ ტრამვაი და ეტლები გახლდათ, შემდეგ „პობედის“ მარკის ტაქსებიც და ავტობუსებიც მომრავლდნენ. ტრამვაის სვლაგეზები პუშკინის სკვერის ირგვლივ იყრიდა თავს. აქედან მიდიოდა ტრამვაი ვაკეში, რკინიგზის სადგურსა და ავლაბარში, მთელი ღამე მოძრაობდა მორიგე ტრამვაი ყველა სვლა-გეზზე. რა თქმა უნდა, ეტლებიც მორიგეობდნენ მთავარ მოედნებზე, დაგვიანებული მგზავრების მოლოდინში.

ეტლების გახსენებაზე ერთ პატარა კურიოზულ შემთხვევას მოგიყვებით: ბიძა, ვისთანაც ვცხოვრობდი, ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუშაობდა მთავარ ბუხჰალტრად და მეც თეატრის ხშირი სტუმარი ვიყავი. გავიცანი ყველა იქ მომუშავე, მეგობრული ურთიერთობა მქონდა თეატრის დირექტორის მოადგილესთან, რომელთანაც ყოველთვის იკრიბებოდნენ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მისი მეგობრები და აი, ერთ საღამოს მეც რომ იქ დავრჩი, მეგობრებმა გადაწყვიტეს, ერთად ევახშმათ (ეს ტრადიციად ჰქონდათ თურმე). მეც მიმიწვიეს ვახშამზე. ახალგაზრდას, სტუდენტს, მეტი რა მინდოდა, სიამოვნებით შევუერთდი მათ კამპანიას და ბიძაჩემთან ერთად სახელგანთქმულ რესტორან „კავკაზში“ აღმოვჩნდი - რუსთაველის გამზირზე, ოპერის თეატრის მოპირდაპირე მხარეს. მოგეხსენებათ, იმ დროს ღვინო ყველგან უმაღლესი ხარისხის იყიდებოდა, საქეიფოდ და დროს გასატარებლად უმეტესად კახურ ღვინოს - „რვა ნომერს“ ეტანებოდნენ... ჩვენმა კომპანიამაც „რვა ნომრით“ დაიწყო შეხვედრა... მხიარულ სუფრაზე წავიდა ღვინის სმა, მჭევრმეტყველური სადღეგრძელოები ამშვენებდა ახალგაზრდულ სუფრას... დრო მიდიოდა, შევატყვე, ქეიფი ეშხში შევიდა და კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მე კი დილით ლექციები მქონდა და გადავწყვიტე სახლში წასვლა. დავით ბიძიამაც მომიწონა და მობოდიშების შემდეგ დავემშვიდობე თანამესუფრეებს... გარეთ გამოსულს მესიამოვნა გრილი ნიავი...

არ გასულა დიდი დრო და... შუაღამის მყუდროება დაარღვია ტრამვაის ზარის წკრიალმა... ოპერის წინ, გაჩერებაზე ჩავჯექი ტრამვაის წინა ვაგონში, სადაც ხუთიოდე მგზავრი იყო... ჩელიუსკინელების ხიდის გავლით რკინიგზის სადგურში მივედით... ძველი სადგურის წინ ვიწრო მოედანი იყო, ორ და სამსართულიან დარაბებიან სახლებში ზოგან მაღაზიები გაეხსნათ. გოგოლის ქუჩის მხარეს, პატარა მოედანი ეტლების სადგომად გამოეყოთ, აქ, სისტემატური დასუფთავების მიუხედავად მძაფრი, არასასიამოვნო სუნი მაინც იდგა. ეტლები მთელი ღამის განმავლობაში მოედანზე მორიგეობდნენ... მე ჩერქეზოვის (საბჭოს) და ანტონოვის (კოჩეტკოვის) ქუჩების კუთხის სახლში ვცხოვრობდი და საბჭოს მოედნისკენ მიმავალ ტრამვაის დაველოდე, გაჩერებაზე... ღვინომ მაინც თავისი გაიტანა, მომერია, ძლივს ვიკავებ თავს. როგორც იქნა, იქვე ჩავიმუხლე, სული მოვითქვი... ცოტა ხნის შემდეგ კიდევაც წამთვლიმა... არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე, რომ ვიღაც მეწევა - ძმაო, არ დაგეძინოს, ხომ იცი, აქ სადგურია (იგულისხმებოდა ჯიბგირებისგან საშიშროება)... უცებ გამოვფხიზლდი (ალბათ, შიშისგანაც - არ ვიცოდი რა ხდებოდა)... და გამოვესაუბრე თავზე მდგომთ, ორნი იყვნენ... მკითხეს, სად ცხოვრობო... მე დინჯად ვუპასუხე - სვანეთის უბანში-მეთქი. გაგონილი მქონდა - სვანეთის უბანი ჩვენი ქუჩიდან იწყებოდა, უბნის ბიჭებსაც შევხვედრილვარ.

- მაშ, გოგიასაც იცნობ?!

გულდაარხეინებულმა ვუპასუხე - როგორ არა, გიორგი ნათესავია, ახლობელია... ეს აქტიურ მოსაუბრეს ესიამოვნა... ვახ, ჩვენი გოგის ნათესავი ყოფილა, ... ტრამვაის დააგვიანდება ალბათ, ვინ იცის, როდის მოვა და „ჰეე, იზვოზჩიკ“ გასძახა მეეტლეს... ეტლიც უცბად ჩამოდგა... აი, ეს ამხანაგი უნდა წაიყვანო აქვე - ჩერქეზოვზე, ჩვენი გოგიას ძმაკაცია, ჩვენზე იყოსო - დააყოლა...

სამი თუ ოთხი ბიჭი მოვიდა, პირველი დამეხმარა ეტლში ჩაჯდომაში, დამემშვიდობნენ და გოგიასთან მოკითხვა დამ-

აბარეს... ხუთ წუთში უკვე სახლში ვიყავი. მართალია, მთვრალი კი ვიყავი, მაგრამ ჩემი პასუხები ყველა კარგად მახსოვდა... სვანეთის უბანში ჩემი ნათესავი გიორგი ნამდვილად ცხოვრობდა, ხოლო, თუ რა კავშირი ჰქონდა მას იმ ახალგაზრდებთან, ეს მე არ ვიცოდი. ამ შემთხვევიდან დიდი ხანი არ იყო გასული, ჩვენი ნათესავი გიორგი რაზმაძე გვესტუმრა. იმ სულგანათლებულს, შექეიფიანებულს უყვარდა შემოვლა ჩვენთან, თან ხვანჭკარის, ხან საფერავის მოტანა იცოდა ..... ბოთლებით და მოიგონებდა ძველ ამბებს, თუ რა სიკეთე გაუკეთებიათ ჩემს მშობლებს მისთვის. ღმერთო, აცხონე მისი სული... გიორგის დაწვრილებით მოვუყევი როგორც იყო და მადლობაც ვუთხარი, რომ ასეთი კარგი პატივი მცეს... იგი ყურადღებით მისმენდა, თან ელიმებოდა, შემდეგ სიცილი წასკდა - გადაბჟირდა... ის გოგია, რომლის პატივისცემითაც მე მომემსახურნენ, სხვა გოგია აღმოჩნდა - სვანეთის უბნელი ბიჭების ატამანი ყოფილა... აბა, მე ეს რა ვიცოდი... ისე, რომ ვთქვათ, ჩემი გიორგიც ნაღდი თბილისელი იყო, ქალაქური კოლორიტით... ძმაკაცებით... კაცური კაცი.

დიახ, იყო ისეთი დროება, როდესაც დედაქალაქში ვერელი, სვანეთის უბნელი, ავლაბრელი, ხარფუხელი თუ სხვა უბნის ბიჭების თავკაცები იცავდნენ უბნის ღირსებას და დიდი ავტორიტეტიც ჰქონდათ.

აი, ასეთი იყო თბილისი, როცა პირველად დავიწყე აქ ცხოვრება მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში... ეს თითქოს ახლახან იყო, სინამდვილეში კი, ჰაუ, რამდენი წელი გასულა - შვიდი ათეული წელიწადი!... და რატომღაც ახლა ნოსტალგია მაწუხებს მაშინდელი, ნამუსიანი ტფილისისა!

საგანგებო დავალებით... სვანებთან!

1934 წლის 23 იანვარია... მთელი კვირაა ფოთში მზიანი, თბილი ამინდი დგას... კოლხიდშენის სამმართველოში ჩვეულებრივი სამუშაო დღეა... 4 საათზე სამუშაოს დამთავრების მაუწყებელი ზარი დაირეკა... ხუთდღიურის მეხუთე დღეა, დასვენების წინა დღე...* უცებ თანამშრომელმა შემატყობინა, უფროსი გიბარებს სასწრაფოდო. ეს იშვიათი შემთხვევა არ იყო და მეც მშვიდი განწყობით შევედი სამმართველოს უფროსის კაბინეტში... იქ იყვნენ: მთავარი ინჟინერი გრიგოლ გეგეჭკორი და განყოფილების უფროსები. სამმართველოს უფროსმა ემელიანე ნოდიამ ჯერ საქებარი სიტყვებით დაიწყო საუბარი, მერე კი საგანგებო დავალება გამაცნო: დღესვე უნდა გაემგზავროთ ლენტეხში, ვინმე ბულიასთან ერთად და ქვემო სვანეთიდან მუშები უნდა ჩამოიყვანოთო. ასეთ დავალებას ჩემს სამსახურთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ დავალება საზოგადოებრივი იყო და მისი შესრულება ისევე აუცილებელი გახლდათ, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის მოხდა. სასწრაფოდ მოამზადეს მივლინების საბუთები, მომცეს საქვეანგარიშო თანხა 1.500 მანეთი, მუშებზე გასაცემად და სვან ბულიასთან ერთად, რომელიც გაცნობიდანვე კეთილად დამიახლოვდა (ამაში ეჭვი არასდროს შემპარვია), იმავე საღამოს გავემგზავრეთ ახალ სენაკში (მაშინ სენაკს, რომელსაც მერე ცხაკაია ერქვა, ასე იხსენიებდნენ). როგორც დავალებული გვქონდა, მივედით „ცივი-ტეხურას მასივის“ მშენებლობის უფროსთან, რომელსაც ჩვენი მივლინების ხარჯები 1000 მანეთით უნდა შეევსო... მაგრამ მშენებლობის უფროსს ეს თანხა არ აღმოაჩნდა.

---

*იმ წლებში საბჭოთა კავშირში შემოღებული იყო 5 დღიანი სამუშაო კვირა, მეექვსე დასვენების დღე იყო. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 7 საათით განისაზღვრებოდა.

ბულიამ (გარკვეული მიზეზის გამო მის გვარს არ ვასახელებ) როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ათასხუთასი მანეთით ლენტეხიდან ამდენი მუშის ჩამოყვანა შეუძლებელიაო...

მეორე დილით ისევ ფოთში ამოვყავით თავი და ჩვენს უფროსებს მოვახსენეთ რაც მოხდა. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა: უფროსებმა მივლინებიდან ჩვენს დაბრუნებას დავალების შეუსრულებლობის კვალიფიკაცია „მიანიჭეს“ და იქვე გამოცხვა მრისხანე ბრძანება, რომლითაც მე, როგორც უდისციპლინო მუშაკი, დამსაჯეს და უფრო დაბალ სამუშაოზე გადამიყვანეს, ბუნებრივია, ხელფასიც შემიმცირეს. ვგრძნობდი, რომ გაუგებრობის მსხვერპლი ვიყავი, მაგრამ ის, ვინც მე დამსაჯა, ვერაფერს უბედავდა ნამდვილ დამნაშავეს და როგორც იტყვიან, იმ მხედარს ჰგავდა, რომელიც ბედაურს ვერას აკლებდა და „უნაგირს“ ამტვრევდა, ერთი სიტყვით, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა, არ ვიცოდი რა მექნა! მართალია, პარტიის წევრი არ ვიყავი, მაგრამ კომკავშირელს იმ დროს იმასვე სთხოვდნენ, რასაც კომუნისტს. მეტსაც გეტყვით, ჩემს თვალში, კომკავშირი პარტიაზე მაღლა მეჩვენებოდა და მეგონა, პარტია იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას გვიწევს, კომკავშირლები კი, პრაქტიკულ საქმეს ვაკეთებდით-თქო! ამიტომ იყო, ისეთი დიდი ორგანიზაციის, როგორიც იმდროინდელი კოლხიდმშენი გახლდათ, პარტკომის მდივანს, ბატონ თედო მინაშვილს რომ მივმართე თხოვნით, ერჩია, როგორ მოვქცეულიყავი. იმ დროს კოლხიდის დაშრობის საქმე, საყოველთაო სახალხო საქმედ იყო გამოცხადებული და მისი მთავარი შტაბის - კოლხიდმშენის პარტკომის მდივანი, იმავდროულად პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულიც გახლდათ. ბატონმა თედომ, რომელიც გულისხმიერებით გამოირჩეოდა, მირჩია: ახლავე წადი და დავალება შეასრულეო. მისივე ჩარევის შედეგად მივიღე ის ავადსახსენებელი 1000 მანეთიც (დამატებით) და ქუთაისს მივაშურე. ჩემი სვანი მეგობარი - ბულია, სამტრედიაში

დამხვდა რომელიღაც ნაყაჩაღარ და გაურკვეველი თუ საეჭვო წარსულის მქონე კაცთან ერთად...

როგორც ეს დასავლეთ საქართველოს ჩვევია, ამინდი ერთბაშად შეიცვალა. სამტრედიაში თოვლი მოვიდა და მატარებლის ვაგონში, სადაც ერთი სანთელიღა ბჟუტავდა, საკმაოდ აცივდა. ვიჯექი ვაგონის გაყინულ კუპეში, რომლის სარკმლიდანაც კუნაპეტი ღამელა ჩანდა და ვუსმენდი ბულიას ნაყაჩაღარი მეგობრის ამაზრზენ თავგადასავალს, რომელიც არაფერს კარგს არ მიქადდა 19 წლის ყმაწვილს, ვისაც ჯიბეში 2.500 მანეთი მედო!.. ღამის 2 საათზე ჩაგვიყვანა ჩვენმა მატარებელმა ქუთაისში, სადაც ბარაქიანად თოვდა და რიონიდან მობერილი ცივი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. პირველ სასტუმროში ღამის გათენებაზე უარი გვითხრეს. ჯაჭვის ხიდთან მდებარე სასტუმროს ვესტიბიული სვანებით გატენილი დაგვხვდა. როცა შეიტყვეს, რომ ჩვენ, ლენტეხში ვაპირებდით ასვლას და იქიდან მათ ჩამოყვანას, ერთხმად გვიპასუხეს: ლენტეხში არცერთი კაცი არ დაგხვდებათ, ვისაც ბარის ხელში აღება შეგვიძლია, აქა ვართ ჩამოსულები და კოლხიდის სამუშაოზე მივდივართო... აქ, სასტუმროში ადგილი ვერ ვიშოვეთ და როგორც ხედავთ ვესტიბიულში ვათენებთ, მაგარმ თანასოფლელთა უმეტესობა რკინიგზის სადგურში ელოდებაო ფოთისკენ მიმავალ მატარებელს.

დილა ახლოვდება. 4 საათზე მე, ბულია და მისი ნაყაჩაღარი მეგობარი ჯაჭვის ხიდიდან რკინიგზის სადგურისკენ მიმავალ გზას, რომელიც თოვლით არის დაფარული, დავადექით. მე, რომელმაც კარგად ვიცი, ბულიას ამხანაგი 100 მანეთისათვის ყელს გამოჭრის კაცს, ვუსმენ ბულიას და მისი ნაყაჩაღარი სვანის ხმამაღალ ლაპარაკს, რომლის შინაარსიც არ მესმის, მაგრამ ინტუიციით ვგრძნობ, რომ იგი მე და იმ 2500 მანეთს ეხება, რომელიც ჯიბეში მიდევს... უცებ, ნაყაჩაღარმა გზა გადამიღობა და მეუბნება, რას დავყიალებთ ასეთ ცივ ამინდში უცხო ქალაქში, აქ ნათესავი მყავს და მის სახლში გავჩერდეთ გათენებამდე, მერე კი საქმეს მივხედოთო. მე და ბულია

წინააღმდეგი ვართ. ნაყაჩაღარი კი შეტევაზე გადმოდის... ვდგავართ გზაგასაყარზე, სადაც უკვე მუხლამდე თოვლი დევს და არ ვიცით რითი დასრულდება ჩვენი სიტყვიერი ჭიდილი და... ჰოი, საოცრებავ! საიდანღაც ახალგაზრდა ქუთაისელთა გუნდი გამოტყვრა. სიმღერითა და სიცილ-კისკისით მოგვიახლოვდნენ ისინი და მეც შვებით ამოვისუნთქე. ელექტრობოძს მოვწყდი და ახალგაზრდებს შევუერთდი, ბუღიას და მის ნაყაჩაღარ მეგობარს დავუბარე, სადგურში ფული უნდა მომიტანონ-მეთქი და მხიარულ ახალგაზრდებსაც კი გავუსწარი... თანაც უკან ვიხედები, ნაყაჩაღარი ხომ არ მომდევს-მეთქი. ის კი, ვხედავ (უფრო სწორი იქნება ვთქვა, ვხედავ მის სილუეტს თოვლის ბარდნაში გახვეულს) დგას ელექტრობოძთან და რაღაცას ხმამაღლა ეკამათება ბუღიას! რკინიგზის სადგურის დარბაზში გუდანაბდიანი სვანების ჯგუფი დამხვდა. როცა ავუხსენი მათთან ვარ ჩამოსული და ავანსად გასაცემი ფულიც ჩამოვიტანე-მეთქი, გაიხარეს. კოლხიდმშენის მომავალ მუშებს ავუხსენი, რა ექნებოდათ გასაკეთებელი და ავანსიც დავურიგე, ბუნებრივია, უწყისის შედგენის შემდეგ...

ფოთის მატარებელი დროზე მოვიდა. სვანების ჯგუფი ვაგონებს შეესია. მათ უკვე მოესწროთ ბრიგადების ჩამოყალიბებაც და სამუშაო ადგილების შერჩევაც: ზოგი სენაკში ჩამოვიდა, ზოგიც ქვალონში და ჭალადიდში...

მეორე დღეს ფოთში, კოლხიდმშენის სამმართველოში ვიყავი და ანგარიშს ვაბარებდი იმ ბუღალტერს, ვისგანაც ე.წ. ქვეანგარიში მივიღე... და ახლა, ამ დღეების გადასახედიდან, თვალწინ ცოცხლდება მთავარი ბუხჰალტრის მოადგილის ოლიფანტე კვანტალიანის ფართოდ გახელილი და გაოგნების გამომხატველი თვალები, რომელსაც იგი არ აშორებდა იმ 934 მანეთს, როგორც აუთვისებელის, მთავარ ბუხჰალტერს რომ დავუბრუნე... რა მიამიტი ყოფილხარ, - იკითხება ამ გამოხედვაში, - შეგედგინა „უწყისი“, თვითონ მოგეწერა ხელი და ჩაგედო ჯიბეში ეს ფული! მისაყვედურებს ეს გამობრძმედილი „ფინან-

სისტი“ და ახლა, 70 წლის შემდეგაც, მე სიამოვნებას მგვრის ის, რომ 19 წლის ბიჭიც არ დავხარბდი „ხელის ჭუჭყს“.

ჩემი სასჯელის მოხდა საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში წარმოებდა, პარტკომის მდივნის რჩევით, მე ისევ დავდიოდი წინანდელ სამუშაოზე, კეთილსინდისიერად ვასრულებდი სამსახურებრივ მოვალეობას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ხელფასს არავინ მიხდიდა... და ასე კარგა ხანს გამიგრძელდა, მაგრამ სამართალმა პური მაინც ჭამა! პარტკომის მდივანმა ბოლომდე დამიცვა. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგნად აქცია ჩემი, როგორც უდანაშაულო სპეციალისტის დასჯის საქმე და სამმართველოს უფროსი აიძულეს სამუშაოზე აღვედგინე.

ამას რომ ვყვები, ნურავინ ჩამითვლის კომუნისტური რეჟიმის ნოსტალგიად, არა, მე სიმართლეს მოგახსენებთ და გინდა ნოსტალგია უწოდეთ ამას და გინდ - ნოტაცია - ჭკუის სწავლება! და მაინც მოვიშველიებ ქართულ ხალხურ ანდაზას: „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა!“

P.S. *ამ საკმაოდ კურიოზული თავგადასავლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: სამმართველოს უფროსი და მისი მთავარი ინჟინერიც დააპატიმრეს, პარტკომის მდივანი კი გააციმბირეს... და აი, 40 წლის შემდეგ, ვისვენებ კისლოვოდსკში. ექსკურსიიდან დაბრუნებული, მხიარული განწყობილებით ვხედებით სანატორიუმში ახალჩამოსულებს. ერთი მათგანი მეცნობა. ვუახლოვდები და ვეკითხები: - მაპატიეთ, მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, საქართველოდან ბრძანდებით, ძლიერ ჰგავხართ ჩემს უფროსს, სიყრმის ამხანაგს, თედო მინაშვილს!..*

- მე თვითონ ვარ მინაშვილი! - სიტყვა შემაწყვეტინა ჭაღარა კაცმა და როცა ავუხსენი, ვინც ვიყავი, სიხარულით ცას ეწია.

მომითხრო ბატონმა თედომ, ამ უმწიკვლო მამულიშვილმა და მრავალჭირგადატანილმა კაცმა, როგორ შეთითხნეს მის

წინააღმდეგ „ხალხის მტრის“ ხატი და 10 წელი გადასახლებაში გაატარებინეს. მერე კი აღუდგენიათ პარტიაში, ლენინის ორდენითაც დაუჯილდოებიათ და იმჟამად აჭარაში, მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორად მუშაობდა, - მაგრამ უდანაშაულოდ დასჯილს ჯანი მაინც გაბზარული ჰქონდა...

ბატონ თედოსთან გატარებული კისლოვოდსკის დღეები ჩემს მეხსიერებაში უბედნიერეს პერიოდად დამრჩება.

ამ სტრიქონებს დავამთავრებ იმით, რომ ისეთ კეთილ ადამიანს, როგორიც ბატონი თედო იყო, ვუსურვებ სახელის მხსენებელი და მასზე მლოცველი არ გამოლეოდეს საქართველოში.

ერთი თურცელი
ქუქლობის დროინდელი დიურიდან

უმაღლესი განათლების მისაღებად ფოთიდან თბილისში წამოსვლის დროს (1935 წ.) ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ მშობლიურ კერას დავშორდებოდი. მე ხომ ისევ კოლხიდმშენში ვაპირებდი დაბრუნებას. ჩემდა უნებურად სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლის თვალთმაქცობით მოსამზადებელი კურსების მსმენელთა ყველა საბუთი სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოჩნდა. იმ წლებში თბილისში სამი თუ ოთხი უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებდა, შემსვლელთა კონტიგენტი კი არც ისე დიდი გახლდათ. მისაღები გამოცდები ყველგან ობიექტურად ტარდებოდა, ყოველგვარი ქრთამისა და პროტექციის გარეშე. არ მახსოვს აბიტურიენტისაგან გამეგონოს საყვედური „უსამართლოდ ნიშნის“ დაწერაზე.

უმაღლეს და სპეციალურ ტექნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად მთავარი იყო მხოლოდ ცოდნა. ამიტომაც ჰყავდა ქვეყანას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ერთი სიტყვით, ჩავირიცხე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და ვფიქრობდი შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადასვლას, მაგრამ ეს მაშინ შეუძლებელი გახდა.

სწავლასთან ერთად დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ჩაბმამ, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურმა მონაწილეობამ, განსაკუთრებით თეატრალურ ხელოვნებასთან დაახლოებამ, ახალ იდეებს მაზიარა. ამაში მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დასის თანადგომამაც შეასრულა გარკვეული როლი. კვირაში სამ-ოთხ საღამოს ამ თეატრში ვატარებდი, თეატრის მთავარი ბუხჰალტერი ჩემი ბიძა გახლდათ (დედის ძმა - დავით რუხაძე, ვისთანაც ვცხოვრობდი) და თეატრის კარები მუდამ ღია იყო ჩემთვის.

აქ, ცნობილ რეჟისორებთან - ალექსანდრე თაყაიშვილთან, ბორის გამრეკელთან და გოგი დარისპანაშვილთან ახლო ურთიერთობამ ბევრი რამ, უწინარეს ყოვლისა, თეატრალური დადგმების ღრმა ანალიზისა და შეფასების უნარი შემძინა, რის შედეგადაც გაზეთების: „ლიტერატურული საქართველოს“, „საბჭოთა მასწავლებლისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ჩემი რეცენზიები თეატრის ყოველ ახალ დადგმაზე. ხშირი სტუმარი ვიყავი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციისა. რედაქტორი, უაღრესად კეთილშობილური პიროვნება, პროფესორი შალვა რადიანი, რედაქციის თანამშრომლები: დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ნიკა აგიაშვილი, ერემია ასტვაცატუროვი (შემდეგ ქარელიშვილად ცნობილი) და ნიკოლოზ ჩაჩავა ყოველთვის გულთბილად მხვდებოდნენ. ხშირად მიმიღია მონაწილეობა მათთან ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში. ყოველივე ზემოთქმულმა თავისებური გავლენა იქონია ჩემზე და ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე დრამატურგიაში მომესინჯა ჩემი

ნიჭი. და აი, 1938 წელს, განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა ჩემი ერთმოქმედებიანი სბავშვო პიესა „პატარა გმირები“. პიესას დიდი მოწონება ჰქონდა სასკოლო დრამატულ წრეებში. ამ პირველმა წარმატებამ მეტი სტიმული მომცა. ხშირად ვხვდებოდი უფროსი თაობის ცნობილ დრამატურგებს: იონა ვაკელს, სიმონ თვარაძეს, გუგა ნახუცრიშვილს და სხვებს. 1940 წელს, რესპუბლიკის ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორის, კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძის თანადგომით დაისტამბა ორმოქმედებიანი პიესა „ბრძოლა გამარჯვებამდე“, რომელსაც დიდი სამამულო ომის დაწყებამდე და შემდეგაც თეატრალური წრეები წარმატებით დგამდნენ კლუბებში. გათამამებულმა ხელი მოვკიდე უფრო დიდი ფორმის - ოთხმოქმედებიანი პიესის შექმნას. „წრფელი გული“ ერქვა პიესას, რომელიც ახალგაზრდა ექიმის ცხოვრებას ასახავდა, პიესა შეიტანეს თბილოისის სანიტარული თეატრის 1941 წლის რეპერტუარში. იმხანად, როდესაც ასე გატაცებით ვმუშაობდი პიესებზე, 1940 წლის 15 თებერვალს თბილისში მწერალთა კლუბში მუშაობა დაიწყო საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა კურს-კონფერენციამ; კონფერენციაზე მეც ვიყავი მიწვეული მწერალთა კავშირის დრამსექციიდან, რომელსაც თავკაცობდა დრამატურგი იონა ვაკელი.

კურს-კონფერენცია უმაღლეს დონეზე იყო მომზადებული. საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე ლექციები წაიკითხეს სახელოვანმა მეცნიერებმა კორნელი კეკელიძემ, ალექსანდრე ბარამიძემ, მოსე გოგიბერიძემ, სარგის კაკაბაძემ. შეხვედრები გვქონდა ცნობილ მწერლებთან: გერონტი ქიქოძესთან, სანდრო შანშიაშვილთან, ალექსანდრე ჭეიშვილთან, ლეო ქიაჩელთან, იოსებ გრიშაშვილთან, გრიგოლ აბაშიძესთან, დემნა შენგელაიასთან, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებთან: ალექსანდრე წუწუნავასა და თამარ აბაკელიასთან. სექციის სემინარზე მოვისმინეთ: შალვა დადიანის, დიმიტრი ბენაშვილის, სანდრო შანშიაშვილის ლექციები.

2 მარტს კურს-კონფერენციის მუშაობა შეაჯამა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ. შემდეგ კურს-კონ-ფერენციის მონაწილეებმა მწერლებთან ერთად სურათი გადავიღეთ მწერალთა სახლის ბაღში. ეს სურათი 58 წლის შემდეგ მწერალმა რევაზ კვერენჩხილაძემ გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1998 წლის 11 ივნისის ნომერში. ბატონ რევაზს სურათში ზოგიერთების ვინაობა ვერ დაუდგენია, ერთ-ერთი მეც ვარ - მეოთხე რიგში. მარჯვნიდან პირველი.

კურს-კონფერენციით კმაყოფილი დავრჩი. აქ გავიცანი ახალგაზრდა პოეტები: იოსებ ნონეშვილი, ლადო ასათიანი, ალექსანდრე საჯაია...

ერთხელ, თებერვლის სუსხიანდილით, კურს-კონფერენციაზე მიმავალს, მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში ახალგაზრდა დამეწია და გულთბილად მომესალმა... მიუხედავად სიცივისა მხოლოდ ხალათი ეცვა - გვერდულად შესაკრავი - წელზე ქამარმოჭერილი, ფეხებზე წაღებით, ხუჭუჭა თმა უფარავდა შუბლს... ვიდრე მწერალთა სახლში შევიდოდით - მოვასწართი ერთმანეთის გაც-ნობა, მისწრაფებების გაზიარება, ეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, კახეთიდან ახალჩამოსული იოსებ ნონეშვილი. მის ჩაცმულობას იმიტომ შევეხე, რომ იგი ობლობაში იზრდებოდა და ზოგიერთები-ვით განებივრებული არ ყოფილა...

ამრიგად, 1941 წელი ჩემთვის ახალი წარმატებების წელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დიდი სამამულო ომის მოულოდ-ნელად დაწყებამ ყველაფერი არივ-დარია. მეც კალამი გვერდზე გადავდე და მელიორაციას დავუბრუნდი.

გავიხსენებ ერთ შემთხვევას:

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა უკვე ისევ დედაქალაქში ვარ, ერთ მშვენიერ დღეს მივდივარ მეგობრის სანახავად, 8 მარტის სახელობის ქუჩაზე, ჩემი სეხნიისა და მოგვარის - სოციალისტური შრომის გმირის, არქიტექტორ ალექსი მიმინოშვილის პროექტით აშენებულ საცხოვრებელი

სახლის სადარბაზოს რომ მივუახლოვდი, ვხედავ ბატონი იოსები, წიგნებით ხელში, სწორედ ამ სადარბაზოში შედის.

ტკბილი, გულღია მოსიყვარულება იცოდა. საუბრით ისე გავერთეთ, რომ ვერც შევნიშნეთ, როგორ ავყევით კიბეს.

თქვენ აქ ცხოვრობთ? - მეკითხება იოსები.

- არა, მეგობრის სანახავად მივდივარ, - ვპასუხობ.

- მეც მეგობართან მივდივარო, -მითხრა და ამასობაში ორივე ერთ კარს მივადექით... თურმე ორივე გრიგოლ ზამბახიძის სტუმარი ვყოფილვართ.

ბატონი გრიშა მაშინ თბილისის პარტიული ორგანიზაციის თავკაცი გახლდათ.

სწორედ ამ შეხვედრაზე, მისთვის ჩვეული ოსტატობით წაიკითხა პოეტმა მისი ცნობილი ლექსი - შემოდგომა თბილისში.

რამდენი წელი გავიდა, მაგრამ ამ ლექსს ისევ ის ძველებური, ამაღლებული, ქართული პეწი ახლავს. ასე მგონია, ამ ლექსში ქართული მიწის ბარაქისა და მისი მომყვანი გლეხკაცის მარჯვენის ქებათა ქება, მუსიკალური სიმფონიის დონეზეა აყვანილი.

აი, ამ ლექსის ამონარიდიც:

შემოდგომას სულ პირველად
რუსთაველზე გაიგებ.
ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს
გაშლის, ფეხქვეშ გაგიგებს.
მოვარდება კახეთიდან,
ვით ფეხმარდი მოამბე,
ღვინისა და ხილის სურნელს
თბილისშიაც მოაფენს.

. . . . . .

შემოსულა შემდგომის
დოვლათიდა ბარაქა,

მოილხინოს, გაიხაროს
მთელმა თბილის-ქალაქმა.

ვუსმენდით მე და გრიშა ზამბახიძე იოსების მაღალოსტატობით წაკითხულ სტრიქონებს და აღფრთოვანებას ვერ ვფარავდით.

მინაწერი:

თითქოს წინასწარმეტყველური პრელუდია უძღვნა იოსებ ნონეშვილმა შემდეგ დაფუძნებულ „თბილისობას“ დედაქალაქში.

მიყვარდა „თბილისობა“, რომელიც მუდამ ქართული ჭირნახულის დღესასწაულად იყო გადაქცეული. სამწუხაროდ წლეულს, 2004 წლის შემოდგომაზე, ამ სახალხო დღესასწაულს, მთავარი - ქართული მიწის ხვავი და ბარაქა ჩამოაცალეს და მარტო კულტურული ღონისძიებებით შემოიფარგლეს, ასე მოსწონთ ახალგაზრდებს... რაც ჩემი აზრით დამკვიდრებული ტრადიციის უარყოფაა და სხვა არაფერი.

იმედს მაინც არ ვკარგავ, რომ ქართული შემოდგომა ისევ გაბრწყინდება და ჩემი საყვარელი პოეტის - იოსებ ნონეშვილის ლექსით უმღერებენ თბილისელები ქართულ მიწის ბარაქას, პატივს მიაგებენ მისი მომყვანის მარჯვენას.

წერილის დასაწყისში ვთქვი, უმაღლესი განათლების მისაღებად ფოთიდან თბილისში წამოსვლისას, ვერ ვიფიქრებდი, ადვილად თუ შევურიგდებოდი მშობლიური კერის დატოვებას მეთქი. მაგრამ დედაქალაქი, მაინც დედაქალაქია და ჩემი მშობლიური ფოთი მიმიხვდება, სადაც არ უნდა ვიყო, იგი მე, არსად არ დამავიწყდება.

ასეა, ყველა თბილისელი, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: ასე უნდა იყოს ყველა თბილისელი, რამეთუ თბილისელობა გვავალებს საქართველოს ყველა კუთხე გვიყვარდეს ერთნაირად, განსაკუთრებით კი, რა თქმა უნდა, მშობლიური.

ოსტატები და შებრძოლები

ეს სურათი, რომელზეც აღბეჭდილი არიან 1940 წელს თბილისში, მწერალთა სასახლეში, ჩატარებული ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი, ქართული მწერლობის ისტორიის საბუთია. ვფიქრობთ, დღევანდელი თაობიდან ზოგიერთებს დააინტერესებს იხილოს, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ნახევარი საუკუნის წინ ის შეგირდები, რომელთაგან დღეს მხოლოდ ოთხია, აგრეთვე გაიგოს, ვინ ითვლებოდა მაშინ მათ მასწავლებლად, ოსტატებად...

ზოგიერთი პიროვნების ვინაობა ვერ დავადგინეთ. იმედი გვაქვს მკითხველები დაგვეხმარებიან მათ ამოცნობაში.

მაშ ასე, მარცხნიდან მარჯვნივ:

I რიგში სხედან: ...? გრიგოლ იმედაძე;

II რიგში სხედან: ალექსანდრე ქუთათელი, სიმონ წვერავა, დემნა შენგელაია, ირაკლი აბაშიძე. სანდრო ეული, ილო მოსაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ერემია ქარელიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე;

III რიგში დგანან: ანდრო თევზაძე, ლადო სულაბერიძე, რევაზ მარგიანი, ...? ...? გიორგი ქავთარაძე, ...? ...? ...? მამია ვარშანიძე;

IV რიგში დგანან: ვანო ხალიფაშვილი, ...? ვლადიმერ უბილავა, ელიზბარ უბილავა, ...? მიხეილ კაკიტელაშვილი, ...? ვასო ბაიაძე, ალექსანდრე ბეგაშვილი, ...? ...? ალექსი მიმინოშვილი.

V რიგში დგანან: ...? ...?

რევაზ ქვერენჩხილაძე

„ლიტერატურული საქართველო“

დიდი ბელადის საჩუქარი

ქარელის რაიონში მდინარე დვანის წყალი, რომელსაც აღმოსავლეთი ფრონეც ჰქვია, ჩამოუდის სოფლებს: დვანს, დირბს, ბრეთს, წვერს და არადეთთან უერთდება მტკვარს.

ფრონე ზაფხულობით წყალმცირეა და მხოლოდ ზედა სოფლებს ყოფნის სარწყავად. დვანსა და დირბში მოსახლეობა თავად უვლიდა სოფლის არხებს, თვითონ ირჩევდნენ მერუეებს, რომლებიც განაგებდნენ როგორც წყლის განაწილებას მოსახლეობაში, ისე არხების გაწმენდა-შეკეთებას. გასამრჯელოს მერუეები იღებდნენ ნატურის სახით. რწყვის სეზონის დამთავრების შემდეგ. სოფელი არადეთი, მდინარე აღმოსავლეთ ფრონეზე ბოლო სოფელია მარჯვენა ნაპირზე, რომელიც ბექობზე მდებარეობს და აქ უშუალოდ მდინარიდან ვერ იღებენ წყალს. შორი მანძილიდან არხის გაყვანას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ, სოფლის ადგილ-მამული ურწყავი იყო, მაგრამ დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა იქ სარწყავი წყლის მიყვანა. როგორ მოხერხდა ეს, ამაზე ერთ პატარა ამბავსაც მოგიყვებით. ომის დამთავრების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, სამმართველოს უფროსი მ. წაქაძე და ამ სტრიქონების ავტორი დაგვიბარეს რაიკომში, პირველ მდივანთან. მდივანს აინტერესებდა ერთადერთი საკითხი - შეიძლებოდა თუ არა სარწყავი არხის გაყვანა სოფელ არადეთში მდინარე ფრონედან. რასაკვირველია, ეს ტექნიკურად შესაძლებელი იყო, მაგრამ წყლის სიმცირე არ იძლეოდა ამის საშუალებას. პარტიის ხაზით დაგვევალა - არხის სასწრაფოდ დაპროექტება და მისი გაყვანაც. ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. თანხმობა მივეცით. ასე სასწრაფოდ არხის გაყვანას თავისებური მიზეზი ჰქონია.

შემოდგომის პირი იყო, იოსებ სტალინი ბორჯომში ისვენებდა თურმე და მოუკითხავს ვინმე ვასო ტიტვინიძე, რომელიც ორთქმავლის მემანქანე ყოფილა და ერთხელ ახალგაზრდა

სტალინი, რევოლუციური მოღვაწეობის დროს, არალეგალურად ორთქმავლით თბილისიდან ხაშურში წაუყვანია. ვასო თბილისში ცხოვრობდა და მოუძებნიათ, კარგად გამოუწყვიათ და სტალინს შეახვედრეს თურმე ოსიაურის ტყეში (ხაშურთან ახლოსაა). სტალინს კარგა ხანს უსაუბრია ვასოსთან და გამომშვიდობების წინ მიუმართავს - რით დაგეხმარო, რაც გინდა მთხოვეო, უცებ ვასოს ვერაფერი მოუხერხებია და ჩიბუხი უთხოვია სამახსოვროდ. - ჩიბუხს კი მოგცემ, მაგრამ სხვა რამ არ გიჭირსო? უკითხავს სტალინს. ომის შემდეგ როგორ არ უჭირდა ხალხს, რაიონს... ცოტა გათამამებულა ვასო და ხორბალი უთხოვია რაიონისათვის... იქვე გადაუწყვეტია სტალინს ქარელის რაიონისათვის ორი ვაგონი ხორბლის გამოყოფა... ახლა შენთვის რა გინდაო!...

ვასო ჩაფიქრებულა... მოუაზრებია და უთქვამს: პენსიაზე ვარ, თბილისში ვცხოვრობ და მშობლიურ სოფელში მინდა დაბრუნება, არადეთშიო, მაგრამ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ მაქვსო...სტალინს უბრძანებია - გამოუყავით ნაკვეთი და სახლიც აუშენეთო... ვასოს დიდი მადლობა მოუხსენებია დიდი ბელადისათვის და მომავლისათვის თავის ახალ სახლში მიუწვევია.

მართალია, ვასოს არხის გაყვანა სტალინისთვის არ უთხოვნია, მაგრამ რაიკომის პირველ მდივნისთვის კი მიუმართავს თხოვნით, თუ საკარმიდამო ნაკვეთს გამომიყოფთ, სარწყავი წყალიც უნდა მოაყოლოთ, თორემ ცარიელ, ხრიოკ ეზოს ხომ არ დავახვედრებ ბელადსო.

სწორედ ამის შემდეგ მივიღეთ ჩვენ დავალება არადეთში სარწყავი წყლის მიყვანაზე. თათარიახნად ნაკვეთი გამოუყვეს ძია-ვასოს გზატკეცილის პირად და ჩვენც ავგეგმეთ იქ წყლის მიყვანა. 4-5 კილომეტრის სიშორიდან არხი მდ. ფრონედან გავიყვანეთ, სამი კვირის თავზე არადეთში მოვიდა აქაურ მკვიდრთათვის ნანატრი წყალი, ფრონის წყალი. არხით 40-50 ლიტრი წყალი მიეწოდებოდა ძია ვასოს და მის თანასოფლელებს: ყიფშიძეებს, ამირეჯიბებს და სხვებს.

იმავე წელს ვასო ტიტვინიძეს კარგი, კოხტა აგურის სახლი აუშენეს, ეზო შემოაკავეს და ბაღიც გაუშენეს. მეორე გაზაფხულზე წყალმა არემარე გაამწვანა და გააცოცხლა. ვასო ძიაც გააყოჩაღა სოფელში დაბრუნებამ, ელოდებოდა ძვირფას სტუმარს, მაგრამ... მის შემდეგ დიდი ბელადი ვასოს აღარ სწვევია.

P.S. იმ დროს გაყვანილი წიწილა არხი, რომელიც სოფლის მხოლოდ ერთ უბანს აკმაყოფილებდა სარწყავი წყლით, უკვე აღარც არსებობს. ამჟამად მთელი სოფელი თვალუწვდენელი მინდვრებით ტაშისკარის სარწყავი სისტემით ირწყვება. არადეთი მთელი თავისი შემოგარენით წალკოტად იქცა.

პირველი ნაბიჯი

დვანისწყლის ტყუპისცალია დასავლეთის ფრონე, რომელიც ჩამოუდის სოფლებს ავლევსა და ცერონისს და უერთდება მდინარე ფციულას, ის კი დაბა აგარასთან დედა მდინარე მტკვარში ჩაედინება. ტყუპისცალი-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ზაფხულობით წყალმცირეა და ამიტომ, სარწყავი წყლით ძალზე მცირე ფართობია უზრუნველყოფილი. მიუხედავად ამისა, 1942 წელს გაყვანილი არხით სოფლები თამარაშენი და ფცაც იყენებდა ფრონის წყალს.

სოფელი ცერონისი მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ბექობზე მდებარეობს და ურწყავი იყო... მწვანილიც ენატრებოდათ... გლეხების ოცნება იყო სოფელში სარწყავი წყალი ჰქონოდათ, მაგრამ, აბა, როგორ, საიდან?

ერთხელ, სოფლის ადგილმდებარეობის კარგად დათვალიერების შემდეგ დავრწმუნდი, რომ შეიძლებოდა ნახევარი სოფლის გასარწყავება, თუ ავლევის წისქვილის რუდან გავიყვანდით არხს, მხოლოდ იმ პირობით, რომ წისქვილი რწყვის პერიოდში არ იმუშავებდა. ამ საკითხზე ავლეველთა თანხმობა მივიღეთ - ზაფხულში დასაფქვავიც ბევრი არაფერი გვაქვსო და მეზობელი სოფლის წისქვილიც გვეყოფაო. მოსაწონი იყო ავლეველების სულგრძელობა, თანადგომა.

გადაწყდა არხის გაყვანა.

1945 წლის გაზაფხულზე გავამზადეთ არხის ტრასა და მთელი სოფელი გამოვიდა არხის გაყვანაზე, თუმცა, ზოგიერთებს არ სჯეროდათ, ისეთ მაღალ ადგილებში წყალი თუ გაივლიდა. არხის ბოლო ნაწილი ყოფილი თავადის კოტე ფალავანდიშვილის დიდ ტრიალ ეზოს შუაზე კვეთდა... მე ნიველირით ვადექი თავს მუშებს და ეჭვიც არ შემპარვია ჩემს ჩანაფიქრში.

9 მაისს, დილით, ჩვეულებრივ შევუდექით მუშაობას, იმ დღეს უნდა დაგვემთავრებინა მიწის სამუშაოები... შუა დღეზე ქარელიდან მახარობელი ამოვიდა და შეგვატყობინა - ომი დამთავრდაო. ხალხში ატყდა ერთი ჟრიამული, ზოგი ტირიდა სიხარულისგან, იყო გადაძახილი, საიდანღაც გაჩნდა დოლ-გარმონი და არხის მიმდებარე მინდორზე გაიმართა ცეკვა-თამაში. დოლ-გარმონის ხმაზე მთელი სოფელი შეგროვდა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ინიციატივით სახელდახელო საზეიმო მიტინგიც ჩატარდა. რა თქმა უნდა, მუშაობის გაგრძელების სურვილი არავის ჰქონდა. გვიან, შუაღამემდე ისმოდა, სოფელში სიმღერა, ლხინი. ორი დღე გაგრძელდა ზეიმი... ყველგან სიხარული სუფევდა, თუმცა მას მწუხარებაც ახლდა თან, ფრონტზე დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებში გლოვობდნენ შინმოუსვლელ მამებს, ძმებს, შვილებს...

ერთი დღე კიდევ წავიმუშავეთ არხის წესრიგში მოსაყვანად და წყალიც გავუშვით წისქვილის რუდან. დიდი და

პატარა, ქალი და კაცი ფეხდაფეხ მისდევდნენ წყალს და როდესაც წყალმა კოტე ფალავანდიშვილის ნაკვეთი გაიარა და ფრონესკენ დაეშვა, აღტაცებული ხალხით გაივსო ნათავადარის ეზო... კოტე წყალს თავის ეზოში სანადირო თოფის გასროლით შეეგება, შემდეგ კოკით ღვინო გამოიტანა და გამარჯვების სადღეგრძელო ვახტანგურად შევსვით.

ეს მეორე ზეიმი იყო ცერონისელებისათვის და რა თქმა უნდა, ჩემთვისაც.

სარწყავმა წყალმა მალე გამოაცოცხლა შიშველი ბექობი... აამწვანა და ბაღნარად აქცია, სადაც კი მიწვდა.

ეს ჩემი პირველი, დამოუკიდებელი ნაბიჯი იყო მელიორაციული მშენებლობის დარგში.

P.S. *ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრების შემდეგ სარწყავი წყალი მიიღეს როგორც ცერონისლებმა, ისე სოფელ ავლევის მცხოვრებლებმა, მხოლოდ მექანიკურად წყლის აქაჩვით, სატუმბი სადგურების საშუალებით, რომლებიც, სამწუხაროდ, ამჟამად აღარ მოქმედებენ.*

კიევის ლავრიდან – უფლისცხენამდე

1947 წლის ოქტომბრის ბოლო დღეს თოვლითა და ყინვებით შემოგვეგება უკრაინის დედაქალაქი. ჩვენ, ქართველ ჰიდრომელიორატორთა ხუთკაციანი ჯგუფის წევრები, რომლებიც იქაურ ჰიდრომელიორაციულ ინსტიტუტთან არსებულ კურსებზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად ვიყავით ჩასულები, ისეთი მკაცრი ზამთარისათვის არც ისე სახარბიელოდ ვიყავით ჩაცმულ-დახურულები, რადგან სამამულო ომის ჭრილობები ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო...

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ თავიდანვე გულთბილი მიღება მოგვიწყო. კურსების ხელმძღვანელმა კი გვირჩია, ქალაქის ისეთ ღირსშესანიშნაობებს გავცნობოდით, როგორიცაა: ფუნიკულიორი, კიევის ლავრა და თეატრი.

დიდ სამამულო ომში უკრაინას ორჯერ გადაუარა ცხარე ბრძოლების გრიგალმა: პირველად გერმანელი ფაშისტების შემოსევის დროს, შემდეგ კი - მათი უკრაინიდან განდევნისას... მტერს დედაქალაქის მშვენება, მწვანეში ჩაფლული, არქიტექტურული ძეგლებით განთქმული კრეშჩატიკის პროსპექტი მიზანში ამოულია და მიწასთან გაუსწორებია. შემზარავი სანახავი იყო გადარჩენილი სახლების გაბოლილი კედლები და ეულად დარჩენილი რკინა-ბეტონის სვეტები... მაგრამ დანგრეული და ნაცარტუტად ქცეული პროსპექტი მაინც ამაყად გამოიყურებოდა, როგორც დაუმორჩილებელი და შეუდრეკელი ხალხის სიმბოლო...

მიუხედავად უსიამოვნო შესახედაობისა, იქ მუდამ ხალხმრავლობა იყო, ისე როგორც ჩვენთან, თბილისში, რუსთაველზეა.

ერთ კვირა დღეს წავედით ნამეტნავად შექებული ფუნიკულიორის დასათვალიერებლად... აბა, რას უნდა გავეკვირვებინეთ თბილისის ფუნიკულიორის მნახველი? შედარებაც არ შეიძლება... დატერასებული ორი ქუჩის შესაერთებლად, რომელთა შორის ვერტიკალური სიმაღლე, ალბათ, ორმოცდაათ მეტრამდე თუ იქნება, 7-10 წუთზე მეტი არც კი დასჭირდა ფუნიკულიორის ვაგონს ერთი ქუჩიდან მეორეზე ასვლისათვის.

თბილისის ფუნიკულიორთან შეტოლება როგორ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც თავაზიანად მოვიწონეთ. მეორე, კვირა დღეს, მე და მიშა ჯანჯღავა (მარნეულის სამმართველოს თანამშრომელი) წავედით კიევის ლავრის დასათვალიერებლად. ტრამვაის ბოლო გაჩერებიდან კარგა მანძილი ფეხით გავიარეთ და მივადექით თეთრად გაქათქათებულ ბარაკის ტიპის შენობას. გრძელ მერხზე მღვდლები ისხდნენ და არც ისე მცხუნვარე მზეს ეფიცხებოდნენ. ეზოში შევედით და შენობას რომ მივუახლოვდით, შე-

ვამჩნიეთ, ერთ-ერთმა მღვდელმა (ყველაზე მოხუცმა) გვერდით მჯდომს რაღაც წასჩურჩულა. ჯეელი წამოდგა და შემოგვეგება, მისალმების შემდეგ, როცა მოვახსენეთ ჩვენი მოსვლის მიზეზი და ისიც ვუთხარით, რომ საქართველოდან ვართ. ესიამოვნა ჩვენი მისვლა და მეგზურობა თვითონვე იკისრა: ლავრის შესასვლელში თითო კელაპტარი მოგვცეს. შევედით ლავრაში და ახალგაზრდა მღვდელმა დაიწყო საუბარი ლავრის მშენებლობის შესახებ, რომელსაც ხუთი ბერძენი ღვთისმორწმუნე ხელმძღვანელობდა, რომელნიც გარდაცვალების შემდეგ გმირებად უღიარებიათ და წმინდანებად იყვნენ შერაცხილნი. ისინი სარკოფაგებში ჰყავდათ დაკრძალულები. თითოეული საკნის მნიშვნელობას დაწვრილებით გვიხსნიდა ჩვენი ტკბილმოუბარი, კარგად გათვითცნობიერებული გიდი-მღვდელი. ერთ საათზე მეტხანს ვათვალიერებდით მდინარე დნეპრის პირას კლდეში გამოკვეთილ სამონასტრო ნაგებობებს. მღვდელი, რომელიც წინ მიგვიძღვოდა, პირჯვარს ხშირად იწერდა, რის დროსაც ჩვენც შემოგვხედავდა... ჩვენ, რა თქმა უნდა, პირჯვარს არ ვიწერდით... მრავალი დახლართული შესასვლელ-გამოსასვლელის გავლის შემდეგ კმაყოფილები გამოვედით იმ დარბაზში, საიდანაც დავიწყეთ დათვალიერება.

მღვდელმა გაოცება გამოთქვა - რატომ პირჯვარს არ იწერდითო?.. ჩვენ მოკრძალებულად მივუგეთ, რომ კომუნისტებს პირჯვარის წერა აკრძალული გვქონდა! როგორც შემდეგ გაირკვა, ეკლესიის ეზოში მსხდომ მღვდლებს ჰგონებიათ, რომ ჩვენ ახალგაზრდა მღვდლები ვიყავით და ამიტომაც იყო, ასე დაწვრილებით, ვრცლად რომ გვმოძღვრავდა ჩვენი გიდიც. გულითადი მადლობა მოვახსენეთ ჩვენს წინამძღვარს, ავუხსენით რისთვის ვიყავით ჩამოსულები კიევში და ვითარც გულით ღვთისმორწმუნეებმა, ვთხოვეთ მას, ჩვენგან წასულების სულები მოეხსენებია და დაელოცა ჩვენი ოჯახები... ყოველმა ჩვენგანმა, თითო წითელი სამთუმნიანი ჩაუდო ხელში მღვდელს, ასე რომ, ჩვენც და დამხდურიც კმაყოფილები დავრჩით, გულთბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს და მდიდარი შთაბეჭდილებით

დატვირთულები დავბრუნდით ქალაქში. აღტაცებული კი ვიყავით იქ ნასმენ-ნანახით, მაგრამ მაშინ არ ვიცოდით, უკეთესი ძეგლები საქართველოშიც რომ გვქონია!

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, ვარძიისა და უფლისციხის არსებობამ მათი ნახვის სურვილი აღმიძრა. იმ დროს გარეჯის დიდება ჯერ კიდევ გახმაურებული არ იყო... და აი, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოში მუშაობის დროს, 1965 წელს, მომეცა ბედნიერი შემთხვევა თანამოსაქმეებთან ერთად საგულდაგულოდ დამეთვალიერებინა ვარძია, შემდეგ კი, მოგვიანებით, დავით გარეჯის ლავრაც - გარეჯობის დღესასწაულზე.

უფლისციხის ძეგლების მეცნიერული, საფუძვლიანი შესწავლა გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და ჯერაც არ არის დამთავრებული. აქ ხომ საოცრებაა და მას შეიძლება ბადალიც არ ჰყავდეს დუნიაზე. მე ამ დარგის სპეციალისტი არა ვარ, ამიტომაც ჩემი დასკვნა დამაჯერებელი რომ იყოს, გადავწყვიტე შემოგთავაზოთ მეცნიერ-მკვლევარის ბატონ დავით ხახუტაშვილის ადრინდელი მონათხრობი.

„...ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში უფლისციხეს უკვე ქალაქური ტიპის დასახლების სახე მიუღია, სადაც კარგად გაფორმებული კლდეში ნაკვეთი დარბაზებიცაა წარმოდგენილი. ძვ. წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებიდან უფლისციხე უკვე მონათმფლობელური ქალაქი და იბერიის სამეფოს დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული ცენტრია...

...ანტიკურ ხანაში უფლისციხის მნიშვნელობაზე მიუთითებს ქალაქის მშენებლობისას ჩატარებული სამუშაოების მაშსტაბები: ამოკვეთილია და გაზიდულია ათეულ ათასობით კუბ. მეტრი კლდე. ქვის სამტეხლოებიდან მოზიდულია და დამზადებული ათიათასობით დიდი ზომის ქვათლილი, მოჭრილია ასიათასობით ალიზის აგური, გარკვეული გეგმით ამოკვეთილია ცენტრალური და გვერდითი ქუჩები, ასობით დარბაზი და სათავსი, დიდი დამცველი თხრილი, გვირაბი და წყალსაწრეტი არხები, აგე-

ბულია გრანდიოზული სასიმაგრო კედელი, რომლის სიგანე 4 მეტრია, ხოლო სიმაღლე 20 მეტრამდე აღწევდა. სპეციალურადაა დამუშავებული და გაშანდაკებული კლდის დარბაზთა კედლები და ჭერი. კლდეში ნაკვეთი სამეურნეო ნაგებობებიდან ყურადღებას იქცევს საწნახლები, რომლებიც თავისი აღნაგობით იმეორებენ პალესტინისა და ყირიმის, აგრეთვე, ძველი კოლხეთის კლდეში ნაკვეთ თუ ჩვეულებრივ ადრე ელინისტური ხანის საწნახლებს და განსხვავდებიან შუა საუკუნეების, მათ შორის უფლისციხის გარეუბანში, ე.წ. სალიზფარის ხევში აღმოჩენილ კლდეში ნაკვეთ საწნახელებისაგან".*

დიახ, უბრწყინვალესი ისტორიული ძეგლებითაა მდიდარი საქართველოს ყველა კუთხე. მათ მოვლა, შენახვა და შესწავლა სჭირდება. ამიტომაც, ყველამ უნდა დაათვალიეროს ეს ძეგლები, მითუმეტეს, მელიორაციის დარგის სპეციალისტებმა უნდა ნახონ იგი, რადგან ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ ნიჭიერი წინაპრებისაგან.

* * *

რაკი კიევში გატარებული დღეები გავიხსენე, ერთ პატარა, ქართული ტრადიციით ნაკარნახევ ამბავს მოგიყვებით, იმავე პერიოდისას:

უკრაინელ და ქართველ ხალხებს შორის რომ კეთილი, მეგობრული დამოკიდებულება იყო მტკიცედ დაფუძნებული, ადრეც მქონდა გაგონილი და წაკითხული, მაგრამ კიევის ჰიდრომელიორაციულ ინსტიტუტში ყოფნის ხანმოკლე პერიოდში ამაში უფრო მეტად დავრწმუნდი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კიეველი პროფესორ-მასწავლებლები, ინსტიტუტის და კურსე-

---

* ძეგლის მეგობარი №3, 1964 წ. გვ. 23, 24-25.

ბის დირექტორანტი, აგრეთვე, სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული სპეციალისტები და ინსტიტუტის სტუდენტობა გულთბილი მეგობრული დამოკიდებულებით იყვნენ ჩვენდამი განწყობილნი... და ამას ვგრძნობდით ყოველ ნაბიჯზე.

ჩვენ, ქართველები, გულმოდგინედ ვმეცადინეობდით, ვიცავდით ინსტიტუტის შინაგანაწესს. ამ მხრივ მე, როგორც ჯგუფხელი, ინსტიტუტის ხელმძღვანელებისაგან ხშირად საქებარ სიტყვებს ვისმენდი. მაგრამ, ცხოვრება კი ნამდვილად გვიჭირდა. არც სტიპენდია გვყოფნიდა, არც ოჯახებიდან გამოგზავნილი ამანათები... ერთი „ბუხანკა" პური 150 მანეთი ღირდა... ჩვენი საჭმელი ინსტიტუტის სასადილოში საუზმე, სადილი და ვახშამი ყოველ დღე მხოლოდ კარტოფილით დამზადებული კერძი იყო, ამიტომაც ყველას მოჟამული კარტოფილის ფერი დაგვედო... და აი, 1948 წლის 1 იანვრისათვის ჩატარდა ფულის რეფორმა, გაუქმდა პურის ბარათები და ნარ-ნარი პროდუქტებით გაივსო მაღაზიები, გაიაფდა ბაზარიც და ცხოვრების იერი უცებ შეიცვალა. ხალხმა ამოისუნთქა. ყველაფერი სახალისო გახდა. ასეთი გარდატეხა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, დიდი ომის დამთავრებიდან ორნახევარი წლის შემდეგ, მართლაც დიდი მიღწევა იყო. ჩვენი კურსანტები, ნიკოლოზ ფალავანდიშვილი (ახალციხის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი), ალექსანდრე ფეიქრიშვილი (თელავის სამმართველოს უფროსი) და მე (ქარელის სამმართველოს უფროსი) ერთად ვცხოვრობდით, ხოლო გიორგი გრიგოლაშვილი (ხაშურის სამმართველოს უფროსი), მიშა ჯანჯღავა და კოსტა კარასავიდი (ახალციხელი ჰიდრომეტ.) მეზობლად ცხოვრობდნენ. ჩვენ, სამნი, ხშირად ვიღებდით ამანათებს... და როცა საახალწლო ამანათები მოგვივიდა, ძმაკაცებს გავუმხილე ჩემი ჩანაფიქრი, რომ ერთი ლიტრი ჭაჭა, ცოტა ხილი, ჩურჩხელა, ჩირი და სხვ. დაგვეზოგა და კურსების დამთავრება აღგვენიშნა ქართული ხილითა და ჭაჭით. თანხმობა ერთსულოვანი იყო. კურსების გამომშვიდობების დღეს ჩვენი სურვილი ზოგიერთ

მსმენელს გავაცანი, მაგრამ ნურას უკაცრავად, მხარდამჭერი არავინ აღმოჩნდა. მაშინ, ჩვენ, ქართველებმა, აღებული სტიპენდიით ინსტიტუტის სასადილო დარბაზში გავშალეთ პატარა ქართული სუფრა. მოვიწვიეთ კურსების წამყვანი ლექტორები და ინსტიტუტის დირექტორი. სუფრაზე ხორბლის არყის ბოთლები იდგა, საპატიო სტუმრებს კი შეუმჩნევლად ჩაის ჭიქები ჩვენებური ჭაჭით შევუვსეთ. სუფრის თამადა მე თვითონ გახლდით და ქართული ადათ-წესით პირველი სადღეგრძელო ქართველი და უკრაინელი ხალხთა მეგობრობისა წარმოვთქვი. ვერ აღვწერ იმ აჟიოტაჟს, აღფრთოვანებასა და ემოციებს, რაც სტუმრებმა გამოხატეს ჭაჭის სიურპრიზით...

თბილი, მადლიერების სიტყვებით მოგვმართავდნენ იმ სულგრძელობისათვის, იმ ყურადღებისათვის, რაც მათდამი ჩვენ გამოვიჩინეთ. მათ ვერ წარმოედგინათ როგორ შევძელით, რომ ჩვენ არ დავლიეთ ჩვენებური ჭაჭა და მათი პატივცემისათვის შევინახეთ. ეს ეროვნულ ხასიათად, ერის ტრადიციად აღიქვეს. რა თქმა უნდა, შეფასებაში არ შემცდარან... ეს ხომ ასე მოდის მამა-პაპიდან. დიდი მადლობა დავიმსახურეთ ყველასგან, განსაკუთრებით კი ეს დიდი თანაგრძნობით გამოხატეს ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინე სალატიმ და კურსების დირექტორმა ალექსანდრე პატუშინსკიმ, შეგვამკეს ქება-დიდებით, დიდი წარმატებით და ასე ლამაზად დავამთავრეთ კურსები და მადლიერები დავბრუნდით საქართველოში.

მინაწერი:

... ბოლო ხანებში უკრაინაში დიდი შეხლა-შემოხლაა ხალხსა და ანტიდემოკრატიულ ძალებს შორის. ქართველები ახლაც გვერდში ამოუდგნენ ჭეშმარიტ უკრაინელ პატრიოტებს და მჯერა, რომ გამარჯვება თავისუფალ უკრაინას დარჩება.

სტუმრად მეცნიერთან

საბჭოური წყობის დროს მუშათა ან საშუალო ფენიდან „მორჩილი“, პატიოსანი ადამიანების დაწინაურება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წესად იყო მიღებული.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო სანდრო მიგრიაული, მოხევე, ახალგაზრდობაში ტრაქტორისტი, შემდეგ მტს-ის მექანიკოსი და ბოლოს - ორთაჭალის განთქმული კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საიდანაც დააწინაურეს თბილისის გარეუბნის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ. ალალი, უბოროტო, გულიანი კაცი იყო ბატონი სანდრო, კეთილსინდისიერად ასრულებდა მისთვის მინდობილ საქმეს..

1951 წლის ზაფხულია... ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა სანდრომ მიხმო კაბინეტში და მეკითხება:

- ამხანაგო ალიოშა, შენ თუ იცნობ პროფესორ შალვა ნუცუბიძეს?

- პირადად არა, - ვუპასუხე, - მაგრამ მისი ლექციები ძალიან საინტერესოა, ბევრჯერ მომისმენია-მეთქი და ერთი გაგონილი ნამდვილი ამბავი მოვუყევი, რომ ბატონმა შალვამ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე თარგმნა, როცა ციხეში იჯდა. ერთხელ სტალინს მოუკითხავს თურმე - რა ქნა ნუცუბიძემ - „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა არ დაუმთავრებიაო?.. ამის თქმა იყო და მაშინვე დატრიალებულან შინსახკომის მესვეურები, პატიმარი პროფესორი დიდი მოწიწებით მიჰგვარეს ბელადს.

სტალინისა და ნუცუბიძის საუბარი კარგა ხანს გაგრძელებულა. სტალინს ერთ-ერთი სტროფის თავისეული თარგმანი შეუთავაზებია პროფესორისათვის და წარმატება უსურვებია... რა თქმა უნდა, სტალინისათვის ცნობილი გახდა პატიმრის ხვედრიც.

ამის შემდეგ გამართლებული პროფესორი თბილისში დაბრუნდა და სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს-მეთქი... დავამთავრე ამბის მოყოლა.

ბატონი სანდრო კმაყოფილი დარჩა ნაამბობით, ზოგი რამ პირველად შეიტყო ჩემგან და მითხრა:

- ჰოდა, აი, ასეთი დიდებული პიროვნება დღეს ჩემთან მოვიდა და ჩივის, - სოფელ გლდანში ვიღაც აბუაშვილი არის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და სარწყავ წყალს არ გვაძლევს თბილისელებსო... მის მეზობლად ნაკვეთი ჰქონია პროვიზორ კუჭაიძესაც, აი, პაპიროსის ფილტრები რომ გამოიგონა და ახლა ყველა იმას რომ ვხმარობთო...

ძალიან გთხოვთ, შენ და გრიშა ჯალაღანიას (გრიშა მაშინ გარეუბნის სასისტემო სამმართველოს უფროსი იყო, მე კი გარეუბნის რაიაღმასკომის წყალთა მეურნეობის განყოფილების უფროსი გახლდით), ხვალ წახვიდეთ გლდანში, ადგილზე დაათვალიეროთ მდგომარეობა და არ შემარცხვინოთ იმ დიდებულ მეცნიერ კაცთანო... დახმარებას დავპირდი... აუცილებლად უნდა მივცეთ წყალი... აბა, თქვენ იციოთ...

მეორე დღეს, მე და გრიშა წავედით სოფელ გლდანში (მაშინ დღევანდელი მასივების ჭაჭანებაც არ იყო), მოვნახეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გადავეცით ამხანაგ სანდროს მტკიცე დავალება. მან ქედმაღლურად არ მიიღო აღმასკომის თავმჯდომარის მოთხოვნა- ჯერ ჩვენი კოლმეურნეობის წევრები უნდა დავაკმაყოფილო სარწყავი წყლით და მერე ქალაქელებიო... მის წინააღმდეგობას ჩვენ წყლით სარგებლობის თაობაზე დაკანონებული წესები დავუპირისპირეთ. ახსნა-განმარტებისა და დიდი დავის შემდეგ, როგორც იქნა, თავმჯდომარე დაგვეთანხმა წყალი მიეღოთ მეცნიერებს. ჯალაღანიამ იქ მყოფ თავის მერუეს დაავალა კოლმეურნეობის ფართობიდან წყალი მიენაკადა სოფლის რუში და მიეყვანა იგი ნუცუბიძის ნაკვეთამდე.

ჩვენ წავედით მომჩივანის ნაკვეთის დასათვალიერებლად. კითხვა-კითხვით მივადექით ბატონ შალვა ნუცუბიძის ნაკვეთის ჭიშკარს, ომახიანად შესძახა: მობრძანდი, მობრძანდითო! შემოგვეგება ხელებგაშლილი, მცინარე სახით, მაგრად ჩამოგვართვა ხელი და მოიბოდიშა: ალბათ სანდრომ შეგაწუხათო, მიგვიპატიჟა

ეზოში, რომელიც ათი მეასედი თუ იქნებოდა, სადაც ხეხილიც იდგა, კარგად მოვლილი რქაწითელის ვენახი, ბოსტნეულიც ეთესა...ყველაფერს ძალიან უჭირდა გვალვის გამო... ერთი თვეა არც ცის ნამი და არც სარწყავი წყალი გვინახავსო და მოჰყვა ბატონი შალვა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლანძღვა-გინებას... იცით, რა მითხრაო?

- ჯინაზე არ მოგცემთ წყალსო, წადით აქედან თქვენს თბილისშიო! - სად უნდა წავიდე კაცო?!. კვირაში ორი-სამი დღე აქა ვარ, ვმუშაობ, ვახარებ ბაღსა და ბოსტანს, თან გონებას ვასვენებ. რა უნდა ამ გვარგადაკეთებულს არ ვიცი, რამეს ხომ არ ვაფუჭებ?! ამას დაბოღმილი ჰყვებოდა, გულნატკენი მეცნიერი... ამ ლაპარაკში კარგა ხანი გასულიყო და მერუე პეტრემ წყალიც მოიყვანა... გენახათ ბატონი შალვას აღტაცება, ბავშვივით ცქმუტავდა, ეს რა სიურპრიზიაო და გახარებულმა მეზობელ კუჭაიძეს გადასძახა: მოდი, კაცო, ამ ღვთისნიერმა ადამიანებმა წყალი მოგვიყვანესო... ისიც უმალ მოვიდა დიდი მადლობითა და ბოდიშებით... მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... თქვენ ნამდვილად „სასწრაფო დახმარება ხართ ამ მცენარეებისთვისო“ და წყალი მიუნაკადა გასუფთავებულ კვლებში...

- ახლა კი არსად გაგიშვებთ, თუ არ დავლოცეთ წყლის მადლიო და ბატონმა შალვამ მარანში მიგვიწვია, სადაც ღვინით სავსე ბოცები იდგა. ჩემი ხელით დაწურული ღვინით უნდა გაგიმასპინძლდეთო... მოახლე რუსის ქალი შეაფუცხუნა - ჩქარა გაშალეო სუფრა - ღვთით მოვლენილი სტუმრები გვეწვია წყალთან ერთადო... მეზობელიც მოიწვია და მივუსხედით მაგიდას. თამადობა ბატონმა შალვამ გაგვიწია... დასაწყისშივე გამაფრთხილა, შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ და ვაზის ნაჟურის წვეთი არ უნდა ჩატოვო ჭიქაშიო...

ღვინომ თავისებური სითამამე შეგვმატა და სუფრაც გაამხიარულა...

იმ დღიდან კიდევ უფრო შემიყვარდა ეს დიდი მამულიშვილი და მეცნიერი, მკვლევარი, პოეტი და ორატორი. მის საჯარო

გამოსვლებს ხომ არ ვაკლდებოდი და ბედნიერება იყო ჩემთვის, როცა ამ დიდი ქართველის თაყვანისმცემელთა შორის შემნიშნავდა, უყურადღებოდ არ დამტოვებდა. ისე გაიხარე ჩემო კარგო, როგორც მაშინ შენმა ნაჩუქარმა წყალმა ჩემი ნაჯაფი მიწა გაახარაო, - ხშირად იხსენებდა ხოლმე და ასეთი მადლიერებისგან მეც დიდ სიხარულს განვიცდიდი.

... ყოველივე ამას რომ ვიგონებ, მახსენდება ბატონი შალვას სატელევიზიო გამოსვლები, რუსთაველის გენიის მქადაგებელი და მიკვირს, რატომ არ აჩვენებენ იმ კადრებს ჩვენი ტელევიზიის მესვეურები?

მთიულური ხინკლის გემო

კარგად არც მახსოვს, წინათ თბილისში იყო თუ არა სახინკლეები... ქალაქის ცენტრალურ უბნებში რესტორნებსა და სასადილოებში ნამდვილად არ შემინიშნავს, ვფიქრობ, იქ იშვიათად შეჰქონდათ ხინკალი მენიუში, გარეუბნისა კი რა მოგახსენოთ... თუმცა, დიღმის გზაზე თეთრ დუქანსა და ღრმაღელეში - პლატონას დუქანში, შეკვეთით ხინკალს კი არა, ჩიტის რძეს მოგართმევდნენ.

ასე რომ, ახალგაზრდობაში ხინკლის გემო ჯერ არ გამესინჯა...

1954 წელია, წყალთა მეურნეობის სამინისტრომ (მაშინ მინისტრი ბატონი ილია ლაღიძე გახლდათ), მიიღო გადაწყვეტილება ერწო-თიანეთის დამშრობი სისტემის აღდგენითი სამუშაოების დაწყების შესახებ. ამ სისტემის მშენებლობაც არ იყო დასრულებული დიდი სამამულო ომის გამო.

სამინისტროს საექსპლუატაციო სამმართველოს მთავარ ინჟინერს ბატონ აკაკი ბაღათურიას დაევალა ობიექტის დათვალიერება და სათანადო ფულადი სახსრების გამონახვა საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი აკაკი, თბილისის სასისტემო სამმართველოს უფროსი გრიშა ჯალაღანია და მე, ამ სამმართველოს უფროსი ინჟინერი წყალსარგებლობის დარგში, გავემგზავრეთ თიანეთის რაიონში, ერწოს დაბლობის დასათვალიერებლად...

ავჭალის გზატკეცილიდან მარჯვნივ, როგორც კი გლდანისკენ გადავუხვიეთ, შევუდექით აღმართს, ირგვლივ ტრიალი, ხრიოკი მინდვრებია... წყალი არსად არის. მოურწყავად კი არაფერი ხარობს... გავიარეთ რამდენიმე კილომეტრი და ამ უდაბნო ველზე ოაზისივით გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული გლდანი. მას ხომ ჩამოუდის პატარა მდინარე გლდანულა, რომლიდანაც ირწყვებოდა სოფლის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და კოლმეურნეობის მცირე ფართობი. ზაფხულობით მდინარეში წყალი იკლებს და მასზე დიდი მოთხოვნილებაა, არ ყოფნით. გლდანზე გადაბმულია სოფელი მამკოდა, მის შემდეგ გამოჩნდა წყება მთებისა... გადავიარეთ ერთი სერი, მეორე, მესამე და გამოჩნდა პატარა სოფელი, ცხვარიჭამია, პატარა მაშინ იყო, თორემ შემდეგ, სამოცდაათიან წლებში (საბჭოების ხანაში) იქ ცხოვრება ჩქეფდა... მწვანეში ჩაფლული ვილები ამშვენებდა იქაურობას. აგარაკად აქციეს ტყის განაპირა ადგილები მაღალჩინოსნებმა... შემდეგ ერთხანს იქაურობა გაჩანაგდა, სიცოცხლე ჩაკვდა... ამ ბოლო დროს კი ბავშვების ჟრიამულმა ისევ აახმაურა იქაურობა - ბავშვების გამაჯანსაღებელმა ბანაკებმა დაიდეს ბინა ყოფილ ვილებში, იქაურ არემარეს გამოცოცხლება ეტყობა...

დავუბრუნდეთ ჩვენ მგზავრობას...

ცხვარიჭამიას შემდეგ იწყება საბადურის ტყე, დაბურული, ცადაწვდილი წიფლნარით... მანქანა თუხთუხით მიიწევს მაღლა-

მაღლა და აჰა, მივაღწიეთ ულელტეხილის უმაღლეს წერტილს. მანქანის ძრავამ მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა თავქვე დავეშვით. ისევ ხშირი ტყე - წიფლოვანი... ეს ადგილები ცნობილი იყო ყაჩაღებით. ისინი დროგამოშვებით გამოჩნდებოდნენ ხოლმე და აყაჩაღებდნენ უმეტესად ფოსტის ავტობუსებს... მილიცია დასდევს მათ, ხან დაიჭერენ, ხან კიდევ თავად ყაჩაღები გაეცლებოდნენ ხოლმე ამ ტყეს და სხვა ტყეში გადაინაცვლებდნენ. როგორც შევიტყვეთ, იმ დღეებში ერთი ყაჩაღი დაუჭრიათ და სხვები იქაურობას გასცლიან, - ასე რომ, უშიშრად მივემგზავრებით. როგორც იქნა, ტყეც ჩათავდა და მივედით ერწოს პირველ სოფელ ღულულებში, იქ კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ დაგვხვდა, თბილისში არის წასულიო.

ღულულებიდან ხელისგულივით მოჩანს ერწოს დაბლობი სოფელ გორონადან სოფელ ნაქალაქევამდე. ორი, მოპირდაპირედ მდებარე დამრეცი ფართობის გადაკვეთაზე მიედინება პატარა მდინარე აძეძა, რომელიც ამავე დროს დამშრობი სისტემის წყალმიმღებს წარმოადგენს! ნათლად მოჩანს დაჭაობებული, ლელიანი ფართობები, რომელიც უმეტესად მდინარე აძეძას სიახლოვეს მდებარეობს და არც ისე ცოტაა, ალბათ, ნახევარზე მეტი... ომამდე გაყვანილი წყალშემკრები არხების ნაკვალევი ზოგან ჩანს, ზოგან მთლიანად დაფარულია ლელობით.

მდინარის კალაპოტი დაბლობში არ ჩანს, მხოლოდ ნაკვალევით მიხვდები, რომ აქ მდინარე უნდა გადიოდეს. კალაპოტი მთლიანად დაფარულია ლერწმით, შამბნარითა და ეკალ-ბარდით. ასე, რომ ტოპოგრაფიული სამუშაოებისათვის მეტად მძიმე პირობებია.

ხიდზე შევჩერდით და ახლოს დავათვალიერეთ მდ. აძეძა. შეუდექით აღმართს და მივედით სოფელ სიმონიანთხევში. აქაც არ დაგვხვდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე... გადავწყვიტეთ მტს-ი მოგვესინჯა... ბედად დირექტორი ნიკიფორე სარჯველაძე ადგილზე დაგვხვდა. სოციალისტური შრომის გმირის, ბატონი ნიკიფორეს პიროვნება თავისი საქმიანობით საყოველთაოდ იყო ცნობილი. იგი კარგი ორგანიზატორი, დარგის შესანიშნავი

მცოდნე გახლდათ და უნარიანად ხელმძღვანელობდა რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. როდესაც სარჯველაძემ შეიტყო ჩვენი მისვლის მიზანი, დიდი კმაყოფილებით შეხვდა სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ საუბარში ვართ და დირექტორის კაბინეტში შემოდის ახალგაზრდა კაცი, ინტელიგენტის იერით, მკლავზე ლაბადაგადაკიდებული, მოგვესალმა, ბოდიში მოგვიხადა და დირექტორთან მივიდა. დირექტორმა მაშინვე წარმოგვიდგინა ვლადიმერ (გვაჩი) ჯორბენაძე, თბილისის დინამოს ცნობილი ჰავბეკი, სპორტის დამსახურებული ოსტატი... ის ხომ ჩემი ყოფილი თანამშრომელი იყო კოლხიდმშენში... აი, ესეც უცნაური შეხვედრა... მოვიდა, გადამეხვია, გადავკოცნეთ ერთმანეთი. „საიდან სადაო - წმიდაო საბაო“... სად, ერწოში, მთიანეთში შევხვდით თანაქალაქელი ფოთელები ერთმანეთს... თანაც რამდენიმე წლის უნახავები?.. შთამბეჭდავი იყო ყველასათვის ასეთი შეხვედრა... დირექტორმა გვითხრა: გვაჩი მტს-ში სპორტული კომპლექსის და ფიზკულტურული წრეების ასამოქმედებლად მივიწვიეო.

გვაჩი მალე გავიდა ოთახიდან.

ჩვენც დავამთავრეთ საქმიანი მოლაპარაკება და შევთანხმდით, რომ ერთი კვირის შემდეგ მე დავიწყებდი ტოპოგრაფიულ სამუშაოებს სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის შესადგენად.

წასასვლელად რომ წამოვდექით, ბატონმა ნიკიფორემ იუკადრისა: რას ბრძანებთ, ასეთი მნიშვნელოვანი საქმე იწყება და მის დაულოცველად როგორ შეიძლება თქვენი წასვლაო... გურულებს თავი მოგვეჭრებაო!.. ერთი სიტყვით, ვერსად ვერ წახვალთო... ეს შეპატიჟება ისეთი გულწრფელი და ალალი იყო, ძალაუნებურად შევდექით... ბოდიშიც მოიხადა: წინასწარ რომ გვცოდნოდა, საკადრისად დაგხვდებოდითო. ახლა კი წავიდეთ ერთ ოჯახში, ხინკალს გემო გავუსინჯოთო. ბატონ აკაკის ხელი გადახვია და წაგვიძღვა...

სოფელ სიმონიანთხევში, ერთ ოჯახში მიგვიყვანეს, სამზარეულოს ჩავუარეთ, სადაც დიდი ქვაბით ხინკალი იხარშებოდა...

სუფრაც გაწყობილი იყო... ხინკალი იყო მიზეზი, თორემ სუფრას არაფერი აკლდა... სწორედ იმ სუფრაზე პირველად ვიგემე ნამდვილი, მთიულური ხინკალი... რაც შეეხება წვეულების სხვა დეტალებს, ჩვეულებრივი იყო - ხალისიანი. ბატონი აკაკის საყვარელი სიმღერით - „ბრადიაგით" და სხვა ქართული ჰანგებით გამხიარულებული... ბატონი ნიკიფორეს ჩინებული თამადობა, გურული მჭერმეტყველებით იყო შემკული...

მის შემდეგ ხინკალი ჩემთვის დელიკატესია. ერწოთიანეთის დამშრობი სისტემის აღდგენა კი, ჩემს პროფესიულ დახელოვნებაში გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი გახლდათ მაშინ.

გასეირნება პალიასტომზე

პალიასტომის ტბას გეოგრაფიის წიგნიდან და ეგნატე ნინოშვილის „გიორგი უიშვილიდანაც" კარგად ვიცნობდი.

ჩვენი სახლიდან ტბამდე კი სულ 2-3 კილომეტრი თუ იქნება, მდინარე კაპარჭინის გავლით. ასე ახლოს იყო, მაგრამ მე ერთხელაც არ მქონდა ნანახი ეს საოცარი ტბა. აბა, მე პატარა ბიჭს ვინ წამიყვანდა შავღელეზე შეშის ან თივის დასამზადებლად?!. შავი ღელეც კუთვნილისამებრ ერქვა მას. იშვიათი იყო წელიწადი, რომ შემოდგომით ჩვენს უბანში ერთი ან ორი ოჯახი არ აწიოკებულიყო... იღუპებოდნენ ადამიანები უცბად აბობოქრებულ პალიასტომში - ტივებს, შეშით, თივით დატვირთულ ნავებს ადამიანებთან ერთად ნთქავდა რისხვაჩამდგარი პალიასტომი.

...პალიასტომს, თავისი შავღელეთი დიდი ცოდვა აწევს... გაგონილი მქონდა და მომსწრეც ვიყავი ასეთი მძიმე ამბებისა

და ამიტომ, სურვილიც არ მქონია პალიასტომის ახლო ნახვისაც კი. ბოლოს და ბოლოს, მაინც მომიხდა პალიასტომზე გასეირნება... თურმე, რამდენი სიამოვნება დამიკარგავს?!.. 1958 წელს ფოთში ვისვენებდი ცოლ-შვილთან ერთად. კარის მეზობელმა შურა უჩანეიშვილმა შემოგვთავაზა პალიასტომზე გასეირნება საკუთარი ნავით. ამ წინადადებას ჩემი ელიკო დიდი აღფრთოვანებით და მადლიერებით შეხვდა. ის გეოგრაფიას ასწავლიდა სკოლაში, საერთოდ, ყველა კუთხე-კუნჭულის ნახვა აინტერესებდა და ასეთ შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან. მე კი მაინცდამაინც არ მომეწონა ეს პატიჟი, მაგრამ ელიკოს სურვილსა და სიხარულს ვერ აღვუდექი წინ. მხოლოდ პატარა მალხაზს გავეპარეთ, ის არ წავიყვანეთ. ჩვენ შემოგვიერთდა მეორე მეზობელიც, ხუტა პარკაია და გავემგზავრეთ მალთაყვაში... იქ შურას კუთვნილ მოტორიან ნავში ჩავსხედით ოთხივენი და შევცურდით პალიასტომში... შუა დღეა, კარგი წყნარი ამინდია, ტბა ლურჯად ლივლივებს, ძრავის რიტმული რაკი-რუკით ნავი მიაპობს წყლის ზედაპირს და უკან მოკლე კვალს ტოვებს... შევედით მდინარე ფიჩორში... აქ კიბუნების სინარნარემ და სიკეკლუცემ აღტაცებაში მოგვიყვანა... ასეთი რამ კინოსურათებში თუ მინახავს, ჯუნგლები - ამაზონკაზე!... აქ კი თვალით შეჰყურებ ამ მომაჯადოებელ პეიზაჟს და არ გჯერა, რომ მის წიაღში იმყოფები. მხოლოდ ნავის ძრავის დაბალხმიანი ხმაური არღვევს ამ სამყაროს მყუდროებას... მისრიალებს ნავი მდინარის შუაში, შურა ფრთხილად მართავს საჭეს, რომ ნავი ააცდინოს წყლისქვეშა კუნძებსა და ნამორებს.

დიახ, თუ სურვილი დაგებადათ ნახოთ ბუნების საოცრება, უნდა იმოგზაუროთ პალიასტომსა და ფიჩორში... ისე გამიტაცა ბუნების სილამაზემ, სულ არ ვფიქრობდი, რომ პალიასტომი გვქონდა უკან გასავლელი. კარგა ხნის შემდეგ ბატონმა შურამ ჩაილაპარაკა: რაღაც ამინდი იცვლება და აჯობებს უკან დავბრუნდეთო... ელიკო გაოცდა, მშვენიერი წყნარი ამინდია, რა ეტყობა შეცვლისაო... შურამ დინჯად უპასუხა - ასე

აჯობებსო. ნავი მოაბრუნა და სვლას უმატა... სიჩქარისგან წყლის შხეფები გვეცემოდა... მალე შევედით პალიასტომში... ის ისე დაწყნარებული არ ჩანდა, როგორც შემოსვლის დროს იყო... შავად, პირქუშად ლიცლიცებდა... შურამ სიჩქარეს უფრო უმატა, რაც დრო გადიოდა, ტალღების აზვირთება თანდათან მატულობდა, მე ნავის კიჩოზე ვიჯექი და ხანდისხან ტალღა მიტლაშუნებდა... შურამ ცელოფანის ნაჭერი გადამაფარა, რომ არ დავსველებულიყავი. დასველებას ვინ ჩივის, ჩემთვის, ჩუმად ღმერთს ვეხვეწებოდი მშვიდობიანად დაგვაბრუნოს, რომ პატარა მალხაზი არ დაგვიობლდეს. რა არ წარმომიდგა თვალწინ, გამახსენდა პალიასტომში დაღუპული მეზობლები, გოგია და ნიკო უიშვილები, გაგონილი ამბებიც და წაკითხულიც.

პალიასტომმა უმატა ღელვას. მზეც ზღვიდან მომავალ ღრუბლებში მიიმალა და მთლიანად გაშავდა არემარე, ტალღები ერთმანეთს ეხეთქებიან, შემდეგ ჩვენ გადმოგვესხმება წყალი ხან გვერდიდან, ხან კიდევ კიჩოდან.

შურა მოხერხებულად მართავს ნავს, ისე რომ ტალღების დარტყმას გვაცილებს, მაქსიმალური სიჩქარით მიისწრაფვის ნაპირისაკენ...

...გვაიმედებს... კიდევ რამდენიმე წუთი და სამშვიდობოზე გავალთო, მაგრამ, ეს წუთები ძალიან დიდად მეჩვენება... ელიკო კი არხეინად ზის და შიშის ნატამალიც არ ემჩნევა, ...ტალღებს ეთამაშება ხელით, მხიარული განწყობილებით ხან რას წამოიძახებს და ხან კიდევ რას... მე კი საცაა ლამის გული ამომივარდეს პალიასტომის შემყურეს... როგორც იქნა, ნაპირი გამოჩნდა, სამშვიდობოზე გავედით და შურამაც რიხიანად წამოიძახა - ძალიან ვიყოჩაღეთ, ბეწვზე გამოვასწარით პალიასტომის რისხვასო. თავისუფლად ამოისუნთქა. სიჩქარესაც დაუკლო, ნელი სვლით მივადექით ნაპირს. ელიკო ახლა მოვიდა გონს - რაო, რაიმე საშიშროება მოგველოდაო?!

დიახ, ასე იყო, ერთხელ მოგვიწია პალიასტომზე გასეირნება და მაშინაც კინაღამ ხიფათს გადავეყარეთ... მართალია,

პალიასტომის მასპინძლობა ყოველთვის არაა საიმედო, მაგრამ, სიამოვნება, რაც მდინარე ფიჩორისა და მშვიდი, წყნარი პალიასტომის სანახაობით განვიცადეთ, შიშმა ვერ დაჩრდილა... აზვირთებული, ფაფარაყრილი პალიასტომიც თავისებურად ეგზოტიკურია, საინტერესო სანახაობაა და ზოგჯერ შემზარავიც... ისეთივეა, როგორიც ჩვენი წუთისოფელი!

პატიოსნება - უპირველეს ყოვლისა!

(შტრიხები ბატონი ალექსი ბექაურის პორტრეტისათვის)

მშობლები მასწავლიდნენ: „იცხოვრე პატიოსნად, ისე უნდა გაიარო ცხოვრების ძნელად სავალი გზა, რომ უკან მიხედვისა არ შეგრცხვესო“. თავის გადამეტებულ ქებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მშობლების ეს შეგონება კელაპტარივით მიმიძღვოდა წინ და ვცდილობდი, ყველაზე მაღლა, უპირველეს ყოვლისა, პატიოსნება დამეყენებინა. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მაგონდება:

გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად ახალდანიშნული ვარ. რამდენიმე თვეში პარტრაიკომსაც ახალი პირველი მდივანი ჩაუდგა სათავეში. ვხედავ, რაიონის ყველა რანგის ხელმძღვანელები და რიგითი, კეთილშობილი მუშაკებიც, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო დაუახლოვდება მდივანს და ვინ მოინადირებს მის გულს.

შევყურებდი ამ მლიქვნელებს და მათი საქციელი უზნეობად მიმაჩნდა, მაგრამ არ ვიცოდი, რას მოიმოქმედებდა პირველი

მდივანი... მე ხომ რაიკომის 13 მდივანთან მომიხდა მუშაობა, მაგრამ ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება მქონდა. ერთსღა ვცდილობდი, მათთვის საბაბი არ მიმეცა ურთიერთობის გამწვავებისათვის.

როგორც წესი, გარდაბნის რაიკომის ახალი პირველი მდივანიც ცენტრალური კომიტეტის მიერ იყო დანიშნული, რაიკომის პლენუმმა კი - „აირჩია". ეს გახლდათ ალექსი ბექაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი... თავისებური პიროვნება იყო. ჩაფიქრებული გამომეტყველების, დინჯად მოსაუბრე, წინდახედული, შორსმჭვრეტელი. სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემზე მან შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც სუფთა, კეთილსინდისიერმა და გულმართალმა ადამიანმა.

მოსვლისთანავე მან დაიწყო რაიონის ცენტრის, განსაკუთრებით სრულიად უვარგისი ცენტრალური გზის კეთილმოწყობა.

ერთხელ, სხვებთან ერთად მეც დამიბარა თათბირზე. იხილებოდა საკითხი ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. მე დამავალა გზის კიუვეტის (რომელიც ამავე დროს შიდასამეურნეო სარწყავ არხს წარმოადგენდა) რკინა-ბეტონის ღარებით მოპირკეთება... დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება გეგმის გარეშე შეუძლებელი იყო და ამიტომ განვუცხადე, რომ ამ სამუშაოს შესასრულებლად სამმართველოს ფულადი სახსრები არ გააჩნია და მხოლოდ ტექნიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა შეგვიძლია-მეთქი.

მდივანს არაფერი უპასუხია...

მეორე დილით, ჩემი თანამშრომლებით სამშენებლო მოედანზე ვიყავი. ვინაიდან ტოპოგრაფი არ გვყავდა, მე თავად დავიწყე არხის ძირის ნიველირება. გავიხედე, მოდიან პირველი მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე თავიანთი ამალით... ათვალიერებენ მუშაობის მიმდინარეობას, მოაღწიეს ჩემამდე, მისალმების შემდეგ ბატონი ალექსი მეუბნება:

- როგორ მიდის საქმე? - და დასძენს, - ხვალ დაიწყება რკინა-ბეტონის ღარების შემოტანა, მიიღებთ და მის დაწყობასაც უხელმძღვანელებთ, სამუშაოზე მიამაგრე შენი მთავარი ინჟინერი...

- ღარების მიღებას ჩვენ ვერ შევძლებთ ბატონო ალექსი, - ვპასუხობ მორიდებით, - საამისო დაფინანსება არ მაქვს და არც მექნება ასეთი არხის მშენებლობაზე, ეს ხომ შიდასამეურნეოა... ...ხელმძღვანელები კი, აქ ვიქნებით ყველა და ვუხელმძღვანელებთ-მეთქი.

არაფერი არ მიპასუხა. გზა განაგრძო.

მეორე დღეს დილიდანვე დაიწყეს ავტომანქანებით ღარების შემოზიდვა, პირველი მანქანის ზედნადებ დოკუმენტში ეწერა: მიმღები „გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველო". მაშინვე გავაფრთხილე მთავარი ინჟინერი ფირუდინ ორუჯევი, ზედნადები თუ ჩვენს სახელზე იქნება გამოწერილი - ხელი არ მოაწერო და ბეჭედი არ დაუსვა-მეთქი. აქ ავტომანქანების მძღოლებმა აურზაური ატეხეს, მაგრამ ისინი დავამშვიდე და რკინა-ბეტონის ქარხნის დირექტორს, გიგლა ჩიჯავაძეს შევუთვალე: გიგლა, თუ ძმა ხარ, ზედნადებები გამოწერეთ თვის ბოლოს იმ საბჭოთა მეურნეობის სახელზე, რომლის ტერიტორიაზეც არხს ვაშენებთ-მეთქი. გიგლაც ასე მოიქცა.

მესამე დღეს, როდესაც მუშაობა გაიშალა და რკინა-ბეტონის ღარებმა დაამშვენა გზა. მოდის პირველი მდივანი ისევ თავისი ამალით. როგორც ჩანს, კმაყოფილია მუშაობის მიმდინარეობით.

- მოიფიქრეთ? - მეკითხება.

- ალექსი სიმონის ძევ, ნამდვილად არ მაქვს შესაძლებლობა.

- არც კაპიტალური რემონტის ხარჯების დაფინანსება გაქვს?

- როგორ არ მაქვს კაპიტალური რემონტის ხარჯები, მაგრამ გეგმა - ხარჯთაღრიცხვაში სარემონტო ობიექტებია ნაჩვენები და როგორ შემიძლია ის თანხა ამ, სხვა ობიექტზე გავხარჯო, ამასთან, სარემონტო სამუშაოები უკვე შესრულებული

მაქვს და თანხაც ათვისებულია-მეთქი. შევატყვე, არ მოეწონა ჩემი ასეთი გაბედული პასუხი.

- რაო, ვითომ ყველაფერს წესიერად აკეთებ?! რომ გამოგიგზავნო პროკურატურა, ვერაფერს ნახავს?

- მერწმუნეთ, ვერაფერს ნახავს ისეთს, რაც შემარცხვენს... თუ მექნება დარღვევა, მხოლოდ საქმის სასარგებლოდ, სხვა რამეს ნამდვილად ვერ იპოვნიან-მეთქი.

- ვნახოთ! - თქვა და დინჯად გააგრძელა სამუშაოთა დათვალიერება...

ახლა ამ სიტყვებს დამშვიდებული ვწერ, მაშინ კი ძალიან ავღელდი. მართალია, შიში არაფრის მქონდა, მაგრამ რაიონის პირველი კაცის დამუქრება ვისთვის იქნებოდა სასიამოვნო?! ცოტა ამაფორიაქა კიდევაც, ხასიათი გამიფუჭა. არადა, მართლაც, კაპიტალურ რემონტზე ერთი მანეთიც არ დამრჩა. სამინისტროს ექსპლუატაციის სამმართველოში, მეგობრებს ვთხოვე, დამატებით გამოეყოთ თანხა, მაგრამ, როცა გაიგეს, შიდასამეურნეო ქსელის აღდგენაზე მიდიოდა საუბარი... არაფერი გამომივიდა... რამდენიმე დღეში არხის მშენებლობა დავამთავრეთ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო დიდხანს იყო უარზე, მაგრამ შემდეგ თავად პირველი მდივნის თხოვნით სამინისტრომაც ჩაურიცხა რკინა-ბეტონის ქარხანას ღარების ღირებულება.

გავიდა ხანი... პირველ მდივანს ვხვდები ხშირად, ჩვეულებრივად, ვერ ვამჩნევ რაიმე უკმაყოფილებას. პირიქით, მისგან უფრო გულთბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ...

რაიონში იწყება მზადება დიდ სამამულო ომში გამარჯვების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმისათვის. რაიკომის შენობის წინ უნდა მოეწყოს დიდი მოედანი, შადრევნითა და მემორიალური ძეგლით.

ამ საკითხის თაობაზე თათბირია პირველ მდივანთან. ის თითოეულ საწარმოო-დაწესებულების უფროსს ცალ-ცალკე აძლევს დავალებას. ყველა დადებით პასუხს აძლევს - კი ბატონო, შევასრულებო. ჩემი ჯერიც დადგა:

- შენ, ამხანაგო მიმინოშვილო, უნდა ააშენო ლამაზი შადრევანი, რომელიც მთელი მოედნის მშვენება უნდა იყოს!

- ბატონო ალექსი (ბატონობით მიმართვა იმ დროსაც მქონდა ჩვევად), აშენებით ვერ ავაშენებ, მოგეხსენებათ, ასეთი სახსრები ჩვენ არ გაგვაჩნია (გვერდით მჯდომები მანიშნებენ - უარს ნუ ეუბნებიო, მე მათ ყურადღებას არ ვაქცევ და თამამად ვაგრძელებ პასუხს), მაგრამ შადრევანის დაპროექტებას კი ნამდვილად გავაკეთებ, ეს შესაძლებელია-მეთქი... (გადავხედე ჩემს მეგობრებს, ყველა განცვიფრებით მიყურებს, ზოგიერთი სიბრალულსაც გამოხატავს, უარის თქმაზე ნახეთ, რა პასუხს მიიღებსო, მე კი სრულიად დამშვიდებული ვდგავარ, რადგან სიმართლე ვთქვი).

- მაშინ მითხარით, ვინ შესძლებს შადრევანის აშენებას?

ცოტა ხნის პაუზის შემდეგ შემეკითხა პირველი მდივანი, დინჯად, მშვიდად... ვერ ვამჩნევ, რომ ჩემი პასუხით უკმაყოფილო იყოს.

- ყველა სამშენებლო ორგანიზაცია! - ვპასუხობ, მაგრამ ტრესტი „სამგორწყალმშენი" უფრო მეტად, რადგან აქ სატუმბავ სადგურთან გვექნება საქმე-მეთქი.

- მართალია... თქვა და სახე გაებადრა პირველს... კარგი, თქვენ პროექტის საკითხი მოაგვარეთ, სამშენებლო სამუშაოებს შალვა გიორგაძეს დავავალებ, ობიექტის მშენებლობის დროულად შესრულებაზე კი თქვენ იქნებით პასუხისმგებელიო...

ეს იყო და ეს... იმის შემდეგ ბევრჯერ ვყოფილვარ ბატონ ალექსისთან სხვადასხვა საქმეზე, ზოგჯერ რჩევისათვისაც კი, ყოველთვის თავაზიანად მხვდებოდა.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონი ალექსი ბექაური, როგორც გამოცდილი, შორსმჭვრეტელი, თავად პატიოსანი კაცი, დარწმუნდა ჩემს ადამიანობაში და ეჭვი არ ეპარებოდა ჩემს სიტყვაში, ჩემს სინდისში...

ისეთივე დავრჩი ბოლომდე, როგორც მშობლები მასწავლიდნენ: პატიოსნება, უპირველეს ყოვლისა, - ჩემი ცხოვრების დევიზია.

იყო უცნაურობებით სავსე დროც...

1976 წელია... საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ახალი გენერალური მდივანი ჰყავს - ანდროპოვი, რომელმაც პირველი დღიდანვე ხელი მოჰკიდა ქვეყანაში დისციპლინის განმტკიცებას. სასტიკად აკრძალა სამუშაო საათებში უსაქმოდ ხეტიალი, კაფეებში გაშლილი სმა-ჭამა... ერთი სიტყვით, ადამიანის თვალებში ერთგვარი შიშის გრძნობას ამოიკითხავდა კაცი.

ასეთ სიტუაციაში, ერევნიდან შაუმიანის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსს სურვილი გამოუთქვამს ჩვენს სამინისტროში, დაუმეგობრდეს და ხელშეკრულება გააფორმოს ქ. თბილისთან ახლო მდებარე სამმართველოსთან... არჩევანი გარდაბნის სამმართველოზე შეჩერებულა.

შაუმიანის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსი ალექსანდრე დანელიანი ტელეფონით გავიცანი და შევთანხმდით, რომ წინასწარ მაცნობებდა ჩამოსვლის თარიღს. მალე დეპეშაც მივიღე და 9 ოქტომბერს ჩამობრძანდა დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით.

სასტუმრო „აფხაზეთში“ სტუმრებისათვის საჭირო რაოდენობის ადგილი დავჯავშნე.

პირველ დღეს, სტუმრების გამასპინძლება იქვე, სასტუმროს რესტორანში განვიზრახე და საღამოს მივედი შეკვეთის მისაცემად. ადმინისტრატორმა შეკვეთა არ მიიღო, მომხსნიან სამსახურიდანო, ყოველგვარი ბანკეტი აკრძალული გვაქვსო... გამგზავნა დირექტორთან, ისიც ახალგაზრდა კაცი იყო და ჩემს თხოვნაზე მტკიცე უარი განმიცხადა - ასეთი მითითება გვაქვსო... და მოკრძალებით მითხრა: - ბიძია, თქვენ ხომ გაქვთ ოჯახი? და რატომ გინდათ ის ცუდ დღეში ჩააყენოთ, გააუბედუროთ?.. ახლა სხვა დროა, აქ ვინც იქეიფებს, ყველას ამოწმებენ და ხომ იცით, ამ შემოწმებას რა მოჰყვება?! ამიტ-

ომ გირჩევთ, ნუ ჩაიგდებთ თავს შარში... თავი თუ არ გებრალებათ, ოჯახი მაინც შეიცოდეთო!

მე დაჟინებით მოვითხოვე მაგიდების შეერთება და 15 კაციანი სუფრის გაშლა, თან მტკიცედ ვუთხარი:- ქართულ ადათ-წესს ვერ დავარღვევ, სტუმარს უნდა ვუმასპინძლო ისე, როგორც შემეძლება, მე არაფრის მეშინია, ჩემს ალალ ლუკმას ვუყოფ სტუმარს-მეთქი... როგორც იქნა, დირექტორი დავითანხმე იმ პირობით, რომ პურის ჭამა იქნებოდა ხანმოკლე, საღამოს ათ საათამდე და უხმაურო.

8 საათზე მოვიწვიე სტუმრები. როდესაც გაიგეს, თუ რა გადამხდა მაგიდის გაშლისათვის, გაუკვირდათ. ერევანში ასეთი სიმკაცრე არ არისო და არც ისეთი შეზღუდვებიაო...

ჩვენთან მაშინ საქართველოს ცკ-ს მდივანი ამხანაგი შევარდნაძე იყო.

ისე სიკეთე იყოს მუდამ ჩვენთან და თქვენთანაც, როგორც იმ საღამოს ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა... ღამის 11 საათამდე მთელ დარბაზში მარტო ჩვენი სუფრა იყო გაშლილი. ჩვენთან არავინ მოსულა და შემდეგაც საყვედური არავის დასცდენია!

ერევნელებთან მეგობრობის ხელშეკრულება გარდაბანში გავაფორმეთ და ისინიც დიდად კმაყოფილნი გავისტუმრეთ, იმ გამოცდილების გაზიარებით, რისი ჩვენებაც მოვასწარით.

ასეა, ზოგჯერ გაზვიადება გვიყვარს და გადამეტებაც, რათა ერთგულება დავუმტკიცოთ ზემდგომს, - მაგრამ, არა მგონია „ოქროს შუალედი“ არ მოვუნახოთ „აკრძალულსაც“ კი, თუ მას ქვეყნისათვის სარგებლობა მოაქვს...

დღევანდელი გადასახედიდან, შესაძლოა, ჩემი ზემოთმოყვანილი ეპიზოდი ვინმეს სასაცილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ განუკითხაობა, რაც ყოველ ნაბიჯზე სუფევს, პირადად ჩემში მტკიცე დისციპლინის ნოსტალგიას იწვევს...

უმაღური სტუმარი

ერთ დღეს გარდაბანში მესტუმრნენ სსრკ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ექსპლუატაციის დარგში ბორის კანატოვი, ჩვენი მინისტრი, ბატონი გივი გადელია და ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი ბატონი ჯემალ ტვილდიანი. მათი ჩამოსვლის მიზანი ახალდამთავრებული გარდაბნის სარწყავი სისტემის ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის სამართავი პულტის დათვალიერება გახლდათ.

ეს სიახლე საბჭოთა კავშირის მასშტაბით ოთხ რესპუბლიკაში იყო დანერგილი: ყირგიზეთში, უზბეკეთში, უკრაინასა და სტავროპოლის მხარეში. ჩვენი რესპუბლიკა მეხუთე იყო და ტექნიკური დონით ყველაზე მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

ავტომატიკისა და ტელემექანიზაციის ირგვლივ განმარტებითი ხასიათის საუბრის შემდეგ, პატივცემული მოსკოველი სტუმარი მეკითხება: როგორ მიმდინარეობს მორწყვა, როგორია მოსავლიანობა წამყვანი კულტურებისა და მრავალწლიანი ბალახებისო?.. ჩემი პასუხი რატომღაც აღიზიანებდა სტუმარს და მისი რეპლიკები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ მივხვდი - მას ნაკლებად აინტერესებდა სარწყავი სისტემის მუშაობა, ტელემექანიზაცია და ავტომატიკა. იგი უფრო მოსავლიანობის საკითხებით იყო დაინტერესებული. მეც ავდექი და ვთქვი: შემოდგომის ხორბლის მოსავალმა საშუალოდ 24-26 ცენტნერი შეადგინა, რაც რაიონში ყველაზე კარგი მაჩვენებელია-მეთქი! უცბად აფეთქდა სტუმარი - „როგორ, სარწყავ მიწებზე 25-26 ცენტნერი მოსავალი? ეს რა მოსავალია, თქვენ უფლება არა გაქვთ ასეთ კარგ მიწებზე, მორწყვის პირობებში, 50 ცენტნერზე ნაკლები მოსავალი მიიღოთ ერთ ჰექტარზეო. ეს მაჩვენებელი თქვენი სარწყავი სისტემის ცუდი მუშაობის შედეგიაო“... გადავხედე უფროსებს და შევატყვე არც ერთს არ მოეწონა ასეთი შეფასება... მე ფეხზე ვიდექი როგორც

აბიტურიენტი გამომცდელის წინაშე, მისი შეფასება შეურაცხყოფად მივიღე, ვერ მოვითმინე, რადგან ეს მარტო მე არ მეხებოდა და განაწყენებულმა, პირში მივახალე „უმადურ“ სტუმარს: ამხანაგო ბორის, ჩვენ რატომ გვთხოვთ მოსავლიანობას?! ჩვენ არ ვთესავთ, ჩვენ არ ვუვლით ნათესებს, მოსავალს არ ვიწევთ და არ ვაბინავებთ, ჩვენ მხოლოდ წყალს ვაწვდით მათ, მაშ, ჩვენ როგორ ვაგოთ პასუხი სხვის მაგიერ-მეთქი?“ აქ სიტყვა შემაწყვეტინა პარტრაიკომის პირველმა მდივანმა, რომელსაც შევატყობინეთ რა სამინისტროდან სტუმრების მოსვლა, ისიც დიდი სიამოვნებით შემოგვიერთდა და სწორედ ჩვენს საუბარს შემოუსწრო; მან მოიბოდიშა, რომ საუბარში ჩაერთო და მოსკოველ სტუმარს მიმართა: - ჩვენი რაიონი სარწყავი წყლით მთლიანად უზრუნველყოფილია. გარდაბნის სარწყავი სისტემა ყოველთვის ნორმალურად მუშაობს, მით უმეტეს ახლა, ავტომატიზაციის დანერგვის შემდეგ, ამ სამმართველოს კოლექტივის მუშაობით ჩვენ დიდად კმაყოფილნი ვართ და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, რაც შეეხება თქვენს საყვედურს დაბალ მოსავლიანობაზე, ის წყალთა მეურნეობის დარგის მუშაკებს სრულიად არ ეკუთვნის, ის ჩვენ გვეკუთვნის, განა მოსავალი ცოტა მოდის? შეიძლება 50 ცენტნერი კი არა, უფრო მეტიც მოდის, მაგრამ სახელმწიფოს ბეღელში მეტი არ შედის, ბევრი იკარგება, უხარისხოდ მკიან, იპარავენ, ქურდობენ... ამაზე პასუხი ამათ კი არა - ჩვენ, რაიონის ხელმძღვანელობას უნდა მოგვთხოვოთო. ეს, ისე დინჯად, დამაჯერებლად წარმოთქვა რაიონის პირველმა კაცმა, ბატონმა გურამ ლოლაძემ, რომ წარბი ოდნავაც არ შეუხრია. ჩვენებს ძალიან ეამათ და ცოტა არ იყოს გაოცებულიც იყვნენ ასე თამამად სიმართლის აღიარების გამო. სტუმარმაც უხერხულად იგრძნო თავი, მხრები აიჩეჩა, ადგა, ავტომატიკის სტენდთან მივიდა, თავი გააქნია და ჩაილაპარაკა „დაა, ეტო ნე ხარაშო“... და აქ, ლაპარაკი ამ თემაზე, ყოველგვარი რეზიუმეს გარეშე შეწყდა. მაგრამ, არც ისე დიდი ხნით, ამ საკითხზე საუბარი

კიდევ განმეორდა, ისევ ამ დიდ პიროვნებასთან, მაგრამ არა მაშინ, არამედ ერთი წლის შემდეგ, რის შესახებაც ქვემოთ მოგიყვებით.

ჰერეთის მიწაზე

1979 წლის ზაფხულის მიწურულს ზაქათალაში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მელიორატორთა ზონალური თათბირი სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის საკითხებზე. მიწვევას ამ თათბირზე დიდი სიხარულით შევხვდი. საინგილოში არ ვარ ნამყოფი და ძალიან მაინტერესებდა აღმოსავლეთ საქართველოს მოწყვეტილი ეს მხარე. მასზე ბევრი წამიკითხავს ისტორიულ წყაროებში, გემახსოვრებათ ი. გოგებაშვილის მოთხრობაც „იავნანამ რა ჰქმნა?“

საინგილო ანუ შიგა კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ისტორიული ნაწილი, მდებარეობს ჰერეთის ტერიტორიაზე... როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, საინგილო უძველესი დროიდან წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ საერისთაოს და როგორც იბერიის აღმოსავლეთ პროვინციას, მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი იყო საქართველოს კარიბჭე აღმოსავლეთით, და მისი საიმედო ფარიც გახლდათ.

ჰერეთის ტერიტორია მოიცავდა ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებს. სადაც, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ქრისტიანული კუთხით და არქიტექტურის მხრივ მეტად საყურადღებო ძეგლებია შემორჩენილი. ზოგიერთმა მათგანმა ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენამდე. გადარჩენილ ძეგლებს შორის აღსანიშნავია: ლექართის ტაძარი - სოფელ ლექართეში - არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ იგი მე-5-6 საუკუნის ძეგლია, ღვთისმშობლის

ტაძარი - სოფელ ყუმში, ქართველთა უძველეს სოფელში, რომელიც ლექართედან დაშორებულია რამდენიმე კილომეტრით. ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ ბახთალაში - მდ. ალაზნის ნაპირას, ზაქათალიდან ოც კილომეტრზე, მდინარე ქურმუხის ხეობაში არის აგრეთვე ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესია, იგი კახის რაიონულ ცენტრიდან ორ კილომეტრზე მდებარეობს.

მადლის ეკლესია, რომელიც სოფელ ბელაქნიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით აუშენებიათ;

პატარა ალავერდის ეკლესია ქ. კახში და კიდევ ბევრი სხვა ძეგლი შემორჩენია ჰერეთის ხეობას.

ძველი ჰერეთის ტერიტორია, ე.წ. გაღმა მხარე, გარდა ქრისტიანული ხუროთმოძღვრული მონუმენტური ძეგლებისა, მდიდარია, აგრეთვე, თავდაცვითი დანიშნულების ძეგლებითაც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გალავანი, ე.წ. „კავკასიის დიდი კედელი“.

როგორც მეცნიერი და მკვლევარი, ბატონი ილია ადამია აღნიშნავს, ასეთი კედლები ქვეყნის დაცვის მიზნით იყო აგებული ევრაზიის სხვადასხვა ქვეყნებშიც სხვადასხვა დროს.

ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი დანიშნულების ორი ძეგლია შემორჩენილი ნანგრევების სახით.

ერთი მათგანი მდებარეობს ისტორიული კოლხეთის მიწაზე კელასურთან, „აფხაზეთის დიდი გალავნის“ სახელწოდებით, ხოლო მეორე ასეთივე ნაგებობა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს კარიბჭესთან, ჰერეთის ტერიტორიაზე - „კავკასიის გრძელი კედლის“ სახელწოდებით. მნახველ მკვლევართა აზრით, „კავკასიის დიდი კედლის“ ნაშთები ყველაზე კარგად შემორჩენილი იყო ბელაქნისა და ზაქათალის რაიონებში, მაგისტრალური გზის მარცხენა მხარეს სოფელ კახთან. წინათ ამ ძეგლის ნაშთების არსებობა ძალზე შორს აღწევდაო (დაწყებული ლაგოდეხიდან - ნუხამდე). კედლის სისქე, ზოგიერთ ადგილებში, 150 სმ აღემატებოდა, სიმაღლე კი - 250 სმ და აგებული იყო კაჭარის ქვისგან კირის მოჭარბებულ ხსნარზე.

დედა საქართველოს მოწყვეტილ ამ ისტორიულ, ნამდვილ ქართულ მიწაზე, პირველად უნდა დამედგა ფეხი ფაზისიდან მოსულ კოლხს, როგორი სასიხარულო შემთხვევა მომეცა, რამდენი განცდები მელოდებოდა წინ?

და აი, ჩემს კოლეგებთან: მიხეილ არინდაულთან, ჟიული გოლეთიანთან და სხვებთან ერთად, მინისტრის, ბატონი გივი გადელიას მეთაურობით ჩავედით ქ. ზაქათალაში.

თათბირს ესწრებოდნენ ამიერკავკასიისა და დაღესტნის რესპუბლიკების მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და სარწყავი სისტემების სამმართველოების ხელმძღვანელები. თათბირს უძღვებოდა საკავშირო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. კანატოვი.

თათბირზე წასვლამდე, ჩვენმა მინისტრმა დამავალა, მომემზადებინა სიტყვა, რომლითაც გამოცდილებას გავუზიარებდი კოლეგებს. თათბირი ხალხმრავალი არ იყო, მაგრამ შემადგენლობითა და თვისობრივად მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ყველას ერთი სატკივარი აწუხებდა. ეს იყო ირიგატორების მიმართ ზეწოლა პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელებისგან, მათი შრომის დაუფასებლობა, სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის, წყალსარგებლობის დისციპლინის დაბალი დონე!

მუშა-თათბირი სწორედ ასეთი გულისტკივილის ურთიერთგაზიარებისათვის უნდა ყოფილიყო მოწოდებული, მაგრამ საკავშირო სამინისტროს თანამდებობით მესამე პირმა თათბირი ისე წარმართა, რომ თავის შესავალ სიტყვაში მთელი პასუხისმგებლობა წყალთა მეურნეობის დარგის მუშაკებს დააკისრა, არა მარტო მიწების მორწყვის გეგმების შეუსრულებლობისათვის, არამედ მოუსავლიანობისთვისაც...

მე და ჩემი თანამოაზრენი ყოველთვის და ყველგან ვამბობდით, რომ დაბალი მოსავლიანობის მიზეზი ნიადაგის მოურწყველობა და წყლის სიმცირე როდია, არამედ, პირველ რიგში, აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად ჩაუტარებლობა და უზომოდ დიდი დანაკარგები მოსავლის აღების დროს. მთავარი კი -

აღებული მოსავლის განიავებაა... ასეთი მოსაზრებიდან არასდროს გადამიხვევია და როდესაც ჩემი გამოსვლის დრო დადგა, დაწერილიდან შესავალი ნაწილი წავიკითხე, შემდეგ მივუბრუნდი მოსკოველ სტუმარს და პასუხი გავეცი მის გამონათქვამებზე... ჩემი პირდაპირი, მართალი პასუხები, რასაკვირველია, მოსკოველ ჩინოვნიკს არ მოეწონა, სახე უწითლდებოდა, განსაკუთრებით მაშინ უფრო ბრაზდებოდა, როდესაც დარბაზში მყოფნი მხარს მიჭერდნენ და დროგამოშვებით ტაშსაც მიკრავდნენ, შეძახილებით - მართალია!.. ბატონი გივი რამდენიმეჯერ, დაბალ ხმაზე მირჩევს - შევარბილო ჩემი სათქმელი. მე კი ვგრძნობდი, რომ ბატონი გივი და ბატონი ჯემალ ტვილდიანი მეთანხმებოდნენ და მოსწონდათ ჩემი სამართლიანი გამონათქვამი, მაგრამ, როცა შეატყვეს, რომ პატივცემული მინისტრის მოადგილე შინაგანად აფორიაქდა და აფეთქების ზღვარს მიუახლოვდა, მინისტრმა გამაფრთხილა შემეწყვიტა პაექრობა. და დაწერილის კითხვაზე გადასვლა მომთხოვა... მე ხომ გული ვიჯერე, რისი თქმაც მინდოდა მთლიანად ვთქვი და მშვიდად გავაგრძელე დაწერილის კითხვა, ბოლოს კი ჩვენს სტუმარსაც ორიოდე საქებარი სიტყვაც შევაწიე.

შესვენების დროს კოლეგები მოდიოდნენ ჩემთან და ხელს მართმევდნენ, მადლიერნი მაგულიანებდნენ სწორი აზრების ასე თამამად გამოთქმისათვის, სიმართლის თქმისათვის.

ის ღამე ზაქათალაში დავრჩით, კარგი მასპინძლობა გაგვიწიეს აზერბაიჯანელმა კოლეგებმა. მეორე დილით, სასტუმროს წინ ერთად ვიდექით ქართველები და ვსაუბრობდით. ამ დროს ვხედავთ, გვიახლოვდება მოხდენილი, შავთვალწარაბა სანდომიანი ქალიშვილი. რომ გაგვისწორდა, სულმნათმა, მუდამ კეთილად მოსაგონარმა ჯემალ ტვილდიანმა ხმამაღლა წარმოთქვა: სანაძლეოს დავდებ, რომ ეს ქალბატონი (ყოველთვის ასე მიმართავდა ის ქალებს მაშინაც) ნამდვილი ქართველი იქნებაო... ქალიშვილი უცებ ჩვენსკენ შემოტრიალდა, გაბრწყინებული თვალებით, პირმცინარემ ლამაზი ქართული კილოთი უპასუხა: დიახ, ქართველი

ვარ... ჩვენ იგი წრეში მოვაქციეთ; ქალიშვილს უცბად ღიმილი გაუქრა სახეზე და დანაღვლიანებულმა გვითხრა: „მართალია, რჯული მაჰმადიანი გვაქვს, მაგრამ ჩვენ ქრისტე ღმერთიც გვწამს, ქართული წეს-ჩვეულებებიც შენარჩუნებული გვაქვს და რაც მთავარია, ქართული ენაც და ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი მონდომებით, დიდი გაჭირვებითო!... თბილისიდან ყურადღებას არავინ გვაქცევს, არავის ვახსოვართო... ჩვენთვის თელავი, თბილისი უფრო ახლოსაა, ვიდრე ბაქო, მაგრამ მშობიარე ქალი საქართველოს ქალაქებში ვერ წაგვიყვანია... უფლებას არ გვაძლევენ... გვავიწროებენ... რომ იცოდეთ, როგორ ვლოცულობთ დღე და ღამე საქართველოზე და ვეხვეწებით ღმერთს ასე უპატრონოდ ნუ დაგვტოვებსო...“ ალსარებასავით მოვისმინეთ ყოველივე ეს კეთილგონიერი ქალიშვილისაგან და გაოგნებულები ვიდექით... ისევ ჯემალ ტვილდიანმა (ვინც მას არ იცნობდა, იმათთვის ვიტყვი, რომ ეს იყო კაცური კაცი, ტკბილმოუბარი, გონებანათელი, განათლებული პიროვნება) გამოგვეხიზლა, მან თავისი ენაწყლიანობით ღრმა რწმენა ჩაუნერგა ჰერეთელი მიწა-წყლის ინგილოელ ქალიშვილს, ქართველები არასდროს მიატოვებენ საინგილოს - საქართველოს კურთხეულ კუთხესო... და კიდევ ბევრი რამ უთხრა ისეთი გამამხნევებელი, რომელმაც გაახარა ქალიშვილი.

დიდი მადლობით, ღრმა რწმენითა და სიყვარულით აღგზნებული თვალებით დაგვშორდა ზაქათალელი ქართველი ქალიშვილი... ვიდრე იგი მოსახვევს არ მიეფარა, უხმოდ ვიდექით და ყველა ნაღვლიანად გავცქეროდით ქართველ მაჰმადიან ქალიშვილს, კოხტად მიმავალს...

მინაწერი:

იმ დროს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუციის წაკითხვა მხოლოდ წიგნთსაცავებში შეიძლებოდა, ახლა კი სახლშიც გვაქვს და აი, ამ კონსტიტუციის 107-ე მუხლში საქართველო ასეა წარმოდგენილი: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის

ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქს) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა".

ღმერთმა ქნას, ოცდამეერთე საუკუნეში მაინც ამოქმედდეს პირველი კონსტიტუციის ეს მუხლი.

ზემო სვანეთში...

ბავშვობისას, დედულეთში ყოფნის დროს გამიგონია, რომ ზამთარში შონეფი (ე.ი. სვანები) ჩამოვლენ და გზის პირად თხრილებს გავაკეთებინებთო... მართლაც ასე იყო, გვიან შემოდგომით, სვანები ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდიოდნენ ხრლმე ბარში სამუშაოდ. მათ უმეტესად თხრილების გაჭრა და მიწის სამუშაოთა შესრულება ემარჯვებოდათ. მაშინ მშენებლობები ფართოდ არ იყო გაშლილი და მუშახელს მოკლებულ ოჯახებს ეხმარებოდა ეს გამრჯე ხალხი.

კოლხიდმშენში მუშაობის დროს ერთხელ მომეცა შემთხვევა ქვემო სვანეთში წავსულიყავი, მაგრამ არ გამიმართლა... მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, სიტუაციაც შეიცვალა... სვანებმა ბარში ჩამოსვლას მოუხშირეს საცხოვრებლად...

გარდაბნის რაიონში მუშაობის პერიოდში კომპაქტურად დასახლებული სვანური სოფლები გაჩნდა: ლემშვანიერი და ნაგები. მეც საშუალება მომეცა ახლოს გამეცნო სვანები, მაგრამ ზემო სვანეთში წასვლა მაინც ოცნებად მქონდა გადაქცეული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზუგდიდ-მესტიის გზა კეთილმოეწყო.

და აი, 1983 წლის ზაფხულია... წყალთა მეურნეობის სამინისტროში ხმა დაირხა: მესტიაში ექსკურსიაზე წასვლის მსურველებმა მინორა ლელაძეს მიაკითხეთო.

ქალბატონი მინორა ექსკურსიის შესანიშნავი ორგანიზატორი გამოდგა. მისი ინიციატივით, ჩვენთან ერთად მესტიაში წასვლა ქუთაისის სამმართველოს კოლექტივმაც მოისურვა. ისინი ჩვენს ჯგუფს ქუთაისში შემოუერთდნენ.

ორი ავტობუსით შევუდექით აღმართს ჯვარი-მესტიის ფართო შარაგზაზე... გავიარეთ სოფლები: ხაიში, ბეჩო, თავისი მაღლივი სვანური კოშკებით... მივყვებით ენგურის ხეობას, რომლის თვალჩაუწვდენელ სიღრმეში მდინარე ძლივს მოჩანს და ჩახედვაც კი შიშის მომგვრელია...

გზა არ ილევა, მაგრამ მის ორივე მხარეს თვალწარმტაცი სანახაობა - ცადაზიდული ნაძვის ხეებით, მონაცვლეობით აბიბინებული ალპური მდელოებით დამშვენებული, ეგებება დიდი ქალაქის ხმაურიან ქუჩებს შეჩვეულ ადამიანებს...

აი, აღმოვჩნდით დავაკებულ, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, რომლის მაღლივი კოშკები მხოლოდ ეკრანზე ან მხატვართა ტილოებზე მქონდა ნანახი. ეს მესტია გახლავთ, მესტია, რომელიც ზღვის დონიდან 1350 მეტრზე მდებარეობს... სიმაღლის დაპყრობაში განა არწივებს არ ეჯიბრებიან სვანები?

აქ, ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაქვემდებარებული ჰიდროტექნიკური უბანია, რომელიც ძირითადად წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებს აწარმოებს. აქა-იქ პატარ-პატარა სარწყავი არხებიც გვხვდება, რომელთაც აქაურები გვალვის დროს სიცოცხლის ელექსირად აღიარებულ წყალს მიაწვდიან ხოდაბუნებს.

ლამაზი დასახლებაა რაიონის ცენტრი - მესტია, ხოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სიმდიდრეს ნულარ იკითხავთ. აქ ინახება უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, ძვირფასი ნაკეთობანი, თუმცა, მხოლოდ მესტიისა და მისი მუზეუმის დათვალიერება რა ბედენაა - მუზეუმია მთელი სვანეთი!

სვანეთის მშვენება კი, სვანური კოშკია.

„სვანური კოშკი, თავისებურ, განუმეორებელ ტიპს წარმოადგენს. იგი გეგმაში ოთხკუთხედია, ზევითკენ ოდნავ ვიწროვდება და თავზე, როგორც აუცილებელი პირობა, გვირგვინი აქვს დადგმული. ამ გვირგვინის გარეშე, სვანური კოშკი, როგორც საბრძოლო ერთეული, წარმოუდგენელია, რადგან დანარჩენ სართულებს მხოლოდ თითო-თითო ხვრეტი აქვს, რომელნიც ან სარკმელს ან კარს წარმოადგენენ, ყველა მხოლოდ ერთ მხარეს არის მიმართული და ამდაგვარად, გვირგვინის გარდა, კოშკს დანარჩენ სამ მხარეს მიმოხილვის შესაძლებლობა არ აქვს. ამიტომაც, ქვემო სართულები მხოლოდ თავშესაფარს წარმოადგენენ.

გვირგვინოვანი სართული აღჭურვილია ოთხივე მხრიდან, როგორც წესი, სამ-სამი საბრძოლო ხვრეტით (იშვიათ შემთხვევაში, ორი ან ოთხი ხვრეტით). ... სვანური კოშკი, გარდა თავისი პროპორციულობის, არქიტექტურულ-ესთეტიკური აღქმისა, საინტერესოა, აგრეთვე, სამშენებლო მდგრადობის თვალსაზრისითაც.

...ძველად მშენებელ სვანებს მრავალსაუკუნოვანი დაკვირვება-გამოცდილების შედეგად გამომუშავებული ჰქონიათ სამშენებლო მდგრადობის ინტუიცია, რისი წყალობითაც მათ სიმძიმის ცენტრი მკვეთრად ძირს - საძირკვლისაკენ გადაჰქონდათ, ხოლო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შემთხვევაში მათ ოსტატურად იყენებდნენ, რითაც უზრუნველყოფდნენ მაღალი კოშკების დაუნგრევლობას და მრავალი საუკუნეების მანძილზე მათ კარგად შენახვას აღწევდნენო!“ - აღნიშნავს ინჟინერი ბ. ახვლედიანი.* საუკუნეებს უძლებენ მტკიცედ ნაგები სვანური კოშკები, რომელთაც არც ქარიშხლების, არც მიწისძვრისა და სხვა დამანგრეველი ბუნებრივი მოვლენებისა არ ეშინიათ... ცადაზიდული კოშკების ფონზე თვალს ვერ აშორებ

*„ჟურნალი“ ძეგლის მეგობარი“, 1966 წ. №7, გვ. 31.

შორიახლო მდებარე დათოვლილ მწვერვალებს: თეთნულდს (5200 მ), უშბას (4750 მ), შხელდას (4000 მ), შხარას (4100 მ), რომლებიც უმალვე მოგაგონებენ ცნობილ ალპინისტებს: ხერგიანებს, გაბლიანებს, გვარლიანებს, ჩართოლანებსა და სხვებს, რომელთაც ვინ იცის რამდენჯერ აქვთ დალაშქრული კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები, აფი გიგანი და აკაკი ხერგიანი კი ევერესტზეც არიან ნამყოფნი.

დიდებული მხარეა ზემო სვანეთი, ზვიადი ბუნებით, მარადთოვლიანი მთაგრეხილებით, თვალწარმტაცი ქალებითა და ტანადი ვაჟკაცებით, მაღალი სულის ადამიანებით.

მესხეთ-ჯავახეთი

მესხეთ-ჯავახეთს თბილისიდან ავტომანქანით ორი მხრიდან შეიძლება ესტუმრო: ზემო ქართლიდან, ბორჯომი-ახალციხის და ქვემო ქართლიდან - მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის გზით.

რაც შეეხება რკინიგზას თბილისი-ახალქალაქს შორის, მატარებელი აქ ჯერ იყო და, ნელა მოძრაობდა და დიდი ხანი უნდებოდა დანიშნულების ადგილამდე ჩასვლას, ხოლო 1991-1992 წლებში რკინიგზა ისე დააზიანეს და გაძარცვეს, ამ გზაზე მოძრაობა მთლიანად შეწყდა. ახლა, როდესაც გადაწყდა თბილისსა და ყარსს შორის რკინიგზის გაყვანა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი რკინიგზა უნაკლო იქნება.

ეს იყო 1987 წლის შემოდგომაზე: მივლინებით მივდივარ მესხეთ-ჯავახეთში.

რადგანაც საქმე ნინოწმინდაშიც მქონდა, მგზავრობა ქვემო ქართლიდან ვამჯობინე, მანგლისი-თეთრიწყარო-წალკის გავლით.

სოფელ ფარცხისს რომ მივუახლოვდით, წყალმცირე მდინარე ალგეთი ზღვას დამსგავსებული დაგვხვდა. ეს ირიგაციული დანიშნულების გრანდიოზული წყალსაცავი, რომელიც აშენებულია ტრესტ „წყალმშენის" მიერ და რომლის მოცულობაც 65 მლ კბმ აღწევს, ექსპლუატაციაში 1983 წელს გადაეცა.

გზის მარჯვენა მხარეს კი მაღალ გორაკზე მოჩანს ოდესღაც სახელგანთქმული ფარცხისის ციხის ნანგრევები. ციხის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჯერ კიდევ ბაგრატ IV მეფობის დროს (XI ს) იხსენიებოდა.

მანგლისის გავლის შემდეგ, ჩვენს თვალწინ გადაიშალა მდ. ხრამის ხეობა და ხრამის წყალსაცავი, რომლის სიგრძე 14,5 კილომეტრია, მოცულობა კი - 313 მილ. კუბ მეტრი და მდებარეობს ზღვის დონიდან 1512 მეტრზე.

ეს წყალსაცავი ენერგეტიკული დანიშნულებისაა, მაგრამ ზაფხულის პერიოდში ირიგაციულ სამსახურსაც ეწევა - მარნეულის რაიონის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად.

ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ზაჰესის შემდეგ მეორე იყო საქართველოში, ამიტომაც, იმდროინდელი ახალგაზრდა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსებისათვის იგი დიდი გამოცდილებისა და დაოსტატების ერთგვარ სკოლასაც წარმოადგენდა. როგორც კი მდინარე ხრამის ხეობიდან დასავლეთისკენ ავიღე გეზი და ჯავახეთის გზას დავადექი, ჩემს თვალწინ გადაიშალა მხოლოდ გაშიშვლებული მთები და გორაკები, მცენარეულობით შეუმოსავი კლდე და ღრე. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილ მკვლევარ-გეოგრაფის - ვახუშტი ბატონიშვილის დროსაც (მე-17 ს.) ასე გამოიყურებოდა თურმე ეს მხარე. აი, რას ბრძანებს ბატონი ვახუშტი: „... ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა, და მოსავალითაც აგრეთივე. არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მგზავსი, გორნა უმჯობესიცა. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი, ცხოვარნი, მროწლენი

და ჯოგნი მრავალნი, თევზნი მრავალნი, ფრინველნი, რომელნიცა მთათა გვარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, მშვენიერ-ჰაეროვანნი. უსაციელონი, ბრიყვნი; სარწმუნოებით გლეხნი, ჯერეთ ქრისტეანენი სრულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღვდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათვის ოსმალთა" (გვ. 131).

დიახ, ჯავახეთში მაშინ მთლიანად ქართველები მოსახლეობდნენ. ამას ადასტურებს ერთი დოკუმენტიც, რომელიც შედგენილია თურქების მიერ 1620 წელს, როდესაც მათ ხელმეორედ დაიპყრეს მესხეთ-ჯავახეთი და ჩაატარეს მოსახლეობის აღწერა ხარკის შესაწერად. დავთარში ჯავახეთის ნახევარზე მეტი, ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი ტყიან ჯავახეთად არის აღწერილი და ამ დავთარში ტყიანი ჯავახეთის 69 ქართული სოფელია ჩამოთვლილი.

ამ ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ჯავახეთის ზეგანი ტყიანი მხარე ყოფილა, მაგრამ ის განადგურებულა გარეშე მტრების ბარბაროსული შემოსევების დროს.

მივდივარ, გზა არ ილევა ამ ხრიოკებში და უცებ... შორს, ჰორიზონტზე, გამოჩნდა ლურჯად მოლივლივე ფარავნის ტბა. მისი სარკის (ზედაპირის) ფართობია 370 კვ. კილომეტრია და საქართველოში უდიდეს ტბად ითვლება. უდიდესი სიღრმე 3,3 მეტრამდეა. ტბა მდებარეობს ზღვის დონედან 2074 მეტრზე.

თითქმის 5-6 კილომეტრზე ტბის ნაპირს მივყვებით.

ფარავნის შემდეგ საღამოს ტბა შემოგვეგება, ის შედარებით მომცროა - სარკის ფართობი 5,0 კვ. კმ-ია, უდიდესი სიღრმეა 2,5 მ და მდებარეობს 1998 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ცნობილია, რომ საქართველოში ტბებით ყველაზე მეტად მდიდარი ჯავახეთის მხარეა. აქ არის: ტბაწყურის, კარწახის, ხოზაფინის, ხანჩალის, ჩრდილის, ზრეზის და სხვა მრავალი მცირე მოცულობის ტბა... ხოლო იმ ადგილებში, სადაც ვულკანური

წარმოშობის ქანებია, ბევრგან გადმოჩქეფს წყაროები, ზოგი მათგანი გამოიყენება როგორც სარწყავად, ისე სასმელად. დიდი დებეტიანი წყაროებია: ბეჟაანთ წყარო, მურჯახეთის, ბარალეთის და სხვ.

ჯავახეთში მრავალი ისტორიული ძეგლია, ერთ მათგანზე ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „ხოლო კვალად გოკიის წყლის შესართავს ზეით ჯავახეთის მტკვრისა ზედა (ჯავახეთის მტკვარი იგივე მდ. ფარავანია ა.მ.), სამხრეთისაკენ, კიდეზედ, არს წუნა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღუდული - ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. ამასვე უწოდეს ცური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთა-ტუნი, და მერმე ეწოდა ქაჯთა ციხე. იყო ქალაქი და ციხე საერისთო ერთმეფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი“.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ეს მხარე მცხეთოსმა უბოძა თავის ძეს ჯავახოსს და ალბათ, აქედან წარმოსდგა სახელწოდება ჯავახეთიც, როგორც, მაგალითად, გარდაბანი. არის მეორე ვერსიაც. ჯავახეთი მეგრული წარმოშობისაა და ნიშნავს ჯავა ხე(თი) - ხე არ დგას (ქართულად).

ამ მხარეში მრავალი ტაძარი და ციხესიმაგრე იყო აგებული, რომლებიც ხუროთმოძღვრების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ, მათი ნაწილი დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა. ჩვენს მხარეს დარჩენილი ძეგლებიდან გამოირჩევა კუმურდოს ტაძარი, ახალქალაქთან ახლოს. აქ ქვაზე წარწერა გვამცნობს, რომ ტაძრის საძირკველი ჩაუყრიათ 964 წელს, პროფ. ვ. ბერიძე შემდეგ შეფასებას აძლევს მას: „...კუმურდოს ტაძარი, შექმნილი საქართველოს ისტორიისათვის ღირსშესანიშნავ ხანაში, როცა მთელი ახალი კულტურა ახალი გაფურჩქვნისა და აღორძინების გზას ადგა, ქართული ხუროთმოძღვრების ნამდვილი მშვენება არის, ქართული ხელოვნების ერთი მწვერვალთაგანი“.

ასეთივე მნიშვნელოვანი ტაძარი ბევრი იყო აგებული მესხეთ-ჯავახეთში: წყაროს თავი, წუნდა, ზარზმა, ხერთვისი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მესხეთში სახნავ-სათესი მიწების სიმცირეა, მიწათმოქმედება მაინც მაღალ დონეზე იყო განვითარე-

ბული. საქართველოს ეს შესანიშნავი კუთხე ამ მხრივაც უძველესი და მაღალი კულტურის მქონეა. მესხეთის მიწათმოქმედების ერთ-ერთი წამყვანი დარგი ტერასული მეურნეობაა, რომელიც ამ კუთხის გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული.

ტერასები მესხეთში გამოყენებული იყო მევენახეობა-მებაღეობის საწარმოებლად და მას, უძველეს დროიდან, წამყვანი ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული. სხვათა შორის, ამ უძველეს ტერასულ მეურნეობაზე და სარწყავი წყლის გამოყენებაზე საინტერესო მასალები აქვს მოძიებული ცნობილ მკვლევარ-მეცნიერს ბატონ ნიკო კეცხოველს, რომელიც აღნიშნავს, რომ მესხეთში მორწყვის საქმე იმდენად კარგად იყო დაყენებული, რომ ოსმალო დამპყრობლებმა ვერ გაბედეს და მისი სარგებლობის წესებში ცვლილება არ შეიტანეს.

მაგალითად, ოსმალების დავთარში ეწერა: „ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე ბორბალოდან მომდინარე წყლის მესამედი ძველი დროიდანვე ხსენებული სოფლის საზღვარზე მდებარე მიწების, ვენახებისა და ბაღის სარწყავი იყო, ამიტომ ეს გარემოება, მათი მოწმობის საფუძველზე და განმარტებულის საფუძველზე ჩაწერილი იქნა ახალ დავთარში“ (დავთარი. 42 გვ). აი, მეორეც:

„ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე წყალთბილიდან მომდინარე წყლის ნახევარი ძველი დროიდანვე სოფ. ვალეს სარწყავი წყალი იყო, ამიტომ (ეს გარემოება) ასევე ჩაიწერა ახალ დავთარში (დავთარი 39)“.

„მორიგეობა (სარწყავ) წყალზე: უფლება მდინარე წყალთბილის წყალზე ხსენებულ სოფელში მდებარე ადგილებს, ვენახებს და ბაღებს აქვთ. ერთი კვირის (განმავლობაში) ხსენებული სოფელი (ზემო ნიოხრები) რწყავს, ხოლო ორ კვირას სოფელი ვალე. ვინაიდან მცოდნე პირნი გვაუწყებენ, რომ ამ მდინარით ძველი დროიდანვე ასეთი წესით სარგებლობდნენ (ასევე) ჩაიწერა ახალ დავთარში(ც) გვ. 51.“

ამავე დავთრის მოწმობით, მინდვრის კულტურებია: ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, სელი, არის ასევე: ვენახი, ბაღი, ბოსტანი, ნიგვზნარი, თუთნარი, ცალკე იყო სათიბი და საძოვარი.

აი, როგორი მხვნელ-მთესველნი იყვნენ ძველი მესხები, მაგრამ თანამედროვეებმა მათ ბევრად გადააჭარბეს იმით, რომ მთებში გაიყვანეს სარწყავი არხები და შექმნეს წყლით სარგებლობის კანონები, გარდა ამისა, განავითარეს ტერასული (ოროკოების) მეურნეობა. მათ ჰქონდათ დიდი ტერასები, ტერასის სიგანე 20-30 მეტრს აღწევდა; უფრო ციცაბო ტერასის სიგანე 2-3 მეტრი იყო - შუბლი ქვით ნაშენი; აქ ითესებოდა ბოსტნეული, ირგვებოდა ხეხილი, ვაზი... მაგრამ ჟამთა სიავემ იავარჰქმნა ყოველივე"*.

მესხეთ-ჯავახეთში კულტურული განვითარება უმაღლეს დონეზე იყო. კულტურულ დაწინაურებას ხელს უწყოდნენ აქ არსებული ძველი და ახალი სკოლები. განსაკუთრებით კი უცხოეთში დაარსებული სკოლები, რომელთა დაარსების ინიციატორები იყვნენ მესხელი მოღვაწეები; შავშეთელმა პროხორემ XI საუკუნეში ააშენა ჯვრის მონასტერი პალესტინაში და ეს მონასტერი ბაგრატ IV დროს გადაიქცა ქართული მწერლობის მნიშვნელოვან ცენტრად. შემდეგ გრიგოლ ბაკურიანმა 1085 წელს ბულგარეთში ააშენა პეტრიწონის მონასტერი, რომელიც ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის კერა გახდა. მქონდა ბედნიერება მეუღლესთან ერთად 1983 წელს ბულგარეთში დამეთვალიერებინა ეს წმინდა კომპლექსი.

ამ სკოლებმა მოგვცა შესანიშნავი მწერლები და მოღვაწეები: დავით და აშოტ კურაპალატები, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწონელი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი და სხვანი. მათი დამაგვირგვინებელი იყო შოთა რუსთაველი. პროფესორი ს. მაკალათია აღნიშნავს,

---

* ნ. კეცხოველი,, „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია!". გვ. 281, 1974

რომ „მესხეთ-ჯავახეთმა დიდი კულტურული როლი ითამაშა რუსთაველის ეპოქაში. ქრისტიანული იდეოლოგია, ბერძნული ფილოსოფია და განათლება აქ შემოდიოდა ჭოროხის ხეობით, მაჰმადის მოძღვრება და არაბული განათლება კი არეზ-მტკვრის ხეობით. კულტურის ეს ორი ნაკადი თავს იყრიდა მესხეთ-ჯავახეთში, სადაც საკმაოდ ძირმომაგრებული იყო ქართული კულტურა და მწერლობა“.

მესხეთ-ჯავახეთს საქართველოსთვის, აგრეთვე, უდიდესი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იყო, მის განმტკიცებასა და ძლიერებას საქართველოს მეფეები დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდნენ. მოსაზღვრე ტომები, სპარსელები და თურქები (ოსმალები) მოსვენებას არ აძლევდნენ სამხრეთ საქართველოს. 1065 წელს სომხეთის მოოხრების შემდეგ, 1074 და 1080 წლებში თურქებმა კვლავ მოაოხრეს ჯავახეთი და ტაო-კლარჯეთი, ხელში ჩაიგდეს ციხე-ქალაქები. თბილისში კი ამ დროს არაბები ბატონობდნენ. და აი, დადგა დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა. ქართლის ცხოვრება გადმოგვცემს. „წარემართა ლაშქრითა და განვლო ჯავახეთი, კოლა-კარნიფორი, ბასიანი სპერამდინ და რაცა ჰპოვა თურქმანნი, მოსრა და ტყვედ ჰყო, ჩამოვლო ბუიათაყური და დაწვა ოლთისნი და მოვიდა ჭრიალეთს დიდითა გამარჯვებითა! 1182 წელს დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა თბილისი და საბოლოოდ განდევნა არაბები საქართველოდან.“

საქართველოს ზეობა თამარის მეფობის დროსაც დიდხანს გრძელდებოდა. თამარის მეფობის შემდეგ კი კვლავ იწყება მონგოლების, ოსმალებისა და სპარსელების მიერ რიგრიგობით საქართველოს აოხრება. 1545 წელს ბასიანში თურქებმა დაამარცხეს ქართველობა და მესხეთ-ჯავახეთი დაიპყრეს. 1578 წელს კი სპარსელებმა დაამარცხეს თურქები და ახლა მათ დაიპყრეს მესხეთ-ჯავახეთი. 1620 წელს თურქებმა ხელახლა დაიპყრეს მესხეთ-ჯავახეთი და გადაუგეს იქაურობა. ვინც რჯულს არ შეიცვლიდა, იმათ ხოცავდნენ. დაცარიელდა მესხეთ-ჯავახეთი

ქართველებისგან, ვინც გადარჩა, იმან მაჰმადიანთა რჯული მიიღო. ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში, 1825-30 წლებში, გენერალ პასკევიჩს ჩამოუსახლებია თურქეთიდან ლტოლვილი 100 ათასი სომეხი, შემდეგ რუსი „დუხობორებიც“ მოუწვევია. ქართული სოფლები მხოლოდ ახალქალაქის რაიონს შემორჩა, ნინოწმინდის რაიონში კი არცერთი ქართული ოჯახი არ არის მკვიდრი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მესხეთიდან თითქმის ყველა მაჰმადიანი გადაასახლეს და იქ მთლიანად იმერლები და რაჭველები დამკვიდრდნენ. ჯავახეთში კი ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებენ უფრო მეტად აჭარლები და ალბათ, დიდი ხანი არ დასჭირდება იმას, რომ ჯავახეთში კვლავ აღსდგეს ქართული სოფლები, ქართული წეს-ჩვეულებანი. ამაზე ოცნებობდა დიდი გალაკტიონიც. აი, მისი სიტყვები, 1955 წელს თქმული:

„გადმოვლახეთ მთა და ბარი, მოვიარეთ ჰანგძლიერი,
მშვენიერზე მშვენიერი იმერეთი, ქართლ-კახეთი,
ჟამთა ცელმა ვერ აჩალა თვალწარმტაცი მთა და ჭალა,
და ჰა, თვალწინ გაიშალა ძველი მესხეთ-ჯავახეთი!
აქ ვარძიის მკვიდრ სავანეს ტბა ანათებს თავფარავნის,
მთა მრავალი ამირანის, მრავალ საუკუნის სვეტი...
იყოს მრავალჟამიერი უძველესი ჩვენი ერი,
მისი სახე მისი ფერი, მისი მესხეთ-ჯავახეთი!“

მოგზაურობა ყირგიზეთში

შუა აზიის რესპუბლიკებში და მათ შორის ყირგიზეთშიც, ირიგაციამ მეოცე საუკუნის 60-იან წლებიდან განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წყლის აღებისა და განაწილების ავტომატიზაციასა და

მექანიზაციას. ამ მიზნით, აქ შეიქმნა საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საწარმოო ბაზებით და ლაბორატორიებით. ასე რომ, ამ ქვეყნის სარწყავი სისტემების გაცნობა, თავისი ავტომატიკით ჩემთვისაც საჭირო იყო და აუცილებელიც. ამიტომ, სიამოვნებით დავთანხმდი იქ გამგზავრებაზე.

და აი, 1975 წლის სექტემბერში, ჩვენი სამინისტროდან ყირგიზეთში მივლინებულ იქნა სპეციალისტთა ჯგუფი გამოცდილების გაზიარების მიზნით. ჯგუფში იყვნენ ბატონები: რ. გურასაშვილი (სამინისტროს საფინანსო-საგეგმო სამმართველოს უფროსი), ა. ახვლედიანი (ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსი), ამ სტრიქონების ავტორი (გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსი), შ. ბუთლიაშვილი (გარდაბნის სარწყავი სისტემის ავტომატიზაციის პროექტის ავტორი).

დილით ადრე ჩავფრინდით ტაშკენტში. მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომის პირი იყო, კარგად ცხელოდა. ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში (ახლა ბიშკეთი ჰქვია) თვითმფრინავი საღამომდე არ მიფრინავდა, თავისუფალი დრო გამოვიყენეთ ქალაქის დასათვალიერებლად, ვიყავით უზბეკეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში. გავეცანით ტაშკენტის მექანიზაციისა და ჰიდრომეტრიული ხელსაწყოების მშენებელ და სარემონტო ქარხნებს. პირადად მე დავინტერესდი წყალსაზომი ხელსაწყოებით. სამწუხაროდ, ახალი ვერაფერი ვერ ვნახე, გარდა უკვე ცნობილი წყლის დონის აღმრიცხველისა, გრ-38, და წყლის ხარჯის გამზომი მოწყობილობისა (გრ-64 და გრ-70).

საღამოს, ნახევარი საათის ფრენის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა ფრუნზეს აეროდრომზე, აქ დაგვხვდნენ ყირგიზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ექსპლუატაციის დარგში და ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი. მინისტრს მათთვის დაუვალებია ჩვენი ჯგუფის მასპინძლობა.

მოგვათავსეს მთავრობის ფეშენებელურ სასტუმროში და მსუბუქი ვახშმის შემდეგ გაგვაცნეს ჩვენი მოგზაურობის პროგრამა.

მეორე დილით, ჩვენი მეგზური (ე.წ. გიდი), ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი (ეროვნებით რუსი) პროგრამით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად წაგვიძღვა სასადილოსკენ, სასაუზმოდ. აქ ცოტათი შევჩერდები ერთი სიურპრიზის გამო: სუფრაზე მოგვართვეს ნაირ-ნაირი კერძები, სასმელები და მათ შორის... კუმისიც (ცხენის რძე). როცა დოქიდან ყველა ჭიქა კუმისით შეივსო, ჩვენ, სტუმრებმა, ერთმანეთს გადავხედეთ. ვხედავ, ყველა გულაზიზობს, დალევა კი არა, გასინჯვითაც ვერ სინჯავენ... კუმისს.

ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი, ბ-ნი ბორისი გულიანად გვეპატიჟება „კუმისზე", გვიქებს და რამოდენიმეჯერ გვთხოვა გაგვესინჯა მაინც. ვატყობ, სუფრაზე უხერხულობა იქმნება, „კუმისს" არავინ ეკარება... ყველა გაჩუმებულია... ჭამას ვერ ვიწყებთ. ქართულად ვეუბნები ჩვენებს: მასპინძლებისადმი უპატივცემლობა გამოდის, ასე არ შეიძლება.. აი, მე ვსვამ ჩვენთვის უჩვეულო სასმისს-მეთქი და ავიღე ჩაის ჭიქა „კუმისით" გალიცლიცებული და ცოტა მოვსვი... თითქოს დოს სიმჟავე გადაჰკრავდა და ჭიქა დავცალე... არაფერი მომხდარა... მშვენივრად შევირგე, ცოტა მომჟავო გემო ჰქონდა. ყირგიზელ მასპინძლებს ესიამოვნათ ჩემი „ვამბედაობა" და ოვაცია გამიმართეს, თან მეორედ შეავსეს ჭიქა. ამის შემდეგ ბატონმა რეზომ მოსინჯა ცოტათი, სხვებს კი პირიც არ დაუკარებიათ.

იმ დილით მიგვიღო მინისტრმა. მან დიდი მადლიერება გამოთქვა ჩვენი მინისტრის, ბატონი გიორგი ქობულიას მიმართ... ბატონი გიორგი ხომ ყოველთვის დიდ პატივისცემას იმსახურებდა საკავშირო სამინისტროს მთლიან კოლექტივში. ამიტომ იყო, მინისტრმა გვითხრა, „შეიძლება ისეთი პატივი ვერ გცეთ, როგორიც ქართველებმა იცით, მაგრამ ვეცდებით ბევრად მაინც არ ჩამოგრჩეთო". წინასწარ ვიტყვი, მინისტრმა, რომელ-

იც ყირგიზი იყო, ჩვენი კატეგორიის სტუმრებს, რომელშიც არცერთი მაღალჩინოსანი არ გვერია (ვგულისხმობ მინისტრს, მის მოადგილეებს), დასამახსოვრებელი გულითადი შეხვედრა მოგვიწყო.

არ დატოვეს არცერთი საინჟინრო სარწყავი სისტემა, რომ არ გვენახა. დავათვალიერეთ წყალსაცავები, ჰიდრავლიკური თუ მექანიკური ავტომატური მარეგულირებელი ფარები, წყალსაზომები... ერთ-ერთი წყალსაცავის წყალმიმღების სამანქანო განყოფილებაში, რომელიც 100 მეტრამდე სიღრმეზე იყო, ლიფტით ჩავიდა მხოლოდ არჩილ ახვლედიანი, რომელიც განცვიფრებული იყო იქ ნანახი სისუფთავით, გერმეტულობითა და წესრიგით...

თვალსაჩინო იყო წყალსაცავების და ჰიდროტექნიკურ კვანძებზე მიმდებარე ტერიტორიები. რომ იტყვიან, დაკრიალებული ჰქონდათ ყველაფერი, ასე ემზადებიან ხოლმე დიდ ქალაქებსა თუ დიდ ობიექტებზე, როდესაც დიდად პატივსაცემ სტუმრებს ელოდებიან. ამ შემთხვევაში კი ასეთი რამ აქ გამორიცხული იყო... სადაც არ მივედით, ყველაფერს გულისხმიერი პატრონის ხელი აჩნდა. ყველა დაბეტონებული ბილიკის ორივე მხარეზე ყვავილნარი იყო ჩარიგებული. მექანიზმები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები თუ სხვა დანიშნულების ნაგებობები შეღებილი ჰქონდათ ნაირ-ნაირი ფერებით. ყოველივე ეს საკუთარი საქმისადმი ფაქიზი დამოკიდებულების შთაბეჭდილებას ტოვებდა დამეთანხმებით, რომ იქ, სადაც პროფესიონალიზმი და საქმისადმი სიყვარული მაღალ დონეზეა, სარწყავი სისტემის ძირითად კვანძებს - წყალსაცავებია ეს თუ სათავე ნაგებობები, სათუთად უვლიან და ალამაზებენ... სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველები ასეთ „წვრილმანს“ ალმაცერად ვუყურებთ და ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. მართალია, ამას ყველაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ იმათი რიცხვი, ვინც უფრთხილდება ჰიდროტექნიკური ნაგებობების კოსმეტიკურ ფორმას, იმდენად მცირეა, რომ გამოსაჩენად არც ღირს.

ყირგიზეთში ყოფნისას გადავწყვიტე, იქ ნანახიდან ზოგიერთი რამ გარდაბანში გავაკეთო. სახელდობრ, მომეწონა ჰიდროტექნიკურ კვანძებთან და არხებზე მოწყობილი წარწერიანი დაფები, სადაც აღნიშნულია სისტემის (ნაგებობის) ტექნიკური მახასიათებლები, აგების წელი, პროექტის ავტორი და სხვა.

ჩვენი ექსკურსიის პროგრამაში იყო საყოველთაოდ ცნობილი ისიკულის ტბის დათვალიერებაც, რომელიც ყირგიზეთის დედაქალაქიდან დაშორებულია 500-მდე კილომეტრით. დილით გეზი იქითკენ ავიღეთ... ალბათ, მანძილის ნახევარი გვექნებოდა გავლილი, როცა ჩვენმა გიდმა, ბატონმა ბორისმა სიურპრიზი შემოგვთავაზა: ლარივით გაჭიმულ შოსე-გზიდან მარცხნივ გადაუხვია. რამდენიმე წუთში გამოჩნდა პატარა დასახლებული პუნქტი „ხუტორი". ჩვენი მანქანა ერთ ქოხთან შეჩერდა. სტუმრებს შემოგვეგება ხანდაზმული კაცი, ეროვნებით რუსი, გულ-მკერდი დაფარული ჰქონდა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. იგი შეგვიძღვა ოთახში, სადაც მოწყობილი ჰქონდა სტალინის კუთხე ბელადის დიდი ბიუსტით. მან გვიამბო, თუ როგორი თავდადებით იბრძოდა თითოეული ჯარისკაცი დიდ სამამულო ომში, როგორ სწამდათ მათ გამარჯვებისა!.. ჯარისკაცები თავს სწირავდნენ სამშობლოსათვის, სტალინისათვისო...

ჩვენ, რასაკვირველია, გვესიამოვნა და კმაყოფილება გამოვთქვით, რომ ამ უდაბნოში, მივარდნილ კუთხეში ცოცხლობს სიყვარული სტალინისადმი.

ჩვენი გიდიც კმაყოფილი დარჩა, რომ ნანახით გვასიამოვნა. გავაგრძელეთ მგზავრობა... თვალუწვდენელ ტრამალებზე, აქა-იქ მოშორებით გამოჩნდება ხოლმე გადაწითლებული ადგილები, ეს ყაყაჩოს პლანტაციებიაო, ჩინელებს გააქვთო. აქედან კი ჩინეთი ახლოსაა, გზის მარჯვენა მხარეს მთა-გორაკები რომ მოჩანს, მის მიღმა ჩინეთიაო. ყაყაჩოს პლანტაციებს ანადგურებენო სათანადო სამსახურები, მაგრამ იმდენად ბევრია, რომ ვერ აუდიანო - გვიამბობდა ბორისი.

საღამოვდება, გამოჩნდა ლურჯად მოლივლივე უკიდეგანო ისიკულის ტბა. მის ნაპირზე გაშენებულია დასასვენებელი სახლები, სპორტული კომპლექსი... აქაც, მთავრობის აგარაკზე დაგვაბინავეს. ფოთელ კაცს ზღვა და ტბა არ გაუკვირდება, მაგრამ აქ მაინც სხვა სურათი იყო... კამკამა, სუფთა და გამჭვირვალეა წყალი, ისე, როგორც აკვარიუმში, ხედავ და თვალს ადევნებ თევზების მოძრაობას... თეთრ კენჭებზე ყველაფერი თვალნათლივ ჩანს აივნის მოაჯირიდანაც, აქ საკმაოდ გრილოდა... კარგად დავისვენეთ და მეორე დილით დავბრუნდით დედაქალაქში.

სარწყავ სისტემებზე დანალექების შესამცირებლად ყირგიზეთში ფართოდ არის გამოყენებული სალექარები. ერთი ასეთი სალექარი ვნახეთ მდინარე ალა-არჩაზე, მაგისტრალური არხის სათავე უბანში.

ალამადის სარწყავი სისტემის სამმართველოს კოლექტივმა, რომლის უფროსიც ქალბატონი ბრძანდებოდა, გულითადი მასპინძლობა გაგვიწია. ბუნების წიაღში, მაგისტრალური არხის სათავესთან - მწვანე მდელოზე იყო სუფრა გაშლილი.

ამ პურ-მარილზეც, რომელიც დასახლებული პუნქტიდან კარგა შორ მანძილზე იყო, ქართული ღვინო გვასვეს, რასაკვირველია, რუსეთის ჩამოსხმისა. ეს იყო ბოლო პუნქტი ჩვენი მოგზაურობისა.

ისევ შეხვედრა მინისტრთან... ბევრი სამადლობელი სიტყვა ითქვა და დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთულები გამოვემგზავრეთ ჩვენი დედაქალაქისკენ.

მ ი ნ ა წ ერ ე ბ ი:

1. ზემოთ ვწერ, რომ მომეწონა ჰიდროტექნიკური ნაგებობის კოსმეტიკურად გალამაზება.

ზოგიერთ საკითხში მიბაძვა მეც ჩავიფიქრე და შევასრულე კიდევაც: ესკიზების მიხედვით დავამზადეთ დაფები სათანადო წარწერებით, სადაც აღნიშნული იყო არხის გაყვანის თარიღი, გამტარიანობა, ჩამოკიდებული ფართობი და სხვა ტექნიკური

მახასიათებლები; ასეთი, თეთრად შეღებილი დაფები დავაყენეთ მთავარ საკვანძო ადგილებში, გამანაწილებელ არხებზეც... მარეგულირებელი რაბები და ავტომატიკის კარადები ნაირ-ნაირი ფერებით შევღებეთ...

ჩემი ინიციატივა მოიწონა სამინისტროს ხელმძღვანელობამ და მინისტრის, ბატონ გივი გადელიას ბრძანებით, სამმართველოების უფროსებს დაევალათ, ტექნიკური ინფორმაციის მსგავსი თვალსაჩინოება დაენერგათ როგორც სარწყავ, ისე დამშრობ სისტემებზე.

როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამ სიახლის დანერგვას მაშინ დიდი წარმატება არ ჰქონია.

მომავალში კი უსათუოდ საჭირო იქნება წყალსამეურნეო ობიექტები ყველგან ესთეტიკურად გამშვენიერებული იყოს.

2. ყირგიზეთის იმ უდაბნოში სტალინის კუთხის მოწყობა დიდი სამამულო ომის მონაწილე ჯარისკაცის მიერ, როგორც მოგახსენეთ, შთამბეჭდავი იყო...

და აი, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, თბილისთან ახლოს გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში ზემო სამგორის ზედა მაგისტრალურ არხთან ახლოს, ადგილობრივ მცხოვრებ ახალგაზრდა კაცს, ყოფილ ტრაქტორისტს, ომის დამთავრების შემდეგ ჩაუფიქრებია მუზეუმის შექმნა საკუთარ ეზოში და ეს ისე ლამაზად აქვს მოწყობილი ბუნებრივ პირობებთან შეხამებით, ქანდაკებებით, პორტრეტებით, სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეების ნიღბებით, რომ მნახველში ცხოველ ინტერესს იწვევს.

აქვე, თბილისთან ახლოს ამ შესანიშნავი „მუზეუმის“ ნახვაც მოულოდნელი იყო ჩემთვის.

1985 წ.

მოგზაურობა ტაჯიკეთში

1978 წელს სამინისტროში დარგის სპეციალისტებისგან შეიქმნა ხუთკაციანი ჯგუფი, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ტაჯიკეთის რესპუბლიკაში გასამგზავრებლად.

მე, ყირგიზეთში ორჯერ ყოფნის შემდეგ სიამოვნებით დავთანხმდი ტაჯიკეთშიც წასვლაზე - იქ ხომ ვახშის ველზე უდიდესი სარწყავი სისტემაა აშენებული, რომელიც 100 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობს რწყავს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ბატონ ვანო ჩილინგარაშვილს დაევალა, როგორც სამინისტროს აპარატის თანამდებობის პირს. ჯგუფში ძირითადად რაიონული სამმართველოების წარმომადგენლები ვიყავით: იუზა მიქიაშვილი - კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი, სოსო ზარიძე - ზემო სამგორის სამმართველოს უბნის უფროსი, ხრისტო (ქრისტეფორე) მეტრეველი - გორის სამმართველოს მთავარი ინჟინერი და თავად მე - გარდაბნის სამმართველოს უფროსი.

საღამო ჟამს თვითმფრინავმა თბილისიდან გეზი აშხაბადისკენ აიღო... როგორც ფრუნზეში, ისე დუშამბეში თბილისიდან პირდაპირი რეისი არ იყო.

ღამის 2 საათია... აშხაბადის აეროპორტში ოდნავ გრილა, დიდი სიცხის შემდეგ ასფალტს ჯერ კიდევ ბუღი ასდის...

ბატონი იუზა ჯგუფში ყველაზე მეტად აქტიურობდა, მას ხომ საერთოდ ახასიათებდა საქმეების მოკვარახჭინება და თავისი ბოხი, როხროხა ხმით ყოველთვის აღწევდა ჩანაფიქრის შესრულებას. და აი, აეროპორტის სასტუმროში ბინის პრობლემა შეიქმნა... იუზა მაშინვე გაეშურა ამ საქმის მოსაგვარებლად, დანარჩენები კი აეროპორტის სკვერში მერხებზე მოვთავსდით ჩვენი ბარგი-ბარხანით.

სკვერის ტერიტორიაზე ჩვენს გარდა მხოლოდ სამი ახალგაზრდა იდგა და მუსაიფობდა. ცოტა ხანიც და გამოჩნდა იუზა, მხიარულ გუნებაზე, თავისი ომახიანი ხმით მიგვიწვია სასტუმროში. ჩვენც გადმოგვედო იუზას განწყობილება. სწრაფად წამოცვივდით მერხებიდან. დავავლეთ ხელი ჩვენ-ჩვენს ხელჩანთებს და გავყევით იუზას.

მგზავრობის შემდეგ ყველას მოშივებია. ისევ იუზამ წამოაყენა წინადადება - ვივახშმოთ, საცაა გათენდებაო, თან სასტუმროს ადმინისტრატორსაც ვცეთ პატივი - თანადგომისათვისო. დავიწყეთ სუფრის გაშლა, ყველას ჰქონდა წამოღებული ცოტა რამ გზაში დასანაყრებელი. მაგრამ იუზამ პირველმა ბრძანა ჯერ ჩემი საგზალი გავშალოთო და მოიკითხა თავისი ჩემოდანი, მაგრამ ის სასტუმროში არ აღმოჩნდა, ყველამ თავისი ბარგი რომ წამოიღო, იუზას ჩემოდანი იქ დარჩენილა. აფორიაქებული იუზა მე-3 სართულიდან დაეშვა კიბეზე სკვერისაკენ, ვანო და მეც თან ჩავყევით... ნახევარ საათზე მეტია გასული, ვინ დატოვებდა უპატრონო ბარგს? იქ მდგომ ბიჭებზე მივიტანეთ ეჭვი... ვფიქრობთ გზაში... და ოი, საოცრებავ, ჩემოდანი ისევ იქ დგას მერხთან, ის ახალგაზრდებიც ისევ იქ დგანან და საუბრობენ...

სიხარულით ცას ვეწვიეთ... ყველა კარგ ხასიათზე დავდექით და სუფრას, რა თქმა უნდა, იუზა თამადობდა.

აქვე აღვნიშნავ, რომ მოგზაურობის მთელ პერიოდში ეს მხიარული განწყობა სუფევდა თბილისში დაბრუნებამდე.

დუშამბე კარგი, სუფთა ქალაქია. მწვანეში ჩაფლული. სკვერებითა და ბულვარებით შემკული. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში ყურადღებით მიგვიღეს. მომსახურებაც ნორმალური იყო (რა თქმა უნდა, ისეთი არა, როგორიც ყირგიზეთში).

დავათვალიერეთ ვახშის სარწყავი სისტემა თავისი უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობებითა და სატუმბი სადგურე-

ბით. ამ სისტემაზე 25 სატუმბი სადგურია და მათი მომსახურებისათვის შექმნილია ცალკე სამმართველო.

ვახშის სარწყავი სისტემის სამმართველოსა და სატუმბი სადგურების ექსპლუატაციის სამმართველოს შორის წინასწარ იდება ხელშეკრულება წყლის მიწოდებაზე, დამტკიცებული წყალმოთხოვნილების გრაფიკების შესაბამისად.

მრავალი დასამახსოვრებელი ეპიზოდიდან გავიხსენებ ერთს:

წამოსვლის წინა დღეს, დიდ სიცხეში მოგზაურობის შემდეგ, საღამო ჟამს, იქვე, სასტუმროსთან ახლოს პავილიონში შევედით გასაგრილებლად და იქაური ცივი სასმელების გასასინჯად. მივუსხედით მაგიდას... ქართული სუფრის ამბავი კარგად მოგეხსენებათ: ვისაუბრეთ, ბევრი ითქვა აქეთურ-იქითური და აღმოჩნდა, რომ სწორედ ის დღე ჯგუფის წევრის, ბატონი სოსო ზარიძის ბავშვის დაბადების დღეს დამთხვევია. ოო, ამისი აღუნიშვნელობა როგორ შეიძლებაო, ბრძანა იუზამ.

პავილიონში ხალხმრავლობაა, თითქმის ყველა მაგიდა დაკავებულია... უკრავს მუსიკა... მაგრამ ჩვენი მხიარულება და იუზას სადღეგრძელოები გამორჩეულია, ყველას ყურადღებას იპყრობს... აღმოჩნდა ისიც, რომ სოსო საუცხოოდ მღერის... წავიდა ქართული სიმღერები დუშამბეს ცენტრში...

ჩვენს სუფრასთან მოდის ორკესტრის ხელმძღვანელი გაღიმებული, რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ იუზამ არ აცალა და ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა... მუსიკოსმა დაილოცა, ორიოდე, საყველპუროდ ნასწავლი ქართულით გამოგველაპარაკა და შემოგვთავაზა, რომ მთელი საღამო ჩვენს მაგიდას მოემსახურებოდნენ (რასაკვირველია, უფასოდ).

ჩვენც, გვიან ღამემდე დრო გავატარეთ სიმღერებსა და მხიარულებაში.

მეორე დილით, კარგად ნასიამოვნებნი, ვბრუნდებით თბილისში.

აეროპორტში პირდაპირ თბილისამდე ბილეთები არ იყიდება... ჩავფრინდით ტაშკენტში... აქ, დილის რეისზე ბილეთები არ არის...

ისევ იუზას მარიფათმა გაჭრა, მიდგა-მოდგა და აეროპორტის მორიგე მილიციელს გამოელაპარაკა... ფული შესთავაზა - ბილეთები გვიშოვეო... მე იუზას ვეუბნები, - მილიციელი პოსტზეა და ფულს ნუ შეაძლევ, არ დაგიჭიროს-მეთქი, - იუზამ გადაიხარხარა, ისე რომ მოსაცდელი დარბაზის ყურადღებაც კი მიიქცია... ცოტა ხანში მილიციელმა 3 ბილეთი მოიტანა... მეტის საშუალება არ იყოო... ორი კაცი რჩებოდა, იგივე მილიციონერმა შემოგვთავაზა ბაქოს გავლით გამგზავრება. იუზამ თავად გადაწყვიტა ბაქოში გამგზავრება და შემეკითხა - მეც ხომ არ ვისურვებდი ბაქოს გავლით მგზავრობას... სიამოვნებით დავთანხმდი... მე ხომ ბაქოში ვარ დაბადებული!

მიუხედავად იმისა, რომ გარდაბანში ვმუშაობდი და ურთიერთობა მქონდა აზერბაიჯანის მხარესთან, რამოდენიმეჯერ მიწვეულიც ვიყავი, ერთხელაც ვერ მოვახერხე ბაქოში ჩასვლა და მისი დათვალიერება. ახლა კი ეს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი.

გადავუფრინეთ კასპის ზღვას, სადაც ნავთობის ჭაბურღილების ტყე იდგა. თვითმფრინავიდან ლამაზად მოჩანს ქალაქი, ზღვის სანაპირო.

აეროპორტიდან ტაქსით წავედით. ხანშიშესულ მძღოლს ვთხოვეთ ქალაქის დათვალიერება. ქალაქში სრულიად არ იგრძნობოდა, რომ ის ნავთობის მომპოვებელი ქვეყანაა. ყველგან სისუფთავე და სიწყნარე სუფევდა. ტაქსის მძღოლს შევეკითხე, შემთხვევით ხომ არ იცის ყოფილი „ცერკოვნაიას“ ქუჩა... ჩემდა გასაოცრად სცოდნია, ცენტრში არისო, ძველ ბულვართანო... ნიშანდობლივად ამიხსნა, მეც ასე ვიცოდი მშობლებისგან... გავიარეთ იმ ქუჩაზე, მაგრამ სახლი, სადაც

დავიბადე, არც კი მიძებნია, ქუჩა გადასხვაფერებული იყო, გაფართოებული, ძველი სახლები ზოგან აღებული...

ტაქსით ცენტრის დათვალიერებას რომ მოვრჩით, შემდეგ ფეხით გავისეირნეთ ზღვის სანაპიროზე. მივაკვლიეთ ისტორიულ ადგილს „სარაია კარავანს", სადაც საუკეთესო ეროვნული კერძებით გაგვიმასპინძლდნენ...

დიდად კმაყოფილნი, სულ რაღაც 30-40 წუთი ჰაერში ფრენის შემდეგ, მშვიდობიანად დავეშვით მშობლიურ მიწაზე.

ამ მოგზაურობის შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, სრულიად მოულოდნელად, რომ იტყვიან ბრმა შემთხვევის შედეგად, ავტოკატასტროფას ემსხვერპლა ჩვენი მოგზაურობის ერთ-ერთი მონაწილე, დინჯი, თავმდაბალი და ხალისიანი ქრისტეფორე მეტრეველი, გორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი!

ვიცი, ამ მოგონების წაკითხვას მოუთმენლად ელოდებოდა ბატონი იუზა მიქიაშვილიც, მაგრამ ვეღარ მოესწრო.

ღმერთო, ნათელში ამყოფე მათი კეთილი სულები!

ნამეწყრალზე

1983 წლის აპრილში ცაგერის რაიონის სოფელ ლესინდში მეწყერი გააქტიურებულა...

ადგილზე მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მთავრობის დავალებით შეიქმნა კომისია შემდეგი წარმომადგენლობით:

საქართველოს გეოლოგიური სამმართველოდან უფროსი გეოლოგი გ. ედილაშვილი, საქწყალპროექტიდან - გეოლოგიური პარტიის უფროსი გ. გველესიანი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტიდან - სამელიორაციო სისტემების მთავარი სამმართველოს წყალდიდობის საწინააღმდეგო და სარემონტო განყოფილების უფროსი - ამ სტრიქონების ავტორი. 1983 წლის 5 მაისს ავტომანქანით გავემგზავრეთ ცაგერში.

რაიკომის პირველ მდივანთან მოთათბირების შემდეგ, რაიალმასკომის თავმჯდომარესთან ერთად იმავე დღეს გავემგზავრეთ დამეწყრილი ადგილების დასათვალიერებლად. გეოლოგების თქმით, ლეჩხუმი მეწყერების განვითარების კლასიკურ რაიონს წარმოადგენს... ამიტომ, ეს პირველი შემთხვევა არ არისო.

ლამაზი, თვალწარმტაცი ბუნებაა ლესინდამდე... სოფელი მთის კალთებზეა შეფენილი და მთლიანად ხილის ბაღებშია ჩაფლული... სახლები უმეტესად ხისაა და ცალ-ცალკე ეზოებში დგას...

მეწყერზე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ დამეწყრილი ადგილები ასე თვალნათლივ პირველად ვნახე და ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

სოფელში, შუკებსა და ეზოებში რომ შევდიოდით, ნაპრალებზე გადასასვლელად, ზოგჯერ მომარჯვებულად გადახტომა გვჭირდებოდა ან ფიცრის გადება იყო საჭირო. გული დამწყდა, რომ ასე ულმობლად შეუტია სტიქიამ ამ კოხტასა და ლამაზ დასახლებას, სადაც სულ 54 კომლია, აქედან 50 ოდა სახლი მეტ-ნაკლებად დაზიანებული იყო. ზოგიერთ სახლში ჩვენ შესვლისაც შეგვეშინდა, ოჯახი კი იქ ცხოვრობდა და არ ტოვებდა მამაპაპეულ კარ-მიდამოს.

მოსახლეობამ რომ შეიტყო ჩვენი იქ მისვლის მიზეზი, ყველა საკუთარ სახლთან გველოდებოდა. ყველა კომლი დავათ-

ვალიერეთ - უკლებლივ... დამხვდურები გვესაუბრებოდნენ მშვიდად, დინჯად - ყოველგვარი პანიკისა და პრეტენზიულობის გარეშე. ითხოვდნენ საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას ვაკე ადგილას - ცაგერთან ახლოს და მცირედ შემწეობას... ზოგიერთი კი იქაური მამაპაპისეული ადგილის მიტოვებას არც აპირებდა. გვეუბნებოდა, აქაურობას თავს როგორ დავანებებთ, თუ სულ არ ჩამოვიდა მთაო...

ახლა სტუმარ-მასპინძლობას არ იკითხავთ?!

ხომ ასეთი მძიმე სურათი იყო, მაგრამ მასპინძლობამ გამაოცა... ყოველი შუკის თავში ან ბოლოში, პატარა სუფრა იშლებოდა ჩვენი გამოჩენისთანავე და იყო მიპატიჟება, სულით და გულით, ქართული წესითა და ადათით. ზოგიც, ეზოს წინ, ჭიშკართან გველოდეობდა არყის ბოთლითა და პურ-მარილით ხელში.

დიახ, ასეა, საქართველოს რომელ კუთხეშიც უნდა მოხვდე, ქართულ სტუმართმოყვარეობას ფესვები ყველგან ღრმად აქვს გადგმული, თავისი კოლორიტულობით. ლამაზ ბუნებას, ლამაზ ქვეყანას ხალხიც სულით ლამაზი ჰყავს.

პოეტმა იოსებ ნონეშვილმა ქართველების ამ დიდებულ ნიშან-თვისებას საუკეთესო ლექსი მიუძღვნა, რომლიდანაც ორ კუპლეტს დავესესხები:

„თხილის ერთ გულს ცხრა ძმას ძმურად გაუყოფს,
მას თავისთვის განა მეტი უნდა?...
სურს მოყვარეს გულის კარი გაულოს,
სახლის კარი ღია არის მუდამ.
„ერი პურადი, გულადი“,
სტუმარს ღვთის კაცად სთვლიან...
არის ასეთი ქვეყანა, -
მას საქართველო ჰქვია!“

იმ დღეს კეთილად დავშორდით ლეჩხუმელებს.

მეორე დილით კი, თბილისში დაბრუნება, რაჭის გავლით გადავწყვიტეთ.

საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა ორბეთის გადასასვლელ-მა, საიდანაც კარგად მოჩანს მდინარე ცხენისწყლის დინება ცაგერის ტაფობზე.

გავიარეთ ლაჯანურჰესი... რაჭის მიწა-წყალზე ვართ... ბუნებაც მშვიდია რაჭველივით... ჭრებალო, ამბროლაური, აქ შევისვენეთ. ვესაუბრეთ ნაღდ რაჭველებს, ჭაშნიკი გავუსინჯეთ ნამდვილ ხვანჭკარას და გავაგრძელეთ მგზავრობა... ონი, ჯავა... თვალწარმტაცია აქ ბუნება, გარემო დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. დასანანია, რომ ვერ შევძელით ნიკორწმინდის ნახვა... ძალიან კი მინდოდა, მაგრამ დრო არ გვრჩებოდა იქ ასასვლე-ლად და შორიდან ვესიყვარულებოდი გალაკტიონის უკვდავი სტრიქონებით!

„რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ულერს ქვის ჰარმონია -
დარობს რამდი დარი.
კარგად გამოკვეთა,
ვინაც გამოკვეთა,
სიბრძნით გამოკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა“.

მინაწერი: *1987 წელს რაჭაში მძლავრი დამანგრეველი მიწისძვრა იყო, ირგვლივ დაინგრა სახლი-ნაგებობები, ნიკორ-წმინდა კი მტკიცედ იდგა მყარ საძირკველზე, ისე, როგორც დედა-საქართველო!*

ფეხბურთი... ფეხბურთი

ჩემს ყმაწვილობაში ერთი რამეს ამოჩემება და მისით გატაცება არასდროს მახასიათებდა. ერთნაირად მიყვარდა კინო და სათავგადასავლო მოთხრობების კითხვა. სახლში გვქონდა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი", რომლითაც გაკვეთილებსაც ვამზადებდი და საკითხავი წიგნიც იყო. რაც შეეხება სპორტულ თამაშებს, არც აქ მქონდა განსაკუთრებული ლტოლვა რომელიმე სახეობისადმი. სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი, იმ დროს საყოველთაოდ ცნობილი სპორტსმენი ნესტორ (ხიტუ) ჯაიანი ყოველთვის კმაყოფილი იყო ჩემი ვარჯიშით.

როგორც ჩემს თანატოლებს, ბურთის თამაში მეც მიყვარდა. სკოლიდან დაბრუნებული, მოვამზადებდი თუ არა გაკვეთილებს (ხანდახან მოუმზადებლადაც), გავრბოდი „პალიანკაზე" (ასე ვეძახდით სათამაშო მოედანს) და დაბინდებამდე ვბურთაობდით... ბურთს ვამბობ, თორემ, პირველ ხანებში სად იყო ტყავის ან რეზინის ბურთი. ჭინჭისგან შეკრულ ბურთს დავსდევდით ფეხშიშვლები (ფეხსაცმელს ვუფრთხილდებოდით). ფეხბურთის გარდა ვერთობოდით ოჩოფეხებით, სიარულში ვეჯიბრებოდით ვინ უფრო მეტხანს გაძლებდა ან მეტ მანძილს გაივლიდა ოჩოფეხზე შემდგარი. თითქმის ყოველდღე, სკოლის ბიჭები, გაკვეთილების შემდეგ ან გაცდენილ გაკვეთილზე სკოლის ეზოში ლახტობანას ვთამაშობდით. აბა, ვის უნდა „ჩელტას" თამაშიო, ასე ვეძახდით მაშინ და ორ ჯგუფად გავნაწილდებოდით, შევიხსნიდით ქამრებს და გაჰქონდათ შიშველ ფეხებზე ტლაშა-ტლუში. ისე მოგეცათ ლხენა, როგორც ჩვენ წვივები წითლად გვქონდა აელვარებული, თუმცა, ტკივილს არც ;ი ვგრძნობდით.

იმ ხანებში „პალიანკები“ ქალაქის ყოველ უბანში, ყველა ქუჩაზე იყო, მაგრამ უბნებს შორის შეჯიბრებები ორგანიზებულად არ ეწყობოდა. ისე კი ასეთ „პალიანკებზე“ აღიზარდნენ შემდეგში ქვეყნის გარეთაც ცნობილი ფეხბურთელები: ბორის პაიჭაძე, ლაითაძე („პაპაშა“), აკაკი ყალიჩავა, ასლან ხარბედია, კოტე გუნია, გრიშა გაგუა, გვაჩი ჯორბენაძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი, გოგი ანთაძე და მრავალი სხვანი. იმ ხანად ფოთში შესანიშნავი სტადიონი გვქონდა ზღვის პირად, პორტში, სადაც ახლა წისქვილკომბინატია. გუნდებიც ძლიერი გვყავდა: „დინამო“ და „ვოდნიკი“. ფეხბურთისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე მომყვებოდა.

1934-1935 წლებში, ფოთელ ფეხბურთელთა ელიტა თბილისში მიიწვიეს: ზოგი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, ზოგიც - სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამათგან, ბ. პაიჭაძე, ვ. ბერძენიშვილი, ვ. ჯორბენაძე და ტ. ჯორჯიკია 1936 წელს უკვე თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ათამაშეს. ბორის პაიჭაძემ თავიდანვე გაითქვა სახელი, როგორც „დინამოს“ ბრწყინვალე ფორვარდმა, მისი მრავალსვლიანი დრიბლინგები, თავაზიანი, კორექტული თამაში ხიბლავდა თაყვანისმცემლებს, რომლებითაც გადაჭედილი იყო ახლად გახსნილი ლავრენტი ბერიას სახელობის ფეხბურთის სტადიონი.

ფეხბურთის მატჩის დღეს სტადიონისკენ მიმავალ ქუჩებში მთელი დღე ხალხმრავლობა იყო, როგორც საზეიმო დემონსტრაციების დროსაა ხოლმე. ფოთელი სტუდენტობა, დიდი სიამაყის გრძნობით ყოველთვის ერთად მივდიოდით სტადიონზე, რომლის დასავლეთ ტრიბუნის აბონენტები გვქონდა შეძენილი.

იმ დროს მხოლოდ პრესიდან თუ შევიტყობდით რა ხდებოდა ფეხბურთის სამყაროში, ევროპის წამყვან საფეხბურთო

კლუბებში... იშვიათად გვქონდა ბედნიერება გვენახა უცხოეთის წამყვანი გუნდების თამაში. პირველად ამის შესაძლებლობა მოგვეცა 1937 წელს, როცა საბჭოთა კავშირში ტურნე გამართა ევროპაში ერთ-ერთმა ძლიერმა ბასკონიის გუნდმა. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისის დინამო საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში პირველად გამობრწყინდა ლიდერთა შორის, ამიტომ, დაგეგმილი იყო, თბილისშიც ჩამოსულიყვნენ ბასკები. საბჭოთა კავშირში ბასკებმა მხოლოდ ერთი თამაში წააგეს გაძლიერებულ მოსკოვის „სპარტაკთან" და ერთიც ფრედ დაამთავრეს ლენინგრადის ნაკრებთან (2:2), დანარჩენი თამაშები სოლიდური ანგარიშით მოიგეს: მოსკოვის „დინამოსთან" (7:2, 2:1), „ლოკომოტივთან" (5:0), კიევის „დინამოსთან" (3:1), მინსკის ნაკრებთან (6:1). დაბოლოს, როგორც იქნა, თბილისშიც ჩამოაღწიეს.

ივლისის ცხელი დღეებია, მაგრამ დიდი ფეხბურთის მოლოდინი არც პაპანაქებას ემორჩილება. მთელი თბილისი მოაწყდა სტადიონს. სალაროებთან ათეკენ ღამეს ფეხბურთის მოყვარულები. დღისით ბილეთების გაყიდვისას ცხენოსანი მილიცია იცავს წესრიგს, მაგრამ სალაროსთან ახლოს ვერ მიხვალ... ბილეთის გადამყიდველები კი ბლომადაა, დასავლეთი ტრიბუნის ბილეთი 50-დან 100 მანეთამდეა... სტუდენტებისთვის ეს მიუწვდომელია. მე ბედმა გამიღიმა. მეგობრებმა ერთი ბილეთი მარგუნეს.

სამოცდახუთი წლის წინანდელი სანახაობა დღესაც თვალწინ მიდგას. ჩინებულად ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა, თუმცა, წაგება არ აგვცდა (2:0), ერთი ბურთი, ბასკების ცნობილმა ლეგენდარულმა ფორვარდმა ისიდრო ლანგარამ გაგვიტანა. შედგა მეორე მატჩიც (ეს გეგმის გარეშე იყო) - დიდი ინტერესის გამო. სტუმრებს საქართველოს ნაკრები ეთამაშა, რომელშიც უმეტესობა „დინამოელები" იყვნენ. ეს მატჩიც წა-

ვაგეთ (3:1), ერთადერთი ბურთი ბასკების კარში ბორის პაიჭაძემ გაიტანა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ქართული ფეხბურთის აღორძინებაც დაიწყო. კვლავაც გაბრწყინდა ბორის პაიჭაძის სახელი, ახლა უკვე საზღვარგარეთაც - ირანსა და რუმინეთში. 1945 წლის დეკემბერში რუმინეთში დინამოელებმა სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე მოიგეს ანგარიშით: 2:1, 10:5 და 5:2. სწორედ მაშინ, რუმინელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა ბორის პაიჭაძეს „ფეხბურთის კარუზო“ უწოდეს... მართლაც და, სულმნათი ბორისი ხომ ფეხბურთის უბადლო ხელოვანი იყო. ბორისთან ახლოს ვიყავი და მისი ოსტატობის თაყვანისმცემელი - ფეხბურთის და „დინამოს“ ნაღდი გულშემატკივარი გავხდი და დავრჩები ბოლომდე. დღემდე შემონახული მაქვს და ალბათ, ახალგახსნილ სპორტულ მუზეუმს გადავცემ ზოგიერთი მატჩის პროგრამებს, კალენდრებს, გაზეთებს 1936 წლიდან.

ბევრჯერ თქმულა და ბევრგან დაწერილა, რომ თბილისის „დინამოს“ მრავალჯერ უნდა გამხდარიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საპატიო ტიტულს არაობიექტური მსაჯები ართმევდნენ.

1964 წელს, როგორც იქნა, გატყდა ნავსი: პირველად მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1976 წელს - თასიც!

1978 წელს მეორედ გახდნენ დინამოელები ჩემპიონები. მათ კარგი შეხვედრა მოუწყო გარდაბნის საზოგადოებამაც. პირველ განყოფილებაში იყო მილოცვები, გულთბილი სიტყვები, ლექსები, სიმღერები. ფეხბურთელებს მეც მივესალმე სიტყვით და გუნდის კაპიტანს ბატონ მანუჩარ მაჩაიძეს სამახსოვროდ გადავეცი ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატში,

1936 წლის „დინამოს“ პირველი მატჩის დასურათებული პროგრამა.

ნოდარ ახალკაცის „დინამომ“ ერთხელ კიდევ მოგვანიჭა დიდი სიხარული: ეს იყო 1981 წელს, როდესაც თასების მფლობელთა ევროპის თასი მოიპოვა... ამის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. წარმატებებს ჩავარდნებიც ახლდა. ამ ბოლო პერიოდში ქართული ფეხბურთი დიდ კრიზისს განიცდის. ახალი სახელმწიფოს „აღმშენებლობის ორომტრიალში“ ფეხბურთისათვის და საერთოდ, სპორტისათვის არ სცალია არც მთავრობას და არც უშუალო ხელმძღვანელებს. ამასობაში ანდრო ჟორდანიას, ბორის პაიჭაძის, შოთა იამანიძის, მიშა მესხის, ბასა ღოღობერიძისა და სხვა ბრწყინვალე ფეხბურთელთა საყვარელ სტადიონს გულშემატკივართა არმია მოაკლდა, ტრიბუნებზე ხშირად სიცარიელეა. მიზეზი?! უამრავია... ერთ-ერთი კი ქართველ ფეხბურთელთა საზღვარგარეთ გაქცევაა. სად არ ნახავთ მათ: ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში. რუსეთში ხომ არიან და არიან... ასე რომ, პროფესიონალ ფეხბურთელებს ტყავის ბურთის ნამდვილ ოსტატებს, საქართველოს ნაკრებში თუ იხილავთ. აქ თბილისის „დინამოსა“ და სხვა გუნდებში კი მხოლოდ ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელები თამაშობენ და მათი თამაშის კლასი გულშემატკივრებს არ აკმაყოფილებთ...

სწორედ ასეთ ვითარებაში 1997 წელს ბედნიერება გვერგო წილად მონაწილეობა მიგვეღო ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო მატჩებში. კენჭისყრით მეორე წრის თამაშებში ესპანეთის ჩემპიონთან მოგვიწია შეხვედრა. ამ მატჩს ფეხბურთის გულშემატკივრები და სპეციალისტები უიმედოდ მოელოდნენ, ამის საბაბიც ჰქონდათ: თბილისში ჩამოდიოდა ბილბაოს ატლეტიკოს გუნდი, ეს ხომ იგივე ბასკების გუნდია, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ...

როგორ მსურდა, რომ ბასკების ცნობილი გუნდი ახლა მაინც დაემარცხებინათ დინამოელებს, მაგრამ, როგორ? „დინამოში“ ხომ სულ ახალგაზრდები, გამოუცდელი ბიჭები თამაშობენ?! მიუხედავად ამისა, ძალიან მინდოდა ბასკების კარში ჩვენებს ლამაზი გოლი გაეტანათ (მოგებაზე ვინ იფიქრებდა)... და ისე აგიხდეთ ყველა სურვილი, როგორც მე ამიხდა - პირველ ტაიმში ორი ლამაზი ბურთი გაუტანეს ახალბედა ბიჭებმა თავმომწონე ბასკებს. მატჩი, ბასკებისათვის მოულოდნელად 1:2 ანგარიშით დამთავრდა.

ფეხბურთის სამყაროში ცნობილი გახდა თბილისის „დინამო“ - „ბილბაოს ატლეტიკოს“ დამმარცხებელი! ამ საფეხბურთო მატჩის შესახებ სპორტული მიმომხილველი გოჩა საათაძე წერდა: „ის რაც ამ თამაშში მოხდა, დარწმუნებული ვარ ოქროს ასოებით ჩაიწერება თბილისის „დინამოს“ და საერთოდ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში... მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ლიგის გამოჩენილი წარმომადგენელი, ყოველმხრივ აწყობილი კოლექტივი დაამარცხა გუნდმა, რომელიც დღევანდელი სახით სულ რამდენიმე თვეა რაც არსებობს და მისი ფეხბურთელების უმეტესობას თითქმის არავითარი საერთაშორისო თამაშის გამოცდილება არ გააჩნია“.

დიახ, საქართველო ფეხბურთის ქვეყანაა და აქ რა გამოლევს ნიჭიერ ფეხბურთელებს!

გაიხარეთ, ფეხბურთის მოყვარულებო! - მოდის ახალი თაობა, მოთმინებით დაველოდოთ მათ... ქართული ფეხბურთი კვლავ გამობრწყინდება ნიჭიერებითა და ოსტატობით განთქმული ფეხბურთელებით.

ორი ეპოქის გასაყარზე

ახალგაზრდობაში არასდროს მიფიქრია პოლიტურ მოღვაწეობაზე. თუმცა, როგორც კომუნისტი, ყველა საზოგადოებრივსა და პარტიულ დავალებას დროულად და წესიერად ვასრულებდი, ისე, კაცმა რომ თქვას, რა ძნელი შესასრულებელი ის იყო?!..

ყველა საკითხზე წინასწარ ვიღებდით სათანადო ცირკულარებს და მითითებებს... დღევანდელი ტერმინით, ყველაფერი თავიდანვე იყო დაპროგრამირებული. პოლიტიკისადმი ჩემი გულაღრძნილობა იმანაც განაპირობა, რომ ჩემი საყვარელი, საბრალო დაიკო, ვისაც არასდროს უფიქრია პოლიტიკოსი ყოფილიყო, საფლავში ისე ჩავიდა, არ იცოდა, რისთვის გააციმბირეს. „ახალგაზრდა მარქსისტიაო“ დაასმინა ვიღაცამ და რა სურდათ ამ „ახალგაზრდა მარქსისტებს“, მხოლოდ ციმბირში გავიგეო... მწარედ ოხუნჯობდა ნაციმბირალი...

მაშინ პატარებს გვასწავლიდნენ, რომ წინათ იყო რუსეთის დამპყრობლური იმპერია, მეფის მთავრობა და ჟანდარმერია, რომელთაც ხალხი დაბეჩავებული ჰყავდათ... იყო უსუსური, საქართველოს გამყიდველი (?!) მენშევიკური მთავრობა, რომელიც საზღვარგარეთ გაიქცა. ახლა კი არის საბჭოთა მთავრობა, მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც ბედნიერებას მოუტანს მშრომელ ხალხსო...

მახსოვს, 1924 წლის 21 იანვარი, მეორეკლასელი ბავშვები, მკერდზე შავი ბაბთებით, თოვლჭყაპში და სიცივეში სამგლოვიარო მიტინგზე წაგვიყვანეს. მაშინ პირველად გავიგონე, რომ ჩვენ, ბავშვები - ნორჩი ლენინელები ვიყავით. როცა ცოტა წამოვიზარდეთ, პიონერები გავხდით, შემდეგ კი კომკავშირ-

ლები. პირველად კომკავშირში შესვლაზე უარი მითხრეს, მიზეზი ყარაიაზში ბამბის საკრეფად წაუსვლელობა იყო, მაგრამ მერე მაინც მიმიღეს.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, პირველ წელსვე სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივნად ამირჩიეს. რაკი თანაკურსელებმა ნდობა გამომიცხადეს, ვცდილობდი ვყოფილიყავი ჩემთვის მონდობილი დავალების კეთილსინდისიერი შემსრულებელი და სიმართლის პირში მთქმელი. ერთი რამ მაწუხებდა: კომკავშირს არ გავუმხილე, უფროსი და პოლიტპატიმარი რომ მყავდა. თუმცა, თავს იმით ვინუგეშებდი, რომ მწამდა, ვიმეორებ, ჩემი საბრალო დაიკო - ქსენია - უმართებულოდ რომ იხდიდა სასჯელს! რაც საბოლოოდ დადასტურდა კიდევაც.

წლების განმავლობაში ვსწავლობდით კომუნისტური პარტიის ისტორიას, მარქსიზმ-ლენინიზმს... სხვა ლიტერატურა ხელმიუწვდომელი იყო, არც მიცდია სხვა იდეების გაცნობა, რადგან ვიცოდი, რომ ეს პოლიტიკოსებისთვის იყო საჭირო, ჩემთვის კი - ზედმეტად მიმაჩნდა.

ეს მცირე ექსკურსი იმისათვის კი არ გავაკეთე, რომ ჩემი თავი გამეცნო... არა, ეს აზრადაც არ მომსვლია... როგორც მე, ისე ყველა ბავშვი თუ ახალგაზრდა, სკოლაში თუ ქარხანაში, ყველგან, ჯერ პიონერი, შემდეგ აბსოლუტური უმრავლესობა კომკავშირელი უნდა გამხდარიყო. სწამდა თუ არ სწამდა ლენინელობა, ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. კომუნისტურ პარტიაში შესვლა კი თავიდან ბევრ მონაცემებზე იყო დამოკიდებული. ბოლო დროს ისიც სრულიად გაუბრალოვდა. მექრთამეობის საგანი გახდა. პარტიაში ახალი ნაკადი მოვიდა - თანამდებობების მაძიებლებისა, მუქთამჭამელებისა - ფულის

უშრომლად მშოვნელთა სახით (სწორედ მათი პირდაპირი შთამომავლობაა დღეს პოლიტიკოსების უმრავლესობაში).

სინდისმა უფლება არ მომცა ასეთ პარტიაში დავრჩენილიყავი. ჩემი მიმბაძველი უამრავი იყო...

დიახ, დამთავრდა დიდი ეპოპეა... არ ვიცი, არც მიფიქრია იმაზე, ცივილიზებულ მსოფლიოში ფეხს კიდევ თუ მოიკიდებს მარქსიზმ-ლენინიზმი, თუ მოიცლის მისთვის მომავალი თაობა? რაც შეეხება საქართველოს, ამ იდეას კიდევ შემორჩნენ მხარდამჭერები... ღრმად რომ ჩაწვდები, სოციალიზმის იდეა (არა კომუნიზმის) შეიძლება არც ისე ცუდი იყოს, მხოლოდ მისი განვითარების სწორი გზაა ასარჩევი... ჩემმა თაობამ კი გადააჭარბა და ჭაობში გადაიჩეხა.

დრომ მოიტანა და კომუნიზმის იდეამ სასტიკი კრახი განიცადა, ჩვენთანაც დემოკრატიამ გაიმარჯვა... სიტყვის თავისუფლებამ „მუნჯებიც" კი აალაპარაკა... როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე მომრავლდნენ პოლიტიკური პარტიები და მათმა რიცხვმა 150-ს გადააჭარბა! ყველა პარტიას ერთი მთავარი იდეა აქვს - დემოკრატიული, თავისუფალი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. გზები ამ მიზნის მისაღწევად კი - სხვადასხვაა: ზოგს ევროპის ქვეყნების ქვეშევრდომობით, ზოგს ამერიკის, ზოგს კიდევ რუსეთის დახმარებით უნდა საქართველოს გაძლიერება. ამ პარტიების ლიდერებს, ყველას - ძირითადად ქვეყნის მმართველად მოსვლა და საკუთარი იდეების განხორციელება სურს, მაგრამ როგორ, რას იტყვიან ახალს ხალხის სასიკეთოდ?! მხოლოდ ლიტონი სიტყვების რახა-რუხია... გასაოცარია, ერთ პატარა ქვეყანაში რამდენი საპრეზიდენტო კანდიდატი აღმოჩნდა?!. ნუთუ მართლა ასე ადვილია ქვეყნის მართვა და უმძიმეს პირობებში მისი გადარჩენა?! ამაზე რომ

ვფიქრობ, მენშევიკებმა კი არა, ყოფილმა კომუნისტებმა გაჰ-ყიდეს და ყიდიან საქართველოს სიმდიდრეს. ჩვენი უნიათობით ქართული სიბრძნე და ჭკუა იკარგება. ყველაზე უმეცარ, ულარიბეს და უმდაბლეს ქვეყნად გაგვხადეს, ეს მაშინ, როცა წინაპრების ვაჟკაცობით ევროპაშიც, ეგვიპტეში და ინდოეთშიც გვიცნობდნენ, როგორც გონიერ, ბრძენ, გმირ და მოაზროვნე ტომს. ახლა ერთმანეთის ჯინაზე, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვის გამო წინ არ ვიხედებით, არც წარსულს ვიხსენებთ და მხოლოდ დღევანდელ დღეზე ვფიქრობთ - რა ვიშოვოთ, რა წავართვათ მოკეთეს, როგორ დავამარცხოთ „მოწინააღმდეგე" - დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

თავშივე აღვნიშნე, რომ პოლიტიკოსობაზე პრეტენზია არ მქონდა-მეთქი, უბრალო, პოლიტიკაში ჩაუხედავმა კაცმაც იცის, რომ, როდესაც ქვეყანაში ხელისუფლების გადატრიალება მოხდა, ახალმა მთავრობამ თუ რკინისებური დისციპლინა არ დაამყარა, თუ გამოცემული კანონები ცხოვრებაში არ განხორციელდა, ფუჭია ვიძახოთ „დემოკრატიული ქვეყანა ვართ" და ცივილიზებულ ევროპელებს მივბაძოთ ყველაფერში... სხვადასხვა გაერთიანებებსა და საბჭოებში ევროპელთა გვერდით ჯდომა თვითმიზანი არ უნდა იყოს. საბჭოური, კომუნისტური იდეებით გამსჭვალულმა გონებამ სხვანაირად აღიქვა თავისუფლება სიტყვისა, კერძო საკუთრებისა... და რაც მოხდა და რა შედეგიც მივიღეთ, სახეზეა! აქ სატრაბახო და სასიქადულო არაფერია... მართლაც დავანგრიეთ აწყობილი სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, საქალაქო მშენებლობა... თითქოს ერთი ნაწილი კომუნისტური საზოგადოებისა, ისეთი განსწავლული გამოდგა, რომ არეულობის პერიოდში, „კუპონების ეპოქაში" მუქთად ჩაიგდო ხელში სახელმწიფოს ქონება, ხალხ-

ის შრომითა და დანაზოგით შექმნილი. დემოკრატიულ, „თავისუფალ“ ქვეყანაში უდისციპლინობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია... ადამიანის სიცოცხლე - ჩიტის სიცოცხლეს დაემსგავსა... სად და როგორ დამთავრდება ის, კაცმა არ იცის... სრული განუკითხაობა, კაცთა გამტაცებლებისა და მკვლელთა თარეში მეფობს... კანონი კი... არც ისე მკაცრი, მაგრამ ისიც განუხორციელებელია!.. როდემდე?.. ძნელი სათქმელია... მაგრამ ბოლო რომ კეთილი იქნება - ეს უნდა ვირწმუნოთ, რამეთუ იმედი ყველაზე ბოლოს კვდება!

რეფორმების ორომტრიალში

საქართველოში ყოველთვის გამორჩეული იყო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, დარგი, რომელიც ყოვლისშემძლე წყლით ასულდგმულებს მარჩენალ მიწას, ხოლო იქ, სადაც ნესტი ჭარბადაა, იქაურობას აცილებს შმორსა და ზედმეტ წყალს. ორივე კეთილშობლიური საქმეა, სამამულო, სამომავლო, მაშვრალისათვის საკეთილდღეო...

აი, ასეთ დიდ, სანაქებო კოლექტივში დაიწყო თავისი შრომითი მოღვაწეობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ინჟინერმა ზურაბ ქაჯაიამ. ახალგაზრდა სპეციალისტის ნიჭიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მას ეკონომიკის ფაკულტეტზე ლექციების წაკითხვა მიანდვეს, რომელსაც 8 წლის განმავლობაში ეწეოდა, ვიდრე სამინისტროდან სამუშაოდ დედოფლისწყაროს რა-

იონში არ გადაიყვანეს რთული საინჟინრო სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსად.

შრომაში გამოიწრთო და პროვინციულ ცხოვრებას გაეცნო სხვადასხვა ასპექტში. არჩევანი სწორი გამოდგა: რადგან, თუ გადაწყვეტ ემსახურო ამ კეთილშობილურ, დიდბუნებოვან საქმეს, მელიორაცია რომ ჰქვია, პირველი საფეხურიდან უნდა დაიწყო აღმასვლა და ბატონი ზურაბი 4-5 წლის განმავლობაში ადგილზე უსინჯავდა საპირწონეს მორწყვის საქმეს, შემდეგ კი, სამელიორაციო ინსპექციის უფროსად მუშაობის პერიოდში, საფუძვლიანად გაეცნო საქართველოში მოქმედ ყველა კატეგორიის სამელიორაციო სისტემას, იქ მომუშავე ადამიანებს. მე, მის თანამშრომელს, ბევრჯერ მჭონია შემთხვევა ერთად გვემგზავრა, ერთად გავცნობოდით დამშრობ-სარწყავ და გაწყლოვანების სისტემებს... მომწონდა ახალგაზრდა კაცი ასე გულიანად, ყურადღებით რომ სინჯავდა წყალთა მეურნეობის რთული მექანიზმის ყოველ ჭანჭიკს...

ყველაფერს თავისი დრო აქვს...

და აი, მოვიდა ახალი დროება... ყოველი საქმე ახლებურად მოითხოვს მიდგომას... დიდ საქმეს შეეჭიდა ბატონი ზურაბი... მის ზურგზე უნდა გადაიაროს ახალმა რეფორმებმა დარგში... აქ, კიდევ უცხოელებიც არიან ჩართული ამ დიდ საქმეში და ეს კიდევ ენერგიის მეტ დაძაბულობას, მეტ შრომას მოითხოვს... მაგრამ, მე რომ ვიცი ბატონი ზურაბის საერთო ზოგადი აზროვნების არეალი, მისი ჟინი საქმის ძირფესვიანად შესწავლაში, სიდინჯით, აწონ-დაწონით მიდგომა ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას, იმედი მაქვს, რეფორმების ორომტრიალში სწორ გზას დაადგება და მიზანსაც მიაღწევს...

ფართო გზა აქვს ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობას, მეცნიერულ აზროვნებას.

2004 წ. ივლისი

მინაწერი: *ამ მოკლე ნარკვევის დაწერა ერთ-ერთმა გამომცემლობამ მთხოვა.*

გავიდა რამდენიმე თვე და ბატონი ზურაბი წყლის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დააწინაურეს.

იქნებ მავანმა იფიქროს, სიბერეში შესულს, მაამებლობის სენი შეჰყრიაო. არა, ბატონებო, არასდროს ვყოფილვარ ასეთი...

მიხარია ახალგაზრდა კოლეგის წარმატება და წინსვლა. მსურს გზა დავულოცო ჰიდროტექნიკური მელიორაციის აღორძინებისათვის თავდადებულ შრომა-გარჯაში. ათეულ წელიწადზე მეტი დროა გასული, რაც სამელიორაციო სისტემების მოვლა-პატრონობის სამუშაოები მინიმალურ ზღვარზე სრულდებოდა სიდუხჭირის გამო. ამიტომ, წინ დიდი საქმეებია: სასიცოცხლო ობიექტების აღდგენა-მოწესრიგება, ვეებერთელა სისტემების მართვა, რეფორმების გატარება და სხვა მრავალი...

ადამიანი იმედით ცოცხლობს... მჯერა, ყველაფერი კარგად, წარმატებით წარიმართება.

ეპილოგი

2000 წლის 15 დეკემბერია. იწურება წელიწადი და მეოცე საუკუნეც, ამიტომ, მომავალი წელი განსაკუთრებულია და წინასაახალწლო განწყობაც უფრო ხალისიანი!

ეს-ეს არის, შინ ფეხი შემოვდგი სამსახურიდან დაბრუნებულმა და ტელეფონის ზარი აწკრიალდა... მოსალმების შემდეგ ჩემთვის უცხო ხმით, ახალგაზრდა კაცი, მოკრძალებით მეუბნება: სოციოლოგიურ საკითხებზე მსურს გაგესაუბროთ, თუ თანახმა იქნებითო... დავთანხმდი. ორი წუთით მოვუბოდიშე და შემდეგ მოვკალათდი სავარძელში... ჩემმა თანხმობამ, როგორც ჩანს, გაახალისა თანამოსაუბრე.

სოციოლოგი მეკითხება: **როგორია თქვენი შეხედულება ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე და გაქვთ თუ არა იმედი, რომ მთავრობა მომავალში შეძლებს ამ მდგომარეობის გამოსწორებას?**

ვპასუხობ: ღმერთმა არ ჰქნას, რომ უკეთესობის იმედი არ გვქონდეს. ბოლოს და ბოლოს, მდგომარეობა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისშივე უნდა გამოსწორდეს... რაც დღემდე ჩვენ დაგვემართა, ჩვენივე ბრალია... საბჭოურმა წყობამ უზარმაზარი ღირებულების ქონება დაგვიტოვა: განვითარებული მძიმე ინდუსტრია და მსუბუქი მრეწველობა, აღმავლობის გზაზე მდგარი სოფლის მეურნეობა... ცხოვრების დონეც შედარებით მაღალი გვქონდა. რა თქმა უნდა, იმ წყობას ბევრი ნაკლიც ახლდა და მის გარჩევას ახლა არ შევუდგები, მაგრამ ჩემი აზრით, ახალი წყობილების - დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფალთა ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა იყო ის, რომ ერთბაშად დაიწყო სახელმწიფო (სახალხო) ქონების პრივა-

ტიზაცია-გასაჩუქრება; სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების გაუქმებამ, წყალსაცავების, ჰიდროელექტროსადგურების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის შეწყვეტამ თუ სხვა სახის უაზრო ნაბიჯებმა ახალგამოჩეკილ სახელმწიფო წყობას საძირკველი შეურყიეს და არასტაბილურობას შეუწყო ხელი. თუ ასე გაგრძელდება, შემდეგი პერიოდი უფრო სავალალო აღმოჩნდება-მეთქი.

ერთი ანდაზისა არ იყოს: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო" - ასე მოგვიდა-მეთქი... იმედი? ნამდვილად მაქვს, რომ ქვეყნის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდება, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებაც დაიხვეწება.

სოციოლოგი: ოპტიმისტი ყოფილხართ!

- დიახ, მჯერა რომ საქართველოს კარგი მომავალი აქვს... მართალია, მთავრობა დღემდე ყველა დაპირებას ვერ ასრულებს, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ხალხი ამოძრავდა, მისი მოთმინების ფიალა აივსო... პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტიც, ალბათ, სათანადო დასკვნებს გააკეთებენ და შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებისთვის სათანადო ღონისძიებებს გაატარებენ. მე პოლიტიკოსი არა ვარ და სხვანაირ ანალიზს ვერ გავაკეთებ-მეთქი. დროა, ქვეყანაში წესრიგი დამყარდეს; დროა, ყველამ თავისი საქმე აკეთოს, ვისაც არ შეუძლია საქმის კეთება, ადგილი დაუთმოს მასზე ძლიერსა და საქმის მცოდნეს.

სოციოლოგი: რა მოგვიტანა მეოცე საუკუნემ ღირსშესანიშნავი?

პასუხი: ოო, მეოცე საუკუნე ქართველებისათვის, საერთოდ კი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, ეკონომიკური აღმავლობისა და კულტურის განვითარების საუკუნე იყო, რომლის სამი მეოთხედი პერიოდი ძალიან კარგად მახსოვს, თვალწინ მიდგას 75 წლის წინანდელი ყოფა, რომელზედაც საუბარი

დიდ დროს წაგვართმევს. მოკლედ გავიხსენებ ზოგიერთ რამეს: მაშინ, ჩვენი ოჯახი ფოთში ცხოვრობდა, დუხჭირი დრო იყო... მაშინაც იხოცებოდნენ ადამიანები შიმშილითა და ავადმყოფობით. ექიმები არ იყვნენ და არც წამალი იშოვებოდა. უფრო მეტად ექიმბაშები და მკითხავები იყვნენ ავადმყოფთა მკურნალები. ძირითად წამალს ქინაქინი და წურბელა წარმოადგენდა. შავი პურისა და წყალ-წყალა მჭადის აღება ჭირდა წიგნაკით. სოფლები და ქალაქები კეთილმოუწყობელი იყო... საინფორმაციო საშუალებებზე ლაპარაკიც ზედმეტია: არ გვქონდა რადიო და ტელევიზია, თავისუფალი პრესა, თითო-ოროლა გაზეთი ფართო მასებამდე არც კი მიდიოდა... აგრარულ ქვეყანაში ჩამორჩენილი იყო მრეწველობაც. თითებზე ჩამოსათვლელი ძველი ქარხნები თუ მუშაობდნენ. 1927 წელს პირველად ამუშავდა ავჭალის ჰიდროელექტროსადგური... ეს იყო დიდი სიხარული და ბედნიერება თბილისელებისათვის. ერთი სიტყვით, ჩემმა თაობამ ბევრი გაჭირვება გადაიტანა: შიმშილი, რეპრესიები, კონტრრევოლუციური გამოსვლები, ომები... მაგრამ იყო ზეიმიც, სიხარულიც. პირველად ეს 1936 წელს აღინიშნა, როდესაც საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობამ სოციალიზმის გამარჯვება აღიარა... მართლაც, ცხოვრების საუკეთესო პირობები იყო იმ დროისათვის. ხელფასი და პენსია (სტიპენდია), მინიმალურიც კი, სრულიად საკმარისი იყო საშუალო დონეზე ცხოვრებისათვის. ხანმოკლე გამოდგა კარგი ცხოვრება, დაიწყო დიდი სამამულო ომი... დაინგრა დიდი ქვეყანა, ომგადახდილი ადგილები ყველგან საშინელი სანახავი იყო... 1948 წლის დამდეგს ხალხი აღაფრთოვანა მთავრობის ახალმა ღონისძიებამ: გაუქმდა საბარათო სისტემა, შეიცვალა ფულის ნიშნები. ქალაქად თუ სოფლად, ახალ ფულზე რას არ იყიდ-

დი, სულო და გულო. ელვის სისწრაფით მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები, მრეწველობის აღორძინება, სოფლის მეურნეობის განვითარება. წესად იქცა: ყოველწლიურად, გაზაფხულზე, ფართო მოხმარების საგნებზე ფასების დაკლება...

1953 წელს გარდაიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი პოლიტიკოსი, იოსებ სტალინი. დიდი იყო გლოვა, ყველგან, ერთნაირად. მისი ფენომენის შესწავლას, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება... გაუმართლებელია მისი ზერელედ, აუგად მოხსენიება, ეს მხოლოდ შურიანღვარძლიან ადამიანებს, ვაი პოლიტიკოსებს ეხერხებათ.

თქვენ შემეკითხეთ, ჩვენში კულტურის განვითარების თაობაზე. ის ნამდვილად შესანიშნავი, გასაოცარი იყო. გასაბჭოების პირველ პერიოდში, როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და სხვა რესპუბილკებში, სწავლა-განათლება მეტად ჩამორჩენილი გახლდათ, შეიძლება ითქვას, ხალხი ბნელეთში ცხოვრობდა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამიტომ, ცენტრიდან მიღებული მითითების საფუძველზე, 1931 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ორ წელიწადში მომხდარიყო წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. ქალაქად თუ სოფლად, გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სპეციალური სკოლები, სადაც დიდი ხალისით მიდიოდნენ ადამიანები წერა-კითხვის შესასწავლად. ეს, დიდი მნიშვნელობის საქმე წარმატებით შესრულდა. 1935 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი, გაიხსნა ახალი ინსტიტუტები, ტექნიკუმები, საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლები, შემიღეს სავალდებულო სწავლება. რამდენიმე წელში ისე ამაღლდა ქართული ეროვნული (შინაარსით სოციალისტური,

ასე ამბობდნენ მაშინ - ა.მ.) ხელოვნება, კულტურა, მეცნიერება და სპორტი, რომ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე გახლდათ და უმაღლეს მწვერვალებს იპყრობდა...

მეკითხებით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ამჟამად? - არც ისე სახარბიელო. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა სიღატაკემ ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები, სპორტსმენები, სწავლულები იძულებული გახადა სხვადასხვა სახელმწიფოებს შეკედლებოდნენ. რა თქმა უნდა, ეს დროებითი მოვლენაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი კვლავ საქართველოს დაუბრუნდებიან...

უნიჭიერესი ახალგაზრდობა მოდის, ისინი უფროს თაობასთან ერთად იღვწიან ახალ-ახალი წარმატებისათვის. ამას უნდა მიეწეროს კოსმოსური ანტენის უბადლო ქართული კონსტრუქციის შექმნა... მწამს, რომ „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

***სოციოლოგი:* ბატონო ალექსი, გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ასეთი გულღია საუბრისათვის და თუ უხერხული არ იქნება, გთხოვთ, გამეცნოთ და მიპასუხოთ - ვინ ხართ? რას წარმოადგენს თქვენი პიროვნება თანამედროვე საზოგადოებაში?**

პასუხი: გულახდილად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა გიპასუხოთ, რომ ჯერ არ მქონია შემთხვევა და არც მიფიქრია ჩემს თავზე მეთქვას რაიმე... უპრიანია სხვამ რომ თქვას, მაგრამ, რადგან მეკითხებით, ვერ გაგაწბილებთ: გავიზარდე კოლხეთის ცენტრში - ზღვისპირა, ლამაზ ქალაქ ფოთში. ვარ მშობლების ბრძნული დარიგებისა და ჩაგონების უცილობელი შემსრულებელი: ვიყო პატიოსანი, შრომისმოყვარე, უანგაროდ ვემსახურო ქვეყანას, ადამიანობას. ეს დარიგება მუდამ მახსოვ-

და და თამამად შემიძლია ვთქვა, ყოველთვის ვასრულებდი მას, რაშიც დიდად მეხმარებოდა და ხელს მიწყობდა ჩემი მეუღლე, ღვაწლმოსილი, დამსახურებული პედაგოგი, ქალბატონი ელენე ზერეკიძე-მიმინოშვილისა, 60 წელზე მეტია ვემსახურები ჩემს საყვარელ დარგს, წყალთა მეურნეობა რომ ჰქვია. ახალგაზრდობაში მისწრაფება მქონდა ადამიანის სულის ინჟინერი გამოვსულიყავი, მაგრამ ცხოვრებამ ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსობა მარგუნა. პროფესიის კმაყოფილი ვარ. მოგეხსენებათ, უწყლოდ სიცოცხლე არ არსებობს დედამიწაზე და მუშაობდე ბუნების, ადამიანის სიცოცხლის აყვავებისათვის, მისი გახანგრძლივებისათვის, საამაყოდ მიმაჩნია. ფაზისიდან ჰერეთამდე მომივლია ყველა კუთხე-კუნჭული, ვინ იცის, რამდენი ათასი კილომეტრი ფეხით დავლაშქრე სარწყავი თუ დამშრობი არხების ქსელი, თვალუწვდენელ მინდორ-ველზე, ჭაობსა თუ ხრიოკ ტრამალებში. ვინ მოთვლის, რომელი კუთხის ადათ-წესები გამიცვნია და იქ გულუხვი პურ-მარილი მიმიღია... ვმუშაობდი ხალხის სასიკეთოდ... ვცდილობდი, ჩემებრი ცხოვრებისეული გზა შთამომავლობასაც გაეგრძელებინა. გამიმართლა - ჩემი ვაჟიშვილი მალხაზიც ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსია და პატიოსანი შრომით მიჰყვება მამაპაპურ გზას. მწამს, შვილიშვილებიც - პატარა ლექსო და სოფიკო ტრადიციას არ უღალატებენ.

აი, ვინ ვარ მე, ჩემო უცნობო სოციოლოგო და შენც, ჩემო მკითხველო!

მინაწერი: *წიგნზე მუშაობა ძირითადად დამთავრებული მქონდა, როცა სოციოლოგთან მომიხდა გასაუბრება და მაშინვე გადავწყვიტე, ამ საუბრის შემოკლებული შინაარსით დამესრულებინა წინამდებარე ნაშრომი.*

სამადლობელი

ამონარიდი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 12 აპრილის №43 კ ბრძანებიდან:

1. ***ალექსი მიმინოშვილი*** - სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციისა და წყლის მართვის სამმართველოს ტექნიკური უზრუნველყოფისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, განთავისუფლდეს თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით და დამტკიცებულ იქნეს **დეპარტამენტის კოლექტივის საპატიო წევრად.**

თავმჯდომარე *დავით გუბელაძე*

სანუკვარი კოლექტივის საპატიო წევრობა - ჩემს საყვარელ საქმიანობასთან ურთიერთობის გაგრძელებას ნიშნავს, რაც ჩემში შინაგან სულიერ ამაღლებასა და აღფრთოვანებას იწვევს.

მეორე გარემოებამაც გამოიწვია ჩემში დიდი მადლიერება - ეს არის წინამდებარე ნაშრომის გამოცემაში ხელმძღვანელობის გულითადი თანადგომა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ბატონ დავითს, დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

პატივისცემით
ა. მიმინოშვილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 5

ნაწილი პირველი

წყალთა მეურნეობა წარსულსა და აწმყოში 13

ნაწილი მეორე

ცოტა რამ რაიონულ საექსპლუატაციო სამმართველოებზე 49
რუდუნების დასაწყისი 53
(ზუგდიდი)
ფაზისის ნაკვალევზე 59
(კოლხეთი)
მელიორაცია აფხაზეთში 64
სიცოცხლე ზეიმობს ნაჭაობარზე 70
(ხობი)
სენაკის შემოგარენი 72
წყალდიდობას შეჭიდებულნი 75
(აბაშა)
მორწყვას მთაშიც პატივს სცემენ 80
(აჭარა)
რიონიდან ჩოლოქამდე 87
(ლანჩხუთი)
გურიაში რა გინდოდა 89
(ოზურგეთი)
მელიორაცია ქვემო იმერეთში 92
(ხონი-სამტრედია)
საკარდო და სამაისო 97
(წყალტუბო)
ზემო იმერეთის ხოდაბუნებიც ბიბინებენ 100
(ზესტაფონი-ბაღდადი)
აღორძინებული მთა-ველი 103
(ადიგენი)
მესხეთი, ტერასების მესაიდუმლე 107
ძირძველი ჯავახეთი 110
(ახალქალაქი)

წმინდა ნინოს ნაკვალევზე 115
(ნინოწმინდა)
უძველესი ტაშისკარი 118
სიჭაბუკის ნოსტალგია - ქარელი 121
წუთშესვენება 133
სამაჩაბლოს შემოგარენი 136
ქართლის შუა გულში 140
(გორი)
კვერნათის გადასახედიდან 145
(კასპი)
ტექნიკური აზროვნებისა და შემოქმედების გაბრწყინება 150
(მცხეთა)
რწყვა მთიანეთში 155
(დუშეთი)
ხორცშესხმული ოცნება 158
(ზემო სამგორის სარწყავი სისტემა)
უწყლობას არ დავაჩაგრინოთ უდაბნო 169
წყალსაცავი - თვალისჩინი 172
გარდაბნის სამმართველო 175
მაშავერას ხეობაში 190
(ბოლნისი-დმანისი)
მარნეული - ბარაქიანი ბელელი 195
ჟამი აყვავებისა - ჟამი დაკნინებისა 201
(თბილისის მექანიკური მორწყვის სისტემები)
ფარცხისიდან - ფონიჭალამდე 205
(ტბისი-კუმისი)
წყალი ქვეყნის მარჩენალი 209
(ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა)
ალაზნის ველის გასაჭირი 216
(ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა)
დიდი ილიას ოცნება ახდა 219
(ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემა)
დურუჯის გაავება 225
(ყვარელი)
ხორნაბუჯის გადასახედიდან 228
(დედოფლისწყარო)
დიდი ილიას ნაკვალევი ჰერეთის მიწაზე 235
(ლაგოდეხი)

სიცოცხლის გაწყლოვანება - საქვეყნო საქმეა 238
ერთგული თანამოსაგრე ქვეყნის სამსახურში 240
ღია წერილი ჩემს უმცროს კოლეგებს 244
გახსენება 249
ზღვისპირელი რაინდი 250
(ანდრო გაბუნია)
ღვაწლმოსილი მეცნიერი 253
(გიორგი ვოინიჩ-სიანოჟენსკი)
დიდი ქომაგი - პროფესიონალი 255
(ირაკლი აგლაძე)
არდავიწყება სიკეთისა 256
(კაპიტონ ახვლედიანი)
კაცური კაცი 257
(აკაკი ბაღათურია)
ტრადიციის კაცი 258
(ვანო ნაკაიძე)
იმედის გამართლება 259
(ვიქტორ ძაგანია)
ყოველმხრივ შემკული ადამიანი 260
(ჯემალ ტვილდიანი)
ვაზის სიყვარულში შეცილება 261
(ზაქარია ბიძინაშვილი)
დაუვიწყარი სახე 263
(შალვა დობორჯგინიძე)
სარწყავი მიწების ფონდი საქართველოში
(ცხრილი დანართი №1) 265
დაშრობილი მიწების ფონდი
(ცხრილი, დანართი №2) 268

ნაწილი მესამე

მემუარული მოგონებები, ნარკვევები, ჩანახატები
პირველი სტრიქონის გაელვება 271
სიყმაწვილის დროინდელი ამბები
ჩემი სიყმაწვილის ტრფიალი 272
ჩემი დაუვიწყარი დედულეთი 288
1921 წლის თებერვალი 292
ერთგულება 294

ბებია მენიკი 296
ბერიკაობიდან შოუმდე 298
ოჯახური იდილიები
შობა-აღდგომის დღესასწაულები 300
მუსიკისადმი სიყვარული 301
დედმამიშვილობა 304
ცხოვრების ჭეშმარიტი გზა 311
ჰაუ, რამდენი ხანი გასულა!
პატარა კურიოზი 315
საგანგებო დავალებით სვანებთან 321
ერთი ფურცელი ჯეელობის დროინდელი დღიურიდან 326
დიდი ბელადის საჩუქარი 333
პირველი ნაბიჯი 335
კიევის ლავრიდან - უფლისციხემდე 337
სტუმრად მეცნიერთან 344
მთიულური ხინკლის გემო 347
გასეირნება პალიასტომზე 351
პატიოსნება - უპირველეს ყოვლისა
(შტრიხები ბატონი ალექსი ბექაურის პორტრეტისათვის) 354
იყო უცნაურობებით სავსე დრო 359
უმაღლესი სტუმარი 361
ჰერეთის მიწაზე 363
ზემო სვანეთი 368
მესხეთ-ჯავახეთი 371
მოგზაურობა ყირგიზეთში 378
მოგზაურობა ტაჯიკეთში 385
ნამეწყრალზე 389
ფეხბურთი - ფეხბურთი 393
ორი ეპოქის გასაყარზე 399
რეფორმების ორომტრიალში 403
ეპილოგი 406